ერიკ ს. რაიმონდი

როგორ გაამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები

...და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად



ერიკ ს. რაინერტი

როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები ...და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად

მთარგმნელები:
გაგო ხუნდაძე
ივანე აბრამაშვილი

საზოგადოების კვლევის ცენტრი
Centre for Social Studies

კავკასიური სახლი CAUCASIAN HOUSE

თბილისი
2019

UDC (უაკ) 338 (4/9)
რ–38

წიგნი ითარგმნა და გამოიცა საქართველოს ღია
საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.
წიგნის გამოცემა თანადაფინანსებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდისა
და NORLA-ს (ნორვეგიული ლიტერატურა საზღვარგარეთ) მიერ.

რედაქტორები: გიორგი ღვინჯილია
გიორგი ხვედელიანი

სტილის რედაქტორი თემურ რეხვიაშვილი

გამოცემის რედაქტორი ლეილა სიხარულიძე
დაკაბადონება და დიზაინი ნიკოლოზ გელაშვილი

© Erik S. Reinert, 2007
© საზოგადოების კვლევის ცენტრი (ქართული თარგმანი)

ISBN 978-9941-9569-1-1

ერიკ ს. რეინერტი რედაქტორია წიგნისა „გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება და უთანასწორობა: ალტერნატიული პერსპექტივა“ (2004) და თანარედაქტორი წიგნისა „განვითარების ეკონომიკის საწყისები: როგორ უდგებიან განვითარებას ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სკოლები“ (2005). ერიკ რეინერტმა, ეროვნებით ნორვეგიელმა, ბაკალავრის ხარისხი შვეიცარიაში, სენტ-გალენის უნივერსიტეტში მიიღო, მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ჰარვარდის, ხოლო დოქტორის ხარისხი კორნელის უნივერსიტეტში მიენიჭა. იგი ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების სტრატეგიების პროფესორია ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ნორვეგიაში კი – „სხვა კანონის“ ფონდის დირექტორის პოზიცია უკავია. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ჰეტეროდოქსული განვითარების ეკონომისტია. 2008 წელს რეინერტმა პრესტიჟული „მირდალის პრიზი“ მიიღო წიგნისთვის „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები... და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. www.othercanon.org



შინაარსი

წინასიტყვაობა 9
მადლიერება 13
შესავალი 20

I თავი
ეკონომიკური თეორიების ტიპების დადგენა 41

II თავი
ორი განსხვავებული მიდგომის ევოლუცია 70

III თავი
ემულაცია: როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები 146

IV თავი
გლობალიზაცია: ერთი და იგივე არგუმენტები მის
სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ 192

V თავი
გლობალიზაცია და პრიმიტივიზაცია:
როგორ ღარიბდებიან ღარიბები კიდევ უფრო მეტად 294

VI თავი
მარცხის გამართლება:
„ისტორიის დასასრულის“ მიკერძოებული მიდგომები 352

VII თავი
პალიატიური ეკონომიკა:
რითია ცუდი ათასწლეულის გამოწვევის მიზნები 408

VIII თავი
„ეკონომიკური საქმიანობის სწორად გაგება“ –
ანუ საშუალო შემოსავლის ქვეყნების შექმნის
დავიწყებული ხელოვნება..... 460

I დანართი
დევიდ რიკარდოს თეორია საერთაშორისო ვაჭრობაში
შედარებითი უპირატესობის შესახებ..... 507
II დანართი
მსოფლიო ეკონომიკის, ქვეყნების სიმდიდრისა და სიღარიბის
მიზეზების ახსნის ორი განსხვავებული მიდგომა..... 512
III დანართი
ფრენკ გრემის არათანაბარი განვითარების თეორია..... 516
IV დანართი
პროტექციონიზმის ორი იდეალური ტიპის შედარება 518
V დანართი
მდიდარი ქვეყნების მიბაძვის (ემულაციის) 9 წესი ფილიპ ფონ
ჰონრიგკის მიხედვით (1684 წ.) 520
VI დანართი
ეკონომიკური აქტივობების თვისობრივი ინდექსი 525

შენიშვნები..... 528
ბიბლიოგრაფია..... 561

ყველა ვინც სხვათა მიერ შექმნილ სისტემას აკრიტიკებს, მოვალეა ეს სისტემები საკუთარი ალტერნატივით ჩაანაცვლოს, რომელიც უკეთ დაგვეხმარება მოვლენათა ერთობლიობის მიზეზების გაგებაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვაგრძელებთ მსჯელობას, რათა შევასრულოთ ეს მოვალეობა.

ჯამბატისტა ვიკო, La Scienza Nuova, 1725

წინასიტყვაობა

როდესაც 1999 წელს და შემდგომ კიდევ მრავალჯერ, დემონსტრანტებმა სიეტლის ქუჩები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის გასაპროტესტებლად დაიკავეს, მათი პროტესტი ირიბად მიემართებოდა საყოველთაოდ გაზიარებული სიბრძნის – ორთოდოქსული ეკონომიკის წინააღმდეგ. ეს თეორია ლეგიტიმაციას აძლევდა და ანალიტიკურად ასაბუთებდა ამ ორგანიზაციების პოლიტიკისა და რეკომენდაციების დიდ ნაწილს. დაცინვის რისკის მიუხედავად, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეს თეორია ამტკიცებს, რომ თვითრეგულირებული ბაზრები ყველა ქვეყანას ეკონომიკურ ზრდამდე მიიყვანს, თუკი სახელმწიფოს როლი მინიმუმამდე, მხოლოდ „ღამის გუშაგის“ ფუნქციებამდე შემცირდება.

ეს ორთოდოქსია პოპულარული გახდა 1970-იან წლებში „სტაგფლაციის“ დადგომასა და კეინზიანიზმსა და განვითარების ეკონომიკაზე ინტელექტუალური იერიშის დაწყებასთან ერთად. 1970-იან წლებში კეთილდღეობის სახელმწიფოების ფისკალურმა კრიზისმა და მომდევნო პერიოდში ცენტრალური გეგმარების მქონე ეკონომიკების კრახმა ახალი ორთოდოქსიის დამატებითი მხარდაჭერა უზრუნველყო. ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ ადრეული 1980-იანი წლების მონეტარეული ექსპერიმენტები ჩავარდნით დასრულდა. დღეს მხოლოდ ფუნდამენტალისტებს სჯერათ, ერთი მხრივ, სრულიად თვითრეგულირებული, ხოლო, მეორე მხრივ, მთლიანად სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკების.

ერიკ რეინერტის ამ წიგნში გამოვლენილია ის საკვანძო

ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძალები, რომლებიც ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ეკონომიკური განვითარების მიღწევისთვის უნდა მოთოკოს. განვითარების რეინერტისეული ანალიზის მიხედვით „განუვითარებლობის განვითარება“ გამოწვეულია წარუმატებლობით ისეთი ეკონომიკური აქტივობების ხელშეწყობასა და სრულყოფაში, რომლებიც მოიცავენ მასშტაბზე მზარდ უკუგებასა და გაზრდილ ადამიანურ შესაძლებლობებს, ისევე როგორც წარმოების გაზრდილ სიმძლავრეს. რეინერტი ისტორიის ეკონომიკურ გაკვეთილებს ახალ კონტექსტებს მოხერხებულად არგებს.

წიგნი ამტკიცებს, რომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური გაკვეთილების სწავლა ისტორიული ფაქტების დაუმახინჯებლად გაგების შემთხვევაშია შესაძლებელი. რეინერტის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია ყველაზე რელევანტურია დღევანდელი ღარიბი ქვეყნებისთვის. 1776 წელი არა მარტო ადამ სმიტის წიგნის – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ – გამოქვეყნების წელია, არამედ ბრიტანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ პირველი თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დასაწყისიც. საბოლოო ჯამში „ბოსტონის ჩაის სმა“ მერკანტილისტური აქტი იყო. ამერიკის რევოლუციის ეკონომიკური თეორეტიკოსი სხვა არავინ იყო თუ არა ქვეყნის პირველი ფინანსთა მინისტრი – ალექსანდერ ჰამილტონი, რომელიც დღეს იმის პიონერად ითვლება, რასაც ხშირად „ინდუსტრიულ პოლიტიკას“ უწოდებენ.

წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა ამერიკის ეკონომიკა სამხრეთის კონფედერაციას ჩრდილოელი იუნიონისტები რომ დაემარცხებინა – მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში ამერიკის ეკონომიკის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია ვერ განხორ-

ციელდებოდა. როგორც „ამერიკული ისტორიის სმიტსონისეული მუზეუმის“ კურატორები აღნიშნავენ, ამერიკას შეიძლება ვერ ამოევსო ის ტექნოლოგიური ნაპრალი, რომელიც 1851 წელს კრისტალ პალასში გამართული დიდი გამოფენის მონაწილეებმა აღიარეს და ვერ გამხდარიყო მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკა მე-20 საუკუნის ადრეულ ეტაპზე.

როგორც რეინერტი გვიჩვენებს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული მორგენთაუს გეგმა, გერმანიის, როგორც ორი მსოფლიო ომის გამჩაღებელი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ გადაქცევას ითვალისწინებდა. ამის ნაცვლად, გენერალმა ჯორჯ მარშალმა თავისი წვლილი შეიტანა ომის შემდგომი კეინზიანური „ოქროს ხანის“ ჩამოყალიბებაში. მისი გეგმა დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ეკონომიკური რეაბილიტაციის დაჩქარებასა და რეინდუსტრიალიზაციას ითვალისწინებდა, რომელსაც გაფართოებადი საბჭოთა ბლოკის გარშემო ეკონომიკური ზრდის cordon sanitaire უნდა უზრუნველეყო. ომისშემდგომი რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი უხვი ამერიკული კონტრიბუცია საგრძნობლად განსხვავდება მის მიერ ამჟამად გაცემული დახმარებებისგან როგორც რაოდენობრივად, ასევე „სამთავრობო ბიუჯეტების დაფინანსებისა“ და „პოლიტიკური სივრცის“ უზრუნველყოფის მხრივაც.

ეკონომიკური განვითარება მოიცავს ღრმა თვისებრივ ცვლილებებს არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ საზოგადოებაშიც. ეკონომიკური განვითარების დაყვანა მხოლოდ კაპიტალის დაგროვებასა და რესურსების უფრო ეფექტურ მობილიზაციამდე იქცა იმ ფორმულად, რომელმაც ბევრ ღარიბ ქვეყანაში მარადიული ეკონომიკური ჩამორჩენილობა გამოიწვია. ეკონო-

მიკური პოლიტიკის ისტორიის მდიდარი ცოდნა, რომელიც რეინერტს აქვს, გვეხმარება კარგად გავერკვეთ არათანაბარი განვითარების პრობლემაში; ამ მხრივ მისი ნაშრომი მნიშვნელოვან გაკვეთილებს იძლევა და მათ შესახებ ფიქრს გვაიძულებს.

კ.ს. ჯომო,
გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ეკონომიკური განვითარების საკითხებში, ეკონომიკური განვითარების სპეციალისტების საერთაშორისო ქსელის (IDEAs) დამაარსებელი და თავმჯდომარე

მადლიერება

ამ წიგნში აღწერილი იდეების უმეტესობა ძალიან ძველია, შესაბამისად მე ვალში ვარ იმ ეკონომისტი მოაზროვნეებისა და პოლიტიკოსების დიდ ნაწილთან, რომლებმაც გასული 500 წლის განმავლობაში წარმატებით შექმნეს სიმდიდრე და არ გადაანაწილეს ის. ამ პატივსაცემ ჯგუფთან ჩემი გაცნობა 1974-1976 წლებში შედგა, როცა ჩემი ცოლი ჰარვარდის ბიზნეს სკოლის კრესის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. ეს ბიბლიოთეკა 1850 წლამდე შექმნილ ეკონომიკურ თეორიებზე არის სპეციალიზებული, რის გამოც იგი მათი იდეების ხელმისაწვდომ საცავს წარმოადგენს. შვეიცარიაში, სენტ-გალენის უნივერსიტეტში, ჩემი ეკონომიკის პროფესორი ვალტერ ადოლფ იორი (1910-1987) ძველი კონტინენტური ევროპული იდეების ერთგული რჩებოდა, ამასთან, კრესში გავიცანი ფრიც რედლიხი (1892-1978), გერმანული ისტორიული სკოლის ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი, რომელმაც ვერნერ ზომბარტის იდეებს მაზიარა.

ამ წიგნის ორიგინალური იდეები ჩანასახოვან ფორმაში უკვე არსებობდა ჩემს სადოქტორო ნაშრომში, რომელიც 1978-1979 წლებში დაიწერა. იმ დროს, ძველი მოაზროვნეების გარდა, ჩემი შთაგონების წყარო იყვნენ: ტომ დევისი, რომელიც ეკონომიკურ ისტორიასა და განვითარებას ასწავლიდა და ეკონომიკური საქმიანობების დიფერენციაციის მნიშვნელობა დამანახა; ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიდგომა ადამიანის განათლებისა და გამოცდილების გასაზომად; იაროსლავ ვანეკი, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ვაჭრობის ჰეკშერ-ოლინ-ვანეკის თეორემის განვითარებაში და, რომელმაც გააცნობიერა, თუ როგორ ანადგურებს საერთაშორისო ვაჭრობა კეთილდღეობის სახელმწიფოს მოცემულ პირობებში. მის

მიერ საყოველთაოდ გაზიარებული საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის საფუძვლიანმა დეკონსტრუქციამ დაადასტურა ის, თუ რატომაც მიმაჩნდა ეს თეორია ალოგიკურად. გარდა ამისა, კორნელის უნივერსიტეტში, ჯონ მურამ პრე-კაპიტალისტური საზოგადოებების სამყარო გამაცნო. კლასიკური განვითარების ეკონომიკა, მირდალის „კუმულაციურ მიზეზშედეგობრიობასთან" ერთად, ყოველთვის უქმნიდა თეორიულ ფონს ჩემს შრომას.

მას მერე, რაც 1991 წელს დავუბრუნდი აკადემიურ და კვლევით საქმიანობას, წინა თაობის სუთი ეკონომისტი და ეკონომიკის ისტორიკოსი – ზოგჯერ გააზრებულად, ზოგჯერ კი გაუაზრებლად – დიდსულოვან რჩევებს მაძლევდა და მიმყარებდა რწმენას, რომ ბევრი ძველი იდეა, არსებულ კონტექსტში, უფრო მეტად არაპოპულარული იყო, ვიდრე შეუფერებელი. ესენია: მოსე აბრამოვიცი, რობერტ ჰაილბრონერი და დევიდ ლენდსი ამერიკიდან; ქრისტოფერ ფრიმანი და პატრიკ ობრაიენი გაერთიანებული სამეფოდან. ეს ნაშრომი მათ ეძღვნება. ისინი აცოცხლებდნენ რეალობაზე დაფუძნებულ ძირძველ ეკონომიკურ ტრადიციას, რომელიც ლამის შეიწირა ცივი ომის დროინდელმა დაპირისპირებამ ორ უტოპიას – დაგეგმარებულ ჰარმონიასა და ავტომატურ საბაზრო ჰარმონიას შორის.

კარლოტა პერეზის ხედვამ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროგრესი, დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და ძალიან მადლიერი ვარ მისი, რომ იყო ჩემი ყველაზე აქტიური იდეური სპარინგ-პარტნიორი. ამავე კუთხით დიდად მეხმარებოდნენ ჩემი კოლეგებიც ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან – ვოლფგანგ დრეხსლერი და რაინერ კატელი. 1991 წლისთვის ჩამოყალიბდა თანამედროვე ევოლუციური ეკონომიკა და რიჩარდ ნელსონის „შეფასებითმა თეორიულობამ" ხელი შეუწყო ჩემი თეორიის ფორმირებასაც. ამაში ასევე დამეხმარა იან კეგელის პოსტ-კეინზიანური ეკონომიკა,

ჯეფრი ჰოჯსონის ინსტიტუციური ეკონომიკა, კ.ს. ჯომოს განვითარების ეკონომიკა და ბენგტ-ოკე ლუნდვალის მიერ წამოწყებული GLOBELICS-ის მოძრაობა.

მადლობა მინდა გადავუხადო „სხვა კანონის“* სემინარის მონაწილეებს ოსლოსა და ვენეციაში, მათ შორის: დანიელო არჩიბუჯის, ბრაიან ართურს, იურგენ ბაკჰაუსს, ჰელენე ბენკს, ანტონიო ბაროს დე კასტორს, ანა სელია კასტროს, ჰა-ჯუნ ჩანგს, მარიო ჩიმოლის, დიტერ ერნსტს, პიტერ ევანსს, რონალდ დორეს, ვოლფგანფ დრეხსლერს, იან ფაგერბერგს, ქრისტოფერ ფრიმანს, ედვარდ ფულბრუკს, ჯეფრი ჰოჯსონს, ალი კადრის, ტარმო კალვეტს, იან ჯრეგელს, აწ გარდაცვლილ სანჯაია ლალს, ტონი ლოუსონს, ბენგტ-ოკე ლუნდვალს, ლარს მაგნუსონს, ლარს მიოსეტს, ალფრედო ნოვოას, კიტ ნურსეს, პატრიკ ობრაიანს, იუპ ოზვერენს, გაბრიელ პალმას, კარლოტა პერეზს, კოსიმო პეროტას, ანალიზა პრიმის, სანტიაგო როკას, ბრიუს სკოტს, რიჩარდ სვედბეგრს, იაშ ტანდონს (რომელმაც მაზიარა აფრიკულ რეალობას და მასწავლა „იმპერიული ფაქტორი“), მარეკ ტილტს და ფრანჩესკა ვიანოს.

ჩემს იდეებს სხვადასხვა ფორმით იცნობენ მრავალ უნივერსიტეტში ჩემი კოლეგები და სტუდენტები, რომლებმაც ყურადსაღები შეფასებები მომცეს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო უნივერსიტეტები, სადაც არაერთხელ ვყოფილვარ მიწვეული ლექტორი: ESAN-ის უნივერსიტეტი, ლიმას ბიზნეს სკოლა, რიო-დე-ჟანეიროს ფედერალური უნივერსიტეტი და მალაიას უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული აზია-ევროპის ინსტიტუტი კუალა ლუმპურში. განვითარების ეკონომიკის გადააზრების კემბრიჯის პროგრამაზე ექვსწლიანმა სწავლებამ და მსგავსმა

* „სხვა კანონი“ არის ჰეტეროდოქსული მიმართულების ეკონომისტების გაერთიანება, რომელიც უპირისპირდება დომინანტურ ნეოკლასიკურ თეორიას. მასში შედიან პოსტ-კეინზიანელები, ევოლუციური და ეკონომიკის ისტორიული სკოლის წარმომადგენლები (მთარგმნელის შენიშვნა).

კურსებმა, რომლებიც ორგანიზებული იყო „სხვა კანონის“ მიერ მესამე სამყაროს ქვეყნებში, მომცა შანსი ვყოფილიყავი ჯგუფის წევრი, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა ეკონომიკური განვითარების შესახებ ახალი ხედვის ფორმირებაში. ყველა მთავარი ინიციატივა დააფინანსა ფორდის ფონდმა, აქედან ერთმა ადამიანმა, მანუელ მონტესმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ახალი განვითარების ეკონომიკის“ ჩამოყალიბებაში. ბოლო წლების განმავლობაში გაეროს სხვადასხვა დანაყოფებში – ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში გაეროს ეკონომიკურ კომისიაში (CEPAL), ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტში (DESA), სამხრეთის ცენტრში, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციაში (UNCTAD) და გაეროს განვითარების პროგრამაში (UNDP) – მიმდინარე შეხვედრებსა და პროცესებში მონაწილეობამ მნიშვნელოვნად შემინყო ხელი ახალი იდეებისა და პიროვნული კავშირების ჩამოყალიბებაში. მადლობას ვუხდი იონ ბინგესს და სტრატეგიული კვლევების ნორვეგიის ინსტიტუტს წარმატებული ეროვნული განვითარების სტრატეგიების კვლევის მხარდაჭერისთვის. მადლობა ასევე Norsk Investorforum-ს, ნორვეგიის გემთმესაკუთრეთა ასოციაციასა და ლეიფ ჰეგის ფონდს „სხვა კანონის“ პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

1999 წელს რამდენიმე ჩვენგანმა ორი დღე გავატარეთ ერთად ალტერნატიული ვარაუდების შესამუშავებლად ეკონომიკურ მეცნიერებაზე, რომელიც ქვემოდან ზემოთ იქნებოდა ნაშენი და არა პირიქით (იხ. დანართი II). განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მათ: ლეონარდო ბურლამაკის, ჰა-ჯუნ ჩანგს, მაიკლ ჩუს, პიტერ ევანსსა და იან კრეგელს. მადლობა ვოლფგანგ დრეხსლერს, ქრისტოფერ ფრიმანს, რაინერ კატელს, იან კრეგელსა და კაროლტა პერეზს, რომლებმაც შემომთავაზეს,

წაეკითხათ და კომენტარები დაერთოთ ამ წიგნის ხელნაწერისთვის. მათ არანაირი წვლილი არ მიუძღვით ჩემს სიჯიუტეში.

განსაკუთრებული მადლობა დენ ჰინდს, Constable & Robertson-ის ძველ თანამშრომელს, რომლის დაწყებულმა პროცესმა ამ წიგნის გამოცემამდე მიგვიყვანა. მადლობა ასევე ჩემს რედაქტორებს Constable-ში, ჰანა ბურსნელს, იან ჩემეს და განსაკუთრებით ჯეინ რობერტსონს, რომელსაც მშვენივრად გამოუვიდა ჩემი მეთვალყურეობა.

ეს წიგნი, ყველაზე მეტად ოჯახური პროექტია. როცა ჩვენი ორი ვაჟი – ჰუგო და სოფუსი – პატარები იყვნენ, ზოგჯერ გვეკითხებოდნენ, „რატომ ვმოგზაურობთ ყოველთვის ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანები ასე ღარიბები არიან?“ ახლა, როცა ორივე მათგანი კემბრიჯში საკუთარ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას ამთავრებს, ისინი ღირებულ მრჩევლებად გადაიქცნენ. ორივეს სახელი ამ წიგნის ბიბლიოგრაფიაში ფიგურირებს. გარდა ამისა, მათი რჩევა იყო, რომ წიგნის თეორიული ნაწილი საკუთარი გამოცდილების აღწერით გამემდიდრებინა. ამ წიგნის მოკლე ვერსია 2004 წელს გამოქვეყნდა ნორვეგიულ ენაზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფუსმა და ჩემმა ცოლმა ფერნანდამ თარგმნეს. და ბოლოს, ყველაზე მეტად მადლიერი ვარ ფერნანდასი, რომელიც იქამდე მიცნობდა, სანამ 1967 წლის ზაფხულში ამ პროექტის იდეა გაჩნდებოდა. მისი ერთგულების, მხარდაჭერის, გამბედაობისა და დაჟინებულობის (ასე ახასიათებდა მას მისი ხელმძღვანელი კრესის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს) გარეშე, მაშინ, როცა ჩვენ გარშემო მუდმივად იცვლებოდა გარემო, ქვეყნები, ენები და გამოწვევები – ეს ეხება ამაზე უფრო სარისკო და დონ კიხოტისეულ პროექტებსაც – მე ვერასდროს მექნებოდა შესაფერისი პირობები და ვერ შევიძენდი საკმარის ცოდნას ამ წიგნის დასაწერად.

ილუსტრაციების ნუსხა

1. შეუსაბამო ვარაუდები წარმოშობენ მცდარ კითხვებს: „მიწისთხილი“ – ჩარლზ შულცის კარიკატურა.
2. ეკონომიკის გენეალოგია პოლ სამუელსონის მიხედვით.
3. ეკონომიკის გენეალოგია „სხვა კანონის“ მიხედვით .
4. ეკონომიკური წრებრუნვა.
5. მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ინოვაციების სისტემა – დელფტი, ჰოლანდია, 1650-იანი წლები.
6. ადრეული წარმოების აფეთქება.
7. ინდუსტრიული ხელფასები დანარჩენი ეკონომიკის შემოსავლებს აწესებენ: სოფლის მეურნეობის სექტორის საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარის შედარება ინდუსტრიულ სექტორთან ათი ქვეყნის მაგალითზე, 1928-1936.
8. მამაკაცის საშუალო ხარისხის ფეხსაცმლის ყველაზე ეფექტურად წარმოების სწავლების მრუდი, ამერიკის შეერთებული შტატები, 1850-1936.
9. „მფრინავი ბატების“ მოდელი: თანმიმდევრული სტრუქტურული ტრასნსფორმაცია აღმოსავლეთ აზიაში.
10. როგორ შეიქმნა სხვაობა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ხელფასებს შორის თანდიმდევრული „წარმოების აფეთქებების“ სახელფასო რენტად გადაქცევით.
11. ინდუსტრიული დინამიკა: სამი ცვლადი.
12. შუმპეტერისეული და მალთუსისეული ეკონომიკური აქტივობების დაპირისპირება.
13. ეკვადორი: მზარდი წარმოება და კლებადი უკუგება ბანანის წარმოებაში, 1961-77.
14. პერუ, 1960-2000 წლები: რეალური ხელფასებისა და ექსპორტის განსხვავებული გზები.

15. პერუს ვაჭრობის პირობები, 1950-2000 წლები.
16. ეკონომიკური განვითარების „სასიკეთო წრე“ – მარშალის გეგმა.
17. სიღარიბის მანკიერი წრე – მორგენთაუს გეგმა.
18. თვისობრივი განსხვავება გადამამუშავებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის (ნედლეულის წარმოება), იდეალური ტიპების ან ფაქტების სახით წარმოდგენილი.

შესავალი

ჩვენს პლანეტაზე არსებული უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის იმაზე დიდია, ვიდრე ოდესმე ყოფილა და კვლავ განაგრძობს ზრდას – ამის დასტური, სულ ცოტა, უთანასწორობის საზომი ინდიკატორების უმეტესობის მაჩვენებლებია. 1970 წელს დაწყებული სამი „განვითარების ათწლეულის“ პერიოდში განხორციელებული მასობრივი ეკონომიკური ტრანსფერებისა* და „განვითარების ხელშეწყობაზე“ დახარჯული ტრილიონობით დოლარის მიუხედავად, სიტუაცია ისევ მძიმეა და, ბევრგან კიდევ უფრო უარესდება. მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი დღეში 2 დოლარზე ნაკლები თანხით ცხოვრობს და ბევრ ქვეყანაში რეალური ხელფასების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შორეულ 1970-იან წლებში დარჩა. გამოთვლების მიხედვით, 1750 წელს, მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის შეფარდება 2:1 იყო; მას მერე იგი კიდევ უფრო გაიზარდა.

მოცემული წიგნის მიზანია ამ შედეგების გამომწვევი მექანიზმების მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფი „დაინტერესებული დილეტანტისთვის“ გასაგებად ახსნა. ეს წიგნი, გაბატონებული ეკონომიკური აზროვნების პოპულარიზაციად არ უნდა მივიჩნიოთ. პირიქით, ესაა მცდელობა, ხელი შეუწყოს მიმდინარე პროცესს, რომელიც არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჭეშმარიტების უარყოფას ემსახურება. ასევე, ნაშრომის მიზანია, აღადგინოს დიდი ხნის ეკონომიკური ტრადიცია, ეკონომისტების ხელთ არსებული ერთადერთი ლაბორატორიიდან – ისტორიიდან.

---

* იგულისხმება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მიზნებიდან გამომდინარე გაწეული ფულადი დახმარება, რომლის სანაცვლოდ არ ითხოვენ უკან რაიმე მომსახურების ან საქონლის მიღებას (მთარგმნელის შენიშვნა).

სიღარიბის ადამიანური საფასური განუზომელია. წლების მანძილზე დაკარგული ადამიანური სიცოცხლე, მოკვდაობის დონე, რომელიც ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობით, განკურნებადი დაავადებებითა და ზოგადად, სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობითაა გამოწვეული, შემაშფოთებელ ნიშნულს აღწევს. მწირი რესურსების გამო დაწყებული სამოქალაქო ომები და კონფლიქტები განუზომელ ტკივილსა და ტანჯვას იწვევს, რისი თავიდან არიდება, მდიდარ ქვეყნებში მაინც, დიდწილად შესაძლებელი იქნებოდა. ამას ასევე შეიძლება დაემატოს ბუნებრივი გარემოს დეგრადირების გავლენა ღარიბებზე. ამგვარი მანკიერი წრე მარტივად იკვრება ღატაკ საზოგადოებებში, სადაც მზარდი მოსახლეობის პირობებში მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ ერთადერთ გზად, ბუნებრივი გარემოს უფრო მეტად ათვისება რჩება.

1989 წელს, ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი – იმაზე მეტად ვიდრე ოდესმე – დაეფუძნა ეკონომიკურ თეორიას, რომელიც „ამტკიცებს" იმის საპირისპიროს, რისი დანახვაც მარტივადაა შესაძლებელი. მსოფლიოს თავისუფალი ვაჭრობა უნდა ემსახურებოდეს მდიდარი და ღარიბი ქვეყნების შემოსავლებს შორის სხვაობის ამოვსებას. თუკი კაცობრიობა ხელს არ შეუშლის ბაზრის „ბუნებრივ ძალებს" – თუკი გამოვიყენებთ *laissez-faire* [ჩაურევლობის პრინციპი. – მთარგმნელი] პრინციპს – პროგრესი და ეკონომიკური ჰარმონია დაისადგურებს. ჯერ კიდევ 1926 წელს, ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა (1883-1946), რომელმაც შეისწვლა 1930-იანი წლების ეკონომიკური დეპრესია, დაწერა ნაშრომი „Laissez Faire-ის დასასრული". მიუხედავად ამისა, 1989 წლისთვის, ბერლინის კედლის დანგრევამ გამოიწვია თითქმის მესიანური ეიფორია მსოფლიო ეკონომიკის გარშემო და გაჩნ-

და იმის მოლოდინი, რომ არსებული რეალობა გაბატონებულ ეკონომიკურ თეორიასთან შესაბამისობაში მოვიდოდა. მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის პირველმა გენერალურმა მდივანმა რენატო რუჯერომ განაცხადა, რომ ჩვენ გზა უნდა მივცეთ „ეკონომიკის უსაზღვრო პოტენციალს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების გასაწონასწორებლად“. ეს მრწამსი საფუძვლად უდევს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის იდეოლოგიას. ადრეული 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, პრაქტიკული მიზნების გამო, ვაშინგტონის ამ ინსტიტუტებმა გადაიბარეს ღარიბი ქვეყნების უმეტესობის საქმეების მართვა. საბოლოოდ, ამან დედამიწის მრავალ წერტილში სრული ქაოსი მოიტანა.

დღეს, მესამე სამყაროში არსებულ რეალობასა და რუჯეროსა და ვაშინგტონის ინსტიტუტების ხედვებს შორის ღრმა უფსკრულია. იქ, სადაც ახალი მსოფლიო წესრიგის წინასწარმეტყველები ჰარმონიას მოელოდნენ, ჩვენ შიმშილს, ომსა და მზარდ ბუნებრივ კატასტროფებს ვხედავთ. დღეს ნელ–ნელა, კიდევ ერთხელ ვიწყებთ რეალობის გაცნობიერებას. 1992 წელს ფრენსის ფუკუიამამ, ამერიკელმა ფილოსოფოსმა, საგარეო პოლიტიკის ექსპერტმა და ლიბერალური დემოკრატიის დამცველმა, თავის წიგნში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ „ცივი ომის“ დამთავრება ამაყად მონათლა „ისტორიის დასასრულად“. მიუხედავად ამისა, 2006 წელს, მის წიგნში „ნეოკონების შემდეგ: ამერიკა გზაგასაყარზე“, მან უკან წაიღო მისი ადრინდელი ხედვები. მისი ახლანდელი შეხედულებით, ნეოკონსერვატორებს ეგონათ, რომ დემოკრატია წარმოადგენდა არა ინსტიტუტების მშენებლობისა და რეფორმების გრძელვადიან პროცესს, არამედ პირვანდელ მდგომარეობას, რომელსაც საზოგადოებები ძალადობრივი რეჟიმის შემდეგ უბრუნდებოდნენ.

მოცემულ ნაშრომში მომყავს პარალელური არგუმენტები ეკონომიკის შესახებ. კონკრეტული ეკონომიკური სტრუქტურის მშენებლობის გრძელვადიანი პროცესის შედეგის ნაცვლად, ნეოლიბერალი ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა თავისთავადი მდგომარეობა იქნებოდა, თუკი ბაზარში ჩარევები გამოირიცხებოდა. ეკონომიკური ზრდის სწორად გაგების კუთხით, მსოფლიო *Zeitgeist*-ი [ეპოქის სული. – მთარგმნ.] გადის სწავლების მრუდს, რომელიც ფუკუიამას 1992-2006 წლების მრუდის მსგავსია.

სამყაროს მანამდეც გამოუცდია მსგავსი შოკისმომგვრელი სხვაობები ჰარმონიულ ეკონომიკურ თეორიებსა და დაუნდობელ რეალობას შორის. ამ გამოცდილებებიდან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ჩვენ უნდა განვერიდოთ ისეთ თეორიას, რომელიც ეკონომიკურ წყობას წარმოაჩენს წინასწარ განჭვრეტილ ღვთიურ ან მათემატიკურ ჰარმონიად და დავუბრუნდეთ ისეთს, რომელშიც ამგვარი ჰარმონია გაცნობიერებული პოლიტიკის შედეგია. აქ ჩვენ კვალდაკვალ მივყვებით ევროპული განმანათლებლობის დიდი ქომაგის, ფრანგი ფილოსოფოსის, ვოლტერის, ნაბიჯებს.

1759 წლის 15 და 16 იანვარს, ვოლტერი მალულად აგზავნიდა მისი ახალი ნოველის „კანდიდი ანუ ოპტიმიზმის“ ასლებს პარიზში, ამსტერდამში, ლონდონსა და ბრიუსელში. როდესაც ასლებმა ევროპის წიგნით მოვაჭრე მთავარ ცენტრებში ჩააღწია მოხდა ის, რასაც მხოლოდ მარკეტინგული ინოვაცია შეიძლება ეწოდოს – დასავლეთ ევროპის მასშტაბით – ყველა წიგნი წინასწარ განსაზღვრულ ერთსა და იმავე დღეს გამოიცა. ამგვარ გასაიდუმლოებას ორმაგი მიზეზი ჰქონდა. ერთი მხრივ, ვოლტერის მიზანი იყო გაეყიდა მაქსიმალურად ბევრი ასლი მანამდე, სანამ წიგნის უკანონოდ გავრცელებას დაიწყებდნენ და ავტორს

ფინანსური სარგებელი შეეკვეცებოდა; ხოლო, მეორე მხრივ, იგი ცდილობდა მისი რევოლუციური გზავნილები რაც შეიძლება ფართო აუდიტორიამდე მისულიყო, ვიდრე ხელისუფალნი გაიაზრებდნენ მისი იდეებიდან მომდინარე საფრთხეს და დაიწყებდნენ მათ ჩახშობას. პოლიცია, მთელი ევროპის მასშტაბით, ახდენდა „კანდიდის“ ასლების კონფისკაციას და ანადგურებდა გამომცემლობებს, რომლებიც ახალ ასლებს ბეჭდავდნენ. ვატიკანმა ვოლტერის ნაშრომი აკრძალული წიგნების სიაშიც კი შეიტანა. მიუხედავად ამ მცდელობებისა, ეს პატარა წიგნი იქცა მე-18 საუკუნის საგამომცემლო მოვლენად, ინტელექტუალურ ცუნამად, რომლის შეკავებაც პოლიტიკური და საეკლესიო ტირანიის ერთობლივმა კაშხალმაც კი ვერ მოახერხა.

ვოლტერის მოთხრობა ახალგაზრდა კანდიდის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. კანდიდმა საკუთარი სახლი (არა საკუთარი ნებით) სამყაროს შეცნობის მიზნით დატოვა, რომელიც, როგორც მის ბრძენ პროფესორ პანგლოსს, „მეტაფიზიკო-თეოლოგო-კოსმო-კოდოლოგიის“ მასწავლებელს, სწამდა, „ყველა სხვა შესაძლო სამყაროთა შორის საუკეთესო“ იყო. ვოლტერი ილაშქრებდა პასიური, ოპტიმისტური დეტერმინიზმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ გარე ძალებს – იქნებოდა ეს ბედისწერა, რწმენა, ღმერთი თუ ბაზარი – შეუძლიათ ცვლილებისა და გარდაქმნის მოტანა. სინამდვილეში კი, რასაც კანდიდი გადააწყდა, იყო სიღარიბის ჯალათური სამყარო, გამარადიორებული არმიებით, რელიგიური დევნით, მიწისძვრებითა და გემების ჩაძირვით. ეს იყო სამყარო, სადაც მისი საცოლე, მშვენიერი კუნიგუნდა, ჯარისკაცებმა „იმდენჯერ გააუპატიურების შემდეგ, რამდენჯერაც ეს შესაძლებელია“ მონად გაყიდეს. მთელი ეს დრო, პანგლოსი კვლავ ქადაგებდა, რომ ეს იყო „ყველა სხვა შესაძლო სამყაროთა შორის საუკეთესო“ მანამდე,

სანამ ახალგაზრდა კანდიდმა არ ჰკითხა საკუთარ თავს – „თუკი ეს საუკეთესოა ყველა სხვა შესაძლო სამყაროებს შორის, მაშინ სხვები როგორიღა უნდა ყოფილიყო?“

კანდიდის საშუალებით, ვოლტერი ცდილობდა ევროპა პროფესორი პანგლოსის მენტალური მონობისგან გაეთავისუფლებინა. ბევრი მათგანი, ვინც ეკონომიკური ორთოდოქსულობის მხარეს იჭერს, შეპყრობილია მსგავსი დამანგრეველი ოპტიმიზმით და შესაბამის ემანსიპაციას საჭიროებს. დღევანდელი პანგლოსური ეკონომიკური თეორია იქმნება ზემოდან ქვემოთ და ეფუძნება დაუსაბუთებელ ვარაუდებსა და მეტაფორებს ასტრონომიასა თუ ფიზიკიდან. ეს თეორია ხატავს ჰარმონიულ სამყაროს, რომელიც სპეციალურად, არსებული თეორიული მოდისთვისაა შექმნილი. ალტერნატიული თეორია კი, რომლის აღორძინებასაც ზოგიერთი ჩვენგანი ცდილობს, აშენებულია ქვემოდან ზემოთ, ემყარება რა დაკვირვებებს არსებულ რეალობაზე, რეალობაზე, რომელიც ხშირად ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას. ნაცვლად იმისა, რომ კეთილდღეობის შექმნისთვის „ბარიერების მოხსნას“ ვეცადოთ, განვითარება უნდა დავინახოთ ისეთი, როგორიც ის ყოველთვის იყო – გაცნობიერებული და წინდახედული პოლიტიკის შედეგი.

პანგლოსური ლოგიკის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა, რომ ყველაფერი რაც ხდება, რაციონალიზებულია იმგვარად, რომ ეწინააღმდეგება აზროვნების სამართლიან ფორმებს და საღ აზრს. მაგალითად, ვაშინგტონის ინსტიტუტები* ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ მესამე სამყაროდან სასოწარკვეთილი, ღარიბი ადამიანების დრამატული მასობრივი გადინება, რომელიც რეალური სამუშაო ადგილების ნაკლებობითაა გამოწვეული,

* იგულისხმება, ვაშინგტონში მდებარე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი (მთარგმნელის შენიშვნა).

„საბოლოო ჯამში სასიკეთოა“, ვინაიდან მათ მიერ უმუშევარი ნათესავებისთვის გაგზავნილი ფული ამ ღარიბი ქვეყნების საგადამხდელო ბალანსს აუმჯობესებს. ყოველდღიურად, აურაცხელი ემიგრანტი რისკავს საკუთარ სიცოცხლეს, როდესაც ცდილობს, გააღწიოს ჭარბმოსახლეობიანი გარემოდან იმისათვის, რომ ჭარბი სიმდიდრის მქონე ტერიტორიებს მიაღწიოს. მას, ვინც გადარჩება, ახალ ქვეყნებში ექსპლუატაციისა და აგრესიის ატანა უწევს, რათა, საკუთარი ნათესავების უკიდურესი სიღატაკისგან დახსნა მოახერხოს.

ამგვარი აზროვნების კიდევ ერთი მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ სტანდარტული ეკონომიკის ფუნდამენტური დაშვებები – ისინი, რომლებიც „ყველა სხვა შესაძლო სამყაროთა შორის საუკეთესოს“ ქმნიან – თითქმის არასდროს დგება ეჭვის ქვეშ. რეალობა იმგვარად იფილტრება, რომ იგი გამორიცხავს დაკვირვებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოსალოდნელ შედეგებს. როდესაც რეალობა ისე აგრესიულად შესამჩნევი ხდება, როგორიც ის დღესაა, ახსნა-განმარტებების ძიება ძირითადი ეკონომიკური მოდელის მიღმა იწყება. სიღარიბე ხდება რასის, კულტურის ან გეოგრაფიის შედეგი – ყველაფრის, გარდა ორთოდოქსული ეკონომიკისა. გამომდინარე იქიდან, რომ პანგლოსური ეკონომიკური მოდელი სრულყოფილად მიიჩნევა, ნებისმიერი მისი ჩავარდნა არაეკონომიკური ფაქტორებით უნდა აიხსნას.

არსი ვოლტერის გზავნილისა და იმისა, თუ რატომ აკეთებდნენ ხელისუფალნი ყველაფერს მის ჩასახშობად, რა თქმა უნდა, მდგომარეობდა იმაში, რომ სამყარო არ არის უნაკლო და ადამიანები მასში ჩაურევლობის ნაცვლად, გულითადად უნდა ცდილობდნენ მის გამოსწორებას. სამოქალაქო საზოგადოების შენარჩუნება, რომ აღარაფერი ითქვას „პროგრესის“ მსგავსი

რამის მიღწევაზე, მოითხოვს უზარმაზარ ძალისხმევას და მუდმივ სიფხიზლეს. განმანათლებლობისა და კომერციული საზოგადოებების რეფორმები, რომლებიც უეცრად მოედო ევროპას, სწორედ კანდიდის სულისკვეთებითაა დავალებული. 21-ე საუკუნეში, როცა ჩვენ ვიწყებთ კოსმოსის უსასრულობისა და ევოლუციის შემთხვევითობის გააზრებას, ვოლტერის მახვილგონივრული შეფასება იმის შესახებ, რომ სამყარო შეიძლება სრულიადაც არ იყოს უნაკლოდ მოწყობილი კაცობრიობის ხუშტურების გარშემო, კიდევ უფრო ნათელი უნდა გახდეს. მიუხედავად ამისა, დღეს ეკონომისტები და პოლიტიკოსები, მკვდარი თეოლოგების თვითრწმენითა და მბრძანებლობით გაუთავებლად გვმოძღვრავენ, რომ მსოფლიო სრულყოფილი გახდება, თუკი ჩვენ *laissez faire* პრინციპის მიხედვით ვიმოქმედებთ და ნებას მივცემთ ინდივიდუალურ ინსტინქტებს (რომლებიც, როგორც წესი, „რაციონალურად" მიიჩნევა) იურთიერთქმედონ თავისუფლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, გარდა ყველაზე აუცილებელი მდგომარეობისა. ზოგიერთნი იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ საზოგადოების ისეთი პირველხარისხოვანი ინსტიტუტების პრივატიზაცია, როგორიცაა სასამართლო სისტემა და სოციუმი „ბაზრის" ღვთიურ ჰარმონიას სრულად დავუმორჩილოთ; ამ შემთხვევაში, ამგვარი სრულყოფილი ბაზარი პრივატიზებული სამართლის ნებისმიერი გადაცდომისგან დაგვიცავდა.

მაგრამ ჰარმონია საზოგადოების ბუნებრივ მდგომარეობას არ წარმოადგენს. მიამიტური იქნება ვიფიქროთ, რომ კოსმოსის კანონები – იმდენად, რამდენადაც ისინი შეიძლება არსებობდეს – საზოგადოებისთვის ყოველთვის პოზიტიურად მუშაობს, და რომ ჰარმონია ყოველთვის მორჩილების შედეგად დგება. შესაბამისად, ხშირად რთულია, „ბაზრის" რწმენა განვასხვაოთ ბედისწერის, ან მარადიული ღვთაების სიკეთის რწმენისგან. შეიძლება

ვინმემ იკითხოს, თუ რატომ უნდა იყოს კოსმოსი მორგებული ისეთ იდიოსინკრაზიულ* და ისტორიულად შემთხვევით რამეზე, როგორიცაა კაპიტალიზმისა და გლობალიზაციის თანამედროვე განსაზღვრება? როდესაც ჩვენ გავთავისუფლდებით ფანტაზიებისგან, რომ „ბუნებრივი კანონები“ წარმართავენ ერების გამდიდრებას, ჩვენ შეგვეძლება დავიწყოთ შეფასება იმისა, თუ როგორ და რატომ იმუშავა წარსულში კონკრეტულმა პოლიტიკამ და როგორ შეიძლება ამგვარმა წარმატებებმა კიდევ ერთხელ განსაზღვრონ სამომავლო გადაწყვეტილებები.

„კანდიდის“ გამოცემის მომდევნო წლებში, ვოლტერის თავდასხმის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჯგუფი les economistes იყო, რომელიც ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ცნობილია ფიზიოკრატების სახელით (ისინი „ბუნებრივი კანონებით მართვას“ იყენებდნენ იმგვარი გაგებით, როგორც დემოკრატია აღნიშნავს „ხალხის მმართველობას“). დღევანდელი გაბატონებული ეკონომიკური მოძღვრებების წარმომავლობა მედიდურად უკავშირდება ფიზიოკრატებს, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ერების სიმდიდრე მხოლოდ სოფლის მეურნეობიდან მომდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ისტორიულად ფიზიოკრატები დიდხანს ვერ დომინირებდნენ ეკონომიკურ პოლიტიკაში, ხოლო სადაც ეს გამოუვიდათ, მაგალითად, საფრანგეთში, მათმა პოლიტიკამ საკვების დეფიციტი და სიღარიბე გამოიწვია. თითქმის ყველა მაშინდელი გავლენიანი ევროპელი ინტელექტუალი, დაწყებული ფრანგი ვოლტერითა და დიდროთი, დამთავრებული იტალიელი აბე გალიანითა და შოტლანდიელი დევიდ იუმით, მძვინვარე ანტიფიზიოკრატები იყვნენ. ფიზიოკრატიის სამშობლოში, საფრანგეთშიც კი, იმ დროის ყველაზე გავლენიანი და გაყიდვადი ეკონომიკური წიგნები ანტიფიზიოკრატუ-

* იდიოსინკრაზია, გაუთვლადი, ირაციონალური სისტემა (მთარგმნელის შენიშვნა).

ლი შინაარსის იყო. ფიზიოკრატულმა მოძრაობამ ვერასდროს მიაღწია ინგლისს. ფიზიოკრატების წინააღმდეგ ვოლტერის ბრძოლის კვლევის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მსგავს თეორიებზე დაკვირვებით ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ: ერთნაირ პირობებს, ერთნაირ შედეგებამდე მივყავართ. დღეს, „საკვების უფლების“ მოძრაობა აღიარებს, რომ შესაძლოა არსებობდეს კონფლიქტი საკვებზე ადამიანის უფლებასა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს შორის; 1774 წელს, საფრანგეთის რევოლუციის მზადების პროცესში, ფრანგმა ანტიფიზიოკრატმა სიმონ ლენგემ ზუსტად იგივე არგუმენტი გააჟღერა. მიუხედავად იმისა, რომ ანტიფიზიოკრატებმა პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით წარმატებას მიაღწიეს, ეს არ ასახულა თანამედროვე ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში. ეკონომიკური მეცნიერებების ისტორია სრულიად იზოლირებულია არა მარტო რეალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში მომხდარი მოვლენებისგან, არამედ იმისგანაც, რაც მომიჯნავე დისციპლინებში, მაგალითად, ფილოსოფიაში, ვოლტერის სფეროში ვითარდებოდა.

მოცემული შრომა იწყება ეკონომიკური აზროვნების განსხვავებული ტიპების აღწერით და გრძელდება იმის მტკიცებით, თუ რატომ უნდა აღმოიფხვრას მიმდინარე დომინანტური თეორიის ფაქტობრივად მსოფლიო მონოპოლია. ინგლისელი ეკონომისტის დევიდ რიკარდოს ვაჭრობის თეორია, რომელიც 1817 წლით თარიღდება[1], ჩვენი გლობალური ეკონომიკური წესრიგის ქვაკუთხედად გადაიქცა. თუმცაღა, ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფალი ვაჭრობა ადამიანებს აღარიბებს, დასავლეთის ქვეყნები კი კვლავ თავმომწონედ ცდილობენ მის ხელშეწყობას და უფრო და უფრო მეტ დახმარებას გასცემენ მისი დანერგვის წასახალისებლად. შესაბამისად, მეტი დახმარების გაცემის მომთხოვნთა კეთილი ზრახვების მიღმა, დომ-

ინანტური ეკონომიკური „ჭეშმარიტების“ უგუნურობა იმალება, რომელსაც რეალურ პოლიტიკაში ახორციელებენ. ამრიგად, გლობალური თავისუფალი ვაჭრობის დოგმა აგრძელებს არსებობას მაშინ, როცა იდეალიზმი და დიდსულოვნება სურეალისტურ და ზოგჯერ სულაც კრიმინალურ და კორუმპირებულ სინამდვილეს ნიღბავენ. დღეს გაბატონებული ეკონომიკური თეორიის პრობლემების გაგება და ალტერნატიული მიდგომების გაცოცხლება აუცილებელ საწყის წერტილს წარმოადგენს.

მოცემული წიგნის პირველი თავის მიზანია ახსნას სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური თეორიების არსებობა და ის სხვაობა, რომელიც მუდმივად შეიმჩნევა „მაღალფარდოვან თეორიულ“ რიტორიკასა და პრაქტიკულ რეალობას შორის ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით. მეორე თავი კვლადაკვალ მიუყვება ავტორების დღევანდელი კანონიკური თანმიმდევრობის ევოლუციას, დაწყებული ფიზიოკრატებით, ადამ სმიტითა და დევიდ რიკარდოთი გაგრძელებული და დღევანდელი სტანდარტული ეკონომიკური თეორიებით დამთავრებული. ეს ტრადიცია უპირისპირდება გაცილებით ძველ და ნაკლებად აბსტრაქტულ ეკონომიკის „სხვა კანონს,“ რომელმაც დღევანდელ მდიდარ ქვეყნებს შეუქმნა ეკონომიკური პოლიტიკის გზამკვლევი სიღარიბიდან სიმდიდრეში გადასვლის ისტორიული ტრანზიციის პერიოდში; მაგალითად, ინგლისის წინსვლა 1485 წლიდან, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მარშალის გეგმამდე.

მესამე თავში ვასაბუთებ, რომ ის, რასაც განმანათლებელი ეკონომისტები უწოდებდნენ ემულაციას,[2] ნაცვლად „შედარებითი უპირატესობისა“ და „თავისუფალი ვაჭრობისა“, წარმოადგენს წარმატებული განვითარების საფუძველს. ამ კონტექსტში ემულაცია ნიშნავს მიბაძვას, გათანაბრებისა და დაწინაურების

მიზნით. თუკი მდინარის ერთ მხარეს მყოფი ქვის ხანის ტომი გადავიდოდა მეორე ნაპირზე – ბრინჯაოს ხანაში, ის დადგებოდა არჩევნის წინაშე: შეენარჩუნებინა შედარებითი უპირატესობა ქვის ხანაში ან ეცადა მიებაძა ბრინჯაოს ხანაში მყოფი მეზობელი ტომისთვის. დევიდ რიკარდომდე არავის შეპარვია ეჭვი, რომ მიბაძვა საუკეთესო სტრატეგია იქნებოდა. თავის მხრივ, ისტორიულად, რიკარდოს ვაჭრობის თეორიის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ის იყო, რომ მან კოლონიალიზმი მორალურად გამართლებადი გახადა. დღეს ჩვენ სრულიად უარვყავით იდეა, რომ ემულაციის სტრატეგიის გამოყენება ყველა თანამედროვე მდიდარი სახელმწიფოსთვის აუცილებელი იყო: ჩვენ კანონგარეშედ გამოვაცხადეთ ემულაციისთვის საჭირო ინსტრუმენტები. ეს თავი იყენებს ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიას – იმ პოლიტიკის ცოდნას, რომელმაც წარსულში საფუძველი დაუდო წარმატებულ განვითარებას იმისთვის, რომ ჩამოაყალიბოს არათანაბარი ეკონომიკური განვითარების თეორია. თანამედროვე ეკონომიკაში არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი არ მიიჩნევა მართებულ მეცნიერულ სფეროდ. სანაცვლოდ, თანამედროვე სავაჭრო თეორიაში, ეკონომიკური ჰარმონია მისსავე ფუნდამენტურ დაშვებებშია ჩაშენებული.

თავისუფალი ვაჭრობის მხარეს ბევრი კარგი არგუმენტია, თუმცა მე-4 თავი ამტკიცებს, რომ დევიდ რიკარდოს არგუმენტი მათ არ განეკუთვნება. წარმოების ეკონომიკაში ჩაღრმავება ცხადყოფს, რომ გლობალიზაციის საუკეთესო არგუმენტები, იმავე დროს საუკეთესონი არიან ღარიბი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში მოუმწიფებელი ინტეგრაციის პრევენციისათვის. რიკარდოს თეორია ბევრ კონტექსტში მართლდება, თუმცა არსებითად ეს არასწორი მიზეზებითაა გამოწვეული. მიუხედავად

ამისა, მისი თეორიის არაერთ ასპექტს განსაკუთრებულ პატივს ცემს ორივე მხარე – პოლიტიკური მემარცხენეებიცა და მემარჯვენეებიც, რაც მის კრიტიკას პრობლემატურს ხდის. მემარჯვენე პოლიტიკოსებისთვის, რიკარდოსეული სავაჭრო თეორია შეიცავს „სამხილს“, რომ კაპიტალიზმი და მყისიერი, შეუზღუდავი საერთაშორისო ვაჭრობა დედამიწის ყველა მკვიდრის ინტერესშია. თავისუფალი ვაჭრობის სარგებლიანობის არგუმენტი ემყარება იმას, რასაც ეკონომისტები შრომის ღირებულების თეორიას უწოდებენ, რომლის მიხედვითაც ადამიანის შრომა ყველანაირი ღირებულების ერთადერთი წყაროა. თავის მხრივ მარქსის მსოფლმხედველობაც იმავე თეორიას ეფუძნება. ჩემი თვალთახედვით, შრომის ღირებულების თეორია უფრო მეტად გამოსადეგი იყო მე-19 საუკუნეში ინდუსტრიული მუშების ასაჯანყებლად, ვიდრე დღევანდელი სამყაროს სიმდიდრისა და სიღარიბის მიზეზების ასახსნელად.

ერთხელ პოლონელმა მათემატიკოსმა სტანისლავ ულამმა კითხვა დაუსვა ამერიკელ ეკონომისტს, ნობელის პრემიის ლაურეატს, პოლ სამუელსონს – რომელმაც 1949 წელს თეორიულად ივარაუდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა მსოფლიო შემოსავლებს გაათანაბრებდა – ხომ არ შეეძლო მას მიეთითებინა ეკონომიკურ იდეაზე, რომელიც საყოველთაოდ მართალი, მაგრამ არც ისე ცხადი იქნებოდა. სამუელსონის პასუხი იყო – „შედარებითი უპირატესობის პრინციპი“. ამ თეორიის მიხედვით ორი ქვეყანა ერთმანეთთან თავისუფალი ვაჭრობით აუცილებლად მიიღებს სარგებელს, იმის გათვალისწინებით, რომ მათი ფარდობითი წარმოების დანახარჯები მსგავსი არ იქნება. შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობის ფილოსოფიური დოქტრინის საფუძვლებზე მიტანილი იერიში მას არა მხოლოდ მემარჯვენე-მემარცხენე ღერძის ორივე მხრის თავდასხმის საგნად აქცევს, არამედ ძირს

უთხრის იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკა „ზუსტი მეცნიერებაა.“* ეს წიგნი აღადგენს იმ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკა არ არის და ვერც ვერასდროს იქნება „ზუსტი მეცნიერება.“

მე-5 თავი ამტკიცებს, რომ დღეს, ბევრ ღარიბ ქვეყანაში, ჩვენ ვხედავთ განვითარებისა და პროგრესის საწინააღმდეგოს, რაც რეგრესსა და პრიმიტივიზაციას წარმოადგენს. ამ უკანასკნელის გამომწვევი მექანიზმები მონღოლეთის, რუანდისა და პერუს მაგალითებზეა ახსნილი. რომ დავუბრუნდეთ ზემოთ ხსენებული ორი ტომის მაგალითს, ლოგიკის მიხედვით, ბრინჯაოს ხანაში გადასვლით, ტომს შეეძლო ცხოვრების უფრო მაღალი დონის მიღწევა სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, თუმცა, შეიძლება ისეთივე განვითარებული ვერ ყოფილიყო, როგორც ადგილობრივი ტომი. ლოგიკა, რომელიც მოკვდა ბერლინის კედელთან ერთად, მდგომარეობდა იმაში, რომ უმჯობესია გაგაჩნდეს არაეფექტური წარმოების სექტორი, ვიდრე ის საერთოდ არ გქონდეს. თავის მხრივ, ამგვარმა მიდგომამ გამოიწვია რეალური შემოსავლების კლება აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში.

მე-6 თავში განხილულია გაბატონებული ეკონომიკური მიმდინარეობების ბოლოდროინდელი პასუხები სიღარიბის მიერ შექმნილ გამოწვევებზე. გამოსავლის საპოვნელად, აუცილებელია გავმიჯნოთ ეკონომიკური განვითარების ძირეული ასპექტები მეორეხარისხოვანი ეფექტების, ან თუნდაც უბრალოდ სიმპტომებისგან. მოსაზრების თანხმად, იმის გამო, რომ ეკონომისტებს არ სურდათ კრიტიკულად შეეფასებინათ ეკონო-

* ტექსტის ინგლისურ ვერსიაში გამოყენებულია შემდეგი ფორმით: „ხისტი“ (Hard) და „რბილი“ (Soft) მეცნიერების დარგების მიმართულებებია, რომლითაც განარჩევენ მაგალითად სოციალურ („რბილი“) და საბუნებისმეტყველო („ხისტი“ ანუ ზუსტი) მეცნიერებებს (მთარგმნელის შენიშვნა).

მიკის ეს ძირეული მეტაფორები, ვარაუდები და პოსტულატები, ბოლო დროს თვალთმაქცობა დაიწყეს – მათი ყურადღება მიიქცია ყველაფერმა, წარმოების სფეროს ფუნდამენტური პრობლემების გარდა. იგივე ადამიანები, რომლებსაც 1990-იან წლებში წამყვანი პოზიციები ეკავათ, დღემდე რჩებიან იმის იდეოლოგიურ ლიდერებად, რასაც რეკონსტრუქცია უნდა ეწოდებოდეს. ეს ლამის იგივეა, ჰუნ ატილას რომ ურბანულ აღორძინებაზე კითხო რჩევა.

მე-7 თავში მე ვამტკიცებ, რომ განვითარების ისტორიული პროცესების ცოდნას ძალუძს აგვაშოროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ერთი შეხედვით ლოგიკური, თუმცა რეალურად ზიანის მომტანი იქნებოდა. თავისუფალი ვაჭრობისგან განსხვავებით, რომელიც ღარიბ ქვეყნებში ძალდატანებით ინერგება, მდიდარი ქვეყნები მესამე სამყაროდან აგრარული ნაწარმის იმპორტს ზღუდავენ და სანაცვლოდ სუბსიდირებას უკეთებენ საკუთარ სოფლის მეურნეობას. ინტუიცია გვკარნახობს, რომ ყველაზე პრიორიტეტული ამგვარი უსამართლო ქმედებების გამოსწორება უნდა იყოს, თუმცა, როგორც მე-18 საუკუნის მაგალითებიდან ვნახავათ, აგრარული ტარიფების მოხსნა კოლონიური არსენალის კარგად ნაცადი იარაღია. როგორი უსამართლოც არ უნდა ჩანდეს ეს პრაქტიკა, მასზე ზედმეტი ყურადღების გამახვილებას ჩვენი პანგლოსისეულ მახეში გაბმა შეუძლია, თითქოს, ჭეშმარიტად თავისუფალი ვაჭრობისა და *laissez-faire*-ის ქონის შემთხვევაში, ეკონომიკური ჰარმონიის შეხედულებები ხორცს შეისხამდა. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის დღევანდელი რიტორიკის თანახმად, სამხრეთი ღარიბად რჩება ჩრდილოეთის მიერ საკუთარი სოფლის მეურნეობის პროტექციის გამო. მე შევეცდები ვაჩვენო, რომ სამყარო ისე არ არის მოწყობილი, თითქოს მოშიმშილე სამხრეთი ჩრდილოეთში საკუთარი საკვების გაყიდვაზე ნებართვის მიღების შემდეგ გამდიდრდებოდა.

ჩვენ ვერ შევძლებთ ღარიბების გამდიდრებას მხოლოდ ჩვენი პირდაპირი და გულუბრყვილო სიკეთით. დღეს სამყარო იმდენად კომპლექსურია, რომ მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენი ქმედებების სისტემური და გრძელვადიანი ეფექტები. ბუნებრივია, რომ ადამიანებს, რომლებიც აფრიკული სოფლის მეურნეობის უკუსვლას ამჩნევენ, სურვილი უჩნდებათ იგი უფრო ეფექტური გახადონ. მაგრამ, განმანათლებლობის ფილოსოფოსისა და ეკონომისტის, დევიდ იუმას აზრით, საუკეთესო გზა სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად შემოვლითია, რომელიც წარმოების ინდუსტრიის გაჯანსაღებით იწყება – და ახლა ჩვენ უკვე გვაქვს ნახევარი ათასწლეულის მანძილზე დაგროვილი ისტორიული მონაცემები, რომელიც ზურგს უმაგრებს იუმის შორსმჭვრეტელობას. ქვეყნის შიგნით, სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებს შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევა, განმანათლებლური ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, თუმცა იგი დღეისთვის სრულიად დაკარგულია.

როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ნაკლები ჭამით მესამე სამყაროში საკვების რაოდენობა გავზარდოთ – ახლანდელი შიმშილობა არსებითად გამოწვეულია დაბალი მსყიდველობითი უნარითა და არა საკვების მარაგის დეფიციტით მსოფლიოში – ისევე არ შეგვიძლია ბიძგი მივცეთ მესამე სამყაროს განვითარებას, პირველ სამყაროში სოფლის მეურნეობაზე უარის თქმით.

ეს წიგნი ამტკიცებს, რომ საჭიროა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პირველ სამყაროს უნდა ჰქონდეს უფლება, დაიცვას საკუთარი სოფლის მეურნეობა (თუმცა არ შეეძლება მისი ჭარბი ნამატის მსოფლიო ბაზარზე გადაგდება) მაშინ, როცა მესამე სამყაროს ექნება უფლება, დაიცვას მისი წარმოებისა და განვითარებული მომსახურების სექტორები. ეს არის ერ-

თადერთი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ბოლო 500 წლის წარმატებული განვითარების გზას.

ჩვენ ყველამ დავივიწყეთ, თუ როგორ უნდა შევქმნათ მდიდარი სახელმწიფოები – ხელოვნება, რომელიც სულ რაღაც 50 წლის წინ ჯერ კიდევ წარმატებულად გამოიყენებოდა – და სიღარიბის გამოწვევებზე ჩვენი დღევანდელი პასუხი, მიუხედავად კეთილშობილური განზრახვისა, უმეტესად წარმოადგენს შეტევას სიღარიბის სიმპტომებზე და არა მის გამომწვევ ღრმა მიზეზებზე. მე-7 თავი ფოკუსირებულია „ათასწლეულის განვითარების მიზნებზე“, რომლებიც ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს მოიცავენ, როგორიცაა იმ ადამიანთა რაოდენობის ორჯერ შემცირება, რომლებიც დღეში ერთ დოლარზე ნაკლებს მოიხმარენ, ამასთანავე, ამ მიზნებში შედის მოშიმშილეთა რაოდენობის განახევრება, დაავადებათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, ისევე როგორც განათლებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მიზნები. ჩემი მტკიცებით, ორივე – „ათასწლეულის მიზნები“ და კამპანია „აქციე სიღარიბე ისტორიად“ – ზედმეტად მიკერძოებულია პალიატიური ეკონომიკის მიმართ, რომლის მიზანიც სიღარიბით მიყენებული ზიანის შემსუბუქებაა და არა იმ ფუნდამენტური სტრუქტურული ცვლილებების გატარება, რომლებიც ნამდვილ ეკონომიკურ განვითარებამდე მიგვიყვანდა. დემოკრატიისა და განვითარების ხელშეწყობის ნაცვლად, ეს მიდგომა – კეთილი ზრახვების მიუხედავად – მიგვიყვანს სახეცვლილ საქველმოქმედო კოლონიალიზმამდე, სადაც მდიდარი ქვეყნები შეინარჩუნებენ ღარიბებზე პოლიტიკურ ძალაუფლებას. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ აღარაფერს უნდა ვეცადოთ სხვათა ტანჯვის შესამსუბუქებლად დახმარებების გამოყოფის მიზნით, მაგრამ ამასთან უნდა შევეჭიდოთ უფრო მნიშვნელოვან საქმესაც, იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ღარიბი ქვეყნები დამოუკიდებლად გახდ-

ნენ მდიდრები. თავისუფალი ვაჭრობის დამცველები ხშირად იყენებენ მსგავს რიტორიკას მათი პოლიტიკისთვის, მაგრამ აქ ფუნდამენტური სხვაობა იმალება: როდესაც ვამტკიცებ, რომ მსოფლიო ღარიბთათვის დახმარებას განვითარებას ვამჯობინებ, მსურს მხარი დავუჭირო ისეთ განვითარებას, რომელიც საბოლოოდ მათთვის იმუშავებს და არა ისეთ პასიურ ფულად დახმარებას, რომელიც საბოლოოდ ფარულ კოლონიალიზმად იქცევა.

დასკვნითი მე-8 თავი აჩვენებს იმას, თუ როგორაა შესაძლებელი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების წარმოქმნა, სადაც ყველა მკვიდრს გააჩნია მიზანი, პრეტენზია ცხოვრებისეული საჭიროებების უზრუნველყოფაზე და ოდნავ მაინც ტკბება სიცოცხლით. თეორიული და ეკონომიკური პოლიტიკის მხრივ, ეს არ საჭიროებს იმაზე რადიკალურ ნაბიჯებს, ვიდრე ვაჭრობის იმ პრაქტიკისა და განვითარების აღდგენაა, რომელიც მეორე მსოფლიოს ომის დასრულებისთანავე გამოიყენებოდა. რაც, თავის მხრივ, ასახული იყო გაუქმებული საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის 1948 წლის ჰავანის ქარტიაშიც, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას კაცობრიობის კეთილდღეობის მიზნებს უქვემდებარებდა.

წინამდებარე წიგნს სამი მთავარი სამიზნე აუდიტორია ჰყავს. უპირველეს ყოვლისა, მათ ჩემი კოლეგა ეკონომისტები მიეკუთვნებიან: წიგნის ძირითადი თეორიული მიზანია, აჩვენოს თუ რატომაა სტანდარტული საერთაშორისო ვაჭრობის თეორია დღეს წარმოდგენილი სახით შეუსაბამო: მან შეიძლება სრული „პრიმიტივიზება“ გამოიწვიოს, როდესაც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ქვეყნებს ახვევენ თავს. ამ წიგნის თეორიული ბაზისი ევოლუციური ანდა შუმპეტერისეული ეკონომიკაა,[3] რომელსაც დამატებული აქვს ელემენტები ისტორიული და ინსტიტუციური სკოლების წარსულსა და აწმყოდან. დღეს ჯოზეფ

შუმპეტერის (1883-1950) ეკონომიკა მოდაშია და წიგნი იმეორებს შუმპეტერის პრაქტიკას, რომელიც მის თანამედროვე ბრიტანელ ავტორებზე – ადამ სმიტსა (1723-1790) და დევიდ რიკარდოზე (1772-1823) წინ ხშირად „კონტინენტური“ ეკონომისტების შრომებს აყენებდა. უნდა დავიმახსოვროთ შუმპეტერის შემდეგი ვერდიქტი რიკარდოს ფრიად აბსტრაქტულ განმარტებაზე: „ეს ბრწყინვალე თეორიაა, რომლის უარყოფაც ვერასოდეს მოხდება და რომელსაც არაფერი აკლია საღი აზრის გარდა.“[4] მე-20 საუკუნის ორი უმნიშვნელოვანესი ეკონომისტის, ჯონ მეინარდ კეინზისა (1883-1946) და შუმპეტერის მსგავსად, ეს წიგნი იცავს ადამ სმიტამდე არსებული ეკონომიკური თეორიის – ე.წ. მერკანტილიზმის – პრინციპებს მისსავე კონტექსტში. პროფესიონალი ეკონომისტებისთვის, სავარაუდოდ, ყველაზე საინტერესო მასალები დანართში, წიგნის ბოლოშია თავმოყრილი.

მეორე რიგში, ჩემი მიზანია, რომ საგნის საფუძვლიანად არმცოდნე მკითხველებმა წიგნის დასრულებისას გაიგონ, რისი თქმაც მინდოდა ამ წიგნით. ეკონომიკის ენაში, რომლის გამარტივებასაც წიგნი შეეცდება, მჭიდროდ შეფუთული უდავო ფაქტია: მდიდარი ქვეყნები იმიტომ გამდიდრდნენ, რომ ათწლეულების, ხშირად კი საუკუნეების განმავლობაში მათი სახელმწიფოები და მმართველი ელიტები ქმნიდნენ, სუბსიდირებას უკეთებდნენ და იცავდნენ დინამიკურ ინდუსტრიებსა და სერვისებს. ყველა მათგანი, იმდროისათვის ყველაზე წარმატებულ ქვეყნებს ბაძავდა, გადმოჰქონდათ რა მათი პროდუქტიული სტრუქტურები იმ სფეროებში, სადაც ტექნოლოგიური ცვლილებები მიმდინარეობდა. ამ გზით მათ შექმნეს რენტები („ნორმალურ“ უკუგებაზე უფრო მაღალი შემოსავალი), რომელიც გავრცელდა კაპიტალისტებზე – გაზრდილი მოგების, მშრომელებში – გაზრდილი ხელფასების, ხოლო მთავრობებ-

ში უფრო ფართო საგადასახადო ბაზის სახით. არსებითად, კოლონიალიზმი არის სისტემა, რომელიც კოლონიებში ამგვარი ეფექტების წარმოქმნის პრევენციას ცდილობს. ღარიბი ქვეყნები სპეციალიზდებიან იმ საქმინობაში, რომელიც შემდეგი სამი მახასიათებლიდან ერთს ან მეტს მოიცავს: (ა) მათ აქვთ კლებადი და არა მზარდი უკუგება; (ბ) მათ არ გააჩნიათ ცოდნის აკუმულირების პოტენციალი; და/ან (გ) მიღებული ცოდნა – ადგილობრივი დოვლათის შექმნის ნაცვლად – გადაეცემათ მათ კლიენტებს მდიდარ ქვეყნებში იაფი ფასების სახით. ამ კუთხით, ის, რასაც ჩვენ „განვითარებას“ ვუწოდებთ, რეალურად ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული რენტაა, რომელიც შემცირების ნაცვლად კიდევ უფრო იზრდება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით. ამგვარად, ზოგიერთი ქვეყანა შეიძლება სპეციალიზდეს მდიდრად ყოფნაში, მაშინ, როცა სხვები, მათი შედარებითი უპირატესობის მიხედვით, დასპეციალიზდებიან ღარიბად ყოფნაში.

ორივე ეს აუდიტორია აუცილებელია მიხვდეს, რომ ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის უმთავრესი სხვაობა ის არის, რომ ამ უკანასკნელებმა გამოტოვეს თავისუფალი ვაჭრობის ეტაპი, რამაც – წარმატების შემდეგ – თავისუფალი ვაჭრობა სასურველი გახადა. ეს სავალდებულო ეტაპი, ყველა თანამედროვე განვითარებული ქვეყნის ისტორიაში – ნება მიეცათ ღარიბი ქვეყნებისთვის შეექმნათ მდიდარი სახელმწიფოების მსგავსი ეკონომიკური სტუქტურები – დღეს უკანონოა. ბაზრებს არ შეუძლიათ ჯადოსნურად აღმოფხვრან სიღარიბე ისევე როგორც არ შეუძლიათ გლობალური დათბობისა და გარემოს დეგრადაციის გამომწვევი პრობლემების ჯადოსნურად მოგვარება. მხოლოდ მდიდარი სახელმწიფოების თავდაჯერებულ და ძლიერ საზოგადოებას შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ ღარიბი ქვეყნის

მთავრობებმა თავისუფლად მიიღონ საკუთარი ხალხისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები. ეს ნიშნავს ორივეს – თავისუფალი ვაჭრობის ჭეშმარიტების მოჩვენებითი რაციონალობისა და „უფრო სამართლიანი“ გლობალური სავაჭრო სისტემის ყალბი ზნეობრიობის – უარყოფას. არსებულ პირობებში, „სამართლიან ვაჭრობას“* შეუძლია სიღატაკე ხელშეუხებელი დატოვოს. ის ასევე გულისხმობს სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს, რათა ღარიბი ქვეყნების შიდა საქმეებში უკანონო ჩარევები შეზღუდული იყოს. სწორედ ეს, და არა აგროტარიფების შემცირების აგიტაცია, დაეხმარება მსოფლიოს ყველაზე ღარიბ მოსახლეობას.

დაბოლოს, ჩემს მესამე აუდიტორიას მიეკუთვნებიან ისინი, ვინც ღარიბ ქვეყნებში ცხოვრობენ. ვიმედოვნებ, რომ შემდგომი ტექსტი სასარგებლო იქნება იმ მექანიზმების ამოცნობაში, რომლებიც სიმდიდრესა და სიღარიბეს ქმნიან, ასევე გამოსადეგი იქნება შეხედულებათა იმ სისტემის ჩამოყალიბებაში, რომლის ფარგლებშიც შეგეძლებათ განიხილოთ თქვენს ქვეყნებში უკიდურესი სიღარიბის მოგვარების გზები. მოქმედი მექანიზმების გაგება შესაძლებელს ხდის დებატების გაჩაღებას და იმ პოლიტიკის მიგნებას, რომლითაც შეივსება უფრო ფართო პოლიტიკური სივრცე, რომელიც ღარიბი ქვეყნებისთვის იხსნება. წიგნში ვცდილობ არ გავწერო ის, რასაც მე გავაკეთებდი განვითარების სტიმულირებისთვის, არამედ გთავაზობთ იმას, რასაც განვითარების დიადი ევროპელი და ამერიკელი არქიტექტორები გვირჩევდნენ დღეს. თუკი რაიმეს მიიღებ წიგნიდან, დაე, იყოს შემდეგი: თუკი ამერიკული და ევროპული კეთილდღეობის გამომწვევი მიზეზების გაგება გსურს, შეისწავლე ამ კეთილდღეობის შემქმნელთა პოლიტიკა და არა მათი გულმავიწყი მემკვიდრეების რჩევები.

---

* იგულისხმება პარტნიორობა „სამართლიანი ვაჭრობისთვის“ (Fair Trade) (მთარგმნელის შენიშვნა).

I თავი

ეკონომიკური თეორიების ტიპების დადგენა

პარადიგმას ძალუძს საზოგადოების იზოლირება სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემებისგან, რომლებიც არ დაიყვანება რთული გამოცანის დონემდე, ვინაიდან შეუძლებელია ამ პრობლემების განსაზღვრა იმ კონცეპტუალური და ინსტრუმენტული მექანიზმებით, რომელსაც ეს პარადიგმა გვთავაზობს.

თომას კუნი, სამეცნიერო რევოლუციის სტრუქტურა, 1962

მრავალი წლის შემდეგაც კი – და იმის მიუხედავად, რომ მაშინ ვოლტერი ნაკითხული არ მქონდა – საკმაოდ ზუსტად შემიძლია იმ დღის აღწერა, როდესაც ამ წიგნზე მუშაობა დავიწყე. ეს იყო 1967 წლის ივლისის დასაწყისი, სკოლაში ჩემი ბოლო საზაფხულო არდადეგების პერიოდი, როდესაც პერუს დედაქალაქ ლიმაში, ყველაზე დიდი ნაგავსაყრელის ყველაზე შემაღლებულ ადგილზე ვიდექი. აქ, თავად ნაგავსაყრელსა და ახლომდებარე ქოხმახების ფონზე, მოჩანდა ვიღაცის ძველი ფოლადის დოლებისგან აშენებული სახლი. მისი ფასადი მხიარულად იყო მორთული ფერადი ბანერებით, რომლებსაც ქარი აფრიალებდა, ხოლო მეპატრონემ გამვლელების ჩვენი მომცრო ჯგუფი ჩაიზე მიიპატიჟა. იქ პერუს სათემო განვითარების ორგანიზაციის მიწვევით ვიმყოფებოდი. იმავე შემოდგომაზე მიწევდა ნორვეგიელ საშუალო სკოლის მოსწავლეებთან ერთად გავძღოლოდი კამპანიას, რომლის მიზანიც, ანდებში, სკოლების მშენებლობისთვის ფულის შეგროვება იყო. ნორვეგიელი, შვედი და ფინელი მოსწავლეები სკოლას ერთი დღით დაეთხოვნენ, ჩვენ მიერ ნაშოვნი ფული მრავალი პატარა სკოლის ასაშენებლად სამყოფი სამშენებლო მასალების შესყიდვას შევწირეთ, რომლებითაც ანდების სოფლების მცხოვრებლებს თავად უნდა აეგოთ სკოლები.

რატომ არიან ისინი ასეთი ღარიბები? მხოლოდ ორი დღე იყო გასული პერუში ჩემი ჩასვლიდან და ეს შეკითხვა ნელ-ნელა ფორმებს იძენდა. ჩემი კითხვა გამოიწვია იმან, რომ აქ მომუშავე ადამიანების უმეტესობას, რომელთაც ვაკვირდებოდი – აეროპორტში ბარგის მტვირთავებს, ავტობუსის მძღოლებს, სასტუმროს პერსონალს, დალაქებს, მაღაზიის კონსულტანტებს – არაფერი ეტყობოდათ, რომ იმაზე ნაკლებ ეფექტურად მუშაობდნენ, ვიდრე იმავე პროფესიის ადამიანები ჩვენთან, ნორვეგიაში. შეკითხვა თანდათან დაიხვეწა და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „რა არის „საბაზრო ეკონომიკაში“ ასეთი, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნებში მყოფი, თუმცა ერთნაირი ნაყოფიერების ადამიანები ერთმანეთისგან ასე განსხვავებულ გასამრჯელოს იღებენ?“ ჩაიზე მიპატიჟებიდან მეორე დღეს, როდესაც ნაგვის სიმყრალე თითქმის სრულიად მოსცილდა კანსა და ტანისამოსს, ჩემს მეგობარ შვედ და ფინელ მოსწავლეებთან ერთად, სადილად გახლდით მიწვეული პრეზიდენტ ფერნანდო ბელაუნდესთან, პრეზიდენტის სასახლეში. მაშინ, როდესაც ყველა ჩვენგანისთვის ცხადი იყო, რომ სკოლების შენება კარგ იდეას წარმოადგენდა, არავინ იცოდა დანამდვილებით თუ რა იწვევდა სიღარიბეს. გადავწყვიტე, როცა სახლში დავბრუნდებოდი, პასუხი ენციკლოპედიაში მომეძებნა, მაგრამ ამაოდ. ჩემი ცნობისმოყვარეობა კი იზრდებოდა. რატომ აღემატება თექვსმეტჯერ ფრანკფურტელი ავტობუსის მძღოლის რეალური ხელფასი იმავე ეფექტურობის მქონე, ნიგერიელი ავტობუსის მძღოლის ხელფასს მსოფლიო ბანკის ბოლო გამოთვლებით? ვცადე ამაზე პასუხის მოძებნა და სწორედ ეს წიგნიც ამის შედეგია.

შვეიცარიაში ბაკალავრის, ხოლო ჰარვარდში ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ, იტალიაში დაავარსე სამრეწველო ფირმა. მიუხედავად ამისა, ლიმას ნაგავსაყრელიდან გამოყოლილი კითხვა კვლავ მაწუხებდა. უც-

ნაური ის იყო, რომ ზოგადად ასე ცოტა ადამიანს აღელვებდა ეს საკითხი.

1967 წელს, ისევე როგორც დღეს, ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ თანასწორობას, გაათანაბრებდა რა მსოფლიოში მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლებს. რეალურად, მას შემდეგ მათი რწმენა ამ თეორიის მიმართ კიდევ უფრო გამყარდა. თავისუფალი ვაჭრობა წარმოჩენილია სისტემად, სადაც ყველა მოგებულია და არავინ აგებს. მაშ, რა წარმოშობს კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში (1760-იან, 1840-იან და 1990-იან წლებში) ამგვარ კოლექტიურ რწმენას, რომელიც „მტკიცდება“ იმ ეკონომიკური თეორიით, რომლის მიხედვითაც, თუ მაღალტექნოლოგიური ინჟინრები და ჭურჭლის მრეცხავები ორ სხვადასხვა ქვეყანაში მოხვდებიან და ვაჭრობას დაიწყებენ, შესაძლოა, მათი რეალური ხელფასები უეცრად თანაბარი აღმოჩნდეს. ამგვარი თეორიების განვითარებას სერიოზული სოციალური პრობლემები და რევოლუციებიც კი ახლდა – 1760-იან და 1840-იან წლებში და მერეც – სანამ აკადემიური სფეროები ნაკლებად ბუნდოვანმა და უფრო პრაქტიკულმა თეორიებმა არ ჩაანაცვლეს და სოციალური გადაცდენები არ გამოასწორეს. ამერიკელი ეკონომისტი პოლ კრუგმანი მახვილგონივრულად ამტკიცებს, რომ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში წარსული გამოცდილების დავიწყება და უმეცრების დამკვიდრება ხდება.

წლების განმავლობაში მივხვდი, რომ არსებობს განსხვავებული ეკონომიკური თეორიები და მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გაჟღერდა ჩემი შეკითხვა, მდგომარეობდა იმაში, რომ გაბატონებული ეკონომიკური თეორია ეფუძნებოდა ვარაუდებს, რომლებიც არა მარტო მცდარ პასუხებს, არამედ მცდარ კითხვებსაც წარმოშობდნენ (იხილეთ ილუსტრაცია 1). სტანდარტულ ეკონომიკაში არათანაბარი განვითარების თეორია არ არსებობ-

და. პრობლემების ამ კასკადმა იმდენად დამატყვევა, რომ ჩემი პატარა კომპანია დროებით დავტოვე, რათა ამერიკაში ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მიღებით მათზე შესაძლო პასუხები მეპოვა. ინსტინქტურად უგულებელვყოფდი ყველა თეორიულ აბსტრაქციას, რომელიც არ ითვალისწინებდა იმ მახასიათებლებს, რომელთაც რეალურ ცხოვრებაში შესაძლოა გადამწყვეტი როლი ეთამაშათ სიმდიდრისა და სიღარიბის წარმოქმნაზე. დიდი ხნის შემდეგ აღმოვაჩინე, რაოდენ ლამაზად ჰქონდა ეს გადმოცემული გოეთეს: „მეგობარო, ყველა თეორია ნაცრისფერია. მწვანე კი, სიცოცხლის ოქროს ხეა“.

©1960 United Feature Syndicate, Inc. Reproduced by permission

ეკონომიკაში, შეუსაბამო ვარაუდები წარმოშობს არა მხოლოდ არასწორ პასუხებს, არამედ არასწორ კითხვებსაც. არარეალისტური დაშვებები, რომელიც ეკონომიკის ხერხემალს ქმნიდნენ, წარმოადგენდნენ აბსტრაქტული ეკონომიკური თეორიის წყვეცას, დაწყებული დევიდ რიკარდოს ვაჭრობის თეორიიდან (1817), მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ზოგადი წონასწორობის თეორიამდე. ამგვარმა არასწორმა დაშვებებმა კი ზეგავლენა მოახდინეს როგორც ლიბერალურ, ასევე საბჭოთა გეგმიურ ეკონომიკაზე.

ილუსტრაცია 1. შეუსაბამო ვარაუდები წარმოშობენ მცდარ კითხვებს: „მიწის თხილი“ – ჩარლზ შულცის კარიკატურა.

მხოლოდ წლების შემდეგ გავიაზრე, რომ ჰარვარდის ბიზნეს სკოლა, ორი წლის მანძილზე ინტენსიურად მირეცხავდა ტვინს ალტერნატიული, მაგრამ ახლა უკვე დრომოჭმული ეკონომიკური ტრადიციით, რომელიც დღევანდელ ეკონომიკაზე მეტად, სიცოცხლის ხესთან უფრო ახლოს იდგა. ბიზნეს სკოლების მიერ გამოყენებული შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდოლოგია, სათავეს იღებს გერმანული ეკონომიკის ისტორიული სკოლიდან.

გერმანულენოვან უნივერსიტეტებში თორმეტწლიანი სწავლის შემდეგ, ედვინ გეიმ (1867-1946), ჰარვარდის ბიზნეს სკოლის დამაარსებელმა და პირველმა დეკანმა, რომელსაც ეს პოზიცია ათ წელზე მეტხანს ეკავა, შთაგონება მიიღო გერმანელი ეკონომისტის, გუსტავ შმოლერისა (1838-1917) და ეკონომიკის მიმართ მისეული ისტორიული მიდგომებისგან.[1] სტანდარტული ეკონომიკა ადამიანებს უმეტესად სამყაროს მეთოდოლოგიური და მათემატიკური ლინზებით დანახვას ასწავლის, ამგვარი მეთოდები კი სერიოზულ „ბრმა ლაქებს"* ტოვებენ. ამის საპირისპიროდ, ისტორიული მიდგომა მოთმინებით აგროვებს მონაცემებს, თუ მათ კავშირი აქვთ რეალურ ცხოვრებასთან. ეს წიგნი გლობალიზაციას ჰარვარდის ბიზნეს სკოლის მეთოდოლოგიის მსგავსად აანალიზებს, მაგრამ იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გაზარდოს რეალური შემოსავლები და არა მოგება. ჰარვარდის ბიზნეს სკოლის მიხედვით, კარგი კვლევის მამოძრავებელი ძალა ცნობისმოყვარეობაა: გამუდმებული დაკვირვების, სწავლისა და ფიქრის შემდეგ, შენ შეეჩეხები რაღაცას და ფიქრობ – „მე ამას ვერ ვიგებ. რაღაც შეუსაბამობაა არსებულ თეორიასა და ჩემს დაკვირვებას შორის. რაღაც ვერ

* „ბრმა ლაქა" (blind spot) – იგულისხმება, რომ არსებული სტანდარტული ეკონომიკური თეორია ვერ ხსნის რეალურ ეკონომიკურ პრობლემებს (მთარგმნელის შენიშვნა).

ჯდება. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია და შეცდომა ან მე დავუშვი ან სხვებმა. მინდა ბოლომდე გავარკვიო".[2] ეს საპირისპიროა იმგვარი კვლევისა, რომელიც საკუთარი ინსტრუმენტებითა და ვარაუდებითაა შეზღუდული და, სტანდარტული ეკონომიკის სახელმძღვანელოს მიხედვით, მაქსიმალური რელევანტურობის ნაცვლად, იგი ყველაზე უმნიშვნელო მათემატიკურ პრობლემას მიუყვება.[3]

თავიდან ღარიბ ქვეყნებს ვიკვლევდი, რათა ჩემთვის გასაგები ყოფილიყო მათი სიღარიბის მიზეზები. მოგვიანებით, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ სიღარიბე ნორმალური მოვლენაა და სამყაროს შესახებ ეკონომისტების წარმოდგენებთანაა თანხვედრაში. ტრადიციულად, სიმდიდრე და სიღარიბე იხსნებოდა იმის აღიარებით, რომ სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობები, როგორც სიმდიდრის მომტანნი, თვისობრივად ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. ეს პერსპექტივა თანამედროვე გაბატონებულ თეორიაში დაკარგულია, მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური სისტემები მდიდარი ქვეყნების სისტემებზე უფრო მეტად შეესატყვისება სტანდარტული სახელმძღვანელოებით შეცნობილ ეკონომიკას. ახლა, საჭიროა შემოვიტანოთ და ავხსნათ ეკონომიკური აქტივობების განმასხვავებელი ორი ტერმინი, რომლებიც ტრადიციულად დომინირებენ ღარიბ და მდიდარ ქვეყნებში: „სრულყოფილი" და „არასრულყოფილი" კონკურენცია და „მზარდი" და „კლებადი" უკუგება.

„სრულყოფილი კონკურენცია" ანდა „სასაქონლო კონკურენცია" ნიშნავს იმას, რომ მწარმოებელს არ შეუძლია გავლენა იქონიოს მისი ნაწარმის ფასზე. ის დგას „სრულყოფილი" ბაზრის წინაშე და სიტყვასიტყვით კითხულობს გაზეთში, თუ რამდენის გადახდის სურვილი აქვს ბაზარს. ეს, როგორც წესი, სასოფ-

ლო-სამეურნეო პროდუქტებისა და წიაღისეულის ბაზარს ახასიათებს. სრულყოფილ კონკურენციას, ჩვეულებრივ, თან ახლავს „კლებადი უკუგება“: როცა წარმოება ფართოვდება, გარკვეულ ეტაპზე, ერთსა და იმავე გაღებული რესურსის – კაპიტალის ან/და შრომის გაზრდილი რაოდენობა, გამოიმუშავებს უფრო და უფრო ნაკლებ ახალ პროდუქციას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თუკი შენ ერთსა და იმავე კარტოფილის ნაკვეთზე შეიყვან უფრო მეტ ტრაქტორსა და მუშახელს, გარკვეულ ეტაპზე თითოეული ახალი ადამიანი, ან ტრაქტორი მის წინამორბედზე ნაკლებ პროდუქციას გამოიმუშავებს. სრულყოფილი კონკურენცია და კლებადი უკუგება, სტანდარტული ეკონომიკური სახელმძღვანელოების მიხედვით, ნორმალურ მდგომარეობადაა მიჩნეული.

როდესაც სამრეწველო ინდუსტრიაში წარმოება ფართოვდება, საწარმოო ხარჯები საპირისპირო მიმართულებით მიდის – დაბლა და არა მაღლა. როგორც კი მექანიზებული წარმოება იქმნება, რაც უფრო მაღალია გამომუშავების მოცულობა, მით უფრო ნაკლებია ერთეულის დამზადების ღირებულება. „პროგრამული უზრუნველყოფის“ (software) პირველი ასლის დამზადება ძვირი ჯდება, მაგრამ მისი ყველა მომდევნო ასლი ძალიან იაფია. მრეწველობისა და მომსახურების ინდუსტრიებს არ გააჩნიათ გადაუდებელი ხარჯები, რომლებიც ბუნების მიერაა წარმოშობილი, არც მინდვრები, არც მაღაროები და არც სათევზაო მონაკვეთები, რომლებიც რაოდენობრივად ან თვისობრივად არის შეზღუდული. ამ სექტორების ხარჯები (მზარდი უკუგება მასშტაბზე), წარმოების ზრდასთან ერთად მცირდება. ინდუსტრიული კომპანიებისა და მოწინავე სერვისის მიმწოდებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბაზრის დიდი წილის ფლობა, ვინაიდან ამ წილის გაზრდა მათ წარმოების დანახარ-

ჯებს უმცირებს (მზარდი უკუგების გამო). მზარდი შემოსავალი საბაზრო ძალაუფლებას ქმნის: მათ დიდწილად შეუძლიათ გავლენა მოახდინონ იმის ფასზე, რასაც ისინი ყიდიან. ამას „არასრულყოფილი კონკურენცია“ ეწოდება.

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ეს ოთხი კონცეფცია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. როგორც წესი, მზარდი უკუგება არასრულყოფილ კონკურენციას ახასიათებს; მართლაც, „არასრულყოფილი კონკურენციის“ დროს კლებადი ხარჯი წარმოებულ ერთეულზე საბაზრო ძალაუფლების ერთ-ერთი განმაპირობებელია. კლებადი უკუგება – შემცირებადი ხარჯით წარმოების გაფართოების შეუძლებლობა (გარვეული ეტაპის შემდეგ) – პროდუქციის გამრავალფეროვნების სიძნელესთან ერთად (მარცვლეული მარცვლეულია, მაშინ, როდესაც ავტომობილის ბრენდები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან) ქმნიან სრულყოფილ კონკურენციას ნედლეული საქონლის დამზადებაში. მდიდარი ქვეყნების ექსპორტი შეიცავს „კარგ“ ეფექტებს – მზარდ შემოსავლებსა და არასრულყოფილ კონკურენციას – მაშინ, როცა ღარიბი სახელმწიფოების ტრადიციული ექსპორტი შეიცავს საპირისპირო, „ცუდ“ ეფექტებს.

საუკუნეების მანძილზე ტერმინი „მრეწველობა“ ითვლებოდა ტექნოლოგიური პროგრესის, მზარდი უკუგებისა და არასრულყოფილი კონკურენციის კომბინაციის სინონიმად. მრეწველობის გაძლიერებით, ქვეყნებმა მიიტაცეს „კარგი“ სახეობის ეკონომიკური აქტივობები. ჩემი აზრით, ეს არის წარმატების გზა, რომელიც დაიწყო ინგლისში ჰენრი VII-ის დროს და გაგრძელდა კონტინენტური ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინდუსტრიალიზაციით, და მოაღწია კორეისა და ტაივანის ბოლოდროინდელ წარმატებებამდე. მიუხედავად ამი-

სა, ბოლო ათწლეულების მანძილზე, მომსახურების უფრო და უფრო მეტი ინდუსტრია მუშაობს ტექნოლოგიური წინსვლითა და მზარდი შემოსავლებით, და ზღვარი ინდუსტრიასა და სერვისს შორის ბუნდოვანი გახდა. ამავე დროს, დიდი ოდენობით დამზადებულმა ინდუსტრიულმა ნაწარმმა შეიძინა ის სასაქონლო თვისებები (კლებადი უკუგების გარდა), რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას ახასიათებს.

მდიდარი ქვეყნები გავრცელებული არასრულყოფილი კონკურენციისა და მზარდი უკუგების მომტანი საქმიანობებისადმი არიან მიდრეკილნი. როგორც თანდათან გავაცნობიერე, ყველა მათგანი ზუსტად ერთი და იმავე საშუალებით გამდიდრდა – პოლიტიკით, რომელმაც ისინი ნედლეულიდან და კლებადი შემოსავლებიდან გადაიყვანა მრეწველობაში, სადაც საპირისპირო კანონები მოქმედებს. ასევე აღმოვაჩინე, რომ დროის სვლასთან ერთად საკვანძო ტერმინების მნიშვნელობა შეიცვალა. დაახლოებით 300 წლის წინ, ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ ქერიმ (1649-1720) „თავისუფალი ვაჭრობა“ შემოგვთავაზა, მაგრამ ამის პარალელურად, ისე იყო აღშფოთებული ვაჭრების მიერ ნედლი მატყლის საზღვარგარეთ გატანის გამო, რომ ის და მისი თანამედროვენი განიხილავდნენ „ექსპორტიორების სიკვდილით დასჯას.“ იმ დროს „თავისუფალი ვაჭრობა“ აღნიშნავდა მონოპოლიის და არა ტარიფების არარსებობას. სწორედ ქერისეულმა „მრეწველობის კულტმა“ ჩაუყარა შემდგომ საძირკველი ევროპის სიმდიდრეს.

ჩემთვის უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში, სიმდიდრისა და სიღარიბის მექანიზმების არსი დღევანდელზე უფრო კარგად იყო გაგებული. ჩემს 1980 წლის სადოქტორო ნაშრომში ვეცადე ანტონიო სერას მე-17 საუკუნის განვითარებისა და ჩამორჩენილობის თეორი-

ის მართებულობის შემოწმება. ამ კუთხით, სერა ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვინაიდან ის იყო პირველი ეკონომისტი, რომელმაც არათანაბარი ეკონომიკური განვითარების თეორია შეიმუშავა, მის *Breve trattato*-ში, ანუ „მოკლე ტრაქტატში“ (1613 წელს).[4] ძალიან ცოტაა ცნობილი სერას ცხოვრების შესახებ გარდა იმისა, რომ ის სინამდვილეში იურისტი იყო, რომელმაც წიგნი ნეაპოლში ციხეში ჯდომისას დაწერა. ის ცდილობდა აეხსნა, აუარებელი ბუნებრივი რესურსის მიუხედავად, რატომ რჩებოდა მისი მშობლიური ნეაპოლი ღარიბად, მაშინ, როცა ვენეცია – ჭაობზე სარისკოდ აშენებული ქალაქი – მსოფლიო ეკონომიკის ცენტრში იმყოფებოდა. მისი თქმით, მთავარი ფაქტორი იყო ის, რომ ვენეციელებს არ შეეძლოთ მიწის დამუშავება ნეაპოლელების მსგავსად და იძულებულნი იყვნენ სარჩოდ ინდუსტრია ექციათ, რასაც, წარმოების მასშტაბების გათვალისწინებით, მათთვის მზარდი შემოსავლები მოჰქონდა. სერას თვალთახედვით ეკონომიკური განვითარების გასაღებს სხვადასხვა მსხვილი ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენდა, სადაც მზარდი უკუგების პარალელურად წარმოების დანახარჯები შემცირებოდა. პარადოქსულია, რომ ღარიბად ყოფნა ბუნებრივი რესურსების ფლობის ფონზე, შესაძლოა გამდიდრების მთავარი ფაქტორი იყოს.

სამხრეთ ამერიკის ანდების ქვეყნების ინდივიდუალური შესწავლისას, აღმოვაჩინე, რომ ბოლივიის, ეკვადორისა და პერუს განვითარება კავშირშია სერას მტკიცებებთან, რომელთა გამოყენებითაც ის ეკონომიკაში მოქმედ მექანიზმებს ხსნიდა. 1970-იანი წლების ბოლოს დავიწყე ბოლო საუკუნეებში არათანაბარი ეკონომიკური ზრდის თეორიებისა და პრაქტიკის გენეტიკური მასალის შესწავლა, წიგნების, პამფლეტებისა და სხვადასხვა ჟურნალების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ სიმდიდრისა

და სიღარიბის უამრავი კანონზომიერება ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყო აღმოჩენილი და აღწერილი, მათი შესწავლის ლოგიკურ დასაწყისად 1400-იანი წლები მომეჩვენა, პერიოდი, როდესაც პატენტი გამოიგონეს (ვენეცია) და ჰენრი VII-ის ინგლისის ტახტზე ასვლით (1485) თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკა დაიბადა. მას შემდეგ, სიღარიბისა და სიმდიდრის გამომწვევი მექანიზმების შესწავლა და აღწერა ჩემს მიზნად იქცა.

ჩემი კვლევა 1991 წელს, ბერლინის კედლის დაცემიდან მალევე განახლდა, იმ ისტორიული მოვლენის შემდეგ, რომელშიც ფრენსის ფუკუიამამ „ისტორიის დასასრული" დაინახა. ცენტრალურად დაგეგმარებულმა ეკონომიკურმა სისტემებმა კრახი განიცადეს, შედეგად მიჩნეულ იქნა, რომ თავისუფალი ვაჭრობა და საბაზრო ეკონომიკა დედამიწის ყველა ქვეყანას თანაბრად გაამდიდრებდა. ის, თუ როგორ განვითარდებოდა „ისტორიის დასასრული", საუკეთესოდ იხსნება „ცივი ომის მსოფლმხედველობის" შუქზე, რომელიც წამყვანმა ეკონომისტებმა განავითარეს. გარკვეული მიზეზების გამო, რომლებიც მომდევნო თავში იქნება განხილული, ცივმა ომმა მოსპო არა მარტო მანამდე არსებული მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები, არამედ თანხმობა-უთანხმოების წარსული ღერძი და გამყოფი ხაზები. პრობლემები, რომლებიც ერთ დროს უმნიშვნელოვანესი იყო უთანასწორო განვითარების გასაგებად, უკვალოდ გაქრნენ თანამედროვე დისკურსში. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, რომ დავუბრუნდეთ ადრინდელ ეკონომიკურ თეორიებს და გავცდეთ ცივი ომის მსოფმხედველობას: მაგალითად, ამ უკანასკნელის მიხედვით, კარლ მარქსი და აბრაამ ლინკოლნი პოლიტიკურ ღერძზე ორ საპირისპირო პოლუსს იკავებდნენ, მარქსი წარმოადგენდა მარცხენა მხარეს დიდი სახელმწიფო აპარატითა და გეგმიური ეკონომიკით,

ხოლო ლინკოლნი მარჯვენა მხარეს თავისუფლებითა და ბაზრით. სინამდვილეში, მათი მოღვაწეობის დროს, ლინკოლნი და მარქსი ეკონომიკური გამყოფი ხაზის ერთ მხარეს აღმოჩნდნენ. არც ერთს არ მოსწონდა ინგლისური ეკონომიკური თეორია, რომელიც აკნინებდა წარმოების როლს, ადრეულ ეტაპზევე ახვევდა ქვეყნებს თავზე თავისუფალ ვაჭრობას[5] და ხელს უწყობდა მონობას. ამ ორ ადამიანს შორის თავაზიანი მიმოწერაც კი არსებობს. ამას სრულიად ეხმიანება ის, რომ 1851-1862 წლებში, კარლ მარქსის პუბლიკაციები იბეჭდებოდა ლინკოლნის რესპუბლიკური პარტიის გაზეთ New York Daily Tribune-ის ყოველკვირეულ სვეტში. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მარქსი და ლინკოლნი ყველაფერზე თანხმდებოდნენ, მაგრამ ორივე მათგანი იდგა იმ აზრზე, რომ ის, რაც ამდიდრებს ქვეყნებს, არის ინდუსტრიალიზაცია და ტექნოლოგიური წინსვლა.

მე-20 საუკუნეში, ძალზე კონსერვატიულმა ავსტრო-ამერიკელმა ეკონომისტმა ჯოზეფ შუმპეტერმა (1883-1950) აჩვენა, რომ სულაც არ არის აუცილებელი პოლიტიკური მიკუთვნებულობა და ეკონომიკური ცოდნა ერთმანეთს ემთხვეოდეს. მისი წიგნის „ეკონომიკური განვითარების თეორიის“ (გერმანული გამოცემა, 1912; ინგლისური გამოცემა, 1934; იაპონური გამოცემა, 1937) იაპონური გამოცემის წინასიტყვაობაში, შუმპეტერი ხაზს უსვამდა მარქსის მიერ სამყაროს დინამიკურ გაგებასა და მისეულ ხედვებს შორის მსგავსებას, თუმცაღა, მისი თქმით, ეს მსგავსებები „ქრება ზოგად მსოფლმხედველობაში ძალიან დიდი სხვაობის გამო.“ რეალურად, საუკეთესო ინდუსტრიული პოლიტიკა სავარაუდოდ მაშინ ყალიბდება, როცა მარქსისტები და შუმპეტერისტები პოლიტიკურ ღერძზე ერთად დგებიან, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იაპონიის მაგალითზე შეიძლება ითქვას.

ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში ყველა დროის ყვე-

ლაზე გაყიდვად წიგნად რობერტ ლ. ჰეილბრონერის „მიწიერი ფილოსოფოსები“* (1969) ითვლება. მისი სიცოცხლის მანძილზე დაბეჭდილ უკანასკნელ გამოცემაში (1999), ჰეილბრონერი წიგნს სინანულით ამთავრებს, სინანულით იმის შესახებ, რომ ეკონომიკის ეს მნიშვნელოვანი განშტოება, რომელიც დაფუძნებულია გამოცდილებაზე და არა მხოლოდ ციფრებსა და სიმბოლოებზე სიკვდილის პირასაა მისული. ეს იმ ტიპის ეკონომიკაა, რომელმაც ევროპა მდიდარი გახადა და, ამასთან, საფუძველი დაუდო შემთხვევის შესწავლის მეთოდს ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში. მე მხოლოდ მოგვიანებით გავიაზრე, რომ ჰეილბრონერის აღწერილობის მიხედვით ნეკროფილ ეკონომისტად ვიქეცი. ისინი, ვინც ჩემნაირად აზროვნებდნენ – და ასეთი არაერთი იყო – უკვე დიდი ხნის გარდაცვლილები იყვნენ. მას შემდეგ 30 წელია გასული და ჩემი წიგნების კოლექცია 50 000 ტომს უტოლდება, რომლებიც აღწერს ეკონომიკური აზროვნების ისტორიასა და პოლიტიკას ბოლო 500 წლის მანძილზე. მიუხედავად ამისა, წარსული იდეებისადმი მისწრაფება დაკავშირებულია თანამედროვე განსხვავებული რეალობების ფართო დაკვირვებებთან. ჩემი კარიერის განმავლობაში მე მიმუშავია 49 ქვეყანაში, ყველა დასახლებულ კონტინენტზე, და მიმოგზაურია ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც – ტურისტის რანგში.

ამ ოცდაათი წლის მანძილზე, იდეები, რომლებიც რჩებოდა ისტორიისა და პოლიტიკის იმ ინტერპრეტაციის მიღმა, რომლებიც ესადაგებოდნენ ცივი ომის მსოფლმხედველობის მემარჯვენე-მემარცხენე სისტემას, ცალსახად არამოდური იყო. მალე ნათელი გახდა, რომ ეკონომისტებს, როგორც ჯგუფს, სრულიად ერგება ნაციის ძველი ევროპული განმარტება: ადამიანთა

* რობერტ ჰეილბრონერი, „მიწიერ ფილოსოფოსებს“ უწოდებს ეკონომისტებს, რადგან მათი ფილოსოფია მატერიალურ საკითხებს ეხება (მთარგმნელის შენიშვნა).

ჯგუფი, რომელთაც აერთიანებთ საკუთარი წარსულის კოლექტიური დამახინჯება და მათი მეზობლების (ამ შემთხვევაში სოციოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერების მსგავსი მომიჯნავე დარგების) საერთო სიძულვილი. ეკონომიკური მეცნიერების ისტორიის დადგენილი თანმიმდევრობა საკმაოდ განსხვავდება იმ ეკონომიკური წიგნების წყობისგან, რომლებიც მათი გამოცემის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი და შესწავლილი გახლდათ. 1850 წლამდე[ბ] ყველაზე გაყიდვადი 39 ეკონომიკური ნაშრომის სიაში, რომელიც ჰარვარდის ბიბლიოთეკარ ქენეთ კარპენტერის მიერ იყო გულმოდგინედ შედგენილი, შესულია არაერთი საყურადღებო ტექსტი, რომელიც სრულიად უგულებელყოფილია ეკონომიკის ისტორიკოსების მიერ. სინამდვილეში, ეკონომიკური მეცნიერებების ისტორიის მიხედვით, ეკონომიკის დამფუძნებელ მამებს, ფრანგ ფიზიოკრატებს, მხოლოდ უმნიშვნელო და ირიბი გავლენა ჰქონდათ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ფიზიოკრატიამ ვერასდროს მიაღწია თუნდაც ინგლისამდე, სადაც მისი მოწინააღმდეგეების ნამუშევრები თავად ფიზიოკრატების გაჩენამდე დიდი ხნით ადრე ითარგმნებოდა. მათმა იდეებმა ასევე დიდხანს ვერ გაძლეს თვით საფრანგეთშიც, სადაც მათ ბოლო მოუღო მათი იდეების განხორციელების შედეგად გამოწვეულმა საკვების ნაკლებობამ და შიმშილმა. გარდა ამისა, ანტი-ფიზიოკრატების მოსაზრებებმა, რომლებიც ნაკლებადაა მოხსენიებული ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში, სადავეები მალევე ჩაიგდეს ხელში. რეალურად, ის, რამაც ბიძგი მისცა ბასტილიის შტურმით აღებას, იყო პარიზში გავრცელებული ახალი ამბავი, ანტი-ფიზიოკრატი ჟაკ ნეკერის (1732-1804) ფინანსთა მინისტრის პოსტიდან გადაყენების შესახებ. საოცარია, რომ ნეკერი არის ერთადერთი ეკონომისტი, რომელიც კარპენტერის საპატიო სიაში სამი ყველაზე გაყიდვადი ნამუშევრითაა შესული.

ჩემთვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ თანამედროვე მდიდარი ქვეყნების მიერ სიღარიბის დაძლევის დროს გამოყენებული ეკონომიკური აზროვნების ფორმა დავიწყებას მიეცა. ჩემ მიერ არჩეული საკითხისადმი ზოგადი ინტერესის ნაკლებობამ და სპეციალიზებული წიგნების გამყიდველთა პატარა ქსელის დახმარებამ ხელი შეუწყო მასალების შეგროვებას გადაშენებული, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან აქტუალური ეკონომიკური ლოგიკის შესახებ. არა მარტო პრაქტიკა და თეორიები ქრებოდა თანამედროვე ეკონომიკის სახელმძღვანელოებიდან, რომლებმაც მდიდარი ქვეყნები აქცია მდიდრებად, არამედ მსოფლიოს ბიბლიოთეკებიდან იკარგებოდა თავად ის ტექსტები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს წარსულში წარმატებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს წარსული ეკონომიკური სიბრძნის გენეტიკური მასალა ნელ–ნელა ნადგურდებოდა. დიდი ამერიკული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების წესების მიხედვით, აუცილებელია, რომ რომელიმე მათგანმა ყველა წიგნის ერთი ეგზემპლარი მაინც შეინახოს, თუმცა, როგორც ჩანს, ეს უსაფრთხო ხერხი სულაც არ არის:[7] კონგრესის ბიბლიოთეკა ცნობილია წიგნების ეგზემპლარების დროდადრო „დაკარგვით.“ როცა მეორე მსოფლიო ომის დროს მე-18 საუკუნის გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეკონომისტის, იოჰან ფრიდრიხ ფონ პფაიფერის (1718-87), წიგნის ერთადერთი ასლი დაიკარგა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან, მიიჩნიეს, რომ გერმანიაში სხვა ეგზემპლარი აღარ მოიპოვებოდა.[8] შესაბამისად, ძალიან მესიამოვნა, როცა რამდენიმე წლის წინ ამ წიგნის ასლი ვიპოვე.

ავბედით 1984 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბეიკერის ბიბლიოთეკამ თავიდან მოიშორა ყველა ის წიგნი, რომელიც ბოლო 50 წლის მანძილზე არავის ჰქონდა გატანილი. მათ შორის აღმოჩნდა ბიბლიოთეკის კოლექციის უდიდესი ნაწილი ფრიდრიხ

ლისტზე (1789-1846; ინდუსტრიული პოლიტიკისა და არათანაბარი ზრდის ცნობილი გერმანელი თეორეტიკოსი). შედეგად, ბოსტონელმა წიგნით მოვაჭრემ შემატყობინა, რომ მან ხელში ჩაიგდო ბეიკერის ბიბლიოთეკის წიგნები და, როგორც თვითონ აღნიშნა, „მათზე ლამის ჩემი სახელი ეწერა“. ათი წლის შემდეგ ვსტუმრობდი ჰარვარდის პროფესორს, რომელიც ადამ სმიტისა და ფრიდრიხ ლისტის შრომების შედარებით კვლევას ატარებდა. როცა მან დაიჩივლა ბეიკერის ბიბლიოთეკაში ამ უკანასკნელის შესახებ მასალების სიმწირეზე, მე ადვილად შევძელი ამეხსნა მიზეზი. იმისათვის, რომ ჩემი ნათქვამი დამედასტურებინა, მომიწია ფაქსით გამეგზავნა მისთვის საჭირო წიგნების სია, რომლებსაც ექსლიბრისზე ფაქიზად ემჩნეოდა ჰარვარდის ბეჭედი – „ჩამოწერილია“.

ამ მხრივ, კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაა, რომელმაც 1970-იან წლებში გადაწყვიტა, ბროშურების მთლიანი კოლექცია მიკროფირზე გადაეტანა,[9] ხოლო ორიგინალი მასალები ქაღალდის გადასამუშავებლად გადაეყარა. მოხდა სასწაული და იგი კოლექციონერმა მაიკლ ცინმანმა გადაარჩინა, რომელმაც დაახლოებით ოცი წლის შემდეგ არდსლიში, ნიუ -იორკში, კოლექცია კვლავ გამოიტანა მზის შუქზე. ეს ამბავი ლონდონელმა წიგნით მოვაჭრემ შემატყობინა და ორი სხვადასხვა ვიზიტის ფარგლებში, მე და ჩემმა ბიბლიოთეკარმა ცოლმა, ჯამში ოთხი დღე გავატარეთ დაახლოებით 170 000 ბროშურის გარშემო სიარულში (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), რომლებსაც მიკროფირზე მარტივად გადასატანად ყუები ჰქონდა დაჭრილი. ჩვენ 2 300 ბროშურა წამოვიღეთ სახლში. აქ იყო ადრეული 1800-იანი წლების ამერიკის ეკონომიკური პოლიტიკა, სენატსა თუ წარმომადგენელთა პალატაში წარმოთქმული ასობით სიტყვა (ისინი ყველა ცალ-ცალკე იყო

დაბეჭდილი) და სხვა ათასობით რამ, რაც დოკუმენტურად აღწერდა, თუ რა ხდებოდა ამერიკაში, როცა იგი ღარიბიდან მდიდარ ქვეყანად გადაიქცა. რამდენიმე ღირებული ბროშურა, მაგალითად, დევიდ რიკარდოს პირველი გამოცემები, რომლებიც ასევე გაიგზავნა გადასამუშავებლად, განადგურდა, მაგრამ ეს მე არ მადარდებდა, ვინაიდან ეს ტექსტები მარტივად ხელმისაწვდომია. ნამდვილ საგანძურს წარმოადგენდა ის შეუმჩნეველი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავდა დებატებს ეკონომიკურ პოლიტიკაზე არა მარტო ამერიკაში, არამედ ათობით სხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ენაზე. ეს დებატები არც ამერიკის ეკონომიკურ ისტორიაშია ასახული – რომელიც ხშირად მოიხსენიება „ისტორიის „ბედის მანიფესტის“ ტრადიციად“[10] – და არც ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ამ დებატების მცირე ნაწილი შესულია ამერიკის პოლიტიკური აზროვნების სწავლების კურსში. დიდწილად, ამერიკელებმა თავის თავს რიტორიკისა და იდეოლოგიის ვუალქვეშ გადაუმალეს საკუთარი ისტორია.

ისტორია ხსნის თუ როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც დღეს „ვაშინგტონის კონსენსუსის“ მოთხოვნებმა უკანონოდ აქცია.[11] 1990 წელს, ბერლინის კედლის დანგრევისთანავე, ასპარეზზე გამოსვლისას ვაშინგტონის კონსენსუსი ბევრ სხვა რამესთან ერთად, მოითხოვდა ვაჭრობის ლიბერალიზაციას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების გამარტივებას, დერეგულაციასა და პრივატიზაციას. ვაშინგტონის კონსენსუსის რეფორმები განხორციელებისთანავე იქცა ნეოლიბერალიზმისა და „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ სინონიმად.

1990-იანი წლების დასაწყისში ჯოზეფ შუმპეტერის თეორიები მოდური ხდებოდა. საბედნიეროდ, 1970-იანი წლების შუა

პერიოდში, ჰარვარდში ჩემ მიერ გავლილ კურსს ეკონომიკური აზროვნების ისტორიის შესახებ, კითხულობდა არტურ სმიტისი შუმპეტერის, ალბათ, ყველაზე ახლო მეგობარი ჰარვარდში.[12] ამის გამო კურსი რეალურად შუმპეტერსა და მის თეორიებზე წაკითხულ კურსად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ შუმპეტერი თავად არ იყო დაინტერესებული სიღარიბის შესწავლით, ჩემთვის მისი თეორიები უნებლიეთ მიანც აღწერდა სიღარიბეს. ამას შეეძლო საფუძველი დაედო თეორიისთვის, რომელიც ახნიდა, თუ რატომ დააზიანა „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პრინციპებმა ასე ძლიერ, ასე ბევრი ღარიბი სახელმწიფო.

ჩემი სამუშაოს მიზანი იყო ერთმანეთთან დამეკავშირებინა რამდენიმე განსხვავებული აკადემიური დისციპლინა: უპირველეს ყოვლისა, ევოლუციური (შუმპეტერისეული) ეკონომიკა, განვითარების ეკონომიკა, ეკონომიკური აზროვნების ისტორია და ეკონომიკის ისტორია. თითქოს ჩანდა, რომ არათანაბარი ეკონომიკური ზრდის შესწავლა ორ ახალ აკადემიურ მიმართულებას მოითხოვდა: უთანასწორო ზრდის თეორიას, რომელიც არ იქნებოდა მარქსისტული[13] და, ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიას. არც ერთი ეს მიმართულება არ არსებობდა, მაგრამ ორივე მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ეკონომიკური მეცნიერებების ისტორია გვასწავლის, თუ რა უნდა გაეკეთებინა ინგლისს ადამ სმიტის მიხედვით, მაგრამ მეცნიერების არც ერთ შტოს არ აინტერესებდა, თუ რა გააკეთა ინგლისმა რეალურად და რაც სრულიად განსხვავებული იყო სმიტის რჩევებისგან.

ნიკოლო მაკიაველის 1513 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული წერილის ნაწყვეტი[14] კარგად აღწერს ჩემს მრავალწლოვან განწყობას:

მე ვბრუნდები სახლში და შევდივარ ჩემს კაბინეტში; ზღუ-

რბლზე ვიხდი ჩემს სამუშაო ტანსაცმელს, რომელიც ტალახითა და მტვრითაა დაფარული და ვიცვამ სასამართლოსა და სასახლის სამოსს. შესაფერისად გამოწყობილი, შევდივარ წინაპართა დიდებულ სასამართლოში, სადაც, ჩემი გულთბილად მიღების შემდეგ, ვეწაფები იმ საკვებს, რომელიც მხოლოდ ჩემია და რისთვისაც დავიბადე; სადაც მე არ მრცხვენია თავისუფლად ვესაუბრო მათ და შევეკითხო მათი მოქმედებების მოტივების შესახებ, და ისინი, მათი ადამიანური სათნოებით, პასუხს გამცემენ და ოთხი საათის განმავლობაში მე ვერ ვგრძნობ მოწყენილობას, მე მავიწყდება ყველა ჩემი საზრუნავი... მე სრულიად შთავინთქმები მათში.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა მკითხველებისთვის, რომლებიც მესამე სამყაროს წარმოადგენენ. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ეთნოცენტრულ ევროპულ წიგნად მოგეჩვენოთ. ის არ იწყება, მაგალითად, ნორვეგიელ-ამერიკელი ეკონომისტის, თორსტაინ ვებლენის (1857-1929) ხედვებით კაპიტალიზმის, როგორც მეკობრეობის განვითარებული ფორმის შესახებ, თუმცაღა ისტორია გვეუბნება, რომ ესეც ლეგიტიმური პერსპექტივა იქნებოდა. შედეგად, მე ვკონცენტრირდები იმაზე, თუ როგორ მოიპოვა ევროპამ ეკონომიკური ძალაუფლება, რამაც მათი ბატონობა – „მასშტაბის ეკონომია ძალის გამოყენებაში“ – გახადა შესაძლებელი. ეს წიგნი არ ეხება იმ დანაშაულებსა და უსამართლობებს, რომელიც თერთკანიანებმა, ევროპელებმა და სხვებმა ჩაიდინეს მესამე სამყაროში. იგი ცდილობს ფოკუსირდეს ბევრად უფრო მზაკვრულ და გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მავნე, ეკონომიკური და სოციალური თეორიების ეფექტებზე, რომლებიც სიმდიდრისა და სიღარიბის გამომწვევ მთავარ განმაპირობებელ მიზეზებს შეგნებულად ტოვებენ ყურადღების მიღმა. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს არა თავად მონობაზე,

არამედ მონობის მემკვიდრეობებზე წარმოების სოციალურ და მიწათმფლობელურ სისტემებში, რომლებიც დღემდე წინ ეღობებიან ეკონომიკურ განვითარებას. ნაშრომის მთავარი მიზანია შეისწავლოს კაპიტალიზმი, როგორც წარმოების სისტემა, ასევე განასხვავოს სწორი და არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის ტიპები.

წარსულ ცივილიზაციათა უმეტესობა არ იყო ევროპული და ამ უკანასკნელის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადმოტანა სხვა კონტინენტებიდან, ისლამური სამყაროდან, აზიიდან და ასევე აფრიკიდან.[15] 1158 წელს, ეპისკოპოსმა ოტო ფრაიზინგელმა გაიმეორა კარგად ნაცნობი რამ, რომ „ადამიანური ძალა და სწავლება აღმოსავლეთიდან იღებს სათავეს.“ ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა თუ როგორი მსგავსი იყო ჩინეთი და ევროპა არცთუ ისე შორეულ 1700 წელს.[16] ცალსახაა, რომ ევროპისა და დასავლეთის შეხედულება დანარჩენ მსოფლიოზე, დიდი ხნის განმავლობაში გულმოდგინედ იფილტრებოდა სხვა ხალხებისა და კულტურების წინააღმდეგ მიმართული მცდარი ევროცენტრისტული შეხედულებებით.[17] ამას წინათ ითქვა, რომ კლიმატის, მიკროორგანიზმებისა და მოშენებადი ცხოველების მაჩვენებლების მხრივ, კარტი ევრაზიის სასარგებლოდ იყო ჩაწყობილი.[18] განსაკუთრებული ხაზი გაესვა ძროხის მნიშვნელობას, როგორც საერთო პროტოტიპულ მანქანას, რძის, ხორცისა და სასუქის წარმოებაში.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ევროპის განსხვავებული კუთხით დანახვაც, სადაც ის „ზანტი“ კონტინენტია, რომელმაც საკუთარი საზღვრები 1683 წლამდე, მუსულმანების მიერ ვენის ალყაში მოქცევამდე არ გაამაგრა. მუჰამადის მოღვაწეობიდან ვენის ალყამდე ათასი წლის განმავლობაში, ევროპა

გამუდმებით იცავდა მის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებს მონღოლებისა და ისლამისგან,[19] რაც, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ თავად ევროპის აგრესიული პოლიტიკის შედეგი იყო. 1241 წელს, როცა ჩინგიზ ხანის გარდაცვალების გამო მონღოლებს უკან დახევა მოუხდათ, მათ უკვე დაპყრობილი ჰქონდათ ტერიტორია დალმაციიდან, ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან, დღევანდელ პოლონეთამდე. 1453 წელს, ისლამის მიერ კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება იქცა აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და, ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ათასწლოვანი იმპერიის დასასრულად. შედეგად, ისლამმა კონტროლი დაამყარა ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე. ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფლანგის დამცველმა ვენეციამ კი თანდათანობით დაკარგა მისი გავლენა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. დაქუცმაცებული ევროპისთვის ხელსაყრელი მომენტი მხოლოდ 1571 წელს დადგა, ლეპანტოს ბრძოლის სახით, სადაც წამყვანი ევროპული ძალები მოკლე ხნით გაერთიანდნენ.

საბოლოოდ რამ გახადა ევროპა ასე ძლიერი? და – დღევანდელ მსოფლიო შემოსავლებში ამხელა სხვაობის შემხედვარე – როგორ და რატომ იყო 1700-იანი წლების ევროპაში განვითარება ასე თანაბრად გადანაწილებული, ჩრდილოეთ შვედეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე? რატომაა თითქოს შეუძლებელი იმავეს გამეორება აფრიკაში? ევროპის წინსვლას ნამდვილად ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: მისი ენერგო რესურსების (ქვანახშირის) გეოგრაფიულმა მდებარეობამ; მოგვიანებით კოლონიების საკვებზე, ტყესა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობამ; მაგრამ ასევე მისმა სისასტიკემ, რელიგიურმა ფანატიზმმა, ორგანიზაციულმა უნარებმა, ინსტიტუციურმა შემოქმედებითობამ (მაგ., ორმაგი აღრიცხვის ბუღალტრული სისტემის შექმნამ) და ინტელექტუალურმა ცნობისმოყვარეობამ.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის რამდენიმე მექანიზმი, რომელიც ევროპული მრავალფეროვნებისა და ფრაგმენტაციის (გეოგრაფიულ, კლიმატურ,[20] ეთნიკურ და პოლიტიკურ) წიაღში იშვა. ამ მრავალფეროვნებამ და დანაწევრებამ, რომელიც აზიის მსხვილ იმპერიებში არ შეინიშნებოდა, იდეების „ბაზარზე“ალტერნატიული ხედვებისა და მიდგომების დიდი მარაგი წარმოქმნა. ამგვარმა სიმრავლემ დაპირისპირება მოიტანა, რამაც სხვადასხვა ქვეყნებს შორის გამუდმებულ ემულაციას დაუდო საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, ევროპის ისტორია არის ისტორია იმისა, თუ როგორ შეძლო ეკონომიკურმა პოლიტიკამ სიმდიდრემდე მისასვლელად, დაეძლია ის სერიოზული წინაღობები, რომელიც გეოგრაფიით, კლიმატითა და კულტურით იყო გამოწვეული. მოგზაურები, რომლებიც დადიოდნენ ისეთ შორეულ ადგილებში, როგორიც მაგალითად, 200 წლის წინანდელი ნორვეგიაა, ვერც კი იფიქრებდნენ, რომ ეს ქვეყანა ოდესმე მოახერხებდა განვითარებას.

მთავარი სტრატეგია, რამაც ევროპის ამგვარი თანაბარი განვითარება განაპირობა, იყო ის, რასაც განმანათლებელი ეკონომისტები ემულაციას[21] უწოდებდნენ და ის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებიც ემულაციის მიზნით შეიქმნა. ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი „ემულაციას“ განმარტავს, როგორც „მისწრაფებას, გაუთანაბრდე ან დაჯაბნო სხვები, ნებისმიერ მიღწევასა თუ თვისებაში; ასევე, ესაა გათანაბრების ან სხვებისთვის ჯობნის სურვილი თუ ამბიცია“. არსებითად ემულაცია შურისა და სიხარბისგან განსხვავებით, პოზიტიური და აქტიური მოქმედების მცდელობას ნიშნავდა.[22] თანამედროვე გაგებით, ემულაციის მიახლოებითი მნიშვნელობა შეიძლება მოიძებნოს ამერიკელი ეკონომისტის მოსე აბრამოვიცის (1912-2000) ტერმინოლოგიაში, რომლის ეკონომიკურ განვითარებაში

დაწევისა და გასწრების იდეები ახლოს იმყოფება დინამიური კონკურენციის მსგავს გაგებასთან.

თანამედროვე ეკონომიკა რეკომენდაციას უწევს დევიდ რიკარდოს ვაჭრობის თეორიაზე დაფუძნებული „შედარებითი უპირატესობის“ სტრატეგიას, რომლის მიხედვით, ქვეყანა უნდა სპეციალიზდებოდეს ეკონომიკის იმ დარგში, რომელშიც ის, შედარებით, ყველაზე ნაკლებად არაეფექტიანია (იხ. დანართი I). 1957 წლის „სპუტნიკის“ შოკის შემდეგ, რომელმაც გამოააშკარავა, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკას კოსმოსურ რბოლაში უსწრებდა, რიკარდოს ვაჭრობის თეორიით შეიარაღებულ სსრკ-ს შეეძლო მეცნიერულად დაემტკიცებინა, რომ აშშ-ს შედარებითი უპირატესობა ჰქონდა სოფლის მეურნეობაში და არა კოსმოსურ ტექნოლოგიებში. შესაბამისად, ამერიკას უნდა ეწარმოებინა საკვები, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირს კოსმოსურ ტექნოლოგიებზე მუშაობა უნდა გაეგრძელებინა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა შედარებით უპირატესობას, ემულაცია არჩია. 1958 წელს NASA-ს* დაარსება განმანათლებლობის სულისკვეთების საუკეთესო პოლიტიკური გამოვლინება იყო. ეს იყო ინსტიტუტი, რომელიც საბჭოთა კავშირთან ემულაციისთვის შეიქმნა, თუმცა სრულიად ეწინააღმდეგებოდა რიკარდოს ხედვებს. სინამდვილეში, რიკარდოსეულმა ეკონომიკამ შექმნა საკუთარ თავზე ორიენტირებული ლოგიკის ელემენტები, რომელიც სქოლასტიკის ყველაზე უშნო კარიკატურებს გვაგონებს. იმის გამო, რომ ემულაციის საჭიროების გამომწვევი დინამიკა თეორიიდან ამოღებულია, რიკარდოსეული აზროვნების წესს მივყავართ საღი აზრის საპირისპირო პოლიტიკურ დასკვნებამდე. ტექნოლოგიური ცვლილებისა და პროგრესის დინამიური

* NASA (National Aeronautics and Space Administration), აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო (მთარგმნელის შენიშვნა).

ელემენტები, რომლებიც მუდმივი სპეციალიზაციის ნაცვლად ემულაციის ინტუიციურ ლოგიკას ქმნიან, მასში უბრალოდ არ მოიძებნება.

მესამე სამყაროს წარმომადგენელი მკითხველებისთვის ღირს აღნიშვნად: გასაოცარია, მაგრამ წიგნის „გმირი" კონტინენტური ევროპის ეკონომისტების უმრავლესობა ეთნოცენტრისტები არ იყვნენ. ჯოვანი ბოტერომ (1544-1617), რომელმაც წარმატებით გამოიკვლია მდიდარი ქალაქების სიმდიდრის მიზეზები, დაწერა ცნობილი წიგნი მსოფლიო გეოგრაფიაზე, Relazioni Universali (უნივერალური ურთიერთობები). ამ ნაშრომში მსოფლიო კულტურების მრავალფეროვნება ენთუზიაზმითაა აღწერილი. იგი აქებს საამებს, ჩრდილოეთ სკანდინავიელ აბორიგენებს, რომლებიც ცნობილნი არიან ლურსმნის გარეშე ნავების დამზადების უნარითა და ალბათ ყველაზე სწრაფი გადაადგილების საშუალებით თოვლში – მარხილში შებმული ჩრდილოეთის ირმებით. მე-18 საუკუნის გერმანიის ორმა ყველაზე გავლენიანმა ეკონომისტმა, კრისტიან ვოლფმა (1679-1754) – ის ასევე ცნობილი ფილოსოფოსი იყო – და იოჰან ჰაინრიხ გოტლობ ფონ იუსტიმ (1717-1771), დაწერეს წიგნები, სადაც ხოტბას ასხამდნენ ჩინურ ცივილიზაციას; იუსტი ასევე ადიდებდა ინკებს.[23] ორივე მათგანი ამტკიცებდა, რომ ევროპამ უნდა მიბაძოს არაევროპულ ინსტიტუტებს. რეალურად, 1723 წელს, ვოლფს უბრძანეს დაეტოვებინა ჰალეს უნივერსიტეტი – სადაც იმ დროს პროტესტანტული მოძრაობის წევრები, პიეტისტები მძლავრობდნენ – 48 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოახრჩობდნენ მისი კომენტარებისთვის, რომელთა მიხედვითაც ჩინური ფილოსოფია და ეთიკა მიმზიდველია და მორალური ჭეშმარიტების პოვნა ქრისტიანობის მიღმაც არის შესაძლებელი. გადარჩა რა პატარა გერმანული სახელმწი-

ფოების დაპირისპირების ხარჯზე, ვოლფი გადავიდა მეზობელ ქვეყანაში, რომლის მმართველიც მის გადაბირებას საკუთარ, მარბურგის უნივერსიტეტში ცდილობდა. სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, რომ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის მნიშვნელოვანი ინგრედიენტი ევროპული ეთნოცენტრიზმის სახით მხოლოდ 1770-იან წლებში გაძლიერდა, როცა ადრინდელი „ეთნიკური ერები“ გზად გადაეღობნენ ამომავალ ერ–სახელმწიფოებსა და იმპერიებს (მე არ მიცდია, ძველი ეკონომისტების ანალიზის გატარება თანამედროვე პოლიტიკური კორექტულობის ფილტრში. როდესაც მარქსი და სხვები „ბარბაროსობასა“ და „ცივილიზაციას“ დღევანდელი „სიღარიბისა“ და „განვითარების“ მსგავსად მოიხსენიებენ, აღარ შევეხე სიტყვების თავდაპირველ ფორმულირებას).

ნაშრომი გვთავაზობს, რომ ზემოთ აღწერილი მრავალფეროვნების, ფრაგმენტაციის, ემულაციისა და დაპირისპირების გამო, ევროპაში ჩამოყალიბებული კაპიტალიზმი შეიძლება უნებლიე შედეგების სისტემად მივიჩნიოთ, რომელიც სისტემატური დაკვირვებისა და დისციპლინირების შედეგად პოლიტიკურ ინსტრუმენტებად და ინსტიტუტებად გადაიქცა. კაპიტალიზმის დანახვა „შემთხვევით“ მოვლენად აღადგენს გერმანელი ეკონომისტის ვერნერ ზომბარტის (1863-1941) ანალიტიკურ ტრადიციას, რომლის კვალსაც მოგვიანებით შუმპეტერი დაადგა. როგორც ადამ სმიტმა (1776) აღნიშნა, ჩვენ ყოველდღიურ პურს ვიღებთ არა მცხობელის გულკეთილობის, არამედ ფულის შოვნის შოვნისკენ მისი სწრაფვის შედეგად. მაშასადამე, ჩვენი კვება მცხობელის სიხარბის უნებლიე შედეგია. მართლაც, მე-18 საუკუნეში განხილვის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად შეიძლება პირადი მანკიერებები გადაიქცეს საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი. საუკუნეების მან-

ძილზე, ევროპელებს მრავალი განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ტექნოლოგიებისა და ინსტიტუტების მიმართ. მრავალფეროვნებისა და ემულაციის ნაზავმა საფუძველი დაუდო ურიცხვ თეორიულ სკოლასა და ტექნოლოგიურ პროგრესს მთელი ევროპის მასშტაბით. ამ უამრავ იდეასა და მათ პროდუქტს გამუდმებით ადარებდნენ, ხვეწდნენ და ავითარებდნენ ბაზრის მოედნებზე. ქალაქ-სახელმწიფოებს, შემდგომ კი ერ-სახელმწიფოებს, შორის კონკურენცია აფინანსებდა ინოვაციების ნაკადს, რომელიც ასევე ომსა და ფუფუნებაში, ქვეყნებსა და მათ მმართველებს შორის შეჯიბრის უნებლიე ნაყოფი იყო. როდესაც დადგინდა, რომ ომის დროს პრობლემების მოსაგვარებლად გამოყოფილი რესურსების ხარჯვა გამოგონებებითა და ინოვაციებით მთავრდებოდა, ამ მექანიზმის გადმოტანა მშვიდობიან პერიოდშიც გახდა შესაძლებელი.

ევროპელებმა ადრევე შეამჩნიეს, რომ მასობრივი სიმდიდრე გავრცელებული იყო მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც მიწათმოქმედება არ არსებობდა ან მხოლოდ უმნიშვნელო როლს თამაშობდა, და იგი მსხვილ ქალაქებში თავმოყრილი წარმოების მრავალი განსხვავებული სახეობის გვერდით მოვლენად აღიქვეს. ამ მექანიზმების გააზრების შემდეგ, ჭკვიანური ეკონომიკური პოლიტიკით სიმდიდრის გავრცელება რამდენიმე „ბუნებრივად მდიდარი“ არეალის მიღმა გახდა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ემულაციის პოლიტიკას ასევე შეეძლო სიმდიდრის გატანა მანამდე ღარიბ და ფეოდალურ სამიწათმოქმედო ტერიტორიებზე, მაგრამ ეს მასობრივ საბაზრო ჩარევებს მოითხოვდა. ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის, საბაზრო ჩარევებსა და სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას იმ ბუნებრივი და გეოგრაფიულად ხელსაყრელი პირობების ჩანაცვლება შეეძლო, რომლებმაც პირველი მდიდარი სახელმწიფოები შექმნეს.

ჩვენ შეგვიძლია უფრო შორს წავიდეთ და წარმოვიდგინოთ, რომ ექსპორტის გადასახადი ნედლეულზე და იმპორტის გადასახადი მზა პროდუქტებზე თავდაპირველად ემსახურებოდა ღარიბი ქვეყნების შემოსავლების ზრდას, თუმცა, ამ ზომების უნებლიე შედეგი იყო სიმდიდრის გაზრდა ქვეყნის შიგნით წარმოების შესაძლებლობების გაფართოებით. ამგვარი განსხვავებული განზრახვების ერთობლიობა შესამჩნევი გახდა ინგლისში ჯერ კიდევ ედვარდ III-ის (1312-1377) დროს.

ამგვარად, პაექრობამ, ომმა და ემულაციამ, ევროპაში არასრულყოფილი კონკურენციისა და მზარდი შემოსავლების დინამიური სისტემა შექმნა. ახალი ცოდნა და ინოვაციები ეკონომიკაში მზარდი მოგებისა და ხელფასების სახით გავრცელდა, ამასთანავე ამან გააფართოვა სახელმწიფო გადასახადების ბაზა. ევროპის ეკონომიკური პოლიტიკა საუკუნეების მანძილზე ემყარებოდა რწმენას, რომლის მიხედვითაც, მრეწველობის სექტორის დანერგვა გადაჭრიდა იმ დროისთვის ფუნდამენტურ ეკონომიკურ პრობლემებს და მოიტანდა უაღრესად საჭირო სამუშაო ადგილებს, უფრო მაღალ ხელფასებს, გაზრდილ საგადასახადო ბაზასა და ვალუტის უკეთეს მიმოქცევას.[24] იტალიელი ეკონომისტი ფერდინანდო გალიანი (1728-1787), რომელსაც ფრიდრიხ ნიცშე მე-18 საუკუნის ყველაზე გონიერ ადამიანს უწოდებდა, ამბობდა, რომ „მრეწველობის განვითარებისგან უნდა ელოდო კაცობრიობის ორი უმთავრესი დაავადების, ცრუმორწმუნეობისა და მონობისგან განკურნებას.“[25] სტანდარტული თეორიებით ნასწავლი ეკონომიკა, რომელიც ცდილობს ეკონომიკური განვითარების მყარი, „სრულყოფილი ბაზრებით“ ახსნას, ამას ყურადღებას საერთოდ არ აქცევს. სრულყოფილი ბაზრები ღარიბი ქვეყნებისთვისაა. ამნაირადვე უნაყოფო იქნება ამ განვითარების გაგება იმ აზრით, რომელსაც ეკონომისტე-

ბი „საბაზრო ჩავარდნას“ უწოდებენ.[26] სახელმძღვანელოებით ნაკარნახევი ეკონომიკური თეორიებისაგან განსხვავებით, ეკონომიკური განვითარება სრულყოფილი საბაზრო სისტემის გიგანტურ ჩავარდნას წარმოადგენს.

სიმდიდრის გავრცელება ევროპაში, და მოგვიანებით მსოფლიოს სხვა განვითარებულ ადგილებში, საღი ემულაციის პოლიტიკის შედეგი იყო: ბაზარი, მსგავსად ქარისა, წარმოდგენდა მოთვინიერებულ ძალას წინასწარ განსაზღვრული მიზნისა თუ დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად. თქვენ შესაძლოა სულაც არ გინდოდეთ იმ მიმართულებით წასვლა, საითაც ქარი ქრის, ან ბაზარს მიყავხართ. კუმულაციური ფაქტორები და წარსულზე დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ მიმართავს საბაზრო ქარებს პროგრესისკენ, როცა განვითარების მაღალი დონე უკვე მიღწეულია. რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო ნაკლებად უბერავს *laissez-faire* ქარები სწორი მიმართულებით. ამიტომაცაა, რომ თავისუფალი ვაჭრობის საკითხები და სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებები კონტექსტსა და სწორად შერჩეულ დროზეა დამოკიდებული. კონკრეტული გარემოებების ცოდნის გარეშე, ეკონომისტების არგუმენტები თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ ან საპირისპიროდ, ისეთივე უაზროა, როგორც ექიმების მხრიდან წამალზე საუბარი სიმპტომებისა თუ დიაგნოზის ცოდნის გარეშე.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სტანდარტულ სახელმძღვანელოებში ფატალური შეცდომაა დაშვებული, როცა არაა გათვალისწინებული კონტექსტი, რაც რაიმეს თვისობრივად გაგებას ზღუდავს. ისტორიულად, წარმატებული პოლიტიკა დამოკიდებული იყო „ბაზრის მართვასა“ (რობერტ ვეიდი) და „არასწორ ფასებზე“ (ჯონ ქენეთ გელბრაიტი და ალის ამსდენი). თავისი არსით, კოლონიალიზმი იყო სისტემა, სადაც ეს

ეფექტები გაუთვალისწინებლად მოხდა, და ჩვენი უუნარობა, დავინახოთ კავშირები კოლონიალიზმსა და სიღარიბეს შორის, უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ამ უკანასკნელის გააზრების გზაზე.[27]

რიკარდოს შედარებითი უპირატესობის დოქტრინა თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის საძირკველია. გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი, პოლ კრუგმანი, ამტკიცებს, რომ „ინტელექტუალები“ ვერ იაზრებენ შედარებითი უპირატესობის რიკარდოსეულ გაგებას, რომელიც „უკიდურესად სწორი, გამორჩეულად დახვეწილი და თანამედროვე მსოფლიოსთვის ესოდენ რელევანტურია“.[28] მე ვამტკიცებ საპირისპიროს: რიკარდოსეულმა ეკონომიკამ, რომელიც არ შეიცავს ეკონომიკური ცვლილებისა და დინამიკის თვისებრივ გაგებას, შექმნა თეორია, რომელიც ქვეყანას მხოლოდ სიღარიბეში სპეციალიზების საშუალებას აძლევს. რიკარდოს თეორიაში ეკონომიკა ერთ ადგილზე დგას, არ არსებობს პროგრესი და შესაბამისად არც ის, რისი ემულაციაც უნდა მოხდეს. დარწმუნებულმა იმაში, რომ შედარებითი უპირატესობა ღარიბთა პრობლემებს მოაგვარებდა, „ვაშინგტონის კონსენსუსმა“ მტკიცედ აკრძალა ემულაციის ინსტრუმენტები, რომლებიც, ჩვენი მტკიცებით, 500 წლის განმავლობაში – გვიანდელი 1400-იანებიდან დაწყებული, 1950-იანი და 1960-იანი წლების მარშალის გეგმით დამთავრებული – მიღწეულ შთამბეჭდავ წარმატებებს განაპირობებდა.

II თავი

ორი განსხვავებული მიდგომის ევოლუცია

მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს, როგორი პასუხების მიღება სურს თავის კითხვებზე – მარტივის თუ სასარგებლოს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა ეკონომიკურ საკითხებში, ორივეს ერთდროულად მიღება შეუძლებელია.

ჯოზეფ ალოის შუმპეტერი,
ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტი, 1932

არისტოტელეს აზრით, მსხვილი სავაჭრო ცენტრები დიდი ქალაქებიდან მოშორებით უნდა ყოფილიყო, თუმცა არქეოლოგებმა გვაჩვენეს, რომ არისტოტელეს დიდად არ უსმენდნენ; სინამდვილეში, სავაჭრო სივრცეები დიდი ქალაქების ცენტრში იყო განთავსებული. ადამ სმიტის წიგნი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776), ინგლისელებს თავისუფალი ვაჭრობისადმი გახსნილობას ურჩევდა, თუმცა ისტორია გვეუბნება, რომ რეალურად, სმიტის წიგნის გამოსვლიდან პირველი ასი წლის განმავლობაში, ინგლისში უფრო მეტი საბაჟო გადასახადი იყო აკრეფილი, ვიდრე საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ დღეს პროტექციონიზმის ბასტიონად სწორედ ეს უკანასკნელი ითვლება. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ინგლისი სმიტისეული ჩაურევლობის პოლიტიკითა და თავისუფალი ვაჭრობით გამდიდრდა, თუმცა ეკონომიკის ისტორიკოსები, რომლებიც სიღრმისეულად იკვლევენ ამ საკითხს, სრულიად სხვა შედეგამდე მიდიან. ახლახან უილიამ ეშვორთი მივიდა დასკვნამდე, რომ: „თუკი არსებობდა ინგლისურ/ბრიტანული გზა ინდუსტრიალიზაციამდე, მაშინ ეს გზა უფრო ნაკლებად იყო კავშირში გამორჩეულ სამეწარმეო

და ტექნოკრატიულ კულტურასთან, ვიდრე ინსტიტუციურ ჩარჩოსთან, რომელიც აღჭურვილი იყო აქციზის გადასახადითა და ტარიფების კედლით".[1]

დღეს ჩიკაგოელი ეკონომისტები, რომლებიც, გლობალიზაციის თანამედროვე ტალღისა და ვაშინგტონის ინსტიტუტების თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენენ, პირდაპირ აუწყებენ დანარჩენ მსოფლიოს, რომ სახელმწიფო და მუნიციპალური მთავრობები ეკონომიკაში არ უნდა ჩაერიონ. სინამდვილეში, ჩიკაგოს მერი დალეი, საჯარო ფონდებიდან ასობით მილიონ დოლარს ხარჯავს სახელმწიფო მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების ინკუბატორების განვითარებისთვის. თავად ქალაქ ჩიკაგოშიც კი, სხვაობა რიტორიკასა და რეალობას შორის უზარმაზარია.

ვაშინგტონში, ამერიკის მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, კერძო ამერიკული კომპანიების დახმარების მიზნით, ფედერალური ბიუჯეტიდან ყოველწიურად 20 მილიარდ დოლარზე მეტს გასცემს სესხებისა და გარანტიების სახით. შორიახლოს მდებარე ვაშინგტონის ინსტიტუტები – მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი – კვლავ აგრძელებენ თავიანთ ტრადიციულ პოლიტიკას ღარიბი ქვეყნებისთვის ისეთი „მოთხოვნების" წაყენებით, რომლებიც ამ ქვეყნებს მესამე სამყაროში მსგავსი ინსტიტუტების ჩამოყალიბების საშულებას არ აძლევენ. რამდენიმე წლის წინ ალაბამას შტატმა მერსედეს-ბენცის ქარხანას 253 მილიონი დოლარის სუბსიდია მისცა. შტატის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ საწარმოს არსებობამ იმდენად დიდი შემოსავალი მოიტანა, რომ დანახარჯი 5 წელში დაიფარა, რამაც ოთხი სხვა ახალი ავტოქარხნის გახსნას მისცა სტიმული.[2] ეს არის იგივე ლოგიკა, რომელსაც ისტორიულად ღარიბი ქვეყნები მისდევდნენ ინდუსტრიალიზაციის დროს,

თუმცა ეს, როგორც წესი, ტარიფების და არა პირდაპირი სუბსიდირების გამოყენებით ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ამ შემთხვევაში ხარჯები მთლიან მოსახლეობას აწვება, სამომავლოდ მას უფრო მეტი შემოსავლის მიღების საშუალება გაუჩნდება. ამგვარი ლოგიკა ყოველთვის აბალანსებს მომხმარებლების მოკლევადიან და შემდგომ – უკვე მწარმოებლების რანგში – მათსავე გრძელვადიან ინტერესებს, რადგან მომავალში ისინი მეტ სამუშაო ადგილსა და გაზრდილ ხელფასებს მიიღებენ. Newsweek-მა ხოტბა შეასხა ალაბამას შტატის სამეწარმეო ინიციატივებს, თუმცა, როგორც წესი, იგი აკრიტიკებს ღარიბ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ იმავე სახის მექანიზმების გამოყენებას. ეჭვგარეშეა, რომ ტრადიციული ეკონომისტები გააკრიტიკებენ როგორც ამერიკის მცირე ბიზნესის ადმინისტრაციას, ისე ალაბამას ინდუსტრიულ პოლიტიკას. დედააზრი კი იმაშია, რომ მათ ამერიკაში არავინ ითვალისწინებს, რადგან აბსტრაქტული, „მაღალი თეორია“ მხოლოდ ღარიბი ქვეყნების პოლიტიკის დაგეგმისთვის გამოიყენება.

პრაქტიკული კუთხით რომ შევხედოთ, გამოდის, რომ ქედმაღლური რიტორიკა მხოლოდ ექსპორტზე გასატანადაა საჭირო, მაშინ, როცა სრულიად განსხვავებული პრაგმატული პრინციპები შიდა რეალობისთვის გამოიყენება. ჯორჯ უ. ბუში ყველასთვის სასარგებლო თავისუფალ ვაჭრობას ქადაგებს. სინამდვილეში, შეერთებული შტატები სუბსიდიებს აძლევს და იცავს მთელ რიგ წარმოებებს, დაწყებული სოფლის მეურნეობით, დამთავრებული მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიით. პოლ კრუგამნი, რომელსაც ამერიკის გარეთ საკმაოდ დიდი გავლენა აქვს სავაჭრო და ინდუსტრიულ პოლიტიკაზე, წუხს, რომ შეერთებულ შტატებში არავინ ითვალისწინებს დამკვიდრებულ რიკარდოსეულ სავაჭრო თეორიას: „გადაწყვეტილებების მიმღებებს,

ბიზნეს ლიდერებსა და გავლენიან ინტელექტუალებს შორის ვაჭრობა კვაზი–სამხედრო მეტოქეობად აღიქმება... მხოლოდ ეკონომიკას არ დაუკარგავს კონტროლი დისკურსზე; ის იდეები, რომელსაც სტანდარტული ეკონომიკური სახელმძღვანელოები გვთავაზობენ საერთოდ ვერ აღწევენ ამ დისკურსში...“[3]

აქ მნიშვნელოვანი მოდელი იკვეთება: დამფუძნებელი მამებიდან მოყოლებული, შეერთებული შტატები მუდმივად გახლეჩილია ორ ტრადიციად, რომლის ერთ მხარესაა ალექსანდერ ჰამილტონის (1755-1804) ქმედითი პოლიტიკა, მეორე მხარეს კი თომას ჯეფერსონის (1743-1826) მაქსიმა, რომლის მიხედვითაც „მთავრობა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მართავს, მართავს საუკეთესოდ“. 1791 წელს, ამერიკაში პირველი ცენტრალური ბანკის დაარსების უკან მდგომი მთავარი ფიგურა ალექსანდერ ჰამილტონი იყო, მაშინ, როდესაც თომას ჯეფერსონი ეწინააღმდეგებოდა ბანკის არსებობას და 1811 წელს დიდი წვლილი შეიტანა მის დახურვაში. დროის დინებამ და ჩვეულმა ამერიკულმა პრაგმატიზმმა დაპირისპირება ისე მოაგვარა, რომ ჯეფერსონის მომხრეები რიტორიკას, ხოლო ჰამილტონის მომხრეები პოლიტიკას წარმართავდნენ. თანამედროვე ეკონომიკურ თეორეტიკოსებს მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ ჯეფერსონისეულ/რიკარდოსეული რიტორიკის წარმოების სახით, რომელიც, როგორც ზემოთაა ნახსენები (პოლ კრუგმანი), შიდა ბაზარზე საკმარისი ავტორიტეტით ვერ სარგებლობს.

ამ მხრივ ამერიკა ინგლისის მაგალითს მისდევს. 1820-იან წლებში, წარმომადგენელთა პალატის წევრმა აღნიშნა, რომ ინგლისური პროდუქტების უმეტესობის მსგავსად, დევიდ რიკარდოს თეორია ექსპორტისთვისაა შექმნილი. შედეგად, 1820-იანი წლების ამერიკული მაქსიმა, „არ გააკეთო ის, რასაც ინგლისელე-

ბი გეუბნებიან, გააკეთე ის, რაც ინგლისელებმა გააკეთეს“ დღეს უმტკივნეულოდ შეიძლება გადაკეთდეს შემდეგნაირად: „არ გააკეთო ის, რასაც ამერიკელები გეუბნებიან, გააკეთე ის, რაც ამერიკელებმა გააკეთეს“.

მდიდარ ქვეყნებს აქვთ მიდრეკილება ღარიბ სახელმწიფოებს ძალით მოახვიონ თავს ის თეორიები, რომლებსაც თავად არასდროს მისდევდნენ და, ალბათ, არც არასდროს გაჰყვებიან. შესაბამისად, „მაღალი თეორიის“ მიღმა ყურება იმის გასაგებად, თუ რა ხდება რეალობაში, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ეკონომიკური აზრის ისტორიისგან (რა თეორიები უნდა განხორციელებულიყო) განსხვავებით, ეკონომიკური პოლიტიკის ისტორია (რა პოლიტიკა უნდა გატარებულიყო) არარსებული აკადემიური დისციპლინაა. თორსტაინ ვებლენმა ერთმანეთისგან განასხვავა ეზოთერული თეორიები – აბსტრაქტული თეორიები, რომელიც მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი – და ეგზოტიკური თეორიები – პრაქტიკული თეორიები, რომელიც ყველასთვის გასაგები იყო. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ეზოთერულ თეორიებს იმაზე ბევრად ნაკლები პრაქტიკული გავლენა ჰქონდათ, ვიდრე ეკონომიკური მეცნიერებების ისტორიკოსებმა დაგვაჯერეს. მიუხედავად ამისა, ადამ სმიტიდან მოყოლებული, ეს ეზოთერული თეორიები წარმატებით გამოიყენეს პროპაგანდისტული მიზნების იდეოლოგიურ საყრდენად. ამის კარგი მაგალითია დღევანდელი გაბატონებული საერთაშორისო ვაჭრობის თეორია, რომელიც „ადასტურებს“, რომ წმინდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა თანაბრად მდიდარი იქნება.

მსგავსი დაკვირვება იმის შესახებ, რომ ყველაზე მდიდარ ქვეყნებს, ჩვეულებრივ, იმაზე გაცილებით მეტი სავაჭრო შეზღუდვა აქვთ, ვიდრე მათი იდეოლოგია ასწავლის, მე-18 საუკუ-

ნეში იტალიელმა ეკონომისტმა ანტონიო ჯენოვეზიმ გააკეთა (1712-1769):

არსებობენ ისინი, ვინც ვაჭრობის თავისუფლებაში ორ რამეს მოიაზრებენ: პირველი, მწარმოებლებისთვის სრული ნებართვის მიცემას, იმუშაონ ნებისმიერი რეგულაციის გარეშე, იქნება ეს ზომა, წონა, ფორმა, ფერი თუ სხვა რამ, და მეორე – მასზე არანაკლებ უნივერსალური – ვაჭრებისთვის ნების დართვას, მიმოქცევაში ჩაუშვან, გაიტანონ და შემოიტანონ ყველაფერი, რასაც ისურვებენ, ყოველგვარი შეზღუდვის, აქციზის, ტარიფისა თუ საბაჟო გადასახადის გარეშე. მაგრამ ეს თავისუფლება, დედამიწის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს (შესაძლოა მხოლოდ მთვარეზე): პირიქით, მას ყველაზე ნაკლებად შეხვდებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც ვაჭრობა ყველაზე უკეთ ესმით.[4]

ამასთან, ისტორიულად, გლობალური თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს ქიმერას და ისინი, ვინც განვითარების გარდამტეხ მომენტებში ყველაზე ნაკლებად იწამა მისი, მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ეკონომიკების მქონე ქვეყნებად იქცნენ. დღევანდელი სტანდარტული არგუმენტი გვეუბნება, რომ სიმდიდრე მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკის „ღიაობასთან“. ეს ჰგავს უნივერსიტეტის სტუდენტების შემოსავლების შედარებას შრომის ბაზარში ჩაბმული უმაღლესდამთავრებულების შემოსავლებთან, და შემდეგ იმის თქმას, რომ განათლებას შემოსავალი არ მოაქვს, რადგან უნივერსიტეტის სტუდენტებს უფრო დაბალი ხელფასები აქვთ. წარსულში, მრეწველობის სექტორის საპროტექციო პერიოდი, დღესდღეობით უკვე მდიდარი ყველა სახელმწიფოსთვის სავალდებულო იყო. ამ პერიოდის საგანმანათლებლო ფუნქცია გამოხატულია გერმანულ ენებში დამკვიდრებული ტერმინით „აღმზრდელობითი ტარიფები“ (Erziehungszoll, opp fostringstoll). შესაბამისი ინგლი-

სური ტერმინი „ჩანასახოვანი ინდუსტრიების მფარველობა“ იყო, რის აუცილებლობასაც, თავის მხრივ, ყველა ხვდებოდა. იმ ქვეყნების შედარება, რომლებმაც გაიარეს ეს ეტაპი, მათთან, რომლებსაც ეს ეტაპი არ გაუვლიათ, უბრალოდ უაზრობაა.

სხვაობა რიტორიკასა და რეალობას შორის კიდევ უფრო პრობლემური ხდება, როდესაც ერთი და იგივე თეორეტიკოსები სხვადასხვა თეორიებს სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ. პრობლემები, რომლებიც შორეულ ქვეყნებს აწუხებთ, ეზოთერული და აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე გვარდება. როდესაც რომელიმე პრობლემა თავს განვითარებულ ქვეყანასთან ახლოს იჩენს, საღი აზრი, პრაგმატიზმი და გამოცდილება ერთვება საქმეში. ადამ სმიტი, რომლის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ ამერიკის რევოლუციის დროს გამოიცა, ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები სასიკვდილო შეცდომას დაუშვებდა, მრეწველობის ინდუსტრიის პროტექციას თუ შეეცდებოდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც 1776 წელს ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ედო საფუძვლად, მდგომარეობდა იმაში, რომ როგორც კოლონიზატორებს სჩვეოდათ, ინგლისმაც აკრძალა გადამამუშავებელი წარმოება ამერიკულ კოლონიებში (გამონაკლისი იყო გუდრონი და გემის ანძები, რომელიც ინგლისს სჭირდებოდა). აღსანიშნავია, რომ იმავე წიგნში (თუმცა მის სხვა ნაწილში) ადამ სმიტი აცხადებდა, რომ ომში გამარჯვება მხოლოდ საკუთარი სამრეწველო ინდუსტრიის მქონე ერებს შეუძლიათ. ალექსანდერ ჰამილტონს, ამერიკის პირველ ფინანსთა მინისტრს, წაკითხული ჰქონდა ადამ სმიტის შრომები და, შესაბამისად, ამერიკის ინდუსტრიული და სავაჭრო პოლიტიკა ჭკვიანურად დააფუძნა სმიტის გამოცდილებით ნაკარნახევ მტკიცებაზე, რომ მხოლოდ

მრეწველობის მქონე ქვეყნები იმარჯვებენ ომში, და არა მის თეორიულ მოსაზრებებზე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

ინგლისის პრაქტიკისა და არა მისი თეორიის მიბაძვით, შეერთებული შტატები, საკუთარი გადამამუშავებელ წარმოებას დაახლოებით 150 წლის განმავლობაში უწევდა პროტექციას. დღევანდელი ეკონომიკური წესრიგის საბაზისო თეორია ამტკიცებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა მიგვიყვანს საწარმოო ფაქტორებზე ფასების გათანაბრებამდე (factor-price equalization), რომლის მიხედვითაც ფასი სამუშაო ძალასა და კაპიტალზე მთელ მსოფლიოში ერთნაირი იქნება. ძალიან ცოტა ეკონომისტი თუ ეუბნება საკუთარ შვილებს, რომ მათ შეუძლიათ ჭურჭლის მრეცხავად დაიწყონ მუშაობა, რაშიც მათ შესაძლო „შედარებითი უპირატესობა“ ექნებათ, ვიდრე ეცადონ გახდნენ ადვოკატები ან ექიმები, რადგან წარმოების ფაქტორების ფასი საცაა გათანაბრდება. ისევე როგორც სხვა დანარჩენი მოქალაქეები, ეკონომისტებიც კარგად აცნობიერებენ, რომ არჩეული ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი შვილების ცხოვრების ხარისხს. იმავე ეკონომისტებს არ შეუძლიათ საერთაშორისო დონეზე ამ შეხედულების გატანა, ვინაიდან მათი ინსტრუმენტები იმდენად აბსტრაქტულია, რომ ფაქტობრივად არც ერთ მათგანს არ შესწევს ძალა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა ერთმანეთისგან თვისობრივიდ გააარჩიონ. ამ დონეზე, სტანდარტული ეკონომიკური თეორია „ამტკიცებს“, რომ ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭებისა და ჭურჭლის მრეცხავი ადამიანების წარმოსახვითი ქვეყანა შექმნის იმავე მოცულობის დოვლათს, რასაც ადვოკატებისა და აქციებით მოვაჭრეების ქვეყანა აწარმოებს. ამის შემდეგ, ეკონომისტები აფრიკელ ბავშვებს აძლევენ რეკომენდაციებს იმ სრულიად გასხვავებულ შეხედულებებზე დაყრდნობით, რომლებსაც

ისინი საკუთარი შვილებისთვის რჩევა-დარიგეგების მისაცემად იყენებენ. როგორც თორსტაინ ვებლენმა აღნიშნა ამგვარი პრობლემის შესახებ: ეკონომისტების ინსტინქტებს მათი განათლება აქვეითებს.

ქვეყნის სპეციალიზება მისი „შედარებითი უპირატესობის“ მიხედვით, ნიშნავს იმას, რომ მისი სპეციალიზაცია იმ სფეროებში ხდება, რომელშიც ის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ეფექტიანია. დანართი 1 აჩვენებს, თუ როგორ ეხმარება ვაჭრობის თეორია ქვეყანას, მიაღწიოს „შედარებით უპირატესობას“ ღარიბად და უმეცრად ყოფნაში. ეს ხდება იმის გამო, რომ თეორია, რომელიც საფუძვლად უდევს დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს, ემყარება ქვეყნებს შორის ერთი და იმავე რაოდენობის სამუშაო საათების გაცვლას – რომელიც დაცლილია თვისებრივი მახასიათებლებისგან – სამუშაო საათებზე, იმ სისტემაში, სადაც წარმოება არ არსებობს. რიკარდოს ვაჭრობის თეორია ქვის ხანის სამუშაო საათს უთანაბრებს სილიკონის ველის სამუშაო საათს და ამის მიხედვით აკეთებს პროგნოზს, რომ ამ ორი ტიპის ეკონომიკას შორის ინტეგრაცია ეკონომიკურ ჰარმონიასა და ხელფასების გათანაბრებას მოიტანს.

ფართო გაგებით, შესაძლებელია ეკონომიკური თეორიის ორი ძირითადი ტიპის გამოყოფა. პირველი დაფუძნებულია ბუნების, ჩვეულებრივ ფიზიკის მეტაფორებზე. ამის მაგალითია ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „უხილავი ხელი“, რომლის წყალობით დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს (გვიანდელი 1700-იანები) ან ეკვილიბრიუმის მეტაფორა, რომელიც 1880-იანი წლების ფიზიკას ემყარება. იმას, რასაც ეს წიგნი „სტანდარტულ სახელმძღვანელოს“ უწოდებს, საფუძვლად ეკვილიბრიუმის მეტაფორა უდევს, რომელიც თავად ფიზიკოსებმა 1930-იან წლებში უარყვეს. ეს თეორია აგებულია ზემოდან ქვემოთ მიმარ-

თულ აბსტრაქტულ ცნებაზე, „იყო ეკონომისტი“ არსებითად ნიშნავს გაანალიზო სამყარო იმ სათვალითა და ინსტრუმენტებით, რომელსაც ეს მეტაფორა გთავაზობს. ეს ის თეორიაა, რომელიც აფრიკელ ბავშვებზე გამოიყენება.

მეორე ტიპის ეკონომიკური თეორია ეფუძნება გამოცდილებას, რომელიც ქვემოდან ზემოთაა მიმართული და, ხშირად, თეორიად გარდაქმნამდე პრაქტიკულ პოლიტიკასაც შეიცავს. ვენეციის ქალაქ-სახელმწიფო საუკუნეების მანძილზე მისდევდა გარკვეულ ეკონომიკურ პოლიტიკას, მანამდე დიდი ხნით ადრე, სანამ ანტონიო სერა მას თეორიად აქცევდა და მის წარმატებას ახსნიდა, ისევე, როგორც ქვის ხანის ტომები, თავის ტკივილის სამკურნალოდ, ტირიფის ქერქს მანამდე ათასობით წლით ადრე ღეჭავდნენ, სანამ ბაიერი მის აქტიურ ნივთიერებას „სალიცილის მჟავას“ (salix = ტირიფს) დაარქმევდა და ასპირინს გამოუშვებდა. მსგავსად ამისა, ადრეულ შუასაუკუნეებში, ხმელთაშუა ზღვაში მოცურავე მეზღვაურებს, სურავანდის თავიდან აცილების მიზნით თან მიჰქონდათ ფორთოხალი და ლიმონი, მაშინ, როდესაც ვიტამინი C საუკუნეებით გვიან, 1929 წელს მიიღეს (გამოყვეს). დაავადების, ეკონომიკის ან სხვა რაიმეს მკურნალობა უბრალო სწორი დასკვნების გამოტანის საფუძველზეა შესაძლებელი, მექანიზმების მოქმედების ბოლომდე გაცნობიერების გარეშე.

ეკონომიკის ეს ნაკლებად აბსრაქტული ტიპი, ჩვეულებრივ, ბიოლოგიის, და არა ფიზიკის, მეტაფორებს ემყარება. მას მერე, რაც დაახლოებით ჩვ.წ. 400 წელს რომის სამართლის კოდიფიკაცია მოხდა, სოციალურ მეცნიერებებში მეტაფორად ადამიანის სხეული გამოიყენება. ამის საუკეთესო მაგალითია თომას ჰობსის „ლევიათანი“, რომელიც მისი პოლიტიკური ანალიზითა და ყდაზე გამოხატული შთამბეჭდავი ნახატით წარმოაჩენს,

რომ სახელმწიფო პირდაპირი გაგებით მისი მოქალაქეებისგან შედგება.[5] ეს თეორია ეფუძნება შესასწავლი „სხეულის“ თვისებრივ და ჰოლისტურ გაგებას და ქმნის ცოდნას, სადაც ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა სინერგია ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ ნაწილებს შორის, არ დაიყვანება ციფრებსა და სიმბოლოებამდე. ჩარლზ დარვინმა (1809-1882) ახალი ბიოლოგიური მეტაფორა შემოიტანა, სადაც, ინოვაციების მსგავსი საზოგადოებრივი ცვლილებები, ბუნებაში მიმდინარე მუტაციებს გვაგონებს. მისი თეორიული მოწინააღმდეგე, ფრანგი ნატურალისტი ჟან ბატისტ ლამარკი (1744-1829) იმ აზრზე იდგა, რომ შეძენილი მახასიათებლების მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებელია. რეალურად, ამ ორი ადამიანის მიდგომები, ბიოლოგიურიდან ეკონომიკურ ველში გადასვლისას, ერთმანეთს კარგად ავსებენ. ლამარკის მეტაფორა ზუსტად ერგება ეკონომიკას, ვინაიდან ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება თაობიდან თაობამდეა შესაძლებელი. ეს გამოცდილებაზე დაფუძნებული თეორია, რომელიც ღიაა სინერგიისა და ცვლილების მიმართ, გამოიყენება ეკონომისტების მიერ, როცა უბრალო ინდივიდების რანგში, მათ შეუძლიათ თვისებრივად განასხვავონ ერთმანეთისგან ეკონომიკური აქტივობები და ამის საფუძველზე ურჩიონ საკუთარ შვილებს, არ სპეციალიზდნენ ჭურჭლის რეცხვაში მათი შედარებითი უპირატესობიდან გამომდინარე.

ყველა ამ მეტაფორას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. ზედმეტად აბსტრაქტული მეტაფორები ფიზიკიდან, საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავენ რეკომენდაციებს იმის შესახებ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ერთ დონეზე დაიყვანს მდიდარი და ღარიბი ქვეყნების შემოსავლებს (წარმოების ფაქტორების ფასების გათანაბრება). მთავარი პრობლემა არის ის, რომ

ფიზიკაზე დამყარებულ ეკონომიკას არ ძალუძს ეკონომიკურ საქმიანობებს შორის თვისებრივი განსხვავებების დანახვა, რომელიც საბოლოოდ შემოსავლებში დათვლად სხვაობად გარდაიქმნება. აბსტრაქტულ ფიზიკაზე დაფუძნებული მოდელები კარგავენ აღორძინების ხანისა და ტაქსონომიის მიერ შობილ შემოქმედებით ელემენტებს, რომლებიც მრავალფეროვნებაში წესრიგს ქმნიან, ეს კი განმანათლებლობის ძირითად კონტრიბუციას წარმოადგენს. განათლების დონის მიუხედავად, რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მომუშავე ადამიანის ჯამაგირი ვერასდროს გაუტოლდება მაღალი ტექნოლოგიების ინჟინრის ხელფასს. პროფესიის შეცვლის გარეშე, ჭურჭლის მრეცხავი ნებისმიერ შრომით ბაზარზე შედარებით სიღარიბეში სპეციალიზდება. ფიზიკაზე დამყარებული მეტაფორებით მომუშავე ეკონომისტებისთვის წარმოუდგენელია ის, რომ სახელმწიფოებსაც შეუძლიათ სპეციალიზდნენ სიღარიბეში, ვინაიდან მათი თეორია არ შეიცავს ინსტრუმენტებს, რომლითაც თვისებრივად განსხვავებული ეკონომიკური საქმიანობების დაყოფა მოხდებოდა. გამომდინარე აქედან, ეს ეკონომისტები არ ეთანხმებიან იმას, რომ ყველა თანამედროვე მდიდარი ქვეყნის მსგავსად, ღარიბი ქვეყნებიც უნდა ეცადონ ისეთ ეკონომიკურ აქტივობებში ჩაბმას, რომლებიც მათი შემოსავლების ზოგად დონეს გაზრდიდა. ფიზიკაზე დამყარებულ მოდელებს ასევე არ შეუძლიათ სიახლისა და ინოვაციების გაგება: იმის გააზრება, რომ სამყაროში შესაძლოა რაღაც თვისობრივად ახალი მოხდეს. ისინი ასევე ყურადღების მიღმა ტოვებენ სინერგიებს, კავშირებსა და სისტემურ ეფექტებს, რომლებიც ეკონომიკასა და საზოგადოებას მჭიდროდ აკავშირებენ. მარგარეტ ტეტჩერის მტკიცება, რომ „საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არსებობს“ თანამედროვე ეკონომიკის სახელმძღვანელოების პირდაპირ და ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენს.

ფრენსის ბეკონი (1561-1626) მნიშვნელოვანი ფიგურაა გამოცდილებაზე დაფუძნებული ეკონომიკის ისტორიაში. ბეკონს არაკომერციული შემეცნებითი სულისკვეთება ამოძრავებდა, ის, რასაც ვებლენი „უბრალო ცნობისმოყვარეობას“ უწოდებს. გასაკვირი არაა, რომ ბეკონი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, რომელიც მას ქარბუქის დროს თოვლში ქათმების ჩაფვლისას დაემართა, როდესაც ხორცის შენახვაზე ყინვის ეფექტს ცდიდა. ქათმები ყინვამ კი შეინახა, მაგრამ ბეკონი გარდაიცვალა. რეაქციები დევიდ რიკარდოს აბსტრაქტულ თეორიებზე – ინგლისში რევერენდ რიჩარდ ჯოუნსის (1831),[6] ხოლო ამერიკაში ჯონ რეის (1834)[7] მიერ – არსებითად ეკონომიკის რე-ბეკონიზაციის მცდელობა იყო. თუმცაღა, ამგვარი, გამოცდილებაზე დაფუძნებული ეკონომიკა, როგორც წესი, ბიოლოგიურ მეტაფორებს ემყარება, ეს მეტაფორები შედარებით არაზუსტია და ნათელ პასუხებსაც არ გვთავაზობს. გამოცდილებაზე დაფუძნებული თეორიები წინა პლანზე წევენ კომპრომისებს, რომელიც ფიზიკაზე დამყარებულ თეორიებში თითქმის არ გვხვდება, რადგან ეს თეორიები ერთი და იმავე ეკონომიკური პოლიტიკის წახალისებას კონტექსტის მიუხედავად ცდილობენ („ერთი ზომა ერგება ყველას“). მაგალითად, ბევრ შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობა სრულიად აუცილებელია სიმდიდრის შესაქმნელად, მაგრამ ზოგჯერ, იმავე თავისუფალმა ვაჭრობამ, შესაძლოა, ქვეყნის სიმდიდრის შემცირება გამოიწვიოს. ამგვარად, ისევე როგორც მოცემული თავის დასაწყისში მოყვანილი შუმპეტერის ციტატაშია, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკა გვაყენებეს არჩევანის წინაშე, რომლის ერთ მხარესაა არცთუ ისე რელევანტური მარტივი პასუხები, ხოლო მეორე მხარეს, უფრო რელევანტური, შედარებით რთული ახსნები.

ადამიანის სხეულის საზოგადოების მეტაფორად გამოყ-

ენებას ის უპირატესობა აქვს, რომ ხაზს უსვამს ეკონომიკურ სისტემაში არსებულ სინერგიებს, ურთიერთკავშირსა და ურთიერთშევსებებს. ფიზიკაზე დამყარებული მეტაფორებისგან განსხვავებით, სხეულის გამოყენება წარმოაჩენს იდეას, რომ ადამიანები, როგორც შემოქმედებითი გონის მქონე სულიერი არსებები, ეკონომიკურ ფაქტორს წარმოადგენენ. საბოლოოდ, ადამიანის მიერ შექმნილი ეკონომიკური საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ის, რასაც ფრიდრიხ ნიცშე „სულისა და ნების კაპიტალს“ უწოდებს: ახალი ცოდნა, წარმოება და ორგანიზაციული შესაძლებლობები, იქნება ეს კერძო თუ სახალხო. ბოლო დროს, თანამედროვე ევოლუციური ეკონომიკები ამ ელემენტების ხელახლა დაუფლებას და მესამე სამყაროში ინდუსტრიულ პოლიტიკაზე მორგებას ცდილობენ. დროთა განმავლობაში, ეს შეიძლება ჰეილბრონერის „მიწიერი ფილოსოფოსების“ შემცვლელად იქცეს.

მიუხედავად ამისა, ზედმეტი პოლემიკა საჭირო არ არის, ვინაიდან ეკონომიკური აზროვნების ეს ორი ტიპი მრავალმხრივ ავსებს ერთმანეთს. როგორც ბრიტანელმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმა (1842-1924) დაახლოებით ერთი საუკუნის წინ აღნიშნა,[8] ორივე მათგანი გვჭირდება, ზუსტად ისე, როგორც მარჯვენა და მარცხენა ფეხი სიარულისთვის. ფიზიკაზე დაფუძნებული ეკონომიკა ქმნის წესრიგის ილუზიას ჩვენ გარშემო არსებულ ქაოსში, მაგრამ აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ეს საფარველი მსოფლიო ეკონომიკიდან მთელი რიგი თვისებრივი ასპექტების ამოღების ხარჯზე შეიქმნა. იმის დავიწყებამ, რომ ფიზიკაზე დაფუძნებული მოდელები თავად არ არსებობენ და სინამდვილეში რეალობის უკიდურესად გამარტივებულ ნიმუშებს წარმოადგენენ, შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომები გამოიწვიოს. ამგვარი შეცდომის ერთ-ერთი მაგალითი გლო-

ბალიზაციის შოკური თერაპიის ფორმით დაწყებაა. წინასწარ ნავარაუდევი საწარმოო ფაქტორების ფასების გათანაბრების ნაცვლად, დღეს საწარმოო ფაქტორების ფასების პოლარიზაციას არაერთ ქვეყანაში ვხვდებით. მდიდარი სახელმწიფოები მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები ღარიბდებიან. მსოფლიო საზოგადოებას არასასურველი შედეგების გამოსასწორებლად დიდი დრო სჭირდება, ვინაიდან ფიზიკაზე დაფუძნებული თეორიული მოდელი ამ მოვლენებს ვერ აღიქვამს. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი მოდელები, რომლებმაც დისკურსი მთლიანად დაიკავეს, გამორიცხავენ იმ ფაქტორებს, რომელთა საშუალებითაც დღვლათის შექმნა ხდება, ფაქტორებს, რომლებიც გავრცელებულია მდიდარ და არა ღარიბ ქვეყნებში: დეფექტური კონკურენცია, ინოვაციები, ეკონომიკურ სექტორებს შორის სინერგია, მასშტაბისა და შესაძლებლობების შესაფერისი ეკონომიკები და ის ეკონომიკური აქტივობები, რომლებიც ამ ფაქტორებს ხელს უწყობს. ჩვენ ამ ფაქტორებს მოგვიანებით დავუბრუნდებით.

გამოცდილებაზე დაფუძნებული ალტერნატიული ეკონომიკა და მისი მეთოდოლოგია, რომელიც ჯერ კიდევ გამოიყენება ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, წიგნში კოლექტიურად „სხვა კანონის“ სახელით იქნება მოხსენიებული.[9] „სხვა კანონი“ არის კონცეფცია, რომელიც თავს უყრის იმ ეკონომიკურ მიდგომებსა და თეორიებს, რომლებიც თეორეტიზაციის საწყის წერტილად დაკვირვებად ფაქტებს, გამოცდილებასა და მიღებულ გაკვეთილებს იყენებენ. გვიანდელი 1400-იანი წლებიდან მოყოლებული, მხოლოდ სხვა კანონის ტიპის ეკონომიკამ – დაჟინებული მტკიცებით იმისა, რომ ეკონომიკური აქტივობები თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან ზრდის მოტანის შესაძლებლობის მიხედვით – სიღარიბიდან არაერთი ქვეყნის

ამოყვანა მოახერხა. როგორც კი ეკონომიკურ ზრდას მიაღწიეს, ჰეგემონმა სახელმწიფოებმა რიგრიგობით დაიწყეს ბიოლოგიაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან ფიზიკაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლა, როგორც ეს ინგლისმა მე-18 საუკუნის ბოლოს, ხოლო ამერიკამ მე-20 საუკუნის შუაში გააკეთა. იმისთვის, რომ გავიგოთ როგორ მუშაობდა მათი პოლიტიკა და რატომ შეიცვალნენ ეს წარმატებული ერები, „სხვა კანონის“ დეტალურად შესწავლა მოგვიწევს.

საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული იყო მხოლოდ გამოცდილებაზე დაფუძნებული ეკონომიკური თეორია. დღევანდელი სტანდარტული აბსტრაქტული თეორია 250 წელზე ნაკლებია რაც არსებობს და მის ფესვებს ფიზიოკრატულ სკოლამდე მივყავართ, რომელიც მხოლოდ მოკლე პერიოდი მართავდა რევოლუციამდელი საფრანგეთის ეკონომიკურ პოლიტიკას. ინდუსტრიული რევოლუციის ბოლომდე მოძლიერების შემდგომ, ადამ სმიტი წერისას, მიუხედავად იმისა, რომ ის თანამედროვეებს ანტი-ფიზიოკრატად მიაჩნდათ, რამდენიმე ფიზიოკრატულ სწავლებას იყენებდა. აბსტრაქტული მოდელის ჩამოყალიბება მხოლოდ დევიდ რიკარდოსა და მისი „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლებთან“ (1817) ერთად მოხდა. როგორც ჩვენ ვნახავთ, სამ ისტორიულ შემთხვევაში, როდესაც ამ აბსტრაქტული პრინციპების გამოყენება არასწორ კონტექსტში მოხდა, მათ დეპრივაცია, შიმშილი და უზარმაზარი სოციალური პრობლემები გამოიწვიეს.

ცივი ომის მსოფლმხედველობამ გამოცდილებაზე დაფუძნებული „სხვა კანონის“ ტრადიციის ფაქტობრივი განადგურება გამოიწვია. რიკარდოს თეორია გახდა ერთადერთი არჩევანი, როგორც პოლიტიკური მემარცხენეებისთვის, ასევე მემარჯვენეებისთვის. ილუსტრაცია 2 წარმოგვიდგენს ეკონომიკის

გენეალოგიურ ხეს, რომელიც პოლ სამუელსონის ეკონომიკის წიგნის უკანა ყდის შიდა მხარეზე დაიბეჭდა – იმ სახელმძღვანელოსი, რომლითაც თაობების მანძილზე ეკონომიკა ისწავლებოდა. ორივეს – კომუნიზმისა და ლიბერალიზმის, ორივეს – იოსებ სტალინისა და მილტონ ფრიდმანის, ისტორიული ფესვები დევიდ რიკარდოს უკავშირდება. მაშასადამე, ცივი ომი არსებითად წარმოადგენდა სამოქალაქო ომს რიკარდოსეული ეკონომიკის ორ ფრთას შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ რამდენიმე საერთო მახასიათებელი ჰქონდათ: საფუძვლიანად ჩამოყალიბების შემდეგ, ისინი აღარ აღიარებენ ტექნოლოგიების, წარმოებისა და სახელმწიფოს როლის მნიშვნელობას. კომუნიზმის მიხედვით სახელმწიფო უნდა „გამოფიტულიყო“. მითიური ეკვილიბრიუმის მისაღწევად, კომუნიზმმა[10] ბაზარი უბრალოდ უზარმაზარი კალკულატორით ჩაანაცვალა. როგორც სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ კომუნისტებსა და ლიბერალებს შორის დანყებული სამოქალაქო ომის პირველი მსხვერპლნი, ისევე შეიწირა ნაკლებად აბსტრაქტული „სხვა კანონის“ ტრადიცია რიკარდოს მიმდევარ მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის გაჩაღებულმა ჯვარედინმა სროლამ.[11]

თუმცა, ტრადიციები ბოლომდე იშვიათად იკარგება და ორივე უკიდურესობით უკმაყოფილო ბევრმა ეკონომისტმა ალტერნატივებზე მუშაობა გააგრძელა: ჩემი ნაშრომი მათგან დავალებულია. ილუსტრაცია 3 ალტერნატიული ეკონომიკების ხუთასწლოვან გენეალოგიურ ხეს აჩვენებს. „სხვა კანონის“ ტრადიცია არის ის, რამაც ყველა იმ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრა, რომლებმაც სიღარიბიდან სიმდიდრემდე გზა გაიკვლიეს. ინგლისმა ამ გზაზე სვლა 1485 წელს დაიწყო და საუკუნეების მანძილზე გააგრძელა, შემდგომში ამ გზას კონტინენტური ევროპა მიჰყვა. სკანდინავიის ქვეყნები – რომლებიც

პატარა შიდა ბაზრების გამო დღეს ესოდენ დამოკიდებულნი არიან თავისუფალ ვაჭრობაზე – საუკუნეების განმავლობაში იმავე პოლიტიკას მისდევდნენ, ვიდრე (დროის სხვადასხვა მონაკვეთში) მზად არ აღმოჩნდნენ გლობალური კონკურენციისთვის. 1776 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ამერიკამაც იგივე გააკეთა, 1820-იან წლებში კი ყველაზე აგრესიული ფორმით გააგრძელა ეს პროცესი.

ეკონომიკის საგვარეულო ხე



ილუსტრაცია 2. ეკონომიკის გენეალოგია სამუელსონის მიხედვით, 1976.


რენესანსი
ტუდორების ეკონომიკური პოლიტიკა ინგლისში, 1485 +
Realökonomisch მერკანტილიზმი: ეკონომიკურ აქტივობებზე დაფუძნებული ზრდა
ალექსანდრე ჰამილტონი, აშშ, 1791
დენიელ რეიმონდი, აშშ, 1820
M. & H. ქვარეი აშშ, XIX ს.
აშშ-ის ინდუსტრიული პოლიტიკა
ე. პეშინე სმიტი
ვებლენი და ინსტიტუციური სკოლა
იაპონია + აზიური ვეფხვები, 1945 +
ჯოვანი ბოტერო, 1588 ანტონიო სერა, 1613
ფრიდრიხ ლისტი, 1841
იაპონია, 1860 +
შუმპეტერი
ევოლუციური ეკონომიკა
ბართელომე დე ლაფემასი, 1597 ჟან ბაბტისტ კოლბერტი, 1651 +
შმოლერი ზომბარტი
კლასიკური განვ. ეკონომიკა, 1945 +
ფონ ჰორნიკი, გერმანია, 1684
გერმანული კამერალიზმი და ანტი-ფიზიკრატია
გერმანული ისტორიული სკოლა, 1848 + Verei für Sozial-politik, 1872-1932
მარქსი
სხვა კანონი
კეინზი

ილუსტრაცია 3. ეკონომიკის გენეალოგია „სხვა კანონის“ მიხედვით.

ჩემი მიზანი არ არის, მარადიული ჭეშმარიტების ნიმუშად წარმოვაჩინო ის თეორიული მოზაიკა, რომელსაც მე „სხვა კანონი“ ვუწოდე. პირიქით, „ჭეშმარიტება“ ეკონომიკურ პოლიტიკაში ყოველთვის ზედმეტად კომპლექსური ფენომენია. რეალური სამყარო მოიცავს გაურკვეველ პირობებში, უკიდურესად რთულად მისაღწევ კომპრომისებს სხვადასხვა პერიოდებსა და თაობებს შორის. ნებისმიერი პოლიტიკური რეკომენდაცია დამოკიდებულია მთლიანად კონტექსტზე და სტრუქტურულ საკითხებზე (რომლის შესატყვისი გერმანული სიტყვაა Strukturzusammenhange) და, აქედან გამომდინარე, კონკრეტულ ცოდნაზე. II დანართში „სხვა კანონი“ შედარებულია სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკასთან. ეს შედარება ალბათ განსაკუთრებით საინტერესო პროფესიონალი ეკონომისტებისთვის იქნება.

საერთაშორისო ვაჭრობის თეორეტიკოსი, ვიქტორ ნორმანი, თანამედროვე სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკას ლაკონურად აღწერს: „ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი სასიამოვნო თვისება არის ის, რომ იგი უბრალოდ აზროვნების ფორმაა, იგი ფაქტობრივ ცოდნას არ შეიცავს.“[12] ამ თეორიულ სამყაროს, რეალობა და ფაქტობრივი ცოდნა მყუდროებას მხოლოდ ხანდახან ურღვევს. როგორც ცნობილია, როდესაც მეგობარმა საყვედურით უთხრა რიკარდოს, რომ მისი თეორია არ ემთხვეოდა ფაქტებს, რიკარდომ უპასუხა – „მით უარესი ფაქტებისთვის“.[13]

ზემოთ ირიბად იყო მინიშნებული, რომ რიკარდოს ეკონომიკის ორივე პოლუსი რელიგიის მსგავს წარმონაქმნად გადაი-

ქცა.[14] ცივი ომის დროს, რეალობაზე დაფუძნებული ეკონომიკა – ისტორიული სკოლები ევროპაში და ინსტუტიციური სკოლები ამერიკაში – შევიწროვდა და საბოლოოდ გაქრა. რიკარდოს ეკონომიკის მიხედვით, ფორმა რეალობის შესწავლაზე უფრო პრიორიტეტულია. სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკა ისევე წარმოადგენს რეალური ეკონომიკური სცენარის აბსტრაქციას, როგორც ჭადრაკი წარმოადგენს ომის სცენარისას. მაგრამ, როგორც ერაყის ომი ვერ დასრულდება ჭადრაკის წესების გამოყენებით, ისე ვერ მოგვარდება მსოფლიოს სიღარიბის პრობლემა იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომელიც ფაქტობრივი ცოდნიდან მიღებულ ძირითად ცვლადებს არ შეიცავს.[15]

„სხვა კანონის“ ტრადიციის მიხედვით, ცოდნა მაკრო დონეზე მხოლოდ მიკრო დონეზე მომხდარი დეტალური ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე გროვდება. რეალურად, ამ ტიპის მიდგომა ამ ორ შრეს შორის მუდმივ მოძრაობასა და აბსტრაქციის მაღალ და დაბალ დონეებს შორის მიმოსვლას მოითხოვს. ეს სტრატეგია განსხვავდება იმისგან, რასაც ზევით ვიქტორ ნორმანი აღწერდა: ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი რელევანტურობაა, ხოლო ფორმა მხოლოდ მაშინ არის აქტუალური, როდესაც ის რელევანტურ ფაქტებს ასახავს. „სხვა კანონის“ ეკონომიკას ხელსაწყოების დიდი ყუთი აქვს და დასაშვებია ყველა იმ ინსტრუმენტის გამოყენება, რომლითაც რელევანტურ რეალობაზე რეფლექსიაა შესაძლებელი. დღევანდელ ეკონომიკაში ფოკუსი უფრო მეტად მათემატიკასა და სიზუსტეზე კეთდება, ვიდრე თავად ანალიზის ობიექტზე – ეკონომიკაზე. როგორც სხვებმა შეამჩნიეს, სტანდარტული ეკონომიკური თეორიის ინსტრუმენტები და სტიმულების სისტემა იმგვარად მუშაობს, რომ ეკონომისტების უმეტესობას მიახლოებითი სიმართლის

მიგნებას ზუსტი შეცდომების დაშვება ურჩევნიათ. თვისებრივ გაგებასთან მიმართებით, მათემატიკური დამტკიცება გაშეშებულ გვამად გადაიქცა.

სტანდარტული აბსტრაქტული თეორია, რომელიც დღეს ღარიბი ქვეყნების მიმართ გამოიყენება, მოიცავს სამყაროს – მრავაფეროვნების, განსხვავებულობის, უთანხმოების, კონფლიქტისა თუ კომპრომისის გარეშე, სადაც ახალი ცოდნა თავისუფალია და მას დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთდროულად ეუფლება ზეციური მანანის (სრულყოფილი ინფორმაცია) მსგავსად. ეს წიგნი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკაზე რომ ყოფილიყო, იგი იქნებოდა სტანდარტული ეკონომიკის ვარაუდების განხილვის ადგილი, ვარაუდებისა, რომლებიც იმიტომ არსებობს, რომ მისმა მომხრეებმა საზოგადოებრივი მოდელის შექმნა 1880-იანი წლების ფიზიკის საფუძველზე აირჩიეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მხოლოდ მოკლედ ჩავერთვებით კონკრეტული დაშვებების განხილვაში, უბრალოდ იმისთვის, რომ ყველა მათგანის მშობელი – თანასწორობის დაშვება – გამოვყოთ. ყველა განსხვავების უგულებელყოფით – ადამიანებს, ეკონომიკურ საქმიანობებსა[16] და ქვეყნებს შორის – ეკონომიკურმა თეორიამ საკუთარი არჩევანი გააკეთა. თეორიამ სიმარტივე რელევანტურობის ხარჯზე აირჩია. ეკონომიკამ დაივიწყა სამყაროს ორგანიზების ხელობა კატეგორიებისა და ტაქსონომიების შექმნით, რაც თანამედროვე მეცნიერებების დაბადებას განმანათლებლობის მომენტში ახასიათებდა. ამის გამო, ამოღებულია ყველა ის ფაქტორი, რომელიც თვისებრივად ასხვავებს თორმეტი წლის ბიჭსა და ლიმას ნაგავსაყრელზე მდებარე მისი ფეხსაცმლის საწმენდ „ფირმას“ Microsoft-ისგან, როგორც ფირმისგან. მისი მიხედვით წაშლილია ნებისმიერი ახსნა იმისა, თუ რატომ არის ბილ გეითსი და მისი ქვეყანა ფეხსაცმლის მწმენ-

დავ ბიჭსა და მის ქვეყანაზე უფრო მდიდარი. ორივე ეს ეკონომიკური აგენტი [Microsoft და ლიმელი ბიჭის ფირმა. – მთარგმნ.] გაერთიანებულია ერთ სახელდებაში: „რეპრეზენტატული ფირმა“.* საბაზისო მოდელის გალამაზებამ, შესაძლოა, სიამოვნება მოჰგვაროს მის შემქმნელებს – და ბევრი ასეთი მოდელი არსებობს – მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მიდგომა ხალხში რაიმე ისეთ ახალ გაგებას დაამკვიდრებს, რომელიც ესოდენ საჭირო პოლიტიკური ცვლილებისთვისაა აუცილებელი.

სინამდვილეში, „სრულყოფილი ინფორმაციის“ მთავარი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობა ერთმანეთის მსგავსი ინდივიდებისგან, რობერტ მუზილის „უთვისებო კაცის“ კლონირებული ვერსიებისგან შედგება.[17] როგორც მე-19 საუკუნის გერმანელი ეკონომისტები ამბობდნენ, ამ ტიპის თეორიაში, კვანტიფიკაცია ყოველგვარ თვისებრიობას მოკლებული რაოდენობების შეკრებას (უშინაარსო შრომა და კაპიტალი, რომელიც ყველანაირი კონკრეტული უნარისგან არის დაცლილი) გულისხმობდა. დასკვნა, სადამდეც ასე ამაყად მივიდა სტანდარტული საერთაშორისო ვაჭრობის თეორია, და რომლის მიხედვითაც მსოფლიო ვაჭრობა „წარმოების ფაქტორების ფასის გათანაბრებას“ მოიტანდა, სინამდვილეში უკვე ჩაშენებულია თავად ამ თეორიის საფუძვლებში. თეორიას, რომელშიც ყველა ელემენტი ტოლი და იდენტურია, არაფრის მოცემა შეუძლია, თანაბარი შედეგების გარდა.

მე-20 საუკუნის ეკონომიკის ერთ-ერთ შედეგს ორი მნიშვნელოვანი განზომილების დაკარგვა წარმოადგენს: დროისა (ისტორიის) და სივრცის (გეოგრაფიის). ეკონომიკა იქცა

* რეპრეზენტატული ფირმა (რეპრეზენტატული აგენტი) – ეკონომიკურ თეორიაში გულისხმობს ფირმის განზოგადებულ, იდეალურ ტიპს, რომელიც მოიცავს ზოგადად ფირმებისთვის დამახასიათებელ თვისებებს. მაგალითად, ფირმების თვისებას, იყვნენ მოგებაზე ორიენტირებულები (მთარგმნელის შენიშვნა).

ზღაპრულ სამყაროდ, სადაც არაა დრო, სივრცე და დაპირისპირება, სამყაროდ, რომელიც ავტომატური და მარადიულია, სადაც უზარმაზარი მუხის ხის გაზრდას იმდენივე დრო სჭირდება, რამდენიც მის მოჭრას (ნულოვანი დრო). აბსტრაქციის ასეთი მაღალი დონის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ გამუდმებით ხდება რაღაც, რაც არ უნდა ხდებოდეს. მაგალითად, აზიის ფინანსური კრიზისი; ან ის, რომ ზოგიერთი ქვეყანა გლობალიზაციის პირობებში ღარიბდება.

დღევანდელი სტანდარტული ეკონომიკა, როგორიც ის ღარიბ ქვეყნებში გვხვდება, არ აღიარებს მზარდი უკუგების (ფაქტი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ ეკონომიკურ საქმიანობაში წარმოების ზრდის პარალელურად დანახარჯები მცირდება), ტექნოლოგიური ცვლილებისა (რომლის ალბათობა განსხვავდება ეკონომიკური აქტივობების მიხედვით) და სინერგიების მნიშვნელობას, ფაქტორებისა, რომლებიც ერთად ქმნიან კუმულაციურ მიზეზშედეგობრიობებს ან რეაქციებს, რომლებიც იწვევენ იმ სტრუქტურულ ცვლილებას, ჩვენ რომ ეკონომიკურ განვითარებას ვუწოდებთ. უპირველეს ყოვლისა, თეორიული მიდგომები მრავალფეროვნებისა და ჰეტეროგენურობის საშუალებას არ იძლევიან. ჩემი მტკიცებით, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ეკონომიკური ზრდა სპეციფიკურ საქმიანობაზეა დამოკიდებული; იგი შეიძლება მოხდეს ერთი ეკონომიკური აქტივობის დროს, მაგრამ არ მოხდეს მეორის დროს. ეს ფაქტორები ზოგჯერ ეკონომისტების „სათამაშო მოდელებში“, ზოგჯერ კი თავად ვაშინგტონის ინსტიტუტების მიერ შექმნილ მოდელებში გვხვდება. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ „სამეცნიერო მეთოდის“ არასწორად გაგების გამო, ცალკეული გამონაკლისების გარდა, სტანდარტული ეკონომიკა რეალობის მხოლოდ ერთ მხარეს აღიარებს.[18] რეალური სამყაროს სხვა ას-

პექტები საკუთარ რიგს უნდა დაელოდონ, ამასთან, მათი მხედველობაში მიღებაც იზოლირებულად ხდება. მაშასადამე, ეკონომისტების ხელსაწყოების დიდი ნაწილი ყოველთვის ფიზიკაზე დაფუძნებული ინსტრუმენტებისგან შედგება, რის გამოც სტანდარტული თეორია და სტანდარტული პოლიტიკური გადაწყვეტილებები მუდმივად გამარჯვებულები გამოდიან. იმისთვის, რომ გავიგოთ სიმდიდრისა და სიღარიბის დინამიკა, „სხვა კანონი“ ფიზიკაზე დამყარებული ყველა ვარაუდის ერთდროულად დავიწყებას მოითხოვს.

მზარდი უკუგება ის პრინციპია, რომლის გამოყენებაც მისი არსის ბოლოდე ჩაწვდომის გარეშეა შესაძლებელი, ეს თავის ტკივილის სამკურნალოდ ტირიფის ქერქის ღეჭვისა და სურავანდის პრევენციისთვის ციტრუსის ჭამის მაგალითზე ვნახეთ. დიდი ხნით ადრე, ევროპელებმა აღიარეს დოვლათის დაგროვების ეფექტი მრეწველობის განვითარების შედეგად, რომელიც მაინცდამაინც მზარდ უკუგებას არ უკავშირდებოდა. საღი აზრი წინ უძღვის მეცნიერებას. როგორც ძველმა ინგლისელმა ეკონომისტმა, ედვარდ მისელდენმა 1620-იან წლებში აღნიშნა: „ჩვენ ეს გრძნობებით ვიცოდით, ახლა კი მეცნიერებით ვიცით.“ მიჩნეულია, რომ მზარდი უკუგების ფესვები სათავეს ადამ სმიტის ცნობილი ქინძისთავების ფაბრიკიდან იღებს. როგორც წესი, ის, რაც ადამ სმიტამდე მოხდა, იგნორირებულია. ქსენოფონმა (ძვ.წ. 427-355), რომლის „ოიკონომიკოსიდან“ სიტყვა ეკონომიკა წარმოიშვა, საკუთარ წიგნში *Poroi*, სისტემური მზარდი უკუგება აღწერა. 1613 წელს ანტონიო სერამ, რომელსაც ჯოზეფ შუმპეტერი „ეკონომიკურ პრინციპებსა და პოლიტიკაზე სამეცნიერო ტრაქტატის პირველ შემქმნელს“[19] უწოდებს, მზარდი შემოსავლები და მის მიერ წარმოქმნილი სიმდიდრე ბევრად უფრო გასაგებად აღწერა, ვიდრე ეს სმიტმა 1776 წელს

გააკეთა. გერმანელმა ეკონომისტმა, ერნსტ ლუდვიგ კარლმა (1682-1743) მზარდი უკუგების ფენომენი სამტომეულ ნაშრომში შეისწავლა,[20] სადაც მაგალითად, მოიყვანა ის ქინძისთავის ფაბრიკა, რომელიც მოგვიანებით გამოიყენა და პოპულარულად აქცია ადამ სმიტმა.

ვინაიდან ანტონიო სერამ იგი სიმდიდრის გამომწვევი მექანიზმების სათავეში განათავსა, მზარდ უკუგებას ეკონომიკური მეცნიერებების ისტორიაში საკმაოდ მშფოთვარე ცხოვრება ჰქონდა. როცა 1613 წელს სერას საშუალება მისცეს საკუთარი იდეები მეფისნაცვლისთვის წარედგინა, მას დასცინეს და ციხეში შეაბრუნეს, სადაც, სავარაუდოდ, რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, 1750-იან წლებში, სერას იდეები გერმანიის სამხრეთით მოღვაწე ეკონომიკის პირველმა პროფესორმა, ანტონიო ჯენოვეზიმ, გააცოცხლა. მოგვიანებით, აგებდნენ რა საკუთარ ეკონომიკურ თეორიებს საწინააღმდეგო მიმართულებით, სოფლის მეურნეობაში აღმოჩენილი კლებადი უკუგების საფუძველზე, რობერტ მალთუსმა (1766-1834) და მისმა მეგობარმა დევიდ რიკარდომ სრულიად დაივიწყეს მზარდი უკუგების თეორია. სერას ხელახალი გამოცემებით 1803, 1840-იან და 1850-იან წლებში, ორმა გერმანელმა ეკონომისტმა, ფრიდრიხ ლისტმა (1789-1846) და ვილჰელმ როშერმა (1817-94), მზარდი უკუგების ცნება პოლიტიკურ და თეორიულ რადარზე კვლავ დააბრუნეს. ნეოკლასიკური ეკონომიკის დაამარსებელი ალფრედ მარშალი (1842-1924) გამუდმებით იყენებს მზარდი უკუგების ცნებას,[21] მაგრამ მოგვიანებით იგი ნეოკლასიკური თეორიიდანაც ქრება. მზარდი უკუგება ამერიკაში 1920-იან წლებში ფრენკ გრემისა (1890-1949) და ელინ იანგის (1876-1929) მიერ გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი სტატიების სახით აღორძინდა, თუმცა 1930-იან წლებში, ისევ უარყოფილი იქნა სხვა

ამერიკელი ეკონომისტის, იაკობ ვინერის (1892-1970) მიერ, იმ საბაბით, რომ იგი შეუსაბამო იყო ეკვილიბრიუმთან. გვიანდელ 1980-იან წლებში, პოლ კრუგმანის დახმარებით, მზარდი უკუგება კვლავ დაბრუნდა საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში, მაგრამ მისი რელევანტურობა მალევე უარყო ჯაგდიშ ბაგვატიმ დიდი ძალისხმევის შედეგად და გამოცხადდა კრუგმანის „რაციონალური ენთუზიაზმით ახალგაზრდულ აღტკინებად".[22]

პოლიტიკური კუთხით, მზარდი უკუგება საკმაოდ პრობლემატურია. თუკი ვარაუდობ, რომ ყველა ეკონომიკური საქმიანობა თანაბრად მზარდი შემოსავლების მომტანია, რისაც ადამ სმიტსა და ხანდახან პოლ კრუგმანს სჯერათ, შენ უკეთესი არგუმენტიც გაქვს თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ. თუ რატომ, ამას წიგნის მე-4 თავში ავხსნი. მეორე მხრივ, თუკი ანტონიო სერას, ფრენ გრემისა და ზოგჯერ პოლ კრუგმანის მსგავსად მიგაჩნია, რომ ზოგიერთ დარგს (სოფლის მეურნეობას) ახასიათებს კლებადი უკუგება, მაშინ, როდესაც სხვებს (წარმოებას და განვითარებულ მომსახურებას) მზარდი – შენ გაქვს მკაფიო განმარტება იმისა, თუ რატომ არის საჭირო ღარიბი ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია (იხ. დანართი III). 1850-იანი წლების შემდეგ, მზარდი უკუგების ცნება კონტინენტური ევროპის ინდუსტრიალიზაციის არგუმენტად გამოიყენებოდა.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მზარდი უკუგება ხშირად ფიგურირებს კვლევებში, მიუხედავად ამისა, იგი იშვიათადაა გათავისუფლებული ზემოთ ნახსენები „თანასწორობის დაშვებისგან"; ამასთან, იშვიათადაა მოხსენიებული სხვადასხვანაირი ინდუსტრიების მასშტაბების გასაზრდელად საჭირო განსხვავებული „ხელსაყრელი პირობები". ადამ სმიტის ქინძისთავის ფაბრიკაში, არც უნარების სხვადასხვა დონეებსა და შემოსავლების შესაძლებლობებზეა საუბარი. ეკონომიკამ, შესაძლოა, ხელახლა

აღმოაჩინა მზარდი უკუგების ცნება (სამი ამერიკელი ეკონომისტი, ბრაიან არტური, პოლ კრუგმანი და პოლ რომერი[23] ღიად უპირისპირდებიან ერთმანეთს იმის თობაზე, თუ ვინაა ამ პროცესის „მშობელი“), მაგრამ ამ იდეის რეალობაში გადმოტანის სურვილის არქონა წინ ეღობება არათანაბარი განვითარების ასახსნელად მზარდი უკუგების გამოყენების პოტენციალს.

ჩარლზ ბებიჯი (1791-1871), რომელიც კომპიუტერების საწყისი დიზაინის შემუშავებაში შეტანილი წვლილით არის ცნობილი, მართლაც ეახლა ქინძისთავების ფაბრიკას ინგლისში ბეკონისეული ცნობიერებით და ჩვენთვის სახელფასო მონაცემები შეაგროვა.[24] მუშა, რომელიც ქინძისთავებს ათეთრებდა, დღეში 6 შილინგს იღებდა, მაშინ, როდესაც მავთულის გამსწორებლებს, დღეში მხოლოდ 1 შილინგს უხდიდნენ. აქ მზარდი უკუგება და სპეციალიზაცია იწყებს იმის გამოაშკარავებას თუ რატომ არის ეკონომიკური ზრდა ასეთი არათანაბარი. ღირებულებათა ჯაჭვის იმგვარი დანაწევრება, როდესაც მდიდარ ქვეყნებს ყველა მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილი მიაქვთ, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საფრთხეს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მდიდრებს ქინძისთავების გათეთრება ერგებათ, მაშინ, როდესაც მავთულის გასწორების მსგავსი საქმეები ღარიბ ქვეყნებს რჩებათ. ეს უკანასკნელნი სპეციალიზდებიან ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებში, რომელთა დამატებითი ავტომატიზება ან ინოვაციების დანერგვა, მდიდარ ქვეყნებს აღარ შეუძლიათ, შედეგად, როგორც წესი, ღარიბ ქვეყნებს არასაკმარისი ინოვაციურობის გამო აკრიტიკებენ.

ფაქტია, რომ ვაშინგტონის ინსტიტუტები, სტანდარტულ ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში გამოთქმულ დასკვნებს თავს ისეთ ქვეყნებს ახვევენ, რომლებიც მათი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან (ასეთები ყველაზე ღარიბი ქვეყნები არ-

იან). ზიანი, რომელიც ყველაზე რელევანტური ფაქტორების გამორიცხვამ მოიტანა, ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. სინამდვილეში, უკიდურესად განზოგადებული ეკონომიკური თეორიის მონოპოლიური ძალაუფლების საფასურს ღარიბები იხდიან. ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა, რომელშიც სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა, დიდი მზარდი უკუგება და მნიშვნელოვანი ნაციონალური სინერგიებია, ნაკლებად ზარალდება იმით, რომ ეკონომიკური თეორია ამ ფაქტორებს არ აღიარებს, რადგან ამ ფაქტორებს უკვე მოიცავს მათი ეკონომიკა. ხოლო ღარიბი ქვეყნები, რომელთა ექსპორტი არ მოიცავს ამ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომლებშიც არც ტექნოლოგიური ცვლილება, არც მზარდი უკუგება და არც სინერგიები არ არსებობს, ყველაზე მეტად ზარალდებიან გაბატონებული ეკონომიკური თეორიის მიერ. მეტიც, საქმე, რომელიც ფიზიკურ ძალას მოითხოვს, დააზარალებს არა მათ, რომლებიც მას ფლობენ, არამედ მათ, ვისაც ეს ძალები არ გააჩნიათ. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, თავისუფალი ვაჭრობის მხარეს ბევრი კარგი არგუმენტია, მაგრამ რიკარდოს თეზისი ამ არგუმენტების რიგში არ მოიაზრება. მდიდარი ქვეყნის კონტექსტში, რიკარდო და მის მიერ შექმნილი ვაჭრობის თეორია სწორია, თუმცა არასწორი მიზეზების გამო – იმ სიტუაციის გამო, რომელიც ამ ქვეყნებში არავის ვნებს, მაშინ, როცა ღარიბი ქვეყნისთვის ეს თეორია, უბრალოდ, მცდარია.

ჯოზეფ შუმპეტერი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკას აზიანებდა ის, რასაც მან „რიკარდოსეული მანკიერება“ უწოდა, ანუ ეკონომიკური თეორიის აპრიორულ ვარაუდებზე, ყოველგვარი ემპირიული საფუძვლების გარეშე შექმნა. დღეს, ამას „კრუგმანისეული მანკიერება“ ემატება, რომელიც სტანდარტულ თეორიაზე უკეთ განვითარებულ თეორიებს მოიცავს, მაგრამ

უარს ამბობს მათ პრაქტიკულ განხორციელებაზე. ამას შეგვიძლია დავუმატოთ ისიც, რასაც შვედი ნობელის პრემიის ლაურეატი (1974), გუნარ მირდალი (1898-1987), „ოპორტუნისტულ უმეცრებას“ უწოდებს, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეკონომიკური „მეცნიერების“ ვარაუდებით ჟონგლიორობენ. საერთო ევროპული ბაზარი ამომრჩევლებს მზარდი უკუგების პირობით წარუდგინეს, რომელსაც სიმდიდრე უნდა გაეზარდა (ჩეჩინის ანგარიში, 1988). როდესაც იმავე პოლიტიკოსებს თეორია აფრიკისთვის დაჭირდათ, მათ შეარჩიეს რიკარდოს ვაჭრობის თეორია, რომლის მიხედვითაც მზარდი უკუგება არ არსებობს. პოლიტიკოსებს მარტივად შეეძლოთ საპირისპირო ვარაუდების გამოთქმა და ისეთი თეორიის გამოყენება, რომლის მიხედვითაც აფრიკას საკუთარი ინდუსტრიის აშენება მოუწევდა (რომელსაც მზარდი უკუგება ახასიათებს) და ერთიანი ბაზრის არგუმენტიც ნაკლებად გასაგები იქნებოდა მზარდი უკუგების არარსებობის გამო. ის, თუ რა დაშვებები უნდა გაკეთდეს კონკრეტული გარემოებების მიხედვით, საბოლოო ჯამში, პირად ინტერესებსა და პოლიტიკურ ძალაუფლებაზეა დამოკიდებული. რიტორიკა-რეალობის სხვაობასთან ერთად, ვარაუდებით ჟონგლიორობა სერიოზული იარაღია ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, რაც ღარიბ ქვეყნებს სიღარიბეში ტოვებს: ეკონომიკა, ძალაუფლება და იდეოლოგია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

ტექნოლოგიები და მზარდი უკუგება, რაც ეკონომიკური ძალაუფლების მთავარი წყაროა, ეკონომიკურ ბარიერებს ქმნის. ტექნოლოგიებისა და მზარდი/კლებადი უკუგების დიქოტომიის საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის მიღმა დატოვებით, ეკონომისტები, სასარგებლო იდიოტებად და პირადი ინტერესების მისაღწევ საშუალებად გადაიქცნენ ძლიერი სახელმ-

წიფოების ხელში. როგორც კი ეს დიქოტომია უკან დაბრუნდება, ზოგიერთი ქვეყანა გამდიდრდება, ხოლო დანარჩენს გლობალიზაცია გააღარიბებს (იხილეთ დანართი III). რეალურ სამყაროში, მდიდარი ქვეყნები, რომლებიც ჯეროვან ეკონომიკურ სფეროებში სპეციალიზდებიან, „ძალმომრეობრივ მასშტაბის ეკონომიებს“[25] და „იძულების უნარებს“ ავითარებენ.[26]

1700-იანი წლების ბოლოს, ინგლისური ეკონომიკური თეორია კონტინენტურ ევროპულ თეორიას გამოეყო. პირველი ინდუსტრიული რევოლუციის დროს, ადამ სმიტმა, რომელიც სხვა პროფესიების გარდა მებაჟეც იყო, მსოფლიო ეკონომიკას „კომერციული საზოგადოება“ უწოდა, რომელიც წარმოების ნაცვლად ყიდვა-გაყიდვაზე არის ფოკუსირებული. ამავე დროს, კონტინენტური ევროპის ეკონომისტები, მაგალითად, ისეთები, როგორიც იოჰან ბეკმანი (1739-1811)იყო, წარმოებას, ტექნოლოგიებსა და ცოდნას სიმდიდრის საფუძვლად მიიჩნევდნენ. გამოგონებებს ახსენებს თავად ადამ სმიტიც, მაგრამ მის თეორიაში ისინი ეგზოგენურები არიან და სისტემის გარეთ იქმნებიან. წარმოება, ცოდნა და გამომგონებლობა ადამ სმიტის ეკონომიკური თეორიიდან იმის გამო ქრება, რომ მას ისინი „სამუშაო საათებზე“ დაჰყავს. 1817 წელს, რიკარდო გაჰყვა სმიტის კვალს, შექმნა რა უფრო აბსტრაქტული თეორია „შრომის“ საფუძველზე, რომელშიც ეს ცნება ყველანაირი თვისებისგან იყო დაცლილი და მხოლოდ ღირებულების საზომ ხელსაწყოდ გამოიყენებოდა. იმავე საუკუნეში, კარლ მარქსმა, გერმანიის სოციალურ მეცნიერებებში, წარმოებაზე ორიენტირებული ტრადიციის კვალდაკვალ, კაპიტალიზმის დინამიკასა და მის გამოწვეულ სოციალურ პრობლემებზე დაიწყო წერა. სამწუხაროდ, იმ დროს, როდესაც მარქსი კაპიტალიზმის პრობლემების გადაჭრის საკითხამდე მივიდა, მან რიკარდოს ღირებულების

თეორიას მიაკვლია. ეს სრულიად უცხო ელემენტი იყო გერმანული ტრადიციისთვის, რომლის მიხედვითაც ცოდნა, ახალი იდეები და ტექნოლოგიები ეკონომიკის მამოძრავებელ ძალებად აღიქმებოდა. მის არჩევანს საკმაოდ გრძელვადიანი შედეგები მოჰყვა, მისცა რა საშუალება რიკარდოს აბსტრაქტულ აზროვნებას, ემართა მთლიანი პოლიტიკური ღერძი, მემარჯვენეობიდან მემარცხენეობამდე, ცივი ომის ხანაში და მის შემდგომაც კი. გააცნობიერა რა ეს ყველაფერი ცივი ომის შუა პერიოდში, 1955 წელს, ნიკოლას კალდორმა (1908-1986) დაწერა, რომ „მარქსის თეორია სინამდვილეში მხოლოდ რიკარდოს გამარტივებული ვერსიაა, რომელიც სხვა სამოსშია გამოწყობილი".[27]

გამომდინარე აქედან, კომუნიზმი და ლიბერალიზმი დედმამიშვილებად თუ არა, ბიძაშვილებად მაინც იქცნენ, გახდნენ რა აბსტრაქტული თეორიული სისტემები, რომლებიც რეალური სამყაროს უმნიშვნელო დეტალების თავში მოექცნენ. ორივე თეორიას აკლია ის, რასაც ჩვენ ადამიანური სულისკვეთებისა და ნების კაპიტალს ვუწოდებთ (Geist und Willens-Kapital): ახალი ცოდნა, ინოვაციები, მრეწველობა, ლიდერობა და ორგანიზაციული უნარები. წარმოების პროცესი მსგავსი სამუშაო საათების გამოყენებამდე რედუცირდა, შედეგად მსოფლიო ეკონომიკაც უკვე წარმოებული საქონლის ყიდვა-გაყიდვამდე დაიყვანეს. მსგავსად ამისა, ადამიანის მოღვაწეობაც, თვისებებისგან დაცლილი იდენტური სამუშაო საათების მიწოდებასა და მომხარებლად ყოფნამდეა დაყვანილი. კომუნიზმს შეეძლო ჩაენაცვლებინა ბაზარი, სადაც მოთხოვნა-მიწოდება გიგანტური კალკულატორით რეგულირდება და იგივე შედეგისთვის მიეღწია. ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის (1899-1992) სახით, ლიბერალიზმმა შეიძინა მეწარმე, რომელმაც ეკონომიკაში ეკვილიბრიუმი შექმნა. რეალურად, საჭირო მენარმის – შუმპეტერის მეწარმის, რომელმაც დაარ-

ღვია ეკვილიბრიუმი მისი ინოვაციებით და საფუძველი დაუდო ეკონომიკურ ზრდას – ფორმალიზება მარტივი არ იყო, შედეგად იგი სისტემის მიღმა აღმოჩნდა.

რიკარდოს ეკონომიკის პოპულარობის პირველმა ტალღამ პიკს 1840-იანი წლების შუაში მიაღწია. სოციალურმა პრობლემებმა, რომლებმაც 1848-1871 წლებში მათი რევოლუციური გამოვლინებები რუსეთისა და ინგლისის გარდა ყველა მსხვილ ევროპულ ქვეყანაში ჰპოვეს, აჩვენეს, რომ ბაზარი ვერ ქმნიდა ეკონომიკურ ჰარმონიას სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარეშე. 1890-იანი წლებისთვის უკვე ნათელი იყო, რომ რიკარდოს აბსტრაქტული სისტემა, სადაც კლებადი უკუგების გარდა არც ერთი ვარაუდი არ ასახავდა რეალობას, წარმოადგენდა ყველანაირი ბოროტების წყაროს როგორც პოლიტიკური მემარჯვენეობისთვის, ასევე მემარცხენეობისთვის.[28] ეკონომიკური მეცნიერებების ორმა გამორჩეულმა ისტორიკოსმა – ამერიკელმა უესლი კლეარ მიჩელმა (1874-1948) და გერმანელმა ოტმარმა შპანმა (1878-1950), რომლებმაც განათლება 1890-იან წლებში მიიღეს, დაწერეს წიგნები ერთი და იმავე ინგლისური სათაურით – „ეკონომიკური თეორიის ტიპები“, დაადგინეს, რომ არსებობს უამრავი სახეობის ეკონომიკური თეორია, რიკარდოს აბსტრაქტული თეორია კი მხოლოდ ერთ-ერთია მათ შორის.

მიუხედავად ამისა და მიუხედავად მე-20 საუკუნის პირველი ორმოცი წლის განმავლობაში ამერიკასა და ევროპაში არარიკარდოსეული ეკონომიკის დომინანტობისა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაჩენილმა მათემატიზაციის მოთხოვნამ,[29] ცივ ომთან ერთად, რიკარდოს ხედვების აღზევება და გაბატონება გამოიწვია. ისევე როგორც 1840-იან წლებში, ბაზარი ავტომატური ჰარმონიის წინაპირობად მიიჩნეოდა და ის რევოლუციები, რომლებიც 1840-იან წლებში მოხდა, მხოლოდ ერი-სახელწიფოე-

ბის შიგნით არსებული სოციალური უსამართლობის შედეგებს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მსგავსი სოციალური პრობლემები დღესაც არსებობს და ამჯერად ისინი არა ქვეყნების შიგნით, არამედ მათ შორის წარმოიქმნება.

კომუნისტური გეგმარებისა და ნეოლიბერალიზმის სიახლოვე ეკონომისტებს ერთი პოლიტიკური უკიდურესობიდან მეორეზე, რიკარდოს მემარცხენე მიმდინარეობიდან მემარჯვენეზე გადასვლას უადვილებს. რიკარდოს დოქტრინამ გააერთიანა მთლიანი პოლიტიკური ღერძი გამოცდილებაზე დამყარებული ეკონომიკის წინააღმდეგ. ეს ერთ-ერთი ახსნაა იმ პრობლემებისა, რომლებიც ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგიის წინაშე დგას, რომელმაც ინოვაციისა და სოციალურ ერთიანობის აუცილებლობა გააერთიანა. ლისაბონის სტრატეგიის ორი საყრდენი მთლიანად უცხოა სტანდარტული სახელმძღვანელობით ნაკარნახევი ეკონომიკისთვის, რის გამოც მათ დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ და ეტაპობრივად უფრო შეთანხმებულ ვარიანტებამდე დაიყვანეს. ამერიკაში განსხვავებული მდგომარეობაა; აქ რიტორიკა – რეალობის უფრო ფართო სხვაობა, აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც შედარებით გადაურჩა სახელმძღვანელოების ეკონომიკით დამახინჯებას.

თუკი ჩვენ ეკონომიკის სწავლებას, როგორც წარმოების დარგს, ისე გავაანალიზებთ, რამდენიმე ანომალია მაშინვე გამოიკვეთება. ერთ-ერთი არის ის, რასაც ჩვენ „ძირითადი სტიმულის სისტემას“ ვუწოდებთ: როგორც, დიდი ხნის წინ პოლ სამუელსონმა New York Time-სთან მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, „ეკონომისტები საკუთარი კოლეგებისგან აპლოდისმენტების მისაღებად მუშაობენ“.[30] სხვა მეცნიერებების, მაგალითად, მედიცინის წარმომადგენლები კოლეგების ქება-დიდებას აბ-

ალანსებენ რეალობით, რომელსაც გამოჯანმრთელებული და ვერგანუკურნებელი პაციენტებისგან მიღებული უკუკავშირი ქმნის. მეორე ანომალია იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი განვითარება (ღარიბებისთვის ეს შეიძლება იყოს პროგრესიც და დეგრადაციაც) მკაცრადაა დამოკიდებული განვლილ გზაზე: ბოლო თაობების ეკონომიკა თავად მიუყვებოდა ყველაზე სუსტი მათემატიკური წინააღმდეგობის გზას, რომელმაც წარსულზე ამგვარი დამოკიდებულება ვერ მოიცვა. მესამე, როგორც თომას კუნმა, კარლ პოპერმა და სხვებმა აღნიშნეს, „ნორმალურ მეცნიერებას“ ახასიათებს სვლა მანამდე მოცემულ სისტემაში, სანამ ამ გზას ბოლომდე არ გაივლის და რადიკალური პარადიგმული ცვლილება არ მოხდება.

ეკონომიკას განსაკუთრებულს ის ხდის, რომ ერთდროულად ორი პარალელური მიდგომა არსებობს. ამერიკელი ეკონომისტის ქენეთ ეროუს მეტაფორა რომ გამოვიყენო, „სხვა კანონის“ ტრადიცია „ჰგავს მიწისქვეშა მდინარეს, რომელიც ზედაპირზე მხოლოდ რამდენიმე ათწლეულში ერთხელ მიედინება“. ორი პარალელური ტრადიციის არსებობა გზას უხსნის იმას, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, ოპორტუნიზმსა და ვარაუდებით ჟონგლიორობას: ერთ მაღალფარდოვან თეორიას ექსპორტისთვის და მეორეს, უფრო პრაგმატულს, შიდა მოხმარებისთვის. თუკი სიტუაციას უფრო ფართოდ შეხედავთ, დავინახავთ, რომ ორი ტიპის ეკონომიკური ანალიზი ციკლური ბუნებისაა. ზოგიერთ პერიოდში – 1760-იანი წლების საფრანგეთში, 1840-იანი წლების ევროპაში და 1990-იანი წლების მთლიანად მსოფლიოში – აზროვნების ერთი უკიდურესად აბსტრაქტული ფორმა ბოლომდე გაბატონდა. ყველა ამ შემთხვევის დროს, სოციალური საფასური ძალიან მაღალი აღმოჩნდა.

მიზნის მიღწევის საშუალების არჩევას თან მანკიერი ლოგი-

კა ახლავს. როგორც მარკ ტვენმა თქვა: „როცა შენ მხოლოდ ჩაქუჩი გაქვს, ყველა პრობლემა ლურსმანს ემსგავსება“. ეკონომიკის „მათემატიზაციის“ ფორმამ გაამყარა რიკარდოსეული სისტემის თანდაყოლილი ნაკლი – მისი უუნარობა მოიცვა რეალობის იმ ასპექტებმა, რომლებიც სიმდიდრისა და სიღარიბის წარმოშობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ. გერმანულ ფილოსოფიაში გამოიყენება ტერმინი „verstehen“ იმგვარი თვისებრივი გაგებისთვის, რომლის ციფრებსა და სიმბოლოებამდე დაყვანაც შეუძლებელია.[31] ფილოსოფოსი ჰანს-გეორგ გადამერი (1900-2002) ამგვარ გაგებას ახასიათებს როგორც რაღაცას, რაც ძალიან ახლოს არის ადამიანად ყოფნის მნიშვნელობის არსთან. თუ ჩვენ სხვა ადამიანების შეცნობას მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლებით ვეცდებით – სიმაღლით, წონით, ორგანიზმში წყლისა და მიკრომინერალების რაოდენობით – ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ასპექტი ყურადღების მიღმა დარჩება.

რეალურად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წმინდა რაოდენობრივი გაგებით, განსხვავება მოზრდილ მედუზასა და ადამიანს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი მეორისგან განსხვავებით უფრო ნაკლები მშრალი ნივთიერებისგან შედგება. ეკონომიკასაც იგივე ემართება, მაშინ როდესაც ეკონომისტები ცდილობენ საზოგადოება მხოლოდ ციფრებისა და სიმბოლოების საშუალებით მართონ: მათემატიკა ძალიან ხშირად ჯაბნის არსობრივ გაგებას. განმანათლებლობამ შექმნა კლასიფიკაციის სისტემები – ტაქსონომიები, რათა უკეთ შეესწავლა ჩვენ გარშემო არსებული სამყარო. „უხერხემლოებისა“ და „ხერხემლიანების“ კატეგორიის შემოღება წარმოადგენდა საწყის მცდელობას მედუზებისა და ადამიანების განსასხვავებლად. მიუხედავად ამისა, ეკონომიკა ფაქტობრივად სტერილურია ამგვარი ტაქსონომიების მიმართ: მისი სიზუსტე სწორედაც ტაქსონო-

მიების არქონას ეფუძნება, იმის არარსებობას, რაც დაკვირვებისა და შესამჩნევი განსხვავებების დახარისხების საშუალებას მისცემდა. როგორც კი ერთდროულად ერთზე მეტი კატეგორია გაჩნდება, მაგალითად, მზარდი და კლებადი უკუგება, ეკონომიკური თეორია თანასწორობისა და ჰარმონიის ნაცვლად, უთანასწორობისა და უთანხმოების წარმოებას იწყებს.

როგორც ლუდვიგ ვიტგენშტაინი ამტკიცებდა, მათემატიკა თვითციტირებისკენ არის მიდრეკილი. იგივე სკეპტიციზმი მათემატიკის გამოყენების შესახებ ალბერტ აინშტაინმაც გამოთქვა: „სანამ მათემატიკური მტკიცება ემყარება რეალობას, ის არაზუსტია, ხოლო სანამ ის ზუსტია, ის არ ემყარება რეალობას“. იმ სახით როგორც მას ეკონომიკაში იყენებენ, მათემატიკას ახასიათებს საკუთარ თავში ჩაკეტილი „აუტისტური“ ურთიერთობა რეალობასთან, სადაც, მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ დასკვნები პირდაპირ დაშვებებიდან გამომდინარეობს. თუკი უკონტექსტო სამყაროს მოვარგებთ სისტემას, სადაც ყველა ფაქტორი და ეკონომიკური აგენტი თვისებრივად იდენტური იქნება, მაშინ ჩვენ აუცილებლად ერთფეროვნებას მივიღებთ. ჩემი აზრით, სწორედ ამაშია ახსნა იმისა, თუ რატომ წარმოშობს ეკონომიკური თეორია ავტომატურ ჰარმონიას. ვარაუდები თავიდანვე მოიცავს დასკვნებს. თანამედროვე ეკონომიკის წინააღმდეგ ამბოხისას, ფრანგმა ეკონომიკის სტუდენტებმა ეს მომენტი სახუმაროდ გამოიყენეს, როდესაც „პოსტ-აუტისტური ეკონომიკის“ მოძრაობა დააარსეს.[32]

უკმაყოფილება ეკონომიკის არსებული მდგომარეობის მიმართ ცალსახად იზრდება. ეკონომიკური მეცნიერებების ცნობილი ისტორიკოსის, მარკ ბლაუგის ეს ანალიზი თითქმის მეინსტრიმულად იქცა:

თანამედროვე ეკონომიკა „ავადაა“. იგი სულ უფრო და უფრო მეტად ხდება ინტელექტუალური თამაში, რომელსაც ისევ ამ თამაშისთვის და არა მისი პრაქტიკული შედეგების გამო თამაშობენ. ეკონომისტებმა ეს საგანი თანდათან გადააქციეს ერთგვარ სოციალურ მათემატიკად, სადაც, მათემატიკის კათედრების მსგავსად, გაგებული ანალიტიკური სიზუსტე ყველაფერია, ხოლო ემპირიული რელევენატურება (როგორც ის ფიზიკის დეპარტამენტებში ესმით) არაფერი. თუკი საკითხს ფორმალურ მოდელირებას ვერ დაუპირისპირებ, მაშინ მისი ინტელექტუალურ ქვესკნელში გადამისამართება მოგიწევს.[33]

მსგავსი თვითციტირება და საკუთარ თავში ჩაკეტილობა – რეალობისგან მოწყვეტა – სქოლასტიკოსების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო. ნებისმიერმა დანიელმა და ნორვეგიელმა ბავშვმა იცის, თუ როგორ დასცინოდა მათი ქვეყნების პირველი ცნობილი მწერალი (და ეკონომისტი) ლუდვიგ ჰოლბერგი მის თანამედროვე მეცნიერებაში არსებულ სქოლასტიკურ შტრიხებს. ჰოლბერგი ნებას რთავს ახალგაზრდა, განათლებულ დედაქალაქელ კაცს „დაუმტკიცოს“ ღარიბ და შეშინებულ სოფლელ ქალს, რომ სინამდვილეში ის ქვაა: „ქვას არ შეუძლია ფრენა. ქალბატონ ნილეს არ შეუძლია ფრენა. მაშასადამე ქალბატონი ნილე ქვაა“. „გულივერის მოგზაურობაში“ ჯონათან სვიფტიც (1667-1745) ასე დასცინის მეცნიერებას. მეოცე საუკუნის დასაწყისშიც კი, 1926 წელს, დანიელმა ეკონომისტმა ლ. ვ. ბირკმა შეამჩნია, რომ იგივე პრობლემა ნელ-ნელა ისევ აქტუალური ხდებოდა და დაწერა სტატია, რომელსაც „თანამედროვე სქოლასტიკა“ ერქვა.[34]

აბსტრაქტული მათემატიკა ეკონომიკაში პირველად იტალიელმა ეკონომისტებმა, 1700-იანი წლების შუაში, გამოიყენეს. პირვანდელი აღტაცების შემდეგ, მათ ამის კეთება შეწყვიტეს,

ვინაიდან აღმოაჩინეს, რომ საკითხები ანალიზის გარეშე უფრო რთულდებოდა. 1752 წელს, მათემატიკოსი იგნაციო რადიკატი საკუთარ ეკონომისტ მეგობრებს აფრთხილებდა: „თქვენ იმავეს უზამთ პოლიტიკურ ეკონომიკას, რაც სქოლასტიკოსებმა გაუკეთეს ფილოსოფიას. საგნების უფრო და უფრო დახვეწისას, თქვენ არ იცით, როდის უნდა გაჩერდეთ.“[35] დღევანდელი ეკონომისტები თითქოს მიამიტურად აღიქვამენ მათემატიკას „ნეიტრალურ“ იარაღად, როცა არ ეთანხმებიან მარკ ტვენის მოსაზრებას, რომ ის, თუ რა საშუალებას იყენებ, შენს პერსპექტივას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს.

მიუხედავად ამისა, მე რაოდენობრივი ანალიზის და მათემატიკის წინააღმდეგი არ ვარ, მე მხოლოდ მისი ეკონომიკის მართვის ერთადერთ მიღებულ ფორმად აღიარებას ვუპირისპირდები და ვითხოვ სივრცეს აკადემიურ ეკონომიკაში თვისებრივი ანალიზის დასაბრუნებლად. სამყაროს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესწავლა ერთმანეთს ავსებს. პრობლემა არის ის, რომ ფაქტორები, რომლებიც მსოფლიოს მდიდარ და ღარიბ ნაწილებად ყოფენ, მათ შორის თვისებრივი განსხვავებების გაგებას მოითხოვენ. ეკონომისტებმა საკუთარ თავს შეუქმნეს დაბრკოლება, მათ მსგავსად, ვინც ნაშრომს, სხვადასხვანაირ თოვლზე წერს და ამის გაკეთება სუაჰილის ენაზე გადაწყვიტა. ცხადია, ამ შემთხვევაში, საამების ან ინუიტების ენა უფრო გამოსადეგი იქნებოდა. სქოლასტიკოსების მსგავსად, რომელთაც განმანათლებელი ფილოსოფოსები ებრძოდნენ, ეკონომისტებმა აირჩიეს ენა, რომელიც ყოველგვარი საღი აზრის საპირისპირო „კონვენციურ სიბრძნემდე“ დეგრადირდა, დაახლოებით ისეთამდე როგორიცაა „ქალბატონი ნილე ქვაა“.

ეკონომიკის სტანდარტული სახელმძღვანელოების მსგავსად, უკიდურესი ფორმის სქოლასტიკა ქმნის ისეთ დასაბუთე-

ბებს, რომლებიც საღ აზრსა და ინტუიციას ეწინააღმდეგება. სამუელსონის წარმოების ფასების გათანაბრება, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობა გამოიწვევს, ეკონომიკაში არსებული ალოგიკური სქოლასტიკაა. ამერიკელი ეკონომისტი დეიდრა მაკკლოსკი, კარგად აჩვენებს სტანდარტული ეკონომიკის ვარაუდების უგუნურებას. მაგალითად, მას მოჰყავს ნობელის პრემიის ლაურეატის რობერტ ფოგელის „მტკიცება“, რომ რკინიგზა სულაც არ იყო მნიშვნელოვანი შეერთებული შტატების განვითარებისთვის, ვინაიდან რკინიგზამ, სანაოსნო არხებთან შედარებით, მშპ-ის მხოლოდ 2.5%-იანი ზრდა გამოიწვია. ამგვარი მსჯელობა მიგვიყვანდა იმის მტკიცებამდე, რომ გული უმნიშვნელო ორგანოა, ვინაიდან ის ადამიანის სხეულის მასის მხოლოდ 2.5%-ს შეადგენს. 1971 წელს, რობერტ ჰეილბრონერმა იკითხა: „არის ეკონომიკა რელევანტური?“ პასუხი ამ შეკითხვაზე სულ უფრო მეტად უარყოფითი ხდება.

პირველ თავში მოყვანილ თომას კუნის ციტატას რომ დავუბრუნდეთ:

გაბატონებული ეკონომიკური პარადიგმა არ გვაძლევს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელიც დაგვეხმარებოდა იმის გაგებაში, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ეკონომიკური განვითარების ამგვარ უთანაბრობას.

ეკონომიკური თეორიის ორი სახეობა და გლობალიზაციის ორი თეორია

აქ განხილული ორი ფართო თეორია გლობალიზაციაზე სხვადასხვა ხედვებს გვთავაზობს. სინამდვილეში, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ორმა ლაურეატმა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია შექმნა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწევა მსოფლიოში შემოსავლებს გლობალიზაციის პირობებში.

პირველ თეორიაში, რომელიც დაფუძნებულია ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ჩვეულ ვარაუდებზე, პოლ სამუელსონმა მათემატიკურად „დაადასტურა“, რომ შეუფერხებელი საერთაშორისო ვაჭრობა „საწარმოო ფაქტორების ფასების გათანაბრებას“ გამოიწვევდა, რაც, არსებითად, ნიშნავს იმას, რომ წარმოების ფაქტორებში გადახდილი ფასი – კაპიტალსა და შრომაში – მთელ მსოფლიოში ერთი და იგივე იქნება.[36]

მეორე თეორიის მიხედვით, რომელიც იმ ალტერნატიულ ტრადიციას ეფუძნება ჩვენ რომ „სხვა კანონს“ ვუწოდებთ, შვედ ეკონომისტ გუნარ მირდალს სწამდა, რომ მსოფლიო ვაჭრობა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების შემოსავლებს შორის არსებულ სხვაობას კიდევ უფრო გაზრდიდა.

ვაშინგტონის კონსენსუსის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური პოლიტიკის ბაზისია, ექსკლუზიურად ეფუძნება იმ თეორიას, რომელსაც პოლ სამუელსონი წარმოადგენს. 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენები მკაცრად ეწინააღმდეგება სამუელსონის იდეას, მაგრამ ადასტურებს მირდალის მტკიცებებს: მდიდარი ქვეყნები, როგორც ცალკე ჯგუფი, მდიდარი სახელმწიფოების ერთიან კლასტერად ყალიბდებიან, მაშინ, როდესაც ღარიბები რჩებიან სიღარიბეში და მათ შორის უფსკრული იზრდება. პოლ სამუელსონის თეორიას თითქოს შეუძლია ახსნას თუ რა ხდება მდიდარი ქვეყნების ჯგუფში, მაშინ, როდესაც გუნარ მირდალის თეორიას შესწევს ძალა აგვიხსნას ფარდობითი კეთილდღეობის ზრდა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ჯგუფებს შორის. სამუელსონის თეორია საფრთხეს არ წარმოადგენს იმ ერებისთვის, რომლებმაც მზარდ უკუგებაში შედარებითი უპირატესობა უკვე მოიპოვეს. სამაგიეროდ, იგი

უკიდერუსად საზიანოა იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც საღი ინდუსტრიული პოლიტიკის მინიმალურ ზღვარს ვერ მიაღწიეს.

იმ ტიპის თეორია, რომელიც მირდალმა შემოგვთავაზა, დღეს თითქმის აღარსად გვხვდება: ის არსებობას აგრძელებს ან ნაწილ-ნაწილ, ან დამახინჯებული ფორმით, რომელიც ნეოკლასიურ ეკონომიკასთან „ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის" სახითაა მიბმული. ის იშვიათად ისწავლება თანამედროვე მოწინავე უნივერსიტეტების ეკონომიკის მიმართულებებზე მისი პირვანდელი სახით. შესაბამისად, ეკონომისტებს, როგორც ცალკე აღებულ ჯგუფს, არ სურთ თვალი გაუსწორონ იმას, რომ მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ურთიერთობების გასაგებად, მირდალს, შესაძლოა, სამუელსონზე უკეთესი გზა შემოეთავაზებინა.

ფარავს რა მსოფლიო განვითარების მხოლოდ ზოგად საფუძვლებს, სამუელსონის თეორიამ გარკვეულწილად იწინასწარმეტყველა წარმატებული განვითარება ქვეყნების ცალკე აღებულ ჯგუფებში. მდიდარი ქვეყნები მიდრეკილნი არიან თანაბარი სიმდიდრისკენ, მაშინ, როდესაც ღარიბები თანაბარ სიღარიბეში რჩებიან. ამის შედეგია ის, რომ „საშუალოდ მდიდარი" ანუ საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები ქრებიან და ორი მჭიდრო ჯგუფი, მდიდრები და ღარიბები, გაბნევის დიაგრამაზე იზოლირებულ კლასტერებად იქცევიან – როგორც ეს მირდალმა იწინასწარმეტყველა.

ბარტერსა და გაცვლაზე დაფუძნებულ თეორიაში, რომელსაც დღეს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია წარმოადგენს, ეკონომიკა დანადგარია, რომელიც ეკონომიკურ ჰარმონიას ქმნის, ვიდრე ის საკუთარ თავთან მარტოა დარჩენილი. შედეგად, დღეს მთავარი ყურადღება ფინანსურ და სავალუტო ცვლადებზეა გადატანილი. ამ თეორიაში, ზრდის გამომწვევი ფაქტორები – ახალი ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები, სინერგიები და ინფრა-

სტრუქტურა – ან თეორიის მიღმაა დარჩენილი, ან ისეთი საშუალო სიდიდეების აბსტრაქტულ ძებნაში იკარგება, როგორიცაა „წარმომადგენლობითი ფირმა“. საპირისპირო ხდება წარმოებაზე დაფუძნებულ თეორიაში, სადაც ფინანსური და სავალუტო ცვლადები ასრულებენ კარკასის როლს მთავარი ამოცანის – ქვეყნის წარმოების შესაძლებლობების ასაშენებლად. სწორედ იმიტომ, რომ მასში ზემოხსენებული ფაქტორები იგნორირებულია, სტანდარტული თეორია ასკვნის, რომ გლობალიზაცია ყველასთვის თანაბრად სასარგებლო იქნება, თუნდაც იმ ქვეყნისთვის, რომელიც ცოდნის მხრივ ჯერ კიდევ ქვის ხანაშია ჩარჩენილი. შედეგად, ემულაციისა და ცოდნის ასიმილაციის ნაცვლად, განვითარება კაპიტალის დაგროვებად აღიქმება.

სხვაობა ამ ორ ეკონომიკურ თეორიას შორის საკმაოდ ღრმაა, ეს სხვაობა სათავეს ყველაზე ფუნდამენტური ადამიანური მახასიათებლებისა და ადამიანის ძირითადი საქმიანობის ორი დაპირისპირებული იდეისგან იღებს. ადამ სმიტი და აბრაამ ლინკოლნი ლაკონურად აღწერენ ადამიანური ბუნების ამ ორ განსხვავებულ ხედვასა და მათგან გამომდინარე ეკონომიკურ თეორიებს.

ბარტერზე დაფუძნებული თეორია ჩამოყალიბდა ადამ სმიტის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“.

შრომის დანაწილება წარმოიშობა ადამიანის ბუნების მიდრეკილებიდან... გაცვალოს, ბარტერი განახორციელოს და გადაცვალოს ერთი საგანი მეორეზე... ეს ყველა ადამიანისთვის საერთოა და მსგავსი რამ ცხოველების სხვა სახეობაში არ მოიძებნება, ცხოველებმა არ იციან არც ეს და არც შეთანხმების სხვა ფორმა... არავის უნახავს ძაღლს სამართლიანად და მიზანმიმართულად გაეცვალოს ძვალი სხვა ძაღლისთვის.

ლინკოლნმა წარმოებასა და ინოვაციებზე დაფუძნებული თავისი თეორია, 1860 წლის საარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმულ სიტყვაში აღწერა:

თახვები აშენებენ სოროებს; მაგრამ დღეს ისინი სრულიადაც არ აშენებენ მათ განსხვავებულად, ან უკეთ, ვიდრე ხუთი ათასი წლის წინ... ადამიანი არაა ერთადერთი არსება, რომელიც შრომობს; მაგრამ მხოლოდ მას შეუძლია საკუთარი ხელობის გაუმჯობესება. ამგვარ წინსვლას ის აღმოჩენებისა და გამოგონების საშუალებით აღწევს.

ადამიანების ფუნდამენტური ეკონომიკური მახასიათებლების ამ ორ სხვადასხვა ხედვას ფართოდ განსხვავებულ ეკონომიკურ თეორიებისა და ეკონომიკური პოლიტიკის შეთავაზებებამდე მივყავართ. სინამდვილეში, ადამ სმიტი საუბრობს გამოგონებებზე, მაგრამ ისინი ყალიბდებიან ეკონომიკური სისტემის გარეთ (ისინი ეგზოგენურია), გამოგონებები, სმიტის ხედვით, ყველასთვის ხელმისაწვდომია (სრულყოფილი ინფორმაცია) და ყველა საზოგადოებასა და პიროვნებაზე ერთდროულად ახდენენ გავლენას. მსგავსად ამისა, ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები ავტომატურად და უფასოდ იქმნება უხილავი ხელის მიერ, რომელსაც თანამედროვე ეკონომიკური იდეოლოგიის მიხედვით „ბაზარი“ ეწოდება. აღსანიშნავია, რომ აბრაამ ლინკოლნი და კარლ მარქსი, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკურ მემარჯვენე-მემარცხენე ღერზე საპირისპირო პოლუსებზე იმყოფებიან, სრული თანამოაზრეები იყვნენ კაცობრიობის თაობაზე ადამ სმიტის შეხედულებებთან დაპირისპირებისას.

ამ ორი ტიპის თეორიას კაცობრიობის ორ განსხვავებულ საწყისამდე მივყავართ: ლინკოლნისეულამდე, რომლის მიხედვითაც „პირველად იყო სოციალური ურთიერთობები“ ან სმიტ-

ისეულამდე, სადაც „პირველად იყო ბაზარი“. მის წიგნში „დიდი ტრანსფორმაცია“ (1944), კარლ პოლანი (1886-1964) ადამ სმიტის მიერ „ველური გაცვლის“ ეკონომიკურ აქსიომად დამკვიდრების შედეგებზე საუბრობს:

ბევრი ადამიანი, რომელიც წერს პოლიტიკურ ეკონომიკაზე, სოციალურ ისტორიაზე, პოლიტიკურ ფილოსოფიასა და ზოგად სოციოლოგიაზე, დაადგა სმიტის კვალს და გაამყარა მისი „ველური გაცვლის“ პარადიგმა საკუთარ მეცნიერებებში. სინამდვილეში, ადამ სმიტის მოსაზრებები პირველყოფილი ადამიანის ეკონომიკურ ფსიქოლოგიაზე ისეთივე მცდარი აღმოჩნდა, როგორც რუსოს ვარაუდები ბარბაროსის პოლიტიკურ ფსიქოლოგიაზე. შრომის დანაწილებას, რომელიც ისეთივე ძველია, როგორც საზოგადოების ცნება, საფუძვლად უდევს სქესში, გეოგრაფიასა და ნიჭში თანდაყოლილი განსხვავებები; ხოლო ადამიანის სავარაუდო მიდრეკილება გაცვლისკენ, ბარტერის განხორციელების ან გადაცვლისკენ, წმინდა წყლის გამოგონებაა. მაშინ, როდესაც ისტორიისა და ეთნოგრაფიისთვის არაერთი განსხვავებული ეკონომიკური სისტემაა ცნობილი, რომელთა უმეტესობა ინსტიტუციონალიზებული ბაზრებისგან შედგებოდა, მათ ჩვენამდე არ შეხვედრიათ არც ერთი ეკონომიკური წყობა, რომელიც ოდნავ მაინც იქნებოდა გაკონტროლებული და მართული ბაზრის მიერ. ეს ცხადი გახდება მაშინვე, თუკი უფრო ფართოდ შევხედავთ ცალ-ცალკე წარმოდგენილი ეკონომიკური სისტემებისა და ბაზრების ისტორიას. ბაზრების როლი სხვადასხვა ქვეყნების შიდა ეკონომიკაში ბოლო დრომდე უმნიშვნელო იყო და ბაზრის მიერ მართულ ეკონომიკაზე გადასვლა, ამას კიდევ უფრო ნათლად დაგვანახებს.[37]

ლინკოლნისა და სმიტის ციტატებში ჩადებულია ევროპული ეკონომიკური თეორიის ორი ტიპი, რომლებიც ბოლო 250 წლის

განმავლობაში განვითარდა ევროპაში და, რომლებიც კაცობრიობის ორ განსხვავებულ მსოფლმხედველობას წარმოადგენს. ტიპის, ინგლისური ტრადიციის მიხედვით, ადამიანის ტვინი არის სიამოვნების გამომთვლელი მანქანის შემცველი, პასიური *tabula rasa*, რომელიც გაურბის ტკივილს და იხანგრძლივებს სიამოვნებას. ამ შეხედულებას მივყავართ ჰედონისტურ და ბარტერზე დაფუძნებულ ეკონომიკამდე, შესაბამისი ღირებულებებითა და წამახალისებელი სისტემით. ეკონომიკური ზრდა შრომისადმი კაპიტალის მექანიკურ დამატებად აღიქმება. B ტიპის, კონტინენტური ევროპის ტრადიციის მიხედვით, ადამიანის არსს, პოტენციურად კეთილშობილი სული და აქტიური ტვინი წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრულ სქემაზე დაყრდნობით, მუდმივად ინახავს და ახარისხებს მის გარშემო არსებულ სამყაროს. შედეგად, გაცვლის მაგიერ, ეკონომიკის ცენტრში წარმოება, ცოდნის ათვისება, გავრცელება და ინოვაციები ექცევა.

კონტინენტური ტიპის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა არის არა კაპიტალი, როგორც ასეთი, არამედ ნიცშეს Geist und Willens-Kapital, ადამიანური სულისკვეთებისა და ნების კაპიტალი. თუკი ვინმეს A ტიპი სწორად მიაჩნია, მაშინ B ტიპი აზრს კარგავს და პირიქით. პირველი შეხედულება იძლევა მარტივი, გათვლადი და რაოდენობრივი, სტატიკური ეკონომიკური თეორიის შემუშავების საშუალებას. მეორე კი, რომელიც უფრო კომპლექსური წარმონაქმნია, საჭიროებს ასეთივე რთულ და დინამიკურ თეორიას, რომლის ციფრებსა და სიმბოლოებამდე დაყვანა შეუძლებელია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თეორიის პირველი სახეობის „კონვენციური სიბრძნე" შესაძლებელია სრულიად სხვაგვარად ჩანდეს მეორეში. იერემია ბენთამისთვის „ცნობისმოყვარეობა" მავნე ჩვევას წარმოადგენდა, ხოლო თორსტაინ ვებლენისთვის „უმიზნო ცნობისმოყვარეობა" იყო მექანიზმი, რომლის საშუალებითაც საზოგადოება ცოდნას აგროვებს.

ასი წლის წინ, თორსტაინ ვებლენმა მედგრად შეუტია რიკარდოსეული ეკონომიკის საფუძვლებს. მოგვიანებით, პოლანის მსგავსად, ვებლენი, მისთვის დამახასიათებელი ირონიით ამტკიცებდა, რომ პრიმიტიული ეკონომიკური ქცევის გაგება შეუძლებელია სმიტის ან რიკარდოს ხედვებით: „ალეუტის კუნძულების მცხოვრებნი, რომლებიც წყალმცენარეებს კაფავენ, ფოცხით დარბიან და მაგიურ შელოცვებს წარმოთქვამენ მოლუსკების დასაჭერად, ტაქსონომიური რეალობის კუთხით ემსახურებიან რენტის, ხელფასებისა და შემოსავლების ჰედონისტურ წონასწორობას“. აი, როგორია ეკონომიკური მეცნიერება, როცა ყურადღების მიღმა რჩება დრო, სივრცე და კონტექსტი.

მის 1898 წლის სტატიაში „რატომ არაა ეკონომიკა ევოლუციური მეცნიერება“, ვებლენი შეეცადა ადამიანის შესახებ A ტიპის შეხედულებების (რომლის მიხედვითაც ადამიანი პასიური ჰედონისტური არსებაა, რომელსაც გარე მოვლენები აშინებს) ალტერნატივა შეექმნა, და მის ნაცვლად ტიპის ეკონომიკური ხედვები დაემკვიდრებინა. 150 წლით ადრე მცხოვრები ჯონათან სვიფტისა და ლუდვიგ ჰოლბერგის მსგავსად, ვებლენის ერთ–ერთი იარაღი ირონია იყო:

ადამიანის ჰედონისტური კონცეფცია სიამოვნებისა და ტკივილის კალკულატორს ჰგავს, რომელიც სტიმულის იმპულსის ზემოქმედებისას, ბედნიერების სურვილით აღვსილი ერთგვაროვანი ბურთივით მერყეობს, სტიმული მას ადგილს უცვლის, მაგრამ არსობრივად ხელუხლებელს ტოვებს. მას არც წანამძღვარი აქვს და არც დანასკვი. ის იზოლირებული და საბოლოო ადამიანური სიდიდეა და სტაბილურ ეკვილიბრიუმში იმყოფება, იმ მომენტების გამოკლებით, როდესაც დაჯახების დარტყმის ძალებს იგი ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰყავთ. თავდაპირველ

მდგომარეობაში ის საკუთარ თავს თვითონ განსაზღვრავს და სიმეტრიულად ტრიალებს საკუთარი სულიერი ღერძის გარშემო, ვიდრე ძალთა პარალელოგრამა არ დაეჯახება მას, რის შედეგადაც იგი ამ ზემოქმედების მიმართულებით ირხევა. როცა ზემოქმედების ძალა სუსტდება, ის სურვილის ისეთივე თვითკმარ ბურთად იქცევა, როგორიც მანამდე იყო. არსობრივად, ჰედონისტური ადამიანი არაა ინიციატორი [მამოძრავებელი ძალა. – მთარგმნელი]. ის არ არის სიცოცხლის ნავსაყუდელი, იმ შემთხვევის გარდა, როცა იგი თავადაა ცვლილებების ობიექტი, რაც მისთვის გარე და უცხო გარემოებების ზემოქმედებითაა განპირობებული.[38]

ამის მიუხედავად, თორსტაინ ვებლენს მოგვიანებით ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტობა შესთავაზეს, რაც რთულად გასაგებია დღევანდელი გადმოსახედიდან.

ეს მტკიცება ოდნავ არამეგობრულად ჟღერს, თუმცა სიმდიდრისა და სიღარიბის ჩვენებური გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილეში ადამ სმიტის ყველაზე დიდი წვლილი იყო ის, რაც მან შემდგომში მეინსტრიმული ეკონომიკური სისტემიდან ამოიღო. გაბატონებული მოდელიდან, ადამ სმიტის გამო, ეკონომიკური განვითარების შესწავლის ოთხი მნიშვნელოვანი კონცეფცია მოიკვეთა:

1. ინოვაციის კონცეფცია, რომელიც 150 წელზე დიდხანს იყო ინგლისური სოციალური მეცნიერებების მნიშვნელოვანი ნაწილი. ფრენსის ბეკონის მიერ ადრეულ, მე-17 საუკუნეში დაწერილი „ესეები ინოვაციების შესახებ"-ით დაწყებული, ჯეიმზ სტიუარტის (1767) „გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების შესახებ"-ით დამთავრებული.

2. შეხედულება, რომ ეკონომიკური განვითარება სინერგიული ეფექტების შედეგია და ადამიანებს, რომლებიც შრომით

ბაზარს ინოვაციურ ინდუსტრიებთან ერთად ინაწილებენ, სხვებზე უფრო მაღალი ხელფასი ექნებათ. ეს ორივე საკითხი, მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, პერიოდულად თავს იჩენს ევროპულ ეკონომიკურ აზროვნებაში.

3. გააზრება იმისა, რომ განსხვავებული ეკონომიკური საქმიანობები, შესაძლოა, ეკონომიკური განვითარების თვისობრივად განსხვავებული მატარებლები იყვნენ.

4. ადამ სმიტის მიერ წარმოებისა და ვაჭრობის სამუშაო საათებამდე დაყვანამ გზა გაუხსნა რიკარდოს დღემდე დომინანტურ სავაჭრო თეორიას. ამ თეორიის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკა, ადამ სმიტის ერთმანეთში მოვაჭრე ძაღლების მსგავსად, სრულიად უშინაარსო სამუშაო საათების გაცვლად აღიქმება.*

ადამ სმიტის პირველი ნაშრომი ასტრონომიაზე იყო და სმიტისა და მისი მიმდევრების მიერ გამოყენებული მეტაფორა დღემდე ინარჩუნებს გავლენას თანამედროვე ეკონომიკაში: როგორც პლანეტები მოძრაობენ მზის გარშემო ორბიტაზე უხილავი ხელის დახმარებით, ზუსტად იმგვარად იპოვის საკუთარ ეკვილიბრიუმს საბაზრო ეკონომიკის უხილავი ხელი, ვიდრე მის საქმეში არავინ ჩაერევა. ამას ერთი საინტერესო აბზაცი მოჰყვება, რომელიც ბაზრის უხილავ ხელს, ბედისწერის ჩვეულებრივ რწმენასა და განგებას ერთმანეთისგან მიჯნავს. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ სინამდვილეში ადამ სმიტი მიწის განაწილების საკითხსაც კი ბედისწერას აბრალებდა და არა სოციალურ

* აქ იგულისხმება იგავ-არაკი, ადამ სმიტის ნაშრომიდან „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ", სადაც იგი საუბრობს ადამიანის მიდრეკილებაზე, ივაჭრონ და გაცვალონ ნივთები. სმიტი ამ იგავით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ადამიანებს აქვთ მიდრეკილება სამართლიანი ვაჭრობის მიმართ და რომ ეს ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს, განსხვავებით ძაღლებისგან (ცხოველებისგან), რომელთაც ეს მიდრეკილება არ გააჩნიათ (მთარგმნელის შენიშვნა).

ფაქტორებს. მაგრამ, მისი მტკიცებით უხილავი ხელი ღარიბებს მაინც დაეხმარებოდა:

„მიწის დამუშავება მუდმივად ინახავს იმდენ ადამიანს, რამდენის შენახვაც მას ძალუძს. მდიდრები გროვიდან იღებენ მხოლოდ რჩეულსა და მისაღებს. ისინი ღარიბებზე ოდნავ მეტს მოიხმარენ და, მიუხედავად მათი ბუნებრივი ეგოიზმისა და სიხარბისა, მიუხედავად მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვისა და იმისა, რომ, რასაც საბოლოოდ ათასობით მუშისგან მოითხოვენ, მხოლოდ მათი პატივმოყვარეობისა და გაუმაძღარი სურვილების დაკმაყოფილებას ემსახურება, ისინი ღარიბებს მაინც უნაწილებენ თავიანთი კეთილდღეობის ნაყოფს. მათ მიუძღვება უხილავი ხელი იმისათვის, რომ თანაბრად გაანაწილოს სიცოცხლისათვის პირველადი საჭიროების საგნები, რაც მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუკი დედამიწა, ყველა მის მკვიდრს შორის, თანაბრად იქნება გადანაწილებული. შედეგად იგი უნებლიეთ, გაუაზრებლად იცავს საზოგადოების ინტერესებს და მას შესწევს უნარი ამ მოდგმის გასამრავლებლად. როდესაც განგებამ დედამიწა რამდენიმე ღირსეულ ბატონს გაუნაწილა, მას არ დავიწყებია და არ მიუტოვებია ისინი, ვისაც არაფერი შეხვდათ. ამ უკანასკნელთ ასევე ერგებათ წილი ყველაფრიდან. ადამიანური სიცოცხლის ჭეშმარიტი ბედნიერება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არაფრით არიან მათზე ნაკლებნი, ვინც ერთი შეხედვით უფრო აღმატებულია. ლაღი სხეულითა და სულიერი სიმშვიდით, ყველა ფენა თითქმის თანაბარია და მათხოვარი, რომელიც მზეს ეფიცხება შარაგზის ნაპირზე, ფლობს უსაფრთხოებას, რისი მოპოვებისთვისაც მეფეები ყველა ღონეს ხმარობენ“ (თეორია მორალური გრძნობების შესახებ)[39].

სმიტი უხილავ ხელს საზოგადოების ჭეშმარიტად პანგლოს-

ისეული ხედვის შესაქმნელად იყენებს და ეს დამოკიდებულება კვლავაც გრძელდება თანამედროვე სტანდარტულ ეკონომიკაში. უხილავი ხელისა და ოთხი ადრინდელი, მისი სისტემის მიერ გარიყული, ეკონომიკური ხედვის გამოყენებით, ადამ სმიტმა საფუძველი ჩაუყარა იდეოლოგიას, რომელიც ეკონომიკას Harmonielehre-ის (ჰარმონიის თეორია) საშუალებით უყურებს, სადაც მიიჩნევა, რომ ბაზარს ავტომატური ჰარმონია და თანაბარი კეთილდღეობა მოაქვს. თქმა არ სჭირდება იმას, რომ ამ თეორიას თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკისთვის შემაძრწუნებელი შედეგები მოაქვს.

უმჯობესია თუკი ვიფიქრებთ, რომ ეკონომიკა ორი განსხვავებული სფეროსგან შედგება (იხ. ილუსტრაცია 4). ერთ მხარეს რეალური ეკონომიკის კომპლექსური, განსხვავებული და ქაოტური სამყაროა, რომელიც უამრავი საქონლისა თუ მომსახურების წარმოებას მოიცავს, დაწყებული ფეხსაცმლის თასმით, დამთავრებული სასტუმროებითა და დალაქებით. მეორე მხარეს მოთავსებულია ბევრად უფრო ერთგვაროვანი ფინანსური სივრცე, სადაც რეალური ეკონომიკის ყველა აქტივობა დოლარებად და ცენტებად გადაიქცევა. გლობალიზაციის თანამედროვე თეორიის თვალსაზრისით, რეალურ ეკონომიკაში შემავალი ყველა განსხვავებული ეკონომიკური საქმიანობა, როგორც ეკონომიკური განვითარების მატარებლები, თვისებრივად მსგავსია, ამიტომაც, გლობალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობა ავტომატურად მოიტანს ეკონომიკურ ჰარმონიას. სინამდვილეში, ეკონომიკურ უთანასწორობას საფუძვლად რეალური ეკონომიკის „შავი ყუთის" შიგნით არსებული სიჭრელე და სირთულეები უდევს.

გარდა იმ მიამიტური რწმენის მასხრად აგდებისა, რომლის მიხედვითაც თავისუფალ ვაჭრობას ჰარმონია უნდა მოეტა-

ნა, ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ აღმოაჩინა კიდევ ერთი ელემენტი ბარტერსა და ინოვაციებთან ერთად, რომელიც ადამიანებს დანარჩენ ცხოველთა სამყაროსგან განასხვავებს: ადამიანები ერთადერთნი არიან, რომელთაც დანაპირების შესრულება შეუძლიათ. ეს შეხედულება აყენებს ინსტიტუტების, ნორმებისა და რუტინის, კანონებისა და წესების, სტიმულებისა და შემაკავებლების საჭიროებას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საზოგადოება ამ მოლოდინებს ან ფორმალურ წესებს, რომლებიც გამოიყენება იმათ დასასჯელად, ვინც არ დაემორჩილება მათ. სინამდვილეში, თავად ბაზარი ამგვარი ინსტიტუტია, რომელსაც, მართალია, ფუნქციონირება შეუძლია, მაგრამ მაინც იზღუდება რამდენიმე ფორმალური და არაფორმალური წესის გამო. მიუხედავად ამისა, ამგვარ ინსტიტუტებს თანამედროვე ეკონომიკაში უპირობოდ, კრიტიკული ანალიზის გარეშე იღებენ. ადრეულ მე-17 საუკუნებში მოღვაწე ფრენსის ბეკონის შემდეგ, ეკონომისტებს დიდხანს სჯეროდათ, რომ ინსტიტუტები ნებისმიერი საზოგადოების წარმოების მეთოდს ასახავენ. დღეს, მსოფლიო ბანკი, ამ შეხედულების თავდაყირა დაყენებას ცდილობს და სურს ქვეყნებში სიღარიბის წარმოშობა ინსტიტუტების ნაკლებობით ახსნას, მაშინ, როცა ყურადღებას არ აქცევს წარმოების მეთოდს, ტექნოლოგიებსა და ინსტიტუტებს შორის არსებულ მნიშვნელოვან კავშირებს.



ილუსტრაცია 4. ეკონომიკური წრებრუნვა

ბარტერსა და გაცვლაზე დაფუძნებული თეორია პირველად 1760-იანი წლების საფრანგეთში, ფიზიოკრატების დროს გაბატონდა. მეორედ კი – 1840-იანი წლების მსოფლიოში. ინგლისმა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პროტექცია დიდწილად იმის გამო შეწყვიტა, რომ საკუთარი მუშებისთვის იაფი პური ჰქონოდა და მაშინვე დაიწყო ზრუნვა იმისთვის, რომ საკუთარი მრეწველობის მფარველობა სხვა ქვეყნებსაც შეეწყვიტათ. საფუძველი ამისა იყო რწმენა, რომ მზარდი სოციალური უთანასწორობა, რასაც საუკუნის განმავლობაში „სოციალური საკითხი“ ეწოდებოდა, მაშინვე აღმოიფხვრებოდა, როგორც კი ეკონომიკაზე ყველა შეზღუდვა მოიხსნებოდა. თუმცა, ამან, საბოლოო ჯამში, პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა. თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფო ქაოსიდან აგურ-აგურ აშენდა. ამ მხრივ გერმანია პირველი მერცხალი იყო.

„სოციალური პოლიტიკის ასოციაციაში“ (Verein für Sozialpolitik) გაერთიანებული ეკონომისტების პოლიტიკურად ჭრელი ჯგუფი და კანცლერი ბისმარკი პრობლემის ანალიზსა და შეთავაზებულ გადაჭრის გზებზე შეთანხმდნენ. ამ ჯგუფის ანალიზი, დიდწილად, კარლ მარქსისას ჰგავდა, მაგრამ მარქსის შეთავაზებული გამოსავალი – ამოეყირავებინათ სოციალური პირამიდა – მათთვის მიუღებელი იყო. როგორც ენტონი გიდენსი აღნიშნავს „მესამე გზაში“: „მმართველი ჯგუფები, რომლებმაც გვიანი მე-19 საუკუნის იმპერიულ გერმანიაში სოციალური დაზღვევის სისტემა შექმნეს, სოციალიზმსა და ჩაურევლობის ეკონომიკას თანაბრად ვერ იტანდნენ.“[40] ეს იმ სახეობის ეკონომიკაა, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, გამქრალია.

ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით, არც ერთი ისტორიული პერიოდი ისე არ ჰგავს 1990-იანებს, როგორც 1840-იანი წლები. ორივე პერიოდს არარაციონალური, უსაზღვრო ოპტიმიზმი ახასიათებდა, რომელიც ტექნოლოგიურ რევოლუციას ეფუძნებოდა. 1829 წელს სტივენსონმა პირველი ორთქლის ძრავიანი ლოკომოტივი, „რაკეტა“, გამოცადა, ხოლო 1840-იანებისთვის უკვე „ორთქლის ხანა“ ყვაოდა. 1971 წელს „ინტელმა“ პირველი მიკროპროცესორი შექმნა, ხოლო 1990-იან წლებში ახალი ტექნოეკონომიკური პარადიგმა დაიბადა. ამგვარ პარადიგმებს, რომლებიც კონკრეტულ სექტორში წარმოების აფეთქებას ეფუძნებიან, თან განვითარების შესაძლო სწრაფი ნახტომები ახლავს. თუმცაღა, ისინი ასევე საფუძველს უყრიან სპეკულაციურ ჟინს და იმგვარ პრაქტიკას და წამოწყებას, რომელთა მიზანია ჩვეულებრივი ინდუსტრიები პარადიგმის ცენტრალური ინდუსტრიების მსგავსად აამუშაონ.[41] Enron-ის საეჭვო ბუღალტრული პრაქტიკა, ფაქტობრივად, მათი მსგავსი იყო, რომლებსაც ასი წლით ადრე, თორსტაინ ვებლენი აკრიტიკებდა. მე-19 საუკუნის

მიწურულს, „ამერიკის ტყავის კორპორაციამ“ მისი აქციების ღირებულების გაზრდა „ამერიკის ფოლადის კორპორაციის“, მაშინდელი Microsoft-ის მსგავსად სცადა. მე-20 საუკუნის ბოლოს, ბევრი კომპანია ლამობდა Microsoft-ის მსგავსი აქციების ღირებულებისთვის მიეღწია, მაგრამ ეს არავის გამოუვიდა. ორივე ისტორიულ პერიოდში, მათ ეიფორიული საფონდო ბირჟა დაეხმარათ, რომლის არსებობის დასაჯერებლად ყველა მზად იყო და დიდი ხნის მანძილზე იგი სწორედ იმიტომ არსებობდა, რომ საკმარისად ბევრ ადამიანს სჯეროდა მისი. მაგრამ ტყავის გამოშვებით ფოლადი არ იწარმოებოდა და Microsoft-ის მსგავსი საბაზრო ძალაუფლებაც მხოლოდ რამდენიმე კომპანიას ჰქონდა, შედეგად ბევრი შემთხვევა სევდიანად სრულდებოდა.

ჩარლზ მაკკეის 1841 წელს გამოცემულ წიგნში, რომელსაც „განსაკუთრებით გავრცელებული შეცდომები და ბრბოს უგუნურობა“ ერქვა, საფონდო ბირჟების კრახები იყო აღწერილი. იმავე წელს, ფრიდრიხ ლისტმა გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა ნელ-ნელა და სისტემურად უნდა დაინერგოს, რათა ღარიბი ქვეყნები კიდევ უფრო არ გაღარიბდნენ. იმ პერიოდში არსებობდა მასობრივი მოლოდინი, რომ ნებისმიერი ინდუსტრიის სააქციო ღირებულება ცას მისწვდებოდა, ამასთან, აღმოცენდა პარალელური ილუზია, რომ სანამ ბაზარი თავისუფალი იქნებოდა, ყველა გამდიდრდებოდა. ჯონ ქენეთ გელბრაიტმა ამას „ბაზრის ტოტემიზმი“ უწოდა. ამ ორ პერიოდში, 1840-იანებსა და 1990-იანებში, რწმენა იმისა, რომ ბაზარი ჰარმონიისა და განვითარების უზრუნველმყოფ ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, ძალიან ძლიერი იყო. 1840-იან წლებში ამ მოვლენას „თავისუფალი ვაჭრობა“ ეწოდებოდა, დღეს კი „გლობალიზაცია“ ჰქვია. დიდი ხნის განმავლობაში, საფონდო ბირჟა ერთმანეთისგან საკმარისად

ვერ ასხვავებდა წარმოების არნახულ ზრდასა და ბაზარზე იმ კომპანიების მოწინავე პოზიციებს, რომლებიც ტექნო-ეკონომიკურ პარადიგმის მატარებელნი იყვნენ. ასეთი კომპანიები იყვნენ, ერთი მხრივ, „ამერიკის ფოლადი“ (US Steel) და Microsoft-ი, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთ ნაცად ინდუსტრიებთან ერთად, რომლებიც, მაგალითად, ტყავს აწარმოებდნენ, სხვა დაბალტექნოლოგიური წარმოებებიც. დღემდე, მსოფლიო პოლიტიკოსებს, გადაჭარბებულად სჯერათ, რომ სილიკონის ველის სიმდიდრე არა მისმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, არამედ სწორედ ეკონომიკის გახსნილობამ და თავისუფლად ვაჭრობამ განაპირობა. ეს ილუზია კატასტროფული გამოდგა მცირე ინვესტორებისთვის, რომლებმაც მთელი თავისი დანაზოგი ისეთ პროექტებში ჩადეს, რომლებიც [სპეკულაციური. – მთარგმნ.] „ბუშტები“ აღმოჩნდნენ. „თავისუფალი ვაჭრობის“ თანმდევი ილუზია თანაბრად დამანგრეველია პერუსა და მონღოლეთის მსგავსი ქვეყნების მცხოვრებლებისთვის, რომლებმაც, საკუთარი ინდუსტრია გლობალიზაციის სახელით დაკარგეს. ფრიდრიხ ლისტმა თავი 1846 წელს მოიკლა, რამდენიმე თვის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ საკუთარ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ტარიფების მოხსნით ინგლისმა წარმატებით დაარწმუნა დანარჩენი ევროპა, თავიანთი ინდუსტრიული ნაწარმისთვის იგივე გაეკეთებინა. მიუხედავად ამისა, ლისტის სიკვდილის შემდეგ, მისმა თეორიამ, რომლის მიხედვით თავისუფალ ვაჭრობას უნდა მოეცადა მანამდე, სანამ ყველა ქვეყანა ინდუსტრიალიზებული არ გახდებოდა, მალევე მონახა პრაქტიკული გამოვლინება ევროპასა და ამერიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ლისტის თეორია იმ დროსაც კი დომინირებდა, როდესაც ევროკავშირმა ნელ-ნელა და წარმატებით მოახდინა ესპანეთის ინტეგრაცია.

ისტორიული პარადოქსი კი იმაში მდგომარეობს, რომ განსა-

კუთრებით დროის იმ პერიოდებში, როდესაც ახალი ტექნოლოგიები ფუნდამენტურად ცვლიდნენ ეკონომიკასა და საზოგადებას – 1840-იან წლებში ორთქლით, ხოლო 1990-იან წლებში ინფორმაციული ტექნოლოგიებით, ეკონომისტების ყურადღება ვაჭრობასა და ბარტერზე დაფუძნებულმა თეორიებმა მიიქციეს, თეორიებმა, სადაც ახალ ცოდნასა და ტექნოლოგიებს არაფერი ესაქმებოდა. ფრიდრიხ ლისტის სულისკვეთებით რომ ვთქვათ, ამ თეორიებს პროგრესის მატარებელი (ვაჭრობა), მის გამომწვევ მიზეზში (ტექნოლოგიებში) ერევათ. ირონიულია, რომ იგივე შეიძლება ითქვას ადამ სმიტის თეორიაზე ეკონომიკური განვითარების შესახებ. მისი შექმნისას, სმიტს მხედველობაში პარალელურად მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუცია არ მიუღია.

გლობალიზაციის პირველი ეტაპის განმავლობაში – 1840-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე – მდიდარი ქვეყნები კიდევ უფრო ინდუსტრიალიზებულები გახდნენ, მაშინ, როდესაც მესამე სამყარო ტექნოლოგიურად უკან რჩებოდა. სწორედ გლობალიზაციის პირველმა ტალღამ გააღრმავა უფსკრული მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. ეს მოხდა იმ დამკვიდრებული პრაქტიკის მეშვეობით, რომლითაც კოლონიებს ინდუსტრიალიზაციის საშუალება საუკუნეების განმავლობაში არ ეძლეოდათ. სანამ გლობალიზაციის ბოლო ტალღას პირველის მსგავსი საფუძვლები აქვს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ ღარიბი სახელმწიფოები ნედლეულის წარმოებაში სპეციალიზებას აგრძელებენ, მას არ შეუძლია მიაღწიოს პირველზე მეტს. სხვაობა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი ქვეყნების რიგებს შეიძლება რამდენიმე ახალი ქვეყანა შეუერთდეს.

როგორც დიდმა გერმანელმა ეკონომისტმა გუსტავ შმოლერმა, 1872 წელს, „სოციალური პოლიტიკის ასოციაციის“ დამფუძნებელ შეკრებაზე თქვა: „დღეს საზოგადოება ისეთ კიბეს ჰგავს, რომლის შუა საფეხურებიც დამპალია“. საზოგადოება მდიდრებად და ღარიბებად არის პოლარიზებული, ხოლო საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები საერთოდ ქრებიან. 1950–1970-იანი წლების პერიოდში ინდუსტრიალიზაციის მეშვეობით საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების გასაჩენად განხორციელებული მცდელობები (თუნდაც მათი ინდუსტრიები ჯერ არ ყოფილიყო საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი), მოგვიანებით ნაჩქარევი თავისუფალი ვაჭრობის „შოკურმა თერაპიამ“ გაანადგურა. ამ ქვეყნებმა (მომდევნო თავებში ჩვენ გავეცნობით მონღოლეთის მაგალითს) მოგვიანებით დეინდუსტრიალიზაცია განიცადეს და ისევ მზარდ სიღარიბეში ჩაეფლნენ. თუკი ჯეიმზ სტიუარტისა და ფრიდრიხ ლისტის მსგავს ძველ თეორეტიკოსებს ოდესმე რამის შესახებ გავუფრთხილებივართ, ეს სავაჭრო რეჟიმის უცაბედი ცვლილება იყო. წარმოების სისტემებს ცვლილებებთან შესაგუებლად დრო სჭირდება.

მე-19 საუკუნეში, კონტინენტური ევროპა ვერ შეაცდინა ინგლისის მცდელობებმა, რომლის მიზანი მსოფლიოში ერთადერთ ინდუსტრიალიზებულ ქვეყანად დარჩენა იყო. ეს გამომდინარეობდა გლობალური ეკონომიკური ჰარმონიის აღქმიდან, რომლის მიხედვითაც მთელ მსოფლიოს უნდა ეწარმოებინა ნედლეული ინგლისის ინდუსტრიულ პროდუქციაში გადასაცვლელად. დანარჩენი ევროპა და დიდი რაოდენობით ევროპელი ემიგრანტებით დასახლებული ოკეანისგაღმა ქვეყნები – ამერიკა, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა – გაჰყვნენ იმ გზას, რომელსაც თავად ინგლისი მიჰყვებოდა მე-15

საუკუნის ბოლომდე: ეროვნული წარმოების შედარებით მაღალი ტარიფებით პროტექციას ინდუსტრიალიზაციის წასახალისებლად. ტრანსპორტირების მაღალი ხარჯების მიუხედავად, რაც ისედაც ბუნებრივ პროტექციას წარმოადგენდა, ამერიკამ გადაწყვიტა 100%-იანი სატარიფო კედლების მიღმა უზარმაზარი ფოლადის ინდუსტრია შეექმნა. მიუხედავად იმისა, რომ იმიგრანტების უმრავლესობა ფერმერები იყვნენ, ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ ინდუსტრიული სექტორის მთავარ მოსარგებლეებს. როგორც აბრაამ ლინკოლნმა აღნიშნა: „[მე არ შემიძლია] დავასახელო მიზეზი... [მაგრამ მაღალი ტარიფები] გახდის ყველაფერს უფრო იაფს, რასაც ფერმერები [ყიდულობენ] “.

დღეს, ისევე როგორც 1840-იან წლებში, ჩვენ სახეზე გვაქვს დომინანტური ეკონომიკური თეორია, რომელიც ამბობს, რომ სიმდიდრის გადანაწილების პრობლემა არ დადგება. მართალია, ახლა უკვე სახეცვლილია, მაგრამ ბარტერში მონაწილე ძაღლების მითი, დღემდე მთავარი განმაპირობებელია იმისა, თუ როგორ აღიქვამს გაბატონებული ეკონომიკური მოდელი მსოფლიო ეკონომიკას. ფინანსური კრიზისი, რომელმაც 1990-იან წლებში აზია და დანარჩენი მსოფლიო შეარყია, ეკონომისტებისთვის მოულოდნელი იყო, ვინაიდან, მათი აზრით, ბაზარს ყველა პრობლემა თავად უნდა გადაეჭრა. 1840-იან წლებში, სოციალური კრიზისი უმეტესად ქვეყნის შიგნით ვითარდებოდა, ვინაიდან უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით ღრმავდებოდა. ევროპაში ეს პრობლემა კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნამ მოაგვარა. მიუხედავად ამისა, დღეს, „სოციალურმა საკითხმა“ საერთაშორისო განზომილება შეიძინა, ვინაიდან მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უთანასწორობა კიდევ უფრო იზრდება.[42]

ჩემს ქვეყანაში, ნორვეგიაშიც კი, მოსაზრება, რომ ინდუს-

ტრიალიზაცია ქვეყანას აღმშენებლობაში დაეხმარებოდა, უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო. 1814 წელს, ნაპოლეონის ომების შედეგად, ნორვეგია დანიას გამოეყო და შვედეთს შეუერთდა. 1846 წლის ივნისში, ბრიტანეთის პარლამენტმა ცნობილი „პურის კანონი“ გააუქმა, დაუშვა რა ხორბლით თავისუფალი ვაჭრობა, რაც დღეს, თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. 1847 წლის მარტში, „დიდი მიღწევიდან“ ერთ წელზე ნაკლებ დროში, შვედურ-ნორვეგიულმა სატარიფო კომისიამ წარმოადგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც, ნორვეგიელი წევრები შვედურ ნაწარმზე გადასახადების გაზრდას მოითხოვდნენ, მაშინ როდესაც შვედებს, „კოლონიურ ძალას“, სრული საბაჟო კავშირი სურდათ. ერთ-ერთი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ნორვეგიის ხაზინას საბაჟო გადასახადები ესაჭიროებოდა, მაგრამ ნორვეგიელი ისტორიკოსის, ჯონ სანესის თქმით, „მთავარი არგუმენტის მიხედვით მყიფე ნორვეგიული ინდუსტრია განადგურდებოდა, თუკი იგი უფრო ძლიერი და ნაცადი შვედური ინდუსტრიისგან სატარიფო პროტექციას არ მიიღებდა“.

საბოლოო ჯამში, ნორვეგიამ თავისი გაიტანა და არავინ დაობდა იმაზე, რომ ეს ზედმეტი ან უსარგებლო იყო. იმ დროს, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მთავარი მსჯელობა მიდიოდა არა იმაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა ინდუსტრია მფარველობის ქვეშ, ამაზე თითქმის ყველა თანხმდებოდა, არამედ იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა გაკეთებულიყო ეს. დღეს, მესამე სამყაროს მყიფე ინდუსტრიას ზუსტად ის თავისუფალი ვაჭრობა ანადგურებს, რომლისგანაც ნორვეგიამ ერთი საუკუნით ადრე თავის დაცვა მოახერხა. ის ფაქტი, რომ დღეს ნორვეგიას თავისუფალი ვაჭრობა ესაჭიროება, არ ნიშნავს იმას, რომ ეს 150

წლის წინაც ასე იყო და არც იმას, რომ იგი ახლანდელ ღარიბ ქვეყნებსაც ესაჭიროებათ.

იმ დროს, ნორვეგია და შვედეთი ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ, ვინაიდან მათი ექსპორტი ერთმანეთს ძალიან ჰგავდა. აქედან გამომდინარე, პროტექციაზე ნორვეგიის მოთხოვნამ შვედეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ნორვეგიელი მომლაპარაკებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი ქვეყნის ახალბედა ინდუსტრიას სატარიფო პროტექციის მოხსნა არ შეეძლო, რადგან ამის გაკეთებას, თავად იმ დროის ყველაზე ძლიერი ქვეყნებიც კი ვერ ბედავდნენ. სატარიფო კავშირი იმას ნიშნავდა, რომ შვედური ინდუსტრია უბრალოდ წალეკავდა ნორვეგიულს, მაშინ კი ყველამ იცოდა, რომ ქვეყანა ინდუსტრიის გარეშე სიღარიბისთვის იყო განწირული. ჯონ სანესის თქმით, „ამგვარი აზროვნება ფრიდრიხ ლისტის შეხედულებებსა და მაშინდელ ნორმალურ ინდუსტრიულ პროტექციონიზმს შეესაბამებოდა. ჩანასახოვან ინდუსტრიებს სატარიფო პროტექცია ესაჭიროებათ, მაგრამ ტარიფები ეტაპობრივად ზედმეტობად უნდა გადაიქცნენ.“ ეს ის დინამიკაა, რომელიც დღეს დავივიწყეთ.

ინდუსტრიული განვითარების პარალელურად, 1840-იანი წლებიდან ევროპა კოლონიების ხელში ჩასაგდებად ახალ რბოლაში ჩაება, რბოლაში, რომლის კულმინაციაც 1884 წლის ბერლინის კონფერენცია იყო, სადაც აფრიკა ევროპულ ქვეყნებს შორის გადანაწილდა. შეერთებული შტატების ექსპანსიაც იმავე დროს დაიწყო. 1845-1848 წლების მექსიკასთან ომის შემდეგ, ამერიკა ფართო ტერიტორიას დაეპატრონა, რომელიც მანამდე მექსიკის საკუთრება იყო: ტეხასს, კალიფორნიას, არიზონას, ნიუ მექსიკოსა და კოლორადოს. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ამერიკა და ევროპა ჯერ კიდევ მფარველობდნენ საკუთარ ინდუსტრიებს, ჩინეთი და იაპონია იძულებულები გახდნენ, სამხ-

ედრო ძალისა და მუქარის ქვეშ, მოეწერათ ხელი იმ შეთანხმებებზე, რომლის მიხედვითაც ისინი საკუთარი ინდუსტრიების პროტექციაზე უარს ამბობდნენ. გარკვეული დროით, ჩინეთი და იაპონია ეკონომიკური გაგებით, ფაქტობრივად, კოლონიები გახდნენ. იაპონური და ჩინური ისტორიის წიგნებში ეს „უსამართლო შეთანხმებები“ კვლავ ინარჩუნებენ მნიშვნელობას და დღემდე იწვევენ გულისწყრომას. აფრიკელებსაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ანალოგიური შემთხვევა, როცა 1888 წელს, ბელად ლობენგულას სესილ როუდზე განსაკუთრებული უფლებები მოტყუებით გადააცემინეს. მოგვიანებით, ლობენგულას პროტესტი დედოფალ ვიქტორიას მიმართ ამაო აღმოჩნდა.

1990 წლიდან მოყოლებული, მესამე სამყაროსთან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო მოლაპარაკებებმა „უსამართლო შეთანხმებების“ დღეები უკან დააბრუნეს. იმპერია კვლავ არც ისე ცუდი სიტყვა გახდა და ანგარიშები, რომლებსაც უშუალოდ მოლაპარაკებების „მწვანე ოთახისკენ“ მიმავალი აფრიკელი დელეგატები მაწვდიან, ნამდვილად აღძრავენ მოგონებებს ბელად ლობენგულასა და მისი ბედისწერის შესახებ.

1994 წელს შევხვდი ადამიანს, რომელმაც გააცნობიერა, რომ მან სხვას ის უფლებები გადასცა, რომლებიც არ უნდა გადაეცა. ჯგუფთან ერთად ეკვადორის დედაქალაქ კიტოში ჩავედი, სადაც კარონდელეტის სასახლეში, პრეზიდენტ სიქსტო დიურან ბალენს უნდა შევხვედროდი. განათლებით არქიტექტორი პრეზიდენტი მომხიბვლელი და სანდომიანი გარეგნობის იყო. იგი ეკვადორის უკანასკნელი პრეზიდენტი აღმოჩნდა, რომელმაც კონსტიტუციით გათვალისწინებული სრული ოთხი წლის ვადით იმსახურა. ჩვენი ჩასვლის დღეს იგი გაცოფებული დაგვხვდა. მსხვილი გრანტებისა და სესხების დაპირების სანაცვლოდ, ვაშინგტონის ინსტიტუტებმა ის ინდუსტრიული ტარიფების მოხსნაში დაარწმუნეს იმისთვის, რომ ეკვადორს მსოფლიოსთ-

ვის ბანანის მიწოდებაში სპეციალიზაცია შეძლებოდა. დეინდუსტრიალიზაციის პროცესმა დასაქმებისა და რეალური ხელფასების კლება გამოიწვია და სინამდვილეში, მიკროსაფინანსო სესხების ორგანიზების ჯგუფთან ერთად, იქ ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში დახმარების აღმოსაჩენად ვიყავი ჩასული. პრეზიდენტის თქმით, დაპირებული გრანტები და სესხები არ ჩანდა, პრეზიდენტს ჩვენს ჩასვლამდე ცოტა ადრე შეატყობინეს, რომ ევროკავშირმა ეკვადორულ ბანანებზე მაღალი იმპორტის გადასახადი დააწესა. ეკვადორი, ბანანების გაცილებით ეფექტიანი მწარმოებელია, ვიდრე საფრანგეთისა და ინგლისის ყოფილი კოლონიები, კანარის კუნძულებსა და საბერძნეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ეკვადორული და არა ევროპული ან, თუნდაც, ყოფილი კოლონიების ბანანების დაბეგვრით, ევროკავშირმა ბანანის არაეფექტიან მწარმოებლებზე დე-ფაქტო სუბსიდიები გასცა, თანაც ეს ყველაზე ეფექტიანი ეკვადორის ხარჯზე გააკეთა.[43] დიურან ბალენმა გააცნობიერა რომ მოატყუეს, მაგრამ მრეწველობის ინდუსტრია, რომელიც მან და მისმა წინამორბედებმა მსხვერპლად გაიღეს, სამუდამოდ გაქრა. მე ინტერესით ველოდებოდი მისი მემუარების[44] გამოქვეყნებას, რათა მენახა იყო თუ არა მასში ასახული სიმართლის ეს მომენტი, მაგრამ მის წიგნში ეკვადორსა და პერუს შორის მისი პრეზიდენტობისას მომხდარი ომის შესახებ მოგონებები დომინირებდა. მას სურდა მისი პოლიტიკური მეხსიერება პერუს წინააღმდეგ ომთან ყოფილიყო ასოცირებული, და არა მის პასუხისმგებლობასთან შემდგომ დეინდუსტრიალიზაციასა და კლებად ხელფასებზე.

კოლონიალიზმის საფუძვლები, რომელიც მხოლოდ ნედლეულის მწარმოებლად ქვეყნების დატოვებას მორალურად ამართლებს, რიკარდოს ეკონომიკურ თეორიაში იძებნება. რიკარდომდე ეკონომისტები უმეტესად თანხმდებოდნენ, რომ კოლონიების გაღარიბება განზრახ ხდებოდა. ინგლისელი ეკონ-

ომისტები ზოგჯერ თავს იმით იმართლებდნენ, რომ თუ ამას ყველა აკეთებს, მაშინ ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო. მე-18 საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანელი ეკონომისტი, იოჰან ჰაინრიხ გოტლობ ფონ იუსტის აზრით, კოლონიები მალე მიხვდებოდნენ, რომ მათ ატყუებდნენ და საკუთარი ინდუსტრიების შესაქმნელად აჯანყდებოდნენ. იგი მართალი აღმოჩნდა აშშ-ის შემთხვევაში, რომელიც აჯანყდა და 1776 წელს ინგლისისგან თავი დაიხსნა.

დღეს მსოფლიო ისევ იმყოფება შუა გლობალიზაციის პერიოდში, რომელიც იმავე ელემენტებისგან შედგება: იმავე ეკონომისტების – სმიტისა და რიკარდოს – იმავე ხედვებისგან შრომის „ბუნებრივი“ დანაწილების მქონე კარგად დაბალანსებული სამყაროს შესახებ, სადაც ზოგიერთი ქვეყანა ყიდის ნედლეულს და ყიდულობს ინდუსტრიულ ნაწარმს და, ახლა უკვე, გაუმჯობესებულ სერვისებსაც. ღარიბი ქვეყნების საწარმოო სტრუქტურები სულ უფრო ემსგავსება კოლონიალისტურს და იმ ეკონომიკურ თეორიებს, რომლებმაც კოლონიალიზმი მოიტანეს, ახლა ნეოკოლონიალიზმი მოაქვთ. სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებით აფრიკა გადაქცეულია ტერიტორიული ერთეულების კომპლექსურ ქსელად – ე.წ. სპაგეტის თეფშად*, რის მეშვეობითაც ევროკავშირი და ამერიკა საკუთარი ინტერესის სფეროების გაფართოებას ცდილობენ. ამ სავაჭრო შეთანხმებების რუკა დიდად არ განსხვავდება 1884 წლის ბერლინის კონფერენციის შემდგომ მიღებულისაგან. შედეგად ვიღებთ იმას, რომ აფრიკის

* „სპაგეტის თეფში“ არის ტერმინი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების სიმრავლეს სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ითვლება, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გლობალური თავისუფალი ვაჭრობის ანუ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღწეული რეჟიმების ალტერნატივაა. ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებით, დიდი ქვეყნები ცდილობენ არასამართლიან მდგომარეობაში ჩააყენონ პატარა ქვეყნები (მთარგმნელის შენიშვნა).

ქვეყნებს საშუალება არ ეძლევათ მათთვის საჭირო სავაჭრო რეჟიმი ჰქონდეთ: ერთმანეთში ვაჭრობა, რომელიც, ლისტისეულ სტილში, მოგვიანებით გლობალურ თავისუფალ ვაჭრობაში გადადის. ევროკავშირი გამალებით ცდილობს საკუთარი სუბსიდირებული ვაშლი ეგვიპტეს მიასაღოს და მის ბაზარზე ლიბანელი ვაშლის მწარმოებლების ადგილი დაიკავოს, რომლებიც ტრადიციულად საკუთარ ნაწარმს ეგვიპტეს აწვდიდნენ. კოლონიალისტური ცენტრი-პერიფერიის მდგომარეობა კიდევ ერთხელ არა მხოლოდ მომგებიანი ინდუსტრიული ნაწარმით, არამედ სუბსიდირებული აგროპროდუქტებითაც ძლიერდება. აფრიკის ინდუსტრიული მომცრო ბაზრები არ არიან ინტეგრირებულნი უფრო დიდ ბაზარში, რომელსაც აფრიკის ინდუსტრიული განვითარება შეეძლებოდა. პირიქით, ინდუსტრიული აფრიკა სულ უფრო ფრაგმენტული ხდება, და მაშინ, როდესაც ზოგიერთი ქვეყანა სხვაზე უფრო მდიდარია, ყოველი მათგანი შედარებით ღიაა ჩრდილოეთიდან მომავალი მკვლელი კონკურენციისთვის. რწმენა იმისა, რომ ამ მდგომარეობას ღარიბი ქვეყნებისთვის ინდუსტრიულ ქვეყნებში ექსპორტზე მათი აგროპროდუქტის გატანის ნებართვის დართვა გამოასწორებს, უბრალოდ ილუზიაა. ვერასდროს, ვერც ერთმა ქვეყანამ, რომელსაც არ გააჩნია ინდუსტრიული სექტორი (დღეს ეს ტერმინი უნდა შევცვალოთ ინდუსტრიისა და მომსახურების სექტორით) ვერ შეძლო მისი ფერმერებისთვის შემოსავლები გაეზარდა.

პირდაპირი მონობა პირველი „გლობალიზაციის პერიოდში“ გაუქმდა, 1884 წლის ბერლინის კონფერენციაზე კი ევროპულ ქვეყნებს, ადამიანის უფლებებით შენიღბულ რიტორიკას ამოფარებულებს, მიეცათ საშუალება დაენაწევრებინათ აფრიკა. მაშინდელი მისიონერები ადამიანებს გაჭირვების დაძლევაში ეხმარებოდნენ, მაგრამ მათი უმთავრესი როლი უკეთესი

საიქიოს დაპირებით ადამიანების დამშვიდება იყო. დღეს ბევრი აფრიკელი ხედავს მსგავსებას იმ დროსთან. მაშინ, როდესაც აფრიკის დეინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობდა (გლობალიზაციის ყველაზე თავგამოდებულ დამცველებსაც კი უწევთ იმის აღიარება, რომ სუბ-საჰარული აფრიკა კიდევ უფრო გაღარიბდა ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში) ბევრი ორგანიზაცია, მისიონერების მსგავსად, ცდილობდა სიღარიბის ყველაზე შემზარავი სიმპტომების შემსუბუქებას. განვითარებული ქვეყნები, მისიონერების მსგავსად, დიდ როლს თამაშობდნენ ტანჯვის შემსუბუქებაში. გაეროს მიერ ინიცირებული სამი ფრიად წარუმატებელი „განვითარების ათწლეულის“ შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოებამ ხელი ჩაიქნია ყველაზე ღარიბი ქვეყნების განვითარებაზე. „ათასწლეულის მიზნებში“, რომელიც „განვითარების ათწლეულების“ გაგრძელებაა, მესამე სამყაროს განვითარების ამბიცია საგრძნობლადაა შესუსტებული და ახლა მიზნად სიღარიბის ყველაზე საშინელი გამოვლინებების შემსუბუქებას წამლების, კოლოს ბადეებისა და სასმელი წყლის მიწოდებით ისახავს. ზუსტად ისე, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფებს უნიშნავენ პალიატიურ მკურნალობას (რომელიც ტკივილის შემსუბუქებას ემსახურება და არა დაავადების განკურნებას), ჩვენ მოწმენი ვხდებით თუ როგორ ხდება პალიატიური ეკონომიკით განვითარების ეკონომიკის ჩანაცვლება.

საინტერესოა, რომ ისეთმა ქვეყანამაც კი, როგორიც ნორვეგიაა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე თავად იყო კოლონია და ახლა მსოფლიოს გაუმჯობესებას არაერთი ინიციატივის საშუალებით ცდილობს, „დაივიწყა“ სტრატეგია, რომლისთვისაც ვიბრძოდით: გვქონოდა ინდუსტრია და ეკონომიკური ზრდა. ჩვენ დავივიწყეთ, რომ ჩვენი ერის მშენებლობაში მთავარი როლი ინდუსტრიულმა პოლიტიკამ ითამაშა, რაც საპირისპ-

იროა იმ პრინციპებისა, რომელსაც დღეს თავს მესამე სამყაროს ვახვევთ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მარშალის გეგმის დახმარებით, ნორვეგიის ლეიბორისტულმა მთავრობამ ქვეყნის რეინდუსტრიალიზაცია წარმატებით განახორციელა. დღევანდელი მთავრობა, რომელსაც სათავეში იგივე ლეიბორისტული პარტია უდგას, ზუსტად იმ პოლიტიკის გამოყენებას კრძალავს, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გაამდიდრა. ამასთან, ჩვენ კვლავ გვაქვს ამბიცია ვიყოთ მოწინავეები პალიატიურ ეკონომიკაში და აღმოვფხვრათ სიღარიბის სიმპტომები.

განვითარების ეტაპების თეორიები

ამბობენ, ისტორია იმისთვის შეიქმნა, რომ ყველაფერი ერთდროულად არ მომხდარიყო. შესაბამისად, ისტორიის ორგანიზების ერთ-ერთ მეთოდად, ეკონომისტებმა და ისტორიკოსებმა განვითარების პერიოდებისა თუ ეტაპების თანმიმდევრობის ჩამოყალიბება აირჩიეს.[45] მასალა, რომელსაც ადამიანები ხელსაწყოების დასამზადებლად იყენებდნენ (მაგ., ქვა ან ბრინჯაო) ადრეული ისტორიული პერიოდების დასადგენ საყოველთაოდ მიღებულ საფუძვლად იქცა: ქვის ხანა (მეზოლითური, ნეოლითური) და ბრინჯაოს ხანა. ანალიზისას სხვა კრიტერიუმების გამოყენებაც შეიძლებოდა, მაგალითად, ისეთების როგორიც სოციალური ორგანიზებაა, თუმცა საბოლოოდ ამისთვის მაინც ტექნოლოგიის ცვლადი შეარჩიეს.

ანთროპოლოგიაშიც, დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ტექნოლოგია საზოგადოების უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია, ამის კლასიკური მაგალითია კამათი ირიგაციასა და მმართველობის ცენტრალიზებულ ფორმას შორის კავშირის შესახებ. პოლიტიკის მეცნიერებისა

და ჟან ბოდინის (1530-96) რესპუბლიკის შესახებ სწავლებასთან ერთად, დაიბადა მოსაზრება ადამიანის განვითარების ეტაპების შესახებ. თუკი ჩავთვლით, რომ სოციოლოგია ოგიუსტ კონტით (1798-1857) დაიწყო, გამოდის რომ ეტაპების იდეაც თავიდანვე არსებობდა სოციალურ მეცნიერებებში. ეკონომიკაში, ეტაპების თეორიებს ცენტრალური ადგილი ეკავა ფრანგი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის რობერ-ჟაკ ტიურგოსა და ადამ სმიტის სწავლებებში.ეკონომისტი რონალდ მეეკი (1917-1978) თავის წიგნში, 1750 წლიდან 1800 წლამდე გავრცელებული ადრეული ეტაპების თეორიების შესახებ, იქამდეც კი მიდის, რომ ამტკიცებს: „მე-18 საუკუნის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის დიდი სისტემების წარმოშობა ოთხი ეტაპის თეორიიდან, ერთგვარად ლოგიკური იყო".[46] მიუხედავად ამისა, დღეს ეკონომიკური ეტაპების ნებისმიერი კონცეფცია, ეკონომისტებისთვის პერიფერიული და თითქმის უცხოა. თითოეული ეტაპი წარმოების მეთოდს წარმოადგენდა და უდავოა, ყოველი მომდევნო მათგანი ადამიანური პროგრესის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო.

ეტაპების თეორიის თავდაპირველი იდეები ანტიკურ საბერძნეთსა და რომშიც გვხვდება. ტაციტუსის (55-120) „გერმანიაში" შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ „სხვადასხვა გერმანელი ტომების ცივილურობის შედარებითი ხარისხი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად იყო მათი საარსებო საშუალება მიწათმოქმედება და მწყემსვა, და არა ნადირობა.[47] ეტაპების თეორია ციკლურობის იდეიდან წარმოიშვა, რომელიც კარგად ნაცნობი კონცეფციაა პოლიტიკურ ისტორიაში. ციკლურობის თეორია მნიშვნელოვნად მიაჩნდათ არაბ ეკონომისტსა და ისტორიკოსს, იბნ ხალდუნსა (1332-1406) და ნიკოლო მიაკიველის (1469-1527). აღორძინების ხანის ერთ-ერთმა პიონერმა, ჟან

ბოდინმა, პირველმა დაახასიათა პროგრესის იდეა და თქვა, რომ ისტორიულ ციკლებს შესაძლოა კუმულაციური და მზარდი ტენდენცია ჰქონოდა. ამასთანავე, ბოდინი განიხილავს ჩანასახოვან ერ-სახელმწიფოს (რესპუბლიკას), მის ინსტიტუტებს, კანონებსა და საგადასახადო სისტემას.

მაშინ როდესაც ბოდინი ხაზს გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორებს უსვამს, ფრენსის ბეკონი, მის „ახალ ორგანოში“ (1620) ცდილობს სხვა ახსნა შემოგვთავაზოს და დედამიწის სხვადასხვა ნაწილში საცხოვრებელი პირობების განსაცვიფრებელ სხვაობებზე საუბრობს. ბეკონის თქმით, „ამ განსხვავებას არა ნიადაგი, კლიმატი ან რასა, არამედ ხელობა იწვევს“.[48] როგორც უკვე აღინიშნა, ბეკონი გამოჩენილი მეცნიერი იყო გამოცდილებასა და წარმოებაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ თეორიაში. მისი მოსაზრება, რომ ადამიანების მატერიალური მდგომარეობა მათი „ხელობით არის განპირობებული“ (მაგალითად, არიან ისინი მონადირეები, შემგროვებლები, მწყემსები, ფერმერები თუ ინდუსტრიის მუშები) მთავარ როლს თამაშობდა მე-19 საუკუნის გერმანიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისთან დაპირისპირებაში ეკონომიკური თეორიისა და ინდუსტრიული პოლიტიკის თაობაზე. განმანათლებლობის დროს, ისტორიკოსმა უილიამ რობერტსონმა ბეკონისეული ტრადიცია გააგრძელა: „ყველა გამოკვლევაში, რომელიც საზოგადოებაში ადამიანების საქმიანობას ეხება, ყურადღების მთავარი საგანი მათი არსებობის საშუალება უნდა იყოს. ამ განსხვავების შესაბამისად, მათი კანონები და პოლიტიკაც განსხვავებული უნდა იყოს“. ადამიანური ინსტიტუტები განისაზღვრებოდა მათი წარმოების მეთოდით და არა პირიქით. თანამედროვე „ახალი ინტიტუციური ეკონომიკა“, რომელიც დაფუძნებულია სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკაზე, ცდილობს შეატრიალოს

მიზეზობრიობის მიმართულებები, თვლის რა ინსტიტუტების ნაკლებობას სიღარიბის მიზეზად, ნაცვლად ჩამორჩენილი წარმოებისა.

განმანათლებლობის დროს, კონკრეტულად კი 1750 წლიდან 1800 წლამდე, ეტაპების თეორიები საკმაოდ პოპულარული იყო, განსაკუთრებით კი ინგლისსა და საფრანგეთში. 1848 წლის შემდეგ, ინდუსტრიული საზოგადოების გავრცელებისა და გეოგრაფიულად გაფართოების, ასევე რიკარდოსეული ეკონომიკის უკუსვლის დროს, ეტაპის თეორიები კვლავ მოხვდნენ ეკონომისტების არსენალში – ამჯერად უკვე ამერიკასა და გერმანიაში. ამ პერიოდში, შესამჩნევმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა აშკარა გახადა, რომ მსოფლიო ახალ ისტორიულ პერიოდში შედიოდა, რომელიც ყველა მისი წინამორბედისგან თვისებრივად განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

პირველი ინდუსტრიული რევოლუციის დროს აღმოცენებული ეტაპების თეორიები – ტიურგოსა და ადამ სმიტის ადრეული ავტორობით – თავიდან ადამიანებს იკვლევდნენ, როგორც მონადირეებსა და შემგროვებლებს, შემდეგ როგორც მოშინაურებული ცხოველების მწყემსებს, მერე როგორც ფერმერებს და, ბოლოს როგორც ვაჭრებს. თვალშისაცემია, რომ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ინგლისელი კლასიკოსი ეკონომისტები ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობენ ევოლუციის უკანასკნელ ეტაპს, ვაჭრობას – მოთხოვნას, მიწოდებასა და ფასებს – ნაცვლად წარმოებისა. მე-19 საუკუნეში, გერმანელი და ამერიკელი ეკონომისტები დაჟინებით მოითხოვდნენ განვითარების ეტაპების სრულიად სხვაგვარ ინტერპრეტაციას. მათთვის, ყველა წინმსწრები ეტაპი საქონლის წარმოების მეთოდის მიხედვით განისაზღვრებოდა, შედეგად, განვითარების მომდევნო ეტაპის სხვაგვარი კლასიფიკაცია მიუტევებელ შეც-

დომად ითვლებოდა. ამ აზრთა სხვადასხვაობამ, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა იმ მიზეზებს, რის გამოც მე-19 საუკუნის გერმანული და ამერიკული ეკონომიკური თეორიები ასე განსხვავდებოდნენ ინგლისურისგან. ინგლისელი ეკონომისტებისთვის ბოლო ეტაპი „ვაჭრობის ერა“ იყო. გერმანელი და ამერიკელი ეკონომისტებისთვის – „ინდუსტრიული ერა“.

ეს ის გადამწყვეტი მომენტია, სადაც ადამ სმიტის „ვაჭრობის ერის“ მიმდევარი, დღევანდელი სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკა, წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკის გზიდან უხვევს, იმ ეკონომიკისა, რომელსაც მე „სხვა კანონს“ ვუწოდებ. ეს უკანასკნელი კონტინენტური ევროპისა (კონკრეტულად გერმანიის) და ამერიკული ეკონომიკის პირმშოა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, უგულებელყო რა ტექნოლოგიებისა და წარმოების მნიშვნელობა, თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის თეორია დაჟინებით ამტკიცებს, რომ ნეოლითურ ტომსა და სილიკონის ველს შორის თავისუფალი ვაჭრობა ორივე მათგანს თანაბრად გაამდიდრებდა. მეორე მხრივ, „სხვა კანონის“ ვაჭრობის თეორია ასაბუთებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა ორივესთვის სასარგებლო მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ისინი განვითარების ერთსა და იმავე სტადიაზე იმყოფებიან.

ეტაპების თეორიები ასევე სასარგებლოა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გასაგებად, როგორიც მოსახლეობა და მდგრადი განვითარებაა. ჩრდილოეთ ამერიკის კოლუმბამდელი მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობა, რომელიც უმეტესად მონადირეებისა და შემგროვებლებისგან შედგებოდა, 2-3 მილიონი იყო, მაშინ, როდესაც მიწათმოქმედების ეტაპზე მყოფი ანდების კოლუმბამდელი მოსახლეობა 12 მილიონს უტოლდებოდა. ეს ნიშნავს, რომ მკაცრი პირობების მქონე ანდების მოსახლეობის სიმჭიდროვე ნაყოფიერი პრერიების მოსახლეო-

ბისას 30-50-ჯერ აღემატებოდა. შედეგად, მდგრადობის ცნება მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როდესაც ტექნოლოგიურ ფაქტორთან ანუ წარმოების წესთან არის კომბინირებული.

ვინაიდან ანალიზის ყურადღების ცენტრში არა წარმოება, არამედ ვაჭრობა და კომერცია იყო მოქცეული, ინგლისურმა და, მოგვიანებით, ნეოკლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიებმა თანდათან ყველა ეკონომიკური საქმიანობა თვისებრივად ერთნაირად აღიქვეს. მრეწველობის თეორიები, რომლებიც ეკონომიკის ამ ანგლო-საქსურ ტრადიციას – დღევანდელ სტანდარტულ თეორიას – მოგვიანებით დაემატნენ, წარმოებას არსებითად შრომაზე კაპიტალის დამატების მექანიკურ პროცესად მიიჩნევენ, რომელიც მსგავს პირობებში მზარდი, გენეტიკურად იდენტური მცენარეების მორწყვას გვაგონებს. შუმპეტერის სიტყვებით, ეკონომიკამ დაამკვიდრა „უაზრო შეხედულება, რომ კაპიტალი, როგორც ასეთი, კაპიტალიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალაა“. ვინაიდან ჩვენთვის ზრდის წყარო კაპიტალია და არა ტექნოლოგიები ან ახალი ცოდნა, ჩვენ ფულს მრეწველობის არმქონე აფრიკაში ვრიცხავთ, კაპიტალს, რომლის მომგებიანი დაბანდება შეუძლებელია. ასი წლის წინათ, გერმანელი და ამერიკელი ეკონომისტები მიხვდებოდნენ, რომ აფრიკაში, სიღარიბის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი წარმოების წესი – მრეწველობის სექტორის არქონაა და არა თავისთავად კაპიტალის ნაკლებობა. როგორც კონსერვატორი შუმპეტერი და რადიკალი მარქსი თანხმდებოდნენ: კაპიტალი არაფერს წარმოადგენს საინვესტიციო შესაძლებლობების გარეშე, რომლებშიც, უმთავრესად, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ნაწარმი იგულისხმება. ასი წლის წინ, ამერიკელ და გერმანელ ეკონომისტებს სინერგიების საკითხიც კარგად ესმოდათ: რომ მხოლოდ მრეწველობის არსებობას შეეძლო სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია.

სტანდარტული სახელმძღვანელოს ეკონომიკა ყურადღების მიღმა ტოვებს იმას, თუ რამხელა სხვაობას ქმნიან ეკონომიკურ საქმიანობებში სხვადასხვა ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ეს თეორია ასევე არ ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობებს შრომაზე კაპიტალის მომგებიანად დამატებისთვის. პირველი ინდუსტრიული რევოლუცია ბამბის ქსოვილის წარმოებაში მოხდა. ინდუსტრიული სექტორის არმქონე ქვეყნებში – კოლონიებში – ინდუსტრიული რევოლუცია არ მომხდარა. ყველა აცნობიერებს ინდუსტრიული რევოლუციის მნიშვნელობას, მაგრამ რიკარდოს ვაჭრობის თეორია ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შემოღების შემთხვევაში ქვის ხანის ტომები ისეთივე მდიდრები გახდებიან, როგორც ინდუსტრიული ქვეყნები. მინდა აღვნიშნო, რომ მე არ ვქმნი წარმოსახვით მტერს მასზე ჯავრის საყრელად. როგორც შესავალში მოყვანილი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივნის, რენატო რუჯეროს ციტატიდან გამოჩნდა, ეს მართლაც ის ხედვა იყო, რომლის საფუძველზეც ცივი ომის შემდგომ ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი ჩამოყალიბდა.

თავისუფალი ვაჭრობის არაერთი აბსურდული გამოსარჩლებისას, ჟურნალი Foreign Policy,[49] მის ერთ-ერთ ესეში „ივაჭრე ან მოკვდი“, ამტკიცებს, რომ ნეანდერტალელები თავისუფალი ვაჭრობის არქონის გამო გადაშენდნენ. სინამდვილეში, მაშინ, როცა ნეანდერტალელები ჯერ კიდევ არსებობდნენ, ადამიანები არ ვაჭრობდნენ. კარგ შემთხვევაში, „ვაჭრობა“ იმ დროს, ტომებს შორის საჩუქრების გაცვლის უმნიშვნელო რიტუალს წარმოადგენდა.[50] თუმცაღა, ეკონომისტები მოხიბლულნი არიან ადამ სმიტის უცნაური მიგნებით – ბარტერში ჩვენი ველური წინაპრის მონაწილეობის იდეით. მიუხედავად ამისა, იმავე პრობლემას სხვა კუთხით რომ შევხედოთ, კინოთეატრის

ბილეთების შედარებითი ფასების განხილვისას, Foreign Policy უბრუნდება საღ აზრს, რომ ეროვნული დოვლათისთვის მრეწველობა უმნიშვნელოვანესია: „კინოთეატრში საღამოს გატარება შედარებით იაფია მსხვილი საშინაო ინდუსტრიების მქონე ქვეყნებში“.

სტანდარტულმა ეკონომიკურმა ტრადიციამ ასევე არ გაითვალისწინა ის „ნიადაგი“, რომელზეც მცენარე აღმოცენდა და მოირწყა (კაპიტალის შრომაზე დამატება). სხვა სიტყვებით, მან არ გაითვალისწინა განვითარების ისტორიული, პოლიტიკური და ინსტიტუციური პროცესი. სტანდარტული ეკონომიკური თეორია ყურადღებას არ აქცევს არც დროის გარკვეულ მომენტში ტექნიკური ცვლილებების ფოკუსირებს, არც „შესაძლებლობების ფანჯრების“[51] უკიდურესად არათანაბარ განაწილებას ეკონომიკურ აქტივობებს შორის, რაც ზემოთ აღნიშნული ფოკუსირების შედეგია, და არც იმ კონტექსტს, რომელშიც ეს პროცესები მიმდინარეობს.

გერმანული ისტორიული ტრადიციისა და ამერიკული ინსტუტიციური სკოლის კვდომის შემდეგ, ეკონომისტების მიერ სიმდიდრის ჭეშმარიტ წყაროდ წარმოების (რასაც ადრე „ინდუსტრიალიზმი“ ეწოდებოდა) აღქმა კიდევ უფრო გაიშვიათდა. შვედი ინსტიტუციური ეკონომისტი იოჰან აკერმანი, ბრწყინვალედ ხსნის თუ რატომ დაივიწყეს წარმოება – მარჯვნივ, მარცხნივ და ცენტრში:

უმთავრეს ფაქტორებად კაპიტალიზმი, საკუთრების უფლებები და შემოსავლების გადანაწილება გადაიქცა, მაშინ, როდესაც ინდუსტრიალიზმის ცენტრალური მახასიათებლები – ტექნოლოგიური ცვლილება, მექანიზაცია, მასობრივი წარმოება და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები – ნაწილობრივ უკანა პლანზე გადავიდა. ამის გამომწვევი სამი შესაძლო მიზეზი არსებობს: პირველი – რიკარდოს ეკონომიკური თეორია ერთხ-

ელ და სამუდამოდ იქცა ეკონომიკურ კონცეფციებს (ფასი, პროცენტი, კაპიტალი და სხვ.) შორის არსებული „ბუნებრივი“ ურთიერთობების თეორიად. მეორე – პერიოდული ეკონომიკური კრიზისები ამ კუთხით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი პირდაპირი მიზეზები მონეტარულ სფეროში იმალება. ტექნოლოგიური პროგრესი, ზრდისა და საზოგადოების ტრანსფორმაციის მთავარი წყარო, თეორიული კავშირების მიღმა გაუჩინარდა, რომელიც აქცენტს მონეტარულ პოლიტიკასა და ეკონომიკურ რყევებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე ამახვილებს. მესამე, და ყველაზე მნიშვნელოვანი – მარქსსა და მის დოქტრინას ინდუსტრიული პროლეტარიატის უკმაყოფილებიდან სარგებლის მიღება შეეძლოთ. მისმა სწავლებებმა ადამიანებს ბუნებრივი კანონის იმედი შთაბერა, რასაც „საბოლოო ბრძოლამდე“ მივყავდით და როცა შემოსავლების გადანაწილების პირამიდა ამოყირავდებოდა, მოსახლეობის ქვედა კლასები უფრო ღონიერი და ძლევამოსილნი გახდებოდნენ. ამ პროცესში, ტექნოლოგიური პროგრესი, კლასობრივი ბრძოლის მხოლოდ ერთ-ერთ წინაპირობად ჩაითვალა.[52]

მოკლედ რომ ითქვას, მთლიანი პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით, წარმოება, როგორც ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა, დავიწყებას მიეცა. 2006 წლის UNCTAD-ის (გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია) ანგარიში, ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების შესახებ – სახელწოდებით „წარმოების შესაძლებლობების განვითარება“[53] – წარმოადგენს მცდელობას, კვლავ აქციოს წარმოება განვითარების ეკონომიკის ქვაკუთხედად. ანგარიში შეიცავს რამდენიმე მოსაზრებას, რომელსაც ამ წიგნში განვილიხავ.

III თავი

ემულაცია:
როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები

მეცამეტე საუკუნის დამდეგს ფლორენციელებმა, პიზელებმა, ამალფიელებმა, ვენეციელებმა და გენუელებმა, სიმდიდრისა და ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, განსხვავებული პოლიტიკის გატარება დაიწყეს, ვინაიდან მათ შეამჩნიეს, რომ მეცნიერებას, მიწის დამუშავებას, ხელოვნებისა და ინდუსტრიის განვითარებასა და ვაჭრობის გაცხოველებას შეეძლო მათი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა, უთავალავი საჭიროების დაკმაყოფილება, სიმდიდრის შენარჩუნება და აურაცხელი დოვლათის მოტანა ტერიტორიული გაფართოების გარეშე.

სებასტიანო ფრანჩი,
მილანელი განმანათლებელი რეფორმატორი, 1764

სამყაროს ახალი ხედვა: ნულოვანჯამიანი თამაშიდან ინოვაციისა და ზრდისაკენ

უხსოვარი დროიდან მოყოლებული დედამიწის მკვიდრთა უმრავლესობა მარტივი ცხოვრებით, შედარებით ღარიბულად, ხშირად მოსახლეობის სიჭარბესა და მათთვის ხელმისაწვდომ რესურსებს შორის მყიფე ბალანსის პირობებში ცხოვრობდა. როგორც ნეოკლასიკური ეკონომიკის ერთ-ერთმა შემქმნელმა, ალფრედ მარშალმა თქვა, ისტორიაში ყველა მიგრაცია კლებადი უკუგების გამო მოხდა: ბუნებრივი რესურსების უცვლელი ხელმისაწვდომობა და განუახლებელი ტექნოლოგიები ფეხს ვერ უბამდა მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას. ეს კავშირი ბიბლიაშიც არის აღწერილი (დაბადება 13:6), როდესაც ებრა-

ელ ტომებს განცალკევება მოუწიათ, რადგან „არა იტევდა მათ ქუეყანა იგი დამკვიდრებად ზოგად, რამეთუ იყო მონაგები მათი ფრიად. და ვერ შემძლებელ იყვნეს დამკვიდრებად ზოგად". მიუხედავად იმისა, რომ ფუფუნების საგნები ნელ-ნელა იწყებდა გამოჩენას, ისინი მხოლოდ რჩეულთათვის იყო ხელმისაწვდომი, სიმდიდრის დაგროვება კი ძირითადად ახალი ტერიტორიების დაპყრობით ხდებოდა.

ამგვარ სამყაროში, სიმდიდრე და სიღარიბე ნულოვანჯამიანი თამაში იყო; არსებითად, დოვლათს უკვე არსებული მატერიალური სიმდიდრის ცვალებადი მფლობელები იგდებდნენ ხელში. ასეთი ხედვა სამყაროზე, რომელიც ოდითგანვე უნდა არსებულიყო, არისტოტელემ სისტემურად ჩამოაყალიბა, რითაც სქოლასტიკის მსოფლმხედველობას, გვიანი შუასაუკუნეების ევროპულ ფილოსოფიას დაუდო საფუძველი. „ერთი ადამიანის მოგება, მეორეს დანაკარგია" ადასტურებს წმ. იერონიმე (341-420). უკვე გვიან, 1643 წელს, ინგლისელი სერ თომას ბრაუნი (1605-1682) ირწმუნებოდა, რომ „შეუძლებელია ყველა ერთდროულად იყოს ბედნიერი, ვინაიდან ერთი სახელმწიფოს დიდება სხვის ნანგრევებზეა დამოკიდებული". როგორც მე-14 საუკუნის არაბი ისტორიკოსი და ეკონომისტი იბნ ხალდუნი ამბობდა – ისტორია ციკლურია. მისი აზრით, საზოგადოებები სოციალური ერთსულოვნების საფუძველზე ფორმირდებოდნენ და უდაბნოსა და ქალაქის საზოგადოებებად იყოფოდნენ. უდაბნოს ტომი იპყრობდა ქალაქს, მაგრამ იგი თანდათან იხრწნებოდა, რამდენადაც დახვეწასთან ერთად სუსტდებოდა, რამდენიმე თაობის შემდეგ კი ქალაქს კვლავ უდაბნოს ახალი ტომი იპყრობდა.

იტალიის კონკრეტულ ქალაქებში მომხდარი ცვლილებები, რომლებსაც ზემოთ სებასტიანო ფრანჩი აღწერს, სათავეს

ტრადიციული მსოფლმხედველობის ფუნდამენტური გარდაქმნიდან იღებს. ეს მენტალური ცვლილება, რომელმაც მრავალმხრივი გამოვლინება ჰპოვა, გვიანდელი აღორძინების ხანის ნაყოფი იყო. ბევრმა ერთად შერწყმულმა ფაქტორმა ნულოვანჯამიანი თამაშის, როგორც გაბატონებული მსოფლმხედველობის ეტაპობრივი დაღმასვლა და, პარალელურად, ისტორიის ციკლური ბუნების სანაცვლოდ, პროგრესის ელემენტის გაჩენა გამოიწვია. ამ რამდენიმე ახალი ელემენტის კვალს ღრმა წარსულამდე მივყავართ, მაგრამ მათ მხოლოდ რენესანსის პერიოდში შეძლეს კრიტიკული მასის მობილიზება ტრადიციული მსოფლმხედველობის შესაცვლელად და ახალი კოსმოლოგიის დასამკვიდრებლად. აღორძინების ხანის საფუძველში მდებარე ეს ელემენტები, რომლებმაც პირველად ისტორიაში, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებში საერთო სიმდიდრე შექმნეს, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებიდან გაქრნენ. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ხერხდება დღეს მსოფლიოში სიღარიბის დამარცხება, მდგომარეობს იმაში, რომ რენესანსის – მოგვიანებით კი განმანათლებლობის – დროინდელი მიგნებები უბრალოდ არ ერგება იმ ენას, რომელსაც თანამედროვე ეკონომისტები საკუთარი აზრის გამოსახატად იყენებენ.

ადამიანებისთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ყველაზე დიდძალი სიმდიდრე ქალაქებში მოიპოვებოდა, კონკრეტულად კი – გარკვეული ტიპის ქალაქებში.[1] ქალაქში თავისუფალი ადამიანები ცხოვრობდნენ; სოფლები კი ძირითადად ყმებით იყო დასახლებული, რომლებიც მიწასა და ადგილობრივ ბატონს ეკუთვნოდნენ. ამ დაკვირვებებზე დაყრდნობით, დაიწყო იმ მიზეზების შესწავლა, თუ რატომ იყო ქალაქი სოფელზე მდიდარი. თანდათან დამკიდრდა შეხედულება, რომ ქალაქების სიმდიდრე სინერგიების შედეგი იყო, რადგან აქ ერთად სხვადასხვა ხელო-

ბისა და პროფესიის ადამიანები ცხოვრობდნენ. ფლორენციელი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ბრუნეტო ლატინი (1220-1294) ამგვარ სინერგიებს "il ben commune" ანუ „საერთო კეთილდღეობას" უწოდებდა. ყველაზე ძველი ეკონომისტები, მერკანტილისტები და მათი გერმანელი კოლეგები – კამერალისტები – ამ სინერგიებს სიმდიდრისა და სიღარიბის მათეული გაგების ფუნდამენტურ ელემენტად იყენებდნენ. „საერთო კეთილდღეობა არის ის, რაც ქალაქებს დიდებულს ხდის", იმეორებდა ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) ბრუნეტო ლატინის მოღვაწეობიდან თითქმის სამასი წლის შემდეგ.

სიმდიდრის ამგვარი სოციალური გაგება, როგორც ფენომენისა, რომელიც მხოლოდ კოლექტიური მოქმედების შედეგია, რენესანსმა ხელახლა აღმოაჩინა და მასთან ერთად წინ წამოსწია ინდივიდის მნიშვნელობა და შემოქმედებითობა. ამ ორივე პერსპექტივის – საერთო კეთილდღეობისა და ინდივიდის როლის – გათვალისწინების გარეშე, ვერც საზოგადოების რენესანსისეულ ხედვასა და ვერც ეკონომიკური ზრდის ფენომენს ვერ შევიცნობთ. ეს თეორიული გაორება, როგორც საზოგადოების, ისე ინდივიდის ინტერესების გათვალისწინება, კონტინენტური ევროპის ეკონომიკურ თეორიას, კონკრეტულად კი გერმანულ სკოლას ახასიათებდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის მთლიანად გაქრა. მე-20 საუკუნეში, ამ საკითხის ანალიზმა ბიძგი მისცა მნიშვნელოვან დებატებს თავისუფლების სხვადასხვა ფორმას შორის არსებული ურთიერთობების შესახებ (მაგალითად, შუალედური გამოსავალი ადამიანის მიერ იარაღის ტარების უფლებასა და საზოგადოების დანარჩენი წევრების უფლებას – არ გახდნენ იარაღით თავდასხმის მსხვერპლნი – შორის). ამგვარი დუალური თეორიული პერსპექტივის დაკარგვა, რომლის მაგალითია მარგარეტ ტეტჩერის სიტყვები „საზოგა-

დოება, როგორც ასეთი, არ არსებობს“ – მნიშვნელოვნად გვიზღუდავს სიღარიბის მიზეზებისა და არშემდგარი სახელმწიფოების შესწავლას. სტანდარტული ეკონომიკის მეთოდოლოგია ძალიან ხშირად ვერ ამჩნევს ნამდვილ სინერგიებს.

სამყაროს არისტოტელესეულმა აღქმამ, როგორც ნულოვანჯამიანი თამაშისა, თანდათან გზა დაუთმო სულ უფრო განვითარებად მოსაზრებას, რომ ახალი სიმდიდრე შეიძლება არა მხოლოდ ძალისმიერი დაპყრობებით, არამედ ინოვაციისა და შემოქმედების გზითაც შეიქმნას. პროცესების ამგვარი განვითარება სიტყვა „ინოვაციის“ მნიშვნელობის ეტაპობრივმა ცვლილებამ ნათელჰყო. 1277 წელს, როჯერ ბეკონი (1214-1294) ოქსფორდში „საეჭვო ინოვაციისთვის“ დააკავეს, მწვალებლობისთვის, რომელიც ბიბლიისა და არისტოტელეს ნაშრომებს მიღმა ცოდნის ძებნაში მდგომარეობდა. როდესაც დაახლოებით 300 წლის შემდეგ, ფრენსის ბეკონმა (1561-1626) დაწერა ესე სათაურით – „ინოვაციები“, ეს სიტყვა უკვე მზარდი ადამიანური სიმდიდრისა და ბედნიერების მატარებლად აღიქმებოდა. მის უტოპიურ ნაშრომში, „ახალი ატლანტიდა“, ფრენსის ბეკონი აღწერს სახელმწიფოს, სადაც ინოვაციას საპატიო ადგილი უკავია და ადამიანებს თვითმოძრავი მანქანები, წყალქვეშა ნავები, მიკროფონები და სიცოცხლის გასახანგრძლივებელი წამლები აქვთ გამოგონილი. ბეკონი ასევე მსოფლიოში პირველ „ეროვნულ კვლევით საბჭოს“, სალომონის სახლს აღწერს. მრეწველობის განვითარებამ გაარღვია კლებადი უკუგების მანკიერი წრე, მოიტანა რა ის, რაც დიდი ხნის მანძილზე ქალაქების ექსკლუზიურ პრივილეგიად ითვლებოდა: მზარდი უკუგება. როგორც უკვე აღინიშნა, მზარდი უკუგება წარმოების ზრდასთან ერთად – ტექნოლოგიური პროგრესის არარსებობის მიუხედავადაც კი – ერთეული პროდუქციის წარმოების ხარჯის შემცირებას ნიშ-

ნავს. ანტონიო სერას (1613) მისედვით, ქვეყნების გამდიდრების რეცეპტს შრომის ფართო დანაწილებასთან შერწყმული მზარდი უკუგება, სხვა სიტყვებით კი – ქალაქში განსხვავებული პროფესიებისა და საქმიანობების მაქსიმიზაცია წარმოადგენს.

ღარიბი ქვეყნის გამდიდრების მაგალითს ინგლისის ისტორია იძლევა. დაწერილ თეორიად ქცევამდე ეს უკვე პოლიტიკის ნაწილი იყო, თუმცა ჯერ კიდევ 1581 წელს, ჯონ ჰეილსი აცნობიერებდა მრეწველობის მულტიპლიკატორის* მნიშვნელობას ეროვნული სიმდიდრისთვის: „როგორი ბრიყვული იქნებოდა... ჩვენი საქონლის გაყიდვა, უცხოელების დასაქმება და შემდეგ მათგან მისი ხელახლა ყიდვა“.[2] ეს ის ძირითადი ხედვაა, რომელიც ყველა, ერთიმეორის მიყოლებით ინდუსტრიალიზებულ ქვეყანაში გვხვდებოდა. იგივე პრინციპები იაპონიასა და კორეაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაინერგა.

მზარდი წარმოებისა და კლებადი დანახარჯების ფონზე, რასაც ჩვენ მზარდი უკუგება ან მასშტაბის ეკონომია ვუწოდეთ, მე-17 საუკუნის ეკონომისტებითვის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენდა. პირიქით, მასშტაბის ეკონომიამ წარმოებასა და შრომის დანაწილებაში, სხვა ახალ ხელობებთან ერთად, მოსახლეობის სიმრავლე ეკონომიკური ზრდის ფაქტორად აქცია.[3] სიმდიდრის აუცილებელ წინაპირობად დიდ და მზარდ მოსახლეობასთან ერთად, მოსახლეობის კონცენტრაციაც იქცა. გამომდინარე აქედან, ინგლისელი ეკონომისტი უილიამ პეტი (1623-1687) რეკომენდაციას უწევდა შოტლანდიიდან და სხვა პერიფერიებიდან მოსახლეობის ცენტრალურ ლონდონში მიგრაციას, სადაც ადა-

* ზოგიერთი განვითარების ეკონომისტი მიიჩნევს, რომ წარმოების სექტორი ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს სხვა ინდუსტრიებში, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროში. ამას ეწოდება წარმოების მულტიპლიკატორული ეფექტი (მთარგმნელის შენიშვნა).

მიანებს ეკონომიკურ ზრდაში უფრო დიდი წვლილის შეტანა შეეძლებოდათ, ვიდრე კუნძულის ცარიელ სანაპიროებზე. 1798 წლიდან, თომას მალთუსის (1766-1834) მიერ სოფლის მეურნეობაში კლებად უკუგებაზე (და არა ინოვაციასა და წარმოების მასშტაბის ეკონომიაზე) დაფუძნებული ეკონომიკური თეორიის აღდგენის შემდეგ, მზარდი მოსახლეობა (ბიბლიური „დაბადების“ მსგავსად), კვლავ პრობლემად იქცა. მალთუსისა და მისი მეგობარი რიკარდოს მიერ ეკონომიკის მთავარ მახასიათებლად კლებადი უკუგების გამოცხადება და, ამასთანავე, მზარდი უკუგებისა და ინოვაციების პარალელური უარყოფა დრამატული შედეგების მომტანი აღმოჩნდა, ვინაიდან სიმდიდრის, როგორც სინერგიების, მზარდი შემოსავლებისა და ინოვაციების ნაყოფად აღქმა, დავიწყებას მიეცა. კლებად უკუგებაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებამ რიკარდოსეულ ეკონომიკას „დამთრგუნველი მეცნიერების“ სახელი მოუტანა, ხოლო მისი სავაჭრო თეორია დღემდე გამოიყენება კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და იმ მთავარი მექანიზმების გამამართლებელ საბაბად, რომლებიც ღარიბ ქვეყნებს სიღარიბეში ტოვებენ. დავიწყებას მიეცა განმანათლებლობის მეცნიერების მეორე მნიშვნელოვანი თვისებაც: განსხვავებების დადგენა კლასიფიკაციის სისტემისა და ტაქსონომიების შექმნით.

ადრეულმა თანამედროვე ევროპამ გეოგრაფიულ და სამეცნიერო აღმოჩენებსა და ინოვაციებს, განვითარების თეორიასა და განვითარების პრაქტიკას შორის აშკარა კავშირები აღმოაჩინა. უსასრულო სამყაროს მარადიული გაფართოების იდეის გაცნობიერება მერკანტილისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების წინაპირობა იყო: ეკონომიკას, კოსმოსის მსგავსად, უსასრულოდ გაფართოება შეეძლო. მეცნიერი და ალქიმიკოსი ჯადოქარი, ჯორდანო ბრუნო (1548-1600), 1600 წლის 1

ივლისს, რომში კოცონზე დაწვეს შეხედულების (და არა მარტო ამის) გამო, რომლის მიხედვითაც სამყარო უსასრულოა. თავისი იდეებით მან ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპის ეკონომიკური კოსმოლოგიის ფორმირებაში.

ეკონომიკური პროგრესის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი, რეალური სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების ფონზე შექმნილი სინერგიებისა და ინოვაციების დინამიური კომბინაციაა. ამას ეკონომისტები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ხვდებოდნენ. მოგვიანებით გავიგებთ, თუ როგორ მუშაობდა ამგვარი ეკონომიკური ზრდის სისტემა ჰოლანდიის პატარა ქალაქ დელფტში.

რელიგია ნელ-ნელა ათავისუფლებდა საზოგადოებას საკუთარი საყოველთაო მარწუხებისგან და მიესალმებოდა ინოვაციებს, რამაც ტერმინის შინაარსისა და მის მიმართ შეხედულებების რადიკალური ცვლილება გამოიწვია. ამის მაგალითია რელიგიის მიმართ როჯერ ბეკონისა (მე-13 საუკუნე) და ფრენსის ბეკონის (მე-16 საუკუნის დასაწყისი) დამოკიდებულებებს შორის კონტრასტი.[4] როდესაც 1453 წელს კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი, თურქებმა დაიპყრეს, მრავალი ფილოსოფოსი საცხოვრებლად იტალიაში გადავიდა, შედეგად, დასავლური ფილოსოფია და ეკლესია აღმოსავლური ეკლესიის სერიოზული გავლენის ქვეშ მოექცა. ამ პროცესის შედეგად, „დაბადების" უფრო დინამიური ვერსია – სამყაროს შექმნის ამბავი – დამკვიდრდა. ლოგიკა შემდეგში მდგომარეობდა: თუ ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად, მაშინ ჩვენი მოვალეობა ღმერთის მიბაძვაა. მაშ, რა არის ღმერთის ყველაზე ტიპური თვისება? ეს მისი შემოქმედებითობა და ინოვაციურობაა; ორივე – სამოთხეც და ჯოჯოხეთიც – მან შექმნა. თანდათან აშკარა გახდა, რომ ჩვენი ამქვეყნიური როლი იმაზე დიდია, ვიდრე მება-

ღეებისა და ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს მომვლელების როლი. ღმერთმა სამყაროს შექმნას ექვსი დღე მოანდომა და რაც დარჩა შესაქმნელი კაცობრიობას დაუტოვა გასაკეთებლად. შედეგად, შემოქმედება და ინოვაცია ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად გადაიქცა. ჩვენი ვალდებულებაა ვსახლობდეთ დედამიწაზე და, გამრავლებასთან ერთად, ღმერთმა ახალი აღმოჩენებისგან სიხარულის მიღებისა და ინოვაციურობის უნარი მოგვცა. ალექსანდრე კოირე (1892-1964) ამას ასე გამოთქვამს: კაცობრიობამ დაასრულა „მაყურებლად ყოფნა და ბუნების ბატონ-პატრონად იქცა".[5] ადამიანთა მოდგმა ცოდნის მისაღებად ახალ ექსპედიციაში გაემართა, და დაგროვილი სიბრძნის მოცულობის მიუხედავად, ჩვენ ჯიუტად ვაგრძელებთ ცოდნის საზღვრების უსასრულოდ გაფართოებას.

ეს იყო მოკლე ისტორია იმისა, თუ როგორ ყალიბდებოდა ეკონომიკური ზრდის, როგორც სინერგიების, შრომის ფართო დანაწილების, მზარდი უკუგებისა და ახალი ცოდნის ერთობლივი ნაყოფის აღქმა. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, დროის ნებისმიერ პერიოდში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ზრდის მიღწევის პოტენციალი კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობით იყო შეზღუდული, ანუ ეკონომიკური ზრდა სპეციფიკურ აქტივობაზე იყო დამოკიდებული. ამგვარი ჰოლისტური გაგება, რომელსაც თვისებრივი განსხვავებებიც ემატება, ფრაგმენტულად გვხვდება დღეს გაბატონებულ ეკონომიკურ თეორიაში. მისი ელემენტები, როგორიცაა, მაგალითად, მზარდი უკუგება, დროდადრო და ცალ-ცალკე იბრუნებენ აქტუალობას, მაგრამ ყველა მათგანი ერთად, მათი თვითგამაძლიერებელი ერთიანობით, ვეღარ იკრებს საკმარის ძალას იმ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, რომლის დანერგვის უფლებასაც ჩვენ ღარიბ ქვეყნებს ვაძლევთ.

დღეს ღარიბები ის ქვეყნები არიან, რომლებშიც ეს ელემენტები არ მოიძებნება. კოლონიებად ის რეგიონები ითვლებოდნენ, სადაც ამგვარი სინერგიული ურთიერთქმედება იმთავითვე არ უნდა მომხდარიყო, ხოლო რიკარდოს სავაჭრო თეორია იყო ის, რის გამოც კოლონიალიზმი მორალურად გამართლებადი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო ინდუსტრიის აკრძალვა – ღიად თუ დე-ფაქტო – ნებისმიერი კოლონიალური და ნეოკოლონიალური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ელემენტია, რიკარდოს თეორიაში მას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ჩვენი მსოფლიოს ეკონომიკური წესრიგი ამ თეორიას ეფუძნება, რომლის გათვლებითაც, ამაზონის მკვიდრი ტომისა და სილიკონის ველის ეკონომიკური ინტეგრაცია, ორივეს თანაბრად გაამდიდრებს.

ემულაცია: ინგლისის მეფე ჰენრი VII (1485) საფუძველს უყრის სტრატეგიულ ეკონომიკურ პოლიტიკას

ძველ ეკონომისტებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ, რომ ევროპის „სიმდიდრის კუნძულები“ გეოგრაფიული გაგებითაც კუნძულები იყვნენ. გარკვეულწილად პარადოქსია, მაგრამ ქალაქის ან ქვეყნის სიმდიდრე, მათი ბუნებრივი სიმდიდრის უკუპროპორციული იყო. ჰოლანდიისა და ვენეციის მსგავს ყველაზე მნიშვნელოვან ტერიტორიებზე, მცირე სახნავი მიწა იყო. შესაბამისად, მათ სამრეწველო ინდუსტრიასა და საგარეო ვაჭრობაში სპეციალიზება მოუწიათ. ფლორენციაში, ყველაზე მნიშვნელოვან ევროპულ ქალაქ-სახელმწიფოში, რომელიც ზღვასთან არ მდებარეობდა, მსხვილ მიწათმფლობელებს, საუკუნეების განმავლობაში, ნებისმიერი სახის პოლიტიკურ ძალაუფლებაზე წვდომა ეკრძალებოდათ. გამომდინარე აქედან,

სანაპირო ქალაქების მსგავსად, ქალაქის ცხოვრება ხელოსნების, მრეწველებისა და ვაჭრების ინტერესებით იყო განსაზღვრული. ფლორენციამ სიმდიდრისა და სიღარიბის გამომწვევი ძირეული მექანიზმები ძალიან ადრე შეიცნო. საუკუნეების განმავლობაში, მიწათმფლობელები საფრთხეს უქმნიდნენ ფლორენციელებს სახელმწიფოს – მტრების პოტენციური მოკავშირეების რანგში. ფლორენციელებისთვის მათ ძალაუფლებისგან მოწყვეტას, ორმაგი მიზანი ჰქონდა: ეს მათ ეკონომიკურ სიძლიერესა და სიმდიდრეს მრეწველობისა და პოლიტიკური ძალაუფლების გზით უნარჩუნებდა. სპეკულაციისა და საკვების დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, ფლორენციამ ქალაქის საწყობებიდან საკვების გატანა სასტიკად აკრძალა. ეკონომიკურმა ძალაუფლებამ და პატრონაჟმა, ერთად აღებულმა, ხელი შეუწყვეს ხელოვნების აყვავებასაც, რომელიც არაფეოდალური საზოგადოების განმასხვავებელ ნიშნად იქცა. ამგვარი ისტორიულად მნიშვნელოვანი კავშირი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის – ერთი მხრივ, დემოკრატიას, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობასა და ნედლეულზე დამოკიდებულებისგან განყენებულ ეკონომიკას შორის – კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული გაკვეთილია. სამწუხაროდ, ეს გაკვეთილი დღეს დავივიწყეთ, როდესაც დიდი ძალადობისა და არანახული საფასურის სანაცვლოდ ვცდილობთ დემოკრატიის დანერგვას იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური სტრუქტურა არსებითად ფეოდალური და პრე-კაპიტალისტურია.

ღარიბი ევროპული ქვეყნებისთვის ნათელი გახდა, რომ რამდენიმე მდიდარი ქალაქ-სახელმწიფოს წარმოების სტრუქტურასა და მათ მატერიალურ დოვლათს შორის მნიშვნელოვანი კავშირი არსებობდა. ყველაზე მდიდარ ქალაქ-სახელმწიფოებს – ვენეციასა და ჰოლანდიაში მდებარე რამდენიმე მათგანს

– დომინანტური საბაზრო ძალაუფლება გააჩნდათ სამ სხვადასხვა სფეროში. ეკონომიკური ტერმინებით რომ ითქვას, ისინი სარგებელს ზემოთ განხილული რენტიდან იღებდნენ, რომელიც მზარდ მოგებას, რეალურ ხელფასებსა და დასაბეგრ შემოსავალს იძლეოდა. მათ ერთობ მსხვილი და დივერსიფიცირებული მრეწველობისა და ხელოსნობის სექტორები ჰქონდათ. ადრეულ 1500–იან წლებში, მრეწველობაზე ჰოლანდიაში მთლიანი დასაქმების დაახლოებით 30% მოდიოდა. მხოლოდ ვენეციის გემთსაშენებში (არსენალში) კი 40 000 კაცი მუშაობდა. ორივე ნედლეულის მნიშვნელოვან ბაზარს აკონტროლებდა – მარილს ვენეცია და თევზს ჰოლანდია. განვითარების ადრეულ ეტაპზეც კი, ჯერ კიდევ შედარებით ღარიბი ვენეცია ყოველთვის ბევრს იბრძოდა მარილის ბაზრებზე საკუთარი დომინანტური პოზიციების შესანარჩუნებლად.

ჰოლანდიაში დამარილებული და დამარინადებული ქაშაყის გამოგონებამ (მე-14 საუკუნის დასაწყისში) უზარმაზარი ბაზარი შექმნა, რომელსაც თავად ჰოლანდიელები აკონტროლებდნენ. მესამე, ორივე მათგანმა საკმაოდ მომგებიანი საგარეო ვაჭრობა ააწყო. ევროპაში პირველი წარმატება სამი სახის რენტით იყო განპირობებული – სამი ეკონომიკური საქმიანობის საბაზრო ძალაუფლებით, რომლებიც, როგორც ჩანს, არ არსებობდა ღარიბ ევროპულ ქვეყნებში: მრეწველობით, მნიშვნელოვან ნედლეულზე ფაქტობრივი მონოპოლიითა და მომგებიანი საგარეო ვაჭრობით. სიმდიდრე იქმნებოდა და ნარჩუნდებოდა უზარმაზარი, გაუვალი ბარიერების მეშვეობით, რომლებიც წარმოიქმნებოდა უპირატესი ცოდნით, სისტემური სინერგიების გამომწვევი სხვადასხვა ტიპის მრეწველობით, საბაზრო ძალაუფლებით, ინოვაციებითა და მზარდი უკუგებით. ეს ხდებოდა, როგორც ცაკლეული ინდუსტრიების დონეზე, ასევე სისტემურადაც, რაც

განპირობებული იყო როგორც წარმოების დიდი მასშტაბით, ასევე სამხედრო ძალის გამოყენებაზე მასშტაბის ეკონომიის მეშვეობით.* 1485 წლის შემდეგ, ინგლისმა, რესურსების არმქონე ევროპულ ქალაქ-სახელმწიფოებში შექმნილი სამმაგი რენტის სტრუქტურა გადმოიღო. დამთრგუნველი ეკონომიკური ინტერვენციით, ინგლისმა საკუთარი სამმაგი რენტის სისტემა ააგო, რომლის ელემენტებს მრეწველობა, შორ მანძილებზე ვაჭრობა და მატყლზე დაფუძნებული ნედლეულის რენტა წარმოადგენდა. ინგლისის წარმატება ქალაქ-სახელმწიფოების კვდომასა და ერი-სახელმწიფოების ზრდას იწვევდა: ქალაქ-სახელმწიფოების სინერგიები კიდევ უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალზე გაიშალა. ევროპის მერკანტილისტური პროექტის დედააზრს სწორედ ეს წარმოადგენდა.[6]

მოკლედ, დავუბრუნდეთ ეკონომიკურ თეორიას: ადამ სმიტამდე გავრცელებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური განვითარება ეფუძნებოდა რენტაზე კოლექტიურ ორიენტირებას, რომელიც სათავეს მზარდი უკუგების, ინოვაციებისა და შრომის დანაწილების სინერგიებიდან იღებს, რაც მხოლოდ ქალაქებში იყო თავმოყრილი. ეს მთლიანად ეწინააღმდეგება თანამედროვე სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკის მიერ ჩამოყალიბებულ არასრულყოფილი კონკურენციის ცნებას. რიკარდოს ნაშრომებიდან, ინგლისის ინდუსტრიალიზაციის ზენიტში ყოფნიდან (1817 წელი) მოყოლებული მოდელი არ იცვლება: მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს სიღარიბეში ტოვებენ იმ თეორიებზე დაყრდნობით, რომლებიც

* სამხედრო ძალის გამოყენებაზე მასშტაბის ეკონომია გულისხმობს იმას, რომ რაღაც X პროცენტით არმიის შემადგენლობის ან ტექნიკის ზრდა, იწვევს არმიის სამხედრო ძლიერების X პროცენტზე მეტით ზრდას. პირობით, ერთი მაღალტექნოლოგიური ტანკის დამატებამ, შეიძლება გააჩინოს დამატებით 10 ტანკის განადგურების შესაძლებლობა და არა ეკვივალენტურად ერთის (მთარგმნელის შენიშვნა).

ამტკიცებენ ზუსტად იმ ფაქტორების არარსებობას, რომლის საშუალებითაც მდიდრები თავად გამდიდრდნენ. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, 1485 წლის შემდეგ გამდიდრებულმა ყველა ქვეყანამ გამდიდრება რიკარდოს ეკონომიკური თეორიის უარყოფით მოახერხა.

ისტორიის პირველი გამიზნული ფართომასშტაბიანი ინდუსტრიული პოლიტიკა ევროპის მდიდარი ტერიტორიების გამდიდრების მიზეზებზე დაკვირვებას ემყარებოდა: იმ ფაქტს, რომ ტექნოლოგიურ განვითარებას ერთ სფეროში, ერთ გეოგრაფიულ არეალში, შეეძლო მთელი ქვეყანა მოეცვა. ინგლისის მეფე ჰენრი VII-მ, რომელიც ტახტზე 1485 წელს ავიდა, საკუთარი ბავშვობა და ყრმობა დეიდასთან, ბურგუნდიაში გაატარა. მან დაინახა, რომ აქ შალის ქსოვილის წარმოება საკმაოდ მომგებიანი იყო. ხოლო, მატყლიც და მისი საწმენდი ნივთიერებაც (ფულერის მიწა ანუ ალუმინის სილიკატი) ინგლისიდან შემოჰქონდათ. როდესაც მოგვიანებით თავისი ღატაკი სამეფო ჩაიბარა, რომელიც მატყლს იტალიის ბანკებიდან ნასესხები ფულით აწარმოებდა, ჰენრის ევროპაში გატარებული სიყმაწვილე გაახსენდა. ბურგუნდიაში არა მარტო ქსოვილის მწარმოებლები, არამედ ბანკირები და სხვა მოხელეებიც შეძლებულად ცხოვრობდნენ. მეფე მიხვდა, რომ ინგლისი წამგებიან საქმეში იყო ჩართული და გადაწყვიტა იგი ნედლეულის ექსპორტიორის ნაცვლად, ქსოვილის მწარმოებელ ქვეყნად ექცია.[7]

ჰენრი VII-მ ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების საკმაოდ მრავალფეროვანი ნაკრები შექმნა. მისი პირველი და უმთავრესი იარაღი საექსპორტო ბაჟის დაწესება იყო, რაც გარანტი იყო იმისა, რომ, მათი ინგლისელი კოლეგებისგან განსხვავებით, ქსოვილის უცხოელ მწარმოებლებს უფრო ძვირიანი ნედლეულის შესყიდვა მოუწევდათ. ამასთან, შალის ახლად დაარსებუ-

ლი საწარმოები გარკვეული პერიოდით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისგან და კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილებში, გარკვეული ვადით, მონოპოლისტებად ყოფნის უფლება ეძლეოდათ. გარდა ამისა, შემუშავდა უცხოელი ხელოსნებისა და მეწარმეების მოზიდვის პოლიტიკა, ასეთი ადამიანები კი ჰოლანდიასა და იტალიიდან ჩამოჰყავდათ. ინგლისის შალის წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ექსპორტის გადასახადიც მანამდე, სანამ ინგლისს საკუთარი მატყლის მთლიანად დამუშავების შესაძლებლობა არ ექნებოდა. დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ელისაბედ I-ს უკვე ემბარგოს დაწესება შეეძლო ინგლისიდან ნედლი მატყლის გატანაზე. მე-18 საუკუნეში დანიელ დეფომ და სხვა ისტორიკოსებმა ამ სტრატეგიაში სიბრძნის მარცვალი დაინახეს და მას „ტიუდორების გეგმა“, ამ დინასტიის წარმომადგენელი მეფეებისა და დედოფლების გამო დაარქვეს. ვენეციისა და ჰოლანდიის მსგავსად (და იმავე მეთოდების გამოყენებით), ინგლისმა სამმაგი რენტის მდგომარეობას მიაღწია: ძლიერ ინდუსტრიულ სექტორს, ნედლეულზე (მატყლზე) მონოპოლიას და საგარეო ვაჭრობას.

ზოგიერთი ინგლისელი ისტორიკოსის აზრით, ინგლისის შემდგომი დიდების რეალურ საფუძველს ტიუდორების ინდუსტრიული გეგმა წარმოადგენდა. ევროპაში ამ გეგმას მნიშვნელოვანი შედეგები უნდა მოჰყოლოდა. ფლორენცია ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანი იყო, რომელიც ინგლისთან კონკურენციამ ყველაზე მეტად დააზარალა. ფლორენციელები ეცადნენ ესპანურ მატყლზე ემუშავათ და შალის წარმოებიდან აბრეშუმზე გადასულიყვნენ, თუმცა ინგლისური პოლიტიკა იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ფლორენციის ოქროს ხანა ნამდვილად დასრულდა.

ესპანელი მატყლის მწარმოებლები ნედლეულის წარმოებაში ინგლისის მთავარი კონკურენტები იყვნენ. 1695 წელს ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ კარიმ წამოაყენა წინადადება, რომლის მიხედვითაც მის ქვეყანას ბაზარზე არსებული მთლიანი ესპანური მატყლი უნდა შეესყიდა და დაეწვა. ინგლისს არ ჰქონდა ამ მატყლის დასამუშავებლად საკმარისი საშუალებები, თუმცა ნედლეულის გაყიდვიდან ამოღება მის საბაზრო ძალაუფლებას ნამდვილად გააძლიერებდა:

„ჩვენ შეგვეძლო შეთანხმება დაგვედო ესპანეთთან მათი მატყლის სრულად შესყიდვაზე და, თუკი შემდგომ ვინმე იტყოდა, რომ ზედმეტად ბევრი დაგვიგროვდა, მაშინ უმჯობესი იქნებოდა ჭარბი რაოდენობა საზოგადოების ხარჯზე დაგვეწვა, ვიდრე ის სხვაგან აღმოჩენილიყო. სხვაგვარად ვერ მოვახერხებთ ევროპის მთლიანი შალის სხვაგან წარმოების პრევენციას“.[8]

სავაჭრო ომი სინამდვილეში იყო ბრძოლა იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც ყველაზე მაღალ მოგებას იძლეოდა, გასცემდა ყველაზე მაღალ ხელფასებს, ან/და ყველაზე კარგად შეიძლება ყოფილიყო დაბეგრილი. ყველა მონაწილისთვის ცხადი იყო, რომ სტრატეგიული ვაჭრობის პოლიტიკა რეალურად წარმოადგენდა „ომს სხვა საშუალებებით“.

რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში ევროპის სავაჭრო პოლიტიკა ყველა ქვეყნის ინდუსტრიული სექტორის მაქსიმიზაციის პრინციპზე იყო დაფუძნებული, რაც, ხშირად, იმავდროულად, სხვა ქვეყნების ინდუსტრიებს აყენებდა ზიანს. 1841 წელს, გერმანელი ეკონომისტი ფრიდრიხ ლისტი წერდა: რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ინგლისის ეკონომიკური პოლიტიკა ერთ მარტივ წესს ემყარებოდა: ნედლი მასალების იმპორტსა და ინდუსტრიული ნაწარმის ექსპორტს. იმისთვის, რომ გამდიდრებულიყვნენ, ინგლისის მსგავს ქვეყნებს უნდა მიება-

ძათ ვენეციისა და ჰოლანდიის ეკონომიკური სტრუქტურისთვის, მაგრამ არა მაინცდამაინც მათი ეკონომიკური პოლიტიკისთვის. უკვე მდიდარ ქვეყნებს შეეძლოთ ღარიბებისგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკა გაეტარებინათ. რეალურად, როდესაც ქვეყანა საკმარისად ინდუსტრიული გახდებოდა, ზუსტად იმ ფაქტორებს, რომლებიც სანყის ეტაპზე პროტექციას მოითხოვდნენ – მზარდი უკუგების მიღწევასა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებას – განვითარებისთვისა და წინსვლისთვის, უკვე უფრო დიდი და საერთაშორისო ბაზრები ესაჭიროებოდათ. მაშასადამე, წარმატებული ინდუსტრიული პროტექცია თვითგანადგურების მარცვალსაც შეიცავდა: წარმატების მიღწევის შემდეგ, საწყის ეტაპზე, აუცილებელი პროტექცია კონტრპროდუქტიული ხდება. როგორც 1786 წელს, უცნობმა იტალიელმა მოგზაურმა ჰოლანდიაში ყოფნისას თქვა: „ტარიფები ისეთივე წარმატებით ამკვიდრებს ქვეყანაში ახალ ხელობებს [მრეწველობას], როგორი წარმატებითაც აზიანებს უკვე განვითარებულებს".[9] სწორედ აქ იმალება პასუხი თავისუფალი ვაჭრობის დროის სწორად შერჩევაზე. ისევ და ისევ, ეს არის შეხედულება, რომელიც დავიწყებას მიეცა დღევანდელი ეკონომიკური თეორიის მიმდევარ მსოფლიოს დიდ ნაწილში.

ჰენრის VII-ის ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპები ყველა იმ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სავალდებულო ინგრედიენტად იქცა, რომლებმაც სიღარიბიდან სიმდიდრემდე გზა გაიკვლიეს. გამონაკლისი მხოლოდ რამდენიმე იყო. პატარა, მწირი რესურსების, თუმცა უზარმაზარი შემოგარენის მქონე ქალაქ-სახელმწიფო, როგორიცაა ჰონგ-კონგი, შესაძლოა გამდიდრდეს ზუსტად იმავე „ბუნებრივი" გზით, როგორც ეს ვენეციამ და ჰოლანდიამ შეძლეს. მიუხედავად ამისა, ამგვარი ქვეყნების შიდა მექანიზმების შესწავლა ნათლად აჩვენ-

ებს, რომ სიმდიდრის შექმნა ჰონგ-კონგში – ტაქსის ლიცენზიიდან დაწყებული დიდი კორპორაციების ფასით დამთავრებული – წარმოადგენს არა არასრულყოფილ კონკურენციის, არამედ რენტაზე ორიენტირებულობის, ანუ ნაკლული და არასრულყოფილი კონკურენციიდან სარგებლის მიღების შედეგს.

პირველმა ამერიკელმა ფინანსთა მინისტრმა, ალექსანდრ ჰამილტონმა, ამერიკის მრეწველობის შესახებ დაწერილ 1791 წლის ანგარიშში, ჰენრი VII-ის მსგავსი ეკონომიკური პოლიტიკა აღადგინა. ჰამილტონის გაცხადებული გეგმები იგივე იყო: შრომის უფრო ფართო დანაწილება და უფრო მსხვილი სამრეწველო სექტორი. იგივე პოლიტიკა გამოიყენა ფაქტობრივად კონტინენტური ევროპის ყველა ქვეყანამ მე-19 საუკუნეში, მათ შორის ჩემმა სამშობლომ, ნორვეგიამ, ევროპის პერიფერიიდან. თეორიები, რომელიც გერმანელმა ეკონომისტმა ფრიდრიხ ლისტმა შეიმუშავა, რომელიც საკმარისად დიდხანს ცხოვრობდა ამერიკაში, მისი მოქალაქე რომ გამხდარიყო, ევროპის ქვეყნების შთაგონების წყაროდ იქცა, ეს ქვეყნები ინგლისის პოლიტიკას და ინდუსტრიალიზაციისკენ მიმავალ ინგლისელების დაგებულ გზას გაჰყვნენ. ლისტის ნაშრომები უამრავ ენაზე ითარგმნა, 1860-იანი წლების შემდეგ, 1960-იანი წლებიდან დღემდე სწორედ ეს „ლისტისეული“ ხედვები გამოიყენება იაპონიაში, მეიძის რესტავრაციის შემდეგ და კორეაში – ქვეყანაში, რომელიც 1950 წელს ტანზანიაზე ღარიბი იყო. ღარიბები კი ის ქვეყნები არიან, რომლებმაც უარი თქვეს ამ ხედვაზე ან ზედმეტად ცოტა ხანი და/ან სტატიკურად ახორციელებდნენ მას, რამაც დინამიური კონკურენციის დანერგვას შეუშალა ხელი. „კარგი“ და „ცუდი“ პროტექციონიზმის შედარება (IV დანართში) ხაზს უსვამს სხვადასხვა პროტექციონისტულ პრაქტიკას შორის არსებულ განსხვავებას.

ეკონომიკური ემულაციისა და განვითარების ინსტრუმენტები

...the fundamental things apply, as time goes by
(„დრო გადის, ფუნდამენტური რამეები კი რჩება“).
პიანისტი სემი, ფილმიდან „კასაბლანკა“.

1. მზარდი უკუგების გარშემო წარმოქნილი სიმდიდრის სინერგიების შესწავლა და უწყვეტი მექანიზაცია. იმის გაცნობიერება, რომ ხელი არასწორ საქმეს მოვკიდეთ. გონივრული ორიენტირება მზარდი უკუგების მომტან საქმიანობებზე, მათი მხარდაჭერა და დაცვა.
2. დროებითი მონოპოლიები/პატენტები/პროტექცია კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებში მიმდინარე კონკრეტულ აქტივობებზე.
3. განვითარების, როგორც სინერგიული მოვლენის აღიარება და დივერსიფიცირებული მრეწველობის სექტორის მუდმივი საჭიროება („შრომის დანაწილების მაქსიმიზაცია“, სერა, 1613).
4. მრეწველობის სექტორი ერთდროულად აგვარებს მესამე სამყაროს სამ ენდემურ პრობლემას: ქვეყანაში შექმნილი დამატებითი ღირებულებისა (მშპ*), დასაქმების ზრდას და საგადამხდელო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.
5. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მოზიდვა სამიზნე სფეროებში სამუშაოდ (ისტორიულად, რელიგიურმა დევნამ ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი).

* მთლიანი შიდა პროდუქტი ეს არის ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული მომსახურებისა და პროდუქციის საერთო ღირებულება (მთარგმნელის შენიშვნა).

6. პირადი ინტერესების მქონე ფეოდალებისა და სხვა ჯგუფების შედარებით შეზღუდვა ნედლეულის წარმოებაში (1480-იანი წლებიდან, ჰენრი VII-ით დაწყებული და 1960-იანი წლების კორეით დამთავრებული). დღევანდელი ნეოკლასიკური ეკონომიკის ფუძემდებელი ფიზიოკრატია წარმოადგენდა მიწათმფლობელთა კლასის ამბოხს რევოლუციამდელი საფრანგეთის მიერ მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. ამერიკის სამოქალაქო ომი არის კონფლიქტის პროტოტიპი, ერთი მხრივ, თავისუფალ მოვაჭრეთა და ნედლეულის ექსპორტიორებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინდუსტრიულ კლასს (ჩრდილოეთი) შორის. დღევანდელი ღარიბი ქვეყნები არიან ისინი, სადაც პოლიტიკურ კონფლიქტებსა და სამოქალაქო ომებში „სამხრეთმა" გაიმარჯვა. თავისუფალ ვაჭრობაში ფრიად ნაადრევად ჩართვა „სამხრეთს" პოლიტიკურ გამარჯვებულად აქცევს. სტანდარტული ეკონომიკა და ვაშინგტონის ინსტიტუტების მოთხოვნები, რეალურად, უპირობოდ უჭერს მხარს „სამხრეთს" ყველა ღარიბ ქვეყანაში.

7. საგადასახადო შეღავათები სამიზნე საქმიანობებისთვის.

8. იაფი კრედიტი სამიზნე აქტივობებისთვის.

9. ექსპორტის წახალისება სამიზნე სფეროებში.

10. სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ მას ქვეყნის სიღარიბიდან ამოყვანა დამოუკიდებლად არ შეუძლია.

11. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სწავლა-განათლებაზე („შეგირდების სისტემა" გაერთიანებულ სამეფოში ელისაბედ I-ის დროს, ფრენსის ბეკონის „ახალი ატალანტიდა", სამეცნიერო აკადემიები ინგლისსა და კონტინენტურ ევროპაში).

12. პატენტის პროტექცია სასარგებლო ცოდნისათვის (ვენეცია 1490-იანი წლებიდან).
13. გახშირებული ექსპორტის გადასახადი/საექსპორტო აკრძალვა ნედლეულზე, კონკურენტი ქვეყნებისთვის მის გასაძვირებლად (ეს დაიწყო ჰენრი VII-მ 1400-იანი წლების ბოლოს, რომლის ეფექტურმა პოლიტიკამ სერიოზული ზიანი მიაყენა მატყლის ინდუსტრიას მედიჩების ფლორენციაში).

ესპანეთი: შიშისმომგვრელი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა მოიქცე

1500-იანი წლების შუაში ევროპულმა სივრცემ კიდევ უფრო მეტი სიცხადე მოჰფინა ეკონომიკურ თეორიასა და პოლიტიკას, შექმნა რა მაგალითი იმისა, თუ რა არ უნდა გააკეთოს ქვეყანამ. ესპანეთი დიდი ხნის მანძილზე იყო მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ქვეყანა. „ევროპაში, საუკეთესო აბრეშუმის დასახასიათებლად „გრანადის ხარისხს“ ამბობდნენ, საუკეთესო ტექსტილის აღსაწერად კი „სეგოვიას ხარისხს“ – წერდა პორტუგალიელი ეკონომისტი 1700-იან წლებში. იმ დროისთვის ესპანეთის სამრეწველო ინდუსტრია უკვე ისტორიის ნაწილი იყო და მისი წარმოების შესაძლებლობებისა და სიმდიდრის ერთდროული ვარდნის გამომწვევი მიზეზები მთელ ევროპაში დიდი მონდომებით შეისწავლებოდა. ყველა ერთსულოვან დასკვნაზე თანხმდებოდა.

ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამ ესპანეთში აურაცხელი რაოდენობის ოქროსა და ვერცხლის შედინება გამოიწვია. ეს უზარმაზარი დოვლათი საწარმოო სისტემაში კი არ დაბანდებულა, არამედ, რაც უნდა საკვირველად მოგვეჩვენოს, მან ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია. ამერიკის კონტინენტის

„ოქროს ძაბრისგან“ უმეტესად მიწათმფლობელებმა იხეირეს, ვინაიდან სწორედ მათ ჰქონდათ ზეთისა და ღვინის ექსპორტის მონოპოლია „ახალი სამყაროს“ მზარდ ბაზრებზე. ამ ტიპის საქონლის მიწოდება მოუქნელია და არა მზარდი, არამედ კლებადი უკუგება ახასიათებს.[10] წარმოების გაზრდა, კონკრეტულად, ახლად დარგული ზეთისხილის ხეების ზრდასრული ხეების ნაყოფიერებამდე მიყვანა, დროს მოითხოვს. ამას კი მზარდი უკუგების საპირისპირო შედეგამდე – კლებად უკუგებამდე მივყავართ, სადაც ერთეული პროდუქციის წარმოების ხარჯი, კლების ნაცვლად, იზრდება. შესაბამისად, გაზრდილი მოთხოვნის შედეგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასის მკვეთრი ზრდა იყო. ამასთან, მიწათმფლობელი არისტოკრატია გათავისუფლებული იყო გადასახადების უმეტესობისგან, რის გამოც საგადასახადო ტვირთი სულ უფრო აწვებოდა ხელოსნებსა და მეწარმეებს. მეორე მხრივ, მათი კონკურენტუნარიანობა ესპანეთში აგროპრუდუქტებზე ფასების სწრაფი მატებით იზღუდებოდა. ამან ხელი შეუშალა ესპანურ ქალაქებში სინერგიებსა და შრომის დანაწილებას, რამაც ინდუსტრიის ისეთი ნგრევა გამოიწვია, რომელსაც ესპანეთმა მხოლოდ მე-19 საუკუნეში დააღწია თავი. წარმატებული ქვეყნები საკუთარ მრეწველობას იცავდნენ, ხელმოცარული ესპანეთი კი მანამდე მფარველობდა სოფლის მეურნეობას, სანამ საკუთარი მრეწველობა არ გაანადგურა.

ესპანეთში თანამედროვე ურბანულ და ტრადიციულ სასოფლო საქმიანობებს შორის გამართული „სამოქალაქო ომი“, 1520-1521 წლების ე.წ კომუნეროსის აჯანყებისა და მისი შემდგომი პერიოდისათვის პოლიტიკურად, ნაწილობრივ, უკვე წაგებული იყო. თანამედროვე ევროპული რევოლუციის ამ პროტოტიპს გრძელვადიანი შედეგები მოჰყვა სეგოვიას მსგავსი ესპანეთის

სამრეწველო ქალაქების მნიშვნელოვნად დაზარალების სახით. ცხვრის მფლობელების გაერთიანება La Mesta, მტკიცე პოლიტიკური ძალა, რომლის ვალიც ესპანეთის მეფის ხელისუფლებას ჰქონდა, მნიშვნელოვნად განაპირობებდა იმ დროს ნედლეულის ხელშემწყობი და ანტიმოდერნიზაციული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. La Mesta-მ რეალურად ისეთი გავლენის მოპოვება შეძლო, რომ მას ცხვრის ფარების საბალახოდ სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების საშუალება მიეცა, შედეგად ამ მიწების ნაწილი ისევ საძოვრებად გადაიქცა. 1500-იანი წლების ესპანეთისა და ინგლისის შედარება ნათელი და ადრეული მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ძალთა განაწილებას: თავმოყრილია ის მათ ხელში, ვისაც პირადი ინტერესი აქვს ნედლეულის წარმოებაში (როგორც ესპანეთში), თუ მათთან, ვისაც პირადი ინტერესი მრეწველობაში აქვს (როგორც ინგლისში). ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვისაც პირადი ინტერესი მრეწველობაში აქვს, უკეთესი ან პირიქით, უფრო ხარბი ადამიანები არიან, ვიდრე ისინი, ვინც ნედლეულის წარმოებას ემხრობა. როგორც ყოველთვის, კაპიტალიზმი უნებლიე შედეგების სისტემად უნდა გავიგოთ, ხოლო მრეწველობისგან მიღებული მოგების ამგვარი უნებლიე შედეგები განსხვავებულია იმ ქვეყნებისგან, სადაც ყველას შემოსავალი ნედლეულზეა დამოკიდებული. თუკი ამ მექანიზმებს გავიაზრებთ, გონიერი ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით, როგორც ეს ჰენრი VII-მ გააკეთა, სასურველი ეფექტების მიღწევა შესაძლებელი გახდება. ამგვარ პოლიტიკას კი დღეს ვაშინგტონის კონსენსუსი კრძალავს.

ვენეციისა და ჰოლანდიის მსგავსად, რომლებიც წარმატების მაგალითებად იქცნენ, მე-16 საუკუნის ესპანეთიც მაგალითად იქცა, ოღონდ იმისა, თუ როგორი ეკონომიკური პოლიტიკა და

ეკონომიკური ეფექტები უნდა აირიდოს ქვეყანამ თავიდან ნებისმიერ ფასად. ნათელი გახდა, რომ კოლონიებიდან მიღებულმა მატერიალურმა სიმდიდრემ, ესპანეთის წარმოებისა და მომსახურების შესაძლებლობები, გაძლიერების ნაცვლად, დაასუსტა. ინგლისისგან განსხვავებით – რომელიც 1485 წელს ჰენრი VII-ის გამეფების შემდეგ გაცხოველებულად მფარველობდა და ხელს უწყობდა საკუთარ ინდუსტრიას – ესპანეთი გარე კონკურენციისგან პროტექციას ზეთისა და ღვინის მსგავს აგროპროდუქტებს უწევდა. მე-16 საუკუნის დასასრულს, ესპანეთი, რომელსაც მანამდე სერიოზული ინდუსტრიული წარმოება გააჩნდა, დეინდუსტრიალიზებულ ქვეყანად გადაიქცა.

იმდროინდელი მიმომხილველებისთვის ნათელი გახდა, რომ ის აურაცხელი დოვლათი, რომელიც ესპანეთში ოქროსა და ვერცხლის სახით შედიოდა, ქვეყნიდან უბრალოდ გავიდა და რამდენიმე ადგილას – ვენეციასა და ჰოლანდიაში – აღმოჩნდა. შენელებული ცუნამის მსგავსად, შესაძლებელია ინფლაციის იმ უზარმაზარი ტალღის შესწავლა, რომელმაც, სამხრეთ ესპანეთში აღმოცენების შემდეგ, მთელ ევროპას გადაუარა. და მაინც, რატომ აღმოჩნდა საბოლოოდ ოქროსა და ვერცხლის ეს ნაკადი ძალიან ვიწრო გეოგრაფიულ არეალში? რა განასხვავებდა დანარჩენი ევროპისგან ვენეციასა და ჰოლანდიას, სადაც ამხელა ესპანურმა სიმდიდრემ მოიყარა თავი? პასუხი ის გახლავთ, რომ მათ გააჩნდათ მსხვილი და დივერსიფიცირებული ინდუსტრია და ძალიან შეზღუდული სოფლის მეურნეობა. ევროპა მოიცვა შეხედულებამ, რომ მსოფლიოს ნამდვილი ოქროს მადანი არა ფიზიკური ოქროს მადანი, არამედ მრეწველობის ინდუსტრია იყო. ჯოვანი ბოტეროს ნაშრომში ქალაქების სიმდიდრის მიზეზების თაობაზე, შემდეგ დაკვირვებას ვეცნობით: „მრეწველობის ძალა იმგვარია, რომ ახალი ესპანეთისა თუ პერუს ოქროსა

და ვერცხლის ვერც ერთი მაღარო ვერ შეედრება მას, ამასთან, მილანის საქონელი უფრო ძვირფასია კათოლიკე მეფისთვის, ვიდრე პოტოსისა და ხალისკოს მაღაროები.[11] იტალია არის ქვეყანა, სადაც... ოქროსა და ვერცხლის დიდი მადანი არ მოიძებნება, იგივეს თქმა საფრანგეთზეც შეიძლება. მიუხედავად ამისა, მრეწველობის წყალობით ორივე ქვეყანა მდიდარია ფულითა და საგანძურით".[12]

მართალია სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრეწველობა ჭეშმარიტ ოქროს მაღაროს წარმოადგენდა, გვიანდელი 1500-იანი წლებიდან მოყოლებული 1700-იანი წლების ჩათვლით ყველა ევროპულ ქვეყანაში გვხვდება. „ნამდვილი ოქროს მაღაროები სამრეწველო ინდუსტრიებია" – ამტკიცებდნენ იტალიაში, ბოტეროს შემდეგ, ტომაზო კამპანელა (1602) და ანტონიო ჯენოვეზი (1750-იან წლებში), ესპანეთში – ხერონიმო უზტარიზი(1724/1751) და შვედეთში ანდერს ბერხი (1747), პირველი არაგერმანელი ეკონომიკის პროფესორი.[13]

პრესმიტისეულ ეკონომიკაში მრეწველობის განვითარება საზოგადოების ცივილიზების დიადი მისიის ნაწილად აღიქმებოდა. კაპიტალიზმი იქცა არგუმენტად კაცობრიობის ვნებების ჩახშობისა და კონტროლისათვის, აგრეთვე ადამიანების ენერგიის რაიმე შემოქმედებითისკენ წარსამართად.[14] იტალიელი ეკონომისტი ფერდინანდო გალიანი (1728-87) ამბობდა, რომ „მრეწველობის განვითარებისგან უნდა ელოდო კაცობრიობის ორი უმთავრესი დაავადების, ცრუმორწმუნეობისა და მონობის განკურნებას".[15] ეს ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის დამფუძნებელ პრინციპად გადაიქცა, ამ პრინციპის წყალობით დიდი ევროპული ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია დიდი ხნის განმავლობაში რიგრიგობით მიმდინარეობდა. „ცივილიზაციის", მრეწველობის სექტორისა და, უკვე მოგვიანებით, დემოკრატი-

ის მშენებლობა ერთი და იმავე პროცესის განუყოფელ ნაწილებად აღიქმებოდა. ეს ფართოდ აღიარებული სიბრძნე 1855 წელს ფრანგმა სახელმწიფო მოღვაწემ და პოლიტიკურმა მწერალმა ალექსის დე ტოკვილმაც (1805-1859) აღწერა: „ტირანებიდან მოყოლებული ფლორენციელებსა და ინგლისელებამდე, არა მგონია ვინმემ დაასახელოს ერთი მწარმოებელი და ვაჭრობის მიმდევარი ქვეყანა მაინც, რომელიც თავისუფალი არ იქნებოდა. მაშასადამე, ამ ორ რაიმეს – თავისუფლებასა და ინდუსტრიას – შორის, მჭიდრო და საჭირო კავშირი არსებობს".[16]

1550-იანი წლებისთვის, ბევრმა ესპანელმა ეკონომისტმა გააცნობიერა, თუ რა ხდებოდა მათ ქვეყანაში, მათ კარგი ანალიზი და საფუძვლიანი რჩევები მოამზადეს. როგორც ამერიკელი ისტორიკოსი, ესპანური და ზოგადად იმდროინდელი ეკონომიკის ექსპერტი, ერლ ჰამილტონი ამბობს: „ისტორიას სულ რამდენიმე შემთხვევა ახსოვს, როდესაც მორალის ფილოსოფოსების ჯგუფმა, ასე სწორად შეძლო მომაკვდინებელი სოციალური დაავადების დიაგნოზის დასმა, ხოლო სახელმწიფო მოღვაწემ ასე ერთბაშად უგულებელყო ეს სწორი რჩევები".[17] 1558 წელს, ესპანეთის ფინანსთა მინისტრი, ლუის ორტიზი, ასე აღწერდა სიტუაციას მეფე ფილიპე მეორესთვის გადაცემულ მემორანდუმში:

ესპანეთისა და ვესტ-ინდოეთის ნედლეულიდან – კონკრეტულად კი აბრეშუმიდან, რკინისა და კოშენილიდან (წითელი საღებავი), რომელიც მათ მხოლოდ 1 ფლორინი უჯდებათ, უცხოელები აწრმოებენ მზა პროდუქციას, რომელსაც უკან ესპანელებზე 10-იდან 100 ფლორინამდე ფასად ყიდიან. ამ კუთხით ესპანელები ისევე და უფრო მეტადაც არიან დამცირებულნი დანარჩენი ევროპისაგან, ვიდრე მათი მხრივ – ინდიელები. ესპანელები ოქროსა და ვერცხლის სანაცვლოდ შედარებით ძვირ

ან იაფფასიან სამშვენისებს ყიდიან; მაგრამ საკუთარი ნედლეულის ზედმეტად მაღალ ფასად უკან შესყიდვის გამო, მათ მთელი ევროპა იგდებს მასხრად.[18]

ამ ყველაფრის მთავარი იდეა – ის რომ მზა პროდუქტი მის დასამზადებელ ნედლეულზე ათჯერ ან ასჯერ უფრო ძვირი შეიძლება ღირდეს – ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის ლიტერატურაში საუკუნეების მანძილზე ტრიალებდა. ნედლეულსა და მზა პროდუქტს შორის მულტიპლიკატორია მოთავსებული: ინდუსტრიული პროცესი, რომელიც მოითხოვს და ქმნის ცოდნას, მექანიზაციას, ტექნოლოგიას, შრომის დანაწილებას, მზარდ უკუგებასა და, რაც მთავარია, ნახევრად უმუშევარი და უმუშევარი მასების დასაქმებას, ეს კი ყოველთვის ღარიბ ქვეყნებს ახასიათებთ. დღეს, მსოფლიო ბანკის ეკონომიკური მოდელები განვითარებად ქვეყნებში სრულ დასაქმებას ვარაუდობენ, მათ შორის კი ისეთ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალის მხოლოდ 20-30%-ს აქვს ის, რასაც ჩვენ „სამსახურს" ვუწოდებდით. ისინი, ვინც წარსულში ეკონომიკურ პოლიტიკაში იყვნენ ჩართულები, ცნობდნენ უმუშევრობის, ნახევრად უმუშევრობისა და მათხოვრობის საზღვრებს და ხვდებოდნენ, რომ შრომა ნედლეულის მზა პროდუქტად გარდაქმნას გულისხმობდა, რომელიც ქალაქებისა და ქვეყნების სიმდიდრეს თავისთავად გაზრდიდა. მიუხედავად ამისა, მთავარი ის იყო, რომ ეკონომიკურ აქტივობებზე, რომლებიც ნედლეულის გადამუშავებასთან ერთად გაჩდნენ, განსხვავებული ეკონომიკური კანონები ვრცელდებოდა, ვიდრე თავად ნედლეულის წარმოებაზე. „მრეწველობის მულტიპლიკატორი" პროგრესისა და პოლიტიკური თავისუფლების გარანტი იყო.

მე-15 საუკუნის ბოლოდან მეორე მსოფლიო ომამდე ეკონომიკური პოლიტიკისა და თეორიის მთავარი თემა იყო ის, რასაც

ჩვენ „სამრეწველო ინდუსტრიის კულტი“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს გულისხმობდა მოლაპარაკებებს ინდუსტრიების, უცხო მიწებიდან შემოტანილი სასარგებლო ჯიშების მსგავსად „გამრავლებაზე“. გვიანდელ 1400-იან წლებში, მსგავსი მიზნის მქონე ორი განსხვავებული ინსტიტუტი დაარსდა: ახალი ცოდნის დაცვა პატენტების მეშვეობით და იმავე ცოდნის ახალ გეოგრაფიულ არეალებში სატარიფო პროტექციით გადატანა. ორივე მათგანი ერთსა და იმავე ეკონომიკურ გაგებას ეფუძნებოდა: ახალი ცოდნის შექმნას და გეოგრაფიულ გავრცელებას არასრულყოფილი კონკურენციის წახალისებით. განვითარების ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო ინსტიტუტები, რომლებსაც იმისგან განსხვავებით, რასაც უკონტროლო ბაზრები გამოიწვევდა, ასე ვთქვათ, „ფასები არასწორად ესმოდათ“. ეს იყო პატენტები, რომლებიც ქმნიდნენ დროებით მონოპოლიას ახალ გამოგონებებზე და ტარიფები, რომლებიც ცვლიდნენ სამრეწველო საქონლის ფასებს და შექმნის ადგილიდან მოშორებით, ახალი ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიების დაფუძნების საშუალებას იძლეოდნენ.

ეს გამოგონებები და ინოვაციები იმგვარად შეიქმნა, რომ ცალკე აღებული ბაზარი მათ ვერასდროს წარმოშობდა. დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა და ვაშინგტონის ინსტიტუტები თავგამოდებით იცავენ ამ სისტემებიდან მხოლოდ ერთს – პატენტებს, რომლებსაც მარადიულად მზარდი შემოსავლები ძალიან მცირე რაოდენობით ძალიან მდიდარი ქვეყნისათვის მოაქვთ, მაშინ, როდესაც ზუსტად იგივე ვაშინგტონის ინსტიტუტები სასტიკად კრძალავენ იმ ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელიც სხვა ქვეყნებში, ახალი ინდუსტრიების სახით, არასრულყოფილი კონკურენციის გეოგრაფიული გავრცელების საშუალებას იძლევა. არასრულყოფილი კონკურენციის პროტექცია მიღე-

ბულია მდიდარ ქვეყნებში, ღარიბ ქვეყნებში კი არა. სწორედ ამას ვუწოდებ ეკონომიკური თეორიის მიერ „ვარაუდებით ჟონგლიორობას“: მესამე სამყაროში ნებადართული თეორიებისგან განსხვავებით სახლში სხვა თეორიები გამოიყენება, ეს ტენდენცია ძველი კოლონიალიზმის გზას ადგას. ეკონომიკური ძალაუფლების თამაშები მუდმივად ერთი და იმავე „ოქროს წესით“ სრულდება: ვისაც ოქრო აქვს, წესებსაც ის ადგენს.

ადრეულ 1700-იან წლებში ორმხრივი ვაჭრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში ზოგადი წესი დამკვიდრდა, რომელმაც ევროპა სწრაფად მოიცვა. როდესაც ქვეყანა ყიდდა ნედლეულს და ყიდულობდა ინდუსტრიულ ნაწარმს, ეს ცუდ ვაჭრობად ითვლებოდა. როდესაც იგივე ქვეყანა ყიდულობდა ნედლეულს და ყიდდა ინდუსტრიულ ნაწარმს, ეს უკვე ვაჭრობის კარგი სტილი იყო.[19] განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ როცა ერთი ქვეყანა მეორეს ინდუსტრიულ პროდუქტს უცვლიდა, ეს ორივესთვის სასარგებლო ვაჭრობად მიიჩნეოდა. UNCTAD-ის ტერმინი რომ გამოვიყენოთ: სიმეტრიული ვაჭრობა ყველა მხარისთვის მომგებიანია, ასიმეტრიული ვაჭრობა კი ღარიბ ქვეყანას აზარალებს.

სწორედ ამის გამო, ინდუსტრიალიზაციის – სატარიფო პროტექციის ყველაზე თავგამოდებული დამცველები (მაგალითად, ფრიდრიხ ლისტი), ასევე თავისუფალი ვაჭრობისა და გლობალიზაციის გულანთებული მომხრეები იყვნენ, თუმცა მხოლოდ მას მერე, რაც ინდუსტრიალიზაცია ყველა ქვეყანაში მოხდებოდა. ჯერ კიდევ 1840-იან წლებში ფრიდრიხ ლისტმა „კარგი გლობალიზაციის“[20] რეცეპტი შეიმუშავა: თუკი თავისუფალი ვაჭრობა განვითარდებოდა მას მერე, რაც სახელმწიფოები ინდუსტრიალიზაციის პროცესს მორჩებოდნენ, მაშინ თავისუფალი ვაჭრობა ყველასთვის სასარგებლო იქნებოდა. ერთადერთი, რაშიც ვერ ვეთანხმებით, თავისუფალი ვაჭრობის დასაწყე-

ბად დროის შერჩევა და ის გეოგრაფიული და სტრუქტურული თანმიმდევრობაა, რომელსაც მისი განვითარება უნდა მიჰყვეს.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ამგვარი ეკონომიკური გაგება ჯერ კიდევ არსებობდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის რეკონსტრუქციის დროს. ომის შემდეგ, ამერიკის ინდუსტრია მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროპისას. თუმცა, არავის უთქვამს ევროპისთვის, რომ ის უნდა მიჰყოლოდა მათ შედარებით უპირატესობას სოფლის მეურნეობაში – პირიქით, მარშალის გეგმის მიხედვით ყველაფერი ევროპის რეინდუსტრიალიზაციისთვის გაკეთდა. ეს იყო გეგმა, რომელიც მიზნის მისაღწევად ტრადიციულ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს იყენებდა, მათ შორის სამრეწველო ინდუსტრიების მძაფრ პროტექციას. წინა საუკუნეებთან ერთ-ერთი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ფერმერობაც მფარველობას საჭიროებდა. მიუხედავად ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ მე-20 საუკუნეში სოფლის მეურნეობისა და წარმოების პროტექცია სხვადასხვა მიზეზის გამო ხდებოდა. მრეწველობის განვითარება აგრესიულ პროტექციონიზმს წარმოადგენდა, რომელიც ინდუსტრიალიზაციას და მაღალ რეალურ შემოსავლებს ისახავდა მიზნად, ხოლო სოფლის მეურნეობის პროტექცია თავდაცვითი ხასიათის იყო და აგროსექტორის გამომუშავების კლების პრევენციას ცდილობდა, სანამ აგრესიული პროტექციონიზმის წყალობით, ეკონომიკის არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში შემოსავლები იზრდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მრეწველობის ინდუსტრიის მფარველობა, რომელიც ახალი სამუშაო ადგილების გაჩენისა და ეროვნული შემოსავლების ზრდის საშუალებას იძლეოდა, ემყარება იმ პროტექციისგან სრულიად განსხვავებულ ლოგიკას, რომელიც ცდილობს სოფლის მეურნეობის დაცვას მისი

კონკურენტებისგან ღარიბ ქვეყნებში. პირველი ტიპის პროტექციონიზმი, სინერგიების შექმნით, მთლიანად ქვეყნის შემოსავლების დონის ასამაღლებლად გამოიყენება, ხოლო მეორე – ფერმერებსა და სასოფლო-სამეურნეო რეგიონებს ეხმარება. ამ ორი განსხვავებული პროტექციონიზმის საჭიროებას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როდესაც მომდევნო თავში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის თვისებრივ სხვაობას ავხსნით.

გერმანია ინგლისის კვალს მიუყვება (1648)

საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა მალევე დაიწყეს იმ ინგლისური სტრატეგიის მიბაძვა, რომელიც ასეთი წარმატებული იყო ტიუდორების პერიოდში. ეს სტრატეგიები ერის მშენებლობის პროექტებად გადაიქცა იმ დროს, როდესაც პატარა ქალაქ-სახელმწიფოებმა დაკარგეს გავლენა ქვეყნებზე, რომლებმაც „საერთო კეთილდღეობის“ კონსოლიდაცია და მისი უფრო დიდ ტერიტორიებსა და ბაზრებზე გავრცელება მოახერხეს. საფრანგეთში ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, ჟან-ბატისტ კოლბერმა (1619-1683), განავითარა წარმოება და ინფრასტრუქტურა, რამაც ქვეყანა გააერთიანა. მიზანი შიდა „არასრულყოფილი კონკურენციით“ ქვეყნის გაერთიანება და მზარდი უკუგებისა და შრომატევადი ინდუსტრიების უცხოური კონკურენციისგან დაცვა იყო. მე-18 საუკუნის განმავლობაში მას ევროპაში „დიდ კოლბერს“ უწოდებდნენ.

ახლა ყურადღებით დავაკვირდეთ ევროპის „დაგვიანებულ სახელმწიფოს“, გერმანიას. გერმანული ეკონომიკის ფუძემდებლად ფეიტ ლუდვიგ ფონ სეკენდორფი (1626-1692) ითვლება. მისი ეპოქა ომითა და ვაებით ხასიათდება. ოცდაათწლიანმა ომმა (1618-1648) გერმანიის ზოგიერთ ნაწილში მოსახლეობის

თითქმის 70 პროცენტი გაანადგურა. ომი შიდა რელიგიური დაპირისპირებით დაიწყო, მაგრამ მასში ეტაპობრივად ჩაერთვნენ იმდროინდელი ევროპის ძლიერი სახელმწიფოები, მათ შორის ესპანეთი, საფრანგეთი, დანია და შვედეთი. ომს გამარჯვებული არ ჰყოლია, მაგრამ ბევრი გერმანელისთვის ნათელი გახდა, რომ სინამდვილეში, დამარცხებული მხოლოდ ცივილიზაცია გამოვიდა. როდესაც სეკენდორფი თექვსმეტი წლის იყო, მამამისს – შვედეთის ჯარში მომსახურე გერმანელს – ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქში სავარაუდო ჯაშუშობისთვის თავი მოკვეთეს. როდესაც სეკენდორფი 66 წლის ასაკში გარდაიცვალა, საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის არმიას ახალი აოხრებული ჰქონდა გერმანიის რაინლანდ-პფალცის მხარე. პარალელურად ამისა, გერმანელები კიდევ ორ ბრძოლაში იყვნენ ჩართული ფრანგების წინააღმდეგ და ასევე ომი ჰქონდათ გაჩაღებული თურქებთან, რომლებმაც ალყაში მოაქციეს და თითქმის დაიპყრეს ვენა. ამან საფრანგეთის მიერ სტრასბურგის ხელში ჩაგდება გამოიწვია, იმ ქალაქის, სადაც სეკენდორფი სწავლობდა. ვესტფალიის ზავმა (1648) – ოცდაათწლიანი ომის დასრულებისას – გერმანია სამას მცირე სახელმწიფოდ დანაწევრებული დატოვა. მე ამას აღვნიშნავ იმის გამო, რომ, ჩემი აზრით, გერმანიის მიერ ამ ამაოხრებელი ბარბაროსობიდან თავის დაღწევა მნიშვნელოვან გაკვეთილებს შეიცავს დღევანდელი არშემდგარი და მყიფე სახელმწიფოებისთვის. გერმანიის გამოსავალი წარმოების სტრატეგიას ეფუძნებოდა, რომელიც სოფლის მეურნეობიდან და ნედლეულის წარმოებისგან დივერსიფიცირებული ვაჭრობისა და ინდუსტრიის შექმნას გულისხმობდა. წარმატების გასაღები იმ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ემულაცია იყო, სადაც მშვიდობა და კეთილდღეობა სუფევდა. ამგვარი მისაბაძი მაგალითი კი ჰოლანდია გახლდათ.[21]

მამამისის კოლეგების დახმარებით, სეკენდორფმა შვედეთის ჯარის ყოფილ ოფიცერთან, საქსენ-გოთას ჰერცოგთან დაიწყო მუშაობა, რომელსაც ერნესტ ღვთისმოსავს ეძახდნენ. სხვა საქმეებთან ერთად, სეკენდორფის მოვალეობა ჰერცოგ ერნესტის უზარმაზარი ბიბლიოთეკისთვის ყურადღების მიქცევა იყო. ბიბლიოთეკა ომის ნადავლს წარმოადგენდა.[22] გოთაში, ჰერცოგ ერნესტის მიერ დაარსებულ შთამბეჭდავ სასახლესა და ადმინისტრაციულ შენობაში განლაგებული ამ ბიბლიოთეკის მონახულება დღემდე შესაძლებელია. შედეგად, ახალგაზრდა სეკენდორფს იმ დროის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომებზე ჰქონდა წვდომა. მისი ერთ-ერთი მოვალეობა, სწორედ მათი უმეტესობის მოკლე შინაარსის ჰერცოგისთვის წარდგენა იყო.

1656 წელს, ოცდაათი წლის სეკენდორფმა მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი Der Teutsche Fürstenstaat (გერმანული სამთავრო) გამოაქვეყნა, რომლის თეზისი ორ ძველ ტრადიციაზე იყო დამყარებული. პირველი მათგანი ქვეყნის დეტალურ აღწერას წარმოადგენდა, მისი ისტორიის, ხალხის, მოწყობის, ინსტიტუტებისა და რესურსების ჩათვლით, რაც მე-13 საუკუნის იტალიიდან მოყოლებულ ჩვეულებას წარმოადგენდა. რაც შეეხება მეორეს, იგი ძველი გერმანული Fürstenspiegel (სიტყვასიტყვით „მეფეთა სარკე“), მეფეებისა და პრინცების სახელმძღვანელო, იგივე „მფლობელთა გზამკვლევი“ იყო, რაც ქვეყნის მართვის ხელოვნებას აღწერდა. სეკენდორფის წიგნი 89 წლის განმავლობაში გამოიცემოდა, რაც სახელმძღვანელოსთვის საკმაოდ ხანგრძლივი „სიცოცხლეა“.

რამდენიმე წლის შემდეგ სეკენდორფმა ჰერცოგ ერნესტთან ერთად ჰოლანდიაში იმოგზაურა. ბევრი იმდროინდელი მიმომხილველის მსგავსად, ჰოლანდიაში ნანახმა დოვლათმა, მშვიდო-

ბამ, თავისუფლებამ და მიმღებლობამ ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვა სეკენდორფზე. სახლში დაბრუნებისას მან საჭიროდ ჩათვალა, უფრო მეტი სიზუსტე შეეტანა გერმანელი მთავრებისთვის მიცემულ რჩევაში დანართის მეშვეობით, რომელიც 1664 წელს გამოქვეყნდა და მის მერე მუდმივად იბეჭდებოდა მთავარ წიგნთან ერთად. ამ დანართში სეკენდორფის ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოსაზრებებს ვაწყდებით. ჰოლანდიაში მიღებულმა გამოცდილებამ დაადასტურა მისი თეორია ქალაქებისა და ინდუსტრიის მნიშვნელობაზე სიმდიდრის შექმნაში, რომელიც გოთას ბიბლიოთეკაში ჩამოაყალიბა. იტალიელი ეკონომისტის ჯოვანი ბოტეროს ნაშრომები, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი – „ქალაქების სიდიადის შესახებ“ – პირველად 1588 წელს გამოიცა, დღეს გოთას ბიბლიოთეკაში ოცდაათი სხვადასხვა გამოცემის სახით არის დაცული. ყველა მათგანი 1655 წლამდეა დაბეჭდილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი უმეტესობა სეკენდორფის დროს უკვე იქ ინახებოდა.

სეკენდორფი აცნობიერებდა ქალაქებში ბევრი სხვადასხვა სახის ხელობისა და ვაჭრობის არსებობის მნიშვნელობას და იმას, რომ ხელოსნები სოფლიდან ქალაქში ჩადიან, სადაც უფრო მეტის გამომუშავება შეუძლიათ. ამასთან ერთად, ის გულწრფელად წუხდა ხელოსნებს შორის კონკურენციის არარსებობის გამო. ჰერცოგმა ერნესტმა ფული ინფრასტრუქტურაში ჩადო, თუმცა შედარებით წარუმატებელი გამოდგა მისი მცდელობა, სამთავროების მდინარეები ნაოსნობისთვის ვარგისად ექცია, როგორც ეს ჰოლანდიაში არხების მეშვეობით გახდა შესაძლებელი. სეკენდორფის პოლიტიკამ, ადამიანების ვალდებულებებისა და გადასახადებისგან გათავისუფლებით, მათ უფრო თავისუფალი გადაადგილების საშუალება მისცა, რაშიც კეთილდღეობის სახელმწიფოს ისეთი საწყისები იკვეთება, როგორიცაა სახელმწიფოს ვალდებულება, დაეხმაროს მოხუცებსა და ავადმყოფებს.

მაინც რა დაინახეს სეკენდორფმა და სხვა მაშინდელმა ეკონომისტებმა ჰოლანდიაში ისეთი, რამაც მათზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა? ჩვენ საკმაოდ ბევრი რამ ვიცით ჰოლანდიის ქალაქ დელფტში არსებულ ინდუსტრიასა და ვაჭრობაზე იმ პერიოდში, როცა სეკენდორფი ქვეყანას სტუმრობდა და, მიუხედავად იმისა, ჩავიდა თუ არა იგი დელფტში, ჩვენ მაინც შეგვიძლია ამ ქალაქის ნიმუშად გამოყენება. გერმანელი ეკონომისტის ვერნერ ზომბარტის თეორიები ომისა[23] და ფუფუნების[24] შესახებ, დელფის შემთხვევაში საზღვაო ფლოტითა და ფერწერით – კაპიტალიზმის განვითარების ძლიერი სტიმულების სახით – არის გამოხატული. თუმცა, მიკროსკოპების შემქმნელების (რომლებიც შემდგომში მეცნიერები გახდნენ) ქალაქმა, ამასთანავე, დაადასტურა ნორვეგიელ-ამერიკელი ეკონომისტის თორსტაინ ვებლენის შეხედულება, რომ სუფთა ცნობისმოყვარეობა, რომელიც დაცლილია სარგებლის მიღების მოტივისგან, კაპიტალიზმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამწევ ძალას წარმოადგენს. მე-17 საუკუნეში დელფტი იყო იმის ნიმუში, თუ როგორ შეუძლია საზღვაო შეიარაღებას, ხელოვნებას, როგორც ფუფუნების საგანს და მეცნიერულ ცნობისმოყვარეობას შექმნას ინოვაციები და სიმდიდრე წარმოების ფართოდ დივერსიფიცირებულ კლასტერებში. თავისთავად მრავალფეროვნების – სტანდარტული ეკონომიკის მიერ დავიწყებული კიდევ ერთი ფაქტორის – მნიშვნელობას ნიდერლანდების თითქმის ყველა მაშინდელი უცხოელი მიმოხილველი უსვამდა ხაზს. დელფტის ცენტრალურ კლასტერს მიეკუთვნებოდნენ შუშის ლინზების – გამადიდებლების – მწარმოებლები, ეს წარმოება ქსოვილის ინდუსტრიის ხარისხის კონტროლისთვის გამოიყენებოდა.

მე-15 საუკუნისთვის, ფლამანდიელი და ჰოლანდიელი მხატვრები იყვნენ პირველები, რომლებმაც ზეთის საღებავები

ტილოზე მაშინ გამოიყენეს, როდესაც იტალიელი ფერმწერები ფრესკებს ახალგალესილ კედლებზე წყლის საღებავების გამოყენებით ხატავდნენ. ჰოლანდიელი მხატვრები სელის ზეთსა და სელისა და კანაფის ტილოს სამხედრო და სავაჭრო ფლოტის მეშვეობით იღებდნენ, სადაც ისინი ხის დამუშავებისა და აფრების წარმოებაში გამოიყენებოდა. 1600-იან წლებში, დელფტმა, როგორც სამეცნიერო მიზნებისთვის მინის მოწინავე მწარმოებელმა, ფლორენციას გადაასწრო. როგორც უკვე აღინიშნა, მცირე ზომის ლინზები ქსოვილის ინდუსტრიაში გამოიყენებოდა, მაგრამ ლინზების მწარმოებლებმა გასაღების სხვა არეალებიც იპოვეს. საზღვაო ფლოტს დურბინდები და ტელესკოპები ესაჭიროებოდა, შუშის ლინზების ზოგიერთმა მწარმოებელმა მიკროსკოპების დამზადებასაც კი მიჰყო ხელი. ზოგჯერ, ამ მიკროსკოპების მწარმოებლები თავად ხდებოდნენ მეცნიერები, აღწერდნენ რა ახალ სამყაროს, რომლის აღმოჩენაც მიკროსკოპებით გახდა შესაძლებელი.

ცნობილმა დელფტელმა მიკროსკოპის მწარმოებელმა და მეცნიერმა, ანტონ ვან ლევენჰუკმა (1632-1723), შუშის ლინზის საშუალებით ქსოვილის ინდუსტრიას, მიკროსკოპების დამზადებასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შორის ერთგვარი სინერგია შექმნა. თავისი აღმოჩენების საჩვენებლად ის მხატვრებს ილუსტრატორებად ასაქმებდა. ფერმწერმა იან ვერმეერმა (1632-1675), რომელიც ვან ლევენჰუკთან ძალიან ახლოს ცხოვრობდა, თავის ნახატებში დაიწყო შუშის ლინზებიანი პრიმიტიული კამერის, კამერა-ობსკურას, გამოყენება. ეს კარგადაა აღწერილი ვერმეერის შესახებ ახლახან გამოსულ ფილმში.[25] კავშირები ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის კიდევ უფრო გამყარდა, როდესაც სიკვდილამდე, ვერმეერმა, ვან ლევენჰუკი მისი ანდერძის აღმასრულებლად დაასახელა.

საზღვაო ფლოტის საქმიანობის კიდევ ერთი შედეგი რუკებზე გაზრდილი მოთხოვნა იყო. ამ რუკებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ვერმეერის ნახატებში; მართლაც, მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი ვერმეერის „რუკების მანიაზეც“ კი წერდა. იტალიაში რუკები, როგორც წესი, ხეზე გრავიურით იქმნებოდა. ახლა კი ჰოლანდიელებმა მათი დამზადება სპილენძის დაფაზე გრავიურით დაიწყეს. სპილენძი და თითბერი საზღვაო ჭოგრიტებისა და სამეცნიერო მიკროსკოპების დასამზადებლად გამოიყენებოდა, რითაც მეცნიერებას, ხელოვნებასა და საზღვაო ბრძოლას შორის დამატებითი კავშირი გაჩნდა. კიდევ ერთი ჰოლანდიელი, რომელიც ასევე 1632 წელს დაიბადა და, რომელმაც კარიერა შუშის ლინზის დამამზადებლად დაიწყო, ფილოსოფოსი ბარუხ სპინოზა იყო. მენ ილუსტრაცია „ეროვნული ინოვაციების სისტემაა“ წარმოდგენილი, რომლის გაცნობაც ოცდაათწლიანი ომის შემდგომ ჰოლანდიაში ჩასვლისას შეიძლებოდა. ერთ სფეროში დაგროვილი ცოდნა აშკარად სხვა სექტორებში „გადადიოდა“, რითაც დასტურდებოდა არგუმენტი, რომ ახალი ცოდნა მანამდე ერმანეთისგან დამოუკიდებელი ფაქტებისა და მოვლენების დაკავშირებით იქმნება. მრავალფეროვნება, როგორც ასეთი, ეკონომიკური ზრდის მთავარ ინგრედიენტად იქნა გაგებული, ეს მრავალფეროვნება არ აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო თემებში, სადაც ადამიანები, ძირითადად, ერთსა და იმავე საგნებს აწარმოებდნენ.[26] ეს ნედლეულის წარმოების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად აღიარეს – მათ ცოტა რამ აქვთ ერთმანეთში გასაცვლელად.



ილუსტრაცია 5. დელფტი, ჰოლანდია, 1650-იანი წლები: მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ინოვაციების სისტემა.

ჰოლანდია წარმოადგენდა იმდროის ლაბორატორიას, სადაც ეკონომიკური განვითარების მექანიზმებზე დაკვირვება იყო შესაძლებელი. მაშინდელი მიმომხილველებისთვის ნათელი იყო, რომ ინოვაციები და დოვლათი სოფლის მეურნეობის მიღმა შექმნილი უამრავი ისეთი შესაძლებლობის შედეგი იყო, როგორიცაა ერთეულის პროდუქციის ნახარჯის კლება და ურბანული აქტივობების მზარდი უკუგება, ასევე, შრომის დანაწილების ხარისხი და ბევრი განსხვავებული პროფესიის არსებობა, რომლებიც სინერგიების საფუძველზე სიმდიდრეს ქმნიდნენ. იმავე

მოვლენის შესწავლაზე დაყრდნობით, თავის 1613 წლით დათარიღებულ ნაშრომში, სერა კარგად აღწერს ამ სამ პრინციპს ვენეციის მაგალითზე და ასკვნის, რომ „ერთი ფაქტორი მეორეს აძლიერებს“. სერა აღწერს ეკონომიკური ზრდის თვითმასტიმულირებელ სისტემას. ის ცალკე თავს უთმობს იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ქვეყანას ამგვარი სისტემით სიმდიდრის შესაქმნელად ესაჭიროება. თეორიების არსი დაახლოებით ასეთი იყო: თუ გსურს ივარაუდო ქალაქის სიმდიდრე, მაშინ მისი კედლების შიგნით არსებული პროფესიების რაოდენობა დაითვალე. რაც უფრო ბევრი პროფესიაა, მით უფრო მდიდარია ქალაქი. ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია თავისთავადი მიზანი იყო, რამაც ახალ ცოდნას ერთი სექტორიდან მეორეში „გადასვლის“ საშუალება მისცა, როგორც ეს მე-5 ნახატზეა ნაჩვენები. ამ თეორიულმა განვითარებამ ბრუნეტო ლატინის მე-13 საუკუნის ben commune ანუ საერთო კეთილდღეობის ტრადიცია გააგრძელა.

შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი ვენეციისა და ჰოლანდიის ეკონომიკური სტრუქტურის ემულაცია გახდა, რაც შეძლებისდაგვარად ბევრი ისეთი პროფესიის თავმოყრაში გამოიხატებოდა, რომელთაც მზარდი უკუგება და ტექნოლოგიური ცვლილება ახასიათებდათ. ვენეციისა და ჰოლანდიის ეკონომიკური პოლიტიკის გადმოტანა პრობლემა არასოდეს იყო. იმდროინდელი ეკონომისტები ხვდებოდნენ, რომ მათი ეკონომიკური სტრუქტურები ნაოსნობისთვის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობისა და სახნავ-სათესი მიწების სიმცირის გამო ჩამოყალიბდა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ევროპის განვითარების სტრატეგიად საუკეთესო გამოცდილების ათვისება („ბენჩმარკინგი“) და ემულაცია იქცა. V დანართში სეკენდორფის თანამედროვე კიდევ ერთი გერმანელი ეკონომის-

ტის, ფილიპ ვილჰელმ ფონ ჰორნიგკის (1638-1712) ცხრა პუნქტიანი სტრატეგიაა ახსნილი. აქ ის პრინციპებია თავმოყრილი, რომლებსაც უქნარა გერმანულენოვანი სახელმწიფოები უნდა გაჰყოლოდნენ მდიდარი ევროპული ქვეყნების ემულაციისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს სტრატეგია პირდაპირ ავსტრიისკენ იყო მიმართული და პირველად 1684 წელს გამოქვეყნდა, როდესაც თურქების მიერ ვენის ბოლო ალყიდან მხოლოდ ერთი წელი იყო გასული. ჰორნიგკის წიგნი მას მერე ასი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა და თექვსმეტჯერ გამოიცა. 1784 წელს, საიუბილეო, ასი წლისთავზე დაბეჭდილ გამოცემაში, არაერთხელაა აღნიშნული მისი როლი ავსტრიის ეკონომიკურ წარმატებაში. რა თქმა უნდა, ეს წიგნი სტანდარტული ეკონომიკური მეცნიერებების ისტორიაში ნახსენებიც არაა.

ადრეულ ეტაპზევე ნათელი იყო, რომ ქალაქების სიახლოვე სოფლის მეურნეობასაც აუმჯობესებს. ბოტეროს მიხედვით, „ჰოლანდიური ცხვარი ერთდროულად სამ ან ოთხ კრავს შობს, ძროხები კი ხშირად ორ ხბოს; ორი ძროხა იმდენ რძეს იწველება, რომ ვისაც ის არ უნახავს, არ დაიჯერებს".[27] მიუხედავად ამისა, ქალაქებსა და სოფლებს შორის არსებულ სინერგიებს – არგუმენტს იმ ფაქტის სასარგებლოდ, რომ გამდიდრება მხოლოდ იმ ფერმერებს შეეძლოთ, რომლებსაც ქალაქებთან საზიარო შრომის ბაზარი ჰქონდათ – რეალური მნიშვნელობა მხოლოდ განმანათლებლობის დროს მიენიჭა.

ბრიტანეთის ოსტინდოეთის კომპანიის გუბერნატორი, ჯოზაია ჩაილდი (1630-99), მოკლედ აღწერს ემულაციური ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ მსოფლიოს დამოკიდებულებას, როდესაც ამბობს: „თუკი ჩვენ მსოფლიო ვაჭრობა გვაქვს განზრახული, მაშინ ჰოლანდიას უნდა მივბაძოთ, რომელიც, როგორც ყველაზე ცუდ, ისე საუკეთესო მრეწველებს აერთი-

ანებს, რათა ყველანაირ ბაზარსა და გემოვნებაზე მორგება შეგვეძლოს".[28] ჩაილდი მის 1668 წელს დაწერილ წიგნს, „მცირე დაკვირვებები ვაჭრობისა და ფულადი მოგების შესახებ", შემდეგი კომენტარით იწყებს – „ნიდერლანდების დაუჯერებელ ზრდაზე, რომელიც შურს იწვევს აწმყოში, მაგრამ შესაძლოა საოცრებად იქცეს ყველა მომდევნო თაობისთვის". „მიუხედავად ამისა" – აგრძელებს იგი – „ის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც ნიდერლანდები განვითარდა, საკმაოდ ნათელია და მათი მიბაძვა დიდწილად სხვა ქვეყნებსაც შეუძლია..., რის ჩვენებასაც შემდგომ მსჯელობაში შევეცდები". ის რაც ჯოზაია ჩაილდისთვის მარტივად შესამჩნევი იყო, სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკაში არ აისახა.

გერმანელებმა ასევე იცოდნენ, რომ მოკლე ვადებში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მქონე ნიდერლანდებისა თუ ვენეციის ემულაცია შეუძლებელი იყო. სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის საკმაოდ მკაფიო კავშირი არსებობდა.[29] უახლეს პერიოდში გერმანიას იმ მმართველობის ქვეშ უნდა ეცხოვრა, რომელიც მას ჰყავდა. შედეგად, ქვეყნის განვითარების გზად ხელისუფლების ეკონომიკურ ცვლილებებზე დაყოლიება რჩებოდა, რაც, თავის მხრივ – გრძელვადიან პერსპექტივაში – მმართველობის ფორმას უფრო დემოკრატიული მიმართულებით გარდაქმნიდა. ხელისუფალთა დესპოტიზმი იმად უნდა გადაქცეულიყო, რასაც ვილჰელმ როშერმა მოგვიანებით (1868) „განმანათლებლური დესპოტიზმი" უწოდა. შედეგად 1648 წლიდან ფილოსოფოსები და ეკონომისტები ნელ-ნელა ცდილობდნენ მათი მმართველების ყურადღება იმისკენ მიეპყროთ, რისგანაც წარმატებული სამეფო ყალიბდება.

სეკენდორფი იმ ადრეულ სკოლას მიეკუთვნებოდა, რომე-

ლიც აერთიანებდა იმ ეკონომისტებსა და პოლიტიკურ მიმომხილველებს, რომლებიც ევროპაში მომდევნო საუკუნის განმავლობაში დომინირებდნენ. ისინი არწმუნებდნენ მეფეებსა და ხელისუფალთ, რომ მათი უფლება ქვეყნის მართვისა, სახელმწიფოს განვითარების ვალდებულებასაც მოიცავდა. ესენი პირველი დეველოპმენტალისტური ქვეყნები იყვნენ, მე-20 საუკუნის კორეისა და ტაივანის წინაპრები. ამ „დეველოპმენტალისტურ დიქტატურას“ განმანათლებელი ხელისუფალი, კრისტიან ვულფის სიტყვებით, „ფილოსოფოსი მეფე“ წარმართავდა, ხოლო სეკენდორფის მსგავსი ეკონომისტების როლი – რჩევის მიცემა, დახმარება, გაძღოლა, შესწორება, მოთაფვლა და მასთან პირფერობა იყო იმისათვის, რომ საქმე ჯეროვნად გაკეთებულიყო. ბევრ ეკონომისტს მეფის ერთკაციანი კვლევით საბჭოდ თუ გართობის უკანასკნელ საშუალებად ყოფნაც უწევდა, რაც მათ ხშირად ფინანსურ გასაჭირში აგდებდა. აღმოცენდა ლოგიკა, რომელიც, შემდგომში მდგომარეობდა – „რაც უფრო უკეთესია მმართველი, მით უფრო მდიდარია ხალხი“. ხელისუფლის წარმატება საკუთარი სიმდიდრით კი არა, მისი ხალხის სიმდიდრითა და ბედნიერებით უნდა გაიზომოს.

პირველი ეკონომიკის პროფესორი მსოფლიოში სიმონ პიტერ გასერი იყო, რომელმაც 1727 წელს, გერმანიაში, ჰალეს უნივერსიტეტის „ეკონომიკის, პოლიტიკისა და კამერული მეცნიერებების“ ხელმძღვანელის თანამდებობა მოიპოვა. ინგლისში ეკონომიკის პროფესურა (ადამ სმიტი მორალური ფილოსოფიის პროფესორი იყო) თითქმის ასი წლის შემდეგ გაჩნდა. გასერის მიერ შედგენილი პირველი ეკონომიკის სახელმძღვანელო, „შესავალი ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კამერულ მეცნიერებებში“ სეკენდორფის პოემით იწყებოდა, სადაც აღწერილია ძველი ყაიდის წარმოდგენები, რომელთა მიხედვით მეფე მონადირე,

მოჯირითე და მოფარიკავე უნდა იყოს, ხოლო ამის შემდეგ, პოემა თანამედროვე მეფეზე მოგვითხრობს, რომლის წარმატებაც მის სამეფოში არსებული კეთილდღეობითა და სამართლიანობით იზომება.[30]

ირლანდია წარსული გამოცდილებიდან სწავლობს

1980 წლის ივლისში, გონებაში ვილჰელმ როშერის „განმანათლებლური დესპოტიზმი" ამომიტივტივდა. დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ პირველად მუშაობა ამერიკულ საკონსულტაციო ფირმა, Telesis-ში დავიწყე. ჩემი პირველი დავალების შესრულებისას, Telesis-ის ხელმძღვანელ დირექტორთან ერთად, ირლანდიის პრემიერ-მინისტრის, ჩარლზ ჰოგის, ოფისში აღმოვჩნდი. ოთახში მხოლოდ ჩვენ სამნი ვიყავით. დავალება ასეთი იყო: უნდა შეგვეფასებინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ირლანდიის ინდუსტრიული პოლიტიკა და შეგვემუშავებინა სამომავლო რეკომენდაციები, ანგარიში კი პირდაპირ პრემიერ-მინისტრის ოფისისთვის უნდა ჩაგვებარებინა.

ჰოგიმ, რომელიც პროფესიით ბუღალტერი იყო, იმავე წლის 9 იანვარს, შემდეგი სიტყვებით მიმართა ირლანდიელ ერს:

ამ საღამოს ქვეყნის მდგომარეობაზე მინდა გესაუბროთ და სურათი, რომელიც უნდა აღგიწეროთ, სამწუხაროდ, არცთუ ისე სახალისოა. მონაცემები, რომლებიც ახლახან გახდა ხელმისაწვდომი, ძალიან მკაფიოდ აჩვენებს ერთ რამეს. როგორც საზოგადოება, ჩვენ საკუთარ შესაძლებლობებს ჩამოვრჩებით... ჩვენ ვცხოვრობთ დონეზე, რომლის გამართლება უბრალოდ შეუძლებელია საქონლისა და მომსახურების იმ მოცულობით, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. სხვაობის დასაფარად ჩვენ ვსესხულობდით აურაცხელი ოდენობით ფულს, რისი

გაგრძელებაც შეუძლებელია. რამდენიმე მარტივი ცხრილი ამას ნათლად აგიხსნით... ჩვენ უბრალოდ მოგვიწევს სახელმწიფო ხარჯების რეორგანიზება იმგვარად, რომ ვაკეთოთ მხოლოდ ის, რაზეც ხელი მიგვიწვდება.

ირლანდია ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას 1973 წელს შეუერთდა, და ევროპულმა ფინანსებმა მასობრივი შედინება დაიწყო მისი სოფლის მეურნეობის სექტორში. მიუხედავად ამისა, ამან ურთულეს ბაზარზე ჭარბი წარმოება და ფერმერების ვალებში ჩაფვლა გამოიწვია. შეხვედრიდან მახსოვს ჰოგის სურვილი: „იქ, სადღაც, ახალი ტექნოლოგიები ჩნდება და მინდა ირლანდიას დავეხმარო, გახდეს ნომერ პირველი ამ ტექნოლოგიის ფლობაში". ჰოგი საუბრობდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და მისი ხედვა მდიდარი ქვეყნების ემულაცია იყო, მათი დაწევა და გასწრება ამ ახალი ტექნოლოგიების საშუალებით. ირლანდიაში მივლენილ გუნდში მე ერთადერთი ეკონომისტი ვიყავი და ჩვენი რჩევები შემდგომ ბიზნეს ანალიზს მიუყვებოდა.[31]

დღეს ჰოგის სახელს 1980-იან წლებში დაწყებულ, ირლანდიური ეკონომიკის ერთობ წარმატებულ გარდაქმნას უკავშირებენ, რასაც საფუძვლად ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე გადასვლა ედო. გარკვეული დროის შემდეგ, ირლანდიაში რეალურმა ხელფასებმა მისი ყოფილი კოლონიზატორის – ინგლისისას გადაუსწრო. მისი ხედვითა და ხელმძღვანელობით, ჰოგიმ იგივე როლი შეასრულა, რასაც მე-18 საუკუნის ევროპის განმანათლებელი დესპოტები ასრულებდნენ.

ჰოგისთან ჩემი პირველი შეხვედრის შემდეგ დუბლინში ერთ წელზე მეტი გავატარე. ჩემი ირლანდიელი კოლეგებისა და ტრინიტი კოლეჯის ბიბლიოთეკის დახმარებით ბევრი რამ ვისწავლე ირლანდიის ინდუსტრიული წარსულის შესახებ. 1600-იანი წლების მიწურულს, ირლანდია, რომელიც იმ დროს ბრიტანეთის

კოლონია იყო, ახლოს იყო იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდუსტრიის, შალის ტანსაცმლის წარმოების ლიდერად გახდომასთან. კონტინენტური ევროპიდან კვალიფიციური კათოლიკე იმიგრანტების შემოდინებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ პროცესს. შალის ტანისამოსის ინგლისელი მწარმოებლებისთვის, რომლებიც იმარჯვებდნენ ფლორენციის მატყლის ინდუსტრიის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, ირლანდიელებთან დაძაბულ კონკურენციაში დამარცხება დამღუპველი იქნებოდა. 1699 წელს, ინგლისის მეფისადმი მათი მიმართვა, ირლანდიიდან შალის ქსოვილის მთლიანი ექსპორტის აკრძალვაზე, შედეგიანი აღმოჩნდა.

ეს რიკარდოს ვაჭრობის თეორიამდე მოხდა, შესაბამისად, ყველამ იცოდა, რომ ირლანდიაში მრეწველობის სექტორის ჩაკვლა და ინგლისისთვის ნედლი მატყლის იძულებით მიყიდვა ქვეყნის გაღარიბების ტოლფასი იქნებოდა. ამგვარ ქმედებებს, როგორც წესი, იმით ამართლებდნენ, რომ ევროპის სხვა ძლიერი ქვეყნებიც ასე ექცეოდნენ თავიანთ კოლონიებს. ჩვენ უკვე ვახსენეთ ინგლისელი ეკონომისტი ჯონ კერი, რომელიც „თავისუფალი ვაჭრობისა და ნედლეულის ექსპორტის განადგურების“ კეთილგონიერებას განიხილავდა. იგივე ჯონ კერი, ირლანდიური შალის ნაწარმის ექსპორტის შეჩერებაში მონაწილეობდა. მისი არგუმენტი ადამიანის სხეულის შესახებ იმ დროს პოპულარულ ეკონომიკურ მეტაფორას ემყარებოდა. კერი ამტკიცებდა, რომ ინგლისი თანამეგობრობის თავი იყო, ხოლო ირლანდია უმნიშვნელო კიდური. როცა საერთო კეთილდღეობის სხეულის ნაწილებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა, თავის ინტერესებმა უნდა გაიმარჯვოს. ამან, რა თქმა უნდა, ირლანდიაში მწვავე აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც ტრინიტი კოლეჯის დეკანმა, ჯონ ჰეილი-ჰატჩინსონმა (1724-94), დაწერა წიგნი („დიდგვაროვან ლორდთან მიწერილ წერილებში განხი-

ლული ირლანდიის კომერციული შეზღუდვები") იმაზე, თუ როგორ გააღარიბა ირლანდია 1699 წელს დაწესებულმა სავაჭრო შეზღუდვებმა. ანონიმურად გამოქვეყნებული ეს წიგნი, მასში შემავალი ამბოხის წამქეზებელი დოქტრინების გამო, დასაწვავად სათემო ჯალათს გადაეცა. ეს იყო უკანასკნელი წიგნი ინგლისში, რომელსაც ასეთი ბედი ეწია.

მე-19 საუკუნის ამერიკაში, ირლანდიელი იმიგრანტი მუშები ენერგიულად უჭერდნენ მხარს „ამერიკის მრეწველობის სისტემას", პროტექციონისტულ მექანიზმს, რომელმაც ქვეყანას ინდუსტრიალიზაციის საშუალება მისცა. მათ ახსოვდათ, რომ ირლანდიას მისი ინდუსტრია მოპარეს და არ სურდათ, რომ ინგლისს მათ ახალ ქვეყანაშიც იგივე გაეკეთებინა (ინგლისი ას წელზე მეტხანს მტკიცედ აპროტესტებდა ამერიკულ ინდუსტრიალიზაციას). ეს სიტუაცია დაახლოებით იმის ტოლფასი იქნებოდა, 1990-იან წლებში სილიკონის ველისთვის ელექტროტექნიკის ექსპორტი რომ აეკრძალათ. 1699 წელს ირლანდიას ემულაციის საშუალება არ მისცეს. 1980 წელს კი მან შური იძია, როდესაც შეიმუშავა სტრატეგია, როგორ დაექვემდებარებინა ის, რაც მომდევნო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს წამყვანი ტექნოლოგია იქნებოდა – ინფორმაციული ტექნოლოგიები. ამან წარმოების აფეთქება გამოიწვია და ეროვნული შემოსავალი ისეთ სიმაღლეზე აისროლა, რომლისთვისაც მის ყოფილ კოლონიზატორსაც კი არ მიუღწევია. შეიძლება ვაჭარბებ, მაგრამ 1699 წელს კოლონიურ ირლანდიისათვის იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიის – შალის ქსოვილის წარმოების ექსპორტისათვის გამოყენების აკრძალვასა და 300 წლის შემდგომ თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მის მიერ მიღწეულ შურისმაძიებლურ წარმატებას შორის, თითქმის გრანდიოზული კონტრასტია.

IV თავი

გლობალიზაცია: ერთი და იგივე არგუმენტები მის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ

ცნობილია, რომ პრიმიტიული ერები არ ცდილობენ საკუთარი ზნე-ჩვეულებების სრულყოფას შემდგომში სასარგებლო ინდუსტრიების ათვისების მიზნით, უფრო პირიქით ხდება.
იოჰან იაკობ მეიენი, გერმანელი ეკონომისტი, 1769

ბურჟუაზია წარმოების ყველა იარაღის სწრაფი გაუმჯობესებით და უსასრულოდ გაადვილებული მიმოსვლის შემწეობით ცივილიზაციისაკენ მიაქანებს ყველა ერს, თვით უაღრესად ბარბაროსულსაც კი.
კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1848

გლობალიზაცია – ვაშინგტონის ინსტიტუტების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერპრეტაციით – არის მდიდარი და ღარიბი ქვეყნების სწრაფი ინტეგრაცია როგორც ვაჭრობის, ასევე ინვესტიციების მხრივ. ამგვარი თავისუფალი ვაჭრობისა და ინტეგრაციის მხარდასაჭერად ბევრი არგუმენტი არსებობს; ზოგიერთი კულტურულია, მაგალითად, დაკვირვება, რომ თავისუფალი ვაჭრობა სხვადასხვა ერებსა და კულტურებს შორის კონტაქტებისა და ურთიერთგაგების გაჩენას უწყობს ხელს, თუმცა ამ არგუმენტების უმრავლესობა მაინც ეკონომიკური ხასიათისაა. თუკი ეკონომიკური ინტეგრაცია სწორად და სწორ ადგილას ხორციელდება, მას ყველას – როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ქვეყნების – ეკონომიკურად და სოციალურად გაძლიერების პოტენციალი გააჩნია. პრობლემა დროის სწორად შერჩევაა.

საუკეთესო არგუმენტები, როგორც გლობალიზაციის მხარდასაჭერად, ასევე საწინააღმდეგოდ, წარმოების სფეროში მოიძებნება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ საქონლისა და მომსახურების წარმოება ხშირად მასშტაბზე დიდი მზარდი უკუგების პირობებში ხორციელდება (მასშტაბის ეკონომიები): რაც უფრო დიდია ბაზარი და რაც უფრო მეტი ერთეული იწარმოება, მით უფრო იაფია იმ საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომელთაც ჩვენ მოვიხმართ. ამას საერთო კეთილდღეობის გაზრდის უზარმაზარი პოტენცია გააჩნია. სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი წამლის ქარხნის აშენება ასობით მილიონი დოლარი ჯდება. რაც უფრო დიდი იქნება გაყიდვების მოცულობა, რომელზეც ეს ფიქსირებული ხარჯი გადანაწილდება, მით უფრო იაფი დაჯდება ამ წამლით პაციენტის მკურნალობა.

თავისუფალი ვაჭრობის კიდევ ერთი სერიოზული მიზანი ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციაა, რაც ახალი ცოდნის მუდმივი განვითარების ნაყოფია. დიდ ბაზრებზე ტექნოლოგიური წინსვლისა და ინოვაციების საფასური მომხმარებელთა დიდ რაოდენობაზე ნაწილდება, თანაც ინოვაციები და პროგრესი პოტენციურად უფრო მალე და იაფად აღწევს მსოფლიოს თითოეულ მოქალაქემდე. რაც უფრო დიდია ბაზარი, მით უფრო დიდია სიახლის გაჩენის შესაძლებლობა. თომას ედისონსა და ბილ გეითსს რომ მხოლოდ პატარა ბაზრებზე ემუშავათ – მაგალითად, ისლანდიაში, სადაც 30 000 ადამიანზე ნაკლები ცხოვრობს – სავარაუდოდ, ეს წიგნი ნავთის ლამპის შუქზე და უფრო პრიმიტიული საწერი ტექნოლოგიით დაიწერებოდა.

მესამე არგუმენტი სინერგიები და კლასტერული ეფექტებია. ცოდნის წარმოება უკეთ ხდება არა მარტო იქ, სადაც უფრო

მეტი კომპანია – ურთიერთშემავსებლებიცა* და კონკურენტიც – ქსელურად მუშაობს, არამედ, როგორც ეს ჰოლანდიის მაგალითზე გამოჩნდა, მნიშვნელოვანი სინერგიები ერთმანეთისგან სრულიად გამიჯნულ სფეროებში მომუშავე ფირმებს შორისაც კი არსებობს. ისტორიულად, ყველაზე მნიშვნელოვანი სინერგიული ეფექტი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორისაა. გლობალურ ეკონომიკაში თითოეულ ქვეყანას შესაძლებლობა ექნება განავითაროს მისი კონკრეტული კლასტერები (სხვაგვარად, „განვითარების ბლოკები“ ან „ზრდის პოლუსები“), სადაც ურთიერთშემავსებელ კომპანიებს ისეთი წარმატების მიღწევა და ზრდა შეუძლიათ, როგორსაც ისინი ცალ-ცალკე ვერასდროს მიაღწევდნენ. ამასთან, ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად შექმნილი დიდი ბაზრები იძლევიან შრომის უფრო ფართო დანაწილების, სპეციალიზაციისა და ცოდნის გაზრდის საშუალებას.

ყველა ეს არგუმენტი პოტენციურად დიდ სარგებელს შეიცავს თითოეული ჩვენგანისთვის, მიუხედავად იმისა, მწარმოებლები ვართ თუ მომხმარებლები. გაზრდილი ხელფასებისა და ახალი ან/და უფრო იაფი საქონლისა და მომსახურების შექმნით, ეს სამი ფაქტორი ზოგიერთი ქვეყნის გასაოცარი გამდიდრების წინაპირობად იქცა.

იგივე ფაქტორები – მასშტაბი, ტექნოლოგიური წინსვლა და სინერგიები – ერთად მოქმედებენ და ურთიერთდამოკიდებულებით აძლიერებენ ერთმანეთს. მართალია ყველა მათგანი სხვადასხვა თეორიულ ფენომენს წარმოადგენს, მაგრამ ხშირად მასშტაბზე უკუგებისა და ტექნოლოგიური პროგრე-

* ურთიერთშემავსებელი, ურთიერთდამატებითი (complementary) კომპანია, არის ისეთი ეკონომიკური აგენტი, რომელიც აძლიერებს ღირებულებათა ჯაჭვში ჩამბულ სხვა კომპანიას. მაგალითად, ტელევიზორის მწარმოებელი კომპანიის ურთიერთშემავსებელი იქნება ტელევიზორების ეკრანების მწარმოებელი კომპანია (მთარგმნელის შენიშვნა).

სის ერთმანეთისგან პრაქტიკული გარჩევა საკმაოდ რთულია.[1] შეუძლებელია, ის ტექნოლოგია, რომელიც დღეს მანქანების დამზადებისთვის გამოიყენება, ასი წლის წინანდელ, მცირე მასშტაბიან მანქანათმშენებლობაში გამოეყენებინათ. წარმოების ის უზარმაზარი ზრდა, რომელსაც ჰენრი ფორდმა მიაღწია, თავიდან ბოლომდე მის მიერ დამზადებული მანქანების დიდ რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ფორდი ხვდებოდა, რომ ფულის საშოვნელად მას იმდენი მანქანა უნდა გამოეშვა, რომ მათი ყიდვა ჩვეულებრივ ადამიანებს – მისი საკუთარი მუშების მსგავსს – შეძლებოდათ. ფორდმა ეს პრობლემა მარტივად მოაგვარა. 1914 წლის იანვრის ერთ მშვენიერ დღეს, მან მისი ქარხნის მუშების ხელფასები გააორმაგა და დღეში 5 დოლარამდე გაზარდა. ამან მას არა მხოლოდ გადახდისუნარიანი მუშები მისცა, არამედ, საამწყობო კონვეირთან მუშაობის ერთფეროვანი ხასიათიდან გამომდინარე, უფრო სტაბილური მუშახელიც შესძინა. მიუხედავად ამისა, მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ტექნოლოგიური პროგრესითა (ინოვაციები) და მასშტაბის ეკონომიით (მზარდი უკუგება) გამოწვეულმა ბარიერებმა ამ კონკრეტულ ინდუსტრიაში ნომინალური ხელფასების გაზრდა გახადა შესაძლებელი. ეს იმ ფონზე, როდესაც მანქანების ფასი ვარდნას განაგრძობდა.

ძალიან ხშირად ტექნოლოგიური პროგრესი მზარდ უკუგებას მოითხოვს, რომელიც სტანდარტიზაციით – შუა საუკუნეების ქალაქ-სახელმწიფოების ზომისა და წონის ერთეულებით დაწყებული და ლიანდაგების სიგანითა და დღევანდელი მობილური ტელეფონების ტექნიკური სტანდარტებით დამთავრებული – არის გამოწვეული. ამგვარი სტანდარტიზაცია ქსელური ეფექტების მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც გარკვეული ტიპის მზარდ უკუგებას ქმნის (რაც უფრო დიდია მომხმარე-

ბლების რაოდენობა, მით უფრო დიდია თითოეული მათგანის პოტენციური მოგება). ტელეფონის მაგალითი რომ ავიღოთ, მის მფლობელს ის არაფერში გამოადგება, თუ, სულ მცირე, კიდევ ერთი აბონენტი არ ეყოლება სასაუბროდ. ამგვარი ქსელიდან მიღებული სარგებელი მის ზომასთან ერთად იზრდება. მასშტაბების ეკონომია (მათ შორის სპეციალიზაციის ეკონომია* და ქსელური ეფექტები) ამ ქსელური სისტემებით შექმნილ სინერგიებზე არიან დამოკიდებულნი. ამგვარი ინოვაციური სისტემების მნიშვნელოვან ნაწილს უნივერსიტეტებიც წარმოადგენენ. სასწავლო პროცესი, სადაც ინოვაცია, მზარდი უკუგება და სინერგია/კლასტერული ეფექტები ერთ წერტილში იკვეთება და მოქმედებს ეკონომიკური განვითარების მთავარი არსის შესაბამისად, მსოფლიოს დიდ ნაწილში ქმნის სიმდიდრესა და კეთილდღეობას. დღეს, ამ იდეას „სამმაგი სპირალის“ ცნება ასახავს, რომელიც ქმნის კავშირს ინდუსტრიას, მთავრობასა და საუნივერსიტეტო სექტორებს შორის.

ისტორიული გადმოსახედიდან, ეს სამი ფაქტორი დიდი ხანია რაც გამოიყენება და მათი მნიშვნელობაც დიდი ხნის წინ აღიარეს. კაცობრიობის განვითარებას თან სდევდა პროდუქტიულობის ზრდა. ცხოვრების დონის ზრდა კი მუდმივად მზარდ ბაზრებს საჭიროებდა. სისტემურად მზარდი უკუგების იდეას ჯერ კიდევ ძვ.წ. 400-იან წლებში მოღვაწე ფილოსოფოსის, ქსენოფო-

* სპეციალიზაციის ეკონომია (economy of scope) გულისხმობს ერთი ფირმის (ადამიანის ან ზოგადად ეკონომიკური აგენტის) მიერ დამატებით მიღებულ მოგებას (ზღვრული დანახარჯების შემცირების ხარჯზე), რომელსაც განსაზღვრავს ერთი ქოლგის ქვეშ რამდენიმე სხვადასხვა პროდუქტის წარმოება. მაგალითად, პირობითად თონის მეპატრონეს, უფრო იაფი დაუჯდება პურისა და ხაჭაპურის გამოცხობა ერთად, ვიდრე ამ პროდუქტების ცალ-ცალკე მომზადება, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე პროდუქტის მომზადების შემთხვევაში საჭიროა თონის გახურება, ცომის მოზელა და სხვა აქტივობების განხორციელება, რაც ურთიერთშემავსებელია და ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში ამცირებს ზღვრულ დანახარჯებს (მთარგმნელის შენიშვნა).

ნის ნაშრომებშიც ვხვდებით. 1613 წელს, ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენებმა იტალიელმა ეკონომისტმა, ანტონიო სერამ, მზარდი უკუგება, სინერგიები და განმანათლებლური სამთავრობო პოლიტიკა ერთად დააჯგუფა იმ მახასიათებლების სახით, რომლებიც ევროპის რამდენიმე მდიდარ ქალაქ-სახელმწიფოს მათ გარშემო მყოფი ღარიბი ქვეყნებისგან გამოარჩევდა. ამგვარი თეორია, სადაც სიმდიდრე ეკონომიკური საქმიანობის არჩევაზე იყო დამოკიდებული, ეკონომიკურ პოლიტიკაში დიდი ხნის განმავლობაში დომინირებდა. პროფესიის არჩევა საზოგადოებისა და ინდივიდის სიმდიდრეს თანაბრად განსაზღვრავდა.

მე-19 საუკუნის მიწურულს, ამერიკელი და გერმანელი ეკონომისტები კაცობრიობის ისტორიას უწოდებდნენ პროცესს, რომელიც აგრეთვე დიდი ეკონომიკური გაერთიანებებისკენ მუდმივ სწრაფვას გულისხმობდა. ეს ზემოთ განხილული განვითარების ეტაპების თეორიის გეოგრაფიული შედეგი იყო. ამ ამბის მოკლე ვერსია ასეთია: დასაწყისში ადამიანები ოჯახის მსგავს კლანებში ცხოვრობდნენ და ერთიანდებოდნენ საერთო საქმის და არა ბაზრების გარშემო. შემოსავლების გადანაწილება ხდებოდა საჭიროებების მიხედვით, დღევანდელი ჩვეულებრივი ნუკლეარული ოჯახების* მსგავსად. როდესაც ვინმე დაქორწინდებოდა და ახალი სახლი დასჭირდებოდა, ყველა უფასოდ მუშაობდა [სახლის მშენებლობაზე. – მთარგმ]. შემდგომში იგივე მომსახურება შეიძლება სხვას დასჭირვებოდა და მას კიდევ სხვები დაეხმარებოდნენ. ამგვარი თანაზიარობა ისეთი ადამიანების ჯგუფისა, რომლებიც მთელ ცხოვრებას ერთად ატარებდნენ, ბაზრების გარეშე შემოსავლების სასურველი გადანაწილების საშუალებას იძლეოდა. ამ შემთხვევაში, საბაზრო

* ნუკლეარული ოჯახი გულისხმობს ოჯახს, რომელიც შედგება მხოლოდ მშობლებისა და შვილებისგან და, სადაც შვილები ცხოვრობენ მშობლების კმაყოფაზე (მთარგმნელის შენიშვნა).

გარიგებები ისეთივე უცხო იქნებოდა, როგორც დღეს ის აზრი, რომ დედას საკუთარი რძე შვილისთვის მიეყიდა.

შორ მანძილზე ვაჭრობამ და დიდმა სოფლებმა ნელ-ნელა ქალაქ-სახელმწიფოების აღმოცენებასა და ადამიანური საზოგადოების თვისებრივ გარდაქმნას დაუდეს საფუძველი. გაზრდილმა მანძილებმა, პროფესიულმა სპეციალიზაციამ და უკეთესმა გეოგრაფიულმა მობილობამ თანაზიარობის ძველი სისტემის ეტაპობრივი ჩამოშლა გამოიწვია: ბაზარი, თავიდან როგორც ტომებს შორის საჩუქრების გაცვლის ადგილი, შემდგომ, როგორც დადგენილი პროპორციული ფასის მქონე ბარტერის მექანიზმი („ცხვარი, ერთი ტომარა კარტოფილის ნაცვლად"), ბოლოს კი მონეტარიზებული ეკონომიკის სახით ჩამოყალიბდა. ეკონომიკის ანთროპოლოგები ხაზს უსვამენ, რომ ვაჭრობა თავდაპირველად არა ინდივიდებს, არამედ კლანებსა და ტომებს შორის გაჩნდა. როგორც უკვე ითქვა, მე-13 საუკუნის ევროპაში ნათელი იყო, რომ სოფლებში არსებული სიღარიბის საპირისპიროდ, ქალაქების სიმდიდრე სინერგიების შედეგი იყო. სიმდიდრის სათავეში – il ben commune – „საერთო კეთილდღეობა" იდგა.

შემდეგი ნაბიჯი ერი-სახელმწიფოების გაჩენა იყო. მათი მშენებლები ქალაქებში ადრე არსებული სინერგიების გეოგრაფიულად კიდევ უფრო გაფართოებას ცდილობდნენ. ინფრასტრუქტურა – მასიური რესურსები გზებისთვის, სანაოსნო არხებისთვის, პორტებისთვის და მოგვიანებით რკინიგზისა და სატელეფონო ხაზებისთვის – სახელმწიფოს მშენებლობაში ჩადებული მთავარი ინვესტიცია იყო. ერი-სახელმწიფოს მშენებლობის საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროექტს მერკანტილიზმს უწოდებდნენ.[2]

ერი-სახელმწიფოების განვითარებასთან ერთად, ყველაზე წარმატებულმა ქალაქ-სახელმწიფოებმა – ისეთებმა, როგორე-

ბიც ვენეცია და ჰოლანდიური ქალაქები იყვნენ, როგორც ფარდობითი ასევე აბსოლუტური შეფასებით, აშკარა ჩამორჩენა დაიწყეს დასუსტებისა და მზარდი სიღარიბის გამო. იმდროინდელმა ეკონომისტებმა ნათლად დაინახეს, რომ პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც არ იყვნენ ჩაბმულნი უფრო დიდი შიდა ბაზრებისთვის ბრძოლაში, ეკონომიკურად აუცილებლად დასუსტდებოდნენ. მას მერე დიდი ხნის შემდეგ – დაახლოებით ასი წლის წინ – ეკონომისტებისთვის, რომლებიც ტექნოლოგიებსა და გეოგრაფიას შორის კავშირს აკვირდებოდნენ, ცხადი გახდა, რომ მომდევნო ტექნო-ეკონომიკური ეტაპი გლობალური ეკონომიკა იქნებოდა. მათ აღნიშნეს, რომ წინა გარდამავალი ეტაპების მსგავსად, უფრო ფართო გეოგრაფიულ ერთეულებში ფუნქციონირებას თავდაპირველად ფინანსური სექტორი დაიწყებდა.

თუკი ეს არის კაცობრიობის ისტორიის მთავარი არსი და ამგვარად არის დაკავშირებული გეოგრაფიასა და ტექნოლოგიასთან, თუკი ამდენი ეკონომიკური მექანიზმი არსებობს უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალებში კეთილდღეობის დასანერგად და, თუკი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის გაფართოება* რკინის კანონია და გარდაუვალი, მაშინ, როგორ შეიძლება საღ გონებაზე მყოფი ადამიანი მზარდ, თავისუფალ ვაჭრობასა და გლობალიზაციას ეწინააღმდეგებოდეს?

აქ მთავარი ის არის, რომ გლობალიზაციის ქომაგები თავიანთ არგუმენტებს ზემოთ მოყვანილ ლოგიკაზე არ ამყარებენ. მათი ანალიზი და რეკომენდაციები სტატიკურ თეორიულ არგუმენტებს ეფუძნება, რომლებიც სრულიად დაცლილია ნებისმიერი

* იგულისხმება ოჯახიდან თემამდე, თემიდან სამეფოებამდე, სამეფოებიდან ქალაქ-სახელმწიფოებამდე და ქალაქ-სახელმწიფოებიდან ერ-სახელმწიფოებამდე, ერი-სახელმწიფოებიდან რეგიონულ გაერთიანებამდე და გლობალიზაციამდე (მთარგმნელის შენიშვნა).

სახის ისტორიული კვლევისგან და არ მოიცავს ტექნოლოგიურ წინსვლას, მზარდ უკუგებასა და სინერგიებს. მათი ანალიზი რიკარდოს ვაჭრობის თეორიას ემყარება (იხ. დანართი I), რომელიც ქვეყანას იქ სპეციალიზებას ურჩევს, სადაც სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ეფექტიანია და ცდილობს აჩვენოს, რომ ამგვარი სპეციალიზაცია ქვეყანას სრულ კეთილდღეობამდე მიიყვანს. ადამ სმიტმა ყველა ადამიანური ეკონომიკური საქმიანობა – იქნებოდა ეს წარმოება თუ ვაჭრობა – შინაარსობრივი ასპექტებისგან დაცლილ სამუშაო საათებამდე დაიყვანა. ამან ის პირველი ეტაპი ჩამოაყალიბა, რომელმაც რიკარდოს თეორიის ხორცშესხმა გახადა შესაძლებელი. ჩვენ მიერ უკვე განხილული რიკარდოს ვაჭრობის თეორია, ბარტერული საზოგადოების ხედვაზეა დაშენებული, ან სმიტის მეტაფორაზე ბარტერში მონაწილე ძაღლების შესახებ, რომლებიც ერთმანეთს სამუშაო საათებს უცვლიან. ზემოთ განხილული მთავარი ეკონომიკური ფაქტორები ენდოგენურია [მზარდი უკუგება, სინერგიები და ა.შ. – მთარგმნ.] და არ წარმოადგენენ გაბატონებული სავაჭრო თეორიის ნაწილს, რომელიც ჩვენი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის საძირკველია. ის არ არის იმ იდეების ნაწილი, რომელთა მიხედვითაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის თეორიები იქმნება. უფრო დახვეწილი მოდელებიც არსებობს, თუმცა ისინი პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენენ.

რიკარდოს თეორიულ კონსტრუქციაში არ გვხვდება არაფერი ისეთი, რაც ერთმანეთისგან ქვის ხანის სამუშაო საათებს სილიკონის ველის სამუშაო საათებისგან განასხვავებდა. ვინაიდან სრული დასაქმება გარანტირებულია, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიას (როგორც ეს დღეს ხდება) შეუძლია ამაყად თქვას, რომ სილიკონის ველსა და ამაზონის ჯუნგლებ-

ში ახლად აღმოჩენილ ნეოლითურ ტომს შორის თავისუფალი ვაჭრობა შემოსავლების გათანაბრების (წარმოების ფაქტორების ფასის გათანაბრება) ეკონომიკურ ჰარმონიას წარმოქმნის. საერთაშორისო ვაჭრობა უმნიშვნელოვანესია დოვლათის შესაქმნელად, მაგრამ არა იმ მიზეზით, რომელსაც რიკარდო ასახელებს. მის სტატიკურ მოგებას (იხ. დანართი I) სრულიად ჩრდილავს შესაძლო უზარმაზარი დინამიური მოგებები. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ვაჭრობა დოვლათის სერიოზულ დინამიკურ დანკარგებს უშვებს. მდიდარ, განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში რიკარდო მართალია, ოღონდ სხვა, მცდარი მიზეზის გამო. ღარიბ ქვეყნებში კი, სადაც სიმდიდრის შემქმნელი ფაქტორები არ არსებობს, რიკარდოს თეორია არა მხოლოდ არ მუშაობს, არამედ ამ ქვეყნებს სიღარიბიდან ამოსვლის საშუალებასაც არ აძლევს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება, რომელიც ეკონომიკურ ზრდას არსებითად შრომაზე კაპიტალის დამატებად აღიქვამს, შრომითი ღირებულების თეორიაზე დაფუძნებულ სავაჭრო თეორიას იყენებს, რომელიც სხვა შემთხვევაში, მხოლოდ კომუნისტურ იდეოლოგიაში იარსებებდა. კაპიტალისტური თეორია აღწერს წარმოებას, რომელიც კაპიტალის არარსებობის პირობებში მიმდინარეობს. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვუბრუნდებით რიკარდოსეულ ეკონომიკას ცივი ომის კაპიტალიზმითა და [საბჭოთა კავშირით. – მთარგმნ.] კომუნიზმით გამოწვეულ დაბნეულობას, რომელსაც უკვე შევეხეთ. ვაჭრობის თეორიაში, რომლის საშუალებითაც კაპიტალიზმი მსოფლიოს აკონტროლებს, კაპიტალს არანაირი როლი არ აქვს. ეს სრულიად საპირისპიროა იმისა, თუ როგორ ხსნის კაპიტალისტური საზოგადოება ზრდას, ეს არის გაბატონებული ეკომიკური თეორიისთვის დამახასიათებელი ვარაუდებ-

ით ჟონგლიორობის კიდევ ერთი მაგალითი, რომელსაც თავის მხრივ, პოლიტიკური მიზნები გააჩნია. ვარაუდი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობას, ნებისმიერ დროს, განხვავებული რაოდენობის კაპიტალის მომგებიანად ათვისება შეუძლია, საკმარისია იმ მთლიანი სისტემის უარყოფისა და განადგურებისთვის, რომელზეც მსოფლიო ეკონომიკა დგას. ეს აჩვენებს იმის მნიშვნელობას, რასაც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯეიმზ ბიუკენენი ეკონომიკაში „ერთგვაროვნების ჰიპოთეზას“* უწოდებს.[3] ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა ყველაზე ნაკლებად განხილული ვარაუდია ამ სფეროში. თუკი ყველა ეკონომიკური აქტივობა თვისებრივად განსხვავებულია, მაშინ სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკა არსებობას წყვეტს. სტანდარტულ თეორიაში, „სრულყოფილი ინფორმაცია“ და „სრულყოფილი კონკურენცია“ ამ პრობლემას სწრაფად და დანახარჯების გარეშე აგვარებს, გარდაქმნის რა ქვის ხანის საზოგადოებას სილიკონის ველის საზოგადოებად. მაგრამ, ცნობილი ევოლუციური ეკონომისტის, რიჩარდ ნელსონის სიტყვები რომ მოვიყვანოთ, „ეს ასე არ მუშაობს“.

თუ ჩვენ მზარდ უკუგებას და ტექნოლოგიების, სწავლისა და სინერგიების ეფექტებს გავითვალისწინებთ, მივიღებთ უფრო მყარ არგუმენტს გლობალიზაციის სასარგებლოდ და მის საწინააღმდეგოდაც იმ გავლენის გამო, რომელიც მას ღარიბ პერიფერიაზე აქვს. აქ გაანალიზებული ფაქტორები საშუალებას აძლევს ეკონომიკური განვითარების თეორიას ახსნას,

* „ერთგვაროვნების ჰიპოთეზა“ (equality assumption) არის დაშვება, რომელიც ამბობს, რომ, მაგალითად, ყველა ადამიანის ქცევა ერთნაირია. ამგვარი გამარტივება საშუალებას იძლევა შეიქმნას მოდელი (შეეხება ეს ეკონომიკურ აქტივობებს თუ ეკონომიკურ აქტორებს), რომელშიც მოხდება გარკვეული კანონზომიერებებზე დაკვირვება. პირობითად, თუ დავუშვებთ, რომ ყველა ადამიანი რაციონალურია, მაშინ ადვილად დავადგენთ თუ რა შეიძლება მოჰყვეს ფასის ცვლილებას საერთო დონეზე (მთარგმნელის შენიშვნა).

თუ რატომ არის ქვეყნებს შორის ამგვარი ეკონომიკური ზრდა ასე არათანაბრად გადანაწილებული. გლობალიზაციის ფანატიკოსები იყენებენ არგუმენტებს, რომლებიც სტატიკურია და არ მოიცავენ ეკონომიკური ზრდის გამოვლენის დინამიკას. ახალი და დინამიური ფაქტორების შემოტანით ჩვენ მივიღეთ საშენი მასალა ახალი თეორიისთვის, რომელშიც გლობალიზაცია, თუკი ის არასწორი თანმიმდევრობით განვითარდება, მიგვიყვანს სიტუაციამდე, როდესაც ზოგიერთი ქვეყანა სიმდიდრეში, სხვები კი მუდმივ სიღარიბეში სპეციალიზდება.

მზარდი უკუგება და მისი არარსებობა

წარმოების გაფართოებისას მზარდი უკუგება არ ვრცელდება ყველა სახის საქონელსა და მომსახურებაზე. Microsoft-ის პროდუქტის პირველი ასლის დამზადება შეიძლება 100 მილიონი დოლარი დაჯდეს, მაგრამ მისი მეორიდან – 200 მემილიონამდე ასლის დამზადება და გავრცელება – ელექტრონული ფორმით გავრცელების შემთხვევაში – შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე ცენტი, ან უფრო ნაკლებიც ღირდეს. მაღალი ფიქსირებული ხარჯები მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიებს ან მზარდ უკუგებას ქმნიან. ეს, თავის მხრივ, საწყის ეტაპზე სერიოზულ წინაღობებს ქმნის კონკურენტებისთვის და იწვევს ოლიგოპოლიური საბაზრო სტრუქტურის წარმოქმნას, რომელიც სტანდარტული ეკონომიკური თეორიის ხედვებიდან შორს დგას. ამგვარი დანახარჯის სისტემის მქონე კომპანიებთან კონკურენცია ურთულესია.

ადამიანი, რომელიც სახლების მღებავად მუშაობს, სხვა რეალობის წინაშე დგას. როდესაც ის საკუთარ პროფესიაში გაიწაფება, აღარ შეეძლება მეორე სახლი იმაზე ჩქარა შეღებოს,

ვიდრე ეს პირველის შემთხვევაში გააკეთა. მისი ფიქსირებული ხარჯები – კიბე და ფუნჯი – მაინცდამაინც მზარდი არ არის. დაბალი ფიქსირებული ხარჯები კი მას კონკურენციისადმი ადვილად მოწყვლადს ხდის. სახლის მღებავს იაფი მუშახელისთვის უწევს კონკურენციის გაწევა, ზოგჯერ არალეგალურისთვისაც კი. ეს ის პრობლემაა, რომელიც Microsoft-სა და ბილ გეითს არ აწუხებთ. ტექნოლოგიებისგან დამოუკიდებლად, მზარდი უკუგება, ერთი მხრივ, და მისი არარსებობა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, რომ ვერ ცერთი სახლის მღებავი ვერ მიაღწევს ბილ გეითსის შემოსავლების დონეს.

ქვეყნები, რომლებიც დანარჩენი მსოფლიოს ნედლეულით მომარაგებაში სპეციალიზდებიან, ადრე თუ გვიან მიაღწევენ ზღვარს, როდესაც კლებადი უკუგების პრობლემას წააწყდებიან. კლებადი უკუგების კანონი არსებითად ამბობს იმას, რომ როდესაც წარმოების ერთი ფაქტორი ბუნებრივი წარმოშობისაა – ფერმერობის, თევზის რეწვისა თუ სამთო მრეწველობის შემთხვევაში – გარკვეულ ეტაპზე კაპიტალის ან/და შრომის დამატება ყველა მომდევნო ერთეულზე მოგების შემცირებას გამოიწვევს.

არსებობს ორი კატეგორიის კლებადი უკუგება: ექსტენსიური (როდესაც წარმოება ფართოვდება უარესი საწარმოო რესურსის ხარჯზე) და ინტენსიური (როდესაც უფრო მეტი შრომა ერთსა და იმავე ზომის მიწას ან სხვა ფიქსირებულ რესურსს ემატება). ორივე შემთხვევაში ქვეყნის წარმოების ზრდასთან ერთად ნაყოფიერება შემცირდება. ბუნებრივი რესურსები სხვადასხვა თვისებისაა: ზოგიერთი მიწა ნაყოფიერია, ზოგიერთი – ნაკლებად, ზოგიერთი კლიმატი კარგია, ზოგიერთი – ცუდი, ზოგიერთი საძოვარი მდიდარია, ზოგიერთი – ღარიბი, ზოგიერთ მაღაროში მაღალი ხარისხის მადანია, ზოგიერთში – დაბალი, ზოგიერთი თევზის სარეწი უხვია, ზოგიერთი – მეჩხერი.

რამდენადაც ეს ფაქტორები ქვეყნისთვის ცნობილია, ის პირველ რიგში საუკეთესო მიწას, საძოვრებსა და მაღაროებს აითვისებს. როდესაც წარმოება გაიზრდება, საერთაშორისო სპეციალიზაციასთან ერთად, უფრო და უფრო ღარიბი მიწებისა და მაღაროების გამოყენება დაიწყება. ამასთან, ბუნებრივი რესურსი პოტენციურად არაა განახლებადი: მაღაროები შესაძლოა დაცარიელდეს, თევზი გაწყდეს, ხოლო საძოვრები ზედმეტი გამოყენებისგან განადგურდეს.

ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული სექტორების მიღმა ალტერნატიული სამუშაო ადგილების არარსებობის შემთხვევაში, მოსახლეობა იძულებული იქნება მხოლოდ საკუთარი ბუნებრივი რესურსებით მიღებული შემოსავლით იცხოვროს. გარკვეულ ეტაპზე, იმავე შედეგის მისაღებად უფრო მეტი შრომა გახდება საჭირო, რაც ქვეყანაში ხელფასის დონის დაწევას გამოიწვევს. მოდით, დავუშვათ, რომ ერთი რომელიმე ქვეყანა, მაგალითად ნორვეგია, მსოფლიოში ყველაზე შესაფერისი ვარიანტი იქნებოდა სტაფილოს წარმოებისთვის. მას მერე, რაც ყველაზე ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა ათვისებული იქნებოდა, სტაფილოების დასარგავად ქვეყანას მეორეხარისხოვანი მიწების ინტენსიური გამოყენების დაწყება მოუწევდა. ყოველი ახალი ტონა სტაფილოს წარმოება უფრო და უფრო გაძვირდებოდა, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასი მის კომპენსირებას ვერ უზრუნველყოფდა. რაც უფრო მეტად სპეციალიზდებოდა ეს ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკაში, მით უფრო მეტად გაღარიბდებოდა. რესურსებით მდიდარი ავსტრალიისთვის ეს იყო მთავარი არგუმენტი იმისათვის, რომ ქვეყანაში ინდუსტრიული სექტორი ჩამოეყალიბებინა, თუნდაც ის ისეთივე ეფექტიანი არ ყოფილიყო, როგორიც მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების – გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-

ის ინდუსტრიული სექტორები იყვნენ. მრეწველობის არსებობა ქმნის შემოსავლების დონეს, რომელიც ქვეყნებს კლებად უკუგებაში ღრმად შეტოპვისგან აზღვევს, იქნება ეს ზეგეგმიური წარმოებით გაღარიბება თუ/და ოკეანეებში თევზის, ხოლო მაღაროებში მადნის დაცარიელება. გარემოსდაცვითი პრობლემები, რომლებსაც ღარიბი ქვეყნების კლებადი შემოსავლის მქონე საქმიანობაში სპეციალიზაცია იწვევს, განხილულია ჩემს სტატიაში – „კლებადი უკუგება და ეკონომიკური მდგრადობა: რესურსებზე დამყარებული ეკონომიკების დილემა თავისუფალი ვაჭრობის დროს".

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყანა, რომელიც ნედლეულის მიწოდებაში სპეციალიზდება – ალტერნატიული შრომის ბაზრის არარსებობის პირობებში – საკუთარ თავზე Microsoft-ისგან განსხვავებულ ეფექტს გამოცდის: რაც უფრო გაიზრდება წარმოება, მით უფრო გაიზრდება ყოველი ახალი ერთეულის წარმოების დანახარჯი. ამ გაგებით, სახლის მღებავის პროფესია შედარებით შუალედურია, ვინაიდან ის მასშტაბზე მუდმივი უკუგებით მუშაობს. ბოლო 25 წლის განმავლობაში მიმდინარე გლობალიზაციის ფორმამ და სიჩქარემ მრავალი სახელმწიფოს დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია, ჩააგდო რა ისინი ისეთ მდგომარეობაში, სადაც კლებადი უკუგება წარმოების მთავარი მახასიათებელი იყო.

ეკონომისტები, რომლებსაც წარმოუდგენიათ სამყარო, სადაც მზარდი უკუგება მთავარი დამახასიათებელი ნიშანია, მიიღებენ იმ ეკონომისტების საწინააღმდეგო დასკვნებს, რომელთა სამყაროში მთავარი მახასიათებელი კლებადი უკუგებაა. დაახლოებით 1750 წელს, ფაქტობრივად, ყველა ეკონომისტი ეკონომიკური ზრდის საფუძვლებს მზარდ უკუგებასა და მრეწველობაში არსებულ სინერგიებში ხედავდა. აქედან გამომდინარე, ყველა

მათგანი ეროვნული ბაზრების გასაძლიერებლად მრავალრიცხოვანი მოსახლეობის საჭიროებას აღიარებდა. როგორც ვნახეთ, როცა მალთუსმა და მისმა მეგობარმა რიკარდომ ეკონომიკა იმ მიმართულებით გარდაქმნეს, რომლის ცენტრალურ მახასიათებლად კლებადი უკუგება შეირჩა. მათ მეცნიერებას, სრულიად დამსახურებულად, მეტსახელად „დამთრგუნველი მეცნიერება“ უწოდეს. უახლოეს წარსულში, როდესაც ჭარბი მოსახლეობა სიღარიბის ახსნის საუკეთესო „შეცდომაში შემყვან“ ფაქტორად ითვლეობდა, ამ საკითხის გარშემო შექმნილმა დაბნეულობამ საფუძველი ისეთ დასკვნებს დაუდო, რომლებიც ღარიბ ქვეყნებს შეიძლება რასისტულად აღექვათ (და საფუძვლიანადაც). როგორც წესი, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის მქონე მდიდარი, ინდუსტრიული ქვეყნები – მაგალითად, ჰოლანდია, სადაც ერთ კვადრატულ კმ-ზე საშუალოდ 477 ადამიანი ცხოვრობს – მარტივად ასკვნიან, რომ სიღარიბე, მაგალითად, ბოლივიაში, გამოწვეულია ჭარბი მოსახლეობით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ერთ კვადრატულ კმ-ზე 7 ადამიანი მოდის. მოსახლეობის სიმჭიდროვესა და წარმოების მეთოდს შორის არსებული კავშირი, ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ამ უკანასკნელისა და პოლიტიკური წყობის ურთიერთობის მსგავსად. ორივე შემთხვევაში, ამ მოვლენების ერთმანეთთან დაუკავშირებლობა ამყარებს ჩვენს უმეცრებას სიღარიბის გამომწვევ მიზეზებში. ამას თანამედროვე გლობალური საზოგადოება თეორიულ დეზორიენტაციასა (იხ.მე-6 თავი) და ისეთ ვითარებამდე მიჰყავს, როცა ფოკუსი არა სიღარიბის მიზეზებზე, არამედ მის სიმპტომებზე კეთდება (იხ.მე-7 თავი).

კლებადი უკუგების ბოლოდროინდელ, განსაკუთრებით თვალშისაცემ მაგალითებს მონღოლეთი და რუანდა მიეკუთვნებიან. თავისუფალი ვაჭრობის შოკის შედეგად მონღოლე-

თიდან, ფაქტობრივად, ყველა სახის ინდუსტრია აორთქლდა. ამგვარი ასიმეტრიული გლობალიზაციის პირობებში (სადაც ზოგიერთი ქვეყანა მზარდი უკუგების მქონე სფეროებში სპეციალიზდება, ზოგიც კი პირიქით) ქვეყანა, რომელიც მისდევს კლებადი უკუგების შემცველ საქმიანობას, მარტივად „სპეციალიზდება“ ღარიბად ყოფნაში. დანართი III რიცხობრივი მაგალითებით აჩვენებს ამ მოვლენას, რომელიც ფრენკ გრემმა, ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ყოფილმა პრეზიდენტმა, მოამზადა. მდიდარი ქვეყნები ადამიანის ხელით შექმნილ შედარებით უპირატესობაში სპეციალიზდებიან, ხოლო ღარიბები ბუნების შექმნილში. ნედლეულის ექსპორტში შედარებით უპირატესობას, ადრე თუ გვიან, შემოსავლების კლება დაემუქრება, ვინაიდან დედაბუნება სხვადასხვა ხარისხის წარმოების ფაქტორებს იძლევა, ხოლო საუკეთესო ნედლეული, როგორც წესი, პირველ ეტაპზევე გამოიყენება.[4] ჩვეულებრივ, ამგვარ ღარიბ ქვეყნებში არ მოიძებნება არანაირი სახის სოციალური პოლიტიკა, ან ასაკობრივი საპენსიო სისტემა. შედეგად, ბევრი შვილის გაჩენა დაზღვევის* მოპოვების ერთადერთი რაციონალური გზა ხდება. მიუხედავად ამისა, რაოდენობრივად მზარდი მოსახლეობა მალე შეეჯახება მზარდი უკუგების „დრეკად კედელს“, როგორც ეს მონღოლეთსა და რუანდაში მოხდა. მაშასადამე, გლობალური მდგრადი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, შექმნიან თუ არა ღარიბი ქვეყნები სამუშაო ადგილებს კლებადი უკუგების მქონე ნედლეულზე დაფუძნებული სექტორების მიღმა. მზარდი უკუგების მქონე სექტორების არარსებობის პირობებში, სიღარიბისა და ბუნების გაპარტახების მალთუსისეული მანკიერი წრე იკვრება.

---

* იგულისხმება რომ, რაც უფრო მეტი შვილი გყავს, მით უფრო მეტია შანსი, რომ რომელიმე თქვენზე იზრუნებს სიბერეში (მთარგმნელის შენიშვნა).

ინოვაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის შესაძლებლობები ეკონომიკურ აქტივობებს შორის ყოველთვის არათანაბრადაა გადანაწილებული. გარკვეულ ეტაპზე, ნავთის ლამპების ტექნოლოგიური დახვეწა ჩერდება, მაშინ, როდესაც ელექტრო ნათურებზე იგივეს ვერ ვიტყვით. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ქვეყანას ყოველთვის შეუძლია სპეციალიზდეს იმ ეკონომიკურ დარგში, სადაც მსოფლიოს მთლიანი კაპიტალიც რომ ჩაიდოს, ინოვაცია და ნაყოფიერების ზრდა არ მოხდება. გარდა ამისა, ეს მექანიზმი ხელს უწყობს სახელმწიფოს სიღარიბეში სპეციალიზებას.

მე-19 საუკუნის დისკურსში გაბატონებული უზარმაზარი „სოციალური პრობლემის" მნიშვნელოვან ასპექტს ე.წ შინ მომუშავეთა (Heimarbeiter) არსებობა წარმოადგენდა. ისინი ქმნიდნენ პროდუქტს, რომლის მექანიზებაც ინდუსტრიას ჯერ კიდევ არ შეეძლო იმ წარმოების პროცესის ფარგლებში, სადაც არანაირი მზარდი უკუგება და ინოვაციის პოტენციალი არ არსებობდა. დღეს ე.წ. შინ მომუშავეების როლს ასრულებენ მექსიკელები და აშშ-ის მეზობელი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რაც არ ექვემდებარება მექანიზაციას. მექსიკაში ამ ტიპის ინდუსტრია – ამერიკის საზღვართან მდებარე „მაკუილადორას"* ინდუსტრია – ტრადიციული ინდუსტრიების ხარჯზე იზრდება, მაგრამ ვინაიდან „მაკუილა-

* ბაჟის გარეშე კომპონენტების იმპორტის პოლიტიკა მექსიკურ ბაზარზე შემდგომი აწყობისთვის და მზა ნაწარმის რეექსპორტისთვის. ეს ტერმინი ასევე აღნიშნავს უცხოურ კომპანიას მექსიკაში, რომელიც ახდენს საწარმოო დეტალების ექსპორტს ამ კომპანიის სამშობლოში. იგულისხმება, რომ ამერიკულ კომპანიებს აქვთ ქარხნები მექსიკაში ამერიკის საზღვართან ახლოს და ეწევიან იმგვარი დეტალების დამზადებას, რომელსაც არ გააჩნიათ ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივა და მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით ხელფასების შემცირებას უწყობენ ხელს მექსიკაში (მთარგმნელის შენიშვნა).

დორა“ ტრადიციულ ინდუსტრიაზე დაბალ ანაზღაურებას იძლევა, იგი მექსიკის საშუალო ხელფასის დონის დაცემას იწვევს. „მაკუილადორას“ მსგავსი ეფექტი სოფლის მეურნეობაშიც არსებობს: მექანიზებულ წარმოებას (ხორბლისა და სიმინდის მოსავლის აღებას) შეერთებული შტატები ახორციელებს მაშინ, როდესაც მექსიკა არამექანიზებულ წარმოებაში (მარწყვის, ციტრუსების, კიტრისა და პომიდვრის მოკრეფა) სპეციალიზდება, რაც ზღუდავს ინოვაციების შესაძლებლობებს. ქვეყანა ტექნოლოგიურ ჩიხში ან/და ისეთ დარგებში იკეტება, რომლებიც შრომატევად პროცესებს საჭიროებენ.

ამერიკის ეროვნული სპორტის, ბეისბოლის ბურთებს მსოფლიოში ყველაზე ეფექტურად ჰაიტიში, ჰონდურასსა და კოსტა რიკაში ამზადებენ. მათი გამოგონებიდან მოყოლებული ბეისბოლის ბურთები ხელით იკერება. ამ ბურთების წარმოების მექანიზაცია ვერც ერთმა ინჟინერმა და ვერც ამერიკის მთლიანმა კაპიტალმა ვერ შეძლო. ბეისბოლის ბურთების ყველაზე ეფექტური მწარმოებლების ხელფასები ძალიან დაბალია. ჰაიტიში ისინი საათში დაახლოებით 30 ცენტს იღებენ. ზოგიერთ ანგარიშზე დაყრდნობით, ეს ანაზღაურება 1990-იანი წლების შუაში საათში 14 ცენტამდეც კი იყო დასული. ყოველი ბეისბოლის ბურთი ხელით იკერება და მას 108 ნაკერი აქვს, თითოეული მუშა კი საათში ოთხ ასეთ ბურთს კერავს. ეს ყველაფერი ხელით კეთდება და, ამასთანავე, დანადგარზე დამზადებული საგნის სიზუსტეს საჭიროებს. ამერიკაში ბურთების საცალო გაყიდვის ფასი 15 დოლარია. ჰაიტის პოლიტიკური პრობლემების შემდეგ – პრეზიდენტ ჟან-ბერტრან არისტიდის სურვილი, მინიმალური ხელფასი საათში 33 ცენტიდან 50 ცენტამდე გაეზარდა, მისი ძალაუფლების დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზად იქცა – წარმოების დიდი ნაწილი ჰონდურასსა და კოსტა რიკაში გადავიდა. ხელ-

ფასების დონე ამ ქვეყნებში უფრო მაღალია, მაგალითად, კოსტა რიკაში – საათში 1 დოლარზე ოდნავ მეტია.

მეორე მხრივ, გოლფის ბურთები მაღალტექნოლოგიურ პროდუქტად ითვლება და მისი ერთ-ერთი ცნობილი საწარმო, რომელიც ცალკე აღებული ამერიკული წარმოების 40%-ზეა პასუხისმგებელი, ნიუ ბედფორდში, მასაჩუსეტსის შტატში, ერთ ძველ, ვეშაპზე მონადირეების ქალაქში მდებარეობს. კვლევა და განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოებაში და, მიუხედავად ამ სფეროში მაღალი ხელფასებისა, პირდაპირი შრომითი ხარჯები წარმოების დანახარჯის მხოლოდ 15%-ს შეადგენს. ნავთობის გადამუშავების სფეროს მსგავსად, პირდაპირი შრომითი ხარჯები აქაც დაბალია და მათ რეალურად დიდი გავლენა არ აქვთ მთლიან წარმოებაზე, ეს კი, კვალიფიციური მუშახელის, ინჟინრებისა და სპეციალიზებული მიმწოდებლების საჭიროებასთან ერთად, განაპირობებს გოლფის ბურთების წარმოების გატანის პრევენციას ისეთ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, როგორიც ჰაიტია. ნიუ ბედფორდში ხელფასი საათში 14-იდან 16 დოლარამდე მერყეობს. განსხვავებული სახელფასო დონეები ამ ორ ინდუსტრიულ სექტორში – ბეისბოლისა და გოლფის ბურთების დამზადებაში – არათანაბარი ტექნოლოგიური განვითარების პირდაპირი შედეგია. ჰაიტის სიღარიბე და შეერთებული შტატების სიმდიდრე, ორივე ქვეყნისთვის ერთდროულად, მათ მიერ არჩეული წარმოების მიზეზიცაა და შედეგიც.

ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენ „ბაზარს“ ვუწოდებთ, მსოფლიოში გოლფის ბურთების ყველაზე ეფექტურ მწარმოებელს 12-იდან 36-ჯერ უფრო მეტ შემოსავალს აძლევს (საათში 0.30-იდან 1 დოლარამდე, საათში 14-16 დოლართან შედარებით), ვიდრე მსოფლიოში ბეისბოლის ბურთების ყველაზე ეფექტურ მწარმოებელს. მართალია, სხვადასხვა მსყიდველო-

ბითი უნარი განსხვავებას ამცირებს, მაგრამ სხვაობა რეალურ ხელფასებს შორის უზარმაზარია. გარდა ამისა, ბეისბოლის ბურთების საბრალო მკერავები დაავადებულნი არიან ისეთი საწარმოო სენით, როგორიც მაჯის არხის სინდრომია. კოსტა რიკაში, სადაც ჰაიტიზე გაცილებით უკეთესი პირობებია, კომპანიის ექიმი ვარაუდობს, რომ მუშების დაახლოებით 90% რაიმე სახის საწარმოო ავადმყოფობითაა დაავადებული. მე ყოველთვის მიზიდავდა სამრეწველო ფაბრიკები და მსურდა შიგნიდან მენახა ბეისბოლის ბურთების ფაბრიკა. როდესაც ჰონდურასის ქალაქ სან პედრო სულაში მიკროფინანსებზე ვმუშაობდი, აღმოჩნდა, რომ ჩემი მასპინძლის და ბეისბოლის ბურთების ქარხნის ხელმძღვანელი იყო. მან მითხრა, რომ სიამოვნებით დამათვალიერებინებდა იქაურობას. მიუხედავად ამისა, ბოლო წამს ვიზიტი, როგორც ჩანს, უცხოელი მფლობელის მითითების საფუძველზე, ჩაიშალა.

VI დანართი ასახავს იმ დინამიკას, თუ როგორ ქმნის ტექნოლოგიური ცვლილება არათანაბარ შესაძლებლობებს რეალური ხელფასების გასაზრდელად და მიუთითებს იმ მრავალ ფაქტორზე, რომელთა ერთობლიობა ამ ეფექტს იწვევს. ის მოიცავს ეკონომიკური საქმიანობების ხარისხის კლასიფიკაციის სისტემას, ტაქსონომიას მათი შესაძლებლობების მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მაღალი ცხოვრების დონის შექმნა. ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები მოითხოვს და ქმნის ახალ ცოდნას, აყალიბებს რა ეკონომიკის დარგებს, რომლებსაც ცოდნისა და შემოსავლების მაღალი დონე ახასიათებთ. ამ ინდუსტრიებში შუმპეტერისეული და დინამიური არასრულყოფილი კონკურენცია დომინირებს – მაღალი ბარიერები, რისკები და სარგებელი. იგი სრულიად განსხვავდება სრულყოფილი კონკურენციის ან სასაქონლო კონკურენციისგან, რომლის მიხედვითაც ნედლეუ-

ლის ბაზარი მუშაობს. როგორც VI დანართის ინდექსშია ნაჩვენები, როდესაც ინოვაციები, პროდუქცია და პროცესები საკუთარ დროს მოჭამენ, მათი რეიტინგი ეცემა. სრულიად შესაძლებელია, რომ ის მახასიათებლები, რომლებიც ბეისბოლის ბურთის დამზადებას სიმდიდრის წარმოქმნის პოტენციალის კუთხით დაბალი ხარისხის საქმიანობად აქცევენ და ის მახასიათებლები, რომლებიც გოლფის ბურთის დამზადებას მაღალი ხარისხის საქმიანობად წარმოგვიდგენენ, ერთითა და იმავე კრიტერიუმით განისაზღვროს.

მას შემდეგ რაც რეალურ ხელფასებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა წარმოიშობა, მსოფლიო ბაზარი ღარიბ ქვეყნებს ავტომატურად გამოუძებნის ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ტექნოლოგიურად ვეღარ განვითარდება და შერჩებათ ისეთი არაკვალიფიციური მუშახელი, როგორც ეს ბეისბოლის ბურთების დასამზადებლადაა საჭირო. თუკი რომელიმე ეტაპზე ბეისბოლის ბურთების წარმოებაში ტექნოლოგიური გარღვევა მოხდება, ეს ღარიბ ქვეყნებს დიდად არ წაადგება. ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს. 1980-იან წლებში, ამერიკაში გასაყიდ ჩვეულებრივ ღამის პერანგზე შემდეგი ინფორმაცია იყო დატანილი: „ქსოვილი დამზადებულია შეერთებულ შტატებში, დაჭრილი და შეკერილია გვატემალაში“. ქსოვილის წარმოება საკმაოდ მექანიზებულია, ამდენად იგი ამერიკაში იყო დამზადებული. ამავე დროს, ქსოვილი მექანიკურად იჭრებოდა და ეს მცირე დასტებად უნდა გაკეთებულიყო, რათა თანაბარი ზომა და ხარისხი დაეცვათ. ქსოვილს იგივე იაფი მუშახელი ჭრიდა, რომელიც შემდგომ საკერავი მანქანით ღამის პერანგებს კერავდა. 1990-იანებში პერანგებზე ახალი წარწერა გამოჩნდა: „ქსოვილი დამზადებული და დაჭრილია შეერთებულ შტატებში, შეკერილია გვატემალაში“. ახალი ლაზერული ტექნოლოგიები უკვე

იძლეოდნენ დიდი ზომის დასტების მაღალი სიზუსტით ავტომატური დაჭრის შესაძლებლობას, შესაბამისად, იაფი მუშახელის საჭიროებაც მოიხსნა. გამომდინარე აქედან, ამერიკაში უკვე ქსოვილის დაჭრის რეპატრიაციაც შეიძლებოდა.

ამრიგად, წიგნის ამ ნაწილში აღწერილია იმ მექანიზმის მნიშვნელოვანი, მაგრამ უგულებელყოფილი ელემენტი, რომლის მეშვეობით, თავისუფალი ბაზარი სხვადასხვა ქვეყნების შემოსავლების უთანასწორობას შემცირების ნაცვლად ზრდის. ჯადოსნური ბაზარი მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებულ ასიმეტრიას კიდევ უფრო გაზრდის.

სინერგიები, კლასტერული ეფექტები და მათი არარსებობა

კლასტერული ეფექტები და სინერგიები მნიშვნელოვანია, მაგრამ ეკონომიკური საქმიანობები ისეთ სფეროებშიც მიმდინარეობს, სადაც ამგვარი ეფექტები საერთოდ არ არსებობს, ან მხოლოდ მცირე დოზით არის მოცემული. აშშ-ს მეზობელ ღარიბ ქვეყნებში ბეისბოლის ბურთების წარმოებას ადგილობრივი კლასტერული ეფექტი არ გააჩნია; წარმოებისთვის საჭირო ყველა მასალა ამერიკიდან მოდის. ბეისბოლის ბურთის რეზინის გული მისურის შტატში მდებარე ქარხანაში მზადდება, საკერავი ძაფი ვერმონტში, ხოლო ტყავი – ტენესიში.

სიმდიდრის განმაპირობებელი მესამე ფაქტორი, სინერგიული ეფექტები, იშვიათად ახასიათებს ისეთ წარმოებას, რომელსაც ჩვენ ღარიბ ქვეყნებს ვანდობთ. ძალიან ხშირად, ამგვარი ეფექტების არარსებობას მოთხოვნის სახე აქვს, ვინაიდან იმისთვის, რომ ამერიკაში იმპორტი არ დაიბეგროს, წარმოების ნედლეული ამერიკული უნდა იყოს. ამის მაგალითია აფრიკაში

ამერიკის მიერ დაფინანსებული ინდუსტრიალიზაციის პროცესი, როდესაც „აფრიკის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების აქტის“ მიხედვით, აფრიკელებს მათი არაკვალიფიციური მუშახელის საშუალებით დამზადებული პროდუქტების ამერიკაში ექსპორტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუკი წარმოებისთვის საჭირო ყველა ნედლეული ამერიკიდან იქნება შემოტანილი. აფრიკელებს ჰაიტელებთან კონკურენცია უწევთ, რათა წარმოება უფრო ღარიბად ყოფნით მიიზიდონ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტებით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა გამოიხატება მისი რეალური ხელფასების ზრდაში, მაშინ, როდესაც იგი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას ახერხებს. მესამე სამყაროს ქვეყნების უმეტესობაში ეს პირიქითაა: ხელფასები მცირდება, რათა საერთაშორისო დონეზე კონკურენციის გაწევა გახდეს შესაძლებელი.

სულ უფრო პოპულარული ხდება მოსაზრება, რომ მესამე სამყაროში სიმდიდრის გასაზრდელად უმნიშვნელოვანესი განათლებაა. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ჰაიტი, რომელიც არამექანიზებულ წარმოებაში – ტექნოლოგიურ ჩიხში – სპეციალიზდება, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება შემოსავლების ზრდას ვერ გამოიწვევს. ამგვარ ქვეყნებში, განვითარებულ მუშახელზე მოთხოვნა მინიმალურია. უფრო მოსალოდნელია, რომ განათლებამ მიგრაციისკენ მისწრაფებას შეუწყოს ხელი. განათლებაზე დაფუძნებული სტრატეგია მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როდესაც მას ისეთი ინდუსტრიული პოლიტიკა ერწყმის, რომელიც განათლებულ ადამიანებს ასაქმებს კიდეც, როგორც ეს აღმოსავლეთ აზიაში მოხდა. ბოლო 15 წლის გლობალიზაციის პროცესში მთავარი არის ის, რომ ამ ტიპის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დღევანდელ მდი-

დარ ქვეყნებში ხშირად ასობით წლის განმავლობაში იყო, მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აკრძალეს. მდიდარი ქვეყნებისგან დახმარების მისაღებად, ღარიბ ქვეყნებს მოუწიათ თავი შეეკავებინათ იმ პოლიტიკისგან, რომელსაც იყენებდნენ და ხშირად ახლაც იყენებენ მდიდარი ქვეყნები. ეს ვაშინგტონის ინსტიტუტების „მოთხოვნაა“.

ჩემი ესტონელი კოლეგების თქმით, ბერლინის კედლის დანგრევიდან მალევე, ყველაზე ტრიუმფალისტურ პერიოდში, ესტონეთში ჩასულმა მსოფლიო ბანკის მრჩევლებმა განაცხადეს, რომ მათი ქვეყნისთვის უმჯობესი იქნებოდა უნივერსიტეტების დახურვა. მათი თქმით, მომავალში ესტონეთს შედარებითი უპირატესობა ისეთ ეკონომიკურ დარგებში ექნებოდა, რომლებსაც უმაღლესი განათლება საერთოდ არ დაჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის არც ერთი ეკონომისტი დღეს ამას აღარ იტყვის და, მიუხედავად იმისა, რომ ესტონელებს ეს წინადადება არ გახარებიათ (მათი ტარტუს უნივერსიტეტი 1632 წელს დაარსდა), ამ რეკომენდაციაში ის რეალობა და პირდაპირობა ჩანდა, რომელსაც დღეს ვეღარ შევხვდებით. გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკური საქმიანობები ასე ძლიერ განსხვავდებიან ცოდნის გამოყენების კუთხით, ქვეყნისთვის მართლაც შესაძლებელია სპეციალიზდეს ისეთ სფეროებში, რომლებიც ცოდნასა და განათლებას არ მოითხოვენ. განათლების მნიშვნელობაზე საუბრით, მაშინ, როდესაც პარალელურად არ ხორციელდება ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც განათლებულ ადამიანებზე მოთხოვნას ქმნის – როგორც ამას ევროპა აკეთებს ბოლო 500 წელია – ვაშინგტონის ინსტიტუტები დამატებით ფინანსურ ტვირთს ჰკიდებენ ღარიბ ქვეყნებს. მათ საშუალებას აძლევენ დააფინანსონ ადამიანების განათლება, რომლებიც საბოლოოდ მხოლოდ მდიდარ ქვეყნებში იპოვიან

სამუშაო ადგილს. განათლების პოლიტიკას თან ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა ახლდეს, რომელიც უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებზე მოთხოვნას შექმნის.

ჩემი გამოცდილებით, განათლებული ჰაიტელების მოძებნა საკმაოდ ადვილია, კანადის ფრანგულენოვან ნაწილში ტაქსის მძღოლების მოძებნის მსგავსად. იამაიკელი ექიმების 82% საზღვარგარეთ მუშაობს. გაიანას უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის 70% ქვეყნის გარეთაა დასაქმებული. ჩრდილოეთ ამერიკული საავადმყოფოები ექთნებს ისეთი ღარიბი, ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან ისრუტავენ, როგორიც ტრინიდადია, ხოლო კარიბის ზღვის აუზის ბევრ ქვეყანაში, ჯანდაცვის სექტორი კუბელი ექთნების ხარჯზე ფუნქციონირებს. კუბელი ექთნების მიზიდვით, ამერიკა ფიდელ კასტროს საგადამხდელო ბალანსის პრობლემის მოგვარებაში ირიბად ეხმარება.

ის რომ, ღარიბ ქვეყნებში მცხოვრებ განათლებულ ადამიანებზე მოთხოვნაა და მათ მდიდარ ქვეყნებში ბევრად უკეთესად ცხოვრება შეუძლიათ, მათი ქვეყნების მთლიან სოციალურ სისტემას უქმნის საფრთხეს: სამშობლოს ყველაზე კომპეტენტურები და განათლებულები ტოვებენ. მიუხედავად იმისა, რომ იმ ფულის მოცულობა, რომელსაც ემიგრანტები საკუთარ ნათესავებს უგზავნიან, საკმაოდ დიდ კაპიტალს შეადგენს (ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ელ სალვადორი, ემიგრანტების ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის ყველაზე დიდი წყაროა), იგი უმეტესად მოხმარების სფეროში იხარჯება და არა ინვესტიციებში. გარდა ამისა, ჩემი ჰაიტელი კოლეგები ამბობენ, რომ ამერიკიდან და კანადიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები ადამიანებს უქრობენ მათხოვრულ (საათში 30 ცენტი) ანაზღაურებიზე მუშაობის სურვილს.

მაშასადამე, გლობალიზაციის მხარდამჭერი არგუმენტები,

ხშირად მის საწინააღმდეგო არგუმენტებად იქცევიან. ეკონომიკური ზრდის გამომწვევი მექანიზმების უკეთ შესწავლას იმის გაგებამდე მივყავართ, თუ რა იწვევს ქვეყნებსა და ინდივიდებს შორის ამ ზრდაზე ესოდენ არათანაბარ წვდომას. ლოგიკურად ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნის კონკრეტულ სიტუაციაზე უნდა იყოს მორგებული, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე ხდებოდა. მედიცინაში, ყველაფრის მკურნალი წამლები, რასაც ამერიკელები „გველის ზეთს" უწოდებენ, უბრალო შარლატანობად და სრულიად არამეცნიერულ მოვლენად ითვლება. მე-19 საუკუნეში, ერთ-ერთი ამერიკელი ეკონომისტი ინგლისელ კოლეგებს მსგავს თაღლითობაში ადანაშაულებდა, თითქოსდა ისინი ყველა ქვეყანას, მათი ეკონომიკური კონტექსტის მიუხედავად, ამგვარ ეკონომიკურ „გველის ზეთს" სთავაზობდნენ. ვაშინგტონის ინსტიტუტების მიერ ხელშეწყობილი გლობალიზაცია მარტივად შეიძლება დავადანაშაულოთ მსგავს მიდგომაში. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ „ერთი ზომის ყველაზე მორგების" მიდგომა, გაბატონებული ეკონომიკური თეორიის ბუნებრივი და გარდაუვალი შედეგია. მას არც კონტექსტი გააჩნია და არც ინსტრუმენტი, რომლითაც ნებისმიერ ტაქსონომიასა თუ კლასიფიკაციის სისტემაში თვისებრივი განსხვავებების დანახვას შეძლებდა.

შინაგანი ლოგიკა შეუცდომელია, მაგრამ როგორც თომას კუნი ამბობს: პარადიგმას ის კონცეპტუალური ინსტრუმენტები აკლია, რომლებიც საკვანძო, სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების ახსნაში დაგვეხმარებოდნენ.

ნაცვლად იმისა, რომ გლობალიზაციამ ზოგიერთ ქვეყანაში ფასებისა და ცხოვრების დონის გათანაბრება მოიტანოს (წარმოების ფაქტორების ფასის გათანაბრება), იგი ფასების პოლარიზაციას გამოიწვევს (წარმოების ფაქტორების

ფასის პოლარიზაცია). ვაშინგტონის ინსტიტუტების არგუმენტები გლობალიზაციის სასარგებლოდ სხვადასხვა წანამძღვრებს ეფუძნება, რომელთაგანაც ჩვენ ორი თეორია ვახსენეთ. პირველი, ესაა ვაჭრობის თეორია, რომელიც არ მოიცავს კაპიტალს. მეორე კი, ეკონომიკური ზრდის თეორიაა, სადაც კაპიტალიზმის ზრდის ძრავს – არა ცოდნა და ინოვაცია, არამედ თავისთავად კაპიტალი წარმოადგენს. თითქოს კაპიტალი, ანუ ფული, ავტომატურად განსხეულდება ადამიანის ცოდნაში. ეს თეორია უშვებს, რომ ყველას ერთნაირი ცოდნა აქვს („სრულყოფილი ინფორმაცია"), რომ არ არსებობს მასშტაბის ეკონომია (არანაირი ფიქსირებული ხარჯები) და რომ ახალი ცოდნა, რომელსაც მსოფლიოში ყველა ერთსა და იმავე დროს ეუფლება, უფასოა. აქ პარადოქსული ელემენტი, რომელიც თანამედროვე ეკონომიკის სქოლასტიკურ ბუნებას უსვამს ხაზს, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ვაჭრობით გამოწვეული ჰარმონიული შედეგების მისაღებად საჭირო დაშვება, ანუ წარმოების ფაქტორისა და ფასის გათანაბრება, წარმოადგენს იმავე დაშვებას, რომელსაც მივყავართ სიტუაციამდე, სადაც ნედლეულით ვაჭრობის გარდა არანაირი ვაჭრობა არ იარსებებდა. თუკი ჩვენ, ადამიანებს, გვექნებოდა ერთი და იგივე ცოდნა და არ იარსებებდა ფიქსირებული ხარჯები, მაშინ სპეციალიზაცია და ვაჭრობა (ნედლეულით ვაჭრობის გარდა) აზრს დაკარგავდა. როგორც ნობელის პრემიის ლაუარეატი, ჯეიმზ ბიუკენენი ამბობს: მოდელში, „რომელიც განურჩევლად გამოსაშვები პროდუქციისა, მოიცავს მასშტაბზე მუდმივ უკუგებას (რომელთაგან ყველა კერძოა), არ იარსებებს გაცვლა. ასეთ სისტემაში, ყოველი ადამიანი მთლიანი საზოგადოების მიკროკოსმი ხდება".[5]

გლობალიზაციის შესახებ დებატების პარადოქსები

ჩინეთის, ინდოეთისა და სამხრეთ კორეის შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა გლობალიზაციის წარმატების ნიმუშად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, არავინ სვამს კითხვას: დათანხმდნენ თუ არა ჩინეთი, ინდოეთი და სამხრეთ კორეა რეკომენდებული წამლის – მყისიერი ეკონომიკური ინტეგრაციის მიღებას? რა თქმა უნდა, პასუხი უარყოფითია. ქვეყნებს, რომლებმაც მსგავსი აბების მიღებაზე უარი განაცხადეს, მუდმივად იყენებენ გლობალიზაციის სიდიადის მაგალითად. სამივე, ჩინეთი, ინდოეთი და სამხრეთ კორეა, 50 წლის განმავლობაში მისდევდნენ იმ პოლიტიკის ალტერნატივებს, რომელსაც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ახლა უკრძალავს ღარიბ ქვეყნებს. თავის მხრივ, რუსეთი ის ქვეყანაა, რომელმაც პირნათლად განახორციელა რეკომენდებული შოკური თერაპია, რასაც დამანგრეველი შედეგები მოჰყვა. აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში ინდუსტრიული კომპანიები მანამდე დაიხურნენ, სანამ საკუთარი ხარჯების დააანგარიშებას შეძლებდნენ, როგორც ეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხდება.

გლობალიზაციის შესახებ მიმდინარე დებატი, სულ მცირე, ცივი ომის ბინარული კამათის გაგრძელებაა. ბაზარი კარგია, სახელმწიფო და გეგმარება ცუდი. დაგეგმარებული ეკონომიკები ჩამოიშალნენ, შედეგად, ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვივარაუდოთ, რომ ბაზარი თავისით გადაჭრის ყველა ჩვენს პრობლემას. „სხვა კანონის“ მიხედვით, ერის სიმდიდრე დამოკიდებულია იმაზე, რასაც ის აწარმოებს. ისტორიის ლაბორატორია გვიჩვენებს, რომ სიმეტრიული თავისუფალი ვაჭრობა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც განვითარების მეტნაკლებად თანაბარ დონეზე იმყოფებიან, ორივესთვის მომგებიანია. ასი-

მეტრიული თავისუფალი ვაჭრობა ღარიბ ქვეყანას სიღარიბეში, ხოლოს მდიდარს სიმდიდრეში სპეციალიზაციამდე მიიყვანს. თავისუფალი ვაჭრობიდან სარგებლის მისაღებად, ღარიბმა ქვეყანამ, უპირველეს ყოვლისა, თავი უნდა დააღწიოს მის საერთაშორისო სპეციალიზაციას სიღარიბეში. ბოლო 500 წლის განმავლობაში, სერიოზული საბაზრო ჩარევის გარეშე ეს არსად არ მომხდარა.

აზრთა სხვადასხვაობის მიზეზს თავისუფალი ვაჭრობის კონტექსტი და დროითი მიზანშეწონილობა წარმოადგენს – ის, თუ რა კონტექსტში ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკა. დღეს, თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება უმნიშვნელოვანესი იყოს ნორვეგიისთვის, მაშინ, როდესაც სხვა სიტუაციაში მყოფი ქვეყნისთვის ეს, შესაძლოა, სრულიად დამაქცეველი აღმოჩნდეს. ჩვენ ვნახავთ, რომ სინამდვილეში, მოკლევადიან პერსპექტივაში თავისუფალი ვაჭრობის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეები, იმავე დროს, გრძელვადიან პერსპექტივაში, თავისუფალი ვაჭრობისა და გლობალიზაციის ყველაზე თავგამოდებული მომხრეები არიან. ისინი იზიარებენ შეხედულებას, რომ სხვადასხვა სიტუაციას სხვადასხვა მიდგომა ესაჭიროება. დღევანდელი ეკონომიკური თეორია იმდენად აბსტრაქტულია, რომ მას არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს განსხვავებული ქვეყნების მდგომარეობა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ დღევანდელი ბაზარი და გლობალიზაციის ეიფორია რიგით უკვე მესამეა, რომელთაგანაც პირველი საფრანგეთში 1760-იან წლებში (ფიზიოკრატია) იყო, მეორემ კი პიკს 1840-იან წლებში მიაღწია. ფრანსუა კენე (1694-1744) ყველაზე მნიშვნელოვან ფიზიოკრატ ავტორად მიიჩნევა, რომელიც დღევანდელი ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი პირველი დამფუძნებელი მამაა . კენე პროფესიით ექიმი იყო და ლუი XV-ის კარზე მუშაობდა. ეს ჯერ კიდევ მაშინ ხდებოდა, როდე-

საც ეკონომიკის პოპულარული მეტაფორა ადამიანის სხეული იყო. მაშასადამე, სხეულის შესწავლიდან პოლიტიკური სხეულის შესწავლაზე გადასვლა, არც ისე არაბუნებრივი იყო, როგორც ეს შეიძლება დღეს ჩანდეს. კენეს პირველი მნიშვნელოვანი წიგნი, რამდენიმე ტომისგან შემდგარი 736 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც 1730 წელს გამოიცა, შეეხებოდა სისხლის გამოშვების პრაქტიკასა და ტექნიკას.[6] მაშინ ეს ხერხი დაავადებათა უმეტესობის საკურნებლად გამოიყენებოდა. კენესა და მისი თანამედროვეების თეორიას სისხლის გამოშვების შესახებ და მის ეკონომიკურ თეორიას, სულ მცირე, ორი რამ აქვთ საერთო: სავარაუდოდ ორივე მრავალ დაავადებას კურნავს, რომლებიც მთელი რიგი განსხვავებული მიზეზებითა და ფაქტორებითაა გამოწვეული, რომელთაც კენე არ ითვალისწინებს; ორივე მათგანი, თავისუფალი ვაჭრობა (გლობალიზაცია) და სისხლის გამოშვება რეალურად უწყინარია ჯანმრთელებისთვის, მაშინ, როდესაც სუსტებისთვის უკიდურესად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს. ძლიერ და განვითარებულ ქვეყანას, რომელსაც მყარი ინდუსტრია აქვს, ვერ დააზარალებს კენეს თეორია, რომელიც „ბუნებრივი" საბაზრო ძალების მმართველობას უშვებს. დასუსტებული ადამიანი სისხლის გამოშვებით შეიძლება მოკვდეს, მსგავსად იმისა, როგორც დღევანდელი ღარიბი ქვეყნები განიცდიან დეინდუსტრიალიზაციასა და მზარდ სიღარიბეს, „ბუნებრივი" საბაზრო ძალების მოქმედების შედეგად.

„უფსკრული მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ასახავს იმ ქვეყნების წარმატებას, რომლებმაც კარგად აითვისეს კაპიტალიზმი და იმ ქვეყნების მარცხს, რომლებმაც ეს არ გააკეთეს".

ეს სათაური ციტატაა მარტინ ვულფის, Financial Times-ის მოწინავე ეკონომიკური მიმომხილველის სტატიიდან, რომელიც 2003 წელს გამოქვეყნდა გავლენიან ამერიკულ ჟურნალში – For-

eign Policy. იგი ძალიან ნათლად და მოკლედ ხსნის თანამედროვე პოლარიზებული სამყაროს სტანდარტულ შეხედულებას სიმდიდრისა და სიღარიბის მიზეზებზე. ზოგიერთმა ქვეყანამ აირჩია კაპიტალიზმი და გამდიდრდა, სხვებმა კი განსხვავებული სისტემა არჩიეს და სიღარიბეში დარჩნენ. ჩვენი გადმოსახედიდან, რეალურად ვულფი მართალია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კაპიტალიზმს მისგან განსხვავებულად განვმარტავთ. კაპიტალიზმს, წარმოების სისტემის ამ ალტერნატიული განსაზღვრების მიხედვით, არასდროს მიუღწევია კოლონიებამდე ან სოფლის მეურნეობის სფეროებამდე.

ცივი ომის დაწყებასთან ერთად, კაპიტალიზმის ორი განსხვავებული განმარტება დამკვიდრდა. პირველი – „თავისუფალ სამყაროში“ კაპიტალიზმი თანდათან წარმოების საშუალებების კერძო მესაკუთრეობის სისტემად იქნა აღქმული, სადაც კომპანიების გარეთ კოორდინაცია მთლიანად ბაზარზე იყო მინდობილი. ეს იქცა განმარტებად, რომელიც გამორიცხავს რაიმე მინიშნებას წარმოებაზე; სანამ გაცვლა-გამოცვლას ცენტრალური დაგეგმარების გარეშე აწარმოებდა, ქვის ხანის ტომი „კაპიტალისტურად“ ითვლებოდა. მეორე – მარქსიზმში კაპიტალიზმი იყო სისტემა, რომელსაც საზოგადოების ორ კლასს – წარმოების საშუალებების მფლობელებსა და მშრომელებს – შორის ურთიერთობა განსაზღვრავდა. თუმცაღა, არსებობს კაპიტალიზმის მესამე განმარტებაც, რომელიც ცივ ომამდე იყო გაბატონებული და, რომელიც იმის გამო დაიკარგა, რომ სათანადოდ ვერ თავსდებოდა მემარჯვენე-მემარცხენე ღერძზე. თუ ჩვენ კაპიტალიზმის შესახებ გერმანელი ეკონომისტის, ვერნერ ზომბარტის განმარტებას გამოვიყენებთ – ნაცვლად იმისა, რომელიც ცივი ომის დროს იყო პოპულარული – მივხვდებით, რატომაა კაპიტალიზმი, დღევანდელი გაგებით, სისტემა, სადაც სიმდიდრეში ან სიღარიბეში სპეციალიზაცია არის შესაძლებელი.

ვერნერ ზომბარტი კაპიტალიზმს იმგვარ ისტორიულ დამთხვევას უწოდებს, სადაც მთელი რიგი გარემოებები აჩენს სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობას. მიუხედავად ამისა, იგი ნათლად ამბობს, რომ ეკონომიკური სიმდიდრე განზრახვის, გონიერი პოლიტიკის შედეგია. ზომბარტის მიხედვით, კაპიტალიზმის მამოძრავებელი ძალები, რომლებიც სისტემის ბაზისსა და შემდგომ პირობებს ქმნიან, არის შემდეგი:[7]

1. მეწარმე, რომელიც ნიცშეს „ადამიანური სულისკვეთებისა და ნების კაპიტალის“ განსახიერებაა. ადამიანი, როგორც ეკონომიკური აგენტი, რომელიც იჩენს ინიციატივას, აწარმოოს რაიმე ან ივაჭროს.

2. თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც ქმნის ინსტიტუტებს, რომლებიც შემდგომ იძლევიან წარმოებისა და გადანაწილების გაუმჯობესების შესაძლებლობას და აჩენს სტიმულებს, რომელთა საშუალებით მეწარმის პირადი ინტერესები, დიდწილად, საზოგადოებრივ ინტერესებს ემთხვევა. ინსტიტუტები მოიცავენ ყველაფერს – კანონმდებლობიდან ინფრასტრუქტურამდე, პატენტებიდან ახალ იდეებამდე. ისინი მოიცავენ სკოლებს, უნივერსიტეტებსა და საზომი ერთეულების სტანდარტიზაციასაც კი.

3. მექანიზებული პროცესი, ანუ ის, რაც დიდი ხნის განმავლობაში ინდუსტრიალიზმად მოიხსენიებოდა: წარმოების მექანიზაცია, რომელიც მასშტაბის ეკონომიისა და სინერგიების დროს ნაყოფიერების ზრდასა და ინოვაციებზე დამყარებულ ტექნოლოგიურ პროგრესს იწვევს. ეს კონცეფცია ძალიან ახლოს დგას იმასთან, რასაც ჩვენ დღეს „ეროვნული ინოვაციის სისტემას“ ვუწოდებთ.

კაპიტალიზმის ზომბარტისეულ განმარტებაში, მდიდარ ქვეყნებად ისინი ითვლებიან, რომლებიც „ინდუსტრიულ ხა-

ნაში“ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებს ბაძავდნენ. თუკი კაპიტალიზმს ასე განვმარტავთ, მაშინ სწორი გამოდის მარტინ ვულფის მტკიცება, რომ მდიდარია ქვეყანა, რომელიც შეუერთდა წარმოების იმ სისტემას, რასაც კაპიტალიზმი ჰქვია. მიუხედავად ამისა, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ვულფს ცივი ომის დროინდელი განმარტება უტრიალებდა გონებაში.

როდესაც ყველა ეს ელემენტი თავის ადგილზეა, კაპიტალიზმს, ფუნქციონირებისა და სრული განვითარებისთვის – ისევ და ისევ ზომბარტის მიხედვით – შემდეგი დამხმარე ელემენტები ესაჭიროება: კაპიტალი, შრომა და ბაზარი. ზომბარტის აზრით, ეს სამი რამ, რომლებიც სტანდარტული ეკონომიკის საფუძვლებს წარმოადგენენ, არა თავად კაპიტალიზმის მამოძრავებელი ძალები, არამედ მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალის დამხმარე ფაქტორები არიან. მამომოძრავებელი ძალების გარეშე, დამხმარე ელემენტები – კაპიტალი, შრომა და ბაზარი – აზრს კარგავენ. ორივე, კონსერვატორი შუმპეტერი და რადიკალი მარქსი თანხმდებიან, რომ ცალკე აღებული კაპიტალი, ინოვაციებისა და წარმოების გარეშე, სტერილურია. ადამ სმიტის ბარტერში მონაწილე ძაღლები ვერ შექმნიდნენ კაპიტალიზმს, თუნდაც მათ კაპიტალი, შრომა და ბაზარი ჰქონოდათ. ადამიანური სურვილისა და ინიციატივის გარეშე სამივე მათგანი უაზრო ცნებად იქცევა.

ღარიბი ქვეყნების საუბედუროდ, რიგმა მოვლენებმა კაპიტალიზმის ზომბარტისეული განმარტების დავიწყება გამოიწვია. ადამ სმიტმა ეკონომიკიდან ამოიღო წარმოება და ვაჭრობასთან ერთად სამუშაო საათებში შეიყვანა. შედეგად, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა აღქმული იქნა სისტემად, სადაც ყველა განუსაზღვრელ „სამუშაო საათებს“ უცვლიდა ერთ-

მანეთს, ტექნოლოგიების, მასშტაბის ეკონომიისა და სინერგიული ეფექტების გარეშე – საქმე, რომელსაც ყველა თავის ნებაზე უძღვებოდა – გზა გაეხსნა შეხედულებას, რომ თავისუფალი ვაჭრობა ყველასთვის სასარგებლო იყო. კაპიტალის, როგორც ასეთის, დამატებასაც კი არ მივყავართ კაპიტალიზმამდე. მიუხედავად ამისა, ზომბარტის მსგავსად, ამერიკელმა და კონტინენტური ევროპის ეკონომისტებმა, დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს ალტერნატიული ეკონომიკური ტრადიცია, რომელიც წარმოებაზე იყო აგებული.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეკონომიკის ფორმალიზების გზამ კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა ადამ სმიტის თეორიის სისუსტეები. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, სანამ ეკონომისტები გონივრულ და საკუთარ თავზე ორიენტირებულ მოდელებს ერთმანეთს უნაცვლებდნენ, ეკონომიკა კიდევ უფრო ჩაიკეტა საკუთარ თავში. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ შეძლო ზომბარტისეული კაპიტალიზმის მთავარი მამოძრაველი ძალების ფორმალიზება – ვერ შეძლო ეკონომიკური ინსტრუმენტებით ზომბარტის თეორიის ციფრებამდე და სიმბოლოებამდე დაყვანა – მან ეს თეორია უბრალოდ უგულებელყო. ეს იმ ეკონომიკური მოქმედების კიდევ ერთი მაგალითია, რომელიც მათემატიკური შემგუებლობის გზას მიუყვება და შინაარსს შორდება. სისხლის გამოშვების მსგავსად, გამარტივებული მოდელებით ღარიბები და სუსტები ზარალდებოდნენ. ინგლისურად, ან სხვა მშობლიურ ენაზე საუბრის ნაცვლად, ურთიერთობის ენა წმინდა მათემატიკური გახდა, რამაც მნიშვნელოვანი თვისებრივი ელემენტების დაკარგვა გამოიწვია: რაც უფრო „ზუსტი“ იყო მეცნიერება, მით უფრო „მეცნიერული“ ხდებოდა ის. ეკონომიკა გაიმიჯნა ისეთი „არაზუსტი“ სოციალური მეცნიერ-

ებებისგან, როგორიცაა სოციოლოგია, ხოლო მისი პრესტიჟი ფიზიკის მსგავს „ზუსტ“ მეცნიერებებამდე ამაღლდა. ეს იმის მიუხედავად, რომ ეკონომისტები იღებდნენ „ერთგვაროვნების პრინციპს“*, რომელიც ფიზიკამ ჯერ კიდევ 1930-იან წლებში მოიტოვა უკან. ეკონომისტებმა თანდათან დაკარგეს უნარი, ერთმანეთისთვის შეეფერებინათ სინამდვილე და თეორიული მოდელები და შეესწორებინათ ეს უკანასკნელნი, როდესაც ისინი ცალსახად ეწინააღმდეგებოდნენ რეალურ ცხოვრებას.[8] პერიფერიული ქვეყნები და რასები, რომელთაც არანაირი პოლიტიკური ძალაუფლება არ გააჩნდათ, ამ მოვლენის მსხვერპლად იქცნენ; ამერიკის მსგავს ქვეყნებში პოლიტიკოსებმა დაინახეს, რომ თეორიას ყურადღებას არავინ არ აქცევდა, როდესაც იგი მათი საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. შინ პრაგმატიზმი სუფევდა, გარეთ კი მაღალფარდოვანი თეორია.

თუ ამ ყველაფერს ისტორიის უცოდინარობასაც დავუმატებთ, მივიღებთ იმას, რასაც თორსტაინ ვებლენმა ინსტინქტების დაქვეითება უწოდა: არარელევანტურ განათლებას მივყავართ იმასთან კავშირის გაწყვეტამდე, რაც პრაქტიკული ადამიანებისთვის „საღ აზრად“ ითვლება. ფრიად საკვირველია, რომ 1991 წელს,[9] ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის კომიტეტმა ხაზი გაუსვა უნივერსიტეტების პრობლემას, რომლებიც „განათლებულ იდიტოებს“ წარმოშობდნენ: „უმაღლესი განათლების პროგრამებმა (ეკონომიკაში) შესაძლოა წარმოშვას სწავლული იდიოტების თაობა, რომელსაც ეცოდინება ტექნიკა, მაგრამ არ ექნება შეხება რეალურ ეკონომიკურ პრობლემებთან“.[10] ანგარიშის მიხედვით, ერთ-ერთ ანონიმურ „წამყვან“ უნივერსიტეტში, ზედა საფეხურის სტუდენტები ვერ ხვდე-

* იგივეა, რაც „ერთგვაროვნების ჰიპოთეზა“(მთარგმნელის შენიშვნა).

ბოდნენ, თუ რატომ გაიზარდა დალაქების შემოსავალი დროთა განმავლობაში, მაგრამ მათ მარტივად შეეძლოთ „გადაეჭრათ ორსექტორიანი საერთო წონასწორობის მოდელი, რომლის ერთ სექტორში ტექნიკური პროგრესი არ აღინიშნებოდა“.* ეს ეკონომისტების ის თაობა იყო, რომელიც ვაშინგტონის ინსტიტუტმა განვითარებად ქვეყნებს შეასია.

აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის ინსტრუმენტებს შორის ისეთი ელემენტები, როგორიცაა მეწარმეობა, ინიციატივა, სამთავრობო პოლიტიკა და მთლიანი ინდუსტრიული სისტემა, რომელიც ტექნოლოგიური პროგრესის, ინოვაციების, მასშტაბის ეკონომიებისა და სინერგიებისგან შედგება, შეუძლებელია რაოდენობრივად იყოს განსაზღვრული, ან ციფრებსა და სიმბოლოებამდე დაიყვანებოდეს. ერთადერთი, რაც ზომბარტის აზრით შესაძლებელია ციფრებში გამოისახოს დამხმარე ფაქტორებია: კაპიტალი, ბაზარი და სამუშაო ძალა. ფორმალურმა ნეოკლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიებმა შეწყვიტეს კაპიტალიზმის მამოძრავებელი ძალების კვლევა და მხოლოდ დამხმარე ფაქტორების შესწავლა დაიწყეს. როგორც ყოველთვის ხდება, პრაქტიკულ პოლიტიკას გარკვეული დრო დაჭირდა თეორიის დასაწევად. ეს კი მხოლოდ ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ გახდა შესაძლებელი. თავის წიგნში, რომელშიც გლობალიზაციას უჭერს მხარს, მარტინ ვულფი მართლაც ახსენებს ვერნერ ზომბარტს, მაგრამ იქვე, ერთი წინადადებით უგულებელყოფს მას, როგორც მარქსისტსა და ფაშისტს.[11]

ასე რომ, სტანდარტული ეკონომიკური თეორია მივიდა იქამდე, რასაც შუმპეტერი უწოდებს „გამარტივებულ წარმოდგენას

* ინგლისურ ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „disembodied technical progress“, რაც აღნიშნავს იმგვარ ტექნიკურ პროგრესს, რომელიც დამოკიდებულია გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე და არა ახალი მანქანა-დანადგარების დანერგვაზე (რაშიც განსხეულებულია ტექნიკური პროგრესი). (მთარგმნელის შენიშვნა).

იმის შესახებ, რომ კაპიტალი, როგორც ასეთი, კაპიტალიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალაა". დასავლეთს გაუჩნდა აზრი, რომ ღარიბ ქვეყანაში, სადაც არ არის წარმოება, სამთავრობო პოლიტიკა და ინდუსტრიული სისტემა, კაპიტალის შეტანით ისინი კაპიტალიზმის აშენებას შეძლებდნენ. ამის შედეგია ის, რომ დღეს, ფაქტობრივად, ფულს ვაჭმევთ იმ ქვეყნებს, რომლებშიც ამ ფულის მომგებიანად დაბანდება შეიძლებოდა, რომლებშიც წარმოების სისტემა არ არის, ვინაიდან მათ არ აქვთ უფლება მიჰყვნენ იმ ინდუსტრიულ სტრატეგიას, რომელიც დღეს ყველა მდიდარ ქვეყანას გააჩნია. განვითარებად ქვეყნებს ეძლევათ სესხი, რომლის მომგებიანად გამოყენებაც არ შეუძლიათ, შედეგად, განვითარების ფინანსირების მთლიანი პროცესი „ბედნიერების წერილებსა"* და პირამიდულ სქემას ემსგავსება.[12] ადრე თუ გვიან ეს სისტემა დაინგრევა და როდესაც ყველა საევაკუაციო გასასვლელს მიაწყდება, მისი არქიტექტორები, რომლებიც კართან ახლოს იდგებიან, სერიოზული ფინანსური მოგების მიღებას შეძლებენ, ხოლო ღარიბი ქვეყნები წაგებულები დარჩებიან. ეს არის იმ მექანიზმის ნაწილი, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ პირიქით ხდებოდეს, ხშირად ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში მსხვილი თანხების შედინებას იწვევს, რაც, გუნარ მირდალის თქმით, სიღარიბისთვის დამახასიათებელი – ე.წ. „საწინააღმდეგო ტალღის" ეფექტია.

აღსანიშნავია, რომ ზომბარტის განმარტებით, სოფლის მეურნეობა კაპიტალიზმის ნაწილად არ ითვლებოდა. კოლონიებს არიდებდნენ მრეწველობას (კოლონიისთვის მთავარი პირობა მრეწველობის არქონა იყო) ან აიძულებდნენ ერთსა და იმავე რამის კეთებას, რის გამოც ისინი სიღარიბისთვის იყვნენ

* წერილები, რომლებიც იგზავნება იმისთვის, რათა შემდგომ ადრესატებმა გადაამრავლონ და სხვებს გაუგზავნონ (მთარგმნელის შენიშვნა).

განწირულნი. კაპიტალიზმის ზომბარტისეული გაგებით სიღარიბის პრობლემა მკვეთრად განსხვავდება მარტინ ვულფის ხედვისაგან: აფრიკასა და სხვა ღარიბ ქვეყნებს არასდროს მისცემიათ უფლება ან შანსი განევითარებინათ კაპიტალიზმი, როგორც წარმოების სისტემა.

ზომბარტის განმარტება კაპიტალიზმის მამოძრავებელი ძალების შესახებ, საერთოდ არ გვხვდება კაპიტალიზმის იმ ორ განმარტებაში, რომლებიც ცივი ომისგან მემკვიდრეობით გვერგო. ლიბერალური განსაზღვრება არც მეწარმეს მოიცავს და არც სახელმწიფოს, არც მის დინამიკურ ინსტიტუტებს და არც ტექნოლოგიურ და სამანქანო [სამრეწველო. – მთარგმნ.] პროცესებს. ეს განმარტება კაპიტალიზმს უყურებს როგორც არა წარმოებას, არამედ როგორც სავაჭრო სისტემას, რაც ადამ სმიტის მიერ დამკვიდრებული გადაცდენაა; იგი აქცენტს ბაზარზე აკეთებს, რომელიც კოორდინაციას უწევს უკვე მზა ნაწარმს – გაცვლას და არა წარმოებას. როგორც უკვე ითქვა, მარქსისტული გაგება ფოკუსირებულია წარმოების საშუალებების ფლობაზე. რაც კაპიტალიზმის შესახებ ლიბერალურ ხედვასა და დღეს უკვე ზერელე მარქსისტულ ხედვას აერთიანებს, არის ის, რომ მემარცხენე-მემარჯვენე ღერძის ეს ორი საპირისპირო პოლუსი უგულებელყოფს მეწარმეს, სახელმწიფოს როლსა და თავად წარმოების პროცესს. „სხვა კანონის“ ხანგრძლივი (ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს ლიბერალიზმზე ბევრად უფრო ძველი) ეკონომიკური ტრადიცია, რომლის წარმომადგენელიც იყო ზომბარტი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გადაშენდა.

ტექნოლოგიური დინამიკა, ინოვაციები და არათანაბარი ეკონომიკური ზრდა

ყველა თანხმდება, რომ ახალი ცოდნა მთავარი ფაქტორია ჩვენი ცხოვრების დონის ასამაღლებლად. აზრთა სხვადასხვაობა თავს მაშინ იჩენს, როდესაც ამ პროცესმა მოდელის სახე უნდა მიიღოს. ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვიყენებთ ახსნას, რომელიც ჯოზეფ შუმპეტერის შეხედულებებს ეფუძნება. შუმპეტერისთვის ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალას გამოგონებები და ინოვაციები წარმოადგენდა, რომლებიც იქმნება მაშინ, როდესაც ეს გამოგონებები ბაზარზე ახალი პროდუქტებისა და პროცესების სახით ხვდება. ინოვაციები ქმნის მოთხოვნას საინვესტიციო კაპიტალზე და შეაქვს სიცოცხლე და ღირებულებები სტერილურ კაპიტალში. ბარტერში მონაწილე ძაღლების შესახებ ადამ სმიტის მეტაფორას რომ დავუბრუნდეთ, ძაღლებისთვის კაპიტალი მიწაში სამომავლო გამოყენებისთვის ჩაფლული ძვლები იქნებოდა. კაპიტალი მათთვის ვერ შექმნიდა მეტ ძვალს, ან -როგორც სასაქონლო ინოვაციას – დაკონსერვებულ ძაღლის საკვებს, ან კონსერვის ქილის გასახსნელებს. ეს ინოვაციები და მათ გამოსაყენებლად საჭირო ცოდნა, თეორიის მიღმა გაიტანეს, ანუ ეს ინოვაციები იქმნება იმის მიღმა (ეგზოგენურად), რის ახსნასაც სტანდარტული ეკონომიკური თეორია ლამობს. მთავარი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ახსნას ეკონომიკურმა თეორიამ ინოვაცია და ახალი ცოდნა (ანუ მოახდინოს ენდოგენურ ფაქტორებთან მისი დაკავშირება), „ერთგვაროვნების პრინციპის“ უარყოფის [ეკონომიკურ აქტივობათა. – მთარგმნ.], ჰეტეროგენურობის დაშვებისა და უკვე განხილული სხვა მთავარი ცვლადების მხედველობაში მიღებით.

ინოვაციები სხვადასხვა ფორმით და მასშტაბით გვევლინება.

პატარა ინოვაციის მაგალითია ფილმი „ყბები 4“, „ყბები 3-თან“ შედარებით. არსებობს უფრო დიდი ინოვაციებიც. მაგალითად, ტრანზისტორი, რომელმაც ელექტრომილაკების ბაზარი ჩამოშალა და მთელ ინდუსტრიაში ღირებულებათა ჯაჭვი შეცვალა, შექმნა რა უამრავი ახალი პროდუქტი, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ძალიან იშვიათად ხდება, როცა ინოვაციების დიდი ტალღა საზოგადოებას გადაუვლის და ტექნოლოგიურ განვითარებაში სერიოზულ წყვეტას ან შეფერხებას იწვევს. ადრეულ 1980-იან წლებში ინოვაციების ამ უზარმაზარ მოზღვავებას კარლოტა პერეზმა და ქრისტოფერ ფრიმანმა ტექნო-ეკონომიკური პარადიგმის ცვლილება უწოდეს.

ტექნო-ეკონომიკური პარადიგმის ცვლილება იმდენად ფუნდამენტურია, რომ იმ საზოგადო დანიშნულების ტექნოლოგიებსაც ცვლის (მაგალითად, ორთქლის ძრავა ან კომპიუტერი), რომლებიც მთლიანი წარმოების სისტემის საფუძველს წარმოადგენენ. ამ გაგებით, პარადიგმის ცვლილება ძალიან ჰგავს ჩვენ მიერ განხილულ ტექნოლოგიურ ძვრას, რომელიც ქვის ხანის დასრულებისას მოხდა, როდესაც ადამიანის იარაღების დასამზადებლად ქვა სპილენძმა და ბრინჯაომ ჩაანაცვლეს. საბაზისო ტექნოლოგიებში ამგვარი ძვრა, ინდუსტრიის, ფაქტობრივად, ყველა სფეროში ღირებულებათა ჯაჭვის შეცვლას იწვევს, როგორც ეს ორთქლის ძრავამ და კომპიუტერმა გააკეთეს. ამ ინოვაციებს იქამდე მივყავართ, რასაც შუმპეტერმა „შემოქმედებითი განადგურება“ უწოდა: წინ მოდის ახალი ინდუსტრიული დარგები უამრავი ახალი პროდუქტით, მაშინ, როდესაც მოთხოვნის სრულიად შეცვლილი სტრუქტურის გამო ძველი მტკიცე ინდუსტრიები კვდებიან და თითქმის ყველა ინდუსტრიის წარმოების პროცესში რადიკალური ცვლილებები ხდება. ეკონომიკური განვითარება სულ უფრო მეტად იცვლება ერთი სახეობის პროდუქტიდან, მაგალითად, ცხენებზე შებმული

ეტლიდან, უფრო და უფრო ახლისკენ, მაგალითად, მანქანებისკენ. ცვლილებას განიცდის წარმოების სტილიც, მაგალითად, კუსტარული მრეწველობიდან ქარხნულზე გადასვლა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობა მე-20 საუკუნემდე არ წარმოადგენდა ამ პარადიგმული ცვლილების ნაწილს. ამ დარგში ზოგადად ნელი ზრდა იყო; წარმოების აფეთქება მხოლოდ ინდუსტრიებში შეიმჩნეოდა. კარლოტა პერეზის თქმით, ამგვარი რადიკალური ტექნოლოგიური ცვლილება, თავის მხრივ, დამკვიდრებული წარმოდგენების ცვლილებასაც იწვევს. მალევე მას შემდეგ, რაც ქალებმა და კაცებმა სახლის ნაცვლად უზარმაზარ ქარხნებში დაიწყეს მუშაობა, რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება სამედიცინო მომსახურების მიმართაც. უკვე აღარ იბადებოდნენ, მკურნალობდნენ და იხოცებოდნენ სახლში, ვინაიდან საავადმყოფოებმა – დიდი ქარხნების მსგავსმა – ეს ფუნქციაც შეითავსეს.

ამასთან ერთად, გარემოსდაცვითი პრობლემებიც შეიცვალა: გვიანდელ მე-19 საუკუნეში დიდი ოდენობით ცხენის ჩონჩორიკი საფრთხეს წარმოადგენდა ქალაქის მცხოვრებლების ჯანმრთელობისთვის; ახლა იმავე როლს მანქანის გამონაბოლქვი ასრულებს. საწყის ეტაპზე, ეს ინოვაციები უცხო ელემენტების სახით ჩნდებიან ძველ სისტემაში, ქმნიან რა შეუთავსებლობას ძველ ინსტიტუტებსა და ახალი ტექნოლოგიების საჭიროებებს შორის. ინერცია ამ ცვლილებების პროცესს ანელებს; ჩვენ არ ვივიწყებთ ძველს სწრაფად, რომ სიახლეს ადგილი გავუთავისუფლოთ. ამასთან, ძველ და ახალ თაობებს შორის ცოდნის არათანმიმდევრული გაცვლა ასევე ანელებს რადიკალური ტექნოლოგიური ცვლილებების სიჩქარეს. ფრიდრიხ ნიცშე ფრიად პოეტურად აღწერს საერთაშორისო ინერციას, სადაც ჯერ იდეები და შეხედულებები იცვლებიან, შემდეგ კი – ჩვენი ინსტიტუტები. „ინსტიტუტების დაშლა აზრების ცვლილებასთან

ერთად არ ხდება, პირიქით, ახალი იდეები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ მათი წინამორბედების მიტოვებულ და ერთობ უცნაურ სახლში, რომელსაც უფრთხილდებიან, ვინაიდან თავშესაფარი ესაჭიროებათ".[13]

ქვისა და ბრინჯაოს ხანების მსგავსად, შესაძლოა ტექნო–ეკონომიკური პარადიგმა ცხოვრების დონის ამაღლების ახალ და რადიკალურად განსხვავებულ გზად მივიჩნიოთ. თითოეული ეპოქის დასასრულს ნათელი ხდება, რომ ძველი ტექნოლოგიური ტრაექტორია „გადამწვარია" და მან უკვე მიაღწია იმას, რისი მიღწევაც შეეძლო. როდესაც სრულყოფილი ქვის ცული დამზადდა, ქვის ხანის დასასრული შესაძლოა შეცდომით მიეჩნიათ „ისტორიის დასასრულად." რადიკალური გარდაქმნების გარეშე პროგრესი შეუძლებელია.

თანამედროვე ისტორიაში ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ ცხოვრების დონის ამაღლების ხუთი ასეთი გზა. მათგან თითოეული დიდი ხნის განმავლობაში დომინირებდა. ქრისტოფერ ფრიმანისა და კარლოტა პერეზის სქემატური ნახაზი მომდევნო გვერდზეა წარმოდგენილი.[14]

ნებისმიერი პარადიგმის ფუნდამენტური მახასიათებელი არის ახალი შეუზღუდავი რაოდენობის იაფი რესურსი მუდმივად კლებადი ფასით. სწორედ ამას ვხედავთ დღეს მიკროელექტრონიკის შემთხვევაში. ის, რაც ტექნო-ეკონომიკური პარადიგმის ცვლილებას განსაკუთრებულს ხდის, რაც მას ასხვავებს სხვა დიდი ინოვაციებისგან – ინოვაციების უზარმაზარი ტალღებია, რომლებიც საზოგადოებას ეკონომიკის სფეროს მიღმა გარდაქმნიან. ეს პერიოდული გარდაქმნები ჩვენს შეხედულებებსაც კი ცვლიან, მაგალითად, გეოგრაფიასა, ან ადამიანურ დასახლებებზე. ინდუსტრიალიზმა ჩვენი პოლიტიკური სტრუქტურაც შეცვალა, იგივეს აკეთებს მასობრივი მრეწველობის შემცირება. მსოფლიოს ძალაუფლებრივი ურთიერთობების ცვლილებაც

პარადიგმული გარდაქმნების დროს იწყება; ერთი პარადიგმის ქვეშ მყოფი ეკონომიკური ლიდერები მომდევნო ჯერზე ასეთებად ვერ დარჩებიან. ბრიტანეთმა საკუთარი ძალაუფლების მწვერვალს ორთქლისა და რკინიგზის პარადიგმის დროს მიაღწია, გერმანია და აშშ ელექტროობისა და მძიმე მრეწველობის ეპოქაში დაწინაურდნენ, მაშინ, როდესაც აშშ, უპირობო ლიდერად, ფორდიზმის პერიოდში ჩამოყალიბდა.

პარადიგმის ცვლილების დროს ყველაზე მნიშვნელოვან საბაზისო მოვლენად ძირითად ინდუსტრიაში „წარმოების აფეთქება" ითვლება. ილუსტრაცია 6 პირველი ტექნო-ეკონომიკური პარადიგმის დროს ბამბის რთვაში „წარმოების აფეთქებას" აჩვენებს. კოლონიალიზმის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ იმ ინდუსტრიების არსებობა, რომლებსაც ამგვარი წარმოების აფეთქება ახასიათებთ, კოლონიებში არ უნდა დაუშვან. ისტორიულად, ყველა ქვეყანაში ამგვარი წარმოების აფეთქების მქონე ინდუსტრიის დასანერგად ბევრი არგუმენტი (არგუმენტები პარადიგმის შემცვლელი ინდუსტრიების ტარიფებით დაცვისთვის) მოიძებნებოდა. ეს ინდუსტრიები მზარდი მოსახლეობის დასაქმებას ახერხებდნენ, ზრდიდნენ ხელფასებს, აგვარებდნენ საგადამხდელო ბალანსის პრობლემას და ზრდიდნენ ფულის მიმოქცევას. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგი ოსტატები, ხელოსნები და ქარხნების მფლობელები უფრო მეტ გადასახადს იხდიდნენ, ვიდრე ფერმერები, რომლებიც, როგორც წესი, ღარიბთა ფენას მიეკუთვნებოდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბენჯამინ ფრანკლინიდან აბრაამ ლინკოლნამდე ყველა ამბობდა, რომ მრეწველობის არსებობა რესურსებს უიაფებდა ფერმერებს. მართლაც, მწარმოებლურობის ასეთი აფეთქებები შრომით ბაზარზე, როგორც მაღალი ხელფასების და დაბალი ფასების სახით განივრცობოდა. ამგვარი ორმაგი ეფექტი მართლაც გასაოცარია.

ისტორიული ტექნო-ეკონომიკური პარადიგმები

პეროიდი	პერიოდის დასახელება	მნიშვნელოვანი ინდუსტრიები	იაფი რესურსები	ინფრასტრუქტურა
1770-1840	ადრეული მექანიზაცია	ტექსტილი მატყლი	ჰიდროენერგია ბამბა	არხები გზები
1830-90	ორთქლის ტურბინა რკინიგზა	რკინა სატრანსპორტო გადაზიდვები	ორთქლი ქვანახშირი	რკინიგზა ორთქლმავალი გემები
1880-1940	ელექტროობა და მძიმე ინდუსტრია	ელექტრო დანადგარები ქიმიური ინდუსტრია	ელექტროობა ფოლადი	გემები გზები
1930-90	მასობრივი წარმოება (ფორდიზმი)	ავტომობილები სინთეტიკური მასალები	ნავთობი	გზები, თვითმფრინავები, საკაბელო ხაზები
1990-?	ინფორმაცია და კომუნიკაცია	ინფორმაციული ტექნოლოგიები/ კომპიუტერული პროგრამები ბიოტექნოლოგიები	მიკროელექტრონიკა	ციფრული კავშირგაბმულობა თანამგზავრები



წყარო: კარლოტა პერეზი, ტექნოლოგიური რევოლუციები და ფინანსური კაპიტალი. ბუშტებისა და ოქროს პერიოდების დინამიკა, Cheltenham, 2002; გამოთვლები დევიდ ჯენკინსის მიერ, ქსოვილის ინდუსტრიები, ინდუსტრიული რევოლუციის მე-8 ტომი, ოქსფორდი, 1994.

ილუსტრაცია 6. ადრეული წარმოების აფეთქება

პარადიგმის ცვლილების გავლენა ხელფასებზე ნორვეგიაში, იალქნიანიდან ორთქლისძრავიან გემებზე გადასვლის მაგალითზე შეგვიძლია აღვწეროთ. ნორვეგიის სტატისტიკის 1900 წლის არქივის მიხედვით, 1895 წელს შემდეგი თვიური ხელფასები ფიქსირდებოდა:

აფრიანი გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე	69 კრონი თვეში
ორთქლმავალი გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე	91 კრონი თვეში
ორთქლმავალი გემის ინჟინერი	142 კრონი თვეში

მიუხედავად იმისა, რომ იალქნიანი გემის მართვა, ორთქლისძრავიანზე უფრო მეტ უნარს მოითხოვდა, ორთქლისძრავიან გემზე კაპიტნის პირველი თანაშემწის ხელფასი 30 პროცენტით უფრო მაღალი იყო, ვიდრე იალქნიანზე, ხოლო ინჟინრის ხელფასი ორჯერ აღემატებოდა იალქნიანი გემის კაპიტნის თანაშემწისას. მაშასადამე, ორთქლისძრავიანი გემის მფლობელმა, რომელმაც გარისკა და წარმატებას მიაღწია, ამით ხელი შეუწყო მის მშობლიურ ქალაქში ხელფასების ზრდას. ამ გაზრდილ ხელფასებს, მისი გემის მეზღვაურები და მათი ოჯახები ადგილობრივ ბაზარზე დახარჯავდნენ და მოხმარების დონის ზრდას შეუწყობდნენ ხელს. ამ მხრივ, ახალი ტექნოლოგიების დახმარებით – ამ შემთხვევაში საზღვაო ტრანსპორტირებით – გასამრჯელო გაეზრდებოდათ მცხობელებს, დურგლებსა და სხვა ხელოსნებს, თვით დალაქებსაც კი, რაც მათ ფულის უფრო ნაყოფიერ ტექნოლოგიებში ჩადების შესაძლებლობას გაუჩენდა. საზოგადოების მიერ მრეწველობიდან მიღებული სარგებელი, სინამდვილეში, მეწარმის მიერ ფულის შოვნის უნებლიე შედეგია. ისინი, ვინც ახალი ტექნოლოგიის დანერგვით ფინანსურ მოგებას ნახულობენ, უფრო დიდ როლს თამაშობენ ქვეყნისთვის, ვიდრე

გემის მფლობელი, რომელმაც სავარაუდოდ უფრო მეტი ფული იშოვა იალქნიანი გემების ინდუსტრიის გადარჩენით. ეს ის მარტივი პრინციპებია, რომელსაც ინგლისის მეფე ჰენრი VII-მ 1485 წელს, ტახტზე ასვლისას გააცნობიერა, მსგავსი რამ ირლანდიასა და ფინეთში ბოლო 20 წლის განმავლობაში ხდება.

წარმოების აფეთქება, ერთ ინდუსტრიაში პროდუქტიულობის უკიდურესად ზრდა კატაპულტის როლს ასრულებს, სწრაფად ზრდის რა ცხოვრების დონეს. თუმცა, ჩვენი ცხოვრების დონე ორი განსხვავებული გზით შეიძლება გაიზარდოს: ჩვენ გავმდიდრდებით გაზრდილი ხელფასების ხარჯზე, ან იმ ნივთების გაიაფებით, რომელსაც ვყიდულობთ. როდესაც ჩვენ ფასების კლების გამო ვმდირდებით, მე ამას „კლასიკურ“ მოდელს ვუწოდებ, ვინაიდან ეს ის ერთადერთი რამ არის, რასაც ნეოკლასიკოსი ეკონომისტები ვარაუდობენ. სინამდვილეში, ვითარება ბევრად უფრო რთულია.[15] ალტერნატიულ მოდელს შეგვიძლია „თანამზრახველური“ მოდელი ვუწოდოთ, ვინაიდან ტექნოლოგიური განვითარების მიღწევები განაწილებული აქვთ ა) მეწარმეებსა და ინვესტორებს; ბ) მუშებს; გ) დანარჩენ შრომით ბაზარს; დ) სახელმწიფოს – ფართო საგადასახადო ბაზის სახით. ეს ყველაფერი დაწვრილებით შესწავლას საჭიროებს:

ა) იმ ინვესტიციების რეალური მიზანი, რომელსაც პროდუქტიულობის განვითარებამდე მივყავართ, როგორც წესი, ფულის შოვნაა, შედეგად, ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმატებული ინვესტიცია პროდუქტიულობის ზრდის ნაწილს მოგებად გადააქცევს. ამიტომაცაა, რომ მოწინავე, წარმატებულ მეწარმეებს მაღალი მოგება ხვდებათ, რომელიც შემდეგ მცირდება, ვინაიდან, როგორც წესი, საქმეში მიმბაძველები ერთვებიან.

ბ) ზემოთ მოყვანილი მაგალითის – იალქნებიდან ორთქლისძ-

რავაზე გადასვლის მსგავსად, პროდუქტიულობის ზრდა, გარკვეულწილად, ამ ინდუსტრიაში დასაქმებულთა ხელფასების ზრდასაც იწვევს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ახალი საჭირო უნარების მქონე ადამიანების შეზღუდული რაოდენობით ან ძლიერი პროფკავშირებით. ჰენრი ფორდის მსგავსად, რომელმაც 1914 წელს თავის მუშებს ხელფასები გაუორმაგა, ზოგჯერ შეიძლება გამოჩნდეს განსწავლული მენარმე, რომელიც საკუთარ მუშაში მომხმარებელსაც დაინახავს, შესაბამისად, ის დაინტერესებული იქნება, რომ მისმა მუშებმა უფრო მეტი გამოიმუშაონ. რა თქმა უნდა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგალითად, მწარმოებლურობის აფეთქებისას) ხდება, რომ სამრეწველო ფირმა ხელფასების გაორმაგების შემდეგ პოზიციებს ინარჩუნებს.

გ) როგორც ინგლისის მეფე ჰენრი VII-მ შენიშნა, ახალი ტექნოლოგია მთლიან ადგილობრივ (და ეტაპობრივად ეროვნულ) შრომით ბაზარზე გავრცელდება ტექნოლოგიურად განვითარებულ ინდუსტრიებში გაზრდილი მსყიდველობითი უნარის სახით. ამასთან, ტექნოლოგიები ზრდის მსყიდველობით უნარს სხვა სექტორებშიც, რადგან, როგორც წესი, შრომით ბაზარზე სხვადასხვა ინდუსტრიების ხელფასებს შორის განსხვავება ლიმიტირებულია. ხელფასების ზრდა წარმოების აფეთქების მქონე სექტორში, ავტომატურად გამოიწვევს მთლიანი შემოსავლების ზრდას. დალაქების პროდუქტიულობა არისტოტელეს დროიდან მოყოლებული ოდნავ თუ გაიზარდა, მაგრამ მათი ხელფასები ინდუსტრიულ ქვეყნებში, რიგი მწარმოებლურობის აფეთქებების გამო, მეტნაკლებად ინდუსტრიული მუშების შემოსავლების მსგავსად იცვლებოდა. ქვეყნებში, სადაც წარმოება არ გაზრდილა, დალაქები მათი თანამემამულეების მსგავსად სიღარიბეში

დარჩნენ. დღეს, ფილარმონიის ორკესტრი შოპენის „წუთიერ ვალსს“ იმაზე ეფექტურად არ უკრავს, ვიდრე თავად შოპენის დროს. მიუხედავად ამისა, მუსიკოსების ხელფასები მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაცვლის პირობები, ერთი მხრივ, თმის შეჭრასა და მუსიკას, ხოლო, მეორე მხრივ, ინდუსტრიულ ნაწარმს შორის, საგრძნობლად გაუმჯობესდა დალაქებისა და მუსიკოსების სასარგებლოდ. ეს ის სექტორებია, რომელთგანაც ერთს წარმოების ზრდა არ ახასიათებს, მაშინ, როდესაც მეორეში მწარმოებლურობის აფეთქებაა. იმავე ვარცხნილობისა და ვალსის სანაცვლოდ, მდიდარ ქვეყნებში დალაქები და მუსიკოსები იმაზე მეტ ინდუსტრიულ ნაწარმს ყიდულობენ, ვიდრე 200 წლის წინ შეეძლოთ. ამავე დროს, ღარიბ ქვეყნებში დალაქები და მუსიკოსები – თუნდაც ისინი ისეთივე ეფექტურები იყვნენ, როგორც მათი კოლეგები მდიდარ ქვეყნებში – კვლავ სიღარიბეში რჩებიან. მსგავსი რამ ახასიათებს პროფესიების უმეტესობას, განსაკუთრებით კი მომსახურების სფეროს: მშრომელები ღარიბ ქვეყნებში ისეთივე მარჯვეები არიან, როგორც მდიდარ ქვეყნებში, მაგრამ მათ ანაზღაურებებს შორის სხვაობა გიგანტურია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ის, რასაც „ეკონომიკურ განვითარებას“ ვუწოდებთ, მონოპოლიური რენტაა მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოებასა და მომსახურებაზე. ამ მხრივ მდიდარი ქვეყნები ერთმანეთს ბაძავენ და ეჯიბრებიან ერთი მწარმოებლურობის აფეთქებიდან მეორეზე გადახტომაში.

დ) რობინ ჰუდის თავგადასავალის ანიმაციურ ვერსიაში, ღარიბი ფერმერებისგან საგადასახადო შემოსავლების გაზრდის მიზნით, ნოტინგემის შერიფი მათ პირდაპირი მნიშვნელობით თავდაყირა ჰკიდებს და იქამდე ანჯღრევს, სანამ ჯიბიდან

უკანასკნელი პენი არ გადმოუვარდებათ. ევროპელ ფინანსთა მინისტრებს დიდი დრო არ დასჭირდათ იმის გასაგებად, რომ მაღალი შემოსავლების მისაღებად, ბევრად უფრო მარტივი გზა სამრეწველო ინდუსტრიის მიზიდვით საგადასახადო ბაზის გაზრდა იყო. დანადგარებთან მომუშავე ადამიანების პროდუქტიულობა საგრძნობლად გაიზარდა და მათ უკვე იმათზე მაღალი გადასახადის გადახდა შეეძლოთ, ვინც ყანებში მუშაობდა. ამასთან, ფინანსთა მინისტრებს გაუჩნდათ ფული მდიდარი ქვეყნების საწარმოო სისტემის მისაბაძად, რათა ინდუსტრიალიზაცია დაეწყოთ. მუდმივად მზარდი საგადასახადო ბაზისის მეშვეობით, მდიდარმა ქვეყნებმა მათი სოციალური დაცვის სისტემის, ინფრასტრუქტურის, განათლებისა და ჯანდაცვის სექტორების გაძლიერება მოახერხეს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები „თანამზრახველურ მეთოდს“ ქმნიან და ხსნიან, თუ რატომ გაიზარდა ხელფასები ინდუსტრიულ ქვეყნებში (გახშირებული მწარმოებლურობის აფეთქებებით) ღარიბ სახელმწიფოებთან (კოლონიებთან) შედარებით. მართალია ისინი დღეს თეორიულად დამოუკიდებელ ქვეყნებად ითვლებიან, მაგრამ სინამდვილეში, ვაშინგტონის ინსტიტუტების „მოთხოვნებით“, მათ ისევე ეკრძალებათ მდიდარი ქვეყნების მსგავსი ემულაციის სტრატეგიების გამოყენება, როგორც მაშინ, როცა კოლონიები იყვნენ. „ბუნებრივად მდიდარი“ სახელმწიფოების – ვენეციის, ჰოლანდიისა და სოფლის მეურნეობის არმქონე პატარა ქალაქ-სახელმწიფოების შემდეგ შეუძლებელია ისეთი ქვეყნების მაგალითების დასახელება, სადაც სამრეწველო სექტორი მიზნების წინასწარი, ხანგრძლივი განსაზღვრისა და გადამამუშავებელი სექტორის მხარდაჭერისა და/ან პროტექციის გარეშე ჩამოყალიბდა. ადამ სმიტი მის მთავარ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ ერთადერთხელ ახსენებს „უხილავ ხელს“,

როცა ის ხოტბას ასხამს „ნავიგაციის აქტით“ განსაზღვრულ ინგლისის მაღალ სატარიფო პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ამ წარმატებული პროტექციონისტული პოლიტიკის შემდეგ, ინგლისელ მომხმარებლებს თითქოს უხილავმა ხელმა უბიძგა ინგლისური სამრეწველო პროდუქციის ყიდვისკენ. რეალურად, მაღალი ტარიფები უხილავმა ხელმა მაშინ ჩაანაცვლა, როცა, დიდი ხნის შემდეგ, გადამამუშავებელი მრეწველობა საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი გახდა. ამ გაგებით, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ ადამ სმიტი მერკანტილისტი იყო, რომელსაც არასწორად გაუგეს. ამასთან, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფალი ვაჭრობის დროის სწორად შერჩევა იყო. აღსანიშნავია, რომ ჰენრი VII-სა და ადამ სმიტს ერთმანეთისგან სამასწლოვანი ინტენსიური სატარიფო პროტექცია აშორებს.

კოლონიალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური სისტემაა, რომელიც ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას გულისხმობს. ნაკლებად მნიშვნელოვანია თუ რომელი პოლიტიკური სარჩულით ხდება მისი განხორციელება – პირობითი დამოუკიდებლობითა და „თავისუფალი ვაჭრობით“, თუ მათ გარეშე. ყველაზე საინტერესო ის არის, თუ რა მიმართულებით მიედინება კონკრეტული სახეობის საქონელი. ზემოთ ნახსენებ კლასიფიკაციის სისტემას რომ დავუბრუნდეთ: კოლონიები არიან ქვეყნები, რომლებიც წამგებიან ვაჭრობაში სპეციალიზდებიან, გააქვთ რა ნედლეული და შემოაქვთ მაღალტექნოლოგიური საქონელი, იქნება ეს ინდუსტრიული პროდუქცია თუ ცოდნატევადი მომსახურების სექტორი. მოგვიანებით – იმ ნაწილში, სადაც ახსნილია თუ რატომ ვერ გამდიდრდებიან ის ქვეყნები, რომლებიც მხოლოდ ნედლეულს აწარმოებენ – ჩვენ ვნახავთ, რომ მდიდარი (მექანიზებული) და კოლონიური (არამექანიზე-

ბული) ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პროდუქტების გარჩევა სოფლის მეურნეობის სფეროშიცაა შესაძლებელი.

ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობაში შემოსავლებს შორის მსგავსი განსხვავება მდიდარ ქვეყნებშიც გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმ დროს ჯერ კიდევ ფერმერი იყო, დიდი ხნის განმავლობაში მარქსისა და ადრინდელი სოციალისტების ნაშრომებში მათზე ცოტა რამ იწერებოდა. ყველაზე მძიმე სიღარიბეში ინდუსტრიული სფეროს მუშები იმყოფებოდნენ. ურბანული სიღარიბე ხშირად სოფლისაზე ბევრად უფრო ამაზრზენი სანახავია. რამდენადაც მზარდი პოლიტიკური მხარდაჭერის ფონზე მუშებს უფრო მაღალი ხელფასების მოთხოვნა შეეძლოთ, იმის გამო, რომ უკვე გაზრდილი ინდუსტრიული წარმოებით იხეირეს, ფერმერები მათ ეკონომიკურად ჩამორჩნენ. ინდუსტრიას და მასთან ერთად მუშებსაც უზარმაზარი საბაზრო ძალაუფლება მფარველობდა, რაც მათ ფასების გაზრდისა და „სრულყოფილი კონკურენციის" თავიდან აცილების საშუალებას აძლევდა. ინდუსტრიალიზმი გადაიქცა იმად, რასაც ჯონ ქენეთ გელბრაიტი „გამათანაბრებელ ძალებს"* უწოდებს, რომელიც ასახავს სისტემას, სადაც დოვლათს, შრომისა და საქონლის ბაზარზე არსებული ერთობ არასრულყოფილი კონკურენცია ქმნის. ინდუსტრიალიზმი იყო სისტემა, რომელიც კაპიტალისტების, მუშებისა და სახელმწიფოს მიერ რენტაზე სამმაგ ორიენტირებას ეფუძნებოდა. ეკონომიკის სახელმძღვანელოებში სრულყოფილი კონკურენცია მხოლოდ მესამე სამყაროში არსებობდა.

დაახლოებით 1900 წელს, ევროპის კეთილდღეობის სისტე-

* „გამათანაბრებელი ძალები" (countervailing powers) ტერმინია, რომელიც ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ ქენეთ გელბრაიტმა დაამკვიდრა და გულისხმობს, საბაზრო ძალაუფლების დამაბალანსებელ ეკონომიკურ აგენტებს. მაგალითად, დამსაქმებელთა ასოციაციების ძალაუფლებას აბალანსებს პროფესიული კავშირები (მთარგმნელის შენიშვნა).

მამ და ინდუსტრიის სამმაგმა გამათანაბრებელმა ძალამ უამრავი ინდუსტრიული მუშის ცხოვრება გააუმჯობესა. თანდათან ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ არა მარტო ინდუსტრიული მუშების ექსპლუატაცია იყო შესაძლებელი, არამედ მეტიც – ქალაქებს შეეძლოთ ფერმერების ექსპლუატაცია. ამან საფუძველი დაუდო მოსაზრებას, რომ ფერმერების შემოსავალი ასევე დაცული უნდა ყოფილიყო ღარიბი ქვეყნების ფერმერებთან კონკურენციისგან ან მათგან, ვინც უკეთეს კლიმატურ პირობებში მუშაობდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების პროტექცია ინდუსტრიული ტარიფებისგან სრულიად განსხვავებული ლოგიკით ჩამოყალიბდა. ინდუსტრიული ტარიფები ინდუსტრიულ ნაწარმზე აგრესიული სტრატეგიის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად მომგებიანი ვაჭრობის შექმნას ისახავდა, იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წამყვანი ქვეყნების ინდუსტრიული სტრუქტურების ემულაცია და ყველა ქვეყნის წარმოების სექტორს, იქნებოდა ეს ბამბის ქსოვილის წარმოება, რკინიგზა თუ მანქანების აწყობა, თავი მწარმოებლურობის აფეთქების ზონაში მოეყარა. ტარიფები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე თავდაცვითი სტრატეგიის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები ღარიბი ფერმერების დაცვას ღარიბ სახელმწიფოებში მცხოვრები უფრო ღარიბი ფერმერებისგან.

ილუსტრაცია 7 აჩვენებს რეალური ხელფასების სხვაობას ინდუსტრიულ და სოფლის მეურნეობის სექტორებს შორის იმ პერიოდში, როდესაც მთავრობა ამ უკანასკნელის მასობრივ სუბსიდირებას ახდენდა. როგორც ვხედავთ, იაპონიაში ფერმერების ხელფასები ინდუსტრიული მუშების ხელფასის მხოლოდ 15%-ს შეადგენდა, ნორვეგიაში კი – 24%-ს. ცხადია,

ინდუსტრიული სექტორის გარეშე საშუალო ეროვნული ხელფასი კატასტროფულად დაეცემოდა ისეთ ქვეყნებში, როგორიც იაპონია და ნორვეგიაა. ჩვენ ვხედავთ, რომ ამერიკაშიც კი, მსოფლიოს ყველაზე ეფექტური სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყანაში, ამ სფეროს ხელფასები ბევრად ჩამორჩება ინდუსტრიისას. მხოლოდ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სადაც განსხვავებული კლიმატური ციკლია და ინგლისთან და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ხელსაყრელი შეთანხმებებია გაფორმებული, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები უთანაბრდება და, ახალი ზელანდიის შემთხვევაში, ჯაბნის კიდეც მრეწველობის სექტორს. მიუხედავად ამისა, დღიდან დაარსებისა, ავსტრალია და ახალი ზელანდია ფრიად პროტექციონისტულ ინდუსტრიულ პოლიტიკას ატარებდნენ, მათ შორის, დედასამშობლოს, ინგლისის მიმართაც. ინდუსტრიალიზაციით ამ ქვეყნებმა ეკონომიკური ზრდის „თანამზრახველური" მოდელის დანერგვა შეძლეს.

ილუსტრაცია 7 მარტივად გადმოსცემს, თუ როგორ ზრდის სახელმწიფოების შემოსავლების დონეს მრეწველობის სექტორის არსებობა. ეს უკანასკნელი იმ სინერგიული ეფექტების ნაკრებია, რომელიც „ისტორიულმა მზარდმა უკუგებამ" და მზარდი უკუგებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ერთობლივმა ეფექტმა შექმნა. ეს იყო ის, რის გაკეთებაც შეძლო „სასარგებლო ვაჭრობამ" და ემულაციამ არა მარტო ინგლისში, არამედ მანამდე ღარიბ ყველა ქვეყანაში, რომელთა ეკონომიკური პოლიტიკა ინგლისის ინდუსტრიულ სისტემას ბაძავდა. ეს მნიშვნელოვანი სინერგიული ეფექტი არ ვრცელდებოდა და დღემდე არ ვრცელდება ღარიბ ქვეყნებზე, თავიდან კოლონიზაციის, მოგვიანებით კი ვაშინგტონის ინსტიტუტების გავლენის გამო.

ის, რასაც მე-7 ილუსტრაცია არ მოიცავს, არის მეორე და მესამე ეტაპის სინერგიული ეფექტები, რომლებიც სათავეს სწორედ იქიდან იღებენ, რაც ამ ნახატზეა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ ინდუსტრიაში ცოდნისა და მაღალი დანახარჯის დონეებს ეტაპობრივი „განვრცობადი ეფექტი“* ახასიათებთ, რაც სოფლის მეურნეობაში ეფექტურობის ზრდას იწვევს. ინდუსტრიული ცოდნა გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე. ამავე დროს, მზარდი ეროვნული შემოსავლების დონე მომგებიანს ხდის სოფლის მეურნეობაში შრომის დამზოგველ მანქანა-დანადგარებში ფულის დაბანდებას. ინდუსტრიულ სექტორთან გეოგრაფიული სიახლოვე ფერმერებს მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე ბაზარზე წვდომის საშუალებას აძლევს. მხოლოდ ამას შეუძლია სოფლის მეურნეობის თვითკმარი მდგომარეობიდან გამოყვანა და სოფლებში შრომის დანაწილების გაფართოება. იმავე შრომითი ბაზრის ნაწილად ყოფნით, სადაც ქალაქებიც არიან წარმოდგენილნი, სოფლის მეურნეობის ჭარბი შრომითი ძალა (უმცროსი შვილები), ქალაქში მრეწველობის სექტორში სარფიანად დასაქმდება.

	პირველადი სექტორი	მეორადი სექტორი
ინგლისი, 1930	72	100
აშშ, 1935	40	100
საფრანგეთი, 1930	36	100
ნორვეგია, 1934	24	100

* „განვრცობადი ეფექტი“ (spillover effect) ამ კონტექსტში გულისხმობს ერთი სექტორის მიერ მეორე სექტორზე უნებლიე ტექნოლოგიურ გავლენას. პირობითად, თუ ინდუსტრიულ სექტორში რაიმე ინოვაცია იკიდებს ფეხს, შესაძლოა ეს ინოვაცია გავრცელდეს სოფლის მეურნეობაშიც და გაზარდოს მისი პროდუქტიულობა (მთარგმნელის შენიშვნა).

იაპონია, 1934	15	100
იტალია, 1928	70	100
შვედეთი, 1930	25	100
ავსტრალია, 1935-6	96	100
გერმანია, 1928	54	100
ახალი ზელანდია, 1936	113	100

წყარო: გამოთვლილია კოლინ კლარკის „ეკონომიკური პროგრესის პირობებზე" დაყრდნობით, ლონდონი, 1940.

ილუსტრაცია 7. ინდუსტრიული სფეროს ხელფასები დანარჩენი ეკონომიკის შემოსავლებს აწესებენ: სოფლის მეურნეობის სექტორის საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარის შედარება ინდუსტრიულ სექტორთან ათი ქვეყნის მაგალითზე, 1928-6.

მეორადი (=ინდუსტრიული) სექტორი = 100.

1700-იან წლებშიც კი ყველასთვის, ვისაც ეს საკითხი ოდნავ მაინც აინტერესებდა, ნათელი იყო წარმოებასთან ტერიტორიული სიახლოვისა და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობასა და მომგებიანობას შორის კავშირი. მადრიდსა და ნეაპოლს საკმაოდ არაეფექტიანი სოფლის მეურნეობა ჰქონდათ, ვინაიდან მათ ინდუსტრიული სექტორი არ გააჩნდათ. განმანათლებობის ეკონომისტთა თქმით, მილანის გარშემო არსებული ტერიტორიები, სადაც უამრავი საწარმო მდებარეობდა, ეფექტიანი სოფლის მეურნეობით გამოირჩეოდა. ინდუსტრიასთან სიახლოვე სოფლის მეურნეობასთან კუმულაციურ „სასიკეთო წრეს"[16] ქმნის, ეფექტს, რომელიც ინდუსტრიის არმქონე ღარიბ ქვეყნებში არ გვხვდება. სოფლის მეურნეობა, რომელსაც არ აქვს საერთო შრომითი ბაზარი მრეწველობის სექტორთან, ამ სინერგიულ

ეფექტებს საკუთარ თავზე ვერ გამოცდის. მე-18 საუკუნის ევროპაში გავრცელებული ეს ლოგიკა, განსაკუთრებით 1820 წლის შემდეგ, მართლაც იქცა ამერიკელი ფერმერებისთვის სარწმუნო არგუმენტად. მის მიხედვით, პროტექციონისტული ინდუსტრიალიზაცია მათ ინტერესებში იყო. ამის გამო ისინი მოკლევადიან პერსპექტივაში ადგილობრივ ნაწარმში გადაიხდიდნენ იმაზე მეტს, ვიდრე მანამდე ინგლისურ საქონელში იხდიდნენ. ეს მათ დაეხმარებოდა იმაში, რომ მომავალში სიმდიდრის ამგვარი „სასიკეთო წრეები" შეეკრათ. ალექსანდრ ჰამილტონის ადრეული მოღვაწეობის შემდეგ ვინც ამერიკელ ფერმერებში ეს შეხედულება წარმატებით გაავრცელეს, იყვნენ ეკონომისტები მეთიუ კერი (1820), დენიელ რეიმონდი (1820) და პოლიტიკოსი ჰენრი კლეი (1887).[17] ამ ორი ეკონომისტის არსებობა დღეს, ფაქტობრივად, აღარავის ახსოვს.

ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გაზომვა დამატებით სწავლების მრუდითაა შესაძლებელი. სწავლების მრუდებით იზომება შრომის პროდუქტიულობა დროში. ვინაიდან ჩვენ ახლა ადამიანების ხელფასები გვაინტერესებს – და ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ადამიანის პროდუქტიულობასა და მის გასამრჯელოს შორის მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს – ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ შრომის პროდუქტიულობას დავაკვირდებით. როდესაც სწავლების მრუდებს ვუყურებთ, ისეთივე მწარმოებლურობის აფეთქებას ვხედავთ, რომელიც მე-6 ნახატზე იყო, უბრალოდ, განსხვავებული კუთხით. ვინაიდან ერთსა და იმავე რამეს ზომავენ, მწარმოებლურობის აფეთქების მსგავსად, მოულოდნელი ვარდნა შედარებით მცირე ხნის განმავლობაში სწავლების მრუდსაც ახასიათებს. ყოველი ეპოქა გამორჩეულია იმით, რომ კონკრეტულ საქონელს, რომელიც ხშირად სრულიად ახალია, წარმოების საოცარი განვითარება ახასიათებს, რომე-

ლიც, როგორც წესი, უეცრად მომატებულ მოთხოვნასთანაა კავშირში. „აორნის კანონის“ (სახელი ეწოდა ჰოლანდიელი ეკონომისტის პატივსაცემად) მიხედვით, წარმოების დაჩქარებული ზრდა, პროდუქტიულობის გაზრდას მზარდი უკუგებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ხარჯზე იწვევს, რომელსაც ახალი საწარმოო შესაძლებლობების გაჩენა ასტიმულირებს.

ილუსტრაცია 8 აჩვენებს ამერიკაში, 1850-1936 წლებში მამაკაცის სტანდარტული ფეხსაცმლის წყვილის წარმოების განვითარებას. 1850 წელს ასეთი ფეხსაცმლის დასამზადებლად 15.5 სამუშაო საათი იყო საჭირო. შემდეგ ფეხსაცმლის ინდუსტრიაში მწარმოებლურობის აფეთქება მოხდა, მის შედეგად, 50 წლის შემდეგ, 1900 წელს, დაჩქარებულმა მექანიზაციამ იმავე ფეხსაცმლის 1.7 სამუშაო საათში დამზადება გახადა შესაძლებელი. ამ პერიოდში ფეხსაცმლისა და ლუდის წარმოების გამო სენტ ლუისი (მისურის შტატი) ამერიკის ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქად გადაიქცა: „პირველი ფეხსაცმელსა და ლუდში, ბოლო ბეისბოლში“ – ამბობდნენ ქალაქის შესახებ, რომელმაც მსოფლიოს საკუთარი სიმდიდრე აჩვენა, როდესაც 1904 წელს, ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო გამოფენას უმასპინძლა. 1900-იანების შემდეგ, ფეხსაცმლის წარმოების სწავლების მრუდი მდორე (ნაკლებ დახრილი) გახდა. 1923 წელს, მამაკაცის იმავე ფეხსაცმლის დამზადებას 1.1 სამუშაო საათი სჭირდებოდა. 1936 წელს – 0.9 საათი. სწავლების მრუდის გასწორებასთან ერთად, ხელფასებზე წნეხი გაიზარდა და ფეხსაცმლის წარმოებამ თანდათან ღარიბ რეგიონებში გადაინაცვლა. ამერიკა დიდი ხნის განმავლობაში იყო ფეხსაცმლის ექსპორტიორი, ახლა კი თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. ფენომენი, რომ მდიდარი ქვეყნები ექსპორტიორები არიან იმ სფეროში, სადაც დიდი ტექნოლოგიური წინსვლაა და იმპორტიორები

იქ, სადაც მცირე – დაკავშირებულია იმასთან, რასაც 1970-იან წლებში საერთაშორისო ვაჭრობაში პროდუქტის სიცოცხლის ციკლი ეწოდა. იგი პირველად ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორებმა რეიმონდ ვერნონმა (1913-99) და ლუის თ. უელსმა აღწერეს.[13]



საშუალო დონის მამაკაცის ფეხსაცმლის წარმოების საუკეთესო მეთოდისთვის საჭირო კაც-საათების ოდენობა აშშ-ში შერჩეულ თარიღებში.

წელი	კაც-საათი თითო წყვილისთვის
1850	15.5
1900	1.7
1923	1.1
1936	0.9

წყარო: ერიკ რეინერტი, „საერთაშორისო ვაჭრობა და განვითარებლობის ეკონომიკური მექანიზმები“, სადოქტორო ნაშრომი, კორნელის უნივერსიტეტი, 1980.

ილუსტრაცია 8. საშუალო ხარისხის მამაკაცის ფეხსაცმლის ყველაზე ეფექტიანად წარმოების სწავლების მრუდი, ამერიკის შეერთებული შტატები, 1850-1936.

ის, რასაც მე-8 ნახატზე ვხედავთ, დროში ტექნოლოგიური განვითარების ტიპური მოდელია: ტექნოლოგიური განვითარების სისწრაფე თანდათან მცირდება, ახალი ტექნოლოგია ჩნდება და მისი განვითარების პოტენციალი ეტაპობრივად სუსტდება. შედეგად, სწავლების მრუდი უფრო მდორე (ნაკლებად დახრილი) ხდება. ეს მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურაზეც აისახება. მდიდარი ქვეყნები, სადაც ტექნოლოგიური ინოვაციები იჩენს თავს, აწარმოებენ და ექსპორტზე გააქვთ პროდუქტი მანამდე, სანამ სწავლების მრუდი არ გასწორდება (მისი დახრის კუთხე არ შემცირდება). ამ პერიოდში, ყველა ის მექანიზმი მუშაობს, რომელსაც ჩვენ სიმდიდრის შექმნის „თანამზრახველური მეთოდი“ ვუწოდეთ.

ყველაფერი რიგზე იქნება, ვიდრე ეს ციკლი „თანამზრახველურ მეთოდს“ არ დაუკავშირდება. სტანდარტული ეკონომიკური თეორია წარმოების ნაცვლად ვაჭრობაზეა ფოკუსირებული. იგი უშვებს სრულყოფილი კონკურენციის არსებობას (იმას, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას შეეძლებოდა ფეხსაცმლის ისე წარმოება, როგორც ეს სენტ ლუისმა შეძლო 1900 წელს) და მიაჩნია, რომ ტექნოლოგიური განვითარების ნაყოფი მხოლოდ კლასიკური გზით ვრცელდება, იღებს რა გაიაფებული ფეხსაცმლის სახეს. სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკის არსენალი არ მოიცავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც დააფიქსირებდნენ ფაქტს, რომ მხოლოდ რამდენიმე ინდუსტრია იქცევა ნებისმიერ დროს ისე, როგორც ფეხსაცმლის წარმოება 1800-იანების ბოლოს, როგორც მანქანების წარმოება 70 წლის შემდეგ ან, როგორც მობილური ტელეფონების წარმოება ამჟამად. ეს ეკონომიკური თეორია უგულებელყოფს კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელ ზრდის ელემენტს (იმას, რომ ეს ნებისმიერ დროს მხოლოდ რამდენიმე ინდუსტრიაში ხდება). ის

ყურადღების მიღმა ტოვებს ინდუსტრიებს შორის სინერგიული ეფექტების არსებობას, ასევე იმას, რომ ფეხსაცმლის ინდუსტრიაში მაღალი ხელფასები სტიმულს აძლევდა ლუდის წარმოებასა და ქალაქის ჯანდაცვის სექტორს და, რომ ამ აყვავებულმა ურბანულმა ბაზარმა ამერიკელი ფერმერებისთვის მაღალი მოთხოვნა და მსყიდველობითი უნარი შექმნა. მოკლედ რომ ვთქვათ, ის არ აღიარებს კუმულაციური მიზეზობრივი კავშირის მთავარ არსს „სასიკეთო წრის“ სახით.

სწავლების მრუდს – გასწორების შემდგომ – დოვლათის გაზრდის ყველა შესაძლებლობა ფაქტიურად უკვე გამოცლილი აქვს, ვიდრე, რა თქმა უნდა, მოგვიანებით, იმავე პროდუქტის წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური პარადიგმა არ გამოჩნდება. როდესაც ფეხსაცმლის ინდუსტრია თანდათან ღარიბ ქვეყანაში გადადის, იქ ცხოვრების დონის გაუმჯობესება თითქმის შეუძლებელი ხდება. ამ ინდუსტრიას ღარიბ ქვეყნებს იმიტომ უტოვებენ, რომ წარმოების პროცესიდან ახალი ცოდნის გამოწურვა შეუძლებელია.

არავინ დავობს იმაზე, რომ ინოვაციები და ცოდნა საფუძველს უყრის ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ადამ სმიტის შემდეგ ეკონომიკის ამ ასპექტის ექტერნალიზება მოხდა. ის უშვებს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციები ზეციურ მანანასავით გადმოვა და მას ყველა უფასოდ მიიღებს („სრულყოფილი ინფორმაცია“). არავინ იღებს მხედველობაში იმას, რომ ცოდნას – განსაკუთრებით კი ახალს – მაღალი ფასი აქვს და მასობრივად ხელმისაწვდომი არ არის. ცოდნა დაცულია უზარმაზარი ბარიერებით, რომლის წარმოქმნაშიც დიდ როლს მასშტაბის ეკონომიები და დაგროვილი გამოცდილება ასრულებს. რაც უფრო ფართო მოცულობის წარმოება აქვს კომპანიას, მით უფრო მცირეა ხარჯი. ამის გასაზომად ინდუსტრიაში გამოცდილების მრუდებს

იყენებენ. მაშინ, როდესაც სწავლების მრუდები მუშახელის პროდუქტიულობას ზომავს, გამოცდილების მრუდები კი – მთლიანი წარმოების ხარჯებს. როდესაც რამდენიმე ქარხანას ერთნაირი ტექნოლოგია აქვს, იმას, რომელსაც ყველაზე დიდი მოცულობის წარმოება გააჩნია, როგორც წესი, ერთეულის წარმოებაც უფრო იაფი უჯდება. ხარჯების შესამცირებლად გამოცდილების მრუდებით შეჯიბრში, სტრატეგიულმა ფასთწარმოქმნამ, შესაძლოა, რეალურად თვითღირებულებაზე მცირე ფასის დადება (დემპინგი) გახადოს მომგებიანი წარმოების ისეთი მოცულობის მიღებით, რომელიც, მოგვიანებით, დანახარჯებს სტრატეგიულ დემპინგურ ფასებზე უფრო ნაკლებს გახდის.

გამოცდილების მრუდებით ნაკლები ხარჯისთვის დინამიკურ რბოლაში პატარა ბაზრის მქონე ღარიბი ქვეყნების საწარმოებს, ახალ ტექნოლოგიებზე წვდომის გარეშე, ფინიშამდე მიღწევის მცირე შანსი აქვთ. საწყის ტექნოლოგიურ ეტაპზე შრომითი ხარჯების სიდიდეს მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან წარმოება მაღალკვალიფიციურ მუშახელზე და კვლევასა და განვითარებასთან კავშირზე არის დამოკიდებული. როგორც კი წარმოების მოცულობა გაიზრდება, ხარჯები შემცირდება და ფულის გამომუშავება გახდება შესაძლებელი. ოცდაათ წელზე მეტია, რაც ამერიკულმა საკონსულტაციო ფირმამ – ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფმა – საკუთარ ზრდას ამგვარი გამოცდილების მრუდები (რომელთაც იგივე ფორმა აქვთ, რაც მე-8 ნახატზე ნაჩვენებ სწავლების მრუდს – თავიდან დახრილი, შემდეგ კი ბრტყელი) დაუდო საფუძვლად. ღარიბ ქვეყნებს მხოლოდ მაშინ შეეძლებათ კონკურენციის გაწევა, როდესაც სწავლებისა და გამოცდილების მრუდები გასწორდება და ცოდნა საჯარო სივრცეში შეაღწევს. ამის შემდეგ, ღარიბი ქვყნების კონკურენტუნარიანობის საფუძველი მათი დაბალი ხელფასები და შედარებითი სიღარიბე გახდება.

ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ – სასარგებლო და წამგებიანი ვაჭრობის თეორიის დახმარებით – მდიდარმა სახელმწიფოებმა ეს პრობლემა იმის გაცნობიერებით მოაგვარეს, რომ მწარმოებლურობის აფეთქება გარკვეულწილად ყველა ქვეყნის შიგნით ხდებოდა. ყველა მდიდარმა ევროპულმა სახელმწიფომ საკუთარი ქსოვილის ინდუსტრია, წამყვანი ქვეყნების მიბაძვით ჩამოაყალიბა სწორედ ისე, როგორც მე-20 საუკუნეში ყოველმა დიდმა სახელმწიფომ საკუთარი საავტომობილო ინდუსტრია შექმნა. ქვეყნები, რომლებსაც ეს ინდუსტრიები არ უნდა ჰქონოდათ, კოლონიებს წარმოადგენდნენ. ასობით წლის განმავლობაში არსებული გაგებით, პარადიგმის ცვლილების დროს სახელმწიფოსთვის უმჯობესი იყო მოწინავე ქვეყნებზე ნაკლებად ეფექტიანი ყოფილიყო, ვიდრე საერთოდ თანამედროვე ინდუსტრიის გარეშე დარჩენილიყო. ცხადი გახდა, რომ ახალი ინდუსტრიები მათ წინამორბედებზე უფრო მეტად გააუმჯობესებდნენ ცხოვრების დონეს. 1990-იან წლებში ნათელი გახდა, რომ უმჯობესია იყო მონაცემთა უნიჭო ანალიტიკოსი, ვიდრე ყველაზე კარგი ჭურჭლის მრეცხავი. ეს საღი აზრი ვერ მოხვდა რიკარდოს ვაჭრობის თეორიაში, რამაც მანამდე არსებული უდავო ლოგიკა უგულებელყო. ამ ლოგიკის მიხედვით, იმგვარ სისტემაში, სადაც არსებობს ინდუსტრიები, რომლებიც ტექნოლოგიური სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე საჭიროებენ როგორც იშვიათ, ასევე გავრცელებულ უნარებს და მრავალფეროვან ტექნოლოგიებს, მართლაც შესაძლებელია ქვეყანა სპეციალიზდეს სიღარიბეზე.

მიუხედავად ამისა, არის სიტუაციები, როცა სწავლების მრუდით აღწერილი დინამიკა შეიძლება ღარიბმა ქვეყნებმა გასამდიდრებლად გამოიყენოს მათი ეტაპობრივი ტექნოლოგიური მოდერნიზაციით. ამ მოდელს 1930-იანი წლების იაპონ-

ელმა ეკონომისტმა, კანამე აკამაცუმ, მფრინავი ბატები უწოდა (იხ. ილუსტრაცია 9).[19] კიდევ ერთი იაპონელი ეკონომისტი და 1980-იან წლებში უკვე საგარეო საქმეთა მინისტრი, საბურო ოკიტა, „მფრინავი ბატების“ მოდელს მიჰყვა და ჩამოაყალიბა თეორია, რომლის მიხედვით, ღარიბ ქვეყანას საკუთარი ტექნოლოგიების მოდერნიზაცია ერთი მზარდი ცოდნატევადი პროდუქტიდან მეორეზე გადახტომით შეუძლია. პირველი მფრინავი ბატი, ამ შემთხვევაში იაპონია, მის უკან მყოფებს ჰაერის წინაღობის დაძლევაში ეხმარება, რათა ეტაპობრივად ყველა მათგანმა შეძლოს იმავე ტექნოლოგიური წინსვლიდან სარგებლის მიღება. მაგალითად, მრავალი წლის წინ იაპონია იაფფასიან ტანსაცმელს აწარმოებდა, რამაც პროდუქტიულობის ზრდა გამოიწვია და ცხოვრების დონე („თანამზრახველური მეთოდი“) ისე ამაღლდა, რომ ტანსაცმლის მსგავსი, შედარებით მარტივი პროდუქტის წარმოებაც კი უკვე არამომგებიანი გახდა. ეს ინდუსტრია სამხრეთ კორეამ გადაიბარა, ხოლო იაპონიამ საკუთარი მრეწველობა ეტაპობრივად გააუმჯობესა უფრო კომპლექსური პროდუქტის, მაგალითად, ტელევიზორების წარმოებამდე. როცა სამხრეთ კორეაც განვითარდა, სამოსს შემდგომ უკვე ტაივანი აწარმოებდა, სანამ იქაც მსგავსი რამ არ მოხდა – წარმოების ხარჯები ზედმეტად გაიზარდა. ამის შემდეგ წარმოება გადავიდა ტაილანდსა და მალაიზიაში და ასე მეორდებოდა ისტორია. საბოლოოდ, ტანსაცმლის ინდუსტრია ვიეტნამმა ჩაიბარა. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში უამრავმა ქვეყანამ სცადა ქსოვილის წარმოების გამოყენება ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. ყველა მათგანმა თანმიმდევრულად ჩაიარა ერთსა და იმავე სწავლების მრუდზე და ყველა მათგანი გამდიდრდა კიდეც. რა თქმა უნდა, ამ თამაშისთვის აუცილებელია, რომ სათავეში მყოფი ბატი მუდმივად იყოს ახალ ტექნოლოგიებში ჩართული.



წყარო: http://www.grips.ac.jp/module/prsp/FGeese.htm

ილუსტრაცია 9. „მფრინავი ბატების" მოდელი: თანმიმდევრული სტრუქტურული ტრანსფორმაცია აღმოსავლეთ აზიაში.

თანმიმდევრული ტექნოლოგიური მოდერნიზაციის ეს მოდელი არ უნდა აგვერიოს ალტერნატიულ, ძველ სტატიკურ კოლონიურ მოდელში, რომელსაც ჩვენ ჩიხური მოდელი შეგვიძლია ვუწოდოთ. ჰაიტის ბეისბოლის ბურთების მაგალითის მსგავსად, ქვეყანას შეუძლია უძრავ ტექნოლოგიურ უპერსპექტივობაში მოახდინოს სპეციალიზაცია. ტექნოლოგიური წინსვლის შემთხ-

ვევაში, ჩიხური მოდელის მქონე ღარიბი ქვეყანა დაკარგავს წარმოებას, როგორც ღამის პერანგების დაჭრის მაგალითზე ვნახეთ. მაშინ, როცა აღმოსავლეთ აზიური ინტეგრაცია უმეტესად მფრინავი ბატების პრინციპს მიუყვებოდა, შეერთებული შტატების ეკონომიკური ურთიერთობა მის სამხრეთელ მეზობლებთან, უმეტესწილად, ჩიხური იყო. კანადა ისტორიულად ადრეული ემულაციის ევროპულ მოდელს მისდევდა, თუმცაღა კანადური ქარხნები დიდწილად ამერიკელების ხელში იყო. უცხოური მფლობელობის პრობლემა იმასთან ერთად უნდა განვიხილოთ, თუ რა ტიპის წარმოება შემოაქვთ ქვეყანაში.

ახლა კი დავუბრუნდეთ წიგნის მთავარ შეკითხვას. 250 წლის წინ, მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ცხოვრების დონეების პროპორცია 1:2-ზე იყო. დღეს, მსოფლიო ბანკის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ გერმანიაში ავტობუსის მძღოლის რეალური ხელფასი თექვსმეტჯერ აღემატება მსგავსად ეფექტიანი ნიგერიელი კოლეგის ხელფასს. ამ მოვლენას ნამდვილად აქვს ადგილი და ეფექტების შეფასებაც შესაძლებელია, თუმცა ჯერ კიდევ არაა შექმნილი თეორია, რომელიც ამ მექანიზმებს ჯეროვნად აღწერდა. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ძირითადად იმით აიხსნება, რომ დღეს მდიდარ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის მიზეზები – ინოვაცია, ახალი ცოდნა და ტექნოლოგიები – თავისუფალ ვაჭრობაში ერევათ, რომელიც მხოლოდ საზღვრებზე საქონლის გადატანა-გადმოტანას წარმოადგენს. ადამ სმიტის მსგავსად, მდიდარ ქვეყნებს წარმოების ეპოქა ვაჭრობის ეპოქაში ერევათ.

დროის სვლასთან ერთად, ეკონომიკური ზრდა ახალი პროდუქტებისა და მზარდი პროდუქტიულობის სახეს იღებს, რომელიც ჩვენს საჭიროებებს აკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, წარმოების ამგვარი ზრდა განსხვავებულ ეკონომიკურ დარგებს შორის არათანაბრადაა გადანაწილებული. როგორც ვნახეთ,

ბოლო 150 წლის განმავლობაში ბეისბოლის ბურთების დამზადებაში პრაქტიკულად არანაირი ტექნოლოგიური პროგრესი არ ყოფილა, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში გოლფის ბურთების წარმოებამ სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა განიცადა. მე-10 ილუსტრაცია აჩვენებს, თუ როგორ ზრდიან მდიდარი ქვეყნები მათ რეალურ ხელფასებს სწავლების მრუდის დახრილ მონაკვეთზე „ჩასრიალებით“, როგორც კი ახალი ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი ხდება.

ზოგიერთი ფრანგი ეკონომისტი ამ პრინციპს „ფორდიზმს“ უწოდებს: მწარმოებლურობის ზრდა მრეწველობაში ინდუსტრიულ სექტორში მზარდი ხელფასების სახით ვრცელდება და შემდგომ, ნელ-ნელა მთელ ეკონომიკას მოიცავს. წლიური პროდუქტიულობის ზრდა, პირობითად 4 პროცენტით იწვევს ხელფასების 4 პროცენტიან ზრდასაც. ეს სისტემა დამოკიდებულია „გამათანაბრებელი ძალების“ ბალანსზე დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. აქამდე, ამგვარი ბალანსი მხოლოდ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში არსებობდა.

გარდა ამისა, სისტემა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო მწარმოებლურობის ზრდაზე. თუკი ხელფასების ზრდის მოთხოვნა გადააჭარბებდა წარმოების ზრდას, ეს ინფლაციას გამოიწვევდა. ანაზღაურების ზრდის გამუდმებული მოთხოვნა მნიშვნელოვან სტიმულს აძლევდა ინდუსტრიას. შრომის საფასურთან შედარებით, კაპიტალი (და შესაბამისად მექანიზაციაც) ბევრად უფრო იაფი გახდა, რამაც ახალი „სასიკეთო წრეების“ გაჩენა გამოიწვია. როდესაც 1970-იან და 1980-იან წლებში იტალიაში ინდუსტრიული ფირმის მენეჯერად ვმუშაობდი, ინფლაციურ პერიოდში ხელფასების ავტომატურ ინდექსაციას[20] შევესწარი. ერთი შეხედვით, სისტემა უპასუხისმგებლო მექანიზმს ჰგავდა, რომელიც ინფლაციას მუდმივ სახეს აძლევდა.

წარსულის შეფასებისას მივხვდი, რომ ამ პერიოდში იტალიური სამრეწველო ინდუსტრია მექანიზებული გახდა და შრომის პროდუქტიულობის უზარმაზარ ზრდას მიაღწია. მზარდმა ხელფასებმა და ინფლაციამ შრომის კაპიტალით ჩანაცვლება საკმაოდ მომგებიანად აქცია. გაზრდილმა ხელფასებმა, თავის მხრივ, გამოიწვია მოთხოვნის ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა, მაშინ, როდესაც იმავე გაზრდილმა ხელფასებმა დასაბამი დაუდო ახალ მექანიზაციას, რამაც კვლავ გაზარდა ხელფასები და ასე მუდმივად, სპირალურად ზევით, მიიწევდა კეთილდღეობის დონე. დაბალი მწარმოებლურობის ზრდის მქონე სექტორებში დასაქმებული ადამიანები, მაგალითად, დალაქები მას მერე გამდიდრდნენ, რაც მზარდი ინდუსტრიული შემოსავლების ფონზე მომსახურების ფასები გაზარდეს. დალაქების პროდუქტიულობის მხოლოდ მცირედით მომატების შემთხვევაშიც კი, მდიდარ ქვეყნებში ისინი მაინც შეძლებდნენ საკუთარი კეთილდღეობის საგრძნობ გაუმჯობესებას, ღარიბ ქვეყნებში მცხოვრები კოლეგებისგან განსხვავებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომსახურების სექტორში შემოსავლების ზრდა ინდუსტრიულ სექტორში წარმოების ზრდის ხარჯზე მიმდინარეობდა. დალაქის რეალური გასამრჯელო დამოკიდებული გახდა არა მის საკუთარ ეფექტიანობაზე, არამედ იმაზე, თუ ვისთან ჰქონდა საზიარო შრომითი ბაზარი. შედეგად, ამ მექანიზმებზე დაყრდნობით, დროის გასვლასთან ერთად, შემოსავლების შეფარდება უმდიდრეს და უღარიბეს ქვეყნებს შორის 1:2-იდან 1:16-მდე ავარდა. დალაქები, რომელთა შრომითი ბაზარი არ მოიცავდა მრეწველობას, ღარიბებად დარჩნენ.



წყარო: ერიკ რეინერტი, „საერთაშორისო ვაჭრობა და განუვითარებლობის ეკონომიკური მექანიზმები“, სადოქტორო ნაშრომი, კორნელის უნივერსიტეტი, 1980 (ტექსტში მცირედი ცვლილებებია შეტანილი).

ილუსტრაცია 10. როგორ წარმოიქმნა სხვაობა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების მაცხოვრებელთა ხელფასებს შორის, თანმიმდევრული „მწარმოებლურობის აფეთქებების“ სახელფასო რენტად გადაქცევით.

ფორდიზმმა, რომელიც მიიჩნევა სისტემად, სადაც ხელფასები წამყვანი ინდუსტრიული სექტორის პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად იმატებს, მე-20 საუკუნის განმავლობაში, შრომასა და კაპიტალზე მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით თანაბარი გადანაწილებით, საინტერესო შედეგებს მიაღწია. ჩემი აზრით, ცოტა ხნით მაინც, კეთილდღეობის ამგვარი სპირალური

ზრდა დიდწილად დაირღვა. დღეს, ჩვენი რეალური ანაზღაურება სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება კლებად ფასებზე, ვიდრე მზარდ ხელფასებზე. ეს, გარკვეულწილად, მწარმოებლურობის აფეთქების თანმდევი პერიოდული ციკლური დეფლაციის (კლებადი ფასების) შედეგია, მაგრამ დღეს იგი უფრო ხანგრძლივ, სტრუქტურულ მახასიათებლად ყალიბდება. ეს გლობალურ ეკონომიკაში ჩინეთისა და ინდოეთის – ქვეყნების, სადაც ფორდისტული სახელფასო რეჟიმი არ არსებობს – როგორც მსხვილი მოთამაშეების გამოჩენამ და პროფკავშირების გავლენის მნიშვნელოვანმა შესუსტებამ გამოიწვია. ამის გამო, ბევრ ქვეყანაში მშპ-სთან მიმართებით რეალური ხელფასების წილის კლება დაიწყო. ეს უკანასკნელი ფაქტორი შედარებით ახალია და ცალსახად შეიმჩნევა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, სადაც გადასახადების შემცირებამ ძირითადად საზოგადოების უმდიდრესი ფენის წარმომადგენლები ახეირა. ისინი საკუთარი შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ხარჯავენ და უფრო მეტად მიდრეკილნი არიან დარჩენილი თავისუფალი ფულით საფრანგეთში შატო შეიძინონ, ვიდრე „Corner Deli"-ში ჰამბურგერი. ამგვარი პოტენციური არასაკმარისი მოხმარება – კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც ნეოკლასიკური ეკონომიკის არსენალში ვერ ხვდება – არის კაპიტალიზმის ციკლური გამოვლინება და მას ამერიკული გადასახადების შემცირება და სახელფასო პოლიტიკა ვერ უშველის. გარდა ამისა, პირველად 1930-იანი წლების შემდეგ, ევროპა მზარდი წნეხის ქვეშაა, რომ რეალური ანაზღაურება შეამციროს. ხელფასების ყველაზე სწრაფი ზრდის პერიოდი გელბრაიტისეული „გამათანაბრებელი ძალების ბალანსის" ეპოქა იყო, როცა 1950-1960-იან წლებში, ინდუსტრიულმა და შრომითმა ძალებმა ფორდისტული სახელფასო რეჟიმი შექმნეს.

კონკრეტული ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის შეს-

წავლით, ჩვენ დავინახავთ რამდენიმე ფაქტორს, რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მე უკვე განვიხილე სწავლების მრუდი მე-8 ნახატზე. მე-11 ილუსტრაციიდან ჩანს, თუ როგორ უკავშირდება სწავლების მრუდი სხვა ცვლადებს. ახალი ინდუსტრიის ჩამოყალიბებასთან ერთად იზრდება კომპანიების რაოდენობაც – ბარიერები შედარებით დაბალია და არც ერთ კომპანიას არ გააჩნია დანახარჯებში უპირატესობა, მწარმოებლურობის ზრდისა და ზოგადი ეფექტიანობის კუთხით. ბევრი ფირმა დაარსდება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე გადაურჩება იმ ინდუსტრიულ რყევებს, რომელიც მომწიფების პერიოდში მყოფ ინდუსტრიებს ახლავს ხოლმე თან. დაახლოებით 1920 წელს შეერთებულ შტატებში 250-მდე მანქანის მწარმოებელი კომპანია არსებობდა, 40 წლის შემდეგ კი მხოლოდ ოთხი იყო დარჩენილი. გარკვეულ პერიოდში ნორვეგიაში უეცრად გაიზარდა ასანთის მწარმოებელი ფაბრიკების რაოდენობა, თუმცა საბოლოოდ ისინი გაერთიანდნენ ერთ კომპანიაში,რომელიც შემდგომ შვედეთში გადავიდა.

ამავე დროს, ახალ პროდუქტზე მოთხოვნა კლასიკური ეპიდემიური მრუდივით* იზრდება: თავიდან ნელა, შემდეგ კი ერთბაშად, სანამ ბაზარი არ გაჯერდება. როგორც კი ეს მოხდება, როცა, ფაქტობრივად, ყველა შეიძენს ავტომობილს, ჭურჭლის სარეცხ მანქანასა და ტელეფონს, ზრდის მრუდი გასწორდება, ვინაიდან მხოლოდ არსებული პროდუქტების ჩანაცვლების ბაზარი იქნება დარჩენილი. როგორც მობილური ტელეფონების ბაზრის მაგალითზე ვხედავთ, ამ მრუდის მაღალ დონეზე შენარჩუნება მცირედი ინოვაციებითა და ფორმის ცვლილებითაა

* ეპიდემიური მრუდი აღნიშნავს შემდეგი სახის ტენდენციას: ორგანზომილებიან საკოორდინატო სიბრტყის x ღერძზე პირობითად გამოსახულია დაავადების მიმდინარეობის დრო, ხოლო y ღერძზე, დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა. ეპიდემიის საწყის ეტაპზე, ცხადია დაავადების სიხშირე მცირეა, ეპიდემიის პიკურ წერტილში ყველაზე მაღალი, ხოლო ბოლოს, დაავადებულ ადამიანთა ოდენობა იკლებს (მთარგმნელის შენიშვნა).

შესაძლებელი, რაც უმნიშვნელო დეტალების დამატებით ხდება. ეს სამი ელემენტი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ერთმანეთს მიჰყვება. გრაფიკზე, წყვეტილ ხაზებს შორის არსებულ სივრცეში ტექნოლოგიურ პროგრესს ქვეყნის ცხოვრების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს. ტექნოლოგიური განვითარების გამო, ხელფასის დონე ევროპის ორ უკანასკნელ შიდა კოლონიაში – ირლანდიასა და ფინეთში – ბოლო ოც წელიწადში საოცრად გაიზარდა, ვინაიდან ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების უკიდურესად დახრილი სწავლების მრუდების მეშვეობით ყველას გაასწრეს. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ამგვარი სახელფასო ზრდა ბიზნესში, რომელსაც ბრტყელი სწავლების მრუდი ახასიათებს, შეუძლებელია. განცხადებები, რომ რომელიმე ქვეყანა „ამა თუ იმ რეგიონის ირლანდიაა“ სრულ დემაგოგიად დარჩება, ვიდრე მნიშვნელოვან და დახრილ სწავლების მრუდს არ გადმოიღებენ და საკუთარ პირობებს არ მიუსადაგებენ, როგორც ეს ირლანდიასა და ფინეთში მოხდა. ეკონომიკური ზრდა კონკრეტულ დარგზეა დამოკიდებული. ნებისმიერ დროს მხოლოდ რამდენიმე ეკონომიკურ საქმიანობას ახასიათებს მკვეთრად დახრილი სწავლების მრუდი.

კეთილდღეობას არა დანაზოგი ან კაპიტალი, არამედ ინოვაციები განაპირობებს. პოლიტიკური სპექტრის ორივე, ურთიერთსაწინააღმდეგო მხრის წარმომადგენლები, კარლ მარქსი და ჯოზეფ შუმპეტერი, თანხმდებიან, რომ ცალკე აღებული კაპიტალი, როგორც სიმდიდრის წყარო, სტერილურია. მსოფლიო ეკონომიკა დაახლოებით ისე მუშაობს, როგორც ალისა საოცრებათა ქვეყანაში, სადაც ერთ-ერთი უცნაური პერსონაჟი ალისას ეუბნება: „აი, ასე სწრაფად უნდა გაიქცე აქ იმისთვის, რომ ისევ აქ იდგე“. გლობალურ ეკონომიკაში კეთილდღეობის

შენარჩუნება მხოლოდ გამუდმებული ინოვაციებით ხდება. საკუთარი მიღწევებით ტკბობა, როგორც ამას იალქნიანი გემების წამყვანი მშენებლები აკეთებდნენ, მხოლოდ მანამდე გასტანს, სანამ ორქთლისძრავიანი გემი არ ჩაანაცვლებს მას. ამას კი ხელფასებისა და დასაქმების სისტემის გარდაუვალი ჩამონგრევა მოჰყვება. შუმპეტერის მეტაფორის მიხედვით, კაპიტალიზმი იმ სასტუმროს ჰგავს, რომლის ფეშენებელურ სართულებზე ყოველთვის ვიღაც ცხოვრობს, მაგრამ ეს მცხოვრებლები გამუდმებით იცვლებიან. ნავთის ლამპების საუკეთესო მწარმოებლები ელექტროობის გამოჩენიდან მალევე გაღარიბდნენ. სტატუს კვოს აუცილებლად მივყავართ სიღარიბემდე. ზუსტად ეს ხდის კაპიტალისტურ სისტემას ასე დინამიკურს, მაგრამ ეს მექანიზმი, ამასთანავე, ხელს უწყობს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უზარმაზარი უთანასწორობის გაჩენას. მიუხედავად ამისა, რაც უფრო მეტად შევისწავლით ამ დინამიკას, მით უფრო დავეხმარებით განვითარებად ქვეყნებს სიღარიბის დაძლევაში.





ილუსტრაცია 11. ინდუსტრიული დინამიკა: სამი ცვლადი.

გლობალური ეკონომიკა მრავალი მიზეზის გამო შეიძლება ისე დავინახოთ, როგორც პირამიდული სქემა. ეს არის ცოდნის იერარქია, სადაც ისინი, ვინც მუდმივად ფულს აბანდებენ, კეთილდღეობის მწვერვალზე რჩებიან. აქ საუბარი არ არის ეფექტიანობაზე, ვინაიდან ისედაც საკმაოდ ნათელია, რომ უკიდურესად ეფექტიანი დამლაგებელი განვითარებად სამყაროში, რიგით შვედ ადვოკატზე ან, თუნდაც, არაკომპეტენტურ შვედ დამლაგებელზე ბევრად ნაკლებს გამოიმუშავებს. ამ იერარქიის ფსკერზე იმყოფებიან, მაგალითად, ამერიკის საყვარელი სპორტის, ბეისბოლის ბურთების საუკეთესო მწარმოებლები მსოფლიოში ჰაიტისა და ჰონდურასში. IV დანართში მსოფლიო ეკონომიკა გამოსახულია როგორც უნარების იერარქია, სადაც ის ფაქტორებია ჩამოთვლილი, რომლებიც ზედა საფეხურზე მყოფ მაღალკვალიფიციურ საქმიანობებს (მაგალითად, გოლფის ბურთების დამზადება) და ქვედა საფეხურზე მყოფ დაბალკვალიფიცურ საქმიანობებს (მაგალითად, ბეისბოლის ბურთების კერვას) ახასიათებს.

მაღალკვალიფიციური ეკონომიკური დარგები, როგორც წესი, კვლევის საფუძველზე მიღებული ახალი ცოდნიდან წარმოიქმნება. შედეგად, ბევრი ქვეყანა აფინანსებს საბაზისო კვლევას, ვინაიდან სწორედ იგი წარმოადგენს ინოვაციის მთავარ წყაროს, მიუხედავად იმისა, რომ კვლევის დაწყებისას ხშირად შეუძლებელია შედეგების წინასწარმეტყველება. გამოგონებები, არცთუ იშვიათად, შემთხვევითობის, ან სხვა რამის კვლევის უნებლიე შედეგია. ალექსანდრ ფლემინგის მიერ პენიცილინის აღმოჩენა ამის ერთ-ერთი ნიმუშია. ხშირად, გზა გამოგონებიდან ინოვაციამდე, საგნის პრაქტიკულ გამოყენებამდე, ძალიან გრძელია. წმინდა, თითქმის მონოქრომატული კონცენტრირებული სინათლის არსებობის ალბათობა ალბერტ აინშტაინმა 1917

წელს ივარაუდა. მაგრამ, ლაზერის (სინათლის გაძლიერება იძულებითი გამოსხივების მეშვეობით) გამოგონებამ პრაქტიკული თუ ინოვაციური დანიშნულება მხოლოდ 1950-იან წლებში მიიღო. მაშასადამე, საბაზისო კვლევა ნელი პროცესია, მაგრამ მისი საბოლოო გამოყენება მრავალგვარი და მრავალფეროვანია. ლაზერი მეცნიერული ჰიპოთეზიდან მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გადაიქცა, რომელიც მრავალ განსხვავებულ სფეროში გამოიყენება: თვალის ოპერაციის დროს, ჭურვების მისამართად, ნავიგაციაში, თანამგზავრებზე დაკვირვებისას, შედუღებისას, CD დისკების დაკვრისას, ქირურგიულ ოპერაციებში სკალპელის შემცვლელად ან, უბრალოდ, რაიმეზე მისათითებლად. თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ლაზერის გამოგონების გარეშე.

ამასთან, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეკონომიკაში სასაქონლო ინოვაცია პროცესების ინოვაციისგან განსხვავებულად ვრცელდება. სასაქონლო ინოვაცია ახალი კომპანიებისთვის მაღალ ბარიერებსა და მაღალ მოგებას ქმნის, როგორც ეს მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰენრი ფორდის, დღეს კი ბილ გეითსის მაგალითზე ჩანს. მიუხედავად ამისა, როცა ინოვაცია სხვა ინდუსტრიებს შეეხება პროცესების ინოვაციის სახით, როგორც ჰენრი ფორდის მანქანების სოფლის მეურნეობაში ტრაქტორის სახით, ან ბილ გეითსის ტექნოლოგიების სასტუმროს დაჯავშნისთვის გამოყენების შემთხვევაში, მთავარი ეფექტი არა ხელფასების ზრდა, არამედ ფასების დაცემა იქნება. ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ იმდენად შეამცირა სასტუმროების ბიზნესის მოგება ვენეციასა და კოსტა დელ სოლში (ესპანეთში), რომ სასტუმროების ინდუსტრიის წარმომადგენლები უკმაყოფილებას ვერ მალავენ.

რატომ ვერ მდიდრდებიან ქვეყნები, რომლებიც მხოლოდ ნედლეულს აწარმოებენ?

სოფლის მეურნეობის რამდენიმე უცნაური პარადოქსი

1. უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია, რომ საკვების დეფიციტი და შიმშილი უმეტესად იმ ქვეყნებში იჩენს თავს, რომლებიც საკვები პროდუქტების წარმოებაში სპეციალიზდებიან. რაც უფრო ნაკლებია მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი, მით უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი შიმშილი. ფაქტობრივად, იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად არ არსებობს, რისკს ჭარბი საკვების მიღებით სიკვდილი წარმოადგენს. როგორ შეიძლება ამ პარადოქსის ახსნა?

2. საუკუნეების განმავლობაში მწარმოებლურობის აფეთქება მხოლოდ ინდუსტრიას ახასიათებდა, მაგრამ, განსაკუთრებით ბოლო 50 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობა იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე ინდუსტრიების უმეტესობაში. 1940 წლის შემდეგ, ამერიკის სოფლის მეურნეობის სექტორში, ერთ აკრზე* ხორბლის მოსავალი თითქმის ექვსჯერ გაიზარდა. სოფლის მეურნეობის დიდი ნაწილი მაღალტექნოლოგიურ ბიზნესად გადაიქცა. ფერმერებს მიწის დახვნა ახლა უკვე ავტომატიზებული ტრაქტორით შეუძლიათ, რომელიც GPS** სატელიტით იმართება. შედეგად, დღეს ერთ ფერმერს იმდენივე პროდუქტის წარმოება შეუძლია, რამდენსაც 75 წლის წინ ათი ადამიანი სჭირდებოდა. პარადოქსია, რომ აშშ-სა და ევროპაში, რომლებსაც მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანი სოფლის მეურნეობა აქვთ, სუბსიდიებისა და პროტე-

* ერთი აკრი უდრის 4.047 კვ. მეტრს (მთარგმნელის შენიშვნა).

** ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური სისტემა (მთარგმნელის შენიშვნა).

ქციის გარეშე ეს სექტორი ვერ გადარჩება. თითოეულ შვეიცარიულ ძროხაზე, ფაქტობრივად, სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ოდენობაზე ოთხჯერ მეტი სუბსიდია გაიცემა. მაინც რა იწვევს ამას?

3. 1970 წელს ნორმან ბორლოუგს სოფლის მეურნეობაში „მწვანე რევოლუციისთვის“ ნობელის პრემია გადაეცა. მან შექმნა ახალი ჯიშები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიდნენ მოსავლიანობასა და ნაყოფიერებას. სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობაში მომხდარმა ამ უდიდესმა აფეთქებამ დიდად ვერ შეცვალა მსოფლიოში ღარიბთა და მშიერთა რაოდენობა. რატომ?

მიმაჩნია, რომ ეს სამი თვალშისაცემი პარადოქსი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. როგორც კი ამ კავშირს შევისწავლით, გავიგებთ, თუ რატომ ვერ გამდიდრდა ვერც ერთი ქვეყანა ინდუსტრიული და განვითარებული მომსახურების სექტორის გარეშე. ასევე ნათლად დავინახავთ, თუ რატომ ვერ გამდიდრდებიან განვითარებადი ქვეყნები პირველ სამყაროში საკვები პროდუქტების ექსპორტით. განსხვავებული ეკონომიკური სექტორები – უხეში დაყოფით: სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიული და მომსახურების სექტორები – სხვადასხვა როლს ასრულებენ ეროვნულ ეკონომიკაში. ისინი ზრდისა თუ შემცირების დროს განსხვავებულ ეკონომიკურ კანონებს ემორჩილებიან. ეკონომიკურ საქმიანობებში ამ თვისებრივი სხვაობების შეუმჩნევლობამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ მსოფლიო ეკონომიკის ესოდენ არათანაბარი განვითარების მიზეზებს ვერ ჩავწვდეთ.

მე-12 ნახატზე წარმოდგენილია ეკონომიკური აქტივობების ორი იდეალური ტიპი. პირველ კატეგორიას მე შუმპეტერისეული აქტივობები ვუწოდე. გამუდმებული ინოვაციების გამო, რო-

მელსაც გაზრდილ ხელფასებამდე მივყავართ, ეს აქტივობები კეთილდღეობისა და განვითარების საფუძვლებს ქმნის. მეორე კატეგორიაში მალთუსისეული აქტივობებია თავმოყრილი. ისინი შემოსავლების დონეს თითქმის საარსებო მინიმუმს უთანაბრებენ, როგორც ამას მალთუსი უწინასწარმეტყველებდა მთლიანად კაცობრიობას. როგორც ვნახავთ, პირველი უმეტესად მრეწველობაზე ვრცელდება, მეორე კი თავს იჩენს მაშინ, როცა სოფლის მეურნეობა და ნედლეულის მოპოვება საბაზრო ძალებზეა მინდობილი. 1930-იანი წლების ეკონომიკური დეპრესია ამ ორი ტიპის აქტივობებს შორის განსხვავებულობის ილუსტრაციაა. მრეწველობის სექტორში ეს უმუშევრობის სახით გამოიხატა, მაშინ, როდესაც მუშებმა, რომლებმაც სამუშაო ადგილები შეინარჩუნეს, შეინარჩუნეს ხელფასებიც. შედეგად, კრიზისის დროს ამერიკის მშპ-ში ხელფასების წილი გაიზარდა. ჯონ ქენეთ გელბრაიტის თქმით, დეპრესია სოფლის მეურნეობის სექტორსაც შეეხო – პროდუქტებზე ფასების ვარდნისა და კლებადი შემოსავლების სახით.

აგროპროდუქტების ფასებისა და მიწის დამუშავების ხარჯების შეფარდება, რომელსაც „პარიტეტული ფასი“ ეწოდება, ასახავს ფერმერების შემოსავლებს წარმოებისთვის აუცილებელ ხარჯებთან შედარებით. 1918 წელს ეს შეფარდება 200 იყო. ამ ფარდობის კლება, თავის მხრივ, ასახავს ამერიკელი ფერმერების სიღარიბის ზრდას აშშ ეკონომიკის დანარჩენ სფეროებთან მიმართებით. 1929 წელს ის 138-მდე დაეცა, ხოლო 1932 წელს მან ნიშნულს მიაღწია, რომელსაც გელბრაიტი „დამთრგუნველ და სულაც მომაკვდინებელ 57-ს“ უწოდებს.[21] სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასი წარმოების ხარჯებთან შედარებით ორი მესამედით შემცირდა. ჯონ სტეინბეკის „მრისხანების მტევნები“ კარგად აღწერს ამერიკული ფერმერების იმდროინდელ მდგომარეობას.

შუმპეტერისეული აქტივობების მახასიათებლები (=„კარგი“ საექსპორტო აქტივობები)	მალთუსისეული აქტივობების მახასიათებლები (=„ცუდი“ საექსპორტო აქტივობები, როცა შუმპეტერისეული სექტორი არ არსებობს)
მზარდი უკუგება	კლებადი უკუგება
დინამიური არასრულყოფილი კონკურენცია	„სრულყოფილი კონკურენცია“ (სასაქონლო კონკურენცია)
სტაბილური ფასები	ფასების უკიდურესი რყევა
უმეტესად მაღალკვალიფიციური მუშახელი	უმეტესად დაბალკვალიფიციური მუშახელი
ქმნის საშუალო კლასს	ქმნის „ფეოდალურ“ კლასობრივ სტრუქტურას
შეუქცევადი ფასები (ფასების „წებოვნობა“)	შექცევადი ფასები
ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს მწარმოებლისთვის ხელფასების ზრდას („ფორდისტული სახელფასო რეჟიმი“)	ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს მომხარებლისთვის ფასების შემცირებას
ქმნის ბევრ სინერგიას (კავშირებს, კლასტერებს)	ქმნის ცოტა სინერგიას

ილუსტრაცია 12. შუმპეტერისეული და მალთუსისეული ეკონომიკური აქტივობების დაპირისპირება.

კიდევ უფრო ნათლად რომ დავინახოთ სხვაობა ეკონომიკური აქტივობების ამ ორ იდეალურ ტიპს შორის, მათი ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ საერთაშორისო დახმარებასთან დაკავშირება მომიწევს. პირველი, ესაა დახმარება, რომლის საშუალებითაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და იაპონიის რეკონსტრუქცია მოხდა, ხოლო მეორე წარმოადგენს დახმარების ისეთ ტიპს, როგორიც დღეს გამოიყენება. გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას,

რომ მარშალის გეგმა დაზარალებულ ქვეყნებში ფულის მასობრივი გადარიცხვის მარტივი პროგრამა კი არა, არამედ ევროპის რეინდუსტრიალიზაციის ღია – და, საბოლოო ჯამში წარმატებული – მცდელობა იყო. საინტერესოა, რომ იმ „სასიკეთო წრეების“ შემკვრელი ძირითადი მექანიზმები, რომელიც მარშალის გეგმამ გამოიყენა, ანტონიო სერამ ჯერ კიდევ სამასი წლით ადრე აღმოაჩინა.

დღეს, ვაშინგტონის ინსტიტუტების მეშვეობით, განვითარებადი ქვეყნების წარმოების სტრუქტურა საპირისპირო ეფექტის მქონე პროგრამებს ექვემდებარება. ვიტყოდი, რომ ისინი მარშალის ბოროტმა ტყუპისცალმა – მორგენთაუს გეგმამ დააზარალა, რომელიც 1945 წელს გერმანიაში განხორციელდა. როცა ნათელი გახდა, რომ მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეები გაიმარჯვებდნენ, პრობლემად იქცა იმის გადაწყვეტა, თუ რა უნდა მოეხერხებინათ გერმანიისთვის, რომელმაც სამ ათწლეულში ორი მსოფლიო ომი წამოიწყო. ჰენრი მორგენთაუ უმცროსმა, რომელიც 1934-45 წლებში აშშ-ის ფინანსთა მინისტრი იყო, წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვით გერმანიას ველარასდროს უნდა შეძლებოდა მსოფლიო მშვიდობისთვის საფრთხის შექმნა. მისი მტკიცებით, გერმანიის სრული დეინდუსტრიალიზაცია უნდა მომხდარიყო და იგი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა გამხდარიყო.[22] ყოველგვარი ინდუსტრიული აღჭურვილობა ქვეყნიდან უნდა გატანილიყო ან განადგურებულიყო; მაღაროები წყლით უნდა დაეტბორათ ან ბეტონით ამოევსოთ. ეს პროგრამა მოკავშირეებმა 1943 წლის ბოლოს, კანადაში შეხვედრისას მოიწონეს და ის 1945 წლის მაისში, გერმანიის კაპიტულაციისთანავე ამოქმედდა.

მიუხედავად ამისა, 1946-47 წლებში ნათელი გახდა, რომ მორგენთაუს გეგმა სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს ქმნიდა

გერმანიაში: დეინდუსტრიალიზაციამ სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის კლება გამოიწვია.[23] ეს მართლაც საინტერესო ექსპერიმენტი იყო. ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას შორის სინერგიის შემქმნელ მექანიზმებს, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო განმანათლებელი ეკონომისტებისთვის, საწინააღმდეგო მიმართულებითაც შეეძლოთ მუშაობა: ინდუსტრიის ჩაკვლა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას ამცირებდა. ბევრი მათგანი, ვინც ინდუსტრიულ სექტორში სამსახური დაკარგა, მიწათმოქმედებას დაუბრუნდა. ამასთან, ეკონომიკის წამყვან ძალებად მე-2 თავში ნახსენები კლებადი უკუგების ბიბლიური მექანიზმები გადაიქცნენ. ყოფილი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი, რომელიც იმ დროს მოხუც და ბრძენ სახელმწიფო მოღვაწედ ითვლებოდა, გერმანიაში გაემგზავრა, რათა ვაშინგტონისთვის ეცნობებინა პრობლემის არსი. მან 1947 წლის დასაწყისში ჩაატარა მოკვლევა, რის საფუძველზეც სამი ანგარიში დაწერა. ბოლო ანგარიშში, რომელიც 1947 წლის 18 მარტით თარიღდება, ჰუვერი ასკვნის: „არსებობს ილუზია, რომ შესაძლებელია „ახალი გერმანიის“, ქვეყნის იმ ნაწილის, რომელიც ტერიტორიების ანექსიას გადაურჩა, „ფერმერულ სახელმწიფოდ“ გადაქცევა. ეს მანამ ვერ მოხდება, სანამ 25 მილიონ ადამიანს არ გავულეტთ ან არ გადავასახლებთ“.

დეინდუსტრიალიზაციის საზარელი შედეგების ნახვის შემდეგ, ჰუვერმა მოსახლეობის ძველი, მერკანტილისტური თეორია გააცოცხლა: ინდუსტრიულ სახელმწიფოს შეუძლია გამოკვებოს და შეინარჩუნოს ბევრად მეტი მოსახლეობა, ვიდრე იმავე ტერიტორიის მქონე სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდუსტრია მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის შესაძლებლობას, შეინარჩუნოს დიდი მოსახლეობა. ის, რომ შიმშილი მხოლოდ იმ ქვეყნებში ჩნდება, რომ-

ლებიც სპეციალიზებულები არიან სოფლის მეურნეობაში, ხაზს უსვამს ინდუსტრიის ძალას, შრომის დანაწილებისა და სექტორთშორისი სინერგიების მნიშვნელობას, რომელთა საშუალებითაც იქმნება და მტკიცდება კეთილდღეობა.

ჰუვერის მიერ ანგარიშის წარდგენიდან სამ თვეში მორგენთაუს გეგმა უჩუმრად ჩაიფარცხა. საპირისპირო შედეგების მისაღებად მომზადდა მარშალის გეგმა, რომლის მიზანი გერმანიისა და დანარჩენი ევროპის ხელახალი ინდუსტრიალიზაცია იყო. გერმანიის შემთხვევაში, ინდუსტრია 1936 წლის დონეს უნდა დაბრუნებოდა, რომელიც ომამდე ბოლო „ნორმალურ“ წელიწადად ითვლებოდა. დღეს პრობლემა ისაა, რომ გაბატონებული, ბარტერზე ფოკუსირებული ეკონომიკური თეორია ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს მარშალისა და მორგენთაუს გეგმებს. წიგნის პირველი თავის დასაწყისში მოყვანილ თომას კუნის ციტატას რომ მივუბრუნდეთ, სტანდარტული ეკონომიკური ზრდის თეორიის ხელსაწყოების ყუთში არ მოიძებნება ორი გეგმის ერთმანეთისგან განმასხვავებელი კონცეპტუალური ინსტრუმენტები. ქვეყანა, რომელიც მალთუსიანულ აქტივობებში სპეციალიზდება, ღარიბად დარჩება მაშინ, როდესაც ქვეყნები, რომლებიც შუმპეტერისეულ აქტივობებს მისდევენ ცხოვრების გაცილებით მაღალი სტანდარტის მისაღწევად, ეტაპობრივად, მაგრამ აუცილებლად შეძლებენ სახელფასო დონისა და წარმოების სისტემის შექმნას. ახლა მოკლედ მიმოვიხილავ, თუ რითი განსხვავდება ამ ორი აქტივობის „იდეალური ტიპები“ ერთმანეთისგან.

როგორც ანტონიო სერამ აღნიშნა, ნედლეულისა და სამრეწველო საქონლის წარმოება სხვადასხვა ეკონომიკურ კანონებს ემორჩილება. მას მერე ეს არგუმენტი იმ შეხედულების დასამტკიცებლად გამოიყენება, რომ ინდუსტრიული სექტო-

რი ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებსაც სჭირდებათ. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება იმ სახით, რომლითაც მესამე სამყაროში გვევლინება, ამას ვერ აცნობიერებს. შედეგად, გლობალიზაციას თან ახლავს დამღუპველი შედეგები, განსაკუთრებით კი პატარა, ღარიბი ქვეყნებისთვის. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობენ ეკონომისტები, რომლებიც ამ შეხედულებას იზიარებენ. 1980 წლისთვის, ამერიკელმა ეკონომისტმა, პოლ კრუგმანმა, ეს საუკუნოვანი იდეები აღადგინა, მაგრამ მის ინოვაციებს პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. დღეს ეკონომიკაში, იდეოლოგიასა და მეთოდოლოგიას ერთმანეთში ხლართავს ის უსიამოვნო დამთხვევა, რომლის მიხედვით ნეოკლასიკური პარადიგმის „მათემატიზაცია“ იმ ვარაუდების არსებობას მოითხოვს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკას ჰარმონიისა და თანასწორობის უტოპიად ხატავს.

ამგვარად, ეკონომიკის მათემატიკურმა გაფილტვრამ სერიოზული იდეოლოგიური ძვრები გამოიწვია. ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ მიეცა ეკონომიკას არარელევანტურობაში გადავარდნის საშუალება. არარელევანტურობაში, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ დღის წესრიგს ატარებდა. კრუგმანმა გამოიგონა ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდა სიმდიდრის შექმნელი მზარდი უკუგებისა და სიღარიბის გამომწვევი კლებადი უკუგების დიქოტომიის წარმოჩენა, მაგრამ მისი თეორია პოლიტიკურად მოთხოვნადი არ აღმოჩნდა.

საწყისი პროდუქტიულობის დონის მიუხედავად, ადრე თუ გვიან, სოფლის მეურნეობა და, ზოგადად, ნედლეულის წარმოება კლებადი უკუგების ჩიხში შევლენ. როგორც უკვე ვთქვით, კლებადი უკუგება ორნაირია: ინტენსიური და ექსტენსიური. თუ ყანაში უფრო და უფრო მეტ მუშახელს და-

ვამატებთ, საბოლოო ჯამში მივაღწევთ ზღვარს, რომლის მიღმაც მუშა მის წინამორბედზე ნაკლების წარმოებას დაიწყებს. ეს არის ინტენსიური კატეგორია, რომელიც სტაფილოების მოყვანის მაგალითზე აღვწერე. პატარა, ღარიბი ქვეყნების ეკონომიკა ხშირად მხოლოდ ერთი პროდუქტის ექსპორტზეა ფოკუსირებული, იქნება ეს ყავა თუ სტაფილო. თუკი არ იქნება ალტერნატიული დასაქმება, კლებადი უკუგება აუცილებლად გამოიწვევს რეალური ხელფასების კლებას. რაც უფრო მეტად სპეციალიზდება ქვეყანა ნედლეულის წარმოებაში, მით უფრო მეტად გაღარიბდება.

ძველი ინგლისური კლასიკური ეკონომიკის წარმომადგენლები კარგად ხვდებოდნენ კლებადი უკუგების პრინციპს. სინამდვილეში, სწორედ ამ პრინციპმა უბიძგა პოეტს, მწერალსა და ფილოსოფოს, თომას კარლაილს, ეკონომიკისთვის „დამთრგუნველი მეცნიერება“ ეწოდებინა. ადრე თუ გვიან, კაცობრიობის საქმიანობა დაეჯახებოდა კედელს, რომელსაც მუდმივად კლებადი ბუნებრივი რესურსების სახე ექნებოდა. სავარაუდოდ, ეს კედელი მოქნილია, შეიძლება მცირედ დეფორმირდეს და წლიდან წლამდე შეიცვალოს, მაგრამ ადრე თუ გვიან საზოგადოება აუცილებლად მიაწყდება ჭარბი მოსახლეობის სრულიად რეალურ კედელს.

ამ ფუნდამენტურად პესიმისტური ინგლისური ეკონომიკური მეცნიერების ოპტიმისტურად გადაქცევა მარტივად შეიძლება, თუკი მასში ტექნოლოგიურ განვითარებასა და მზარდ უკუგებას შევიტანთ. თუ ხარჯები მოცულობის გაზრდასთან ერთად მცირდება, ეს კარგი ამბავია. ქსელი უფრო ეფექტური ხდება, როცა მას მეტი ადამიანი ემატება. ტექნოლოგია ინდივიდუალური მომხარებლებისთვის უფრო იაფდება, რაც უფრო მეტად ვრცელდება იგი. ამგვარი მზარდი უკუგება ან მასშტა-

ბის ეკონომია, რეალურად, მალთუსის მოსახლეობის თეორიას მიმართულებას უცვლის: რაც უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში, მით უფრო იაფია საქონლის წარმოება და მიწოდება. ამასთან, საზოგადოებას შეიძლება შევხედოთ, როგორც მოძრაობას, რომელსაც მუდმივად ასტიმულირებს ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების უკიდეგანო საზღვრები. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკა ზეოპტიმისტური ხდება. რაც მეტია მოსახლეობა – მით უკეთესი: მომხმარებლებს უფრო მეტი ფული ექნებათ, უფრო მეტ კვლევას ჩავატარებთ და უფრო მრავალფეროვანი საქონლის მიწოდებას შევძლებთ. ეს იყო მერკანტილიზმის დროინდელ სამყაროში გამეფებული ხედვა, სანამ 1798 წელს, მალთუსის გამოჩენით, პესიმიზმმა არ დაისადგურა. როგორც ვნახეთ, მალთუსამდე მიზანს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ქალაქებში, რაც შეიძლება მეტი ადამიანის მიზიდვა წარმოადგენდა. მერკანტილისტებს ინდუსტრია მოუნდათ, რისთვისაც ყველაზე დიდი საშინაო და საგარეო ბაზრების მოძიება მოუწიათ. გამომდინარე აქედან, მასშტაბის ეკონომიკა მათი თეორიებისა და პოლიტიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოდგა.

მიუხედავად ამისა, ინდუსტრიის არმქონე ქვეყანას მაინც მოუწევს კლებადი უკუგების რკინის კანონს დამორჩილდეს. ტექნოლოგიურმა წინსვლამ მოქნილ კედელს ადგილი რომც შეუცვალოს, ის მაინც იარსებებს. ესაა მთავარი განსხვავება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის.

თავის „პოლიტიკური ეკონომიკის პრინციპებში“ (1848), სახელმძღვანელოში, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლომდე წარმართავდა ინგლისის ეკონომიკას, ჯონ სტიუარტ მილი ხაზს უსვამს მზარდი უკუგების სასიცოცხლო მნიშვნელობას:

„მე ვხვდები, რომ [კლებადი უკუგების იდეის უგულებელყო-

ფა] არა მარტო უზუსტობა, არამედ ყველაზე სერიოზული შეცდომაა, რაც მთლიანად პოლიტიკურ ეკონომიკაში შეიძლება ვიპოვოთ. ეს საკითხი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია. ის მოიცავს სიღარიბის გამომწვევი მიზეზების მთლიან საკითხს ... და სანამ ამ საკითხს ბოლომდე არ ჩავწვდებით, მანამდე ჩვენი კვლევის გაგრძელებას აზრი არა აქვს".[24]

შემდეგი სახელძღვანელო, რომელმაც ინგლისური ეკონომიკური აზროვნება დაიპყრო და კეინზის გამოჩენამდე პოლიტიკური ეკონომიკის სფეროში ბატონობდა, ალფრედ მარშალის „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები" (1890) იყო. მილის მსგავსად, მარშალიც ამტკიცებდა, რომ ისტორიაში ყველა მასობრივ მიგრაციას კლებადი უკუგება იწვევდა. როდესაც 1980 წელს ჩემი სადოქტორო დისერტაციისთვის კვლევას ვატარებდი, ვეცადე მომენახა თეორიული სისტემა – ანტონიო სერადან ალფრედ მარშალამდე, რომელიც სიღარიბეს კლებად უკუგებასთან დააკავშირებდა. ჩემი თეზისიდან ირკვეოდა, რომ მე-20 საუკუნის განმავლობაში პერუს (ბამბა), ბოლივიისა (კალა) და ეკვადორის (ბანანი) ძირითადი საექსპორტო საქონელი, უმეტესად კლებადი უკუგებით იყო ნაწარმოები. როცა წარმოება დაეცა, პროდუქტიულობა გაიზარდა. ეს სრულიად საპირისპიროა იმისა, რაც ინდუსტრიულ სექტორში ხდება. მე-13 ილუსტრაცია აჩვენებს ეკვადორში ბანანის წარმოების ცვლილებას 1961-1977 წლებში, როცა პროდუქტიულობის უეცარი ვარდნა გამოწვეული იყო იმ მოვლენებით, რასაც ერთი შეხედვით ხელშემწყობი როლი უნდა ეთამაშა. ამ შემთხვევის გულდასმით შესწავლა ნათელს მოჰფენს იმას, რასაც გუნარ მირდალმა განვითარებად ქვეყნებში „საწინააღმდეგო ტალღის" ეფექტი უწოდა.



წყარო: ერიკ რეინერტი, „საერთაშორისო ვაჭრობა და განუვითარებლობის ეკონომიკური მექანიზმები", სადოქტორო ნაშრომი, კორნელის უნივერსიტეტი, 1980.

ილუსტრაცია 13. ეკვადორი: მზარდი წარმოება და კლებადი უკუგება ბანანის წარმოებაში, 1961-1977.

1960-იანი წლების დასაწყისში ცენტრალური ამერიკის ბანანის პლანტაციებს სიგატოკას* დაავადება გაუჩნდა. ეკვადორი, რომელიც იმ დროს შედარებითი მცირე მწარმოებელი იყო, ეპიდემიას გადაურჩა, რაშიც მან საკუთარი საბაზრო წილის გაზრდის შანსი დაინახა. 1962-1966 წლებში ეკვადორმა ბანანის მოსაყვანად განკუთვნილი ტერიტორია 75%-ით გაზარდა. რამდენიმე წლის შემდეგ, ეკვადორში, გუაკილში სიცხეში დოკუ-

* მცენარეების ფოთლების დაავადება, შეიძლება შეგხვდეს ცერკოსპოროზის დასახელებით (მთარგმნელის შენიშვნა).

მენტების დასტაზე ოფლის ღვრისას, აღმოვაჩინე, რომ ზუსტად იმავე პერიოდში ერთ აკრზე მოსავლიანობა 40 პროცენტით დაეცა, 19 ტონიდან დაახლოებით 12 ტონამდე. როგორც ყოველთვის, ეს მხოლოდ ერთი ფაქტორით არ იყო გამოწვეული, მაგრამ მოსავლიანობის ამგვარი კლების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ წარმოება, ბანანის მოსაყვანად საუკეთესო მიწების მქონე ელოროს პროვინციიდან, უფრო მცირემოსავლიან ტერიტორიებზე გაფართოვდა. ის, რაც თითქოს თავიდან ეკვადორის პოზიციების გაუმჯობესებას მოასწავებდა, სინამდვილეში მოსავლიანობისა და ბანანის მწარმოებლების შემოსავლების კლების მიზეზი აღმოჩნდა. სოფლის მეურნეობის არც ერთი ეკონომისტისთვის ეს სიურპრიზი არ იქნებოდა. აქ პრობლემა მაკრო დონეზე შედეგების არასაკმარისი გააზრებულობაა.

ამ ყველაფრის მთავარი საკითხი, რომელსაც სათანადო ყურადღება არ ექცევა, ისაა, რომ ზუსტად საპირისპირო რამ მოხდებოდა ინდუსტრიაში: როგორც წესი, წარმოების ზრდა შეამცირებდა დანახარჯებს. მრეწველობაში, ყოველი ახალი დანადგარი მის წინამორბედზე არათუ ნაკლებად, არამედ მეტად ეფექტიანი იქნება. ყოველი მომდევნო სამუშაო საათი კი ერთეულის წარმოების ფიქსირებულ ხარჯებს შეამცირებს. მრეწველობაში, წარმოების ზრდას, ერთეულის პროდუქციის ფასის კლებამდე მივყავართ. მრეწველობაში, მზარდი საბაზრო წილი, სწავლების მრუდზე ჩასრიალებისას დაწინაურების საშუალებას გვაძლევს; სოფლის მეურნეობაში კი კლებადი უკუგების კედელს გვახეთქებს.

1994 წლის რუანდის გენოციდს უმეტესად ბოროტი ადამიანიების მიერ ეთნიკური სიძულვილის გაღვივებად წარმოგვიდგენენ ხოლმე, მაშინ, როცა დანარჩენი მსოფლიო გვერდზე იდგა და ამას თვალყურს ადევნებდა. რეალურად, ამ დრამის

შინაარსს მხოლოდ კლებადი უკუგების კანონის ფონზე ჩავწვდებით, რაც, ამ შემთხვევაში, სახნავ-სათეს მიწებზე მოსახლეობის გაზრდილმა წნეხმა გამოიწვია, რამდენადაც სხვა სფეროში დასაქმების თითქმის არანაირი ალტერნატივა არ არსებობდა. ამგვარ სიტუაციაში, როცა მზარდი უკუგებისთვის ხელსაყრელი პირობები ფაქტობრივად არ არსებობს, მალთუსისეული პესიმიზმი სრულიად გამართლებულია. ჭარბი მოსახლეობა იწვევს კრიზისებს. რუანდაში, მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე 281 ადამიანს შეადგენს. ეს მაინცდამაინც მაღალი არაა ზოგიერთ ინდუსტრიულ ქვეყანასთან შედარებით (იაპონიაში ეს მაჩვენებელი კვ. კმ-ზე – 335, ნიდერლანდებში კი 477 ადამიანია), მაგრამ ღარიბი სასოფლო-სამეურნეო ქვეყნისთვის ეს უზარმაზარი რიცხვია. შედარებისთვის, ერთ კვ. კმ-ზე მდიდარ დანიაში 125 მოსახლეა, ტანზანიაში – 20, სამხრეთ აფრიკაში – 36, ნამიბიაში – 2, ხოლო ნორვეგიაში – 14.

რუანდის გენოციდზე ორი ფუნდამენტური კვლევა ჩატარდა, ერთი მსოფლიო ბანკის მიერ – 1997 წელს, მეორე გაეროს განვითარების პროგრამის მიერ – 1999 წელს. ამ კვლევებში გაოცებას იწვევს ის, რომ რუანდის დრამაში მკვლევრები ყურადღებას არ აქცევენ კლებადი უკუგების როლს: სოფლის მეურნეობაში ზღვრული პროდუქტიულობის კლებად ეფექტს მზარდ მოსახლეობაზე. თანამედროვე მსოფლიო, მესამე სამყაროს მიმართ გატარებული პოლიტიკით თუ ვიმსჯელებთ, სულ მცირე, ვეღარ არჩევს განსხვავებებს ეკონომიკურ აქტივობებს შორის. ჩვენ აღარ ვარკვევთ იმას, რაც ისედაც ცხადია, ანუ კავშირს გენოციდსა და დასაქმების შესაძლებლობებს შორის სოფლის მეურნეობის მიღმა, რომელიც კლებადი უკუგებით ხასიათდება. რა თქმა უნდა, რუანდის სოფლის მეურნეობა მაინცდამაინც წარმატებული არაა, თუმცა მისი ეფექტიანობის გაზრდის

ყოველგვარი მცდელობა, ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციის გარეშე, ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც ისტორია გვასწავლის. მხოლოდ ინდუსტრიალიზაციას შეუძლია ეფექტიანი სოფლის მეურნეობის სექტორის შექმნა. სინამდვილეში, მსოფლიოს ყველა არშემდგარ სახელმწიფოს საკვების ნაკლებობისა და სუსტი ინდუსტრიული სექტორის პრობლემები აერთიანებს. ერთ დროს ეკონომისტები ამგვარი სტრუქტურული კავშირების არსებობას აცნობიერებდნენ. დღეს არშემდგარ სახელმწიფოებსა და შიმშილს ისე ვიკვლევთ, თითქოს სრულიად განყენებული მოვლენები იყოს, რომელთაც ეკონომიკურ სტრუქტურასთან კავშირი არ გააჩნიათ. სინამდვილეში, ისინი ერთი და იმავე საბაზისო პრობლების ურთიერთშემავსებელი ეფექტები არიან. ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო საზოგადოება მსოფლიოს ტანჯვისა და სიღარიბის სიმპტომებისგან – და არა მისი გამომწვევი მიზეზებისგან – განკურნებას ცდილობს.

თავის წიგნში „კოლაფსი“ (2005),[25] ბიოლოგი ჯარედ დაიმონდი ბრწყინვალედ აკეთებს იმას, რაც რუანდის მოვლენების სხვა მკვლევრებმა ვერ შეძლეს; რობერტ მალთუსის, ჯონ სტიუარტ მილისა და ალფრედ მარშალის ტრადიციის მიხედვით, ის ერთმანეთთან აკავშირებს გენოციდისა და კლებადი უკუგების პრობლემას. გენოციდამდე რუანდაში ერთ სულ მოსახლეზე საკვების წარმოების მაჩვენებელი დაეცა, რაც კლებადი უკუგებით, გვალვებითა და ნიადაგის გამოფიტვით იყო გამოწვეული. ამან, თავის მხრივ, ტყის მასობრივი განადგურება გამოიწვია, რისი შედეგიც იყო ქურდობისა და ძალადობის არნახული ზრდა უადგილმამულო და მშიერ ახალგაზრდა მამაკაცებს შორის. დაიმონდს მოჰყავს აღმოსავლეთ აფრიკის მცოდნე ჟერარ პრუნიეს ციტატა: „დახოცვის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებმა მიიღეს, პოლიტიკური მიზეზების გამო. მა-

გრამ, ის თუ რატომ მოხდა ეს ყველაფერი ასე ზედმიწევნით, ჩვეულებრივი, რიგითი გლეხების ხელით ... გამოწვეული იყო განცდით, რომ ძალიან მცირე მიწაზე ძალიან ბევრი ადამიანი სახლობდა და მათი რაოდენობის შემცირებით გადარჩენილებს უფრო მეტი დარჩებოდათ".

ავსტრალიაში ყოველთვის შესანიშნავად აცნობიერებდნენ ნედლეულის წარმოებაში სპეციალიზაციის საფრთხეებს. ავსტრალიელმა ეკონომისტებმა გაიაზრეს, რომ თუკი მათი ქვეყანა ტრადიციულ ვაჭრობის თეორიას მიჰყვებოდა და გადაუმუშავებელი მატყლით მსოფლიოს მომარაგებას დაიწყებდა, პირველი შედეგი ჭარბი წარმოება და მატყლის ფასის მკვეთრი ვარდნა იქნებოდა. მეორე შედეგი კი, დასაქმების ალტერნატიული წყაროს არარსებობის შემთხვევაში, მეცხვარეობისა და მატყლის წარმოების ისეთ ადგილებში გავრცელება, რომელიც ამ საქმიანობისთვის შეუფერებელი იქნებოდა.

სწორედ ამის გამო ითხოვდა დაჟინებით ავსტრალია საკუთარი მრეწველობის სექტორის დაარსებას, მიუხედავად იმისა, რომ ის ინგლისურ და ამერიკულ ინდუსტრიას კონკურენციას ვერასდროს გაუწევდა. ეს არის ის დამოკიდებულება, რომელიც საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების წარმოქმნისთვისაა საჭირო. ავსტრალიელებმა გათვალეს, რომ ეროვნული მრეწველობის სექტორი ალტერნატიულ სახელფასო დონეს შექმნიდა, რომელიც ნედლეულის მწარმოებლებს უნაყოფო მიწებზე წარმოების გადატანას აარიდებდა თავიდან. ინდუსტრიის მიერ შექმნილი ხელფასების დონე ნიშანს მისცემდა, რომ ეს ვერ იქნებოდა მომგებიანი. ინდუსტრიული სექტორი, რომელიც განმარტების მიხედვით, მზარდი უკუგებით აწარმოებს, ასევე ხელს შეუწყობდა შალის წარმოების მექანიზაციას. ზუსტად იგივე ლოგიკა, რომელიც დაფუძნებულია ინდუსტრიაში მზარდი,

ხოლო სოფლის მეურნეობაში კლებადი უკუგების დიქოტომიაზე, წარმოადგენდა ევროპული და ამერიკული ინდუსტრიალიზაციის მთავარ არგუმენტს მე-19 საუკუნის განმავლობაში.

მწარმოებლურობის დიდი ციკლური რყევები, რომლებიც ბუნების ცვალებადობითაა გამოწვეული, კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას ქმნის სოფლის მეურნეობაში. მრეწველობისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობას არ შეუძლია გააჩეროს წარმოება ან სადმე შეინახოს ნახევრად დამზადებული საქონელი. ფერმერებს არც ინდუსტრიის მსგავსი ეკონომიკური გავლენა აქვს, რომ ფასების გასაზრდელად წარმოება შეამცირონ. ვინაიდან მოთხოვნა წარმოების სინქრონული არაა, სოფლის მეურნეობის პროდუქტები ხშირად ფასების სერიოზულ რყევებს განიცდის. ზოგჯერ რყევები შეიძლება ისე გაძლიერდეს, რომ ცუდი მოსავლიანობის წელიწადში აღებული მარცვლეულის მთლიანი ფასი კარგი მოსავლიანობის წელიწადისას აღემატებოდეს. როცა საბაზისო ეკონომიკური ბიზნესის ციკლიც* იცვლება, შედეგები შეიძლება უმძიმესი გამოდგეს. ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობა პირველი სექტორია, რომელიც დაღმავალ ბიზნეს ციკლში შედის და უკანასკნელი, რომელიც მისგან გამოდის. ძველად ნორვეგიაში არსებობდა გამოთქმა: „როცა ოჯახი მდიდარია, ყველა მდიდარია“. 1930-იანების ეკონომიკური დეპრესიის შემდეგ, დასავლურმა სამყარომ სოფლის მეურნეობის სექტორის პრობლემების მოგვარება მისი ინდუსტრიასთან მიმსგავსებით სცადა. შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ფერმერებს საბაზრო მონოპოლიების შექმნის უფლება მიეცათ. აშშ-ში ანტი-ტრესტული კანონმდებლობა სოფლის მეურნეობის სექტორზე დღემდე არ ვრცელდება. შედეგად, ჩვენ ამერიკულ ნუშსა და ქიშმიშს ლეგალური მონოპოლიებისგან ვყიდულობთ.

* ბიზნესის ციკლი არის რამდენიმე წლიანი ეკონომიკური აღმავლობისა და შემდეგ დაცემის ციკლური პროცესია (მთარგმნელის შენიშვნა).

სოფლის მეურნეობაში წარმოუდგენელია ხელფასების გაორმაგება, როგორც ეს ჰენრი ფორდმა საკუთარ თანამშრომლებს გაუკეთა. უფრო მეტიც, უმჯობესია ხელფასები საერთოდ არ გაიზარდოს. როგორც წესი, ნედლეულის წარმოება დაბალკვალიფიცურ მუშახელს მოითხოვს, რომლის მიწოდებაც ღარიბ ქვეყნებს დაუსრულებლად შეუძლიათ. მაშინ, როცა ჰენრი ფორდისთვის მწარმოებლურობიდან მიღებული მოგება მუდმივი იყო, ფერმერებისთვის გაზრდილი ფასებიდან მიღებული სარგებელი შექცევადია. ციკლურობა მნიშვნელოვნად ცვლის ვითარებას. თუკი მაღალი მოსავლიანობის წლებში ხელფასები გაიზრდებოდა, მომდევნო ცუდ პერიოდებში მწარმოებლებს მათი ხელახლა შემცირება მოუწევდათ. ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მაინცდამაინც არ იძლევა სწორ სტიმულებს ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების კუთხით ეფექტიანობის გასაზრდელად. ხშირად, ამგვარ ინდუსტრიებში წარმატების მიღწევა უფრო მეტად გაყიდვების დროის სწორად შერჩევასა და ფინანსურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ვიდრე წარმოების ხარჯთსარგებლიანობაზე.

ამრიგად, ნედლეულის მწარმოებლები ინდუსტრიული მწარმოებლებისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობენ. ფასები ძლიერ და, ზოგჯერ, მოულოდნელად ირყევა. მაშინ, როდესაც ბილ გეითსი საკუთარი პროდუქტების ფასს თავად აწესებს, ნედლეულის მწარმოებლებს ყოველ დღე გაზეთის კითხვა უწევთ იმის გასაგებად, თუ მათთვის რამდენის გადასახდელადაა ბაზარი მზად. ნედლეულის მწარმოებლებს მემკვიდრეობით გადაეცემათ სამყარო, რომელიც სტანდარტულ ეკონომიკურ თეორიაშია აღწერილი, მისი არასრულყოფილი კონკურენციითა და დაბალი ბარიერებით. როგორც მე-12 ილუსტრაციიდან ჩანს, ღარიბი ქვეყნები ხშირად მალთუსის-

ეულ აქტივობებში სპეციალიზდებიან, სადაც არასრულყოფილი კონკურენცია მწარმოებლებს აიძულებს მწარმოებლურობის ზრდა დაბალი ფასების სახით, მათ კლიენტებს დაუთმონ. ის, რომ ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის ზრდა სხვადასხვაგვარად მიიღწევა, ინგლისელი ეკონომისტის ჰანს ზინგერის ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო 1950 წელს გამოცემულ მის ფუნდამენტურ ნაშრომში.[26] სხვათა შორის, ზინგერი ჯოზეფ შუმპეტერის სტუდენტი იყო.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, პერუ, ლათინური ამერიკის დანარჩენი ქვეყნების მსგავსად, ინდუსტრიალიზაციის ამბიციურ პროგრამას შეეჭიდა. იმპორტირებულ ინდუსტრიულ ნაწარმზე ტარიფების დაწესებით არაერთი წარმოება შეიქმნა, სადაც მრავალი ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდა და ხელფასებმაც ზრდა დაიწყო. როგორც მე-14 ილუსტრაციიდან ჩანს, ძალისხმევა წარმატებული გამოდგა. არსებითად, მათი სტრატეგია მხოლოდ მცირედით განსხვავდებოდა იმისგან, რასაც 1485 წელს, ინგლისში, ჰენრი VII-ის წყალობით ჩაეყარა საფუძველი და, რასაც ყველა ინდუსტრიული ქვეყანა იყენებდა. მიუხედავად ამისა, 1970-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განვითარებად ქვეყნებში მათი „სტრუქტურული ადაპტაციის პროგრამები“ დაიწყეს. პერუ იძულებული გახდა მისი ეკონომიკა გაეხსნა და, როგორც მე-14 ნახატზე ჩანს, მისი ინდუსტრია ჩაკვდა, ხოლო ანაზღაურების დონე მთელ ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა.

გერმანელმა ეკონომისტმა, ფრიდრიხ ლისტმა, ტარიფებისა და თავისუფალი ვაჭრობის დროის სწორად შერჩევას თეორიული სახე მისცა. თანმიმდევრობა ასეთია: (1) თავიდან, ყველა ქვეყანას ესაჭიროება თავისუფალი ვაჭრობა მოხმარების სტრუქტურის შესაცვლელად და ინდუსტრიულ ნაწარმზე მოთხოვნის გასაჩენად. შემდეგ დგება პერიოდი, (2) როდესაც პა-

ტარა ქვეყნები იცავენ და ქმნიან საკუთარ ინდუსტრიებსა (ანუ დარგებს, რომლებსაც მზარდი უკუგება ახასიათებთ და, რომელთა შორისაა მაღალი ხარისხის სერვისებიც) და სინერგიებს. ამის შემდეგ მოდის პერიოდი, როცა (3) ეკონომიკურად უფრო და უფრო ფართო გეოგრაფიული არეალები ინტეგრირდებიან. სატარიფო ბარიერები, რომლებიც 1830 წელს ოცდაათზე მეტ გერმანულ სახელმწიფოს იცავდა, უნდა მოხსნილიყო და შექმნილიყო ეკონომიკურად გაერთიანებული გერმანია. შემდეგ, როდესაც უკვე ყველა ქვეყანას ექნებოდა საკუთარი კონკურენტუნარიანი ინდუსტრიული სექტორი, (4) ყველას საერთო ინტერესში იქნებოდა გლობალურ თავისუფალ ვაჭრობაში ჩაბმა. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ლისტი იყო როგორც პროტექციონისტი, ასევე თავისუფალი ვაჭრობის მომხრეც, იმაზე დამოკიდებულებით, განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფებოდა სახელმწიფო.

ლისტის თვალსაზრისით, ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც პერუა, შეცდომა დაუშვეს, როდესაც მეორე ეტაპიდან მეოთხეზე გადახტომა მოინდომეს. მიუხედავად იმისა, რომ „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ (LAFTA ან ALALC) სახით ეროვნულ პროტექციონიზმსა და გლობალურ თავისუფალ ვაჭრობას შორის გარდამავალი ეტაპი იყო დაგეგმილი, ის არასდროს ამოქმედებულა. შედარებით პატარა ქვეყნების ინდუსტრიული მეწარმეები, საკუთარი ვიწრო მონოპოლიების წყალობით, საკმარისად კარგად გრძნობდნენ თავს იმისთვის, რომ მათ მეზობლებთან თავისუფალ ვაჭრობას დათანხმებულიყვნენ. ლისტისეული მე-2 ფაზიდან პირდაპირ მე-4 ფაზაზე გადასვლას ისეთივე ეფექტი ჰქონდა ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, როგორიც სათბურში გაზრდილი მცენარის ცივ კლიმატში უეცარ გადატანას ექნებოდა. მრეწველობის ინდუსტრია უმეტესად განადგურდა და აღნიშნული სექტორიდან მოთხოვნის ნაკლე-

ბობამ, ამ ეკონომიკების ცოდნატევად სერვისებზე გადასვლას (როგორც ეს მდიდარ ქვეყნებს გამოუვიდათ) შეუშალა ხელი. სერვისის ცოდნატევად სექტორებსა და მრეწველობას შორის ისეთივე სინერგიებია, როგორც ამ უკანასკნელსა და სოფლის მეურნეობას შორის. ცხადია, დღეს ლათინურ ამერიკაში ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალი იქნებოდა, თუ ისინი ლისტის რჩევას და გლობალიზაციის მისეულ თანმიმდევრობას მიჰყვებოდნენ. ეს მათ გადამამუშავებელი სექტორის უფრო დიდი ნაწილის გადარჩენის საშუალებას მისცემდა.



ეს გრაფა აჩვენებს თუ როგორ გაიზარდა პერუში ხელფასები მაქსიმუმამდე, როდესაც ვაშინგტონის ინსტიტუტების აზრით ქვეყანა ყველაფერს „უკუღმა“ აკეთებდა. მიუხედავად იმისა, რომ პერუს არ გააჩნდა მსოფლიო მასშტაბის კონკურენტუნარიანი სამრეწველო სექტორი, ის დღევანდელზე ორჯერ უფრო მაღალ რეალურ ხელფასებს იხდიდა. ცივი ომის შემდგომმა პერიოდმა ჩამოაყალიბა იმგვარი გლობალური ეკონომიკური წესრიგი, რომელიც მსოფლიო ვაჭრობის და, არა ადამიანური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას ესწრაფის.

გრაფაზე ექსპორტი გამოსახულია დღევანდელ აშშ-ის დოლარებში, რაც ვიზუალურ ეფექტს გარკვეულწილად აძლიერებს.

წყაროები: რეალური ხელფასები: სანტიაგო როკა და ლუის სიმა-ბუკო, „ბუნებრივი რესურსები, ინდუსტრიალიზაცია და მერყევი საცხოვრებელი სტანდარტები პერუში, 1950-1997: აქტივობაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის შემთხვევის შესწავლა“ ერიკ ს. რეინერტის წიგნში „გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება და უთანასწორობა: ალტერნატიული პერსექტივა“, ჩელტენჰემი, 2004. ექსპორტი: რიჩარდ ვები და გრასიელა ფერნანდეზ ბაკა, Peru en Numeros, ლიმა, 2001.

ილუსტრაციიდან 14. პერუ, 1960-2000 წლები: რეალური ხელფასებისა და ექსპორტის განსხვავებული გზები.

თუმცაღა, ამას მივყავართ იმ მნიშვნელოვან მოსაზრებამდე, რომელსაც ეკონომისტები საუკუნეების განმავლობაში იზიარებდნენ, მაგრამ დღეს ის ბევრისთვის სრულიად გაუგებარია: არაეფექტიანი ინდუსტრიული სექტორის მქონე ქვეყანა ბევრად მეტ დოვლათს ქმნის, ვიდრე ის, რომელსაც ინდუსტრია საერთოდ არ გააჩნია. მე-14 ილუსტრაცია გვიჩვენებს, თუ სადამდე დაეცა რეალური ანაზღაურება პერუში დეინდუსტრიალიზაციის გამო. ნათელია, რომ შექმნილი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი არა მსოფლიო შემოსავლების, არამედ ვაჭრობის მაქსიმალურ ზრდას ემსახურება. მსოფლიო ბანკის არგუმენტისა და მისი მამოძრავებელი ეკონომიკური თეორიის მიხედვით, პერუს ინდუსტრია იყო „არაეფექტიანი“ და „არაკონკურენტუნარიანი“. ჩემი აზრით, ყველაფრის მიუხედავად, ამ „არაეფექტიანმა“ ინდუსტრიულმა სექტორმა შექმნა ხელფასების დონე, რომელიც ორჯერ აღემატება იმას, რასაც დღევანდელი გლობალიზებული ეკონომიკა სთავაზობს პერუს. ეს უფრო კარგად ხელფასების სტატისტიკით ჩანს, ვიდრე მშპ-ისა. ხელფასების კლებასთან ერთად, მთლიან მშპ-ში საგრძნობლად გაიზარდა ფინანსური სექტორის, დაზღვევისა და უძრავი ქონების (FIRE სექტორი: Fi-

nancial, Insurance, Real Estate) საერთო წილი. აქედან გამომდინარე, ადამიანების ცხოვრების დონე იმაზე მეტად გაუარესდა, ვიდრე ეს მშპ-ის მონაცემებით ჩანს.

თუკი მსოფლიო ფრიდრიხ ლისტის ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გზას გაჰყვებოდა, როგორც ეს ევროპამ მისი შიდა ბაზრის შექმნით გააკეთა, გლობალიზაცია ყველა ქვეყნისთვის მომგებიანი თამაში იქნებოდა. თანამედროვე გლობალიზაციის პრობლემა რეალური ხელფასების მკვეთრი კლებაა ჩამორჩენილ, დეინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობაში, ანაზღაურების დონემ უმაღლეს წერტილს პერუსთან ერთად მიაღწია. რეალურად, ეს ქვეყნები ყველაზე მდიდრები იყვნენ მაშინ, როცა, მსოფლიო ბანკის გაგებით, ყველაფერს არასწორად აკეთებდნენ და მფარველობდნენ თავიანთ არაეფექტიან ინდუსტრიებს. იმავეს აკეთებდა აზიის ბევრი ქვეყანა, მაგალითად, მონღოლეთი და ასევე იქცეოდა ყოფილი მეორე სამყაროს ქვეყნების უმეტესობა, მათ შორის რუსეთიც. ამაზე საუბარი არავის სურს, მაგრამ ფაქტია, რომ, ძალიან ხშირად, ცენტრალურად დაგეგმარებული ეკონომიკების ფრიად არაეფექტიანი ინდუსტრიები იმაზე გაცილებით მაღალი ცხოვრების დონეს ქმნიდნენ, ვიდრე დღეს ამას კაპიტალიზმი აკეთებს იმავე ქვეყნებში. ესტონეთშიც კი, რომელსაც ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის იმიჯი აქვს, როცა 2005 წელს ევროკავშირში გაწევრიანდა, მობილური ტელეფონის ამწყობი მუშის ანაზღაურება საათში 1 ევრო იყო, იმაზე ათჯერ ნაკლები, რასაც ფრანკფურტელი ან პარიზელი მეეზოვე გამოიმუშავებს. გლობალიზაციის მსგავსი ეკონომიკური თეორიების გამოყენებით, ევროპამ თვითონვე შეიქმნა ისეთივე შიდა წინააღმდეგობები, როგორიც გლობალურ ეკონომიკას ახასიათებს.

მექანიზმები, რომლებსაც პერუში ვაწყდებით და რომლებსაც მოგვიანებით უფრო დეტალურად განვიხილავთ მონღოლეთის მაგალითზე, საოცრად ართულებს საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების წარმოქმნას. ეროვნული ეკონომიკა ან იმდენად ძლიერია, რომ მის ინდუსტრიულ სექტორს არაფერი მოსდის და ქვეყანა მდიდართა კლუბში რჩება, ან მისი დეინდუსტრიალიზაცია ხდება და ქვეყანაც იმათ რიგებში ეწერება, რომლებიც ფსკერისკენ მიექანებიან. ეს მოვლენა ავიაკომპანიების დღევანდელ პრობლემებს შეიძლება შევადაროთ. ინდუსტრიების უმეტესობის მსგავსად, ავიაკომპანიებიც არიან ან ძალიან დიდები, ან სპეციალიზებულები. საშუალო ზომის ავიაკომპანიებს ცუდი დღე უდგათ. ავიაკომპანია ან იზრდება და ქმნის საკმარისად ფართო ქსელს იმისთვის, რომ მომგებიანად განავითაროს საკუთარი ან სხვა ჰაბები, ან – თუკი მისი ქონება კონკრეტულ ზღვარს ჩამოცდება – გაკოტრდება, ან კიდევ რეგიონულ ავიახაზებად გადაკეთდება, რომელიც გადარჩენილი, უფრო დიდი კომპანიების ჰაბებს შორის მგზავრების გადაყვანას უზრუნველყოფს. Swissair და Swiss, ევროპული ავიახაზების უმეტესობის მსგავსად, ამ მექანიზმების მაგალითია. მსგავსად იმისა, როგორც საშუალო ზომის ავიაკომპანიებს უჭირთ დერეგულირებულ ბაზარზე გლობალურ მოთამაშეებად დარჩენა, მცირე და საშუალო ზომის ინდუსტრიულ ეკონომიკებსაც არ შესწევთ ძალა, თავისუფალ ვაჭრობაზე უეცარ გადასვლას გადაურჩნენ.

ორივე შემთხვევაში – ქვეყნებისა და ავიახაზების – არსებობს ეფექტიანობის მინიმალური ზღვარი, რომლის ქვევითაც მომგებიანად დარჩენა შეუძლებელია. ორივე შემთხვევაში გადარჩენის ან გაკოტრების ალტერნატივას მეზობლებთან ინტეგრაცია წარმოადგენს. ჩვენ რომ ისეთი საშუალო სიდიდის ინდუსტრიული ეკონომიკებისთვის – როგორიცაა პერუსი და

მონღოლეთისა – საშუალება მიგვეცა საკუთარი ინდუსტრიები პროტექციის ქვეშ განევითარებინათ, და მეზობლებთან მათი თანდათანობითი ინტეგრაციაც მოეხდინათ, ერთ მშვენიერ დღესაც ისინი გლობალურ თავისუფალ ბაზარზე კონკურენციის გასაწევად საკმარისად ძლიერები აღმოჩნდებოდნენ. ნაცვლად ამისა, ვიეტნამის ომის დროინდელი ამერიკული გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, ნეოკლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ დაბომბა და „ქვის ხანაში დააბრუნა“ მონღოლეთი. ამ ტერმინის შემოღებას მსოფლიო ბანკის ყოფილ პრეზიდენტს, რობერტ მაკნამარას მიაწერენ, აშშ-ის თავდაცვის მინისტრად ყოფნის პერიოდში. თუმცა, ეს გამოთქმა უფრო რიგითი სამხედროებისგან უნდა მოდიოდეს. როგორც ვნახავთ, ქვეყნების ქვის ხანაში დასაბრუნებლად „ხალიჩისებრ დაბომბვასა“* და ნაპალმზე ბევრად უფრო ფაქიზი გზებიც არსებობს.

* დიდი სიმჭიდროვით დაბომბვა (მთარგმნელის შენიშვნა).

V თავი
გლობალიზაცია და პრიმიტივიზაცია: როგორ ღარიბდებიან ღარიბები კიდევ უფრო მეტად

„ყველა ფერადკანიანს უნდა აეკრძალოს ტილოს ან შალის ქსოვა, მატყლის დართვა და ჩეჩვა, რკინის ნებისმიერი სახით დამუშავება, სანამ თუჯად ან ნაჭედ რკინად ქცეულა. მათ ასევე უნდა აეკრძალოთ ქუდების, წინდების ან ნებისმიერი ტყავის ნივთის წარმოება... მართლაც, თუკი ისინი მრეწველობას შექმნიან და შემდეგ მთავრობას მისი დახურვა მოუხდება, არ უნდა გვეგონოს, რომ ეს ისევე მარტივად მოხდება, როგორც ახლაა შესაძლებელი“.

ჯოშუა გი,
დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის განხილვა, 1729

კოლონიები და სიღარიბე

მართალია, უსიამოვნოდ ჟღერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოთ მოყვანილი ციტატა ასობით წლის მანძილზე გაბატონებულ ეკონომიკურ პოლიტიკას წარმოაჩენს, არა რაიმე ზოგადს, არამედ იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელსაც ევროპა, თანამედროვე ეპოქის ადრეულ პერიოდში, ეკონომიკურად მოძლიერების შემდგომ ახორციელებდა. დღევანდელი გადმოსახედიდან ის მაინც განცვიფრებას იწვევს პირდაპირობის გამო, ვინაიდან ასე ღიად აღიარებს, რომ ამ პოლიტიკის მიზანი კოლონიების მხოლოდ და მხოლოდ ნედლეულის მომწოდებლებად ყოლაა. ტრადიციულად, კოლონიებს მრეწველობის შექმნას ყოველთვის უკრძალავდნენ, რათა მთელი ყურადღება ნედლეულის მიწოდებაზე გადაეტანათ. ახლაც, როცა კოლონიალიზმის ხსენება არაპოლიტიკორექტული გახდა, ის პრაქტიკაში მაინც გრძელდება.

წინა თავში ჩვენ ვერნერ ზომბარტზე დაყრდნობით ვამტ-

კიცებდით, რომ ინდუსტრიალიზაცია თავისთავად კაპიტალიზმის ბირთვშია მოთავსებული, მაშასადამე, კოლონიებისთვის ინდუსტრიალიზაციის აკრძალვა მათი სიღარიბისთვის გაწირვის ტოლფასი იყო. წიგნის ამ ნაწილში საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ინდუსტრიალიზაციამ საპირისპირო შედეგებამდე – რეგრესამდე და ეკონომიკურ პრიმიტივიზაციამდე მიგვიყვანოს. ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ მექანიზმს „ვანეკ-რეინერტის ეფექტი“[1] წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, მყისიერი თავისუფალი ვაჭრობის პირველი მსხვერპლნი ყველაზე ჩამორჩენილი სავაჭრო ქვეყნების ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სექტორები ხდებიან. მზარდ უკუგებაზე დაფუძნებული „სასიკეთო წრეების“ საწინააღმდეგო მიმართულებით დატრიალებასთან ერთად, მსოფლიოს პერიფერიული ქვეყნები დეინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის დაღმასვლასა და მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას განიცდიან. ეს ის შედეგებია, რომელთაც დღეს სამხრეთ მექსიკიდან მოლდოვამდე ვხედავთ. ამ შემთხვევაში, მზარდი უკუგების მქონე ქვეყნებში მიგრაცია გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება.

ჯოშუა გის დროს ეკონომისტებს უკვე ნაფიქრი ჰქონდათ, თუ რა უნდა გაკეთებულიყო, კოლონიების მოსახლეობას თანდათან საკუთარი ინდუსტრიის ფლობის აკრძალვასა და სიღარიბეს შორის კავშირების აღმოჩენა რომ დაეწყო. გამოსავალი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე ნების დართვით, მათი შეცდომაში შეყვანა იყო:

„ვინაიდან, საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად, მთელი ევროპის პლანტატორებს თავისუფალ ბაზარზე მოხვედრის წყურვილი კლავთ, ისინი თვითონ უზრუნველყოფენ იმას, რომ ამ უზარმაზარი თავისუფალი ბაზრის არნახულ მოთხოვნას უპა-

სუხონ. ამიტომაც ისინი აღარ იფიქრებენ მრეწველობაზე, ერთადერთ რამეზე, რამაც შეიძლება ჩვენი და მათი ინტერესების შეჯახება გამოიწვიოს...“ (მეთიუ დეკერი, „ესე საგარეო ვაჭრობის კლების მიზეზების შესახებ“, 1744).

დღევანდელ ვითარებასთან პარალელი მრავლისმეტყველია. დეინდუსტრიალიზებული განვითარებადი ქვეყნებისთვის ევროკავშირსა და ამერიკაში სოფლის მეურნეობის ნაწარმის გატანა იმდენად მაცდუნებელია, რომ მათ ინდუსტრიალიზაციის სურვილი უქრებათ. თუმცაღა, ჯერ არც ერთი ქვეყანა არ გამდიდრებულა მხოლოდ საკვები პროდუქტების ექსპორტით, ინდუსტრიული სექტორის ქონის გარეშე. მდიდარი ქვეყნების მზარდი დამოკიდებულება ღარიბების მიერ წარმოებულ საკვებ პროდუქციაზე ქმნის საშიშროებას, რომ ამ უკანასკნელთ საკვები თავად აღარ ეყოთ.

ესპანეთმა, რომელმაც, როგორც ვნახეთ, „ახალ მსოფლიოში“ ოქროსა და ვერცხლის მოპოვების გამო დეინდუსტრიალიზაცია განიცადა, მე-18 საუკუნის დასაწყისში გარკვეული ინდუსტრიების აღორძინება შეძლო. თუმცა, 1713 წელს, „ესპანური მემკვიდრეობისთვის ომის“ დასრულებისას, უტრეხტში, ჰოლანდიასთან საზავო მოლაპარაკებების დროს, მას ტარიფების დონის დაწევა მოუხდა. ამის გამო იგი ხელახლა გადაიქცა დეინდუსტრიალიზაციისა და სიღარიბის მსხვერპლად. როდესაც დეინდუსტრიალიზაციის კატასტროფული შედეგები ნათელი გახდა, ესპანელებმა დაწვეს იმ ხალხის უმრავლესობა, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ გაკეთებულ დათმობებზე. ყველაზე იღბლიანები დაწვამდე დახოცეს.[2]

დაახლოებით 1750 წელს, გერმანელ ეკონომისტ იოჰან ჰაინრიხ გოტლობ ფონ იუსტს უკვე დაბეჯითებით შეეძლო ეთქ-

ვა, რომ ყველა ის ქვეყანა, რომელსაც მხოლოდ ნედლეულის წარმოებას აიძულებდნენ, მალე მიხვდებოდა, რომ მიზანმიმართულად ტოვებდნენ სიღარიბეში. მიუხედავად ამისა, იუსტიმ ვერ იწინასწარმეტყველა, რომ ადამ სმიტი და ინგლისელი კლასიკოსი ეკონომისტები მალე შექმნიდნენ იმგვარ ეკონომიკურ თეორიას, რომელიც, პირველად ისტორიაში, კოლონიალიზმს მორალურად გაამართლებდა. სმიტის შრომები ეკონომიკურ და მორალის საკითხებზე, კოლონიალიზმს პირადაპირ არ ამართლებდა. თუმცა, სმიტის მიერ ნაქადაგებმა თეორიულმა აბსტრაქციებმა შესაძლებელი გახადა სამართლიანად წარმოეჩინა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ მრეწველობას, ზოგმაც კი ნედლეულის წარმოებას უნდა მისდიოს. ვინაიდან შრომა საზომად იქცა (და სამუშაო საათებით ყველანაირი შრომის გაზომვა შეიძლებოდა) ღარიბი ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია, უბრალოდ, საჭირო აღარ იყო, რამდენადაც ამას არანაირი დამატებითი სარგებელი არ ექნებოდა.

ადამ სმიტისა და ინგლისელი კლასიკოსი ეკონომისტების მიხედვით, ამერიკული კოლონიები და დანარჩენი ევროპა, სერიოზულ შეცდომას დაუშვებდნენ თუ ინგლისის ინდუსტრიალიზაციის მაგალითს მიჰყვებოდნენ. დღევანდელი გლობალიზაციის მომხრე ფანატიკოსების მსგავსად, სმიტი და მისი მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიო ეკონომიკის ჰარმონიის ხანა ავტომატურად დადგებოდა, როგორც კი საბაზრო ძალებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცემოდათ. შედეგად, ინგლისს მსოფლიოს ოთხი კუთხიდან შეეძლებოდა ნედლეული მასალის შემოტანა და სანაცვლოდ მზა საქონლის გატანა. არც ერთმა გავლენიანმა ევროპულმა სახელმწიფომ ყურად არ იღო ეს რჩევა. ნორვეგიაში მე-19 საუკუნის ეკონომისტებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ „თავგამოდებულ ლიბერ-

ალებად" ითვლებოდნენ, მაგალითად, ანტონ მარტინ შვაიგაარდი (1808-1870) თანხმდებოდნენ, რომ ინდუსტრიალიზაცია ქვეყანაში აქტიური პოლიტიკის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. მე-19 საუკუნის კონტინენტურ ევროპაში მიმდინარე იდეოლოგიური დებატები ეხებოდა არა იმას, უნდა მიჰყოლოდა თუ არა დანარჩენი ევროპა ინგლისის ინდუსტრიალიზაციის გზას (ამაზე ფაქტობრივად ყველა თანხმდებოდა), არამედ იმას, თუ როგორი ბალანსი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო და კერძო აქტივობებს შორის.

თუ დავაკვირდებით, როგორ მიყავს ამერიკას გლობალიზაციის რიტორიკა დღეს, საოცარ მსგავსებას დავინახავთ მე-19 საუკუნეში ინგლისის მოქმედებასთან. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ შეერთებული შტატები მაშინ დიდხანს და მუხლჩაუხრელად იბრძოდა იმ ეკონომიკური თეორიებისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც დღეს ასე თავგამოდებით უჭერს მხარს. პირველი ამერიკელი ფინანსთა მინისტრი, ალექსანდრ ჰამილტონი (1757-1804), გავლენიანი თეორეტიკოსი იყო, რომელიც ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობაზე მუშაობდა. ათ წელზე მეტი, ლექციებზე დოლარის კუპიურებზე გამოსახული იმ ამერიკელი პოლიტიკოსების სურათები დამქონდა, რომელთა სტრატეგიები ვაშინგტონის ინსტიტუტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა: ბენჟამინ ფრანკლინის, ჯორჯ ვაშინგტონის, ალექსანდრ ჰამილტონის, ულის ს. გრანტისა და აბრაამ ლინკოლნის. ყველა მათგანს სატარიფო პროტექციის მეშვეობით შერთებული შტატების ინდუსტრიალიზაცია სურდა. ეს ცალსახად ეწინააღმდეგებოდა ინლისელი ეკონომისტების რჩევებსა და 150 წლის განმავლობაში მათი პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების მიერ გაკეთებულ უამრავ სარკასტულ შენიშვნას. მე-19 საუკუნეში აშშ-ში პოპულარული იყო გა-

მოთქმა „არ გააკეთო ის, რასაც ინგლისელები გეუბნებიან, გააკეთე ის, რაც ინგლისელებმა გააკეთეს“. როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, დღეს მესამე სამყაროსთვის საუკეთესო რჩევა იქნებოდა – „არ გააკეთო ის, რასაც ამერიკელები გეუბნებიან, გააკეთე ის, რაც ამერიკელებმა გააკეთეს“.

ღარიბი ქვეყნების უფლებების დამცველიდან, კლასიკურ იმპერიულ ძალად აშშ-ის ჩამოყალიბება შედარებით ახალი მოვლენაა. როდესაც 1941 წელს უინსტონ ჩერჩილმა მთელი მისი შარმი გამოიყენა პრეზიდენტ ფრანკლინ დ. რუზველტის დასარწმუნებლად, რომ ომში ჩაბმულიყო, ამ უკანასკნელმა ხელიდან არ გაუშვა შანსი, ინგლისის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიული უსამართლობის შესახებ თავისი იმედგაცრუება გამოეხატა. აი, როგორ ყვება რუზველტის ვაჟი ელიოტი, იმ ისტორიული შეხვედრის ამბავს, რომელიც ნიუფაუნდლენდის სანაპიროსთან მდგომ სამხედრო გემზე შედგა:

ჩერჩილი სავარძელში გადაწვა.

– „ბრიტანეთის იმპერიის სავაჭრო ხელშეკრულებები...“ – დაიწყო მან მძიმედ.

მამამ შეაწყვეტინა:

– „დიახ. იმპერიის ეს ხელშეკრულებები კარგი მაგალითია. სწორედ მათ გამოა, რომ ინდოეთისა და აფრიკის, მთელი კოლონიალური ახლო და შორეული აღმოსავლეთის ხალხი ჯერ კიდევ ასე ჩამორჩენილად ცხოვრობს“.

ჩერჩილს კისერი გაუწითლდა და წინ წამოიწია.

– „ბატონო პრეზიდენტო, ინგლისი ერთი წუთითაც კი არ ფიქრობს ბრიტანულ დომინიონში მისი მოწინავე პოზიციების დათმობას. ვაჭრობა, რომელმაც ასე გააძლიერა ინგლისი, უნდა გაგრძელდეს და ისიც მხოლოდ ინგლისელი მინისტრების მიერ დადგენილი პირობებით“.

– „იცით“ – თქვა მამამ მშვიდად, – „აქ დიდი ალბათობით ერთმანეთს ვერ დავეთანხმებით უინსტონ. მე მტკიცედ მწამს, რომ თუკი სტაბილურ მშვიდობას მივაღწევთ, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს ჩამორჩენილი ქვეყნების, ჩამორჩენილი ხალხების განვითარებას. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? რა თქმა უნდა, ეს მე-18 საუკუნის მეთოდებით ვერ მოხერხდება“.

– „ვინ ლაპარაკობს მე-18 საუკუნის მეთოდებზე?“

– „თქვენი მინისტრები, ვინც რეკომენდაციას უწევენ პოლიტიკას, რომლითაც კოლონიიდან დოვლათი ნედლეულის სახით გამოდის, სანაცვლოდ კი არაფერი უბრუნდება იმ ქვეყნის მოსახლეობას. მე-20 საუკუნის მეთოდები ამ კოლონიებში ინდუსტრიების შეტანას გულისხმობენ. მე-20 საუკუნის მეთოდები მოიცავენ ხალხის სიმდიდრის გაზრდას მათი ცხოვრების დონის ამაღლებით, მათი განათლებითა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებით – იმის უზრუნველყოფით, რომ ისინი საკუთარი ნედლეულის სიმდიდრიდან შემოსავალს მიიღებენ.“[3]

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ჯერ კიდევ დაახლოებით 60 წლის წინ, ამერიკა ძალ-ღონეს არ იშურებდა იმ ეკონომიკურ თეორიასთან დასაპირისპირებლად, რომლის მიხედვით, ყველა ქვეყანას შეუძლია გამდიდრდეს განურჩევლად იმისა, თუ რას აწარმოებს. ჩემი ლათინოამერიკელი ცინიკოსი მეგობრები ალბათ იტყოდნენ, რომ ეს იყო ამერიკული შეთქმულების ნაწილი გლობალური ჰეგემონის, ბრიტანეთის, ადგილის დასაკავებლად. ჩემი აზრით, მარშალის გეგმა კარგად აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო. სინამდვილეში, 1776 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე, ამერიკული ეკონომიკური პრაქტიკა წარმოადგენდა ხანგრძლივ ომს იმ ეკონომიკურ თეორიებთან, რომელთაც დღეს ისინი განვითარებად ქვეყნებს თავად ახვევენ თავს. თუმცა, ამას მარტო ამერიკა არ აკეთებდა. როგორც უკვე დავრწმუნდით, ამგვარი

აზროვნება, რომლის მიხედვით მხოლოდ კონკრეტული ეკონომიკური დარგები ქმნიან სიმდიდრეს, უწყვეტად არსებობდა მე-15 საუკუნიდან ჩერჩილისა და რუზველტის საუბრამდე. უფრო ვრცელი ისტორიული პერსპექტივის ფონზე, რწმენა იმისა, რომ ბაზარი ავტომატურად დაამკვიდრებდა ჰარმონიას, შეზღუდულია მხოლოდ რამდენიმე, მალევე მივიწყებულ ისტორიულ ეპიზოდამდე.

ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს წარმოადგენდა პერიოდი, როდესაც 1840-იან წლებში, ადამ სმიტის სავაჭრო თეორიამ პირველად გადაკვეთა თეორიასა და პრაქტიკას შორის საზღვარი. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ამგვარად, 1904 წელს, კემბრიჯელ ეკონომისტ უილიამ კანინგჰემს ყოველგვარი თავის მართლების გარეშე შეეძლო დაეწერა წიგნი სათაურით „თავისუფალი ვაჭრობის მოძრაობის აღმასვლა და დაცემა“. იმედი ვიქონიოთ, რომ სამყაროს ღარიბთა ხათრით ამ სათაურის მქონე წიგნი მალე კვლავ გამოიცემა. თუმცა, საინტერესოა, რომ გლობალიზაციის ადრინდელმა ტალღებმა იმ დროს გადაიარა, როცა თავად ჰეგემონს შეექმნა პრობლემები. მაშინ გლობალიზაციამ ისევე გაანადგურა ინგლისის სოფლის მეურნეობა, როგორც ის დღეს ამერიკულ მრეწველობას ანადგურებს.

1990 წლიდან მოყოლებული ჩვენ კიდევ ერთხელ ვაწყდებით ამგვარ ისტორიულ ეპიზოდს. თანამედროვეობისგან განსხვავებით, მე-19 საუკუნის ინგლისის სავაჭრო თეორიას მუდმივად თავს ესხმოდა საპირისპირო თეორიული ტრადიცია, რომელიც შეერთებულ შტატებსა და კონტინენტურ ევროპაში წარმატებით ხორციელდებოდა. შედეგად, მან უმეტესად მხოლოდ მესამე სამყაროს დაზიანება შეძლო. დღევანდელ სიტუაციაში არის საფრთხე იმისა, რომ ალტერნატიული, წარმოებაზე ორიენტირებული თეორიები, შესაძლოა, მთლიანად

გაქრნენ. ნეოკლასიკურმა პარადიგმამ და მისმა მემკვიდრეებმა მონოპოლია შექმნეს იმაზე, რაც მისაღებ ეკონომიკურ თეორიად მიიჩნევა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ღარიბთა მდგომარეობა, სანამ უკეთესობისკენ შეიცვლება, უნდა გაუარესდეს. ჩვენ, ალბათ, 1848 წლის რევოლუციების მსგავსი აქტის გლობალურ ვერსიას უნდა ველოდოთ. მსოფლიო ჰეგემონებმა „თავისუფალი ვაჭრობა“ და იდეოლოგიური ლიბერალიზმი ორჯერ უარყვეს. ხოლო ღარიბ, ჩამორჩენილ ქვეყნებს დაგვიანებული ინდუსტრიალიზაციის საშუალებით გაძლიერების შესაძლებლობა მისცეს. ორივე შემთხვევაში – 1848 წლისა და 1947 წლის შემდეგ – ეს მოხდა მაშინ, როცა მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს კომუნისტური საფრთხე დაემუქრა. სადამდე მიგვიყვანს დღევანდელი რელიგიური ფუნდამენტალიზმის შედეგები, ჯერჯერობით უცნობია.

რა არის ეკონომიკური პრიმიტივიზაცია და როგორ მუშაობს ის

პროგრესის იდეა, რომელიც რენესანსის დროს დაიბადა, თავის თავში რეგრესის შესაძლებლობასაც მოიცავს. რეალურად, რენესანსის ანუ აღორძინების იდეა ანტიკური რომის შთამბეჭდავ ნანგრევებში საძოვარზე გაშვებული ცხვრების დანახვითა და ანტიკური ტექსტების ხელახლა აღმოჩენით იყო შთაგონებული. აღმასვლა და დაცემა ულმობლად იყო ერთმანეთზე გადახლართული. თუკი პროგრესსა და მოდერნიზაციას (განვითარება უმეტესად ასე აღიქმებოდა 1960-იან წლებში) საპირისპირო მიმართულებას მივცემთ, ის რეგრესად და პრიმიტივიზაციად გადაიქცევა. ეკონომიკური დარგები, ტექნოლოგიები და მთლიანი ეკონომიკური სისტემები შეიძლება კვლავ გადაიქცნენ წარმოე-

ბის იმ მეთოდებად და ტექნოლოგიებად, რომლებიც გარკვეული დროით დავიწყებას მიეცნენ. მზარდ უკუგებაზე, სინერგიებსა და სისტემურ ეფექტებზე დაფუძნებული ყველა სისტემა კრიტიკულ მასას მოითხოვს. მასშტაბისა და მოცულობის საჭიროება „მინიმალური ეფექტიანობის ზომას“ ქმნის. როდესაც გაფართოების პროცესი საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლება და საჭირო მასა თუ მასშტაბი ქრება, სისტემა ინგრევა. 1980 წლის შემდეგ, შოკური თერაპიის ზემოქმედებით ეროვნული ეკონომიკური სისტემები ისე დაინგრა, როგორც ის ავიახაზების ქსელი, რომელმაც ერთ ღამეში მგზავრების 50% დაკარგა. შოკური თერაპიით გამოწვეულმა მოცულობის უეცარმა კლებამ მასშტაბით განპირობებული დარგები მოსპო და დაიცვა მხოლოდ ისინი, რომლებსაც მუდმივი და კლებადი უკუგება ახასიათებდათ (ტრადიციული სერვისის სექტორი და სოფლის მეურნეობა). ჩამოთვლილ ფაქტორთა ურთიერთკავშირი ხსნის იმას, თუ რატომ იყო თავისუფალ ვაჭრობაში გრადუალიზმის პრინციპი მნიშვნელოვანი გამოცდილებაზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორეტიკოსებისთვის – ჯეიმზ სტიურტიდან (1713-1780) ფრიდრიხ ლისტამდე.

დაახლოებით ათი წლის წინ გარე შემფასებელი ვიყავი ძალიან საინტერესო სადოქტორო ნაშრომის დაცვისა, რომელიც პრიმიტივიზაციის პრობლემას ეხებოდა.[4] ნაშრომი ნათელს ხდიდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თევზის რესურსის შემცირებამ წამგებიანი გახადა ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა მოტორიანი ნავი. მეთევზეები შედარებით ნაკლებ კაპიტალტევად და უფრო „პრიმიტიულ“ მეთოდებს დაუბრუნდნენ. ტიპური პრიმიტივიზაცია, როგორც ეკონომიკური მოვლენა, მის საფუძველშივე კლებად უკუგებასთანაა დაკავშირებული: იმ ეკონომიკურ საქმიანობასთან, სადაც

წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი ბუნებრივი რესურსია და, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო მცირდება და ხარისხს კარგავს. ამ ვითარებაში თანამედროვე ეკონომიკური ტექნოლოგიები უსარგებლო ხდება. ამ დროს სიღარიბისკენ მიდრეკილი ადამიანები სულ უფრო ღარიბდებიან და პრიმიტიული ხელსაწყოების გამოყენებით სულ უფრო მეტად წვალობენ იმისთვის, რომ კლებადი ნაყოფიერებით აწარმოონ. დღეს ბოლივიის ქალაქ პოტოსში, რომელიც ოდესღაც ლონდონის შემდეგ მსოფლიოში სიდიდით მეორე ქალაქი იყო, მაღაროელები წერაქვებით ცდილობენ მადანი იმ მასალიდან ამოიღონ, რომელიც, სულ მცირე, ერთხელ უკვე გადაადნეს.

გერმანელმა ეკონომისტმა, იოჰან ჰაინრიხ ფონ ტიუნენმა (1783-1850), ცივილიზებული საზოგადოების რუკა შეადგინა, რომელზეც მზარდი უკუგების მქონე დარგების ბირთვს – ქალაქს – ოთხი კონცენტრირებული წრე აკრავს. ქალაქის ბირთვიდან განაპირა უბნების მიმართულებით კაპიტალის გამოყენება თანდათან მცირდება, ხოლო ბუნებისა – იზრდება. ქალაქთან ახლოს ყველაზე მალფუჭებადი პროდუქტი იწარმოება: რძის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული. პურის მარცვლეული – მისგან ცოტა მოშორებით. პერიფერიაში კი, ველურ ბუნებაში ნადირობენ. თანამედროვე ეკონომისტებმა ეკონომიკურ გეოგრაფიაში ფონ ტიუნენის მიდგომა ხელახლა აღმოაჩინეს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ვერ ამჩნევს მის უმნიშვნელოვანეს არგუმენტს, რომლის მიხედვით მზარდი უკუგების მქონე საქალაქო დარგები მთლიანი სისტემის ასამუშავებლად სატარიფო პროტექციასაც საჭიროებენ.[5]

ფონ ტიუნენმა ჩვენ მიერ განხილული ეტაპის თეორიები დაიტანა რუკაზე, სადაც ყველაზე „თანამედროვე“ სექტორი – მრეწველობა – ქალაქის ცენტრს ქმნის, ხოლო ყველაზე

„ჩამორჩენილი“ სექტორები – ნადირობა და შემგროვებლობა – ქალაქიდან ყველაზე მოშორებულ ნაწილს, პერიფერიას აყალიბებს. ქალაქიდან დაშორების შესაბამისად, იზრდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება, კაპიტალისა კი მცირდება. მხოლოდ ქალაქში გვხვდება ჭეშმარიტი მზარდი უკუგება, რომელიც ბუნების მიერ სხვადასხვა ხარისხის რესურსების მერყევ მიწოდებაზე არაა დაქვემდებარებული. ქალაქიდან გასვლისას, ხელოვნური შედარებითი უპირატესობა თანდათან იკლებს, ბუნებრივი კი იზრდება.

პრიმიტივიზაცია თავს იჩენს იმ დროს, როცა შრომითი ბაზრიდან ქალაქის მთავარი დარგები ქრება, შედეგად ადამიანები იძულებულნი ხდებიან კლებადი უკუგების მქონე საქმიანობას დაუბრუნდნენ. ამ დროს ისინი ეჯახებიან „კლებადი უკუგების დრეკად კედელს“, როგორც ჯონ სტიუარტ მილი უწოდებს მას. კლებადი უკუგება ჰგავს „ელასტიკურ და წელვად ზონარს, რომელიც ბოლო ზღვრამდე ჯერ არ გაუწელიათ. მიუხედავად ამისა, გაწელვით გამოწვეული წნეხი ამ საბოლოო ზღვრის მიღნევამდე ბევრად ადრე იგრძნობა და ეს შეგრძნება მასთან მიახლოებასთან ერთად სულ უფრო მწვავდება“.[6]

სამრეწველო ინდუსტრიის განადგურებასთან ერთად, სისტემური ეფექტები რეგრესირებენ. მარიო ჩიმოლი[7] მექსიკის ეროვნული ინოვაციების სისტემის შესახებ კვლევაში აჩვენებს, თუ რა გავლენა მოახდინა „ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ (NAFTA) ფარგლებში ამერიკისა და მექსიკის ინტეგრაციამ ამ უკანასკნელის ინოვაციების სისტემაზე. მეტნაკლები დამოუკიდებლობიდან, მექსიკა ჩრდილოეთ ამერიკელი მფლობელებისა და მექსიკური ფილიალების ცენტრი–პერიფერიულ ურთიერთობად გადაიქცა. ეს კლასიკური განვითარების ეკონომიკის ცენტრი-პერიფერიის დამოკ-

იდებულების თეორიას (dependency theory) მახსენებს. ამრიგად, ფონ ტიუნენის სისტემის ცენტრის – ქალაქის – დარგების განადგურება, მთლიანი სისტემის პრიმიტივიზაციას ახდენს. ფონ ტიუნენი და მისი თანამედროვენი კონტინენტურ ევროპასა და ამერიკაში ამას კარგად ხვდებოდნენ, მაგრამ ასევე მათი თანამედროვე დევიდ რიკარდო და მისი მემკიდრეები – ვერა. მათ საკუთარი ხელსაწყოების ყუთიდან ამგვარი მსჯელობისთვის საჭირო ინსტრუმენტები ამოღებული ჰქონდათ. სწორედ ამიტომ მიეცათ ვაშინგტონის ინსტიტუტებს მონღოლეთში იმის გაეკეთების საშუალება, რაც გააკეთეს.

მზარდი უკუგების დაკარგვა და რეალური ხელფასების ვარდნა – მონღოლეთის მაგალითი

2000 წლის მარტში მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორში ძალიან მძიმე სიტუაცია იყო. მე, როგორც ერთადერთი არააზიელი მონაწილე, ვესწრებოდი სახელმწიფო პარლამენტში გამართულ კონფერენციას, რომლის მიზანი მონღოლეთის ეკონომიკის სტრატეგიული კურსის განსაზღვრა იყო. ცივი ომის დასრულებისთანავე ქვეყნის მანამდე საკმაოდ დიდი ინდუსტრიული სექტორი, ფაქტობრივად, მიწასთან გასწორდა. სტატისტიკა აჩვენებდა, რომ ქვეყნის სხვადასხვა ინდუსტრია, ყველაზე განვითარებულებით დაწყებული, ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა. იმ საქონლის წარმოებაც კი, რომელიც იმპორტმა ვერ ჩაანაცვლა საგრძნობლად შემცირდა. სტატისტიკის მიხედვით, პურის ცხობა 71%-ით შემცირდა, ხოლო წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვა 79%-ით, მაშინ, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა იგივე რჩებოდა. მონღოლები, ალბათ, იმაზე ნაკლებს ჭამდნენ და კითხულობდნენ, ვიდრე ოდესმე. მხოლოდ რამდენ-

იმე წელიწადში რეალური ხელფასები თითქმის განახევრდა, უმუშევრობა კი კვლავ მძვინვარებდა. ქვეყნის იმპორტის მოცულობამ ექსპორტისას ორჯერ გადააჭარბა, ხოლო საპროცენტო განაკვეთმა, ინფლაციის გათვალისწინებით, 35%-ს მიაღწია.[8]

ეროვნული ინდუსტრიული სტატისტიკის მიხედვით, იყო სექტორები, რომლებიც ფართოვდებოდნენ: ალკოჰოლის წარმოება, რომელმაც მინიმალური ზრდა აჩვენა და ფრინველის ბუმბულის შეგროვება და დამუშავება (თუ ეს ინდუსტრიად შეიძლება ჩაითვალოს), რაც ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ ორჯერ და მეტად გაიზარდა. მონღოლეთის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნებისა თუ გაზეთების დახურვა და მოსახლეობის ფრინველის ბუმბულის შესაგროვებლად გაგზავნა სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკის პრიმიტივიზაცია. მომდევნო თვეებში, რაც უფრო მეტად ვიკვლევდი მონღოლეთს, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ერი, რომელიც ცივი ომის დროს ყვაოდა, პრაქტიკული მიზნების გამო, მორგენთაუს გეგმის მხვერპლად გადაიქცა.

1991 წლის რეფორმებამდე, 50 წლის განმავლობაში, მონღოლეთი ნელ-ნელა მაგრამ წარმატებით აყალიბებდა დივერსიფიცირებულ ინდუსტრიულ სექტორს. ეროვნულ პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი საგრძნობლად შემცირდა (1940 წელს 60%, 1980-იანი წლების [illegible] პერიოდში – 16%). მიუხედავად ამისა, დე ფაქტო მორგენთაუს გეგმამ მონღოლეთის დეინდუსტრიალიზაცია ერთობ წარმატებულად განახორციელა. მონღოლეთის ინდუსტრიის ნახევარსაუკუნოვანი მშენებლობა ფაქტობრივად სულ რაღაც ოთხ წელიწადში (1991-1995 წლებში) მოისპო. 1991 წელს, მას მერე, რაც ქვეყანამ დაანარჩენ მსოფლიოს კარი გაუღო, ინდუსტრიული სექტორების უმეტესობაში წარმოების ფიზიკური მოცულობა, ლამის ერთ ღამეში, 90%-ით შემცირდა.

ამასობაში, 2000 წლის მარტში, დედაქალაქში ჩემი შეხვედრის ადგილის მახლობლად, საძოვრების ნაკლებობის გამო, ორიდან სამ მილიონადე შინაური ცხოველი ამოწყდა. ამ მოვლენის გაშუქებისას, მსოფლიო მედიამ ყველაფერი გლობალურ დათბობას დააბრალა. თუმცა, იმ მონაცემების შესწავლით, რომლებიც ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა, თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ ეს ცხოველები არა გლობალურმა დათბობამ, არამედ გლობალურმა ეკონომიკამ დახოცა. გლობალურ ეკონომიკაში მონღოლეთის ინტეგრაციის სტილი ანტიკურ ეკონომიკურ მექანიზმს ეფუძნებოდა: კლებად უკუგებას მიწის რესურსების მასშტაბზე. წლების წინ, როდესაც ამერიკის უნივერსიტეტებში ეკონომიკის პროფესორად ვმუშაობდი, ეს კანონზომიერება ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რასაც პირველკურსელებს ვასწავლიდით.

სახელმწიფოს დეინდუსტრიალიზაციისა და დაშლის კომბინაციამ მონღოლეთში ფართომასშტაბიანი უმუშევრობა გამოიწვია. ბევრი ადამიანი იძულებული გახდა ცხოვრების ძირძველ სტილს, მომთაბარე პასტორალიზმს, დაბრუნებოდა. სივრცე პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენდა. მონღოლეთის ტერიტორია იმხელაა, რაც საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრიის ფართობი ერთად აღებული, მაგრამ მას მხოლოდ 2.5 მილიონი მაცხოვრებელი ჰყავს. მიუხედავად ამისა, კლიმატი სუბარქტიკული და ცვალებადია. აქაურ ლანდშაფტზე ტრაქტორის კვალი ასობით წელი შეიძლება არ წაიშალოს. ივლისი ერთადერთი თვეა, როცა არ ყინავს და ბორცვებზე შეფენილი შინაური ცხოველები ძოვენ იმას, რაც ძალიან ჰგავს ყინვისგან გამხმარ ბალახს.

1990 წელს, ბერლინის კედლის დაცემამდე, მონღოლებს მიწის დიდი ნაწილი 21 მილიონი სული შინაური ცხოველის (ცხვრები,

ძროხები, თხები, აქლემები) საძოვრებისთვის ჰქონდათ დათმობილი. ინდუსტრიასა და სახელმწიფო სტრუქტურებში სამუშაო ადგილების დაკარგვის გამო, უამრავი მონღოლი დაუბრუნდა მწყემსობას, მათი წინაპრების დროინდელ წარმოების მეთოდს. ამის შედეგად, ათ წელიწადში ბალახისმჭამელი ცხოველების რაოდენობა 12 მილიონიდან 33 მილიონამდე გაიზარდა. რამდენიმე ზომიერამინდიანი წელიწადის შემდეგ, დადგა ჩვეული მკაცრი ზამთარი და უამრავი პირუტყვი ამოწყდა. მათგან ორიდან სამ მილიონამდე მხოლოდ რამდენიმეწლიან ნამატს წარმოადგენდა. შედეგად, მონღოლეთმა 21-ე საუკუნეში შეაბიჯა „დაბადებაში" მოხსენიებული, მაგრამ ინდუსტრიულ სამყაროში გამოუსადეგარი მექანიზმით: „არა იტევდა მათ ქუეყანა იგი".

ბერლინის კედლის ნანგრევების მტვრის გაფანტვასთან ერთად, მონღოლეთი ყოფილ მეორე სამყაროში მსოფლიო ბანკის „საუკეთესო მოსწავლედ" გადაიქცა. ქვეყანამ ერთ დღეში მთლიანად გახსნა თავისი ეკონომიკა და ერთგულად მიჰყვა ვაშინგტონის ინსტიტუტების – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის – რჩევებს, შეემცირებინა მთავრობის ჩარევა და საშუალება მიეცა ბაზრისთვის თავად ემართა პროცესები. მონღოლეთს საკუთარი ადგილი უნდა ეპოვა მსოფლიო ეკონომიკაში იმ დარგში სპეციალიზებით, რომელშიც მას შედარებითი უპირატესობა ექნებოდა. ამის შედეგი იყო ის, რომ მონღოლეთის ეკონომიკა ინდუსტრიალიზმის ხანიდან დაბრუნდა პასტორალიზმის ხანაში. მაგრამ, მომთაბარე ეკონომიკას არ შეეძლო მოსახლეობის ისეთივე სიმჭიდროვის შენარჩუნება, როგორიც ინდუსტრიულ სისტემას, შედეგად, მათ ერთად მიიღეს ეკოლოგიური, ეკონომიკური და ადამიანური კატასტროფა.

გაფრთხილებები ამგვარი უკუსვლის შესახებ, მხოლოდ ბიბლიასა და არაკანონიკური ეკონომისტების მივიწყებულ ნაშ-

რომებში არ გვხვდება. ზოგიერთი ყველაზე კატეგორიული გაფრთხილება სწორედ იმ ინგლისელმა ეკონომისტებმა გააკეთეს, რომლებსაც ამაყად მიიჩნევდნენ საკუთარ წინამორბედებად ვაშინგტონის ინსტიტუტებში მომუშავე ის ეკონომისტები, მონღოლეთს რომ რჩევებს აძლევდნენ. როგორც უკვე ვნახეთ, ჯონ სტიუარტ მილი და ალფრედ მარშალი კარგად ხვდებოდნენ მასშტაბთან მზარდი და კლებადი უკუგებების მნიშვნელობას ცივილიზაციის ეკონომიკური მექანიზმების გაგებაში.

ულან-ბატორში პარლამენტში გამართული შეხვედრის დროს, მსოფლიო ბანკის ადგილობრივმა თანამშრომლებმა წარადგინეს სამი შესაძლო სცენარი ქვეყნის სამომავლო განვითარების შესახებ: მონღოლეთის ეკონომიკა წლიურად 3, 5 ან 7 პროცენტით უნდა გაზრდილიყო. მრუდი, რომელიც 7 პროცენტიან კუმულაციურ წლიურ ზრდას ასახავდა, მაღალ ნიშნულამდე მიღწევის ბუნებრივი ტენდენცია ჰქონდა. მაგრამ ისინი მხოლოდ ჰიპოთეზურ ადრეულ ზრდაზე საუბრობდნენ და არც კი უცდიათ აეხსნათ, თუ როგორ შეიძლებოდა ეკონომიკის ასეთი უეცარი დაღმასვლის შეკავება. არც იმაზე ყოფილა საუბარი, ახალი ინდუსტრიები როგორ უნდა განვითარებულიყო 35%-იანი რეალური საპროცენტო განაკვეთით. ნაცვლად ამისა, USAID-ის ადგილობრივი წარმომადგენელი წუწუნებდა იმაზე, რომ მონღოლებს მეწარმეობის კულტურა არ გააჩნიათ. მახსოვს, რომ გარკვეულწილად აბსურდული მეჩვენა ეს არგუმენტი, ვინაიდან ძალიან ცოტა მეწარმეს თუ შეუძლია 35%-იანი რეალური საპროცენტო განაკვეთით ფულის შოვნა. მაღალი საპროცენტო განაკვეთის შენარჩუნება საჭირო გახდა აზიური ფინანსური კრიზისის ადგილობრივად გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ასეთ შემთხვევაში კი, როგორც წესი, ბანკებისა და ფინანსური სექტორის გადარჩენას რეალური ეკონომიკა ეწირება.

ულან-ბატორის შეხვედრა სულ უფრო და უფრო სიურეალისტური ხდებოდა. მსოფლიო ბანკის მაღალანაზღაურებადმა კონსულტანტმა თან მოიტანა დოკუმენტები და მოდელები, რომლებსაც თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო მონღოლეთის რეალობასთან. ეს იყო სტანდარტული კვლევები, რომლებიც რჩევებს აძლევდა ყველა განვითარებად ქვეყანას მათი კონტექსტის მიუხედავად. მოგვიანებით, ჩემმა დასავლელმა კოლეგებმა, რომლებიც მსოფლიო ბანკთან იყვნენ დაახლოებულები, აგვიხსნეს თუ როგორ მუშაობდა ეს სქემა. ყველა ქვეყანა იღებს სტანდარტულ პრეზენტაციას, სადაც ანალიტიკურ ნაწილში მხოლოდ ქვეყნის სახელია შეცვლილი.

გამომდინარე იქიდან, რომ თეორია თვითონ არ ითვალისწინებს კონტექსტს, ეს მიდგომა ლოგიკურად გამოიყურება. ერთადერთი პრობლემა თავს მაშინ იჩენს, როცა წარმომადგენელს საკუთარ კომპიუტერულ საწერ პროგრამაში "Find and Replace" [„იპოვე და ჩაანაცვლე". – მთარგმნ.] ფუნქციის გამოყენება ავიწყდება და ყველგან, სადაც მაგალითად სიტყვა „ეკვადორი" წერია, არ ანაცვლებს სიტყვით „მონღოლეთი". შედეგად, მთავრობის დარცხვენილი წარმომადგენლები იძულებულნი არიან, მათი გრძლევადიანი განვითარების სტრატეგიაში ალაგ-ალაგ ჩაწერილ სხვა ქვეყნის სახელს ყურადღება არ მიაქციონ. მონღოლეთის პარლამენტის წევრებს რომ სცოდნოდათ, სინამდვილეში რა ხდებოდა, უხერხული სიტუაცია შეიქმნებოდა, მაგრამ მათ ეს არ იცოდნენ.

ეს სიტუაცია ძალიან ჰგავდა ფრანც კაფკას „პროცესს". კაფკას მოთხრობის მთავარი გმირისა და მსხვერპლის, იოზეფ კ.-ის მსგავსად, მონღოლები ხშირად მსხვერპლნი ხდებიან გადაწყვეტილებებისა, რომლებიც არარსებულ რეალობას ეფუძნება და არაფერი აქვთ საერთო ქვეყანასთან. თუკი მონღოლე-

თი საკუთარ საზღვრებს უბრალოდ გაუხსნიდა გლობალურ ეკონომიკას, იგი ავტომატურად მიუერთდებოდა წლიური 3, 5 ან 7 პროცენტიანი ზრდის მრუდს. „სასამართლო“, რომლის როლს ამ შემთხვევაში ვაშინგტონის ინსტიტუტები ასრულებდნენ, სწორადაც კი ვერ იყენებს საკუთარ თეორიებს, რაც მათ უთავბოლო იდეოლოგიის პრეტექსტად აქცევს. ამ იდეოლოგიის ლოგიკით, ბილ გეიტსი, მონღოლეთში თხების მწყემსი რომ ყოფილიყო, მაინც ისეთივე ქონებას დააგროვებდა, რაც დღეს აქვს. თუკი ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ყველა ეკონომიკური დარგი თვისებრივად ერთმანეთს არ დაემსგავსება, სტანდარტული სახელმძღვანელოების ეკონომიკა ჩამოიშლება.

სულ რაღაც რამდენიმე თვეში, სიურეალიზმის დონემ იმატა. ამერიკელმა ეკონომისტმა, ჯეფრი დ. საქსმა, ადამიანმა, ვინც იმ ეკონომიკურ პოლიტიკაზეა პასუხისმგებელი, რომელმაც მონღოლეთის რეალური ხელფასები გაანახევრა, The Economist-ში განაცხადა, რომ ქვეყანა კომპიუტერული პროგრამების შექმნაში უნდა სპეციალიზდეს. ვინაიდან მსოფლიო ბანკის მიერ შეთავაზებულმა თეორიებმა ფესვი გაიდგეს იმ ქვეყნებში, სადაც კონტექსტუალურ პრობლემებს მნიშვნელობას არ ანიჭებენ, ზაქსმა სრულიად კეთილშობილური განზრახვით წარმოადგინა ეს ბრწყინვალე სტრატეგია. აქ მას, უბრალოდ, ერთი დეტალი გამორჩა – ულან ბატორის მიღმა, მონღოლეთის მოსახლეობის მხოლოდ 4%-ს აქვს ელექტროენერგიაზე წვდომა. რა თქმა უნდა, აღარ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კომპიუტერების შეძენის საშუალება და მათ გამოსაყენებლად საჭირო განათლება არ გააჩნია.

მხოლოდ სტანდარტული ეკონომიკის სახელმძღვანელოების ამ უცნაურ სამყაროში შეეძლოთ იაკის მომთაბარე მწყემსებს,

ტელეფონებისა და დენის გარეშე, სილიკონის ველისთვის გაეწიათ კონკურენცია. მხოლოდ სტანდარტულ ეკონომიკურ თეორიაში სჭირდება ხის ზრდას იგივე დრო, დაახლოებით რამდენიმე ნანოწამი, რაც მის მოჭრას. მარია ანტუანეტაზე გამოგონილი ისტორია, სადაც მან იკითხა, თუ რატომ არ ჭამდა ხალხი ნამცხვარს, როცა მათ პური არ ჰქონდათ, თანამედროვე ისტორიაში დაცინვის საგნად და ყველაზე მძლავრი რევოლუციების კატალიზატორად იქცა. დღეს, სამწუხაროდ, ამბების შეთხზვა აღარ ხდება იმაზე, მაგალითად, თუ როგორ იკითხა საქსმა, რატომ არ სპეციალიზდებოდნენ მონღოლები განვითარებულ ტექნოლოგიებში, როცა მათ საბაზისო ინფრასტრუქტურა და ინდუსტრიები არ ჰქონდათ. ამ თვალისმომჭრელი აბსურდის მნიშვნელოვანი მიზეზი ეკონომიკური მეცნიერების სტრუქტურაშია იმ სახით, როგორითაც ის სამეცნიერო ინსტიტუტების უმეტესობაში გამოიყენება. პროფესიული სტატუსისა და ავტორიტეტის მოპოვება არა რეალური სამყაროს შესწავლით, არამედ იმ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებით ხდება, რომელთა რეცენზენტები მათი თანამოაზრე კოლეგები არიან. როგორც კაფკას შემთხვევაში, არ არსებობს კავშირი ოფიციალური პირების მიერ აღწერილ რეალობასა და ადგილზე არსებულ რეალობას შორის. კაფკას მთავარი გმირის მსგავსად, მონღოლეთის ეკონომიკა გაანადგურეს ძალებმა, რომლებიც ხალხისთვის გაუგებარი უნდა ყოფილიყო. მსოფლიო ბანკის მიერ შედგენილი მონღოლეთის ინდუსტრიული სტატისტიკა მას მერე იწყება, რაც მისი ინდუსტრიის დიდი ნაწილი უკვე აღარ არსებობდა. მათ ხელთ არსებული ერთ-ერთი სტატისტიკა იდენტურია იმისა, რომელიც იმ პერიოდში მონღოლეთში მოვიპოვე, შესაბამისად, ვერავინ იტყვის, რომ მონაცემები არ არსებობს. ისტორიის სტრატეგიული ანულირება სრულყოფს კაფკას მეტაფორას. მსოფლიო

ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მონღოლეთის ინდუსტრია არასდროს არსებობდა. ორუელის „ჭეშმარიტების სამინისტრომდე“ ბევრი აღარაფერი გვიკლია.

ამგვარმა გამოცდილებებმა ჩემთვის თანდათან გარკვეული სისტემის სახე მიიღო. ის იმ დაკვირვებებიდან დაიწყო, პირველად 1970-იანი წლების ბოლოს, ლიმაში რომ გავაკეთე, როდესაც ვაშინგტონის ინსტიტუტების რეკომენდებული პოლიტიკის შედეგების დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც კი შესაძლებელი იყო. უეცარი თავისუფალი ვაჭრობა ინდუსტრიულ სიკვდილს იწვევდა, რისი შედეგიც მზარდი უკუგების შემცველი ძირითადი დარგების გაქრობა იყო. მასობრივი უმუშევრობა, კლებადი რეალური ხელფასები (იხ. ილუსტრაცია 14) და საკვების მზარდი დეფიციტი, თავისთავად, ხელიხელჩაკიდებული დადიოდნენ იმ დოგმატურ რწმენასთან ერთად, რომელსაც ჩვენ „თავისუფალ ვაჭრობასა“ და „საბაზრო ძალებს“ ვუწოდებთ და, რაც სინამდვილეში, სიღარიბისა და ადამიანის ტანჯვის ხელშემწყობი ოქსიმორონული „მართული თავისუფალი ვაჭრობა“ იყო. არ არსებობდა შუმპეტერისეული „შემოქმედებითი განადგურება“ იქ, სადაც ახალი და უკეთესი შესაძლებლობები ძველს ჩაანაცვლებდა.

პერუში დიდი ოდენობით ნატურალური რძე გადაღვარეს მაშინ, როდესაც ლიმის სუპერმარკეტები გაცილებით უფრო დაბალი ხარისხის რძით იყო გამოტენილი. ეს რძე სუბსიდირებული ევროპული რძის ფხვნილით იყო დამზადებული და მისი იმპორტი ისედაც მძიმე სავაჭრო ბალანსს კიდევ უფრო აწვებოდა. ევროპელმა ფერმერებმა პერუელი ფერმერები მათი საკუთარი ბაზრებიდან გაყარეს. სინამდვილეში ეს „ბაზარს“ არ გაუკეთებია. ეს პოლიტიკურმა ძალაუფლებამ ქნა ფხვნილისა და ნატურალუ-

რი რძის ტრანსპორტირების იმგვარი ფასის დადგენით, რომელსაც თავისუფალი ბაზარიც კი ვერ გაუწევდა კონკურენციას. ევროპამ მისი ჭარბი რძე, რომელიც იმ ფერმერების მიერ იყო წარმოებული, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე კონკურენცია არ შეეძლოთ, ექსპორტზე სუბსიდირებულ ფასად გაიტანა. როგორც ეს ამერიკული ექსპორტის დროს ხდებოდა ხოლმე, ალბათ, ეს რძეც უცხოურ დახმარებად გასაღდა.

ამავე დროს, მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აიძულეს პერუ საწვავზე ფასები გაეზარდა. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ამიერდან მას უფლება აღარ ჰქონდა ეროვნული საბაზრო ფასი გამოეყენებინა საკუთარ საწვავზე, რომელიც საკუთარივე ნავთობიდან მიიღო. ბენზინის ფასი უნდა გაზრდილიყო. ბაზრის სახელით, ევროპულმა ხელოვნურმა ფასებმა – დაბალმა რძეზე და მაღალმა ბენზინზე – აიძულეს პერუ რძის ეროვნული წარმოება მიეტოვებინა. იმავდროულად, ევროპელები თავს იწონებდნენ, რომ მშიერ ბავშვებს ეხმარებოდნენ.

იმ დროს, ეს უაზრობის მხოლოდ ცალკეული გამოვლენა იყო – ძალადობრივ პოლიტიკას გაუმართლებელი შედეგები ახლდა თან, რომელიც განვითარებად ეკონომიკებს ზარალს აყენებდა. მოგვიანებით გამოაშკარავდა, რომ ეს უფრო ფართო სისტემის ნაწილი იყო, რომელიც განვითარებისა და მოდერნიზაციის საპირისპირო პროცესს წარმოადგენდა. როგორც ამერიკელმა ეკონომისტმა, ჯეიმზ ქ. გელბრაიტმა აღნიშნა, ამ ვითარების ყველაზე დაუჯერებელი ნაწილი, ალბათ, ისაა, რომ მეორე და მესამე სამყაროში წარუმატებელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ეკონომისტებს დღემდე ხოტბას ასხამენ, როგორც ამ საკითხის უდიდეს მცოდნეებს. ჩვენ, გარკვეულწილად, რომის რეკონსტრუქცია ჰუნების ბელად

ატილას ვანდეთ, იმ მოსალოდნელი შედეგის დაშვებით, რომ არ იქნებოდა საუბარი მიყენებულ ზარალზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა მისი თავიდან არიდება. ერთ-ერთი მათგანი, ჯეფრი საქსი, პალიატიური ეკონომიკის თავგამოდებულ დამცველად იქცა, რათა უცხოური დახმარება გაცემულიყო იმ სიღარიბისა და ტანჯვის შესამსუბუქებლად, რომელიც მისმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ წარმოქმნა.

გლობალიზაცია: მორგენთაუს გეგმა მესამე სამყაროსთვის

1940-იანი წლების ორმა ფუნდამენტურმა ექსპერიმენტმა ბევრი რამ ასწავლა მსოფლიოს. ამერიკელებისა და დანარჩენი მსოფლიოსთვისაც ნათელი გახდა არა მარტო რუზველტის სიმართლე ჩერჩილისა და ინგლისის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრალდებებში, არამედ ისიც, თუ რამდენად ძლიერი, გრძელვადიანი და გამანადგურებელი აღმოჩნდა დეინდუსტრიალიზაციის შედეგები გერმანიისთვის, რის გამოც ექსპერიმენტი სულ რაღაც ორი წლის შემდეგ შეწყვიტეს. მიუხედავად ამისა, მორგენთაუსა და მარშალის გეგმების შედეგად მიღებული მკაცრი გაკვეთილები დღეს უკვე დავიწყებას მიეცა.

დღეს პოლიტიკოსები ბოროტად სარგებლობენ მარშალის გეგმის კონცეფციით, როდესაც მას ღარიბ ქვეყნებში დიდი ოდენობით რესურსის ტრანსფერის სინონიმად იყენებენ. მარშალის გეგმის არსს რეინდუსტრიალიზაცია წარმოადგენდა. კაპიტალის, როგორც ასეთის, მოთხოვნა და მიწოდება მთლიანად მეორეხარისხოვანი იყო იმ მთავარ სტრატეგიასთან შედარებით, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიული ცხოვრების განვითარებას ისახავდა მიზნად. მარშალის გეგმა ხორციელდებოდა ეროვნუ-

ლი ინდუსტრიების მძიმე სატარიფო პროტექციითა და სავალუტო გადარიცხვებზე მკაცრი წესების დადგენით. სრულიად გაცნობიერებული იყო სამუშაო ადგილების გრძელვადიანი პროტექციის საჭიროება და ის, რომ უცხოური ვალუტების მარაგი ღირებულ და იშვიათ რესურსს წარმოადგენდა. მაგალითად, ჩემს სამშობლოში, ნორვეგიაში, ამ პოლიტიკამ 1956 წლამდე ტანსაცმლის იმპორტის სრული აკრძალვა გამოიწვია, რასაც თან საზღვარგარეთ ფულის გადარიცხვაზე მკაცრი შეზღუდვები ერთვოდა. გარდა ამისა, 1960 წლამდე კერძო მოხმარებისთვის ავტომობილების შემოტანა აკრძალული იყო.

ჩემი აზრით, გლობალიზაციამ, რომელიც 1980-იანი წლების შუა პერიოდში (უფრო ზუსტად, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ) დაიწყო, მორგენთაუს გეგმის სახე მიიღო. მეორე და მესამე სამყაროს „ტრანზიციაში მყოფი“ სუსტი ინდუსტრიული ეკონომიკები შოკური თერაპიის სუბიექტებად იქცნენ, რამაც ისინი, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთ ღამეში (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) გადაიყვანა შეუზღუდავ თავისუფალ ვაჭრობაზე. მონღოლეთმა ორ-სამ წელში მისი ინდუსტრიული სექტორის 90% დაკარგა; რუსეთსა და პერუში მთელი ინდუსტრიული სამუშაო ადგილების ნახევარი სულ რამდენიმე ქაოსურ წელში დაიკარგა, რამაც რეალური ხელფასების განახევრებასაც შეუწყო ხელი. კორელაცია სამუშაო ადგილებისა და რეალური ხელფასების დანაკარგებს შორის შემთხვევითი არ არის. გლობალიზაცია, დე ფაქტო მორგენთაუს გეგმის გამოყენებით, „კოლონიალიზმის“ ახალ ტალღად იქცა: დღეს, ისევე როგორც ხუთი საუკუნის წინ, კოლონია არის ქვეყანა, რომელსაც მხოლოდ ნედლეულის წარმოების უფლება აქვს.

დღეისათვის პრობლემად იქცა ის, რომ რეინდუსტრიალიზაცია ადრინდელზე ბევრად უფრო გართულდა. ოდესმე

ყველაზე რადიკალურ იდეოლოგიაშიც კი შეაღწევს შიში, რომელიც პერიფერიებში გლობალიზაციის სახელით ჩადენილი ეკონომიკური დანაშაულებებით იქნება გამოწვეული, თუმცაღა ამ პროცესის შემობრუნება მაინც ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე ეს 1947 წელს იყო შესაძლებელი. მე-20 საუკუნეში, ღარიბ ქვეყნებს მდიდრების დაწევა „საწინააღმდეგო ინჟინერიით“ შეეძლოთ. მაგალითად, მათ შეეძლოთ ამერიკული მანქანა დაეშალათ და ეროვნული ბრენდის წარმოება დაეწყოთ, რომელიც ორიგინალისგან ოდნავ განსხვავებული იქნებოდა. იმ დროს, როდესაც სულ უფრო მეტი ცოდნატევადი ინდუსტრიებია დაცული პატენტებით, ეს თითქმის შეუძლებელი გახდა. გარდა ამისა, ინდუსტრია სულ უფრო „უწონო“ და კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებში რთულად განსავითარებელი ხდება. ამავდროულად, ახალი მომსახურების ინდუსტრიები, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესია, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს ტრადიციულ ინდუსტრიებს, წარმოების როლს ასრულებენ. თუმცა, განვითარებული სერვისის ინდუსტრიები ძველი ინდუსტრიული სექტორის მოთხოვნებზე არიან დამოკიდებულნი. ისინი ასე მარტივად არ იქმნებიან პრიმიტიული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ვინაიდან ასეთ სახელმწიფოებს არ აქვთ საკმარისი მსყიდველობითი უნარი საქონელსა და მომსახურებაზე საკმარისი მოთხოვნის გასაჩენად. ამავე დროს, ამგვარი ინდუსტრიების დაცვა რთულია, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი უწონონი და თავისუფალნი არიან. როგორც ყოველთვის, განვითარებისა და ჩამორჩენილობის უკან კუმულაციური მიზეზობრივი კავშირები დგანან, ქმნიან რა „სასიკეთო“ და „მანკიერ“ წრეებს.

დეინდუსტრიალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობის „მკვლელი ეფექტი“

სტანდარტული ვაჭრობის თეორიის „რიბჩინსკის თეორემა“ ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა გააძლიერებს ქვეყნის სპეციალიზაციას წარმოების იმ ფაქტორში – კაპიტალსა ან შრომაში, რომელიც მის ექსპორტში ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება. „მაგალითად, როცა მხოლოდ შრომა იზრდება, ფართოვდება შრომატევადი საქონლის წარმოება, ხოლო კაპიტალტევადის იზღუდება. მეორე მხრივ, როდესაც მხოლოდ კაპიტალი იზრდება, კაპიტალტევადი პროდუქციის გამოშვება იმატებს, შრომატევადი პროდუქტისა კი მცირდება.“[9]

ამ თეორემის გაგრძელებას მე „ვანეკ-რეინერტის ეფექტს“, ან საერთაშორისო ვაჭრობის „მკვლელ ეფექტს“ ვუწოდებ. როცა ფაქტობრივი ავტარკიის* მდგომარეობის შემდეგ, შედარებით განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობა იწყება, უფრო დაბალგანვითარებულ ქვეყანაში ყველაზე წინწასული და ცოდნატევადი ინდუსტრია განადგურდება. ყველაზე განვითარებული სექტორები ისინია, რომლებსაც მზარდი უკუგება ახასიათებთ. პარალელურად ამისა, საერთაშორისო კონკურენციით გამოწვეული წარმოების მოცულობის შემცირება პირველ რიგში მათ აზარალებს. ამგვარი „ვანეკ-რეინერტის ეფექტი“ შესამჩნევი იყო მე-19 საუკუნეში იტალიის გაერთიანების შემდეგ, ხოლო 1990-იან წლებში თავისუფალი ვაჭრობის პირველი მსხვერპლნი ჩეხური და ბრაზილიური კომპიუტერების ინდუსტრიები გახდნენ. უკიდურეს შემთხვევებში, ქვეყნები თითქმის ბოლომდე განიცდიდნენ

* ავტარკია არის სახელმწიფოს ეკონომოკური რეჟიმი, რომელიც სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობის ფაქტობრივ უქონლობას გულისხმობს (მთარგმნელის შენიშვნა).

დეინდუსტრიალიზაციას, როგორც ეს 1990-იან წლებში მონღოლეთის შემთხვევაში მოხდა.

საერთაშორისო ღირებულებათა ეს ჯაჭვი „აუტსორსინგის“* მეშვეობით „გაწყდა“. ყველაზე განვითარებული ქვეყნები ახლა კაპიტალ- და ინოვაციატევად წარმოებაში სპეციალიზდებიან, სადაც მასშტაბი და მზარდი უკუგება ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. შედარებით ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოები მაკილას ტიპის (საამწყობო საამქრო) დაბალტექნოლოგიურ წარმოებაში სპეციალიზდებიან, რომელსაც საამწყობო ეტაპზე მასშტაბის ეფექტები არ ახასიათებს. ეს ხშირად საფუძველია იმისა, რომ თავისუფალმა ვაჭრობამ ეროვნული დოვლათი უფრო შეამციროს, ვიდრე გაზარდოს. მაგალითად, მექსიკაში რეალური ხელფასები საგრძნობლად დაეცა, როცა NAFTA-მ ნელ-ნელა მოსპო ტრადიციული სამრეწველო ინდუსტრიები, მარტივი საამწყობო (მაკილა) დარგების ზრდას კი ხელი შეუწყო. მზარდი უკუგების მქონე ინდუსტრიები იმისთვის გადაშენდა, რომ მუდმივი უკუგების მქონე დარგებისთვის გაეხსნა გზა, რაც ეროვნული წარმოების სისტემის „პრიმიტივიზაციას“ ნიშნავდა. მაშასადამე, ჩვენ სახეზე გვაქვს „დესტრუქციული დესტრუქციის“ შემთხვევები, როდესაც აღდგენითი საქმიანობა არ მიმდინარეობს.

დეინდუსტრიალიზაციის მეორე რაუნდის ეფექტი არის მისი გავლენა ქვეყნის „ვაჭრობის პირობებზე“. ეს ტერმინი ქვეყნის საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ფასებს შორის არსებულ კავშირს ასახავს. თუ ექსპორტის ფასი იმპორტთან შედარებით

* ეკონომიკური აგენტის, მაგალითად, ფირმის მიერ სხვა ფირმასა ან ინდივიდთან ქვეკონტრაქტის დადება, სამუშაოს გადანაწილების მიზნით. „აუტსორსინგის“ მთავარი მიზანი ხარჯების ეკონომიაა (მთარგმნელის შენიშვნა).

იზრდება, ქვეყანა მდიდრდება. საპირისპირო ეფექტის შემთხვევაში – ღარიბდება.

ვაჭრობის პირობების ცვლილება კომპლექსური საკითხია, თუმცა საოცარია, რომ ზოგიერთ პატარა ლათინოამერიკულ ქვეყანაში ვაჭრობის პირობებმა პიკს 1970-იან წლებში, ყველაზე ინტენსიური ინდუსტრიული განვითარების დროს მიაღწია. როცა ინდუსტრიები ჩამოიშალა, მას ზედ მიჰყვა საექსპორტო ნედლეულის ფასებიც. მე-15 ილუსტრაცია ამ მოვლენას პერუს მაგალითზე გვიჩვენებს. დეინდუსტრიალიზაცია და ვაჭრობის პირობების ვარდნა, ერთმანეთთან იმგვარადაა დაკავშირებული, რომ ქვეყნებმა, შესაძლოა, ერთდროულად ორი უარყოფითი ეკონომიკური შოკი მიიღონ. ეს კავშირი ორი ფაქტორის კომბინაციით იხსნება: პროფკავშირების ძალაუფლების შესუსტებამ და ინდუსტრიული სამუშაო ადგილების შემცირებამ შრომით ბაზარს ნიადაგი გამოაცალა, გამოიწვია რა ხელფასების კლება. შედეგად, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრის ზეწოლის შედეგად შემცირდა როგორც საქონლის, ისე ეროვნული ხელფასების საშუალო ფარდობითი მსყიდველუნარიანობა. მუშახელისთვის ალტერნატიული სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, სასაქონლო წარმოება გავრცელდა კლებადი უკუგების მქონე არეალებში, რამაც შრომის ზღვრული პროდუქტიულობის კლება გამოიწვია.[10] შეიკრა თვითმამოძრავებელი მანკიერი წრეები, რომელთა შეკავება ქვეყანაში მხოლოდ მზარდი უკუგების მქონე დარგების აღდგენით იყო შესაძლებელი.



მიუხედავად იმისა, რომ „ვაჭრობის პირობების“ (ექსპორტისა და იმპორტის ფასების ფარდობა) განვითარება კომპლექსური მოვლენაა და მაგალითად, მასზე გავლენა 1970-იანი წლების ნავთობის კრიზისმა მოახდინა, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ გაუმჯობესდა პერუს „ვაჭრობის პირობები“ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, მაშინ, როდესაც დეინდუსტრიალიზაციამ სრულიად საპირისპირო შედეგი მოიტანა.

წყარო: სანტიაგო როკა და ლუის სიმაბუკო: „ბუნებრივი რესურსები, ინდუსტრიალიზაცია და მერყევი საცხოვრებელი სტანდარტები პერუში, 1950-1997: კონკრეტულ აქტივობაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის შემთხვევის შესწავლა“ ერიკ რეინერტის (რედ) წიგნში, „გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება და უთანასწორობა: ალტერნატიული ხედვა“ Cheltenham, 2004.

ილუსტრაცია 15: პერუს ვაჭრობის პირობები, 1950-2000 წლები.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ავსტრალიაში საკუთარი ინდუსტრიული სექტორი, მიუხედავად საერთაშორისო დონეზე მისი არაკონკურენტუნარიანობისა, სწორედ ზემოთ აღნიშნული მოვლენების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა. მრეწველობის სახით ალტერნატიული დასაქმების ბაზრის არსებობა დაბალპროდუქტიულ ტერიტორიებზე მატყლის წარმოების გავრცელებას უშლიდა ხელს. კერძოდ, სახელფასო ქვედა ზღვრის არსებობა [მთ. რაც შექმნა ინდუსტრულმა სექტორმა], რომლის ქვემოთ ხელფასები ვეღარ დაიწევდა, აბრკოლებდა ხელფასების შემცირებას ნედლეულის წარმოების სექტორებშიც კი.[11]

დეინდუსტრიალიზაციის შემდეგ, ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, მექსიკა) ტექნოლოგიურ ჩიხში შესული პროდუქტის წარმოებაში სპეციალიზდება, რომელიც მზარდი უკუგებისგანაა დაცლილი. წინა თავში ნახსენები პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიები საერთაშორისო ვაჭრობაში 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში ჩამოაყალიბეს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის ეკონომისტებმა – რეი ვერნონმა და ლუის უელსმა.[12] ისინი ამტკიცებდნენ, რომ ღარიბ ქვეყნებს ავტომატურად ექნებათ „ზრდასრულ“ პროდუქტში (იმაში, რომელიც მოძველებულ ტექნოლოგიებს საჭიროებს) შედარებითი უპირატესობა, მისი სასიცოცხლო ციკლის დასრულებისას, რაც ამ ქვეყნებში ინოვაციის პოტენციალს კლავს. ამ არგუმენტს გაკვრით უკვე შევეხეთ წიგნის შესავალში. მის მიხედვით გლობალიზებული ღირებულებათა ჯაჭვი იმგვარად ნაწევრდება, რომ ღარიბ ქვეყნებს ტექნოლოგიურ ჩიხში სპეციალიზება უწევთ. ამგვარი წარმოება მსოფლიოს ღარიბ ნაწილშია გატანილი, უმეტესად იმიტომ, რომ მას წარმოების შრომატევადი პროცესი ახასიათებს.

თუკი მოძველებულ და ტექნოლოგიურად პრიმიტიულ წარ-

მოებაში შედარებითი უპირატესობის ქონა შეიძლება მუდმივი განვითარების პლატფორმად გამოიყენებოდეს – როგორც ეს იაპონიასა და ჩინეთს გამოუვიდა – მაშინ ეს მხოლოდ დროებითი პრობლემაა. თუმცა, შეერთებულ შტატებთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ამერიკულ და ჩინურ ინდუსტრიებს შორის არიან ჩატენილები, აჩვენებს, რომ არაინოვაციურ დარგებში შედარებითი უპირატესობის ქონა შეიძლება მუდმივ მახასიათებლად გადაიქცეს. როგორც უკვე აღვნიშნე, პროდუქტებისა და ტექნოლოგიების სასიცოცხლო ციკლის გაგება მნიშვნელოვანი ფაქტორია „შუმპეტერისეული განუვითარებლობის“ გასაგებად.[13]

„სასაქონლო“* ლატარიის საფრთხეები

დიდი ხანი არაა, რაც ეკონომიკის ისტორიკოსებმა ეკონომიკურ განვითარების საკითხების განხილვისას „სასაქონლო ლატარიის“ ტერმინი დაამკვიდრეს. ეს გამოსადეგი ფრაზაა, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკაზე, სხვადასხვა საქონლის მახასიათებლები მრავალმხრივ გავლენას ახდენენ. „სასაქონლო ლატარია“ მრავალი მიმართულებით გარდაქმნის ქვეყნის ეკონომიკას და განსაზღვრავს ინოვაციების დანერგვისა და არასრულყოფილი კონკურენციის პოტენციალს.

ზოგიერთი ბუნებრივი რესურსი უფრო მჭიდრო კავშირშია ცოდნატევად სექტორებთან, ვიდრე სხვები. ამგვარი „იძულებითი კავშირის“ კარგი მაგალითია მე-20 საუკუნის დასაწყისში, ელექტროენერგიის მისაღებად საჭირო ჩანჩქერები: იმ დროს ერთ კილომეტრზე ენერგიის ტრანსპორტირების დანაკარგი

* ტერმინი საქონელი (commodity) ამ თავში გამოიყენება ნედლეულის, სასარგებლო წიაღისეულისა და სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების პროდუქტის აღმნიშვნელად (მთარგმნელის შენიშვნა).

იმდენად დიდი იყო, რომ დენზე მომუშავე ახალი ინდუსტრიული ცენტრები უშუალოდ ჩანჩქერთან შენდებოდა. ნორვეგიის ნედლეული მასალის – ჰიდროელექტროენერგიის – შორ მანძილზე ტრანსპორტირება შეუძლებლობა საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკური პერიფერიის ინდუსტრიალიზაციას, ნაცვლად იმისა, რომ ეს ნედლეული ევროპის კონტინენტზე მოხვედრილიყო, სადაც ბაზარიცა და ინვესტორებიც ხელმისაწვდომები იყვნენ. ამის საპირისპიროდ, ბოლივიური თუთიის გამოდნობა, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ინგლისში ხდებოდა.

განსაკუთრებით საინტერესო მაგალითს აღწერს კუბელი სოციალური მეცნიერი, ფერნანდო ორტიზი, მის 1940 წელს გამოცემულ წიგნში „კუბური კონტრაპუნქტი".[14] ეკონომიკური თვალსაზრისით, კუბას აბსულუტური უპირატესობა ჰქონდა ორ ტროპიკულ კულტურაში – შაქარსა და თამბაქოში. კუბის საზოგადოებისთვის თამბაქო წყალობა იყო, შაქარი კი ბოროტება. თამბაქომ, რომელიც უმეტესად კუნძულის დასავლეთ ნაწილზე იზრდებოდა, შექმნა საშუალო კლასი, თავისუფალი ბურჟუაზია. შაქარმა, რომელიც კუნძულის დანარჩენ ნაწილზე მოჰყავდათ, წარმოშვა ადამიანების ორი კლასი: ბატონები და მონები. თამბაქოს კულტივაციამ და კრეფამ მოთხოვნა გააჩინა სპეციალიზებულ უნარებზე: თამბაქოს ფოთლები სათითაოდ იკრიფებოდა და პროდუქტის საბაზრო ფასი დამოკიდებული იყო მკრეფავის ოსტატობაზე. თამბაქოს მოყვანა კონკრეტულ უნარებს, ინდივიდუალურობასა და ზომიერ სიმდიდრეს ავითარებდა. „შაქარი კი ანონიმური* ინდუსტრია იყო, მონებისა თუ დაქირავებული მუშების ჯგუფისაგან შემდგარი სამუშაო ძალა, რომელსაც კაპიტალის ზედამხედველები მართავდნენ." თამბაქომ მოიტანა

* იგულისხმება უსახელო, მხოლოდ შრომით რესურსთან დაკავშირებული ინდუსტრია, რომელიც არ მოითხოვს ინდივიდუალურ უნარებს (მთარგმნელის შენიშვნა).

ეროვნული საკუთრება, შაქარმა კი უცხოურ მულტინაციონალურ კორპორაციებზე დამოკიდებულება.

მაშინ, როცა თამბაქო სიმარჯვეს, ზრუნვასა და განსჯას მოითხოვს, შაქარს მხოლოდ უხეში ძალა ესაჭიროება ლერწმის მოსაჭრელად. კუბური თამბაქოს წარმოება არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში ხდება და ის ბრენდულ სახელებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ისეთი ძვირადღირებულ სიგარებთან, როგორიცაა "Partagas" ან "Upmann". მის საპირისპიროდ, ორტიზის თქმით, შაქარი არის საქონელი, რომელიც „დედამიწაზე მონის მსგავსად, გვარის გარეშე იბადება". თამბაქოს სტაბილური ფასები ახასიათებს, შაქარს კი მერყევი. თამბაქოს გამოცდილ მკრეფავს თამბაქოს სამოცდაათი ან ოთხმოცი განსხვავებული ელფერის გარჩევა შეუძლია, მაშინ, როცა ლერწმის მოჭრის დროსაც კი არ აქვს მნიშვნელობა. თამბაქო ფოთოლ-ფოთოლ პატარა ბასრი დანით ნაზად იჭრება, რათა დანარჩენი მცენარე არ დაზიანდეს; შაქრის ლერწამი კი დიდი მაჩეტეს მთელი ძალით მოქნევით იკაფება. შაქართან მუშაობა ხელობაა, თამბაქოსთან კი ხელოვნება. დასავლეთ კუბის სიმდიდრისა და აღმოსავლეთ კუბის სიღარიბის მიზეზები კონკრეტულ საქმიანობაზე ორიენტირებულობითაა გამოწვეული: ეკონომიკური და სოციალური გამოსავალი თავად მცენარეშია ჩადებული.

როგორც რენესანსისა და განმანათლებლობის ხანის ჰოლანდიელი და ვენეციელი (დღეს მათ რიგებს შეიძლება იაპონია და შვეიცარიაც მივამატოთ) მეცნიერები ამტკიცებდნენ, სასაქონლო ლატარიაში საუკეთესო შედეგი საქონლის [წიაღისეული, ნედლეული. – მთარგმნ.] არქონა იყო. ამას ქვეყანა პირდაპირ მიჰყავდა ხელოვნურ და არა ბუნებრივ შედარებით უპირატესობამდე, მზარდ და არა კლებად უკუგებადე. როგორც დიდი მონტესკიე (1689-1755) ამბობს:

„მიწის სიმწირე ადამიანს შრომისმოყვარეს, ფხიზელს, გაჭ-

ირვებაში გამოწრთობილს, მამაცსა და ომისთვის ვარგისს ხდის; იგი ვალდებულია შრომით მოიპოვოს ის, რის ნებაყოფლობით გაცემაზეც დედამიწა უარს აცხადებს“.[15]

ტექნოლოგიური პროგრესი და მისი გავლენა ცენტრსა და პერიფერიაზე

ჩვენ უკვე ვნახეთ ახალი ტექნოლოგიების მოზღვავების მნიშვნელობა, რომელიც პერიოდულად ჩვენს ტექნოლოგიურ გარემოს ცვლის. თუმცა, ეს ტექნო-ეკონომიკური პარადიგმები განსხვავებულ გავლენას ახდენენ ცენტრსა და პერიფერიაზე. კარლოტა პერეზი მათ ციკლურ ასპექტებს შემოსავლების გადანაწილების კუთხით განიხილავს და, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებული ფინანსური კრიზისის გეოგრაფიულ მახასიათებლებზე.[16]

ქვეყნებს, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში სპეციალიზდებიან, სრულიად განსხვავებული შემოსავლები ახასიათებთ, ვიდრე ტექნოლოგიების მომხარებელ ან იმ ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნებს, რომლებიც ამ ტექნოლოგიების დასამზადებლად გამოიყენება. მე-19 საუკუნეში, ამერიკის ბამბის მომყვანი სამხრეთ შტატების გამოცდილება რადიკალურად განსხვავდებოდა ბამბის დამამუშავებელი ჩრდილოეთ შტატების გამოცდილებისგან. ფაქტობრივად, შტატების ამ ორ ჯგუფს შორის არსებულმა უთანხმოებამ და ჩრდილოეთის მცდელობამ განევითარებინა მრეწველობა და ბამბის დართვა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამოქალაქო ომის დაწყებაში. ფორდისტული ტექნოლოგიური რევოლუციის დროს, რეზინზე გაზრდილ მოთხოვნას რამდენიმე საკმაოდ უარყოფითი სოციალური ეფექტი ჰქონდა მის მწარმოებელ ქვეყნებში. 1912-13

წლებში განსაკუთრებით საზარელმა შემთხვევამ – ე.წ. პუტუმაიოს საქმემ – რეზინის შემგროვებელი ამაზონის ინდიელების მიმართ არასათანადო მოპყრობის, მონობისა და სისასტიკის ფაქტების შემცველობის გამო, სერიოზული სკანდალი გამოიწვია ინგლისსა და ევროპაში. ამ საქმის შესახებ ოფიციალური ინგლისური დოკუმენტების სისქე ნათლად მეტყველებს მის იმდროინდელ მნიშვნელობაზე.[17] ჩრდილოეთი ახალ ფორდისტულ ტექნო-ეკონომიკურ პარადიგმაში შევიდა, მაგრამ მისი გავლენა უგზოო ამაზონიის პერიფერიაზე, ძირითადად, ნეგატიური იყო. ამაზონიის ქალაქ მანაოსის ოპერის შენობა დღემდე დასტურია იმისა, რომ მომგებიანია არა ბუნებრივი რეზინის წარმოება, არამედ ვაჭრობა.

ტექნოლოგიური ცვლილების განსხვავებულ გეოგრაფიულ ეფექტებს (აღმშენებლობა ცენტრში, ნგრევა პერიფერიაში) დუალისტური ეკონომიკის კონცეფციამდე მივყავართ, რომელიც განვითარების ეკონომისტებმა ჩამორჩენილი ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად აღიარეს. თანამედროვე ექსპორტის სექტორი – ეკონომიკური ანკლავი – მოწყვეტილი იყო დანარჩენ ეკონომიკას. იმპორტის მზარდი ჩანაცვლებით, ინდუსტრიალიზაციითა და დივერსიფიცირებული ინდუსტრიული სექტორის წყალობით, უფსკრული ეროვნული ეკონომიკის „თანამედროვე" და „ჩამორჩენილ" სექტორებს შორის მნიშვნელოვნად შემცირდა.

1980-იანი წლების ბოლოს, დეინდუსტრიალიზაციასა და კლებად პროტექციასთან ერთად, ბევრ პატარა და საშუალო სიდიდის ღარიბ ქვეყანაში წარმოების სექტორის მრავალფეროვნება თანდათან შემცირდა. ისინი კვლავ ანკლავური ეკონომიკისკენ – ნედლეულის ექსპორტზე დაფუძნებულ ეკონომიკური მონოკულტურისკენ – მიიწევდნენ. იმავე დროს, სახელ-

მწიფოს როლის შემცირებამ კიდევ უფრო გაართულა ამ ანკლავების (რომლებიც უმეტესად უცხოურ მფლობელობაში იყო) მეთვალყურეობა. ამის ბოლოდროინდელი მაგალითია ჩილეს საკუთრებაში არსებული უამრავი მაღარო პერუში, რომელთაც ყველა საჭირო პროდუქტი, მათ შორის საკვები და სასმელი, საჰაერო გზით მიეწოდება ჩილედან, პერუს საბაჟოს გვერდის ავლით. აფრიკაში კერძო არმიების რიცხვის ზრდა, რომლებიც დღეს სამთომომპოვებელი კომპანიების დასაცავადაა საჭირო, არის „დაბრუნება“ კოლონიალიზმის საწყის ეტაპზე, როდესაც კერძო ჯარებს დიდი ძალაუფლება ჰქონდათ. შესაბამისად, დღეს მესამე სამყაროს ქვეყნების დიდ ნაწილს ემუქრება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განვითარების კუთხით მიღწეული წარმატებების დაკარგვა.

ტექნოლოგიური ცვლილების დამატებით ასპექტს წარმოადგენს ის, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება როგორც შრომითი უნარების ასამაღლებლად, ისე პირიქით, მათ დასაქვეითებლად. ეს მოვლენა ცენტრისა თუ პერიფერიის ყველა ქვეყანაში ხდება. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია Burger King-ის სიმბოლოებიანი სალარო ტერმინალების დამზადება, რომელიც ოპერატორის გარეშე შეძლებს წერა-კითხვას. მაგრამ მოვლენების ამგვარად წარმართვა უფრო მტკივნეულია განვითარებად ქვეყნებში, სადაც მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების ნაკლებობა სერიოზული პრობლემაა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის სამუშაოს დაწყება კი, ხშირად, უკიდურესად შეზღუდული. ეს ქვეყნები საკუთარ რესურსს არ იყენებენ და ბევრად ნაკლებს აწარმოებენ, ვიდრე ამას მათი „წარმოების შესაძლებლობის ზღვარი“ იძლევა. შესაბამისად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 20-30%-ს თუ ექნება ის, რაც ჩრდილოეთში „სამსახურად“ ჩაით-

ვლებოდა. აღსანიშნავია, რომ ინოვაციების გამოჩენამ, შესაძლოა, კიდევ უფრო შეამციროს მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების რაოდენობა.

ერთ-ერთ დოკუმენტში, „ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის გაეროს ეკონომიკური კომისიის“ (ECLAC/CEPAL) ორი ეკონომისტი, მარიო ჩიმოლი და იორგე კატცი, არგენტინის საამქრო წარმოებაში ინჟინრების დასაქმების მაგალითზე „უნარების დაქვეითების“ ამგვარ ეფექტებს განიხილავენ.[18] ისინი ამტკიცებენ, რომ ასეთი მოვლენები ლათინურ ამერიკას მახეში აბამს და აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება რეგიონი დაბალი ეკონომიკური ზრდის წრეში ჩაიკეტოს, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს ტექნოლოგიურ უფსკრულს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. სხვა სიტყვებით, ღარიბები სიღარიბეში სპეციალიზდებიან.

„ინოვაციების ეროვნული სისტემების“ იდეებზე შექმნილი სტრატეგიებიც იწყებენ მესამე სამყაროში დამკვიდრებას. მიუხედავად ამისა, „ინოვაციაზე დაფუძნებული საზოგადოებების“ შესახებ ამგვარ ხედვებს, როგორც წესი, საფუძვლად უდევს არასაკმარისი თვისებრივი გაგება იმისა, თუ რა განსხვავებულ ეფექტს ახდენს ინოვაციები სხვადასხვა ბიზნესზე. მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT) სრულიად განსხვავებულ შედეგებს იწვევს სიეტლში განლაგებულ Microsoft-ის სათავო ოფისსა და სასტუმროების ინდუსტრიაში. სასტუმროებისა და ძველი წიგნების ბიზნესში IT-ის გამოყენებამ მთელ ევროპაში ხელფასებისა და მოგების ზღვრის კლება და მათზე ზეწოლის ზრდა გამოიწვია. „კონკურენტუნარიანობის“ (რეალური ხელფასების გაზრდის უნარი) სტანდარტული განმარტების მიხედვით, ცალკე აღებულ ამ ინდუსტრიებში, IT-ზე დაფუძნებული ინოვაციების შედეგი არა გაზრდილი, არამედ შემცირებული კონკურენტუნარიანობა იყო.

ჩვეულებრივ, ინოვაცია ორ კატეგორიად იყოფა. Microsoft-ის პროდუქციას სასაქონლო ინოვაციამდე მივყავართ, რომლის წარმოებას მნიშვნელოვანი მზარდი უკუგება, შეღწევის სერიოზული ბარიერები, უზარმაზარი მოგება და ძალიან მაღალი ხელფასების გადახდის შესაძლებლობა ახასიათებს. ზუსტად ეს ინოვაცია, როგორც პროცესების ინოვაცია, ვენეციის სასტუმროების ინდუსტრიას აზარალებს, ახდენს რა გავლენას სასტუმროს დაჯავშნის ხერხებზე. ქსელის შესახებ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის ქონა ზრდის ვენეციის სასტუმროების ფასებს შორის კონკურენციას და ზღუდავს მოგების ზღვარსა და ხელფასების ზრდას. ავიახაზების ინდუსტრიაშიც იმავე პროცესების ინოვაციას მსგავს შედეგებამდე მივყავართ. მაშინ, როცა საინფორმაციო ტექნოლოგიები Microsoft-ის სათავო ოფისში ხელფასების ზრდას უწყობს ხელს, ევროპაში, იმავე ტექნოლოგიის წყალობით, სტიუარდესებს ხელფასები უმცირდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციების ეკონომიკაში კარგადაა ცნობილი დასაქმებაზე სასაქონლო ინოვაციებისა და პროცესების ინოვაციების განსხვავებული ეფექტები, საკმარისი ყურადღება არ ექცევა იმას, რომ, ფაქტობრივად, ინოვაციებმა შეიძლება შეამცირონ დამატებითი ღირებულება კონკრეტულ ინდუსტრიებსა და გეოგრაფიულ არეალებში.

„მანძილის სიკვდილი“ და მისი შედეგები პერიფერიისთვის

გეოგრაფიული მდებარეობა და მანძილი ყოველთვის მიიჩნეოდა მთელ მსოფლიოში წარმოების გავრცელების ხელშემწყობ ეკონომიკურ ფაქტორებად. თუკი გერმანელი ეკონომისტის, ფრანც ოპენჰაიმერის (1864-1943), იდეას დავიხმართ, ჩვენ

საწყის წერტილად შეიძლება წარმოვიდგნოთ მსოფლიო, სადაც არ არის გეოგრაფიისა და დროის მიერ გამოწვეული დანახარჯები, დაბრკოლებები და ჩამორჩენები. ამას უნდა დაემატოს რეალურ სამყაროში გეოგრაფიისა და დროის მიერ გამოწვეული დანახარჯები, დაპირისპირებები და ჩამორჩენები. გეოგრაფიული მდებარეობის, როგორც ეკონომიკური ფაქტორის, მნიშვნელობა დროის ფაქტორთანაა შერწყმული, რასაც ალფრედ ჩენდლერი „სიჩქარის ეკონომიკას“ უწოდებს. ოპენჰაიმერმა ამ ფაქტორს „თრანსპორტწიედერსტანდ“ – „სატრანსპორტო წინააღმდეგობა“ ანუ „დროითა და გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული წინააღმდეგობა“ დაარქვა. ისტორიულად, ავსტრალიის გეოგრაფიულმა იზოლაციამ ქვეყანას უფრო დიდი სატრანსპორტო წინააღმდეგობა შეუქმნა, ვიდრე ირლანდიას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დრო და მანძილი ქვეყნის სამრეწველო ინდუსტრიის ბუნებრივ დაცვას უზრუნველყოფს.

გასული საუკუნის ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი თვისება სატრანსპორტო წინააღმდეგობის შესუსტება იყო, რასაც ზოგჯერ „მანძილის სიკვდილს“ უწოდებენ. ამან პერიფერიების სხვა ქვეყნებთან გათანაბრება – ეროვნული ეკონომიკის მზარდი უკუგების მქონე დარგებზე გადაყვანა – კიდევ უფრო გაართულა. ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ტრადიციული სერვისის ინდუსტრიებში არსებული მძლავრი სატრანსპორტო წინააღმდეგობა, რომელიც საჯარო ადამინისტრაციასთან ერთად პირველი სამყაროს სამუშაო ადგილების დიდ ნაწილს ქმნის, არაგლობალიზებულ შრომით ბაზართან ერთად, წარმოადგენს მთავარ მიზეზს იმისა, თუ რატომ არაა მსოფლიო მკვეთრად მიდრეკილი საწარმოო ფაქტორების ფასის გათანაბრებისაკენ ქვედა დონეზე. სატრანსპორტო წინააღმდეგობას ერთბაშად მხოლოდ ტელეპორტირება თუ ჩაახშობდა,

როგორც ეს სამეცნიერო ფანტასტიკის ფილმებში გვხვდება ხოლმე, საერთაშორისო ვაჭრობისთვის ტრადიციული სერვისის ინდუსტრიებში კარის გაღებით.

ფაქტობრივად, ნულოვანი სატრანსპორტო და დროითი წინააღმდეგობა აზრს უკარგავს ბევრი ახალი ინდუსტრიის მფარველობას. ამასთან ერთად, იმ იდეების ავტორებს, რომელთა მომგებიანი განვითარება ეროვნული ინოვაციების სისტემის შიგნით მანამდე შესაძლებელი იყო, ხშირად უწევთ მსოფლიოს ისეთ კუთხეებში მოგზაურობა, სადაც ინოვაციური გარემო და საჭირო ვენჩურული კაპიტალის მოძიებაა შესაძლებელი. რამდენიმე წლის წინ ვისკონსინის ქალაქ მედისონში, „უნივერსიტეტის კვლევითი პარკების ასოციაციის“ (AUPR) მიერ გამართულ ყრილობაზე, გამაოცა შუა დასავლეთ ამერიკის ინსტიტუტების წარმომადგენლების ჩივილმა, რომ მათი შტატებიდან ღირებული კვლევითი იდეის მქონე ყველა ადამიანი აღმოსავლეთ ან დასავლეთ სანაპიროს შტატებში წავიდა, სადაც ინდუსტრიული გარემო და ვენჩურული კაპიტალია კონცენტრირებული. ეს ძალები არანაკლები სიმძლავრით მოქმედებენ მესამე სამყაროშიც. შედეგად, ჩვენ გვემუქრება იმის საფრთხე, რომ პერიფერიული „ეროვნული ინოვაციური სისტემის“ შიგნით გაჩენილ კარგ იდეებს პირველი სამყაროს გლობალური ეკონომიკა შეიწოვს. ის, რომ ინოვაციები ხშირია ცენტრში, მაშინ, როდესაც გამოგონება შეიძლება მოხდეს პერიფერიაში, არის კიდევ ერთი ასპექტი იმისა, რასაც ჩვენ შუმპეტერისეული განვითარების გეოგრაფიას ვუწოდებთ.

დესტრუქციული დესტრუქცია და განვითარების გეოგრაფია შუმპეტერის მიხედვით

„შემოქმედებითი განადგურება“ შუმპეტერისეული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ტერმინია, რომელიც ფრიდრიხ ნიცშემ დაამკვიდრა.[19] შუმპეტერის მსგავსად, ნიცშე შემოქმედებითი განადგურების პროცესს დადებითად აფასებდა. თუმცა, ნიცშეს მეგობარი და კოლეგა ბაზელის უნივერსიტეტში, რენესანსის გამოჩენილი ისტორიკოსი, იაკობ ბურკჰარდტი (1818-97), სხვა აზრზე იდგა. მისი თქმით: „არსებობენ (ან, ყოველ შემთხვევაში, გვეჩვენება, რომ არსებობენ) გამანადგურებელი ძალები, რომელთა ჩლიქის ქვეშ არანაირი ბალახი არ იზრდება.“[20] განადგურება და შემოქმედებითობა დედამიწის სრულიად საპირისპირო წერტილებში შეიძლება ვითარდებოდეს, რომლის მაგალითი მანჩესტერის საფეიქრო ფაბრიკის ბენგალელი მქსოველებით ჩანაცვლებაა. ამ დრამატული შედეგის წარმოსაჩენად, მარქსმა ციტატად მოიყვანა ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის სიტყვები, რომელიც ლონდონში თავის ოჯახს წერდა: „ამგვარი ტანჯვა ნაკლებად მოიძებნება ვაჭრობის ისტორიაში. ინდოეთის დაბლობები ბამბის მრთველების ძვლებითაა გადათეთრებული“.

იმ ფაქტს, რომ ჩვენს სულ უფრო გლობალიზებულ ეკონომიკაში თავად შრომითი ბაზარი არაა გლობალიზებული, მივყავართ ამ ტიპის „დესტრუქციულ დესტრუქციამდე“, რომელსაც როგორც ეს მონღოლეთის მაგალითზე ვნახეთ, ზოგჯერ ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება ხოლმე. გარდა ამისა, სულ უფრო მეტ სავაჭრო პროდუქტებზე ვრცელდება საავტორო უფლებები და პატენტები, ეს კი შემოქმედებითი პროცესის მხოლოდ ვიწრო გეოგრაფიულ არეალებში კონცენტრაციის ზრდას ემსახურება. წინამორბედმა ტექნო-ეკონომიკურმა პარადიგმამ – ფორდ-

ისტულმა მასობრივმა წარმოებამ – შესაძლებელი გახადა რევერსიული ინჟინერიის მეშვეობით განვითარება. ეს მომავალში გაცილებით ძნელად განხორციელებადი ჩანს. პატენტისა და საავტორო უფლებების უზარმაზარი ზეგავლენა გლობალურ უთანასწორობაზე ის პრობლემაა, რომელსაც ჩვენ ეს-ესაა გადავაწყდით.

ჩემი აზრით, პრიმიტივიზაციის მექანიზმების ეს ნაკრები მესამე სამყაროში ეკონომიკური განვითარებისთვის ძნელად გადასალახი ბარიერების შექმნას ემსახურება. ისინი ერთად იწვევენ იმას, რასაც გუნარ მირდალმა „საწინააღმდეგო ტალღის“ ეფექტი უწოდა: უფრო კვალიფიციური მუშახელი და მეტი მოცულობის კაპიტალი გაედინება ღარიბი მსოფლიოდან მდიდარში, ვიდრე პირიქით.

მკვიდრი ხალხები: პრიმიტივიზაცია სამთავრობო პოლიტიკის გავლით

გლობალიზაცია თუ მკვიდრ ხალხებს რაიმეს უკეთებს, ეს ძლიერი ეკონომიკური ზეწოლაა, რომელსაც ისინი მას შემდეგ განიცდიან, რაც ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბდნენ. მე-18 საუკუნეში აბორიგენი მოსახლეობა, ებრაელების მსგავსად, ერი-სახელმწიფოების შენების პროექტისათვის წინაღობად იქცა. როგორც ეს ესპანეთში, ფრანკოს რეჟიმის დამხობამდე იყო, ნებისმიერი ენობრივი უმცირესობა ქვეყნის ერთიანობისთვის საფრთხედ ითვლებოდა. ძველი ევროპული გამოთქმის მიხედვით, განსხვავება დიალექტსა და ენას შორის ისაა, რომ ეს უკანასკნელი არსებითად დიალექტია, რომელსაც საკუთარი ჯარი უმაგრებს ზურგს.

ნორდიკული კეთილდღეობის სახელმწიფოებს საკუთარი

მკვიდრი ხალხები ჰყავთ: ინუიტები გრენლანდიაში (დანიის თვითმმართველი ტერიტორია) და საამები ნორვეგიაში, შვედეთსა და ფინეთში. ბოლო დრომდე, ნორვეგიაში საამებს აკრძალული ჰქონდათ სკოლაში მათ ენაზე საუბარი. ქვემოთ, ჩრდილოეთის ირმების მწყემსების მაგალითზე ვნახავთ, თვით მიმზიდველი კეთილდღეობის სახელმწიფომ თუ როგორ მოახდინა მისი საკუთარი აბორიგენული კულტურის „პრიმიტივიზაცია“. ეს შემთხვევა კიდევ უფრო საინტერესოა იმით, რომ მკვიდრი ხალხების კულტურების უმეტესობასთან შედარებით, ეს აბორიგენული ჯგუფი გამორჩეულად ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება. ნორვეგიაში საამები ჩრდილოეთის ირმების მწყემსობაზე ეროვნულ მონოპოლიას ფლობენ. ირმის ხორცი დელიკატესად ითვლება და ხშირად მზადდება სამეფო ვახშამზე ნორვეგიის სამეფო სასახლესა თუ მისგან საკმაოდ შორს – მონაკოს მთავრის რეზიდენციაში. მიუხედავად ყველაფრისა, 1990-იან წლებში მათი ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მიზეზი მთავრობის მიერ 25 წლის განმავლობაში მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები იყო, რომელთა გამო დაგეგმვის პარადიგმის პოლიტიკამ საამი მწყემსების ეკონომიკური უკუსვლა და კოლონიის მსგავს სიტუაციაში აღმოჩენა გამოიწვია.

1999 წელს ნორვეგიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მივლინებით ფინმარკის გაშლილ პლატოზე, არქტიკული წრის მიღმა, ნორვეგიის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში აღმოვჩნდი, რათა გამერკვია, რატომ ღარიბდებოდნენ საამი მწყემსები ეროვნული ფუფუნების საგნის წარმოებაზე მონოპოლიის ქონის მიუხედავად. მოგვიანებით, ავტომობილით 6100 კმ-ის დაფარვის შემდეგ, მწყემსების ყველა გაერთიანება მოვინახულე. გავიარე ნორვეგიის ვრცლად გადაჭიმული ზედა ნაწილი და ალბათ ჩრდილოეთის ირმების იმაზე მეტ ძველ და ახალ სასაკლაოს

ვესტუმრე, ვიდრე ეს ნებისმიერ ცოცხალ ადამიანს გაუკეთებია. ჩემი შემდგომი ანგარიშები ამ სამინისტროში პერსონა ნონ გრატად ქცევას მიქადდა.[21]

ჩემი პირველი მიგნება ჩრდილოეთის ირმის ხორცის ადგილობრივი ბაზრის უცნაური ანომალია იყო. ფინმარკელი მწყემსების უმეტესობა ცხოველებს ცოცხლად ყიდდა რამდენიმე დიდ სასაკლაოზე, რომელსაც მთავრობა „რეგისტრირებულ სასაკალაოებს“ უწოდებდა, სადაც ერთი კილოს სანაცვლოდ 40 კრონას (5 ევროს) იღებდნენ. თუმცა, რამდენიმე მწყემსი, რომელიც ადგილზე კლავდა ირმებს და ხორცს „ქუჩის ბაზარზე“ ყიდდა, დაკვლის ღირებულების გათვალისწინებით, კილოგრამზე 50%-ით მეტ თანხას იღებდა. ერთ ადგილას, ერთსა და იმავე საქონელზე ამდენად განსხვავებული ფასების ქონა ძალიან უცნაური მოვლენაა. ჩემი გაოცება კიდევ უფრო გაიზარდა, როცა შევიტყვე, რომ ამ წარმოსახვითი კეთილდღეობის სახელმწიფოში, ხორცის მაღალ ფასად გაყიდვა მხოლოდ ყველაზე მდიდარ მწყემსებს შეეძლოთ. საიდან გაჩნდა ამგვარი სისტემა?

საამების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება 1976 წელს დაიწყო, როდესაც ჩრდილოეთის ირმის მწყემსობა, რომელიც მანამდე საერთოდ არ რეგულირდებოდა, საამებსა და ნორვეგიის მთავრობას შორის დადებული „ჩრდილოეთის ირმის ხელშეკრულებით“ „გეგმური ეკონომიკის“ ნაწილად იქცა. ეს შეთანხმება ყოველწლიურად უნდა გადახედულიყო. მოლაპარაკებები უმეტესად ირმის ხორცის ფასზე მიდიოდა. ოფიციალური მონაცემებით, 1976 წელს საამები ერთ კილო ხორცში 68 კრონას იღებდნენ, ხოლო 1990 წელს, იმავე ხორცში მათ სულ რაღაც 32 კრონას უხდიდნენ (ფასები მოცემულია ინფლაციასთან კორექტირებით, შესაბამისად, მონაცემების შედარება პირდაპირ შეიძლება). თუ 1976 წელს, საამების საოჯახო მეურნეობებს კი-

ლოში შთამბეჭდავი, 48 კრონიანი მოგება ჰქონდათ, 1990 წელს ისინი წაგებაზე მუშაობდნენ.

მოგების შემცირება, ციკლურ წარმოებაზე მკაცრი საფასო სისტემის დაწესების შედეგი იყო. ჩრდილოატლანტიკური კლიმატური რყევების გამო, რომელიც ამერიკის კონტინენტის დასავლეთ სანაპიროზე გავრცელებული El Niño-ს მსგავსია, არქტიკაში ჩრდილოეთის ირმების რაოდენობა მუდმივად იცვლება, მაგრამ არც ისე ძლიერ, როგორც ეს ლემინგების შემთხვევაშია. მე-20 საუკუნემ ოთხი ასეთი ციკლური ტალღა მოიტანა, რომელთა განმავლობაშიც ჩრდილოეთის ირმების პოპულაციის მაქსიმალური რაოდენობა დაახლოებით ორჯერ აღემატებოდა მინიმალურს.

1980-იან წლებში ჩრდილოეთის ირმების რაოდენობა და ხორცის წარმოება საგრძნობლად გაიზარდა, რამაც ფასების კლება გამოიწვია. გაყიდვების გაზრდის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფერმერთა მონოპოლიას (Norsk Kjøtt), რომელსაც იმ დროს ფაქტობრივად მონოპოლიზირებული ჰქონდა ხორცის წარმოება ჩაკეტილ ნორვეგიულ ბაზარზე, სამინისტრომ ჩრდილოეთის ირმის ხორცის „ბაზრის შემქნელი“ და „ფასების რეგულატორი“ უწოდა. მთავრობამ აბორიგენი მწყემსების პროდუქციის საბაზრო უფლებები მათ ყველაზე დიდ კონკურენტს გადაულოცა.

1990-იან წლებში ფასების მკვეთრ დაცემას წარმოების მნიშვნელოვნად შემცირებაც მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკური წნეხი მწყემსებზე. ჩრდილოეთის ირმის ხორცი ბაზრიდან გაქრა, მაგრამ ფასები არ გაზრდილა, ვინაიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ შეძლო ოფიციალური „სამიზნე ფასის“ გაზრდა. ფერმერების მონოპოლიამ, Norsk Kjett-მა, უარი თქვა ჩრდილოეთის ირმის ხორცის ფასის გაზრდაზე. 1980-იანი

წლების განმავლობაში, მწყემსებს თავიდან პროდუქციის ფასი გაუნახევრდათ, მზარდი მოცულობის მიუხედავად, ამჯერად კი, წარმოების მოცულობა ციკლურად ისე განახევრდა, რომ ერთ კილოგრამი ხორცის ფასი ფაქტობრივად არც გაზრდილა. ეს რეალურად მწყემსების შემოსავლების 50%-იან კლებას ნიშნავდა.

როგორც კი ჩრდილოეთის ირმების მწყემსებს ფულადი შემოსავალი შეუმცირდათ, ნორვეგიის მთავრობამ ყოველ კილო ხორცზე სამთავრობო გრანტების გაცემით სოციალური დახმარების გამოყოფა წამოიწყო. თუმცა, იმისთვის, რომ მთავრობას ეს სქემა გაეკონტროლებინა, საამები იძულებულნი გახდნენ მათი ირმები, მთავრობის მიერ შერჩეული რამდენიმე „დარეგისტრირებული“ სასაკლაოსთვის მიეყიდათ. იმ დროს, როდესაც ქუჩის არაოფიციალური ბაზარი ძველ ფასთან მიახლოებულს იხდიდა, ეს „დარეგისტრირებული სასაკლაოები“ მხოლოდ დაბალ „სამიზნე ფასს იხდიდნენ“. შედეგად, სოციალური ანაზღაურების მისაღებად, საამი მწყემსები იძულებულნი იყვნენ თავიანთი პროდუქცია ხელოვნურად დაბალ ფასად გაეყიდათ, მაშინ, როდესაც რამდენიმე მდიდარ მწყემს უფრო მაღალი, ძველ საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებული, ფასით შეეძლო ხორცის გაყიდვა.

მთავრობამ შექმნა მონოფსონია – მონოპოლია შესყიდვაზე – რომლის მსგავსი მექანიზმი ინგლისის მთავრობამ გამოიყენა, როდესაც მანჩესტერის ბამბის მწარმოებლების ინდოელი კონკურენტები ბიზნესს ჩამოაშორა. ინდოეთში ერთმა კომპანიამ, დაბალი ფიქსირებული შესყიდვის ფასით, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარებოდა, იმაზე უფრო დამანგრეველი შედეგები გამოიწვია, ვიდრე ეს ჩრდილოეთის ირმების მწყემსების შემთხვევაში იყო.

ამის პარალელურად, ახალი და ბევრად უფრო მკაცრი სან-

იტარული ნორმები ამოქმედდა. ისინი ერთნაირად ეხებოდა, ერთი მხრივ, 20 გრადუს ყინვასა და ახალ თოვლში, მეორე მხრივ კი, ათენის ცენტრში, 40 გრადუს სიცხეში ცხოველების დაკვლასა და დამუშავებას. 20 გრადუს ყინვაში ტარაკნების სატყუარების სავალდებულო ქონა ის ერთ-ერთი რეალური ფაქტია, რამაც, საამების თქმით, მათი მომგებიანი აბორიგენული ინდუსტრია შეიწირა. ცხოველების დაკვლა, დამუშავება და გაყიდვა მათი კულტურის საკვანძო ეკონომიკური და კულტურული მომენტი იყო. ამჯერად კი მწყემსების ეკონომიკური საქმიანობა მხოლოდ მაშინ სრულდება, როდესაც საკუთარი ცხოველები სატვირთო მანქანაზე აჰყავთ, რათა ისინი არა საამების, არამედ სხვების სასაკლაოზე დაკლან და ხორცი მათმა კონკურენტებმა გაყიდონ. შიდა კოლონიალიზმის კუთხით, ნორვეგიაში საამები მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებლებად გადაიქცნენ.

იმ დროს „ჩრდილოეთის ირმების საამი მწყემსების ნორვეგიული ასოციაცია“ სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცა. ეს გამოიწვია იმან, რომ მათი წევრების ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა და კლიმატის ციკლური მონაცვლეობით გამოწვეული უარყოფით შედეგები – ბუნების რესურსებისა და მდგრადობის დაქვეითება – მწყემსების მიერ საძოვრების ზომაზე მეტად გამოყენებას დაბრალდა. სამინისტროს წარმოსახვითი მოდელები სამხრეთ ნორვეგიაში მდებარე აგრარული უნივერსიტეტის თავლების სტაბილურობაზე დაყრდნობით შეიქმნა, კლიმატი კი ანალიზის მიღმა დარჩა. ამასთან ერთად, შვედეთისა და ფინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროებისგან განსხვავებით, ნორვეგიის სამინისტრომ საკუთარ მისიად „თანამედროვე მეცნიერებით“ მწყემსების ათასწლოვანი საქმიანობის „გაუმჯობესება“ ჩათვალა. ნაცვლად იმისა, რომ ციკლური წარმოება კლიმატის მონაცვლეობის შედეგად

მიეჩნიათ, ნორვეგიის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ საქმის მთავარ პრობლემად ლამის აბორიგენი მწყემსების ციკლური უპასუხისმგებლობა დაასახელა. მართლაც, ნორვეგია დიდი ხნის განმავლობაში მისი აბორიგენების მიმართ ერთგვარი „შიდა ორიენტალიზმით“ იყო დაკავებული.

რამდენიმე წელი, ნორვეგიის მთავრობასთან ყოველწლიურ მოლაპარაკებებისას, საამი მწყემსების მრჩევლად ვმუშაობდი. საამის უმცირესობაში ჩრდილოეთის ირმების მწყემსები მხოლოდ მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ, ვინაიდან საამების უმეტესობა „ნორვეგიულ“ სამსახურებში ინტეგრირდა. გარემო პირობები არათანაბარი იყო. მაგიდის ერთ მხარეს მოლაპარაკებებში ჩართული ყველა სამინისტროს და საამის პარლამენტის (როგორც „მთავრობის“ ნაწილი) წარმომადგენლები ისხდნენ, მეორე მხარეს კი წამოდგენილი იყო პაწაწინა აბორიგენული ორგანიზაცია, რომელსაც იმ დროს ერთნახევარი თანამშრომელი ჰყავდა და მე. ეს იყო პირველი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, როდესაც უზომოდ შემრცხვა, რომ ნორვეგიელი ვიყავი, ვინაიდან სახელმწიფოს წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, როგორც მათი საკუთარი პოლიტიკის შედეგის აღიარებაზე, რაც ძალიან მერყევ წარმოებაზე ფიქსირებული ფასების დაწესებას გულისხმობდა. მთავრობა, რომელსაც საკუთარ სიბრძნეში ეჭვის შეუტანლობის სენი შეყროდა, ნელ-ნელა ყველა მწყემსს სოციალურ უზრუნველყოფაზე დამოკიდებულს ხდიდა. კანადურ არქტიკაში მიმდინარე მსგავს პროცესებს ანთროპოლოგმა რობერტ პეინმა „საქველმოქმედო კოლონიალიზმი“ უწოდა. რეალურად, ეს იყო ის იშვიათი შემთხვევა, როცა ნედლეულის მწარმოებლებს შემოსავლების გაზრდაში „თავისუფალი ბაზარი“ უფრო დაეხმარებოდათ. მანამდე, სულ რამდენიმე წლით ადრე, აბორიგენუ-

ლი ასოციაცია მოლაპარაკებებს ჩამოაშორეს, მისცეს რა მათ არჩევანი დაეტოვებინათ შენობა ან კარიდან, ან ფანჯრიდან.

მოლაპარაკების მძიმე რაუნდების შემდეგ, საამი მწყემსების მდგომარეობა დღეს უკვე მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებულია. 1999–2003 წლების პერიოდში მათი შემოსავალი გაორმაგდა. ვისაც მთელი ეს ამბავი აინტერესებს, შეუძლია 21-ე შენიშვნაში მითითებული ჟურნალის სტატია იხილოს. ჩემი აზრით, ეს ისტორია ორი მიზეზის გამოა საინტერესო, პირველი ზოგადია, მეორე კი – ძალიან სკანდინავიური. ზოგადი მიზეზი შემდეგია: იმ დროს, როდესაც ნორვეგიელი აბორიგენების ეკონომიკის ამგვარი უმსგავსი ჩაფლავება მიმდინარეობდა, ნორვეგიას აქტიური პოზიცია ეჭირა – მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიმართ – სადღაც სხვა ქვეყანაში (მაგ., ბრაზილიაში) მკვიდრი მოსახლეობის დაცვის საქმეში. ყველგან, ბრაზილიაშიც და ნორვეგიაშიც, სხვა ქვეყნების აბორიგენები მომხიბვლელად და ეგზოტიკურად გამოიყურებიან, მაშინ, როდესაც საკუთარ მკვიდრ ხალხებს ყველა ხელისშემშლელ ფაქტორად აღიქვამს. ის ბიბლიური პრინციპი, რომლის მიხედვით შენი მეზობლის თვალში ბეწვს ხედავ, მაგრამ შენსაში დირეს ვერ ამჩნევ, ერთმნიშვნელოვნად პრობლემის ნაწილია.

მეორე, სკანდინავიასთან დაკავშირებული მიზეზი, ჩვენს დისკუსიას მოასწავებს „ათასწლეულის მიზნებზე“, რასაც წიგნის მე-7 თავში ვეხები. აბორიგენების წარმოებას ანდებში ყოფნისას ვიკვლევდი, მაგრამ 1999 წლამდე ჩემი ცოდნა ჩრდილოეთის ირმების მწყემსების შესახებ საკმაოდ მწირი იყო. როდესაც მწყემსებთან მუშაობას შევუდექი, სამსახურში ჩემს ორ კოლეგას – ორი რადიკალურად განსხვავებული მიმდინარეობის (მემარჯვენე და მემარცხენე) წარმომადგენელს – ყოფილ ვიცე-მინისტრებს – ვკითხე, თუ როგორ უნდა მოგვარებული-

ყო მწყემსების პრობლემა. მათი პასუხი მყისიერი და სრულიად სინქრონული იყო: ეს პრობლემა იმდენად რთულია, რომ მისი გადაჭრა მხოლოდ მასში ფულის ჩაყრითაა შესაძლებელი. ასეც მოიქცა ნორვეგიის მთავრობა. 1999 წელს ჩრდილოეთის ირმების ნორვეგიელი საამი მწყემსებისთვის მიცემული სამთავრობო სუბსიდიები მათი სუფთა გაყიდვების ღირებულებას უდრიდა. თავად წარმოება სამთავრობო სუბსიდიებზე მეტ დამატებით ღირებულებას ვერ ქმნიდა.

ამასობაში, ამ დამოკიდებულებისთვის სახელი მოვიფიქრე: „სკანდინავიური სოფიზმი“. ის წარმოადგენს განწყობას, რომლის თანახმად სიღარიბის კომპლექსური პრობლემა გადაიჭრება არა შიგნიდან, წარმოების სისტემის გაძლიერების შედეგად იერიშის მიტანით, არამედ გარედან ფულის ჩაყრით. ეს დამოკიდებულება სათავეს ზოგად-სკანდინავიური გაგებიდან იღებს, რომლის მიხედვით, მათი სიმდიდრე, პირველ რიგში, შემოსავლების თანაბრად გადანაწილების მეოხებით იქმნება. სკანდინავიურმა კოლექტიურმა მეხსიერებამ მიივიწყა სახელმწიფოს მხრიდან რადიკალური ეკონომიკური ჩარევა – მძიმე ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც მფარველობასა და სუბსიდიებს მოიცავს, რაც მათ ეკონომიკურ პოლიტიკას პერიოდულად ახასიათებდა, მე-18 საუკუნის კამერალიზმის ეპოქიდან დაწყებული, მე-20 საუკუნის მარშალის გეგმით დამთავრებული.

ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, სიმდიდრის გადანაწილებაზე ყურადღების გადატანა 1960-იანი წლების ბოლოს დაიწყო. როცა პერუში პირველად წავედი, სკანდინავიაში სუფევდა განწყობა, რომ პერუს პრობლემას მდიდრების მიერ ღარიბებისთვის სიმდიდრის განაწილების სურვილის არქონა წარმოადგენდა. ეს შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ ვერ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ პერუში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის საშუალო მაჩვენებელი წლიურად 300 დოლარი იყო. პრეინდუსტრიულ ქვეყნებში

ერთ სულ მოსახლეზე დაბალი საშუალო შემოსავალი სიმდიდრის ტიპური ასიმეტრიული გადანაწილებით იყო ახსნილი.

გასულ ათწლეულებში, წარმოების მიმართ ეკონომისტების ინტერესის ეტაპობრივად დაკარგვამ სიღარიბის გადანაწილებით განპირობებულობის თვალსაზრისი მხოლოდ გააძლიერა. 1990-იანი წლების შემდეგ სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ნეოლიბერალურმა დღის წესრიგმა პატარა და ღარიბი ქვეყნების უმეტესობაში კრახი განიცადა. ამან „სკანდინავიური სოფიზმი", „ათასწლეულის მიზნების" სახით, გლობალურ დონეზე გაიტანა. ამ მიდგომის სისუსტე ისაა, რომ იგი სიღარიბის აღმოფხვრას ცდილობს არა მათ მიერვე შექმნილი სიმდიდრით ღარიბების გაძლიერებით, არამედ სხვაგან შექმნილი დოვლათის გადმოტანით. „სკანდინავიური სოფიზმი" სიმპტომებს უტევს და არა მიზეზებს. ჩრდილოეთის ირმების საამი მწყემსების ეკონომიკური „პრიმიტივიზაცია" გამოიწვია მათთვის საკუთარ ნედლეულზე დამატებითი ღირებულების შემქმნელი მზარდი უკუგების მქონე საქმიანობების ჩამორთმევამ, რათა შემდეგ სახელმწიფო დახმარება მიეღოთ. ამგვარი შიდა ნორვეგიული საქველმოქმედო კოლონიალიზმის პარალელები გაცილებით უფრო დიდი მასშტაბით გვხვდება აფრიკის კონტინენტზე.

პრიმიტივიზაცია და ცივი ომის მემკვიდრეობა

„ეკონომისტები საკუთარი კოლეგებისგან აპლოდისმენტების მისაღებად მუშაობენ".
პოლ სამუელსონი, New York Times, 1974.

რატომ ტოვებენ დღევანდელი ეკონომისტები სრულიად უყურადღებოდ ეკონომიკური უკუსვლისა და პრიმიტივიზაციის ამ მექანიზმებს? დღეს გლობალიზაციის რიტორიკა „თავის-

უფალი ბაზრის, დემოკრატიისა და თავისუფლების“ სამებაზეა დამყარებული. ძალიან ცოტა თუ ცდილობს ამ სამი ფაქტორის ურთიერთდამოკიდებულებისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იმ წინაპირობების ანალიზს, რომლებიც ისეთი ისტორიული იშვიათობების განვითარებისთვისაა საჭირო, როგორიც დემოკრატია და ინდივიდუალური უფლებებია. მეჩვენება, რომ რეალობის დღევანდელი კოლექტიური აღქმა ცივი ომის მიერ შექმნილ ეკონომიკურ ბოდვებშია ჩარჩენილი. იმ დროის ორი ეკონომიკური თეორია, რომლებიც ფესვებს დევიდ რიკარდოს ილუზიური სისტემიდან იღებენ, ორ განსხვავებულ უტოპიას ხატავდა: გეგმიური ეკონომიკისა და თავისუფალი ბაზრის უტოპიებს. ცივი ომის მენტალობის ეს ოთხი მნიშვნელოვანი დანატოვარი, დღეს ხელს გვიშლის გავიგოთ, თუ რატომ აიძულებს მსოფლიო მოსახლეობის დიდ ნაწილს გლობალიზაციის ჩვენეული გეზი, რომ წარსულში ჩარჩენილი წარმოების მეთოდებში სპეციალიზდნენ. ეს ჩვენ „დუალისტურ ეკონომიკასთან“ გვაბრუნებს, რომელიც ერთ-ერთმა პირველმა განვითარების ეკონომისტებმა აღწერეს.

მაშასადამე, ერთმანეთზე მჭიდროდაა გადახლართული შემდეგი ოთხი ელემენტი: 1) ვაჭრობის თეორია; 2) საღი აზრით ეკონომიკური ვარაუდების შეფასების სურვილის უქონლობა; 3) რწმენა იმისა, რომ ბაზარს ძალუძს „სპონტანური წესრიგის“ შექმნა; 4) რეალობის შესწავლის არაპრესტიჟულობა.

კომუნისტების დაპირებების „ყველამ – თავისი შესაძლებლობის მიხედვით, ყველას – მისი საჭიროებების მიხედვით“ საპასუხოდ, ნეოკლასიკოსი ეკონომისტები სამუელსონის ვაჭრობის თეორიას იყენებდნენ. ეს თეორია ბერლინის ბლოკადის დროს შეიქმნა. მისი მტკიცებით, სტანდარტული ეკონომიკის თეორიული დაშვებებით, გლობალური თავისუფალი ვაჭრობა წარმოების ფაქტორების ფასის გაწონასწორებამდე მიგვი-

ყვანდა, ანუ შრომისა და კაპიტალის ფასი მთელ მსოფლიოში ერთი და იგივე იქნებოდა.[22] თუკი უხილავ ხელს თავისუფალი მართვის საშუალება მიეცემოდა, ბაზარი კომუნიზმზე უკეთ იმუშავებდა და ყველა ერთნაირად გამდიდრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდხანს მიიჩნეოდა ალოგიკურად და რეალურ პოლიტიკურ პრაქტიკაში არავინ იყენებდა (ამასთან, იმავე ნეოკლასიკურ ტრადიციაში ვაჭრობის თეორიის გარშემო ბევრად უფრო ზუსტი ნააზრევები არსებობს), ამ თეორიულმა პარადიამ მაინც დაუდო საფუძველი ვაშინგტონის ინსტიტუტების მუშაობას მეორე და მესამე სამყაროში. შედეგი სხვა არაფერი იყო, თუ არა კატასტროფის მოტანა მრავალი განვითარებადი ეკონომიკისთვის. დღეს კი იგივე გურუები და იგივე თეორიები კვლავ ძალაუფლებაში რჩებიან. თავის მხრივ, ამ ყველაფერს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „სხვა კანონის" ეკონომიკური ტრადიციის მივიწყებამ.

ვაჭრობის თეორიასთან მთავარი კონფლიქტი იქიდან წარმოიშობა, რომ მისი მეტაფორები, კონკრეტულად კი „წონასწორობის" მეტაფორა, ფიზიკის პრინციპებს ეფუძნება. ეს არჩევანი პირველად 1880-იან წლებში გაკეთდა და მან განზე გაწია პოპულარული მეტაფორა, რომელიც პოლიტიკას ადამიანის სხეულს ადარებდა (ადამიანების ორგანოების მსგავსად, საზოგადოების ნაწილებიც [კერძოდ, თავად ადამიანები, ასევე ინსტიტუტები და საზოგადოებრივი პრაქტიკები. – მთარგმნ.] შეკავშირებულნი არიან ფუნქციურად და ერთ მთლიანობას ქმნიან). ამ მეტაფორას იურისტები და სოციოლოგები ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან იყენებდნენ. მეტაფორის არჩევა ეკონომიკის მეცნიერებაში კონკრეტული ვარაუდების აგებას მოითხოვდა. შედეგად, ვაჭრობის თეორიის დასკვნები, რომელთა მიხედვით თავისუფალი ვაჭრობა ყველასთვის სასარგებლო იქნებო-

და და ყველას ერთნაირად გაამდიდრებდა, რამდენიმე უმნიშვნელოვანეს დაშვებას ეყრდნობა. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება სრულყოფილი ინფორმაცია, არასრულყოფილი კონკურენცია, მასშტაბზე მზარდი უკუგების არქონა და სხვ.

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯეიმზ ბიუკენენის, სიტყვების პერიფრაზირებით, საერთოდ არაა საჭირო ამგვარი დაშვებების მქონე რომელიმე თეორია განვითარდეს. თუკი ყველას ერთი და იგივე რამ ეცოდინებოდა და ფიქსირებული ხარჯები (რომელიც მასშტაბის ეკონომიის არსებობისთვის აუცილებელია) არ იარსებებდა, თითოეული ადამიანი წარმოების თვითკმარ მიკროკოსმოსად გადაიქცეოდა და, ნედლეულის გარდა, არც ერთ სფეროში ვაჭრობა არ იარსებებდა. ვაჭრობის თეორიისათვის საჭირო დაშვებები, ღარიბებისთვის მიცემული დაპირებების შესასრულებლად, ლოგიკური თანმიმდევრობით აღმოფხვრიდა ყველანაირ ვაჭრობას ძირითადი საჭიროების პროდუქტებით ვაჭრობის გარდა. 1953 წელს, როცა მაკკარტი ამერიკელ მემარცხენეებზე ნადირობდა, მილტონ ფრიდმანმა (1912-2006) წარმატებით დაასამარა ეკონომიკური თეორიის დაშვებების გარშემო მიმდინარე ყველა დებატი: ნუ უყურებ იმას, რასაც ვაჭრობის თეორია გულისხმობს, მაგრამ შეხედე იმას, რასაც ის შეერთებული შტატებისთვის აკეთებს.[23]

ცივი ომის დროს ეკონომისტები გეგმურ ეკონომიკას ბაზრის „სპონტანურ წესრიგს“ უპირისპირებდნენ. მისი საპირისპირო „სპონტანური ქაოსის“ მაგალითებს სომალი, ავღანეთი და ერაყი წარმოადგენდნენ. ეს ქაოსი ხდება მაშინ, როდესაც ქვეყნის წარმოების სისტემას მზარდი უკუგების მქონე დარგები და სინერგიები არ გააჩნია. სწორედ მათი არსებობა ქმნის ინტეგრირებული ერი-სახელმწიფოს წინაპირობას, რაც მას ტომობრივი საზოგადოებისგან განასხვავებს. ეს დარგები სპონტანურად არ

ვითარდება. ისტორიამ ბევრჯერ აჩვენა, რომ მოქმედი ბაზრები (და თავად ცივილიზაციებიც) ეროვნული წარმოებითა და გაცნობიერებული მკაცრი პოლიტიკით შეიქმნენ. იმავდროულად, საჯარო კეთილდღეობის გაზრდის მიზნით, ზოგჯერ პროდუქტის ფასები ხელოვნურად იცვლებოდა. 1840 წელს გერმანელმა ეკონომისტმა იოჰან გოტფრიდ ჰოფმანმა კარგად თქვა:

„როგორც ზრდასრულმა ადამიანმა დაივიწყა, რა შრომად დაუჯდა მეტყველების სწავლა, ისევე დაივიწყეს ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოებმა, თუ რა ფასად დაუჯდათ საკუთარი პრიმიტიული ველურობისგან გათავისუფლება“.[24]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ვიდრე „სპონტანური წესრიგის“ ილუზია გაჩნდებოდა, მკაცრი პოლიტიკის მეშვეობით ევროპა კიდევ ერთხელ აღადგინეს ნანგრევებიდან. ევროპასა და იაპონიაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკა სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც დღეს ამერიკა ერაყში აკეთებს. ის დამღუპველი შეხედულება, რომ „ცუდი ბიჭების“ განადგურება და თავისუფალი ვაჭრობის დანერგვა „სპონტანურ წესრიგსა“ და ეკონომიკურ ზრდას მოიტანს, ერაყის შემთხვევაში შეიძლება ცივი ომისა და მის მიერ შექმნილი ილუზიების დასკვნით ნაწილს წარმოადგენდეს.

ჩვენი დროის, ალბათ, ყველაზე გავლენიანმა ცოცხალმა ეკონომისტმა, პოლ სამუელსონმა, რამდენიმე წლის New York Times-ში აღნიშნა, რომ ეკონომისტები ოპორტუნისტები არიან. მათ შეუძლიათ, ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს ერთ მოდელზე იმუშაონ, ხოლო სამშაბათსა და ხუთშაბათს კი სხვა – მისგან სრულიად განსხვავებულ მოდელზე. ამგვარი დამოკიდებულების გამო, რომელსაც „ვარაუდებით ჟონგლიორობა“ ვუწოდე, შესაძლოა, კვლევითი პროექტები საკმაოდ სახიფათო გამოდგეს. შეიძლება მოულოდნელად აღმოჩნდეს, რომ გა-

მოყენებული ვარაუდები და მიღებული დასკვნები, პროექტის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა. ამას, რა თქმა უნდა, თავისი უპირატესობა აქვს: შესაძლებელი იქნება ისეთი ეკონომიკური მოდელების შექმნა, რომლებიც პრაქტიკულად ყველაფერს ახსნიან. აქ პრობლემა ისაა, რომ განვითარებად ქვეყნებში განსახორციელებელი ეკონომიკური თეორიის არჩევა, საბოლოო ჯამში, მარტივ ძალაუფლებამდე დადის – ძალმომრეობა შეიქმს სიმართლეს. ვინაიდან აფრიკის საუკეთესო უნივერსიტეტების ეკონომისტები თვეში 100 დოლარამდე გამოიმუშავებენ, მაშინ, როდესაც მსოფლიო ბანკმა მათ, შესაძლოა, დღეში 300 დოლარი გადაუხადოს „ჭეშმარიტი რწმენის“ გასავრცელებლად, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ განვითარებად სამყაროში ასე ცოტა ეკონომისტია დომინანტური ეკონომიკური თეორიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი. გაბატონებული თეორიული ჩარჩოს მიღმა ეკონომიკური კვლევის დაფინანსების მოთხოვნა იგივეა, მარტინ ლუთერს ფული ვატიკანისთვის რომ ეთხოვა.

მეცნიერება, რომელიც ერთი შეხედვით სიბრძნის მტკიცე დედაბოძია, საბოლოო ჯამში სხვადასხვა თეორიების ნატეხებისა და ნაწილების ნაზავს წარმოადგენს, რომლის გამოყენება თითქმის ყველაფრის „ასახსნელადაა“ შესაძლებელი. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ორთოდოქსული ეკონომიკა დიდად არ განსხვავდება ცხოველების ტაქსონომიისა თუ კლასიფიკაციის იმ კურიოზული სისტემისაგან, რომელიც არგენტინელმა მწერალმა ხორხე ლუის ბორხესმა წარმოსახვით ჩინურ ლექსიკონში ჩამოაყალიბა – „ცხოველები: იყოფიან ა) იმპერატორის საკუთრებად, ბ) ბალზამირებულებად, გ) მოთვინიერებულებად, დ)ძუძუმწოვარა გოჭებად, ე) ქალთევზებად, ვ) ზღაპრულებად, ზ) მოხეტიალე ძაღლებად, თ) ამ კლასიფიკაციაში შეყვანილებად, ი) იმათ, გიჟივით რომ კანკალებენ, კ)

უთვალავებად, ლ) აქლემის ბეწვისგან დამზადებული ნატიფი ფუნჯით დახატულებად, მ) სხვებად, ნ) იმათ, ეს-ესაა ყვავილის ვაზა რომ გატეხეს, ო) იმათ, შორიდან რომ ბუზებს ჰგვანან.“[25] ბორხესის კლასიფიკაციის სისტემა მიშელ ფუკომ იმავე მიზნით გამოიყენა, რისთვისაც მე აქ ვიყენებ: მეცნიერული დოგმატიზმის მიმართ ეჭვის თესლის დასათესად. თუმცაღა, რიგითი ადამიანისთვის, ბორხესის წარმოსახვითი ლექსიკონის უსისტემობაში გარკვევა ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ეკონომიკაში, რომელიც მათემატიკის მისთვის შეუღწევადი ბასტიონითაა შემოსაზღვრული.

როგორც კეინზი იტყოდა, «პრაქტიკული ადამიანები, რომლებსაც სავსებით სწამთ რამენაირი ინტელექტუალური ზეგავლენისგან საკუთარი თავისუფლებისა, ჩვეულებრივ, რომელიმე განსვენებული ეკონომისტის მონები არიან. ძალაუფლებაში მყოფი გიჟები, რომელთაც ზემოდან ესმით ხმები, საკუთარ უგუნურ აზრებს რამდენიმე წლით ადრე მოღვაწე მჯღაბნელის ნააზრევიდან გამოადნობენ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, რომ ვიწრო ინტერესების მნიშვნელობა, იდეათა გავლენის თანდათანობით ზრდასთან შედარებით, ძალზედ გადაჭარბებულია... თუმცა, ადრე თუ გვიან, იდეები და არა ვიწრო ინტერესები, ხდებიან საშიშნი სიკეთისა და ბოროტებისთვისაც...»[26]

ამ წიგნში წარმოდგენილია დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ეკონომისტთა პლეადა, რომელთა უმეტესობაც მე-3 ნახატსა და II დანართშია ნახსენები. მათი ნაწილი იმ ეკონომისტებზე დიდი ხნით ადრე გარდაიცვალა, რომლებმაც თანამედროვე ეკონომისტები დაიმონეს. დღევანდელი გმირებისგან, მაგალითად, ადამ სმიტისგან განსხვავებით, აქ წარმოდგენილი ეკონომისტები იმ უპირატესობას ფლობენ, რომ მათ ზუსტად იცოდნენ, თუ რატომ გამდიდრდა ან გაღარიბდა ზოგიერთი ქვეყანა. თუკი

ვინმე საერთაშორისო ეკონომიკის ლაბორატორიაში ხუთასი წლის განმავლობაში თავმოყრილ მტკიცებულებებს მოიძიებს, ნახავს, რომ ისტორიამ მათი ავთენტურობა დაადასტურა. მაგრამ ამ ყველაფრის აზრი ერთი დოგმით მეორეს ჩანაცვლება არაა. პირიქით, უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანია და ამის საფუძველზე გავაცნობიეროთ ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მეტი ინსტრუმენტის ქონის საჭიროება. პოლიტიკა, რომელიც სარგებელს მოუტანდა დიდ ბრიტანეთს, დიდი ალბათობით, მაინცდამაინც სახეირო ვერ იქნებოდა შვეიცარიისთვის და მასზე კიდევ უფრო ნაკლებად სახეირო ეკვატორული გვინეისთვის, მიანმარისა და ვანუატუსთვის. საბოლოო ჯამში, ისტორია ჩვენს ერთადერთ გზამკვლევად რჩება ამ მღელვარე წყლებსა და ახალ კონტექსტებში ნავიგაციისათვის.

VI თავი

მარცხის გამართლება: „ისტორიის დასასრულის“ მიკერძოებული მიდგომები

დამიჯერეთ, ნუ შეგეშინდებათ თაღლითებისა და ბოროტი ადამიანების. გეშინოდეთ პატიოსანი ადამიანის, რომელიც ცდება. ასეთი ადამიანი კეთილსინდისიერია, მას ყველასთვის კარგი სურს და მის მიმართ ყველას ნდობა აქვს: თუმცა, მის მეთოდებს ადამიანებისთვის სიკეთე არ მოაქვთ.

ფერდინანდო გალიანი, იტალიელი ეკონომისტი, 1770

„და ვით იყოს ვნება, მოტანილი ბოროტთა მიერ, კეთილთა მიერ მოტანილი ვნება, ყველაზე საზიანო ვნებაა“.

ფრიდრიხ ნიცშე, 1885

როცა კეთილად ყოფნა ბოროტად გვაქცევს

არუშა, ტანზანია, 2003 წლის მაისი. როცა აბნეულად ვფურცლავდი ნაწერს ჩემი შემდგომი ლექციისთვის, ტრიბუნაზე ამოვიდა ტანზანიელი გენერალი და პარლამენტის წევრი. „მე წავიკითხე თქვენი ნაშრომი და მხოლოდ ერთი შეკითხვა გამიჩნდა“, თქვა მან დინჯად, „მიზანმიმართულად გვიბიძგებენ ისინი განუვითარებლობისკენ?“

მე ჩემი მოსაზრებები გლობალიზაციასა და თავისუფალ ვაჭრობაზე უნდა წარმედგინა აღმოსავლეთ აფრიკის პარლამენტისთვის (კენიის, უგანდისა და ტანზანიის გაერთიანებული პარლამენტი). ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა აფრიკის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც გლობალიზაციამ, ბევრი მიმართულებით, მოდერნიზაციის ნაცვლად, პრიმიტივიზაციამდე მიიყვანა. ამ იუმორის გრძნობით დაჯილდოებულმა და ახო-

ვანმა გენერალმა ჩემი პატივისცემა დაიმსახურა, როგორც დილის სესიის მარჯვე წამყვანმა. ამ შეხვედრამ ჩაიარა დიდ კარავში, ყავის ძველ პლანტაციაში. ეს პლანტაცია, ძალიან მცირე ხელფასების მიუხედავად, არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა ყავაზე ფასების დაცემის გამო. ვაშინგტონში მდებარე ფინანსური ინსტიტუტების მიზანმიმართული „სტრუქტურული გარდაქმნის“ შედეგად, რეგიონში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დაფუძნებული ინდუსტრიების უმეტესობა განადგურდა. ჩვენს ირგვლივ უმუშევრობა და სიღარიბე სუფევდა.

„როგორც ჩანს, მხოლოდ ორი ალტერნატივა არსებობს“, ვუპასუხე ამ გენერალს. „ისინი შეიძლება ამას ჩადიოდნენ ან უცოდინრობის, ან ბოროტი განზრახვის გამო. რასაკვირველია, ამ ორი ფაქტორის კომბინაციაც შესაძლებელია. ისიც შესაძლებელია, რომ სისტემა აიძულებს მათ ამგვარად მოქცევას“. „გმადლობ“, მიპასუხა მან, „მე უბრალოდ მაინტერესებდა“. შემეძლო იქვე დამემატებინა, რომ ნიურბერგში ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების სასამართლო პროცესის შემდეგ არგუმენტი: „სისტემამ მაიძულა, რომ ეს გამეკეთებინა“, თავის გასამართლებლად აღარ გამოდგება.

პოლიტიკური კურსი, რომელსაც ტანზანიელი გენერალი შეეხო ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსია“. ეს კურსი პოლიტიკურ ავანსცენაზე 1990 წელს, ბერლინის კედლის დაშლისთანავე გამოჩნდა და იგი ამერიკელ ეკონომისტთან ჯონ უილიამსონთან ასოცირდება. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ “მცნებები”, სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავდა ვაჭრობის ლიბერალიზაციას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ლიბერალიზაციას, დერეგულაციასა და პრივატიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს, შესაძლოა, არც ყოფილიყო უილიამსონის თავდაპირველი განზრახვა, „ვაშინგტონის კონსესუსის“ რე-

ფორმები, იმ სახით როგორადაც ის განხორციელდა, ნეოლიბერალიზმისა და „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ სინონიმად იქცა.

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ პირველი გამოშვება ხშირად მოკლედ გამოიხატებოდა „ფასების სწორად გაგებაში“. ამგვარი მიდგომის არაორაზროვანი დაპირება იყო, რომ ღარიბი ქვეყნები მიაღწევდნენ მდგრად და მაღალ ეკონომიკურ ზრდას, თუ მთავრობები არ ჩაერეოდნენ და ბაზარს მისცემდნენ ფასების რეგულირების საშუალებას. თუ ბაზარს მიენიჭება თავისუფლება, სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურის მიუხედავად, ეკონომიკა ზრდისკენ იქნება მიდრეკილი. ამ თავში მოთხრობილია, თუ როგორ განვითარდა აღნიშნული კონცეპტი თავისი ტრიუმფალური მომენტის, მაშასადამე, „პირველი გამოშვების“ შემდგომ, 1990-იდან 2007 წლამდე. ამ წამყვანმა „კონსესუსმა“ ეტაპობრივად დაიმატა ახალი მახასიათებლები და ფაქტორები. თავდაპირველ „ფასების სწორად გაგებას“ დაემატა ახალი „მცნებები“: თუ ფასებს ნორმაში ჩავაყენებთ და მხედველობაში მივიღებთ ამა თუ იმ ფაქტორს, მაშინ ღარიბი ქვეყნები მიაღწევენ ეკონომიკურ ზრდას. პრობლემა ისაა,რომ ეს ახალი „მცნებები“, არ აკნინებს და არ ცვლის 1990 წლის მცნებების უმთავრეს მახასიათებლებს, აქედან გამომდინარე, რეალურ ცხოვრებაში გატარებულ პოლიტიკაშიც არაფერი იცვლება.

იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება პრაქტიკულ პოლიტიკურ რეკომენდაციებს, თავდაპირველი მცნებები კვლავ გამოიყენება. მრავალი თეორიული მოდელი აჩვენებს მზარდი უკუგების მნიშვნელობას, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ღარიბმა ქვეყნებმა მიიღონ შესაბამისი დარგების განვითარების რეკომენდაცია. რეკომენდაციებში კვლავ სჭარბობს „შედარებითი უპირატესობა“ და 1990 წლის ეკონომიკური რეცეპტები. მეორე თავში ეს მოვლენა მოვიხსენიე „კრუგმანისეულ ცოდვად“: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოდელები, რომლებიც აჩვენ-

ებს, თუ რატომ რჩება ღარიბი ქვეყნები ღარიბებად, ჩვენ მაინც არ ვიყენებთ მათ პრაქტიკულ პოლიტიკაში. დაავადების განსაკურნი საშუალების პოვნა თავისთავად მიზანია, თუმცა მისი გამოყენება პაციენტების გადასარჩენად ცალკე საკითხია.

1990 წლიდან მოყოლებული „ვაშინგტონის კონსენსუსის“ მოთხოვნების შესაბამისად წლებმა გაიარა, თუმცა ეკონომიკური ზრდა, უფრო კონკრეტულად, რეალური ხელფასების ზრდა, ბევრ ქვეყანაში არ მომხდარა. ამაზე პირველი რეაქცია ისეთივე იყო, როგორიც 1760-იანი და 1840-იანი წლების ლიბერალიზაციის დროს, რომელსაც თან მოჰყვა უზარმაზარი სოციალური პრობლემები: „ჩვენ არ გვყოფნის ბაზრის მასშტაბი, როცა ყველა დაბრკოლება გაქრება, laissez-faire-ის სისტემა აჩვენებს საკუთარ უპირატესობას“.[1] თუმცა, სულ უფრო რთული გახდა ღარიბ პერიფერიაში პირობების გაუარესების უგულებელყოფა, ისევე როგორც გლობალური საპროტესტო მოძრაობებისა. ორივე ამ მოვლენის გაკონტროლება თითქმის შეუძლებელი გახდა. იყო სხვა რეაქციაც, მაგალითად, ეკონომისტების ნაწილი შეეცადა წმინდა თეორიულ გამოქვაბულში შეძრომას, რაც ბრიტანელმა ეკონომისტმა ედვარდ ფულბრუკმა ხუმრობით ასე გამოხატა „არავითარი რეალობა, გთხოვთ, ჩვენ ეკონომისტები ვართ“, მუზიკლის „არავითარი სექსი, გთხოვთ, ჩვენ ბრიტანელები ვართ“ პერიფრაზირებით. ჩინეთისა და ინდოეთის წარმატების გამოყენება „ვაშინგტონის კონსენსუსის“ დასაცავად არ იყო ადვილი საქმე. 50 წელზე მეტი ორივე ეს ქვეყანა მიჰყვებოდა პროტექციონისტულ (შესაძლოა, მეტისმეტად პროტექციონისტულ), მრეწველობის განვითარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიას და, საბოლოოდ, ისინი მზად აღმოჩნდნენ, წარმდგარიყვნენ საერთაშორისო ბაზარზე და ესარგებლათ საერთაშორისო ვაჭრობის სიკეთით.

რიტორიკამაც განსაკუთრებული როლი შეიძინა. მაგალითად, იტალიელი პრემიერის, სილვიო ბერლუსკონის სტრატეგია, ეწოდებინა „კომუნისტი“ ყველასთვის, ვინც მას არ ეთანხმებოდა, გასაოცრად ეფექტიანი აღმოჩნდა. 1970-იან წლებში ჩემი თანაკურსელი ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, ჯორჯ ბუში, წარმატებულად იყენებდა მსგავს სტრატეგიას: შენ ან ჩვენთან ხარ, ან თალიბანთან. ეკონომიკურ დონეზე ეს შემდეგნაირად ჟღერს: „ან გლობალიზაციას უჭერ მხარს დღევანდელი ფორმით, ან გეგმიური ეკონომიკის მომხრე ხარ“. მსგავსი სტრატეგიით The Financial Times-ის კომენტატორი, მარტინ ვულფი, ერთი ფრაზით უსწორდება ვერნერ ზომბარტს, ადანაშაულებს რა მას ფაშიზმსა და კომუნიზმში ერთდროულად. ეს იყო „ისტორიის დასასრულის“ ინტერლუდიის რიტორიკა: მდარე ხარისხის დებატები, რაც ცივი ომის დროინდელ აზროვნების ლოგიკაში ჩარჩენას ემსახურებოდა. თითქოს საბჭოთა კავშირის დაცემა ამტკიცებდა არა მხოლოდ იმას, რომ საბაზრო ეკონომიკა უფრო ეფექტიანია, ვიდრე გეგმიური ეკონომიკა, არამედ იმასაც, რომ ადამიანური ჩარევის გარეშე საბაზრო ეკონომიკა უნივერსალურ ჰარმონიას მიაღწევდა. ბერლინის კედლის დაცემა კი, ფრენსის ფუკუიამას განმარტებით, „ისტორიის დასასრული“ იყო.

„ისტორიის დასასრულის“ ინტერლუდიის წარმოშობა, რასაკვირველია, ეკონომიკურმა თეორიამ განაპირობა, რომელსაც შემდეგი სამეცნიერო აზრი უმაგრებდა ზურგს: თუ არ ჩავერევით, ბაზარი ჰარმონიას შექმნის. თეორიული მოდელების შემქმნელი ზოგიერთი გამოჩენილი ეკონომისტი, მაგალითად, ფრანკ ჰანი კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, მზად არის აღიაროს, რომ მათ მოდელებს რეალობასთან ძალიან ცოტა აქვთ საერთო. ეს რომ ღიად უფრო მეტ ეკონომისტს ეღიარებინა, შეიძლება ეკონომიკური რეალობის საგანი ცალკე აკადემიურ დისცი-

პლინად ჩამოყალიბებულიყო. თუმცა, დღევანდელ ვითარებაში ეს საოცრად რთულია.

სხვა ეკონომისტები, მაგალითად, მსოფლიო ბანკის უფროსი ეკონომიკური მკვლევარი, უილიამ ისტერლი, აღიარებს, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის გამოყოფილი ფული, 2.3 ტრილიონი,[2] ტყუილად დაიხარჯა. თუმცა, ნათელი არ არის, აქვს თუ არა ისტერლის ალტერნატიული წინადადებები, მიუხედავად იმისა, რომ ის აღიარებს ღარიბების დახმარების პოლიტიკაში არსებულ ფუნდამენტურ მცდარობას. შეცდომის ძიება კვლევის საფუძველი გახდა, თუმცა ამ კვლევის პროცესში კითხვაც არ დასმულა „კატალაქტიკური" (ბარტერზე დაფუძნებული) სტანდარტული ეკონომიკური თეორიის მიმართ, მისი მთავარი ხარვეზის – მსოფლიოს მწარმოებლური სისტემის აუხსნელობის თაობაზე. სისტემისა, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოქმნის არათანაბარ ეკონომიკურ განვითარებას. ამ აღიარების უგულებელყოფით, კვლევა ზემოთ აღნიშნული ჩავარდნის მიზეზების შესახებ არასწორი გზით წავიდა. ეკონომიკური განვითარება კავშირშია გარკვეული სახის ეკონომიკურ აქტივობებთან. პრობლემის რეალური მიზეზი ისაა, რომ ეს ცოდნა ეკონომიკური განვითარების გამომწვევი ეკონომიკური აქტივობების ბუნების შესახებ, დღეს კვლავ უგულებელყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მნიშვნელობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1400-იანი წლების დასასრულიდან, 1947 წელს კი გაითვალისწინეს მარშალის გეგმაშიც.

ტანზანიელი გენერლის კითხვა კიდევ ორ პრობლემას წამოჭრის. პირველი პრობლემა არის კავშირი, ერთი მხრივ, კარგ ზრახვებსა და სიკეთეს და, მეორე მხრივ, ეკონომიკურ განვითარებას შორის. მაგალითად, როგორ მოხდა, რომ ასეთმა უხვმა

დაფინანსებამ ვერ შექმნა სიმდიდრე აფრიკაში? მეორე პრობლემა ისაა, თუ როგორ მოახერხა ფაქტიურად მთელმა მსოფლიომ ასე ერთსულოვნად უარეყო 500-წლოვანი სიბრძნე სიმდიდრის, ცივილიზაციისა და „ქალაქური საქმიანობის“ კავშირის შესახებ, რომელიც შესანიშნავად გადმოსცა ჯორჯ მარშალმა „მარშალის გეგმის“ გამოცხადებისას, 1947 წლის ივნისში. ამის გასაგებად არ არის აუცილებელი, ისტორიკოსი იყო. ბევრი ადამიანი, რომელიც დღეს ძალაუფლების სათავეებთან დგას, „მარშალის გეგმის“ პერიოდში დაიბადა. მოდით, ეს საკითხები ცალკე გავიაროთ.

კაპიტალიზმი და განზრახვების პარადოქსი

კაპიტალიზმი და წარმატებული საბაზრო ეკონომიკა შესაძლებელია სათანადოდ გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავერკვევით მის პარადოქსებში. როგორც ადამ სმიტი გვიხსნის, ჩვენ ვიღებთ ჩვენს პურს არსობისა არა მცხობელის კეთილგანწყობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მცხობელს სურს ფული გააკეთოს. ჩვენი ინტერესი, ვჭამოთ პური, კმაყოფილდება სხვა ადამიანის სიხარბის მეშვეობით. ნამდვილად პარადოქსია. ადამ სმიტის ეს იდეა იყო მე-18 საუკუნის მნიშვნელოვანი დებატის ნაწილი, რომელიც ბერნარდ მანდევილმა წამოიწყო 1705 წელს. მანდევილი აცხადებდა, რომ ცალკეული ადამიანების ნაკლოვანებები შეიძლება იქცეს საჯარო სარგებლის წყაროდ. 1776 წელს, იმ დროისთვის, როცა ადამ სმიტმა გამოაქვეყნა გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ეს დებატები ფაქტობრივად დამთავრებული იყო. თუმცა, ის, თუ როგორ განმარტა სმიტმა ეს კამათი და, უფრო კონკრეტულად, როგორ ვახდენთ ადამ სმიტის ინტერპრეტაციას დღეს, შეიცავს

მანდევილის პრინციპების მნიშვნელოვან ფარულ მახასიათებლებს, მისი ყველაზე ორიგინალური ფორმით.

1757 წელს, ჩემს ქვეყანაში, დანიისა და ნორვეგიის ეკონომიკური ჟურნალის რედაქტორმა გამოხატა იმდროისთვის გავრცელებული უკმაყოფილება მანდევილის მტკიცებების მიმართ, რომელიც ამბობს რომ საჯარო კეთილდღეობა იქმნება ცალკეული ადამიანების მანკიერი მისწრაფებების შედეგად. ეს რედაქტორი, ერიკ პონტოპიდანი, ბერგენის ყოფილი ეპისკოპოსი იყო, რაც ნაწილობრივ ხსნის მის მორალურ გულისწყრომას: მანკიერი მისწრაფება რომ კეთილდღეობის მამოძრავებელი ძალა ყოფილიყო, მაშინ ის, ვინც ცეცხლს მისცემს ლონდონს, გმირი იქნება, რადგან უამრავი სამუშაო ადგილი და სიმდიდრე შეიქმნება ამ აქტის შედეგად ტყის მჭეხავებისა და დურგლებისთვის. ამ პრობლემის გადაჭრის ფორმულა და საბაზრო ეკონომიკის კონსოლიდირებული თეორია კარგად გამოხატა მილანელმა ეკონომისტმა პიეტრო ვერიმ 1771 წელს: *„თითოეული ინდივიდის პირადი ინტერესი, როცა ის ემთხვევა საჯარო ინტერესს, ყოველთვის იქცევა საზოგადოებრივი ბედნიერების საუკეთესო გარანტორად“.*[3] იმ ეპოქაში ნათელი იყო, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საჯარო და კერძო ინტერესები ყოველთვის არ იყო ერთმანეთთან ჰარმონიაში. კანონმდებლის როლად მიჩნეული იყო ისეთი პოლიტიკის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა საჯარო და კერძო ინტერესების შეხამებას.

დღევანდელი ეკონომიკური თეორია დაფუძნებულია მანდევილისა და სმიტის ინტერპრეტაციაზე, რომელიც მე-18 საუკუნის კონტინენტური ევროპის კონსესუსისგან სამი ძირითადი ასპექტით განსხვავდება.

- პირველ რიგში, არ უნდა ჩაითვალოს, რომ პირადი ინტერესი არის საზოგადოების ერთადერთი მამოძრავებელი ძალა.

ცალკეული ადამიანის სიქველე, როგორც წესი, გარდაისახება საზოგადოებრივ და სხვა ადამიანთა პირად სიქველედ. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საზოგადოებრივი სიქველე შესაძლოა იქცეს ცალკეული ადამიანების მანკიერებადაც. სხვა და უფრო ღირსეული გრძნობები, ვიდრე სიხარბე და მოგების მოპოვებისთვის უმოწყალო მიდრეკილებაა, უფრო რთულად ექვემდებარება მოდელირებას.

- მეორე მხრივ, იმ ფაქტორების გამო, რომელიც კარგად იყო ცნობილი ეკონომისტებისთვის ადამ სმიტამდე (სინერგიები, მზარდი და კლებადი უკუგება კაპიტალზე, თვისობრივი განსხვავება მეწარმეობის, ლიდერობის, ცოდნისა და ეკონომიკურ აქტივობებს შორის), საბაზრო ეკონომიკა, თუ მასში არ ერევიან, ხშირად, შემცირების ნაცვლად, ზრდის ეკონომიკურ უთანასწორობას. ის, რასაც ჩვენ ეკონომიკურ განვითარებას ვუწოდებთ, გაუთვალისწინებელი შედეგია იმ ეკონომიკური აქტივობებისა, რომლებიც მოქმედებს ისეთი ფაქტორების არსებობის პირობებში, როგორიცაა მზარდი უკუგება კაპიტალზე, შრომის დანაწილება, დინამიური არასრულყოფილი კონკურენცია და ინოვაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარება სწორედაც რომ უკავშირდება კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ გათვალისწინებულ შედეგებს. სიღარიბე კოლონიად ყოფნის შედეგია, სადაც მსგავსი ფაქტორები არ არსებობდა. თუმცა, სტანდარტული ეკონომიკური თეორია იმას, რაზეც ჩვენ არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება, მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან მიიჩნევს, რომ ეკონომიკური აქტივობების ყველა სახეობა ერთნაირია.[4]
- მესამე, სავსებით შესაძლებელია ფულის შოვნა იმგვარი მოქმედებებით, რომლებიც სრულ წინააღმდეგობაშია საჯარო ინტერესთან. ფულის მოხვეჭა შესაძლებელია ეკონო-

მიკის დანგრევის ხარჯზე, როგორც ეს ჯორჯ სოროსმა ან იმ ადამიანმა გააკეთა, რომელმაც გადაწვა ლონდონი – ბატონი პონტოპიდანის წარმოდგენაში. ამერიკელი ეკონომისტი უილიამ ბაუმალი განასხვავებს პროდუქტიულ, არაპროდუქტიულ და დესტრუქციულ მეწარმეობას. სტანდარტულ ეკონომიკას უჭირს ამის გათვალისწინება, რადგან „მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი“ უგულებელყოფს საჯარო ინტერესის გაგებას: მარგარეტ ტეტჩერის მჭევრმეტყველური სიტყვებისა არ იყოს „საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არსებობს“. ინგლისური ეკონომიკისგან განსხვავებით, კონტინენტური ევროპის ეკონომიკამ ცალკე კატეგორიად შეინარჩუნა ეროვნული ინტერესი.

მაშინ როცა გაუთვალისწინებელი შედეგები ხშირად ისმის laissez-faire-ის დასასაბუთებლად, მეინსტრიმული კონტინენტური ეკონომიკური ტრადიციების მიხედვით ამგვარი შედეგების გააზრება იქცა განმანათლებლური ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებად. შესაძლოა ვამტკიცოთ, რომ 1485 წელს ჰენრი VII-ის მიერ წამოწყებული წარმატებული ინდუსტრიალიზაცია მოჰყვა შალის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, იყო გაუთვალისწინებელი შედეგი, მისი წინამორბედის, ედვარდ III-ის მიერ შემოსავლების ზრდისთვის დაწესებული ბაჟისა. უკვე მეორედ, გაუთვალისწინებელი შედეგი იქცა პოლიტიკის მთავარ მიზნად. მართლაც, საბაჟო გადასახადის შემთხვევითი ორმაგი შედეგი – საგადასახადო შემოსავლებით უზრუნველყოფა და ინდუსტრიის მშენებლობა, საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო განვითარებისთვის. ამით სარგებლობდა აშშ და ახლაც სარგებლობენ, განსაკუთრებით, პატარა ქვეყნები.

მე-20 საუკუნის დასაწყისში კონტინენტის ეკონომისტებს კვლავაც კარგად ესმოდათ, რომ ეკონომიკური განვითარე-

ბა იყო გაუთვალისწინებელი შედეგი იმგვარი განზრახვებისა, რომლებიც შორს იყო უანგარობისაგან. მე-16 საუკუნეშიც კი ინოვაციები და ტექნოლოგიური ცვლილება სახელმწიფოში მეტწილად დაკავშირებული იყო ომისა (ტყვიაწამალი, მეტალი ხმლებისა და ზარბაზნებისთვის, საომარი ხომალდები და სხვა აღჭურვილობა) და ფუფუნების (აბრეშუმი, ფაიფური, მინის ნივთები, ქაღალდი) საჭიროებების დაკმაყოფილებასთან. 1913 წელს ვერნერ ზომბარტმა გამოსცა 2 წიგნი (იხ. თავი მე-3), „ომი და კაპიტალიზმი“ და „ფუფუნება და კაპიტალიზმი“, რომლებიც ამ ელემენტებს აღწერდა, როგორც კაპიტალიზმის მამოძრავებელ ძალებს. მეორე წიგნი შემდგომში სხვა სახელით გამოვიდა და ეწოდა „სიყვარული, ფუფუნება და კაპიტალიზმი“, ავტორს თავიდანვე სურდა რომ წიგნს ეს სახელი რქმეოდა. დანიისა და ნორვეგიის მეფე, კრისტიან V (1670-1699), ზომბარტის სტილში აღწერს საკუთარ ვნებებს: „ნადირობა, სასიყვარულო საქმეები, სამხედრო და საზღვაო საქმეები“. გონიერება ფინანსურ საკითხებში უგულებელყოფილი იყო, როცა საქმე ეხებოდა ომს და სამეფო კარის საყვარლებს.

რამდენადაც კაპიტალიზმი ესმოდათ, როგორც არასრულყოფილი კონკურენციისა და ადამიანთა ქმედებების უნებლიე შედეგების მიერ წარმოებული სისტემა (და არა სრულყოფილი კონკურენციის სისტემა), შესაძლებელი იყო ამ გაგების გამოყენება გონიერი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მე-15 საუკუნის ბოლოს, სწორედ მაშინ, როცა კოლუმბმა მიაღწია ამერიკას, ვენეციელებმა გააცნობიერეს, რომ პროგრესი არ იყო მხოლოდ ომისა და სახელმწიფო დანახარჯების თანმდევი პროდუქტი და გამოიგონეს ახალი მექანიზმი: პატენტები. გამომგონებელს საკუთარ გამოგონებაზე მიეცა მონოპოლია 7-წლიანი ვადით, რაც იყო ოსტატთან შეგირდობის სტანდ-

არტული პერიოდი. გამომგონებლებს შეეძლოთ ესარგებლათ თავიანთი გამოგონების სიკეთეებით, რაც ადრე უზარმაზარი სახელმწიფო დანახარჯების თანმდევ პროდუქტებად ითვლებოდა. პროგრესი იქმნებოდა დინამიური არასრულყოფილი კონკურენციის საშუალებით. პატენტების მექანიზმის ანალოგიური ინსტიტუტი, სატარიფო პროტექცია, მიზანმიმართულად შეიქმნა დაახლოებით იმავე პერიოდში, რათა ფეხი მოეკიდებინათ გამოგონებებს ახალ გეოგრაფიულ სივრცეებში.

პირადი მანკიერების მეშვეობით საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნის მექანიზმი საპირისპირო მიმართულებითაც მუშაობს – საზოგადოებრივი მანკიერებების მეშვეობით კერძო სიკეთეების შექმნა. სახელმწიფო მანკიერებებს, გადაჭარბებულ ნაციონალიზმს და ომის წამქეზებლობას, ხშირად ირიბად მივყავართ კერძო სიკეთეებთან გრძელვადიან პერსპექტივაში.

მრავალი ახალი გამოგონება, რომელიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო ცხოვრებისთვის, სათავეს იღებს როგორც ომის თანმდევი პროდუქტი: კონსერვები (ნაპოლეონის ომები), მასობრივი წარმოება სტანდარტიზებული ყალიბებით (იარაღის წარმოება სამოქალაქო ომის დროს აშშ-ში), ბურთულიანი ავტოკალამი (აშშ-ის საჰაერო სამხედრო ძალები მეორე მსოფლიო ომის დროს), სიგნალიზაცია (ვიეტნამის ომი) და მობილური სატელიტური კომუნიკაცია (ამერიკული პროგრამა „ვარსკვლავური ომები“). თუ ამ ყველაფერს გავიაზრებთ, ეკონომიკური პროგრესისკენ შეგვიძლია ვიაროთ პირდაპირი და არა შემოვლითი გზებით. თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი უახლეს ტექნოლოგიებში უზარმაზარი რესურსების ჩადებაა, მაშინ შეგვიძლია, ომი ამოვიღოთ განვითარების ინსტრუმენტებიდან და ფული პირდაპირ ჩავყაროთ ისეთი სექტორების განვითარებაში, როგორიც ჯანდაცვაა.

მესამე შესაძლებლობა ისაა, რომ საჯარო სიკეთე შესაძლე-

ბელია ცალკეულ ადამიანთა მანკიერებად გადაიქცეს. ის, რაც ერთი შეხედვით შეიძლება საზოგადოებრივ სიკეთედ მოგვეჩვენოს, შესაძლოა, საქმეში სისტემური მანკიერება აღმოჩნდეს. როგორც შემდეგ თავში ვნახავთ, სისტემური დახმარება განვითარებადი ქვეყნებისთვის, შესაძლოა გადაიქცეს „საქველმოქმედო კოლონიალიზმად“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დისტანციური კონტროლი. იქმნება ნეოკოლონიალური სოციალური კონტროლის დახვეწილი, შეუმჩნეველი და დაქვემდებარების მომტანი ფორმა იმ ქვეყნებზე, რომელსაც დახმარებას უწევენ. „ათასწლეულის მიზნები“ სწორედ ამის მაგალითია. კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, როცა დახმარების მიმღები მთავრობა თავს ირცხვენს, დონორი ქვეყნები იღებენ გადაწყვეტილებას, მოამარაგონ თუ არა ღარიბი ქვეყანა საკვებით. ასე მოხდა ეთიოპიის შემთხვევაში. ნებსით თუ უნებლიეთ, ღარიბებისთვის ამგვარმა დახმარებამ (რაც კეთილი საქმეა) და მწარმოებლური კაპიტალიზმის მიღმა დატოვებამ შექმნა სისტემა, რომელიც ახალისებს ცალკეულ ადამიანთა მანკიერებებს – კორუფციასა და მილიტარიზმს. საქველმოქმედო კოლონიალიზმი დამოუკიდებლობას ართმევს ქვეყნებს, კეთილშობილური და გულუხვი, თუმცა, საბოლოოდ, ეთიკურად არასწორი პოლიტიკის მეშვეობით. ეს შობს დამბლის გამომწვევ დაქვემდებარებულობას ცენტრალურ და პერიფერიულ ქვეყნებს შორის. ცენტრი ახორციელებს კონტროლს პერიფერიაზე, აყენებს რა მას ეკონომიკურად სრულიად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, რისი მეშვეობითაც პოლიტიკური მობილიზაციისა და ავტონომიურობის პრევენციას ახდენს.

ხუთასწლოვანი სიბრძნის დაკარგვა

მეორე საკითხი, რომელიც დავსვით, იყო ის, თუ როგორ მოახერხეს „ისტორიის დასასრულით“ აღტკინებულებმა კეთილდღეობის შექმნის 500-წლიანი გამოცდილების იგნორირება. წიგნის დასაწყისში ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ მოახერხა „ცივმა ომმა“ ეკონომიკური მეცნიერება დაეყვანა სამოქალაქო ომამდე რიკარდოს ეკონომიკური თეორიის ორ მიმდინარეობას შორის, რამაც საერთოდ განდევნა მანამდე არსებული ცოდნა მწარმოებლური სისტემების შესახებ. ჯერ კიდევ რთულია გავიგოთ, როგორ ვერ ახერხებენ თითქმის უნისონში მომღერალი თანამედროვე ეკონომისტები, პრაქტიკულ პოლიტიკაში დანერგონ ეროვნული ეკონომიკური ზრდის შესახებ არსებული საუკუნოვანი წარმოდგენები, რომელთა მიხედვითაც, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ქალაქში ემყარება მზარდ უკუგებას, ხოლო სოფლად კლებად უკუგებას. მხოლოდ 60 წლის წინ, როცა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა, წარმოადგინა „მარშალის გეგმა“, საჯაროდ განაცხადა, რომ სწორედ ამგვარი ეკონომიკური ხედვა ედო საფუძვლად დასავლურ ცივილიზაციას.

როცა აზიასა და ევროპას შორის მნიშვნელოვანი იყო თავდაცვითი ხაზის მშენებლობა, კომუნისტური საფრთხის თავიდან ასარიდებლად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ესმოდა, რომ სიმდიდრის შექმნის წინაპირობა იმ ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია იყო, რომელიც ესაზღვრებოდა კომუნისტურ ბლოკს, დაწყებული ნორვეგიასა და გერმანიიდან, დამთავრებული კორეითა და იაპონიით. ამერიკა მთელი გულით უჭერდა მხარს ამ პროექტს, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისითაც. როცა კომუნისტური საფრთხე

გაქრა, განვითარებულმა ქვეყნებმა უმალვე დაიწყეს იმგვარი პოლიტიკის გატარება, რომელსაც საპირისპირო შედეგები მოჰქონდა ღარიბი ქვეყნებისთვის და წააგავდა ძველი ბრიტანული კოლონიური პოლიტიკის უკიდურეს ფორმას. ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა იმ მეთოდებს, რომლითაც ამერიკა ადრეულად აღუდგა წინ თავისუფალ ვაჭრობაში ჩართვას და ინდუსტრიულ ქვეყანად იქცა. ასევე უნდა ითქვას, რომ ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა რუზველტის იდეებსაც, რომელმაც დიდი მორალური სიმტკიცე გამოიჩინა და დაუპირისპირდა ჩერჩილის კოლონიურ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის დროს.

1950-იან და 1960-იან წლებში, როცა კომუნისტური ბლოკის მეზობელი ქვეყნები წარმატებულად ვითარდებოდნენ, აშშ-მა ძალიან კარგად იცოდა, როგორ ექცია ღარიბი ქვეყნები მდიდრებად: აშშ ამისთვის იყენებდა მის XIX საუკუნის სტრატეგიას. რატომ ხდება ისე, რომ ამერიკას აღარ ესმის კავშირი ინდუსტრიალიზაციასა და „ცივილიზაციას“ შორის, რომელსაც ასე ნათლად აცნობიერებდნენ ჯორჯ ვაშინგტონიდან ჯორჯ მარშალამდე? რატომ ხდება ისე, რომ მსოფლიო კეთილდღეობაში წვლილის შეტანის ნაცვლად, რასაც აშშ აკეთებდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, დღეს იგი ცდილობს ძალადობრივად დანერგოს დემოკრატია პრე-ინდუსტრიულ სახელმწიფოებში? გუნარ მირდალის ტერმინი „ოპორტუნისტული უცოდინრობა“ მახსენდება, როცა ვუყურებ, თუ როგორ ვერ ამჩნევენ სახელმწიფოები ვერაფერს, გარდა საკუთარი მოკლევადიანი ინტერესებისა. ამ კონტექსტში სულ უფრო ადეკვატური ხდება ლიბერალის ძველი განმარტება (ევროპული თვალსაზრისით): „ადამიანი, რომლის ინტერესებსაც ამ მომენტში არაფერი ემუქრება“.

„საკვირველია, რაოდენ დიდხანს ცოცხლობს ეკონომიკური თეორიები, მას შემდეგაც კი, რაც მათი სამეცნიერო საფუძვე-

ლი ქრება“, წერდა ამერიკელი ეკონომისტი სიმონ ნ. პატტენი 1904 წელს. მას მხედველობაში ჰქონდა ისევ და ისევ წონასწორობის პრინციპზე დამყარებული ეკონომიკა, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას. რა მექანიზმები უზრუნველყოფენ იმ თეორიების გადარჩენას, რომლებიც ასე ცხადად არაადეკვატურია? ვიწრო ინტერესები ერთ-ერთი მკაფიო ფაქტორია. ზოგიერთი სახელმწიფოს მოკლევადიან ინტერესებშია ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობა მეტისმეტად ღარიბ ქვეყნებთან. თუმცა, კაპიტალიზმს, როგორც სისტემას, არ აწყობს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ფაქტობრივად ნახევარს არ ჰქონდეს მსყიდველობითი უნარი. ასე რომ, ვიწრო ინტერესები ამ შემთხვევაში არ არის შორსმჭვრეტელური.

კიდევ ერთი ფაქტორი ისაა, რომ გაბატონებულ თეორიას იცავს თავად ადამიანური ბუნება. იმის მაგივრად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მათ რჩეულ თეორიას, ადამიანები ცდილობენ, ამ თეორიის მიღმა ეძებონ განმარტებები. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ საფუძველი პოლიტიკის დონეზე არ შეცვლილა. ეკონომისტები დაახლოებით ამგვარ ლოგიკას მიჰყვებიან: რადგან ჩემი თეორია მისი მათემატიკური მოხდენილობიდან გამომდინარე სრულყოფილია (რაც დამტკიცდა ბერლინის კედლის ნგრევით), პრობლემის ახსნა ჩემი თეორიული ჩარჩოს მიღმა ძევს. ამგვარ ლოგიკას დღეს ეკონომისტები შეჰყავს ისეთ სფეროებში, რომლებშიც ისინი, უკეთეს შემთხვევაში, მოყვარულები არიან. მაგალითად, ისეთ დარგებში როგორიცაა, გეოგრაფია, კლიმატი და დაავადებები. არსებობს საინტერესო პარალელი გლობალიზაციის პირველი ტალღის შედეგებთან, რომელიც დამთავრდა მე-20 საუკუნის დამდეგს. ანთროპოლოგი ერიკ როსი მიუთითებს ეკონომიკისა და ევგენიკის (თეორია რასობრივი სიწმინდის შესახებ) კავშირზე.[5]

გლობალიზაციის პირველმა ტალღამ წარმოშვა ღარიბი კოლონიები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ინდუსტრიას, ტექნოლოგიურ ცვლილებას, მზარდ უკუგებას, შრომის დანაწილების თანამედროვე ფორმას და ეკონომიკურ აქტივობებს შორის სინერგიას. რამდენადაც ეკონომიკურ თეორიაში პრობლემები არ უნდა ყოფილიყო, ისინი ეკონომიკის მიღმა უნდა მოეძებნათ. იმ პერიოდისთვის ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ეკონომისტი ირვინგ ფიშერი (1867-1947), ამასთანავე გახლდათ ყველაზე გავლენიანი პირი ამერიკის ევგენიკურ მოძრაობაში. ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) ინგლისის ევგენიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი იყო. კოლონიებში სიღარიბის ასახსნელად რასის ფაქტორი მოსახერხებელი იყო, რამდენადაც ამართლებდა კოლონიებისთვის ინდუსტრიალიზაციის აკრძალვას და რიკარდოს ვაჭრობის თეორიას შეუბღალავს ტოვებდა. აფრიკელები იმიტომ კი არ იყვნენ ღარიბები, რომ მათ ინდუსტრიალიზაციის უფლებას არ აძლევდნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი შავები იყვნენ. დღეს, როცა ჩვენ კორუფციას ვაბრალებთ სიღარიბეს, ცოტათი უფრო პოლიტკორექტულები ვართ. აფრიკელები ღარიბები მათი სიშავის გამო კი არ არიან, არამედ იმიტომ, რომ შავები კორუმპირებულები არიან. ცვლილება საბოლოო ანალიზში უმნიშვნელოა.

მარცხის გამართლება: ყურადღების გადამტანი მანევრები

1989 წელია. ნათელია, რომ კომუნისტური სისტემა, ბაზრის მიმართ მის ქედმაღლურ დამოკიდებულებასთან ერთად, ჩამოიშლება. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ეკონომისტი და გევალებათ ახსნათ მდიდარი „სილიკონის ველისა“ და აფრიკაში

მასაის ტომის სასოფლო-სამეურნეო დასახლების დოვლათიანობებს შორის სხვაობა. თუმცა, რადგანაც ეკონომისტი ბრძანდებით, თქვენ გაქვთ საკმაო გამოცდილება, რომ უგულებელყოთ გარკვეული ასპექტები:

1. თქვენ აკრძალული გაქვთ იმის თქმა, რომ არსებობს თვისებრივი განსხვავება ეკონომიკურ აქტივობებს შორის. ანუ, იმის თქმა, რომ ადამიანებისთვის უმჯობესია აწარმოონ კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამები, ვიდრე ცხოველების ჯოგი მწყემსონ. თუ ბაზარს გავათავისუფლებთ, იგი თავად გაათანაბრებს ამგვარ განსხვავებებს.

2. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, თქვენ არ გაქვთ უფლება თქვათ რამე სპეციალიზაციის ცვლილებაზე. ყველა ქვეყანამ საკუთარი ეკონომიკის სპეციალიზაცია უნდა მოახდინოს შედარებითი უპირატესობიდან გამომდინარე, იქნება ეს ცხოველების მწყემსვა თუ კომპიუტერული პროგრამები. ამგვარი სტრატეგიის მეშვეობით წარმოების ფაქტორების ფასთა გათანაბრება უნდა მოხდეს.

3. თქვენი თეორიული ინსტრუმენტები არ გაძლევთ სინერგიების დანახვის საშუალებას. თქვენ არ გაქვთ უფლება თქვათ, რომ მწყემსები, რომლებიც ცხოვრობენ პროგრამისტების გვერდიგვერდ, უფრო მდიდრები არიან, ვიდრე მწყემსები, რომლებიც სხვა მწყემსების გვერდით ცხოვრობენ.[6]

4. არ გაქვთ უფლება შეეხოთ ისტორიას. ისტორია და მომავალი დაყვანილია ტერმინამდე „აქ და ამჟამად". ამიტომაც, არგუმენტს იმის შესახებ, რომ ქვეყანა, რომელშიც „სილიკონის ველი" დაახლოებით 150 წლის განმავლობაში არსებობს, ახორციელებდა სუბსიდიებს და იცავდა თავის მაღალტექნოლოგიურ დარგებს, რათა გაქცეოდა სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკურ აქტივობებს – ძალა არა აქვს. პირველი და მესამე

პუნქტიდან გამომდინარე აშკარაა, რომ აშშ-ის ეკონომიკა იზრდებოდა ზემოთ აღნიშნული პოლიტიკის მიუხედავად და არა ამ პოლიტიკის შედეგად.[7]

5. როცა ამ თუ იმ პოლიტიკას იცავთ, გეკრძალებათ გამოიყენოთ უმუშევრობა და არასრული დასაქმების საკითხები, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეკონომიკურ დებატებში. თუ მხედველობაში მიიღებთ უმუშევრობის ფაქტორს, ეს ასევე გაიძულებთ, რომ გაითვალისწინოთ „ჩრდილოვანი ფასებიც" – გაურკვეველი ტერმინი, რომელსაც მიყავხართ არასაბაზრო ეკონომიკურ პოლიტიკამდე. მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი საკუთარ ეკონომიკურ მოდელებს აგებენ სრულ დასაქმებაზე.[8]

6. თქვენ არ გაქვთ უფლება, ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივად დააკავშიროთ ეკონომიკის და პოლიტიკის სტრუქტურა. საპარლამენტო დემოკრატია, ან ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ინსტიტუტი, შეიძლება გაჩნდეს როგორც მონადირე შემგროვებელ ტომებში, ასევე ფეოდალიზმსა ან ურბანულ საზოგადოებებში.

მოვიყვანოთ მაგალითი. თქვენ აკვირდებით ღარიბ ქალაქს, სადაც დასახლებული ადამიანები საკუთარ სარჩოს გამოიმუშავებენ რესტორნებში ჭურჭლის რეცხვით და ფეხსაცმლის წმენდით. ამავე ქალაქის მდიდარ ნაწილში ცხოვრობენ ბირჟის ბროკერები და იურისტები. თქვენი ამოცანაა, ახსნათ განსხვავება შემოსავლებში, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ლოგიკით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ გაქვთ უფლება ახსნათ შემოსავლებს შორის განსხვავება იმ ფაქტით, რომ ეს პროფესიები განსხვავებულად შემოსავლიანია. სტანდარტული ეკონომიკის თეორიული ინსტრუმენტები ეკონომიკურ აქტივობებს შორის თვისობრივი განსხვავების დანახვის შესა-

ძლებლობას პრაქტიკულად არ იძლევა.[9] რადგან არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ფეხსაცმლის მწმენდავებისა და აქციების ბროკერების შემოსავლებს შორის სხვაობა ამ ორ პროფესიას შორის თვისობრივი განსხვავების შედეგია, ეკონომისტები ძირითადად, ცდილობენ ყურადღება გაამახვილონ შედეგებზე და არა მიზეზებზე. მაგალითად, ამბობენ, რომ ღარიბებს საკმარისი განათლება არა აქვთ; იმ ფაქტის იგნორირებით, რომ ფეხსაცმლის მწმენდავი ან ჭურჭლის მრეცხავი, ვერ შეძლებს მომგებიანი ინვესტიციის გაკეთებას განათლებაში, რომელიც გაზრდიდა მის შემოსავალს; რომ ღარიბებმა საკმარისი დანაზოგი არ გააკეთეს, მაგრამ ვერ ხედავენ, რომ მათი დაბალი შემოსავლები არ იძლევა დაზოგვის შესაძლებლობას. ეკონომისტები იმასაც ამბობენ, რომ ღარიბები არასაკმარისად ინოვაციურები არიან, იმის გაუთვალისწინებლად, რომ ფეხსაცმლის წმენდაში ინოვაციის შესაძლებლობა, სხვა დარგებთან შედარებით, შეზღუდულია.

ამერიკელი ეკონომისტებისთვის ჯერ კიდევ 1820 წელს იყო ნათელი, რომ როგორც ადამიანის, ასევე სახელმწიფოს შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ამ მანკიერი წრის გარღვევა პროფესიის შეუცვლელად. ქვეყნის შემთხვევაში ეს გულისხმობდა ინდუსტრიალიზაციის პროექტს, რაც ამერიკის მაგალითზე საუკუნის განმავლობაში იწოდებოდა ამერიკული წარმოების სისტემად.[10] თუმცა დღეს ეკონომისტებმა წარსულის წარმატებული სტრატეგიები დაივიწყეს, ისინი მხოლოდ სიღარიბის სიმპტომებს ამჩნევენ და არა მის მიზეზებს. ღარიბ ქვეყნებზე ჩატარებული ექსპერიმენტები არ ამართლებს, თუმცა პოლიტიკა მაინც იგივე რჩება.

ზემოთ აღწერილი მიახლოებით ასახავს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტრუქციებს, რაც

განსაზღვრავდა ამ ორგანიზაციების მუშაობას 1989 წელს, „ისტორიის დასასრულის“ გარიჟრაჟზე. ეს არის გაუაზრებელი ინსტრუქცია, რომელსაც ამ ორი ინსტიტუტის წარმომადგენლები ყოველდღე ატარებდნენ სამუშაოზე და სწორედ ამ ინსტრუქციის პრიზმიდან უყურებდნენ იმას, თუ როგორ ვითარდება სამყარო. ამგვარი მიდგომა სტანდარტული ეკონომიკის სახელმძღვანელოების პირდაპირი და ირიბი შედეგია, რაც გამიზნულად კრძალავს ეკონომიკურ აქტივობებს შორის განსხვავებაზე შეხედულების ქონას. დასაშვებად მხოლოდ ფირმებში კაპიტალისა და შრომის პროპორციის განსხვავებაზე შეხედულებას მიიჩნევს.

რისკის ქვეშ რომ არ აღმოჩენილიყო ზემოთ ნახსენები პრინციპები, მსოფლიო ბანკს სამსახურში არ აჰყავდა მდიდარ ქვეყნებში ნამუშევარი ეკონომისტები. ასევე, როგორც ჯოზეფ სტიგლიცი აღნიშნავდა, მსოფლიო ბანკი თანამშრომლების აყვანისას არჩევანს აკეთებდა საუკეთესო უნივერსიტეტების ყველაზე სუსტ კურსდამთავრებულებზე. ეს მიდგომა კარგად იყო შეჯამებული ლექსში: „ჩვენი ოცნებაა სიღარიბისგან თავისუფალი მსოფლიო“, რომელიც მსოფლიო ბანკის დირექტორმა ჯეიმზ ვულფენსონმა ამ ორგანიზაციის მისაღებში განათავსებინა. ეს ლექსი მჭევრმეტყველურად იყო დაწერილი და ეჭვიც არ არის, რომ ვულფენსონს კეთილი ზრახვები ჰქონდა. თუმცა, ამითაც ნათლად ჩანს, რომ მთავარი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ არათანაბარ განვითარებას – ერთი მხრივ, სიღარიბეს და, მეორე მხრივ, სიმდიდრეს – უგულებელყოფილი იყო ბატონი ვულფენსონის თანამშრომლების ანალიტიკურ მოდელებში.

სიღარიბის მიზეზების ძიება გაგრძელდა. თუმცა, არათანაბარი განვითარების მიზეზების ალტერნატიული ახსნა, რომელიც დომინირებდა ბოლო 500 წლის განმავლობაში, კვლავ

აკრძალულია. დავაკვირდეთ, თუ როგორ ცდილობდა "ისტორიის დასასრულის" პერიოდის კვლევა სიღარიბის გამომწვევი ფუნდამენტური მიზეზების დამალვას, სხვადასხვა მეორეხარისხოვან გარემოებასა და გვერდით შედეგებზე აქცენტირებით. რადგან ზემოთ აღნიშნული 6 პუნქტიდან გადახვევა არ შეიძლებოდა, „ვაშინგტონის კონსენსუსი" ისეთი კურსით ვითარდებოდა, რომ თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი მიდგომა წარმოჩენილიყო, როგორც სიღარიბის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა:[11]

1. „ფასების სწორად გაგება";
2. „საკუთრების უფლებების სწორად გაგება";
3. „ინსტიტუტების სწორად გაგება";
4. „მმართველობის სწორად გაგება";
5. „კონკურენტუნარიანობის სწორად გაგება";
6. „ინოვაციების სწორად გაგება";
7. „მეწარმეობის სწორად გაგება";
8. „განათლების სწორად გაგება";
9. „კლიმატის სწორად გაგება";
10. „დაავადებების სწორად გაგება".

ჩემი აზრით, არგუმენტების ეს ჩამონათვალი ქვეცნობიერად ემსახურება სტანდარტული ეკონომიკისა და მისი მთავარი ჰიპოთეზების გადარჩენას. ამ პუნქტების თანმიმდევრობა მაგალითია იმისა, რასაც ლონდონის ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი რობერტ ვეიდი „პარადიგმის გადარჩენის ხელოვნებას" უწოდებს. ამ შემთხვევაში მთელი ყურადღება გადატანილია სტანდარტული ეკონომიკური თეორიის მიღმა დარჩენილი ახალი ფაქტორების დამატებაზე, თუმცა თეორიის საფუძველი უცვლელი რჩება.[12] ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორე-

ბი მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა მათ არ შესწევთ უნარი, უპასუხონ განვითარების პროცესის მთავარ პრობლემას: „გავიგოთ ეკონომიკური აქტივობები სწორად“. თუ სტანდარტული ეკონომიკური მოდელი არ მოიცავს იმ ფაქტორებს, რომლებსაც ვეხები ამ წიგნში (მზარდი და კლებადი უკუგება, არასრულყოფილი კონკურენცია, სინერგიები, სტრუქტურული კავშირები, ინოვაციების მრავალფეროვანი შესაძლებლობები), მაშინ ზემოთ მოყვანილი სია, უბრალოდ, ემსახურება ყურადღების გადატანას უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიდან. უპირველეს ყოვლისა, ამ გამარტივებულ განმარტებებს განვითარების ჰოლისტური გაგებიდან პროცესის გარკვეულ კომპონენტებზე გადააქვთ ყურადღება. რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანა კი იწვევს პრობლემის მოგვარების არასწორი მიმართულებით წარმართვას, რაც „ცრუ კვალზე დადგომის“ ნიშანია.

მაშინ როცა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი სამეცნიერო, ყურადღების გადამტან მანევრებს ახორციელებენ, მოდას აყოლილი მთავრობები მათ პროექტებს აფინანსებენ. ამის შედეგად, იქმნება ისეთი ვითარება, რასაც მაიკლ პორტერი, ჰარვარდის სკოლის ეკონომისტი, უწოდებს „ერთ პრობლემაზე კონცენტრაციას“: განვითარების ეკონომიკა პერიოდულად მეტისმეტად ფოკუსირდება მხოლოდ ერთ რომელიმე საკითხზე და მეცნიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ აჰყვება ამ მოდას. იმის გამო, რომ საერთაშორისო დაფინანსება მიმართულია ამგვარ მოდურ თემებზე, ეკონომიკურ მიდგომებში ესოდენ საჭირო მრავალფეროვნების გაჩენა ფერხდება.

1. „ფასების სწორად გაგება“

როგორც უკვე აღინიშნა, „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პირველი „გამოშვება“ – ისე, როგორც ეს 1990 წელს იყო განსაზღვრული – გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ „ფასების სწორად გაგებას“. იმავე წლის მაისში, ჩემი მეგობარი სანტიაგო როკა გახდა პერუს პრეზიდენტობის კანდიდატის, ალბერტო ფუხიმორის, ეკონომიკური მრჩეველი. ფუხიმორი ბევრად უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებდა მომავალი ინფლაციისგან ღარიბების დაცვაზე, ვიდრე მისი ოპონენტი მარიო ვარგას ლიოსა. ამავე დროს, სანტიაგომ ააგო პერუს ეკონომიკის ეკონომეტრული მოდელი და შეძლო ეჩვენებინა, თუ როგორ ანადგურებდა აქამდე არსებული პოლიტიკა პერუს ეკონომიკას. დავურეკე რა ჩემს მეგობარს პერუში და ახალი თანამდებობა მივულოცე, მან მაშინვე მიმიწვია ლიმაში ფუხიმორის პარტიის, „კამბიო 90-ის“, პროგრამის ჩამოყალიბებაში დასახმარებლად.[13]

იმ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპაში პარტიები სოკოებივით მრავლდებოდნენ და ფაქტიურად არაფრიდან ჩნდებოდნენ. პერუშიც, სადაც ორი კანდიდატი იბრძოდა პრეზიდენტობისთვის, მსგავსი ვითარება იყო, თუმცა პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურები არ არსებობდა. ვარგას ლიოსას მდიდრების მხარდაჭერა ჰქონდა, ხოლო ფუხიმორის „კამბიო 90“ ღარიბი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. პარტიის სათავო ოფისი განთვსებული იყო ოფთალმოლოგის მიტოვებულ სახლში, რომელიც სხვა პერუელი პროფესიონალების მსგავსად, მაიამიში იყო გაქცეული უკეთესი ანაზღაურების საძებრად. ოფისი ავენიდა არეკუიპაზე მდებარეობდა, რომელსაც ლიმას ცენტრიდან გარეუბანში მივყავართ. ოფისში არ იყო ელექტროობა და წყალი, თუმცა ტელეფონი კი იდო. ეკონომისტების ჯგუფი ქვეყნის განვითარების გეგმას წერდა კეთილი ექიმის მიერ დანატოვარ

რეცეპტის ბლანკებზე წერდა, რადგან ფული აუცილებელი საჭიროებებისთვისაც კი არ მოიპოვებოდა.

ფინანსური რესურსების უკმარისობა კომპენსირდებოდა იდეალიზმითა და ენთუზიაზმით. მრავალი ადამიანი უხელფასოდ მუშაობდა; სანტიაგო და მე დავუკავშირდით ჩვენს ყოფილ პროფესორებს კორნელის უნივერსიტეტიდან, რომლებიც ლათინური ამერიკის სპეციალისტები იყვნენ. საღამოობით ეს ჯგუფი სანტიაგოს სახლში ხვდებოდა ფუხიმორის გუნდის წევრებს, რომლებიც სანტიაგოს ცოლის, ტერეზას შეშფოთების მიუხედავად, შეესეოდნენ ოჯახის მაცივარს, იარაღს კი გაპრიალებულ ავეჯზე აწყობდნენ. ეს სრულებითაც არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა პერუელი მეცნიერების ოჯახში. როდესაც სანტიაგოს ოჯახის მიმართ სერიოზული მუქარა გაისმა, შეიქმნა მოხალისეთა გუნდი, რომელიც გულმოდგინედ დარაჯობდა მის სახლს. შემდგომში, სახლში ბომბიც კი აფეთქდა, რასაც საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა ამ ფაქტმა ხელი შეუშალა სანტიაგოს, ოსლოში ჩამოსულიყო და „სხვა კანონის“ კონფერენციაში მიეღო მონაწილეობა.

1990 წლის ივლისში, ინაუგურაციამდე ცოტა ხნით ადრე, ახალი პრეზიდენტი ალბერტო ფუხიმორი, ვაშინგტონში გაემგზავრა. იქიდან კი სულ სხვა ადამიანად დაბრუნდა – სოციალური პრობლემები მას აღარ აღელვებდა. ჩვენ ხუმრობით ვეკითხებოდით ერთმანეთს, თუ წამების (ხელის გადაგრეხის) რა მეთოდი გამოიყენეს მის წინააღმდეგ. ფუხიმორს შემდეგი რამ დაავალეს: თუ სახელმწიფო არ ჩაერეოდა ეკონომიკაში, შეამცირებდა საჯარო სექტორს და თვისობრივად მონაწილეობას არ მიიღებდა ფასების ფორმირებაში, დანარჩენი ყველაფერი თავისით დარეგულირდებოდა. თუმცა, პერუს შემთხვევაში არსებობდა ორი დაბრკოლება, რომლებიც ხელს უშლიდა საბაზრო

ძალებს თავის საქმის კეთებაში: ინფლაცია და შეიარაღებული ფორმირებები. ფუხიმორმა ბრძანა ამ ორი დაბრკოლების მოხსნა და, საბოლოოდ, მიაღწია კიდეც: ინფლაციის მაჩვენებელი, რომელიც 1990 წელს 7469%-ს შეადგენდა, 1997 წელს 6.5%-მდე შემცირდა. შეიარაღებული ფორმირებებიც, ფუხიმორის მმართველობის პერიოდში, თითქმის მთლიანად გაქრნენ. როგორც მე-14 დიაგრამაზე ჩანს, 1990 წლისათვის დეინდუსტრიალიზაციას უკვე „შეჭმული" ჰქონდა რიგითი პერუელი მოქალაქის რეალური ხელფასის 50% და აშკარა იყო კავშირი სიღარიბის ზრდასა და ტერორიზმის დონის მატებას შორის. ფუხიმორის გამარჯვებებისთვის საზოგადოებამ საკმაოდ მაღალი ფასი გაიღო სოციალური და ადამიანის უფლებების კუთხით და იყო მოლოდინი იმისა, რომ გაღარიბებულ პერუელ ხალხს დაუბრუნდებოდა სიმდიდრე და მიღებული სოციალური სიკეთეები გაწეულ ხარჯებს გადააჭარბებდა.

თუმცა, პრობლემა ის იყო, რომ ინფლაციის შემცირებისა და შეიარაღებული ფორმირებების ალაგმვის კუთხით ფუხიმორის წარმატების მიუხედავად, ადამიანთა ცხოვრებაში ეკონომიკური განვითარების მხრივ არაფერი შეცვლილა. მრეწველობის სხვადასხვა დარგის გაქრობამ რეალური ხელფასების შემცირება განაპირობა საარსებო მინიმუმამდე ისე, როგორც ამას დევიდ რიკარდო ვარაუდობდა. ხელფასები არ გაზრდილა და ღარიბი ფერმერები ვერ იღებდნენ უფრო მაღალ შემოსავალს თავიანთი ნაწარმის რეალიზაციის შედეგად. სინამდვილეში, ხელფასებისა და ფასების დაბალ დონეზე შენარჩუნება პოლიტიკური მიზანი გახდა, რათა ინფლაცია შეჩერებულიყო. მთლიანი შიდა პროდუქტის მცირეოდენმა ზრდამ ვერ უზრუნველყო მაღალი რეალური ხელფასი; ძირითადი სარგებელი წავიდა ფინანსურ სექტორსა და კერძო კომპანიების მოგებაში. პერუში

ამგვარი ორთოდოქსული ეკონომიკური ექსპერიმენტი 1970-იან წლებში დაიწყო, რაც ქვეყანას ძვირად დაუჯდა: რიგითი მოქალაქის საშუალო ხელფასი განახევრდა. ფუხიმორის მიერ გატარებული პოლიტიკით (რაც ეწინააღმდეგებოდა მისსავე დაპირებებს) აღშფოთებულმა სანტიაგო როკამ უარი თქვა პერუს ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის თანამდებობაზე, რაც მას არაოფიციალურად შესთავაზეს. ის პატიოსნად და უანგაროდ მუშაობდა, თავისი ოჯახის წევრების სიცოცხლეც კი დააყენა საფრთხის ქვეშ, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ფასების ფორმირებაში ჩაურევლობა საკმარისი არ აღმოჩნდა, ამან ქვეყანა კიდევ უფრო გააღარიბა.

როკას ოჯახის ისტორია იმის საილუსტრაციოდ გამოდგება, თუ რაოდენ რთულია იყო ინტელექტუალი მესამე სამყაროში. რისკები მაღალია, იდეალისტური მიზნებისა (ვებლენის „მშობლისეული მისწრაფება"*) და ოჯახის შენახვის შეთავსება – ურთულესი ამოცანაა. ჩემი ყოფილი სტუდენტის შემოსავალი, რომელიც უგანდის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელში, მაკერერეს უნივერსიტეტში მუშაობს, ყოველთვიურად 100 დოლარია. ის რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდში, ან მსოფლიო ბანკში მუშაობას დათანხმებულიყო, მისი შემოსავალი რამდენიმე ასეული დოლარი იქნებოდა ყოველდღიურად. ღირსების ფასიც და რისკიც მეტისმეტად მაღალია.

2. „საკუთრების უფლებების სწორად გაგება"

თანდათან უფრო ცხადი გახდა, რომ დომინანტი თეორიის დაშვებების საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ბაზარი ვერ უზრუნ-

* თორსტაინ ვებლენის ტერმინი – „მშობლისეული მისწრაფება" გულისხმობს ადამიანთა მისწრაფებას, ჩაერთონ იმგვარ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც სასარგებლო იქნება არა მხოლოდ კერძო ინდივიდისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც. ვებლენის აზრით, ხშირად, ადამიანთა ქცევას ეს მისწრაფება განაპირობებს (მთარგმნელის შენიშვნა).

ველყოფდა მსოფლიოში შემოსავლების გათანაბრებას. ამიტომაც, აუცილებელი გახდა სიღარიბის მიზეზების ისეთი ახალი ახსნის მოძებნა, რომელიც, სიახლის შემოტანასთან ერთად, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენებდა სტანდარტული ეკონომიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. კაპიტალიზმს აშკარად სჭირდებოდა კერძო საკუთრების უფლებების დაცულობა ფუნქციონირებისთვის. ნათლად ჩანს, რომ ღარიბ ქვეყნებში საკუთრების უფლებები ნაკლებ არის დაცული, ვიდრე მდიდარ სახელმწიფოებში. ამდენად, სწორედ ეს საკითხი დასახელდა ეკონომიკური განუვითარებლობის მთავარ მიზეზად. ამ მოსაზრების მიხედვით პერიფერიაში სიღარიბის მთავარი მიზეზი კაპიტალიზმი კი არ იყო, არამედ ის, რომ ღარიბი ქვეყნები არასაკმარისად კაპიტალისტურები იყვნენ.

ამ მოსაზრების მიხედვით, მასაის ტომელები ღარიბები იმიტომ არიან და ნატურალურ სოფლის მეურნეობაში იმიტომ არიან ჩართულნი, რომ მათ არა აქვთ განვითარებული საკუთრების უფლებები. მე საპირისპიროს ვიტყოდი (ეკონომიკურ თეორიაში ხშირად მიზეზები და შედეგები ერთმანეთს ეკვივალენტურად განაპირობებენ და მე ამას თანაევოლუციას ვუწოდებ), მასაის ტომს იმიტომ არ აქვს საკუთრების უფლებები, რომ ღარიბები არიან და ნატურალურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში არიან ჩართულნი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე მათი წარმოების ფორმებშია (ნატურალური სოფლის მეურნეობა და არა მრეწველობა) და არა ინსტიტუციონალურ მოწყობაში, ამ ტერმინის ვიწრო გაგებით. ინსტიტუტი, რომელიც ერგება წარმოების ერთ ფორმას, შესაძლოა, სრულიადაც არ მოერგოს მეორეს. მაგალითად, შესაძლოა ითქვას, რომ მომთაბარე საზოგადოებებში,[14] რომლებიც მეტწილად მწყემსობით არიან დაკავებულნი, მიწის გამოყენების თანმიმდევრული უფლება უფრო შესა-

ბამისია არსებულ წარმოების წესთან, ვიდრე კაპიტალისტურ საზოგადოებებში არსებული საკუთრების ფორმები.

მთლიანი სურათის დანახვის გარეშე, საბაზრო ეკონომიკის ცალკეული მახასიათებლების გამოყოფა უფრო ახშობს ჩვენს თვალთახედვას და პრობლემებს ერთ განზომილებაში აფასებს. ვენეციის რესპუბლიკაში კერძო საკუთრების უფლება ჯერ კიდევ 1000 წლის წინ არსებობდა. პირველი საკადასტრო რეგისტრაცია, რომელიც მიწის მფლობელების საჯარო აღრიცხვას ახორციელებდა, ვენეციაში დაფუძნდა 1148-1156 წლებში. ვენეციაში არსებულმა წარმოების წესმა, განსხვავებით მონადირეებისა და შემგროვებლების წარმოების წესისგან, მოითხოვა საკუთრების უფლებების შექმნის საჭიროება. საკუთრების უფლებებმა ვერ განაპირობეს კაპიტალიზმისა და ეკონომიკური ზრდის ფორმირება. საკუთრების უფლებები ერთგვარი თამაშის წესებია, რომლებიც შეიქმნა გარკვეული წარმოების სისტემის მიერ ამ სისტემის უკეთესად მართვის მიზნით.

ჰერნანდო დე სოტომ, მეორე პერუელმა ეკონომისტმა, სახელი გაითქვა სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლებების დაცვის მხარდაჭერის მოთხოვნით. დე სოტო ნამდვილად მართალია, როცა ის საუბრობს ლათინური ამერიკის ღარიბ სახელმწიფოებში ბიუროკრატიულ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლის განვითარებას. დე სოტო მართალია მაშინაც კი, როცა ამბობს, რომ ღარიბებს ხელს უშლის საკუთრების უფლებებში არსებული პრობლემები, გამოიყენონ საკუთარი სახლები გირაოდ, ვალის ასაღებად. თუმცა, როგორც ლათინურ ამერიკაში ჩატარებულმა რამდენიმე კვლევამ აჩვენა, ღარიბებისთვის საკუთრების უფლებების მიცემამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს მათ მიერ სახლების გაყიდვა საკვების, ან ჯანმრთელობის მომსახურების შესაძენად. ამგვარ გაურკვეველ ვითარებებში

ღარიბი ლათინოამერიკელები ხშირად ხდებიან თაღლითობის მსხვერპლნი. ეკონომიკური განვითარების გარეშე, საკუთრების უფლებებმა, შესაძლოა, ვითარება უფრო რთული გახადოს პრეკაპიტალისტურ საზოგადოებებთან შედარებით, სადაც საკუთრების უფლებების არქონა იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ყველას აეშენებინა სახლი საერთო მიწაზე. საკუთრების უფლებები მართალია საჭიროა განვითარებული ეკონომიკისათვის, მაგრამ ღარიბ ქვეყნებში შეიძლება ხელი შეუწყოს სოციალურად მიუსაფართა რიცხვის ზრდას, ბარიერები შეუქმნას ღარიბებს სახლების შეძენაში, რის შესაძლებლობაც მათ კაპიტალიზმამდელ საზოგადოებებში ჰქონდათ. ეს კი, ქალაქებში მათი მიგრაციის მიზეზი ხდება.

3. „ინსტიტუტების სწორად გაგება“

საკუთრების უფლებებზე ყურადღების გამახვილების შემდგომ, „ვაშინგტონის კონსენსუსის“ მეორე გამოშვებამ გააფართოვა საკითხის განხილვა და ინსტიტუტების სხვა ფორმები შემოიტანა.[15] ეკონომიკის ინსტიტუციონალური სკოლა, რომელიც დომინირებდა ამერიკულ ეკონომიკურ აზროვნებაში მე-18 საუკუნიდან მეორე მსოფლიო ომამდე, მეტოქეობდა ინგლისურ ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიასთან. ახალი ინსტიტუციონალიზმი აღმოცენდა ე.წ. „ისტორიის დასასრულის“ ხანაში და იგი აშკარად ეფუძნებოდა ნეოკლასიკურ ეკონომიკას, ამასთან ითავსებდა სხვა ინსტიტუტებსაც იმის ასახსნელად, რის ახსნასაც სტანდარტული ეკონომიკური სახელმძღვანელო ვერ ახერხებდა.

ტერმინი „ინსტიტუტები“ საკმაოდ ფართოა და მოიცავს ადამიანთა შეთანხმებებს – დაწყებული მორალის, შობისა და რამადანის აღნიშვნიდან, დამთავრებული პარლამენტისა და

კონსტიტუციის შექმნით. ჰა-ჯუნ ჩანგისა და პიტერ ევანსის განმარტებით: „ინსტიტუტები ეს არის საზოგადოებრივი მოლოდინის სისტემური მოდელები; აღიარებული მოსაზრებები, მიღებული ნორმები და ინტერაქციების რუტინა, რომლებსაც მძლავრი გავლენა აქვს ურთერთშეკავშირებული სოციალური აქტორების მოტივაციებისა და ქცევათა სახეების ფორმირებაზე. თანამედროვე საზოგადოებებში ინსტიტუტები სახიერდებიან ზემოდან მართულ ორგანიზაციებში, რომლებსაც აქვთ ოფიციალური წესები და იმის შესაძლებლობა, რომ დააწესონ სანქციები. ამგვარ ორგანიზაციებს წარმოადგენენ სახელმწიფოები და ფირმები“.[16]

საკუთრების უფლებების მსგავსად, სხვა ინსტიტუტები, რომლებიც თავისთავად, სტრუქტურული ცვლილებისგან განცალკევებულად ქმნიან მათზე მოთხოვნას, არ შეიძლება ჩაითვალონ ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობად. შორეულ სახელმწიფოებთან ვაჭრობის გამოისობით, სადაც საჭირო იყო აქლემების ქარავნებისა და სავაჭრო გემების გაგზავნა, შეიქმნა დაზღვევის ინსტიტუტი. მონადირე და შემგროვებელ ტომებში დაზღვევის სისტემის შემოღებას არ ექნებოდა ისეთივე ეფექტი, როგორც შორეული მოვაჭრეების შემთხვევაში ჰქონდა: განვითარების საფუძვლის ახსნის გასაღები ისაა, რომ სათანადოდ შევაფასოთ ცოდნისა და პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელობა, რომელსაც ქმნის ახალი ტექნოლოგიები და ახალი „წარმოების წესი“. ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომლებიც ნაკარნახევია წარმოების ფორმების ცვლილებით, ნამდვილად მნიშვნელოვანია, თუმცა მეორეხარისხოვანი. ინსტიტუტებს, კაპიტალის მსგავსად, არ აქვს თავისთავადი ღირებულება. კაპიტალის მსგავსად, ისინი ქმნიან ხარაჩოს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის მწარმოებლურ სტრუქტურას.

სოციალურ მეცნიერებებში „ინსტიტუტების“ ცნების გამოყენება ძალიან ადრე დაიწყეს. „საკმარისი არ არის ვიკითხოთ, დააარსეს თუ არა ჩვენმა წინაპრებმა სახელმწიფოს ინსტიტუტი. ალბათ, უფრო აუცილებელია, გავიგოთ და ავხსნათ, რატომ შეიქმნა ის. სწორედ მოვლენათა მიზეზების გააზრებით შეგვიძლია ჩავწვდეთ მათ საზრისს“. ეს ჩანაწერი მეთოდოლოგიის შესახებ ნაპოვნია 1413 წლის ფლორენციის კონსტიტუციის ანალიზში, რომელიც მომზადდა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის, სიგიზმუნდის, ბრძანებით. ამ ტექსტის ავტორი, ლეონარდო ბრუნი (1369-1444) წარმოადგენს სკოლას სამოქალაქო ჰუმანიზმისა, რომელიც შემდგომში რენესანსის პერიოდის იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების იდეოლოგიად იქცა.[17]

ის ფაქტი, რომ წარმოების ფორმა აყალიბებს და განსაზღვრავს ინსტიტუტებს (და არა პირიქით), დიდი ხანია ცნობილია. 1620 წელს ფრენსის ბეკონმა ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომელიც სოციალურ მეცნიერებებში ფაქტიურად ორი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა: *„არსებობს უზარმაზარი განსხვავება ადამიანების ცხოვრებაში ევროპის რომელიმე ცივილიზებულ მხარესა და ახალი ინდოეთის ყველაზე ველურ და ბარბაროსულ გარეუბანს შორის... და ეს განსხვავება მომდინარეობს არა მიწიდან, კლიმატიდან, რასიდან, არამედ ხელობიდან“.*[18] ფრენსის ბეკონი ცხადად ხედავს საკითხის მიზეზ-შედეგობრიობას: ადამიანის აქტივობები – წარმოების წესი – განსაზღვრავს ინსტიტუტებს. თორსტაინ ვებლენი, ძველი ინსტიტუციონალური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ასევე ხაზს უსვამდა მიზეზ-შედეგობრიობის მიმართულებას ყოველდღიური აქტივობებიდან ინსტიტუტებისკენ.

სწორედ იმიტომ, რომ ინსტიტუტები და წარმოების წესი საზოგადოებაში პარალელურად განვითარდა, შეუძლებელია

ინსტიტუტები გავმიჯნოთ ტექნოლოგიური სისტემისგან, რომლებსაც სჭირდებოდა და შექმნა კიდეც ისინი. დღეს ტოლობის ერთ მხარეს განცალკევებით დგას ინსტიტუტები, როგორც განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტები, რაც ზედმეტად გაზვიადებულია და, შესაბამისად, ამახინჯებს წარმოდგენას ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების შესახებ.

თავის 1882 წლის რომანში De lycksaligas ö („ნეტართა კუნძული"), შვედი დრამატურგი აუგუსტ სტრინბერგი განიხილავს კავშირს წარმოების წესსა და ეკონომიკურ ინსტიტუტებს შორის. ამ ნოველაში მე-18 საუკუნის შვედ ტუსაღებს – მათ შორის ორ ახალგაზრდა სტუდენტს, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს მეფეს – გზად შორეული კოლონიისკენ, რომელსაც ვერასდროს მიაღწევენ, რობინზონ კრუზოს მსგავსად გემები რამდენჯერმე დაელუპებათ. სტუდენტების მეთაურობით დასჯილები (ახლა უკვე ყოველგვარი ხელისუფლებისაგან თავისუფალნი), დააარსებენ საკუთარ საზოგადოებას და გააზრებულად განიხილავენ იმ ინსტიტუტების გაუქმების ან შექმნის საკითხს, რომლებიც არსებობდა მათ სამშობლოში. გამოკვეთილად ტროპიკული კლიმატის კუნძულზე ყოფნისას ისინი გადაწყვეტენ, გააუქმონ ყველა მათთვის ნაცნობი ინსტიტუტი. ისინი ამტკიცებენ, რომ არ გჭირდება არავითარი კანონი მემკვიდრეობის შესახებ, თუ შიშველი დახეტიალობ და დედაბუნების მიერ მოცემული საკვებით იკვებები. მეორედ გემის დაღუპვის შემდგომ, ისინი მიაღწევენ კუნძულს, რომელზეც უფრო ზომიერი კლიმატია. ისინი აღმოაჩენენ, რომ მათი ცხოვრების ახალი სტილი მოითხოვს იმ ინსტიტუტების აღდგენას, რომლებზეც ადრე უარი თქვეს. აუგუსტ სტრინბერგი ამტკიცებს ფრენსის ბეკონის მოსაზრებას: წარმოების წესი აყალიბებს და განსაზღვრავს ინსტიტუტებს და არა პირიქით. აზრი არა აქვს ადგილები შევუცვალოთ მიზეზებსა და შედეგებს.

ნეო-კლასიკურმა ეკონომიკამ წარმოების ხარისხობრივი გაგების (რასაც წარმოება ბარტერზე და ვაჭრობაზე დაჰყავს) დაკარგვასთან ერთად, დათმო წარმოებასა და ინსტიტუტებს შორის კავშირის გააზრებაც. დაავიწყებულ იქნა, რომ საქმიანობის სპეციფიკა განსაზღვრავს ინსტიტუტებს, რაც საუკუნეების განმავლობაში ცნობილი იყო სოციალური მეცნიერებისთვის.[19] ამ დანაკარგმა უარყოფითად იმოქმედა მრავალ განვითარებად ქვეყანაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვამტკიცებ, რომ „არშემდგარი სახელმწიფოების" ინსტიტუციონალური წარუმატებლობები შეუძლებელია გასაგებად აიხსნას ეკონომიკური აქტივობებისგან დამოუკიდებლად, რომლებშიც ჩართულნი არიან ეს სახელმწიფოები.

4. „მმართველობის სწორად გაგება"

1990-ის შემდგომი, ტრიუმფალისტური წლების განმავლობაში, „სახელმწიფოს როლის დაკნინება" „ვაშინგტონის კონსენსუსის" განუყოფელი ნაწილი იყო. სიტყვებმა „სახელმწიფო" და „მთავრობა" უარყოფითი კონოტაცია შეიძინეს. თუმცა, 1990-იანი წლების შემდგომ, სახელმწიფო და მთავრობა უკან დააბრუნეს „მმართველობის" საფარველში. მსოფლიო ბანკი „მმართველობას" განსაზღვრავს, როგორც „პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმიანობას რესურსების მართვის საშუალებით, საზოგადოების პრობლემების გადასაჭრელად", სავსებით სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ტერმინი „მმართველობა" იგივე რამეს გულისხმობს, რასაც „სახელმწიფო" და „მთავრობა".

გლობალურ დონეზე „მმართველობის" ყველაზე სერიოზული პრობლემა „არშემდგარი სახელმწიფოებია". Financial Times-ის მიხედვით, მსოფლიო ბანკი აკვირდება 48 სახელმწიფოს,

რომლებიც დგანან „არშემდგარ სახელმწიფოდ“ გადაქცევის რისკის პირას. თუ ვინმე დააკვირდება არშემდგარი სახელმწიფოების ეკონომიკურ სტრუქტურას, შედარებით ზედაპირული ანალიზიც ააშკარავებს, რომ არსებობს ძლიერი კავშირი ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურასა და ქვეყნის გაბანკროტებას შორის. არშემდგარ სახელმწიფოებს აქვთ საერთო ეკონომიკური მახასიათებლები, რომლებიც მათ განასხვავებენ, მაგალითად, გერმანიის, კანადისა ან ნორვეგიისგან. ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოების გაბანკროტებისგან გადარჩენას, უნდა კონცენტრირდეს მიზეზების აღმოფხვრაზე და არა სიმპტომებთან ბრძოლაზე. ამგვარი პოლიტიკის უკან უნდა იდგეს ანალიზი, რომელიც შეეცდებოდა იმის გაგებას, თუ როგორ მიაახლოოს არშემდგარი სახელმწიფოები მწარმოებლური სტრუქტურით იმ ქვეყნებთან, რომლებიც დამაკმაყოფილებლად და დემოკრატიულად ფუნქციონირებენ.

გაბანკროტებული ქვეყნების საერთო მახასიათებლები, სხვა მიზეზებთან ერთად, შემდეგია: ძალიან ცოტა მათგანს თუ გააჩნია ურბანული მაღალი წარმადობის ინდუსტრიები, შრომა უმნიშვნელოდაა დანაწილებელი (ე.ი. არსებობს მონოკულტურა), არ არის პოლიტიკური სტაბილურობის განმაპირობებელი ურბანული საშუალო კლასი, არ არსებობს წვრილ მეწარმეთა ეკონომიკურად დამოუკიდებელი კლასი, არ არის კონკურენცია საექსპორტო საქმიანობაში; შედარებითი უპირატესობაა მსოფლიო ბაზრებისთვის იაფი მუშახელის შეთავაზება, მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე ნაკლებია და განათლების დონე დაბალი, ამას ემატება „ტვინების გადინებაც“. სახელმწიფოებში, რომლებსაც ამგვარი ეკონომიკური სტრუქტურა გააჩნიათ, გარკვეული სახის რეგიონალიზმი ვითარდება, რომელსაც ლათინურ ამერიკაში caudillismo-დ მოიხსენიებენ, სომალსა და

ავღანეთში კი – „საველე მეთაურების“ მმართველობად. ეკონომიკური სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ერი-სახელმწიფოს დუღაბს ან სუსტია, ან საერთოდ არ არსებობს.

პირველი მდიდარი სახელმწიფოები, რომლებსაც რესპუბლიკური წყობა გააჩნდათ, იყო ან კუნძულოვანი, მაგალითად, ვენეცია, ან ძალიან მცირე სავარგულის მქონე საზღვაო ქვეყნები, მაგალითად, გენუა, ან ჰოლანდიის რესპუბლიკა. სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობა, ფეოდალური სტრუქტურის არარსებობას ნიშნავდა და ხელს უწყობდა ეკონომიკური სტრუქტურის დივერსიფიკაციას, მათ შორის მაღალი უკუგების მქონე აქტივობების გაჩენას. ამან აქცია ფლორენცია, რომელსაც ტრადიციულად ჰყავდა მნიშვნელოვანი მიწათმფლობელი კლასი, ასე საინტერესო მაგალითად. ფლორენციაში ერთმანეთს ძალაუფლებისთვის ებრძოდნენ corporazioni (გილდიები) და მოქალაქეები, თუმცა მანამდე, ძალიან ადრე (XII-XIII საუკუნეებში) ფლორენციელებმა მდიდარ მიწათმფლობელებს აუკრძალეს პოლიტიკაში მონაწილეობა. ეს ოჯახები პრობლემებს უქმნიდნენ ფლორენციას საუკუნეების განმავლობაში, კრავდნენ რა ალიანსებს სხვა ქალაქებთან.

ამ წიგნში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურას შორის. ადრეული დემოკრატიები, იყვნენ ის სახელმწიფოები, რომლებშიც ხელოსნებმა და მწარმოებელმა კლასმა შეძლეს გავლენა მოეხდინათ დიდებულებზე. ჯოვანი ბოტეროსთან (1544-1617) და გერმანული Staatsraison (ეროვნული ინტერესი) ტრადიციის მიხედვით, არსებობს ცხადი კავშირი ეკონომიკურ სტრუქტურას, სახელმწიფოების სიმყარესა და მმართველობისადმი დაქვემდებარებას შორის. Ragion di Stato (ეროვნული ინტერესი) და Sulle grandezze delle Citta (ქალაქთა სიმდიდრის შესახებ)

ბოტეროს ერთი და იმავე ნაშრომის ნაწილებია,[20] რომელიც ეძღვნება სახელმწიფოს, ქალაქისა და მათი ეკონომიკური სტრუქტურის ერთიან გააზრებას. ეს ტრადიცია შემდგომში გააგრძელეს მე-18 საუკუნის სოციალურმა მეცნიერებმა, მათ შორის მონტესკიემ.

ამ წიგნის მე-3 თავში ჩვენ ასევე შევეხეთ ვეიტ ლუდვიგ ვონ სეკენდროფის ნაშრომს (1626-92) (იხ. თავი მესამე). მან დაინახა, რომ გერმანიას არ ჰქონდა იმგვარი ეკონომიკური საფუძველი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ჰოლანდიის მსგავსი რესპუბლიკის შექმნას, რომლითაც იგი აღფრთოვანებული იყო. სეკენდროფისეული მიდგომა სახელმწიფოს ფუნქციების გაუმჯობესებისადმი, მიბმული იყო თვით სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნდამენტის ცვლილებასთან, მათ შორის ამ ეკონომიკისთვის დამახასიათებელი პროფესიებისა და ინდუსტრიების, ასევე მათი გეოგრაფიული არეალის ცვლილებასთან. სეკენდროფის აზროვნების ტრადიციის მიხედვით, Fursten (პრინცები) მოდერნიზატორებად უნდა გადაქცეულიყვნენ, რადგან მათი Recht (უფლება) ემართათ, შეკავშირებული იყო Pflicht (პასუხისმგებლობასთან) განეხორციელებინათ მოდერნიზაცია და ამის შედეგად შეექმნათ პირობები იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში Fursten [ანუ მონარქია. – მთარგმნ.] მოძველებულიყო და დემოკრატიის წინაპირობები გაჩენილიყო. სეკენდროფის მოსაზრებით, წარმატებული მმართველობა საკუთარ თავში მოიცავდა თვითგანადგურებისა და ამავდროულად დემოკრატიის დაბადების მარცვალს, თუმცა გზა დემოკრატიისკენ ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და ნედლეულის წარმოების უარის თქმაზე გადიოდა.[21] დღესდღეობით, ფრენსის ფუკუიამას მიერაც კი აღიარებულია „მჭიდრო კორელაცია ინდუსტრიალიზაციასა და დემოკრატიას შორის“,[22] თუმცა, რაც აღიარებული არ არის,

შემდეგია: ა) ეკონომიკის სტრუქტურიდან (ურბანული მუშათა კლასი და ინდუსტრიული საქმიანობა) გამომდინარეობს ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა და არა პირიქით; ბ) ფაქტობრივად, გამონაკლისის გარეშე, ამგვარი ინდუსტრიული ეკონომიკა წინასწარ განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის, სახელმწიფო მხარდაჭერისა და ინდუსტრიული აქტივობების პროტექციის გარეშე არსად განვითარებულა. ინდუსტრიის შექმნა და დაცვა ნიშნავს დემოკრატიის შექმნასა და დაცვას.

5. „კონკურენტუნარიანობის სწორად გაგება"

ტერმინი „კონკურენტუნარიანობა" „ისტორიის დასასრულის" ეკონომიკის პროდუქტია, რომელიც მოდაში შემოვიდა ადრეულ 1990-იანებში.[23] თავდაპირველ ეტაპზე ეს ტერმინი საკმაოდ საკამათო იყო. „ეროვნული კონკურენტუნარიანობა" – წერდა რობერტ რაიხი – „საზოგადოებრივი დისკურსის ერთ-ერთი იმ ტერმინთაგანია, რომელიც ბუნდოვანებიდან სწრაფად გადაიქცევა უაზრობად, ყოველგვარი შუალედური პერიოდის გარეშე". მოგვიანებით, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს, ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის მმართველობის სკოლის პროფესორი რაიხი, ამერიკის შრომის მინისტრი გახდა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას, რაიხი მხარს უჭერდა იდეას, რომ ამერიკა გადასულიყო მაღალი დამატებითი ღირებულების შემქმნელ ეკონომიკურ სექტორებზე, რაც მთლიანად თანხვედრაშია ჩემ მიერ შექმნილ ეკონომიკური აქტივობების ხარისხობრივ ინდექსთან. რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა, პოლ კრუგმანმა, თავის სტატიაში ორჯერ მოიხსენია რაიხი როგორც „პოპ ინტერნაციონალისტი" და გარკვეულწილად არააკადემიურად გააკრიტიკა თავისი კოლეგის ტერმინი „მაღალი

დამატებითი ღირებულების შემქმნელი სექტორები", უწოდა რა მას „სულელური ცნება". თუმცა იმავე ნაშრომში, კრუგმანი შეეხო ტერმინ „კონკურენტუნარიანობას": „თუ ჩვენ სტუდენტებს ვასწავლით სიტყვა „კონკურენტუნარიანობის" გაგონების დროს შეკრთომას, ეს უკვე ნიშნავს, რომ ჩვენ დიდი სამსახური გავუწიეთ ჩვენს ერს". ამ პერიოდში კრუგმანი ემხრობოდა დევიდ რიკარდოს იდეებს.

მიუხედავად იმისა რომ, არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს აშშ-ის ინდუსტრიულ და სავაჭრო პოლიტიკაში – არც რაიხსა და არც კრუგმანს – არ მოსწონდა „კონკურენტუნარიანობის" გამოყენება, ამ ტერმინის პოპულარულობა მაინც იზრდებოდა. ჩემი აზრით, ორი რამ განსაზღვრავს ამ ტერმინის წარმატებას: ბუნდოვანება და მოქნილობა. სავსებით თავდაჯერებულად შეიძლება ეწოდოს არაკონკურენტუნარიანი როგორც ქუჩის მათხოვარს, ისე მთელ საზოგადოებას – ეს თითქოს ყველაფერს ამბობს, თუმცა სინამდვილეში არაფერს. როგორც მომავალში ვნახავთ, ეს ტერმინი საკმაოდ მოქნილია და, გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლოა აღნიშნავდეს ერთმანეთის საპირისპირო ფენომენებს: როგორც მაღალ ხელფასს, ასევე – დაბალსაც.

ფირმების დონეზე, ტერმინი „კონკურენტუნარიანობა" ადვილად გასაგებია. ეს არის ფირმის უნარი შევიდეს კონკურენციაში ბაზარზე, გაიზარდოს და იყოს მომგებიანი. თავის წიგნში ქვეყნების კონკურენტული უპირატესობა, მაიკლ პორტერი წერს, რომ არ არსებობს კონკურენტუნარიანობის ცნების შეთანხმებული განსაზღვრება, თუმცა შემდგომში დასძენს: „ერთადერთი გონივრული კონცეფცია ეროვნულ დონეზე არის ქვეყნის პროდუქტიულობა".[24] თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს განმარტება არცთუ ისე ნათელია. როგორც ბეისბოლისა და გოლფის ბურთების მაგალითებიდან დავინახეთ, მთავარია

ის, თუ რა სექტორშია ქვეყანა პროდუქტიული და არაპროდუქტიული. ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორმა ბრუს სკოტმა, ჩამოაყალიბა განსაზღვრება, რომელსაც შემდგომში იყენებდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის პროგრამა: „კონკურენტუნარიანობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საფეხური, რომელსაც სახელმწიფომ შეიძლება მიაღწიოს თავისუფალი ბაზრის პირობებში და აწარმოოს ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელსაც შესწევს უნარი შევიდეს საერთაშორისო კონკურენციაში. ამის პარალელურად კი შეინარჩუნოს და გაზარდოს შიდა რეალური შემოსავალი.“[25]

ამ განმარტების მიხედვით, კონკურენტუნარიანობა შეიძლება დავინახოთ როგორც პროცესი, რომელშიც რეალური ხელფასი და ეროვნული შემოსავალი სტიმულირდება არასრულყოფილი კონკურენციის სისტემით და მოაქვს ქვეყნისთვის „რენტა“. ალბათ, სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც ნეოკლასიკოსი ეკონომისტები ეწინააღმდეგებოდნენ კონკურენტუნარიანობის ცნებას. თუმცა, ეს ტერმინი სრულ შესაბამისობაშია მდიდარი სახელმწიფოების გამდიდრების მიზეზებზე ჩვენ („სხვა კანონის“) შეხედულებასთან. ტრადიციულად, როცა განვითარების ამგვარი გზა მიუღწეველი იყო, დგინდებოდა ტარიფები იმ დარგების დასაცავად, რომელიც ყველაზე მეტად განიცდიდა ტექნოლოგიურ ცვლილებებს, თუმცა კონკურენცია მაინც ნარჩუნდებოდა. რაც უფრო ჩამორჩენილი იყო ქვეყანა, მით უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო ტარიფი, რომ სასურველი შედეგებისთვის მიეღწიათ.

ამგვარად, კონკურენტუნარიანობა გულისხმობს პროცესს, რომელიც ამდიდრებს ხალხებს და სახელმწიფოებს, რეალური ხელფასისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით. ამის მი-

უხედავად, რამდენიმე წლის წინ ჩემი უგანდაში ვიზიტისას, გადავაწყდი ამ ტერმინის საპირისპირო მიდგომის, ანუ ხელფასების შემცირების სასარგებლოდ გამოყენებას. ტექსტილის საქსოვი ფაბრიკები, რომლებიც უგანდაში აფრიკის განვითარებისა და შესაძლებლობების აქტით (AGOA) მიიზიდეს (ეს არის აშშ-სა და აფრიკას შორის ბაჟის გარეშე კომპონენტების იმპორტის პროგრამა აფრიკის ქვეყნების ბაზარზე შემდგომი აწყობისა და რე-ექსპორტისთვის, მექსიკური „მაკუილადორას“ ანალოგი), აღარ იყვნენ კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე. მაშინ პრეზიდენტი მუსევანი ამტკიცებდა, რომ უგანდამ კონკურენტუნარიანობისთვის უნდა შეამციროს დასაქმებულთა ხელფასები.

ასე რომ, კონკურენტუნარიანობა საკმაოდ მოქნილი ტერმინია და შესანიშნავად ერგება ჩვენი დროის აღრეულ აზროვნებას, ხსნის რა ეკონომიკური თეორიების აბსოლუტურ მარცხს. ის შეიძლება გამოვიყენოთ იმ მექანიზმის აღსანერად, რომელიც ყველას ამდიდრებს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტება), ასევე ამის საპირისპირო აზრის დასამტკიცებლად, კერძოდ, დასაქმებულების დასარწმუნებლად, რომ ისინი შეურიგდნენ უფრო მეტ სიღარიბეს (პრეზიდენტ მუსეივინის განმარტება). ევროპის შემთხვევაში სამწუხარო ის არის, რომ ეს ტერმინი სულ უფრო მეტად გამოიყენება უგანდურის აზრით, „შრომის ბაზრის მოქნილობასთან ერთად“ (რაც განუხრელად ნიშნავს მოქნილობას ხელფასების შემცირების მხრივ). იმისთვის, რომ „კონკურენტუნარიანი“ ვიყოთ, ჩვენ უნდა დავწიოთ ჩვენი ცხოვრების დონე.

6. „ინოვაციების სწორად გაგება“

2000-2001 წლების გამოსვლებში, ალან გრინსპანმა ჯოზეფ შუმპეტერი ეკონომიკურ მეინსტრიმში შეიყვანა. მხოლოდ შუმპეტერის თეორიას შეეძლო სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და დაბალი ინფლაციის კომბინაციის ახსნა, რასაც იმ პერიოდის ამერიკა განიცდიდა. მიიჩნევდნენ, რომ იმან, რაც „ახალ ეკონომიკაში“ ხდებოდა, დროებით მოკლა ნორმალური პერიოდის ეკონომიკური გრავიტაციის კანონები. ამიტომაც, გრინსპანმა შუმპეტერი იმ ტიპის თეორეტიკოსად და წინასწარმეტყველად გამოაცხადა, რომელმაც შეძლო ამ მოვლენების განჭვრეტა. ამ მოვლენების ცენტრში კრეატიული დესტრუქცია იყო, რაც შუმპეტერის სახელთან ასოცირდებოდა. ეს კონცეპტი, როგორც ჩანს, საკმაოდ შესაფერისი აღმოჩნდა იმ პროცესების აღსაწერად, რომელშიც ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები, შედარებით ძველ ტექნოლოგიურ მიდგომებს ანაცვლებენ – ძველი კომპანიები კი კვდებინ და მათ ადგილზე ახალი ფირმები ჩნდებიან.

აქ კიდევ ერთი შესაძლებლობა გვეძლევა ავხსნათ, თუ რატომ რჩება მესამე სამყარო ღარიბად: მესამე სამყაროს ქვეყნები არ ნერგავენ ინოვაციებს იმგვარად, როგორც ამას „სილიკონის ველზე“ აკეთებენ. თუმცა აქაც, სხვა ზემოთ აღწერილი შემთხვევების მსგავსად, სტანდარტული ეკონომიკა თვალთახედვის მიღმა ტოვებს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების დროს, რამდენიმე მექანიზმი ერთდროულად მუშაობს, რომელთაც მიჰყავს ქვეყნები მზარდ და არა კლებად ეკონომიკურ გარდაქმნებისკენ.

პირველ რიგში, როგორც ტექნოეკონომიკური პარადიგმის აღწერისას ითქვა (იხ. თავი 4), კრეატიული დესტრუქციის ქარიშხალი იქმნება სპეციფიკური ინდუსტრიული კლასტერე-

ბის ირგვლივ. ეს ინდუსტრიები განლაგებულნი არიან რაღაც გეოგრაფიულ სივრცეში – იქნება ეს მანჩესტერი, დეტროიტი თუ სილიკონის ველი, სადაც მოქმედებს „კლონდაიკის“ ეფექტი. შემოსავლებისა და რეალური ხელფასის ზრდა ქმნის უზარმაზარ მსყიდველობით უნარს, რაც ფულის შოვნას შესაძლებელს ხდის ბიზნესის ისეთ სახეობებში, რომლებიც სხვა პირობებში ვერ იმუშავებდა. ეს უმთავრესი ინოვაციები იქმნება მხოლოდ გარკვეულ ინდუსტრიებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინოვაციებში შესაძლებლობების ფანჯარა ძალზედაა დამოკიდებული ეკონომიკური აქტივობის ხასიათზე. ჩვენ ინტუიციით შეგვიძლია გამოვიცნოთ, რომ ბილ გეითსი ისეთივე წარმატებას ვერ მიაღწევდა მონღოლეთში თხების ბიზნესში, რაც მან შეძლო Microsoft-ის შემთხვევაში. თუმცა, სტანდარტული ეკონომიკური თეორია ამ მიღებულ აზრს ასე ადვილად არ ეთანხმება.

მეორე მხრივ, ორი სხვადასხვა ტიპის ინოვაცია ფუნდამენტურად განსხვავებული გზებით ვრცელდება. პროდუქტზე დაფუძნებული ინოვაციები, როგორსაც, მაგალითად, ქმნის Microsoft-ი ან ქმნიდა ჰენრი ფორდი, ეკონომიკაში ვრცელდება მაღალი მოგებისა და შემოსავლების სახით.[26] სხვა ინდუსტრიებში ახალი ტექნოლოგიების „პროცესების ინოვაციების“ სახით გამოყენებამ შეიძლება ფასების დაწევის ტენდენცია წარმოშვას. რამდენადაც ავიაცია მეტწილად ისეთივეა როგორც 25 წლის წინ იყო – ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ ამ ბიზნესში ფრენების სწრაფი გაიაფება გამოიწვია (რამაც ძირითადად მომხმარებელს არგო). როგორც წინა თავში ავხსენით, ინოვაციები ზოგ შემთხვევაში იწვევს ხელფასებზე წნეხის შემცირებას (ინოვაციები, რომლებიც სჯიან მწარმოებლებს); სასტუმროები ვენეციაში ან ესპანეთის კოსტა დელ სოლში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა დაჯავშნის ინტერნეტით მომსახურებამ შეამცირა სასტუმროების ფასები და მოგების მარჟები ორივე ადგილას.

შუმპეტერის სტუდენტმა, ჰანს ზინგერმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განვითარების ეკონომიკაში იმის ჩვენებით, რომ ინოვაციებმა „მესამე სამყაროს“ ნედლეულის სექტორში, გამოიწვია ნედლეულის დაბალ ფასად გავრცელება „პირველ სამყაროში“, ხოლო ინოვაციები (მეტწილად პროდუქტებზე დაფუძნებული ინოვაციები) „პირველ სამყაროში“ გარდაიქმნება მაღალ ხელფასებად თავად „პირველი სამყაროს“ მოქალაქეებისთვის.[27] იმ შემთხვევაშიც კი, როცა ღარიბები ნერგავენ ინოვაციებს, ისინი ვერ იმკიან შესაბამის სარგებელს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ სპეციალიზდებოდნენ ღარიბი ქვეყნები, დაწყებული მექსიკით და ჰაიტით დამთავრებული იმ ეკონომიკურ აქტივობებზე, რომლებშიც ინოვაციების ან მასშტაბის ეკონომიკის პოტენციალი ფაქტობრივად არ არსებობს. ეს არის იმ სახის აქტივობები (რაც ბეისბოლის ბურთების წარმოების მაგალითმა გვიჩვენა), რომელშიც ამერიკულმა კაპიტალმა და ინჟინრებმა ვერ დაინახეს ინოვაციების, ან პროდუქტიულობის ზრდის პოტენციალი. გამოდის რომ ღარიბ ქვეყნებს აიძულებენ იმ ეკონომიკურ აქტივობებზე სპეციალიზებას, რომლებშიც ინოვაციების განვითარების პერსპექტივა არ არსებობს, შემდგომ კი მათ ბრალს დებენ ინოვაციების არასაკმარისად განვითარებაში. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ეს ქვეყნები სიღარიბეზე სპეციალიზდებიან.

7. „მეწარმეობის სწორად გაგება“

მეწარმეობა და, ზოგადად, ადამიანური ინიციატივა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი, იზოლირებულად, მეინსტრიმული ეკონომიკის მიღმა არსებობს. თუმცა, ბოლო პერიოდში მეწარმეობის სიმწირე წარმოჩნდა, როგორც სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზი. ვფიქრობ, რომ ვითარების ამგვარი ახსნა არცთუ ისე გო-

ნივრულია. მაშინ როცა მდიდარი ქვეყნების მცხოვრებთ სამუშაო ადგილები აქვთ, ღარიბ ქვეყნებში ადამიანების გადარჩენა მათ მეწარმეობაზეა დამოკიდებული. მოთხოვნის, მიწოდების და კაპიტალის ნაკლებობას, ასევე პირველადი მოხმარების საგნების ბაზრებზე კონკურენციის ფორმებს, გამომწყვდეული ჰყავთ ღარიბები იმგვარ ვითარებაში, რომელშიც სამეწარმეო წარმატება მეტისმეტად რთულია. ამიტომაც, ლოგიკურია, რომ სულ უფრო მეტი და მეტი ღარიბი ტოვებს თავის ქვეყანას და მიდის მდიდარ სახელმწიფოებში, თავისი სამეწარმეო იდეების განსახორციელებლად. ისტორიულად ბრძნული პოლიტიკის მეშვეობით, სწორედ ეს მდიდარი ქვეყნები, სადაც ღარიბები მიდიან, ახერხებდნენ ეკონომიკური განვითარების „სასიკეთო წრეში" მოხვედრას, რომელსაც ახასიათებს მზარდი უკუგება, სინერგია და არასრულყოფილი კონკურენცია.

8. „განათლების სწორად გაგება"

კაპიტალიზმის ფუნდამენტური მამოძრავებელი ძალებია ადამიანის გონება და ენერგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ – ახალი ცოდნა და მეწარმეობა. ზედაპირულად თუ შევხედავთ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ყველაზე მეტად ღარიბ ქვეყნებს სჭირდებათ უფრო მეტად განათლებული ხალხი. ეს მართლაც ასეა, თუმცა, როგორც ეკონომიკური განვითარების წარმატებული მაგალითები გვიჩვენებს, განათლებულ ადამიანებთან ერთად, ამავდროულად, საჭიროა სამუშაო ადგილების შექმნაც, სადაც ამ ადამიანების უნარებზე იქნება მოთხოვნა. ამგვარი კოორდინირებული ძალისხმევა, რომელიც გულისხმობს განათლებულ ადამიანებზე მოთხოვნისა და მიწოდების დაკმაყოფილებას, იყო წარმატებული განვითარების პოლიტიკის მახასიათებელი ნიშანი, იქნებოდა ეს მე-19 საუკუნის ამერიკაში თუ მეორე მსოფ-

ლიო ომის შემდგომ სამხრეთ კორეაში, ან ირლანდიაში – 1980 წლის შემდეგ. ამგვარი პოლიტიკა, ყოველთვის მოითხოვდა ეკონომიკური ჩაურევლობის პრინციპის უარყოფას.

სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ პრობლემის ერთ მხარეზე ზრუნავენ, განათლებით, ფაქტობრივად, ხელს უწყობენ მიგრაციას. განათლებულ ადამიანთა გადინება ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში უტოლდება კაპიტალის გადინებას იგივე მიმართულებით, რასაც გუნარ მირდალი „საწინააღმდეგო ტალღას“ უწოდებს. მრავალ ღარიბ ქვეყანაში, მათდა სამწუხაროდ, ექსპორტში პირველი ადგილი ამავე ქვეყნების მოსახლეობას უკავია, რომელთა მიერ გამოგზავნილი თანხა წარმოადგენს საგადამხდელო ბალანსის უმთავრეს შემადგენელს. როგორც ჩანს, ღარიბი ემიგრანტების მიერ სამშობლოში გადმორიცხული თანხები მეტწილად მოხმარებაზე მიდის და არა ინვესტიციებში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, წახალისების ნაცვლად, აბრკოლებს ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივებს. რატომ უნდა იმუშაო ჰაიტიზე საათში 50 ცენტად, როცა შენი ძმა ფლორიდაში იღებს 6.40 აშშ დოლარს საათში და ფულს სახლში აგზავნის?

9. „კლიმატის სწორად გაგება“

ღარიბ ქვეყნებში საკუთარი პოლიტიკის სრული ჩავარდნის საპასუხოდ, მეინსტრიმულმა ეკონომიკურმა თეორიამ გადაწყვიტა, რომ დაბრუნებოდა კარგად დავიწყებულ ძველ თემებს განვითარების ეკონომიკიდან, რომელთაც სამართლიანად ჰქონდა მიჩენილი ადგილი ამ დარგის პერიფერიაში. კლიმატი, გეოგრაფია და დაავადებები კვლავ იქცა მეინსტრიმული განვითარების ეკონომიკის მთავარ თემებად. ისტორიის გადაწერის პროცესში ეს ფაქტორები ინკორპორირებული და დამახინ-

ჯებულია ნეოკოლონიალური/ნეოიმპერიალური სიყალბით.[28] ბუნებრივია, ეს ფაქტორები მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა, მათი როლი იმაში მდგომარეობს, თუ რა გავლენას ახდენს ისინი ადამიანების დასახლებებსა და მოსახლეობის ინტერესებზე. განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაა, რისი ტიპიც დამოკიდებულია მმართველი კლასის ვიწრო ინტერესებზე.

ტროპიკებში დასახლებები ძირითადად ნედლეულის მოსაპოვებლად ფუძნდებოდა.[29] ნედლეულის მოპოვებას, თავის მხრივ, იქნებოდა ეს სოფლის მეურნეობაში თუ სამთო მრეწველობაში, სჭირდებოდა მონური შრომა. მაშინ როცა ევროპა ნელ-ნელა ეთხოვებოდა ფეოდალიზმს, ტროპიკებში სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები კვლავ ეფუძნებოდა პატრონისა და მონის ურთიერთობის პრინციპებს. ამასთან, ექსპორტის სექტორის მიღმა, მიწის მფლობელობა კვლავ იხრებოდა ფეოდალიზმისკენ. საუკუნეების განმავლობაში, ნედლეულით ღარიბ, ზომიერ სარტყელში მიწის ფლობა, არ ითვლებოდა სასურველ კერძო საკუთრებად. ჰოლანდიელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1667 წელს ბრედას ზავის მეშვეობით მიიღეს სურინამი (შემდგომში, ჰოლანდიურად გაიანა ეწოდა) ნიუ-იორკის სანაცვლოდ.

ზომიერ კლიმატურ ზონებში დასახლებები თვისობრივად განსხვავდებოდა ტროპიკებისგან. ასეთი ადგილები იზიდავდნენ ადამიანებს, რომლებსაც მიწაზე თავად, მონების გარეშე, უნდოდათ მუშაობა. ადგილობრივი მთავრობა კი მეტწილად თანაბრად გასცემდა მიწებს გლეხებზე.[30] როცა ინსტიტუტები ნელ-ნელა ყალიბდებოდა, საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, ერთი მხრივ, მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებსა და, მეორე მხრივ,

დამოუკიდებელი ფერმერებით დასახლებულ ქვეყნებში. ყველამ იცოდა, რომ მონა, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა, გამოუსადეგარი იყო, რადგან იგი ადრე თუ გვიან გაქცევას ეცდებოდა. ზომიერი ჰავის ზონებში, ფერმერები აფუძნებდნენ სკოლებს, რათა მიეცათ განათლება თავიანთი და მეზობლების შვილებისთვის, ამისათვის მათ კარგი მიზეზი ჰქონდათ. ტროპიკული მონათმფლობელური კოლონიები საგარეო ვალუტას შოულობდნენ იმისთვის რომ შეესყიდათ იმპორტირებული სამრეწველო პროდუქცია. ასეთ კოლონიებში აბორიგენებისა და მონების სიღარიბე არ ქმნიდა ადგილობრივი წარმოებისთვის ბაზრებს. ზომიერი ჰავის კოლონიებს საგარეო ვალუტის წყაროები შეზღუდული ჰქონდათ და დროთა განმავლობაში მათ მიიზიდეს სულ უფრო მეტი თეთრი მოსახლეობა მოხმარების ევროპული ჩვევებითა და მზარდი მსყიდველობითი უნარით. ინდუსტრიულმა სტრატეგიებმა, რომლებსაც იყენებდნენ ზომიერი ჰავის კოლონიები, შექმნეს ევროპის მდიდარ მხარეებში არსებულის მსგავსი ურბანული კონგლომერატები. თავის მხრივ, ტროპიკების დიდი ქალაქები ფუნქციონირებას განაგრძობდნენ, როგორც ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრები.

ანონიმურად გამოცემული წიგნი, რომლის ავტორიც გახლავთ „ახალზელანდიელი კოლონისტი“, მოგვითხრობს იმ ლოგიკის შესახებ, რომელსაც იყენებდნენ ზომიერი ჰავის კოლონიების მოახალშენეები 1897 წელს. ახალზელანდიელი მოახალშენე უარს ამბობს შეხედოს იაფ იმპორტს როგორც წყალობას, რათა ხელი არ შეუშალოს მისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

მალე ჩნდება კიდევ უფრო თვალსაჩინო გადახვევა ინდივიდუალისტური კრედოდან. ბრიტანელი კოლონისტი ეკონომიკურად ძლივს დგას ფეხზე, როცა ის იწყებს გააფთრებულ ბრძო-

ლას ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას კანონთან. იგი უარს ამბობს თავისუფალი ვაჭრობის თეორიებზე და მაღალ საბაჟო გადასახადებს აწესებს ყველა იმპორტირებულ პროდუქტზე, რომლის სათანადო რაოდენობით წარმოება შესაძლებელს ხდის ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებას. ის ამგვარ გადასახადებს აწესებს იმ ქვეყნის პროდუქტებზეც, რომლის დროშის ქვეშაც ცხოვრობს. მას სწამს, რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მისი ახალი მიწის აყვავება, ძველი სამშობლოდან ემიგრანტების მოსაზიდად. მას ასევე ესმის, რომ ამ კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია დიდ დედაქალაქთან კონკურენციით, რომელსაც შეუძლია გასცეს უსაზღვრო რაოდენობით კრედიტი და შრომაში გადაიხადოს ბევრად ნაკლები ფასი. ძველ მიწაზე წარმოებული ჭარბი პროდუქცია ბაზარზე შემოყრილია იაფად, რათა წარმოების ოდენობა არ დაეცეს ექსპორტიორ სახელმწიფოში. როცა კოლონისტს ეუბნებიან, რომ ასეთ დაბალ ფასში პროდუქციის მიღება წყალობაა, ის უარს ამბობს, აღიაროს ადამიანის ეს ინდივიდუალური უფლება, მიიღოს ამგვარი წყალობა, საკუთარი ხალხის კეთილდღეობის დათმობის ხარჯზე.

პროტექციონისტული პოლიტიკის დაცვის ამ არგუმენტების გარდა, კოლონისტს სურს, რომ ბავშვებს, რომლებიც მის ირგვლივ იზრდებიან, ჰქონდეთ ტექნიკური უნარების შეძენის საშუალება, რათა თავიდან აირიდონ მდიდარი ქვეყნებისთვის უბრალო ტყისმჭრელებად და წყლის მზიდავებად გახდომა. მას ეს ტექნიკური უნარები და ამ უნარების მეშვეობით მომზადებული დიდებული პროდუქტები მიაჩნია ხალხის ძლიერებისა და უსაფრთხოების გარანტად. ის ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ მრეწველობის მრავალფეროვნების გარეშე, ვერც ერთი ცალკეული ინდუსტრია ვერ განვითარდება. ასევე, სასოფ-

ლო-სამეურნეო პროდუქციაზე მზა ბაზრის არსებობის გარეშე, შეუძლებელი იქნება მის ახალ ქვეყანაში სასოფლო დასახლებების გაშენება. ეს არის მოსაზრებები, რომელიც თითქმის ყველა ბრიტანელ კოლონისტს აქცევს პროტექციონისტად, იმათ გარდა, ვინც იმპორტული პროდუქციის ვაჭრობითაა დაკავებული. ის არ ელის სწრაფ შედეგებს. მისი მზერა მომავალსა და იმ ბავშვებზეა მიპყრობილი, რომლებიც მის ირგვლივ იზრდებიან. მისი აზრით, მთავარი რისკი იმაშია, რომ პროტექციონიზმმა შესაძლოა გაამდიდროს მხოლოდ რამდენიმე დამსაქმებელი და დასაქმებულთა ცხოვრება დიდად ვერაფრით გააუმჯობესოს. ეს მისთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა სჯერა, რომ საყოველთაო განათლება და სრული თავისუფლება ის იარაღია, რომლითაც თანაბრად აღჭურვილი ყველა კლასი იპოვის სათანადო გამოსავალს ამგვარი ვითარებიდან, როცა საჭირო იქნება. რაც არ უნდა მოხდეს, მისი ახალი პოლიტიკა სავსეა იმედით და გამსჭვალულია რწმენით, რომ არავითარ შემთხვევაში ეს პოლიტიკა არ იქნება იმაზე დამლუპველი და დამაზიანებელი, ვიდრე ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული თავისუფალი ვაჭრობაა.[31]

ეს მოახალშენე ახალშექმნილი ქვეყნიდან, ახალი ზელანდიიდან, ამ ნაწერში აჯამებს საუკუნოვან სიბრძნეს, რასაც უკვე შევხვდით ამ წიგნში. კონტინენტური ეკონომიკური ტრადიციის მსგავსად, მოახალშენის ეკონომიკური თეორია ერთდროულად ითვალისწინებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს. კოლონისტი უფრო შორს იყურება, ვიდრე შეზღუდული, მოგებაზე ორიენტირებული პოლიტიკაა. ამას შემდგომში, ცოტა მოგვიანებით თორსტაინ ვებლენმა უწოდა „მშობლისეული მისწრაფება“ – ზრუნვა მომავალ თაობებზე – იქნებიან ისინი საკუთარი თუ სხვისი შვილები. თანამედროვე გაბატონებული ეკონომიკურ თეორიას, თავისი მეთოდოლოგი-

ური ინდივიდუალიზმის გამოისობით, მხედველობიდან რჩება ეს განზომილება, რადგან მიჩნეულია, რომ ბაზარს ავტომატურად მივყავართ ჰარმონიამდე. ზუსტად ასევე, სტანდარტული ეკონომიკა უგულებელყოფს გეოგრაფიის, დროისა და უცოდინრობის ასპექტებს. კოლონია ცდილობს, რომ დაიცვას „ყველა პროდუქტი, რომლის წარმოება თავად შეუძლია“. ამ შემთხვევაში ბაზრის ზომა იქნება განმსაზღვრელი, თუ რისი მიწოდება შეუძლია კოლონიას დამოუკიდებლად. პატარა კუნძულოვან კოლონიებს ან კოლონიებს მცირე რაოდენობის თეთრი მოახალშენეებით (მაგ., ტროპიკულ ზონებში), არ ექნებათ იმხელა ბაზარი, რომ თავს უფლება მისცენ ამგვარი პოლიტიკა აწარმოონ.

შესაბამისად, კოლონისტი ამჩნევს, რომ მდიდარი სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ჭარბი წარმოება შეყარონ ღარიბ ქვეყნებში. ღარიბი სახელმწიფოები კი უარს ამბობენ, იაფი პროდუქცია წყალობად აღიქვან. ქვეყნების ამგვარ იერარქიაში, სახელმწიფოები, რომლებიც არ იცავენ საკუთარ ინდუსტრიებს განწირულები არიან დარჩნენ „ტყის მჭრელებად და წყლის მზიდავებად“, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი (წიგნი ისუ ნავესი 9:23).[32] ეს ფრაზა ხშირად გამოიყენებოდა შეერთებულ შტატებში ინდუსტრიული მრეწველობის პროტექციის არგუმენტად. ასე რომ, ბიბლია აღიარებს უნარების იერარქიას, ჩვენი ეკონომიკური აქტივობების ინდექსის მსგავსად (დანართი IV), რომელშიც ტყისმჭრელებსა და წყლის მზიდავებს ბოლო ადგილი უკავიათ. ეს მიდგომა შეუთავსებელია საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ძირითად ფილოსოფიასთან.

ჩვენს ახალ ზელანდიელ კოლონისტს ესმოდა ტექნიკური უნარების მნიშვნელობა ინდუსტრიისთვის. მას ასევე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სინერგიის არგუმენტი, რომელიც ანტონიო სერასგან იღებს სათავეს 1613 წლიდან: ინდუსტრიული

დარგი ვერ გადარჩება იზოლაციაში. ის პოტენციურ პრობლემას ხედავს რენტის მაძიებლობაშიც, რაც დღეს აგრეთვე აღელვებთ ვაშინგტონის კონსენსუსის მიმდევრებს. თუმცა, თუ ხალხი განათლებული და მდიდარია, ჩამოყალიბდება დემოკრატია, რომელიც გადაწყვეტს ამ პრობლემას. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ პრობლემის მოგვარება განუსაზღვრელად უფრო მარტივია, თუ მდიდარი დამსაქმებელი უცხოელია. ყველა შემთხვევაში, ეროვნულ დონეზე შემოსავლების განაწილება უფრო პატარა პრობლემაა, ვიდრე ნედლეულის მწარმოებელ ეკონომიკაში გაჭედვა, რომელშიც ფერმერებს არა აქვთ საკმარისი მოცულობის ბაზარი, სადაც მოახერხებდნენ ადგილობრივ დონეზე წარმოებული პროდუქციის გაყიდვას.

ასე რომ, ეკონომიკურ განვითარებაზე კლიმატის ყველაზე ხელშესახები გავლენა არაპირდაპირია, რასაც განაპირობებს წარმოების განსხვავებული წესი, კოლონიზაციის სხვადასხვა მოდელები და მოახალშენეების განსხვავებული ინტერესები. სინგაპური – ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში – მდებარეობს ეკვატორიდან ერთი გრადუსით ზემოთ. სინგაპურის სიმდიდრეს, ბუნებრივია, არ განსაზღვრავს ეკვატორის ზომიერი კლიმატი. ამ ქვეყნის კეთილდღეობის მთავარი წყარო მოახალშენე მოსახლეობაა (აზიელები და თეთრები), რომელთა რაოდენობაც საკმარისად დიდია იმისათვის, რომ ინდუსტრიები შექმნას და ქმედითი ინდუსტრიული პოლიტიკა განახორციელოს. ტროპიკული მალაიზიის წარმატებული მაგალითი, უთუოდ ნაკარნახევია სინგაპურის მიერ განხორციელებული წარმატებული პოლიტიკით, რომელიც მალაიზიას 1965 წელს გამოეყო.

მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, კარგად არის ცნობილი, რომ გეოგრაფია და კლიმატი გავლენას ახდენს სამრეწვე-

ლო ინდუსტრიების განლაგებაზე. თუმცა, ასევე ცხადია, რომ გეოგრაფიითა და კლიმატით განპირობებული არახელსაყრელი პირობების გადალახვა შესაძლებელია და კიდევაც უნდა გადაილახოს ეკონომიკური პოლიტიკით, რათა შეიქმნას მრეწველობის სექტორი. რაც უფრო დიდია გეოგრაფიული და კლიმატური წინაღობები, მით უფრო დიდი უნდა იყოს პროტექციონისტული ბარიერები. თუმცა, მანძილი და ტრანსპორტის ხარჯები ხშირად ქმნის „ბუნებრივ დამცავ მექანიზმს" არსებული წარმოებისთვის. ნამდვილი პრობლემები წარმოიშვა „სტრუქტურული ცვლილებების" დროს, რომელმაც ნაადრევად გააუქმა ყველა პოლიტიკური ინსტრუმენტი იმ ქვეყნებში, რომელთა სამრეწველო ინდუსტრიებს (ეჭვგარეშეა, ნაწილობრივ „არასწორი" ეკონომიკური პოლიტიკის გამო) ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღწეული სათანადო კონკურენტუნარიანობისთვის მსოფლიო ბაზრებზე. ამჟამად, გეოგრაფია და კლიმატი კვლავ დააბრუნეს განვითარების ეკონომიკის ცენტრში იმისთვის, რომ გამამართლებელი საბუთი ეპოვათ იმ უბედურებისთვის, რაც მოიტანა ინდუსტრიული პოლიტიკის ინსტრუმენტების ნაადრევმა გაუქმებამ.

10. „დაავადებების სწორად გაგება"

ბოლო წლებში მეინსტრიმულ ეკონომიკურ დისკურსში ღარიბი ქვეყნების კრახის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ მიზეზად ტროპიკებში გავრცელებული საზარელი დაავადებები დაასახელეს.[33] კერძოდ, მალარიას გულისხმობდნენ. მე ვამტკიცებ, რომ სტანდარტული ეკონომიკური თეორია ამ შემთხვევაშიც ფოკუსირდება სიღარიბის შედეგებზე და არა მის მიზეზებზე.

ევროპაში მალარიის ეპიდემია საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ რომის

იმპერიის პერიოდის ჩანაწერებშია დოკუმენტირებული. ისტორიულად, მალარია ისეთ ადგილებში იყო გავრცელებული, რომ დღეს წარმოდგენაც გაგვიჭირდება. კერძოდ: შუასაუკუნეებში მალარია გავრცელებული იყო შვეიცარიის ალპების ხეობებში ზღვის დონიდან 1400 მეტრზე, ასევე ამ დაავადების გავრცელების ნიშნები ნაპოვნია შორეულ ჩრდილოეთში, კოლის ნახევარკუნძულზე, რომელიც რუსეთის ჩრდილო-დასავლეთში, პოლარული წრის მიღმაა. ევროპამ მალარიას თავი დააღწია ინდუსტრიალიზაციისა და განვითარების მეშვეობით. უფრო განვითარებულმა და ინტენსიურმა სოფლის მეურნეობამ გამოიწვია ჭაობების ამოშრობა. საირიგაციო არხების და ჰიდროელექტროსადგურების გაჩენამ ასევე შეამცირა მალარიის გავრცელების საშიშროება. გარდა ამისა, დიდმა საჯარო სამედიცინო მომსახურებამ და ვაქცინაციის პროგრამებმა გაათავისუფლა ევროპა მალარიისგან. ამავდროულად, ზუსტად ამგვარმა განვითარების სტრატეგიამ მისცა ევროპას ვალების გადახდის შესაძლებლობა.

იმის მაგივრად, რომ აფრიკამ გამოიყენოს ის სტრატეგია, რომელმაც გაამდიდრა და გაათავისუფლა ევროპა მალარიისგან, იგი კვლავ ინარჩუნებს კოლონიურ ეკონომიკურ სტრუქტურას, რაც ნედლეულის ექსპორტზე და განუვითარებელ ინდუსტრიულ სექტორზეა დაფუძნებული. ნაცვლად იმისა, რომ აფრიკა განვითარებაზე იყოს ორიენტირებული, რაც მას ვალების გადახდის შესაძლებლობას მისცემდა, იგი კვლავ ვალების ჩამოწერაზე ზრუნავს. მალარიის აღმომფხვრელი ეკონომიკური განვითარების ნაცვლად, აფრიკა კოღოების საწინააღმდეგო ბადეებს იღებს. არავინაა იმ სტრუქტურული პრობლემების მოგვარებით დაკავებული, რომლებიც განაპირობებს აფრიკის მდგომარეობას, ებრძვიან მხოლოდ ამ პრობ-

ლემების სიმპტომებს. ამ საკითხს უფრო სიღრმისეულად შემდგომ თავში შევეხებით.

გეოგრაფიაზე, კლიმატსა და დაავადებებზე კონცენტრირებით, ყურადღების გადატანა ხდება იმ მასიური წარუმატებლობებისგან, რომელიც თან ახლდა „ვაშინგტონის კონსენსუსს“ ბოლო ათი წლის განმავლობაში. ამიტომაც, ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ წარუმატებელი პოლიტიკის მხარდამჭერები (მაგალითად, ჯეფრი საქსი) არიან ის ადამიანები, რომლებიც დღეს მხარს უჭერენ გეოგრაფიის, კლიმატისა და დაავადებების ფაქტორების შემოტანას სტანდარტულ ეკონომიკურ თეორიაში. როცა „უხილავ ხელს“ არ მოაქვს ეკონომიკური ზრდა, სტანდარტული ეკონომიკური თეორია დეგრადირდება და დადის კიდევ უფრო პრიმიტიულ რწმენამდე, რომლის მიხედვითაც სიღარიბეს მსოფლიოში განაპირობებს ბედი, განგება და ბუნება (გეოგრაფია, კლიმატი და დაავადებები) და არა ადამიანები.

რენესანსმა მოიტანა ქვეყნების სიღარიბისა და სიმდიდრის გააზრება. განმანათლებლობის პერიოდში ამ მიზეზების გაგება კიდევ უფრო გაღრმავდა და შესაბამისი პოლიტიკა კიდევ უფრო დაიხვეწა. შეერთებული შტატები იყო ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი „მაღალი ხელფასების სტრატეგიის“ წარმატებისა, როგორც მას იმ პერიოდში უწოდებდნენ. ქვეყნები, რომლებმაც ვერ მოასწრეს ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება მზარდ უკუგებაზე დაფუძნებული ეკონომიკური აქტივობების მიმართულებით – ვიდრე ვაშინგტონის კონსენსუსი აკრძალავდა განმანათლებლობის პერიოდის პოლიტიკას – დღეს ბუნების კანონების და სიღარიბის „ბუნებრივი“ წონასწორობის იმედადღა არიან დარჩენილნი. როგორც დევიდ რიკარდომ შენიშნა, „ბუნებრივი“ ხელფასი მხოლოდ ფიზიკური არსებობისთვისაა საკმარისი.

ბაზრის „უხილავი ხელი“ მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ტოვებს ფიზიკური გადარჩენის ზღვარზე. მეცნიერები, რომლებიც ხაზს უსვამენ გეოგრაფიის, კლიმატისა და დაავადებების მნიშვნელობას ეკონომიკურ განვითარებაში, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ იმას, რომ მათ თავად უარი თქვეს იმ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ისტორიულად აძლევდა ქვეყნებს საშუალებას, თავი დაეძვრინათ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ფაქტორის მიერ შექმნილი მახისაგან. რადგანაც ყურადღება ცენტრალური საკითხებიდან (კერძოდ, ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებიდან) მეორეხარისხოვან პრობლემებზეა გადატანილი, ეკონომისტები ქმნიან იმგვარ სისტემას, რომელსაც კარგად გადმოსცემს ნიცშეს მოსაზრება: „კეთილთა მიერ მოტანილი ვნება, ყველაზე საზიანო ვნებაა“.

VII თავი

პალიატიური ეკონომიკა: რითია ცუდი ათასწლეულის გამოწვევის მიზნები

ჩვენ შეგვწევს უნარი თავიდან ავირიდოთ ფართომასშტაბიანი ნგრევა, თუ წყალს სათავესთან სწორად შევუცვლით მიმართულებას, ასევეა შესაძლებელი, დიალექტიკის სოციალურ ფილოსოფიაში გამოყენებით, თავი დავიცვათ გამოუთქმელი სოციალური უბედურებებისა და ნგრევისგან.

ჰერბერტ ს. ფოქსველი, ინგლისელი ეკონომისტი, 1899

„ისტორიის დასასრულის“ კონცეფციას არ შეუქმნია მხოლოდ თეორიული ჩიხური ვითარებები და ყურადღების არასწორი მიმართულებით წარმმართველი მოდელები, რაზეც უკვე ვისაუბრეთ წინა თავში. ამ კონცეფციამ სათავე დაუდო უზარმაზარ და ამბიციურ ათასწლეულის გამოწვევის პროგრამას (აგპ), რომელიც მიზნად ისახავდა სიღარიბის (უფრო სიღარიბის სიმპტომების) დაძლევას. ერთი შეხედვით, ათასწლეულის გამოწვევის მიზნები კეთილშობილურია იმ მსოფლიოსთვის, რომელშიც უმწვავესი სოციალური პრობლემების სასწრაფო გადაჭრა დგას დღის წესრიგში. ეს მიზნები მოიცავდა შესაფერის ამოცანებს, კერძოდ, ისეთებს როგორიცაა იმ ადამიანთა რიცხვის განახევრება, რომლებიც დღეში 1 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს, შიმშილობს, ასევე, დაავადებათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. ათასწლეულის განვითარების მიზნებში შედიოდა საგანმანათლებლო და ეკოლოგიური ამოცანების გადაჭრა. თუმცა, ათასწლეულის გამოწვევის მიზნები ისეთ პრინციპებზე დგას, რომლებიც არც გააზრებულია და არც შესწავლილი. ამ თავში შევეცდები ავხსნა, რატომ არის სიღარიბის შემცირებაზე კონცენტრირება მცდარი და რატომ ვერ

შეასრულებს ათასწლეულის განვითარების მიზნები კარგი სოციალური პოლიტიკის როლს გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს თავი ეხმიანება ჩემს გამოსვლას 2005 წლის ნიუ-იორკის შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებული იყო გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მიერ ათასწლეულის განვითარების მიზნებთან დაკავშირებით.[1]

ერთი სიახლე, რომელიც ახასიათებს ათასწლეულის განვითარების მიზნებს, გახლავთ აქცენტის გაკეთება სოციალური და გადანაწილების პოლიტიკის საგარეო დაფინანსებაზე და არა განვითარებადი სახელმწიფოების მხრიდან შიდა რესურსებით დაფინანსებაზე. ადრე სტიქიური უბედურებების დროს დახმარებას დროებითი ხასიათი ჰქონდა, თუმცა ახლა მან მუდმივი ასახვა ჰპოვა ათასწლეულის განვითარების მიზნებში. სახელმწიფოები, რომელთა ბიუჯეტის ნახევარზე მეტი საგარეო მხარდაჭერით ივსება, ამ პროგრამით დამატებით უზარმაზარ რესურსებს მიიღებენ. ეს აჩენს კითხვას, თუ რა მასშტაბით გახდის ეს მიდგომა ქვეყნების დიდ რაოდენობას მუდმივად დამოკიდებულს ე.წ. „სოციალურ შემწეობაზე“, ანუ რამდენად შეუწყობს ხელს ათასწლეულის განვითარების მიზნები „საქველმოქმედო კოლონიალიზმის“ ჩამოყალიბებას.

ათასწლეულის განვითარების მიზნებისკენ სწრაფვა იმაზე მიუთითებს, რომ გაეროს დაქვემდებარებულმა ინსტიტუტებმა, რამდენიმე წარუმატებელი ათწლეულის შემდეგ, უარი თქვეს ეზრუნათ სიღარიბის მიზეზების აღმოფხვრაზე და კონცენტრირდნენ სიღარიბის სიმპტომებზე. აფრიკის მდგომარეობა მრავალი თვალსაზრისით ანალოგიურია ირმების მწყემს საამის ტომის მაგალითისა (ოღონდ უფრო დიდ მასშტაბებში), რაზეც უკვე ვისაუბრე მე-5 თავში. ისევე როგორც ამ ტომის მწყემსებს, აფრიკელებსაც არ აძლევენ ისეთ საქმიანობაში ჩართვის

უფლებას, რომელიც ქმნის გადამამუშავებელ მრეწველობას, დასაქმებას და განვითარებას. ამ მწყემსების მსგავსად, აფრიკელებიც ექვემდებარებიან იმას, რასაც მე ვუწოდე „სკანდინავიური სოფიზმი“ (რადგან, როგორც ჩანს, ის სკანდინავიაში აღმოცენდა): სიღარიბის მიზეზებთან წარმოების სისტემის მეშვეობით ბრძოლის ნაცვლად (რაც ფაქტობრივად ადრე განვითარების ეკონომიკა იყო), სიღარიბის სიმპტომებთან ბრძოლა განვითარებული ქვეყნებიდან წამოსული საგარეო ფინანსური დახმარების ფლანგვით.

ამ თავში, ვამტკიცებ, რომ პალიატიურმა ეკონომიკამ, მნიშვნელოვანწილად, განვითარების ეკონომიკის ადგილი დაიკავა. მართლაც, ბალანსის პოვნა განვითარების ეკონომიკასა (ე.ი. ღარიბი ქვეყნების წარმოების სტრუქტურის რადიკალური შეცვლა) და პალიატიურ ეკონომიკას შორის (ე.ი. ეკონომიკური გაჭირვების შემსუბუქება), არსებითია გრძელვადიანი უარყოფითი შედეგების თავიდან ასარიდებლად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღარიბ ქვეყნებში ვითარება მაშინ გაუარესდა, როცა გაერომ მსოფლიოს განვითარებაზე პასუხისმგებლობა მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს გადასცა.

როგორ წყდებოდა განვითარების პროგლემები წარსულში

როგორც წინა თავში ვიხილეთ, მძაფრი განსხვავება წარმოიშვა მარშალის გეგმისეულ ხედვაში ეკონომიკურ განვითარებაზე და იმ თეორიას შორის, რომელიც განამტკიცებს გლობალურ განვითარების დისკურსს და ვაშინგტონში მდებარე ფინანსურ ინსტიტუტების [მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს] თვალსაზრისს. მარშალის გეგმა წარმოიშვა

მისი წინამორბედის, მორგენთაუს გეგმაში არსებული ხარვეზების გააზრების შედეგად. მაშინ როცა მორგენთაუს გეგმის მიზანი იყო გერმანიის დეინდუსტრიალიზაცია, მარშალის გეგმა მიზნად ისახავდა გერმანიის არა მხოლოდ რეინდუსტრიალიზაციას, არამედ კომუნისტური ბლოკის ევროპისა და აზიის სახელმწიფოებს შორის მდიდარი ქვეყნებისგან შემდგარი ე.წ. სანიტარული კორდონის შექმნას, ნორვეგიიდან მოყოლებული, იაპონიით დამთავრებული. კვლავმწარმოებელი მექანიზმი, რომელიც ამყარებს მარშალის გეგმის „სასიკეთო წრეს" მე-16 ილუსტრაციაზე მოცემული. მე-17 ილუსტრაცია კი ასახავს მორგენთაუს გეგმის „მანკიერ წრეს".

თუ იმ ქვეყნების რაოდენობით ვიმსჯელებთ, რომლებმაც სიღარიბისგან თავის დაღწევა მარშალის გეგმის მეშვეობით შეძლეს, შეიძლება ითქვას, რომ რეინდუსტრიალიზაციის ეს გეგმა ყველაზე წარმატებული განვითარების პროექტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. მთავარი იდეა, რომელიც „მარშალის გეგმაში" დევს არის ის, რომ ეკონომიკური აქტივობები ქალაქში და სოფლად თვისობრივად განსხვავდება. ასე რომ, ეს გეგმა აღიარებდა იმ კამერალისტური და მერკანტილისტური ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობას, რომელიც ხორციელდებოდა წინა საუკუნეებში. თავის ცნობილ სიტყვაში, 1947 წლის ივნისში, ჰარვარდში, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა (მან მოგვიანებით ნობელის პრემია მიიღო) ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „ფერმერი ყოველთვის აწარმოებდა საკვებ პროდუქციას სოფლად, რომელსაც შემდგომში ცვლიდა ქალაქში მცხოვრებთან ცხოვრებისთვის აუცილებელ სხვა ნივთებზე". „შრომის ამგვარი დანაწილება", ე.ი. ქალაქების მზარდი და სოფლების კლებადი უკუგების მქონე აქტივობებს შორის, „თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველია", ამბობდა მარშალი და

იქვე დასძენდა, რომ ამგვარ განაწილებას დანგრევის საფრთხე ემუქრებოდა. ცივილიზაციას სჭირდება მზარდი უკუგების მქონე აქტივობები, რასაც ეკონომისტები და პოლიტიკოსები დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდნენ, ანტონიო სერადან (1613) მოყოლებული, ალექსანდერ ჰამილტონით, აბრაამ ლინკოლნით და ფრიდრიხ ლისტით დამთავრებული. ლისტი ხაზს უსვამდა იმ კავშირს, რომელიც არსებობს ქალაქისთვის დამახასიათებელ აქტივობებსა და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის. „ქალაქის ჰაერი გვათავისუფლებს“, ამბობს ძველი გერმანული ანდაზა. მე-12 ილუსტრაცია ერთმანეთს უპირისპირებს შუმპეტერისეულ აქტივობებს, რომლებიც დამახასიათებელია ქალაქისთვის და მალთუსიანურ აქტივობებს, რომელიც სოფლებშია გავრცელებული. „ცივილიზაციისა“ და დემოკრატიის სახელმწიფოებზე თავსმოხვევას, რომლებშიც არ არის შუმპეტერიანული ეკონომიკური აქტივობები, მივყავართ არშემდგარ სახელმწიფოებამდე, ასევე, ავღანეთისა და ერაყის მსგავს ხოცვა-ჟლეტამდე და ჩამორჩენილობამდე.



შენიშვნა: დახურულ სისტემაში, რომელშიც დასაქმების დონე უცვლელია, მთლიანი ეროვნული პროდუქტის გაზრდის ერთადერთი საშუალება არის „სასიკეთო წრე“. თუმცა, ეს სისტემა შეიძლება ნებისმიერ დროს დაირღვეს, მაგალითად, თუ მოთხოვნა მხოლოდ უცხოურ პროდუქციაზე გაიზრდება.

წყარო: ერიკ რეინერტი, საერთაშორისო ვაჭრობა და განუვითარებლობის ეკონომიკური მექანიზმები, სადოქტორო შრომის თეზისები, კორნელის უნივერსიტეტი, 1980 (ტექსტი მცირედით შეცვლილია).

ილუსტრაცია 16. ეკონომიკური განვითარების „სასიკეთო წრე“ – მარშალის გეგმა.

როგორც მეორე თავში ვნახეთ, პრინციპები, რომლებსაც სახელმწიფოები გამდიდრებისთვის იყენებდნენ, გასაოცრად სტაბილური იყო, მოყოლებული 1485 წლის დროინდელი ჰენრი VII-ის ინგლისიდან, დამთავრებული 1970-იანი წლების კორეით. შუმპეტერისეულმა აქტივობებმა და მათმა პროდუქტიულობის გაფურჩქვნამ (პრინციპი, რომელიც მე-6 ილუსტრაციაზეა გამოსახული), მაღლა ატყორცნეს ხელფასების დონე ირლანდიასა და ფინეთში (ევროპის უკანასკნელი სახელმწიფოები, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიალიზმს) ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. მეორე მხრივ, ვაცხადებ, რომ დღევანდელი პრობლემების უმეტესობა იმის შედეგია, რომ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი განვითარებისთვის საჭირო საშუალებებს (კაპიტალზე მზარდი უკუგების მქონე აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც განვითარდნენ სახელმწიფოები ვენეციისა და ჰოლანდიის შემდგომ), უკანონოდ აცხადებს.



შენიშვნა: უადგილოა სისტემის შეტევა შეუფერებელ მომენტში. მაგალითად, ინვესტიციების გაზრდა მაშინ, როცა ხელფასები ჯერ კიდევ დაბალია და მოთხოვნა არ არსებობს. კაპიტალის ამგვარი არაეფექტიანი გამოყენების და ჭარბი მოცულობის წარმოების შემთხვევე-

ბი არსებობს ლათინური ამერიკის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

წყარო: ერიკ რეინერტი, საერთაშორისო ვაჭრობის და ეკონომიკური განუვითარებლობის მექანიზმები (სადოქტორო ნაშრომი კორნელის უნივერსიტეტში, 1980 (ტექსტი მცირედით არის შეცვლილი).

ილუსტრაცია 17 სიღარიბის „მანკიერი წრე" – მორგენთაუს გეგმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ამ ზოგადმა პრინციპებმა ყველა ქვეყანას წარმატება ვერ მოუტანა. ყველაზე წარმატებულმა ქვეყნებმა (მაგალითად, სამხრეთ კორეამ), დროებით დაიცვეს ახალი ტექნოლოგიები საერთაშორისო ბაზრებისთვის. სხვა, უფრო ნაკლებად წარმატებული ქვეყნები კი მუდმივად იცავდნენ უკვე ათვისებულ ტექნოლოგიებს. ამგვარი მაგალითები არსებობს სამხრეთ ამერიკაში, სადაც მცირე ქვეყნები ფაქტიურად იცავდნენ საკუთარ პატარა ზომის ბაზრებს და ამით ზღუდავდნენ კონკურენციას (იხ. დანართი 4, „ცუდი" და „კარგი" პროტექციონისტული პოლიტიკის შედარებისთვის). თუმცა, არაეფექტიანი ინდუსტრიული სექტორის პირობებშიც კი რეალური ხელფასი მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს, დასუსტებული ინდუსტრიის პირობებშია, როგორც ეს პერუს მაგალითის განხილვისას ვიხილეთ (ილუსტრაცია 14).

საუკუნეების განმავლობაში ადამიანებს ესმოდათ, რომ მდიდარ ქვეყნებზე ნაკლებად ეფექტიანი ინდუსტრიული სექტორის ქონა, ქმნიდა იმაზე მაღალ ხელფასებს, ვიდრე ინდუსტრიების საერთოდ არქონა. ასე რომ, თუ ინდუსტრიული სექტორი არაეფექტიანია, ის კი არ უნდა დაიხუროს, არამედ უფრო ეფექტიანი გახდეს. ალბათ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ვერ გაიაზრეს „ისტორიის დასასრულის" მიმდევრებმა 1989 წლის შემდგომ.

უმარტივესი ფორმით, ეს წინააღმდეგობანი მოდის მზარდი

და კლებადი უკუგების როლიდან, თუ როგორ წარმოშობენ ისინი, ერთი მხრივ, სიმდიდრის „სასიკეთო წრეს“ და, მეორე მხრივ კი, სიღარიბის „მანკიერ წრეს“. როგორც ბოლო თავში დავინახეთ, ამ მექანიზმების იგნორირებამ შესაძლოა უფრო მეტად გამოიწვიოს წარმოების ფასების პოლარიზაცია, ვიდრე მათი გათანაბრება. 1613 წელს სერამ პირველად დაადგინა, რომ მზარდი უკუგება, „სასიკეთო წრე“ და ეკონომიკური აქტივობების მრავალფეროვნება სიმდიდრის შექმნის აუცილებელი ელემენტებია. მას შემდეგ ეს პრინციპი თითქმის მუდმივად გამოიყენებოდა, მცირედი წყვეტით, ვიდრე „ვაშინგტონის კონსენსუსმა“ არ დაიკავა პოლიტიკური არენა. 1980-იანი წლებიდან, „სტრუქტურულმა გარდაქმნამ“ მოახდინა მრავალი ღარიბი პერიფერიული ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია, რასაც თან მოჰყვა ხელფასების შემცირება.[2] გაბატონებული ეკონომიკური თეორია დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ დეინდუსტრიალიზაცია არაფერს ნიშნავდა. პირიქით, ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის პირველი დირექტორი ამბობდა, რომ „თავისუფალი ვაჭრობა გამოათავისუფლებს ეკონომიკის (საზღვრებს გარეშე) პოტენციალს და ეკონომიკურად გაათანაბრებს ქვეყნებსა და რეგიონებს“.

1930-იან წლებში, ეკონომიკის ძირითად საფუძვლად ოქროს სტანდარტის შენარჩუნება და ბიუჯეტის დაბალანსება ესახებოდათ. ეკონომიკის ამგვარმა გაგებამ კაცობრიობა ჩაკეტა კვაზი-ოპტიმალურ წონასწორობაში და ხელი შეუშალა კეინზის პოლიტიკური ხედვების განხორციელებას. ამის მსგავსად, თავისუფალი ვაჭრობაც წარმოადგენს განვითარების პოლიტიკის ცენტრალურ სტრატეგიას მას შემდეგ, რაც 1980-იანი წლების ვალის კრიზისმა ნაკლებად ინდუსტრიალიზებული სახელმწიფოები კვაზი-ოპტიმალურ წონასწორობაში გამოამწყვდია.

იმის მაგივრად, რომ მიყვნენ მეინსტრიმული სავაჭრო თეორიის ყველაზე გამარტივებულ ვერსიაზე დაფუძნებულ პოლიტიკას, არაინდუსტრიულმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ ის კონფლიქტი, რომელიც არსებობს თავისუფალ ვაჭრობასა და რეალურ ხელფასებს შორის. კლებადი უკუგების მქონე აქტივობებზე სპეციალიზაციას, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პირობებში, სერიოზული ნეგატიური გარემოსდაცვითი შედეგები მოაქვს.[3] სილარიბე მესამე სამყაროსა და ყოფილ მეორე სამყაროს ბევრ ქვეყანაში გამოწვეული არ არის გარდამავალი პერიოდის თანმდევი პრობლემებით. ამ ქვეყნებში სილარიბის მთავარი მიზეზი ის მოუშორებელი მახასიათებლებია, რომლებიც მათი ეკონომიკის სტრუქტურას გააჩნია. როცა აშშ-მა დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პროცესი, მის ლიდერებს სურდათ შეექმნათ ინგლისის წარმოების სტრუქტურის (ნაკლებად ეფექტური) ვერსია, ამისთვის მათ სჭირდებოდათ ტარიფები. თუმცა, წარმატებული ინდუსტრიალიზაცია, პროტექციონიზმის პირობებში, შეიცავს თვითდესტრუქციის მარცვლებს.

1880-იან წლებში ამერიკელმა ეკონომისტებმა თავისუფალ ვაჭრობაზე დაიწყეს საუბარი. ამისთვის მათ გამოიყენეს იგივე არგუმენტები (დაკავშირებული მასშტაბის ეკონომიასთან და ტექნოლოგიებთან), რომლებსაც იყენებდნენ 1820-იან წლებში, როცა მხარს უჭერდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას. ტარიფებმა, რომლებმაც შექმნეს ამერიკული ინდუსტრია, ახლა ამ ინდუსტრიის წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება.[4] სწორედ ამიტომ, ცნობილი პროტექციონისტი ფრიდრიხ ლისტი, მხარს უჭერდა გლობალურ თავისუფალ ვაჭრობას, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა ქვეყანა მიაღწევდა საკუთარ შედარებით უპირატესობას კლებადი უკუგების მქონე ეკონომიკური აქტივობების მიღმა.[5] სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ეწინააღმდეგებოდა არა უშუალ-

ოდ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს, არამედ ამ პრინციპის ეკონომიკაში შეუფერებელ მომენტში დანერგვას.

თუ ყურადღებით წავიკითხავთ თუ რას ამბობს ადამ სმიტი (თავისუფალი ვაჭრობისა და laissezfaire-ის პრინციპის მამამთავარი) ეკონომიკის განვითარების ადრეულ ეტაპებზე, ვნახავთ, რომ მისი მოსაზრებები თანხვედრაშია იმ კლასიკოსს ეკონომისტების პოზიციასთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ ინდუსტრიალიზაციას. თავის ადრეულ ნაშრომში, „მორალური სენტიმენტების თეორია“,[6] სმიტი საინტერესო ფორმით ამტკიცებს, რომ ახალ მანუფაქტურებს მხარდაჭერა იმიტომ კი არ სჭირდებათ, რომ დახმარება გაუწიონ მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, არამედ იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს „მმართველობის დიდებული სისტემა“ („great system of government“).

როგორც მე-4 თავში განვიხილეთ, თავისუფლად შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ ადამ სმიტი იყო არასწორად გაგებული მერკანტილისტი, რომელიც მხარს უჭერდა წარსულის მერკანტილისტურ პოლიტიკას, თუმცა ამბობდა, რომ ეს ინგლისისთვის საჭირო აღარ იყო. იგი აქებდა ნავიგაციის აქტს, რომელიც იცავდა ინგლისის მრეწველობას და გემთმშენებლობას ჰოლანდიისგან. ის წერდა: „ისინი გამოირჩევიან სიბრძნით... თითქოს მათი ქმედებები ნაკარნახევია ყველაზე გონივრული მოსაზრებებით“. სმიტი ასევე ამბობდა, რომ ამ პოლიტიკის შენარჩუნება იქნებოდა „ალბათ ყველაზე ბრძნული ინგლისის კომერციულ რეგულირებებს შორის“.[7] საბოლოოდ, თვითკმარი განვითარება (თოვლის გუნდის ეფექტის მსგავსი), რომელსაც სმიტი აღწერდა, შესაძლებელი გახდა წარსულში პროტექციონიზმის გამოყენების მეშვეობით. ადამ სმიტმა მხოლოდ ერთხელ გამოიყენა „უხილავი ხელის“ ტერმინი, ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრე“, როცა ინგლისს შეეძლო იმპორტის ჩანაცვლების მერკანტი-

ლური მიზნების ავტომატურად შენარჩუნება; როცა მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებდნენ ადგილობრივ პროდუქტებს.[8] ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, როცა ეროვნულ წარმოებას დაცვა აღარ დასჭირდებოდა, რადგან „ბაზარს“ შეთავსებული ექნებოდა ის როლი, რასაც ადრე პროტექციონისტული ზომები ასრულებდნენ.

ადრე, ეკონომიკური განვითარება დაფუძნებული იყო მდიდარი ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურის მიბაძვაზე, კერძოდ, ამ სტრუქტურის უფრო ნაკლებად „ეფექტიანი“ ასლის შექმნაზე. ამ ეკონომიკების მთავარი მახასიათებლები იყო – შრომის ფართომასშტაბიანი დანაწილება (ბევრ სხვადასხვა პროფესიებად დიდი რაოდენობით ინდუსტრიებში) და მზარდი უკუგების სექტორები (მრეწველობა და ცოდნატევადი სერვისები). ამ საკითხზე წერდნენ ეკონომისტები: ანტონიო სერა (1613), ჯეიმზ სტიუარტი (1767), ალექსანდრ ჰამილტონი (1791) და ფრიდრიხ ლისტი (1841). როგორც პირველ თავში ვნახეთ, იყო პერიოდები, როცა ამ პრინციპებს ივიწყებდნენ, მაგალითად, საფრანგეთში 1760-იან, ევროპაში 1840-იან და მთელ მსოფლიოში 1990-იან წლებში.

თუმცა, ყველა ეს პერიოდი, საბოლოოდ, დასრულდა უზარმაზარი საზოგადოებრივი დანაკარგების გამო. ფიზიოკრატიამ საფრანგეთში პურის ნაკლებობა და დეფიციტი გააჩინა, რითიც ხელი შეუწყო საფრანგეთის რევოლუციას.[9] 1840-იანი წლების თავისუფალი ვაჭრობის ეიფორიას მოჰყვა მძაფრი უარყოფითი საზოგადოებრივი რეაქცია, რასაც თან სდევდა რევოლუციები მთელი ევროპის მასშტაბით, ინგლისისა და რუსეთის გარდა. დევიდ რიკარდოს თეორია ყოველთვის მცდარი აღმოჩნდა, როცა ასიმეტრიულად გამოიყენეს მზარდი და კლებადი უკუგების აქტივობებთან მიმართებაში.[10] თუმცა,

გამართლდა რიკარდოს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ „ბუნებრივი“ ხელფასი მხოლოდ არსებობისთვის არის საკმარისი. მე-5 თავში ვინახეთ, რომ 1990-იანი წლების თავისუფალი ვაჭრობის ეიფორიამ კვლავ გამოიწვია მზარდი სიღარიბე მრავალ პერიფერიულ სახელმწიფოში. თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენი პასუხი მცდარი აღმოჩნდა: ჩვენ კვლავ უფრო მეტ აქცენტს ვაკეთებთ პრობლემის სიმპტომებსა და არა მიზეზებზე.

როგორ წყდება განვითარების პრობლემები დღეს

სტანდარტული ეკონომიკური თეორიის მიხედვით, განვითარების პროცესს მეტწილად წარმართავს ინვესტიციების აკუმულირება ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში.[11] როგორც დავინახეთ, თანამედროვე განვითარების პოლიტიკებს, რომლებსაც საფუძვლად სტანდარტული ეკონომიკური თეორია უდევს, კონომიკურ აქტივობებს შორის თვისობრივი განსხვავების დანახვის უნარი არა აქვთ. დღეს ვერც ერთი არშემდგარი (ან თითქმის არშემდგარი) სახელმწიფო ვერ ჩააბარებს ჯორჯ მარშალის ტესტს იმის თაობაზე, თუ რა ქმნის თანამედროვე ცივილიზაციას, რადგან მათ ძალიან სუსტი სამრეწველო სექტორები აქვთ და არ შესწევთ უნარი შექმნან ე.წ. „სასიკეთო წრის“ ჯაჭვი ქალაქისა და სოფლისთვის დამახასიათებელ ეკონომიკურ აქტივობებს შორის. ამ ქვეყნების ეკონომიკური ბაზა მრავალფეროვანი არ არის, შრომის დანაწილებაც შეზღუდულია და ისინი სპეციალიზდებიან დაბალი უკუგების მქონე ეკონომიკურ აქტივობებზე, ან პირველადი მოხმარების საგნებით კონკურენციაზე (ამ ქვეყნებს არა აქვთ შესაძლებლობა განსაზღვრონ ფასები, ტექნოლოგიური ცვლილებები ამცირებს მათი საქონლის ფასებს, ხელფასების გაზრდის ნაცვლად).

ისტორიულად თანამედროვე დემოკრატიები იქმნებოდა იმ სახელმწიფოებში, სადაც ცივილიზებული ვაჭრობა ურბანულ და სასოფლო რეგიონებს შორის უკვე დამყარებული იყო; ამის მაგალითია იტალიური ქალაქ-სახელმწიფოები. ყველაზე წარმატებულ ქალაქ-სახელმწიფოებში, მათ შორის იქ, სადაც სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობას განიცდიდნენ (მაგალითად, ვენეციასა და ჰოლანდიის რესპუბლიკაში), ძალაუფლება მიწათმფლობელთა კლასის ხელში არ იყო. ეს გზას უხსნიდა შუმპეტერისეულ „კრონიზმს“, რომელშიც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები „მორიგებულნი“ არიან და ქმნიან საყოველთაო სიმდიდრეს. ნედლეულზე დამოკიდებულება ხელს უწყობდა ფეოდალიზმს და კოლონიალიზმს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მივყავართ პოლიტიკურ თავისუფლებამდე. ანალოგიურად, ამერიკის სამოქალაქო ომი, არსობრივად, იყო ომი სამხრეთელ მიწათმფლობელებსა – თავიანთი ვიწრო ინტერესებით სოფლის მეურნეობისა და იაფი მუშახელის კუთხით – და ჩრდილოელებს შორის, რომელთა ვიწრო ინტერესი ინდუსტრიალიზაციაში მდგომარეობდა. ლათინური ამერიკის ისტორია მრავალი თვალსაზრისით იდენტური იქნებოდა აშშ-ის ისტორიისა, სამოქალაქო ომი რომ სამხრეთელებს მოეგოთ.

ამის ალტერნატიული „სხვა კანონის“ ეკონომიკური პარადიგმის თანახმად, რომელიც აერთიანებს ისტორიულ და ევოლუციურ ეკონომიკურ სკოლებს, განვითარების პროცესს წარმართავს მიბაძვა და ასიმილაცია: ანუ სწავლა განვითარებული ქვეყნებისგან, მათი ეკონომიკური სტრუქტურისა და ინსტიტუტების კოპირებით. მიბაძვისა და ასიმილაციის სტრატეგიის მთავარი ელემენტებია შემდეგი სახის ინსტიტუტები: პატენტების დაცვა, სამეცნიერო აკადემიები და უნივერსიტეტები. ამგვარ ეკონომიკურ მოდელში ეკონომიკური ზრდა დამოკ-

იდებულია აქტივობების სპეციფიკაზე და მიბმულია მზარდი უკუგების მქონე „კლასტერებზე“, დინამიკურ, არასრულყოფილ კონკურენციასა და სწრაფ ტექნოლოგიურ პროგრესზე. კაპიტალთან ერთად, ეს პროცესი უნარების გადაცემას და დახვეწას საჭიროებს. ყველაზე მეტად კი ის საჭიროებს სიცოცხლისუნარიანი ბაზრის შექმნას მზარდი უკუგების მქონე აქტივობებით იმ ქვეყნებში, სადაც მსყიდველუნარიანობის სიმცირე და მასიური უმუშევრობა გვერდიგვერდ არსებობს. იმის გამოისობით, რომ ვაშინგტონის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები სრული დასაქმების პრინციპზე დამყარებულ მოდელებს იყენებენ, ისინი თავიდან ირიდებენ იმ მთავარ პრობლემას – რეალური დასაქმების დეფიციტს, რაც ქვეყნებს სიღარიბეში ამყოფებს. მე-16 საუკუნის ჰოლანდიასა და ვენეციიდან მოყოლებული, მხოლოდ იმ ქვეყნებმა შეძლეს სრული დასაქმების მიღწევა (სასოფლო-სამეურნეო არასრული დასაქმების გარეშე), რომელთაც ჯანსაღი სამრეწველო სექტორები გააჩნდათ.

დღეს არსებული დომინანტური ეკონომიკური თეორია განასახიერებს იმას, რასაც შუმპეტერი უწოდებდა „ზედაპირულ შეხედულებას, რომ კაპიტალიზმის ძრავი არსობრივად კაპიტალია“. ამ თეორიის მიხედვით, განვითარებას ფიზიკური ან ადამიანური კაპიტალის აკუმულაცია განსაზღვრავს. როგორც რიჩარდ ნელსონმა თქვა, „ნეოკლასიკური თეორიის ამოსავალი დებულება ისაა, რომ თუ ინვესტიციები ჩაიდება, საქმის ახლებურად და ოსტატურად კეთების გზები შედარებით ადვილად ჩნდება, შესაძლოა, ავტომატურადაც“.[12] უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სტანდარტული ეკონომიკური თეორიის მთავარი დაშვების მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან კაპიტალი თავისთავად განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებას მიუხედავად იმისა, თუ

როგორ ეკონომიკურ სტრუქტურაში მოხდება მისი ინვესტირება. ამის ალტერნატიული „სხვა კანონის“ თეორიის მიხედვით, ეკონომიკური აქტივობები, როგორც ეკონომიკური განვითარების წარმმართველი ძალები, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ იმისგან, რასაც ჯეიმზ ბიუკენანი უწოდებს „თანასწორობის პირობას“ – ალბათ, ეკონომიკის თეორიის უმნიშვნელოვანესი, თუმცა ყველაზე ნაკლებად განხილული თეზა. განმანათლებლობის პროექტის საფუძველი იყო სამყაროს მოწესრიგება ტაქსონომიის ანუ კლასიფიკაციის გამოყენებით. ამ მიმართულების ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი კარლ ლინე იყო. ნეოკლასიკური ეკონომიკა განმანათლებლობამდელია, იმ გაგებით, რომ ის აღწევს ანალიტიკურ სიზუსტეს ტაქსონომიაზე უარის თქმით: მისთვის არსობრივად ყველაფერი ერთნაირია. მაშასადამე, მისი დასკვნები (მაგალითად, წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრება), არსობრივად ამ ვარაუდებზეა აგებული. ქვეყნების შესაძლებლობა, რომ მოახდინონ ინოვაციებისა და ცოდნის აბსორბირება და შედეგად მოიზიდონ ინვესტიციები, ძალზედ განსხვავდება ეკონომიკურ აქტივობებზე დამოკიდებულებით.

რადგან კაპიტალი თავისთავად ითვლება ეკონომიკური ზრდის წინაპირობად, სესხებს გასცემენ ღარიბ ქვეყნებზე, რომელთა მწარმოებლურ/ინდუსტრიულ სტრუქტურებს არა აქვთ უნარი სარფიანად აითვისონ ეს კაპიტალი. საპროცენტო განაკვეთები ხშირად აღემატება ჩადებულ ინვესტიციებზე უკუგებას. ამიტომ, განვითარების დაფინანსებამ შესაძლოა ფინანსური პირამიდის ხასიათი შეიძინოს, რომელშიც გამარჯვებული მხოლოდ ამ სისტემის შემქმნელია.[13] ანალოგიურად, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციაც, მწარმოებლური სტრუქ-

ტურის ცვლილების გარეშე, რომელიც გააჩენდა მოთხოვნას კვალიფიციურ მუშახელზე, ხელს შეუწყობს ემიგრაციას. ორივე შემთხვევაში, ეკონომიკური განვითარებისთვის შედეგი იქნება ის, რასაც გუნარ მირდალი უწოდებს „საწინააღმდეგო ტალღის“ ეფექტს: მეტი კაპიტალი, ორივე, მონეტარულიც და ადამიანურიც, წარიმართება ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში. ამის ახსნა შესაძლებელია ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური მოწყობით, ანუ „მანკიერი წრით“, რომელიც განპირობებულია მიწოდებისა და მოთხოვნის სიმწირით და ასევე მზარდი უკუგების აქტივობების უკმარისობით. აშშ-ის 1820-1900 წლების ინდუსტრიული პოლიტიკა, ალბათ, საუკეთესო მოდელია მესამე მსოფლიოს ქვეყნებისთვის, ვიდრე ისინი შეძლებენ, თავისუფალი ვაჭრობის სიკეთეებით იხეირონ.

რა უნდა გაკეთდეს

როგორც მარშალის გეგმის შემთხვევაში, ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალში ფინანსების ჩადებასთან ერთად, უნდა ჩამოყალიბდეს სამრეწველო და მომსახურების სექტორი, რომელიც, თავის მხრივ, მოახდენს ჩადებული რესურსების ათვისებას. ნედლეულის წარმოების ჩანაცვლება აუცილებელია დემოკრატიული სტაბილურობისა და კეთილდღეობის ზრდისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალი სექტორები ვერ იქნებიან კონკურენტუნარიანი გლობალური ბაზრებისთვის. საწყისი ეტაპის ინდუსტრიალიზაციას დასჭირდება განსაკუთრებული პირობები, როგორიც მარშალის გეგმაში იყო გაწერილი. ამასთან, აუცილებელი იქნება ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების ისე ინტერპრეტირება, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხდებოდა.

ის, რომ ნეოკლასიკოს ეკონომისტებს ცუდად ესმით ბიზნეს საქმიანობის არსი, პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს. ამ ეკონომიკური თეორიის მიხედვით, კაპიტალიზმის საფუძველი სრულყოფილი კონკურენცია და საბაზრო წონასწორობაა. ამგვარ სისტემას ძალიან მცირე მოგება მოაქვს ბიზნესისთვის. ნებისმიერი წარმატებული და მომგებიანი ბიზნესი რენტაზეა ორიენტირებული (რაც თითქმის ქრესტომათიულია). გაღარიბებული მესამე მსოფლიოს ქვეყნების ვითარება ყველაზე მეტად შეესაბამება კლებად უკუგებას და სრულყოფილ კონკურენციას, მაშინ როცა მდიდარ ქვეყნებში, რომელთა საექსპორტო პროდუქცია წარმოებულია შუმპეტერისეულ არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში, რენტაზე ორიენტირებულები არიან. ეს რენტა კი ქმნის უფრო მაღალ ხელფასებს და უფრო ფართო ბაზას გადასახადების მოსაკრებად.

ნეოკლასიკოსი ეკონომისტების უუნარობა, დაუკავშირონ განვითარების პროცესი შუმპეტერისეულ არასრულყოფილ კონკურენციას, წარმოშობს მთავარ არგუმენტებს ინდუსტრიული პოლიტიკის წინააღმდეგ. მიიჩნევა, რომ ნებისმიერი რამ, რაც არასრულყოფილ კონკურენციას იწვევს, „კრონიზმს“ უმართავს ხელს. კეინზი თვლიდა, რომ ინვესტიციებს განაპირობებდა „ცხოველური ინსტინქტები“ (animal spirits). ამ „ცხოველური ინსტინქტების“ (animal spirits), ანუ გაურკვეველ ვითარებაში ინვესტირების ჟინის გარეშე, კაპიტალი სტერილურია, რასაც იზიარებს როგორც ჯოზეფ შუმპეტერი, ასევე კარლ მარქსიც. ამ „ცხოველური ინსტინქტების“ (animal spirits) უკან დგას მოგების მაქსიმუმამდე გაზრდის სურვილი, რაც თავის მხრივ, სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო წონასწორობის დარღვევას ნიშნავს. ბიზნესმენის თვალთახედვით, ღარიბ ქვეყნებში ხშირად ინვესტირების დაბალი დონეა ნაკლებად მომგებიანი საინვეს-

ტიციო შესაძლებლობების გამო, რაც, თავის მხრივ, მეტწილად განპირობებულია დაბალი მსყიდველობითი უნარით და უმუშევრობის მაღალი დონით. მწირ საარსებო საშუალებებზე დამოკიდებული გლეხები მოგების მომტანი მომხმარებლები არ არიან თითქმის არც ერთი მეწარმისა და მომსახურების სფეროსთვის. ტარიფებს შეუძლია შექმნას სტიმულები, რომლებიც ხელს შეუწყობს წარმოების გადატანას ღარიბი ქვეყნების სამუშაო ბაზარზე. ისტორიულად ეს გააზრებული იყო, როგორც კომპრომისი ხელფასის მიმღებ და მწარმოებელ მოქალაქეებს შორის. იდეა, რომ ინდუსტრიალიზაცია დასაქმებას და ხელფასებს სწრაფად გაზრდის (რაც დააკომპენსირებს სამრეწველო პროდუქციის დროებით მაღალ ფასს), ლათინური ამერიკის იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის ბირთვს წარმოადგენდა, რომელიც მეტად წარმატებული იყო დიდი ხნის განმავლობაში. მსგავს ეკონომიკურ მიდგომას ეფუძნებოდა ამერიკული ინდუსტრიალიზაციის პროცესიც 1820 წლის შემდგომ.[14]

იდეა, რომლის თანახმად მეტი ღიაობა ხელს შეუწყობს ღარიბი ქვეყნების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეწინააღმდეგება როგორც საღ აზრს, ასევე ისტორიულ გამოცდილებას. ბევრ შემთხვევაში, ჩამორჩენილ ქვეყნებში სწრაფმა ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ გაანადგურა არსებული მცირე სამრეწველო საქმიანობა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. ძველი დროის ბრძენი თეორეტიკოსები, ჯეიმზ სტიუარტი და ფრიდრიხ ლისტი, ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია ნელ-ნელა უნდა მოხდეს, რათა ღარიბი სავაჭრო პარტნიორის სამრეწველო სექტორს დრო მიეცეს ახალ რეჟიმთან მორგებისთვის. ამგვარი იყო ევროკავშირის მიდგომა 1980 წელს ესპანეთის წარმატებული ინტეგრაციის დროს. თუმ-

ცა, 1989 წლის შემდგომი ტრიუმფალისტური განწყობის შედეგად, ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა. ახალ ეკონომიკურ თამაშის წესებს „შოკური თერაპია“ ეწოდა.

ისტორიული გამოცდილება, მე-19 საუკუნეში იტალიის გაერთიანებიდან დაწყებული და 1990-იან წლებში მონღოლეთსა და პერუში ინტეგრაციული პროცესებით დამთავრებული, გვიჩვენებს, რომ განსხვავებული ეკონომიკური განვითარების მქონე სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობა იწვევს ყველაზე შედეგიანი სექტორების განადგურებას ნაკლებად შედეგიანი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში. ამ საერთო ფენომენს ვუწოდე ვანეკ-რეინერტის ეფექტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთში ნაპოლეონის ომის დროს, იტალიის გაერთიანებისა და ასევე ე.წ. ისტორიის დასასრულის პერიოდში მეორე და მესამე სამყაროში. პირველი, რაც კვდება, არის ყველაზე განვითარებული მრეწველობა, ხოლო სულ ბოლოს ნატურალური მეურნეობა, რომელიც ყველაზე ნაკლებად განვითარებულია. ამ პროცესს შემდეგი თანმიმდევრობა აქვს: 1) დეინდუსტრიალიზაცია 2) სოფლის მეურნეობის განადგურება („დეაგრიკულტურიზაცია“) 3) დეპოპულაცია. ამ ფენომენს მრავალ ქვეყანაში შეიძლება შევხვდეთ, მაგალითად, სამხრეთ მექსიკასა და მოლდოვაში (ევროპის პერიფერიაში), სადაც მოსახლეობის 14 წლამდე და 60 წელს ზემოთ ასაკის ნაწილია დარჩენილი, სხვები საზღვარგარეთ არიან წასულები სამუშაოდ.

პერუსა და მონღოლეთში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ყველაზე მაღალი ხელფასები „არაეფექტიანი“ იმპორტის ჩანაცვლების დროს იყო. წამყვანი ეკონომიკური თეორია ვერ ამჩნევს იმ ფაქტს, რომ პორტები, აეროპორტები, გზები, ელექტროსადგურები, სკოლები, ჰოსპიტალები და მომსახურების ინდუსტრიები შექმნა ამ „არაეფექტიანმა“ ინდუსტრიულმა სექტორმა. ეს ყველაფერი კი ვერ შეიქმნებოდა რომ არ ყოფილი-

ყო ინდუსტრიული სექტორის მოთხოვნა შრომასა და ინფრასტრუქტურაზე.[15] ეს სრულებითაც არ განსხვავდება იმისგან, რაც გააკეთა ინგლისმა 1485 წლის, გერმანიამ 1650 წლის, აშშ-მა 1820 წლის და სამხრეთ კორეამ 1960 წლის შემდგომ. ამ ქვეყნებმა გამდიდრება დაიწყეს მაშინდელი დროისთვის „არაეფექტიანი" ინდუსტრიების მშენებლობით. ეროვნულ დონეზე „ეფექტიანობის" შექმნას სჭირდება მოსამზადებელი სტადია, რაც მცირე გონების პატრონებს (და არა ადამ სმიტს), შესაძლოა, შედარებით არაეფექტიანად მოეჩვენოთ. ეს სტრატეგია იყო განვითარების აუცილებელი სტადია, რომელიც გაიარა დღესდღეობით ყველა მდიდარმა ქვეყანამ. თუმცა, ეს სტრატეგია დღეს აკრძალულია ვაშინგტონში მდებარე გლობალური ფინანსური ინსტიტუტების მიერ.

ერთადერთი განსხვავება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, მდიდარ ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, პერუსა და მონღოლეთს შორის, არის ის, რომ ამ უკანასკნელთ არასდროს უცდიათ თავიანთი წარმოება გაეხადათ კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე. კითხვაზე, თუ რატომ მოხდა ასე, პასუხი ერთგვაროვანი არ არის. ნაწილობრივ იმის გამო, რომ პროტექციონიზმის ის ფორმა, რომელსაც ეს ქვეყნები იყენებდნენ არ იყო გამართული და დინამიკურობა აკლდა (იხ. დანართი IV). თუმცა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, უდავოდ, ეკონომიკის სწრაფი ლიბერალიზაცია წარმოადგენდა. ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში ბევრი ფირმა იქამდე გაკოტრდა, ვიდრე საკუთარი ხარჯების დასადგენად საბუღალტრო სისტემის დანერგვას მოახერხებდნენ. დროთა განმავლობაში ცხადი გახდა, რომ „ისტორიის დასასრულის" პერიოდის „შოკური თერაპია" სრული სიგიჟეა.

როგორც ადრე აღვნიშნე, ეკონომიკის გახსნისთვის დროის შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეკონომიკის გვიან გახ-

სნამ, შესაძლოა, ძლიერ შეუშალოს ხელი ეკონომიკურ ზრდას, მაშინ, როცა ადრეულად გახსნა დეინდუსტრიალიზაციას გამოიწვევს, რაც თავისთავად ნიშნავს ხელფასების შემცირებასა[16] და სოციალური პრობლემების ზრდას. ის, რომ ღარიბი გლეხების დიდი რაოდენობა „არაკონკურენტუნარიანი“ ხდება პირველი სამყაროს ქვეყნების სუბსიდირებულ სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში, ახალი, თუმცა საგანგაშო ტენდენციაა. ეს ტენდენცია შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგაც კი, რაც მდიდარი ქვეყნები მოხსნიან საექსპორტო სუბსიდიებს საკვებ პროდუქციაზე. მექსიკელი გლეხების „არაკონკურენტუნარიანობა“, სიმინდისა და ხორბლის მწარმოებელ ამერიკელებთან შედარებით, სამხრეთ მექსიკიდან ემიგრაციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ინდოეთში 650 მილიონი გლეხია, რომლებიც ისეთივე „არაკონკურენტუნარიანები“ არიან, როგორც მათი მექსიკელი კოლეგები. „არაკონკურენტუნარიან“ მექსიკელ გლეხებს შეუძლიათ ამერიკაში წავიდნენ სამსახურის საძებნელად, მაგრამ სად წავა 650 მილიონი ინდოელი გლეხი, რომლებიც იგივე პირობებში დგებიან „თავისუფალი ვაჭრობის“ გამო?

ღარიბ ქვეყნებს უწევთ არჩევნის გაკეთება საერთაშორისო ვაჭრობისა (რასაც დღევანდელი დომინანტური პოლიტიკა გულისხმობს) და ადამიანური კეთილდღეობის მაქსიმალურ ზრდას შორის. ეს ზუსტად ისაა, რაზეც მიუთითებდა მე-18 საუკუნის ფრანგი ეკონომისტი სიმონ ლინგუეტი (Simon Linguet), როცა ფიზიოკრატების ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებზე საუბრობდა. ეს მნიშვნელოვანი კომპრომისი ვაჭრობის თავისუფლებასა და სიღარიბისგან თავისუფლებას შორის, უფრო სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. ღარიბი ქვეყნების პრობლემები და სოციო-ეკონომიკური დანაკარგები ვერ კომპენსირდება

მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების ზრდით, რაც მათ დამოკიდებულებას მდიდარ ქვეყნებზე კიდევ უფრო ზრდის.

ისტორია გვიჩვენებს, რომ სიღარიბისა და განუვითარებლობის „მანკიერი წრე“ შეიძლება დაიძლიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნების მწარმოებლური სტრუქტურა თვისობრივად შეიცვლება. წარმატებული სტრატეგია მოიცავს წარმოების დივერსიფიკაციას, კლებადი უკუგების აქტივობებიდან (ტრადიციული ნედლეულის წარმოება და სოფლის მეურნეობა) მზარდი უკუგების აქტივობებზე (ტექნოლოგიები, ინტენსიური გადამამუშავებელი მრეწველობა და მომსახურება) გადასვლას, შრომის კომპლექსურ დანაწილებას და ახალი სოციალური სტრუქტურის შექმნის პროცესს. ამ სტრატეგიის განხორციელებით, გარდა იმისა, რომ მოხდება ტრადიციული ნატურალური სოფლის მეურნეობიდან თავის დაღწევა, შეიქმნება ურბანული ბაზარი საქონლისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სპეციალიზაციას, ინოვაციების დანერგვასა და ახალი ტექნოლოგიების შემოტანას. ასევე, ამგვარი მიდგომით იქმნება დასაქმების ალტერნატიული სექტორები და ეკონომიკური სინერგიები, რაც ხელს უწყობს ერი-სახელმწიფოს ერთიანობას. სტაბილური განვითარების გასაღები, ერთი და იმავე შრომის ბაზრის ფარგლებში, კლებადი და მზარდი უკუგების მქონე სექტორებს შორის ურთიერთქმედებაა.

მალთუსიანური „კრონიზმი“, შუმპეტერიანული „კრონიზმის“ წინააღმდეგ

ისე არაფერი შეურაცხყოფს ეკონომისტს, როგორც მისი „მერკანტილისტად“ შერაცხვა. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის ორი ყველაზე გამოჩენილი ეკონომისტი – ჯონ

მეინარდ კეინზი და ჯოზეფ შუმპეტერი – მერკანტილიზმსა და სმიტამდელ ეკონომიკას იცავდნენ შესაბამისი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. „მერკანტილისტად“ იმათ მიიჩნევენ, ვისი აზრითაც ზოგიერთი ეკონომიკური აქტივობა უფრო მეტად უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობას, ვიდრე სხვა აქტივობები. მერკანტილისტები მზარდი უკუგების აქტივობების წასახალისებლად საბაზრო თამაშის წესებს ამახინჯებდნენ. ბოლო დროს, როცა კვლავ გაისმა მოწოდება ღარიბი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის შესახებ, მის წინააღმდეგ კვლავ ჩამოყალიბდა ახალი არგუმენტების წყება – ინდუსტრიული პოლიტიკა ხელს შეუწყობს „რენტის მაძიებლობას“ და „კრონიზმს“.

როგორც მეოთხე თავში ვამტკიცებდი, რენტის მაძიებლობა კაპიტალიზმის ძირითადი წარმმართველი ძალაა. მთავარი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში დაისმება არის ის, თუ რამდენად ვრცელდება ეს ფენომენი მთელ საზოგადოებაზე, მაღალი ხელფასებისა და მაღალი დასაბეგრი შემოსავლის სახით. თეორიულად „სრულყოფილი კონკურენციის“ მიზანი იმგვარი ვითარების შექმნაა, რომელშიც მწარმოებლები ვერ მდიდრდებიან. ამ რენტის მაძიებლობის არგუმენტს ახლა დაემატა მასთან დაკავშირებული ახალი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, ინდუსტრიული პოლიტიკა ქმნის „კრონიზმს“, მაშასადამე, ფულის კეთება შესაძლებელია მხოლოდ ფავორიტიზმით – მეგობრებისა და კომპანიონების დახმარებით.

ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავეთ ეკონომიკური აქტივობების ორი ტიპი: მალთუსიანური და შუმპეტერიანული, რომელიც მე-12 ილუსტრაციაზეა გამოსახული. ახლა დროა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ორი ტიპის „კრონიზმი“. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

2005 წელი: ფილიპინელი შაქრის მწარმოებელი იყენებს თავის პოლიტიკურ გავლენას, რათა მოიპოვოს საკუთარი პროდუქციის იმპორტისგან დაცვის შესაძლებლობა.

2000 წელი: ჩიკაგოს მერი დეილეი (ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომისტების რჩევების იგნორირებით) სუბსიდიებს აძლევს მაღალტექნოლოგიური სექტორის ისედაც მდიდარ ინვესტორებს საინვესტიციო ინკუბატორის მეშვეობით.

1950-იანი და 1960-იანი წლები: შვედი ინდუსტრიალისტი მარკუს ვალენბერგი იყენებს თავის ახლო კავშირებს ლეიბორისტული პარტიის ფინანსთა მინისტრ გუნარ სტრანგთან, რათა მოიპოვოს პოლიტიკური მხარდაჭერა თავისი მიზნების განსახორციელებლად, რომელიც შვედურ კომპანიებს Volvo-ს და Electrolux-ს უკავშირდება.

1877 წელი: ამერიკელი ფოლადის მწარმოებლები იყენებენ საკუთარ პოლიტიკურ ძალაუფლებას, რათა დაწესდეს 100%-იანი საბაჟო გადასახადი ფოლადის რელსების იმპორტზე.[17]

1485 წელი: შალის დამამზადებლები იყენებენ საკუთარ კავშირებს მეფე ჰენრი VII-სთან, რათა გავლენა მოახდინონ სახელმწიფოზე, რომ მათ მიეცეთ სუბსიდიები და ნედლეულის (მატყლის) ექსპორტზე დაწესდეს გადასახადი. ნედლეულზე საექსპორტო გადასახადი ფასებს უზრდის კონტინენტურ ევროპაში მომუშავე კონკურენტებს. ეს ნელ-ნელა ახშობს მატყლის ინდუსტრიას სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ფლორენციაში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითი შეიცავს „კრონი“ კაპიტალიზმს და რენტის მაძიებელ ქცევას, რაც ზიზღს იწვევს სტანდარტული ეკონომიკური თეორიის მიმდევრებში. თუმცა, პირველსა და სხვა დანარჩენ მაგალითებს შორის არსებობს საკვანძო განსხვავება. მთავრობასთან დაახლოებული ფილიპინელი ბიზნესმენი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი

იღებს სუბსიდიას ნედლეულისთვის (კლებადი უკუგების აქტივობა), რომელსაც უწევს მსოფლიო ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ოპერირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის მალთუსიანური „კრონიზმი“, რომელსაც ქვეყანა მიჰყავს კლებადი უკუგების აქტივობების გზით (ტექნოლოგიური ცვლილების მიუხედავად, რომელიც ეწინააღმდეგება ამ პროცესს). ამ გზაზე ტექნიკურ ცვლილებას არ შესწევს უნარი გაზარდოს ხელფასები. სხვა ჩამოთვლილი მაგალითები შედის შუმპეტერიანული „კრონიზმის“ კატეგორიაში, რომელშიც ხორციელდება, როგორც შუმპეტერი უწოდებს, ისტორიული მზარდი უკუგება (ეს არის მზარდი უკუგების და სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილების კომბინაცია). ჩვენ თუ ამას დავაკავშირებთ ვაჭრობის ახალ თეორიასთან, დავინახავთ, თუ როგორ იღებენ შუმპეტერიანული დამახინჯებული საბაზრო ძალები, ფილიპინური მაგალითისგან ბევრად უფრო განსხვავებულ შედეგებს.

ერთხელ კეინზმა თქვა, „რაც უფრო რთულია სიტუაცია, მით უფრო ცუდად მუშაობს „laissez-faire““. თუ ჩვენ დაჟინებით უარს ვიტყვით ინდუსტრიულ პოლიტიკაზე მხოლოდ იმიტომ, რომ სრულყოფილი კონკურენციისგან დაშორება გამოიწვევს მთავრობასთან დაახლოებული ზოგიერთი ადამიანის გამდიდრებას, მაშინ ჩვენ სრულებითაც ვერ გაგვიგია კაპიტალიზმის ბუნება. ბოლოს და ბოლოს, კაპიტალიზმის არსი სრულყოფილი კონკურენციისგან გაცლაა. ყველაზე მთავარი რამ, რასაც კარგი ბიზნეს სკოლები ასწავლიან, არის ის თუ როგორ გაექცნენ იმას, რასაც ეკონომისტები სრულყოფილ კონკურენციას უწოდებენ.

ეკონომიკური განვითარება სტრუქტურული ცვლილებებითაა გამოწვეული, რომლებიც ანგრევენ საბაზრო წონასწორობას და ქმნიან რენტას. რენტაზე ჯიუტად უარის თქმა იგივეა, რაც სახელმწიფოსთვის სრული უძრაობის მოთხოვნა. თუმცა,

მაინც არსებობს იმის საჭიროება, რომ აირჩეს, თუ რომელი აქტივობა უნდა იყოს დაცული და რომელი არა. აბრაამ ლინკოლნი იცავდა ფოლადის მწარმოებლებს – ფოლადში ცოტათი უფრო მეტის გადახდით.[18] ამერიკამ შექმნა უზარმაზარი ფოლადის ინდუსტრია მაღალანაზღაურებადი სამსახურებით, რამაც, თავის მხრივ, გააჩინა დასაბეგრი საგადასახადო ბაზა სახელმწიფოსთვის. აშშ-მა შექმნა რენტის სამდონიანი სტრუქტურა, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მე-3 თავში ვენეციის, ჰოლანდიის რესპუბლიკისა და ინგლისის მაგალითების განხილვისას. ეკონომიკური განვითარება ხდება იქ, სადაც საზოგადოებრივი ინტერესები და კაპიტალისტების ვიწრო ინტერესები ერთმანეთის თანხვედრაშია. სტანდარტული ეკონომიკის მარცხმა ბიზნეს სამყაროს დინამიკის გააზრების პროცესში, მიგვიყვანა კოლონიალიზმის ეკონომიკური შინაარსის გაუაზრებლობასთანაც. კოლონიებისთვის საკუთარი ინდუსტრიული სექტორის ფლობის აკრძალვამ გამოიწვია ის, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდისა და მექანიზაციის პოტენციალის მქონე აქტივობები დარჩა მეტროპოლიებში, ხოლო კლებადი უკუგების მქონე აქტივობები გადავიდა კოლონიებში.

უზარმაზარი თანხები, რომლებიც მიედინება განვითარებად ქვეყნებში ათასწლეულის განვითარების მიზნების პროგრამის ფარგლებში, აუცილებლად გამოიწვევს „კრონიზმს“. ამ ინიციატივის ფარგლებში ვილაცები გამდიდრდებიან, რადგან „კრონიზმისგან“ თავისუფალი ეკონომიკა, მხოლოდ ნეო-კლასიკურ ეკონომიკურ მოდელებში არსებობს. ჰუმანიტარული „კრონიზმის“ ნაცვლად, შუმპეტერიანული „კრონიზმის“ არჩევით ღარიბ ქვეყნებს გაუჩნდებათ შესაძლებლობა გათავისუფლდნენ ეკონომიკური დაქვემდებარებულობისგან. შუმპეტერიანული „კრონიზმი“ ზრდის როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო

ეკონომიკას. ჰუმანიტარულ დახმარებაზე დამყარებული „კრონიზმი“ არაფერს არ ქმნის, პირიქით აღრმავებს კოლონიალურ მდგომარეობს. ასევე, ამგვარ „კრონიზმს“ ღარიბი ქვეყნების ყურადღება გადააქვს ეროვნული სიმდიდრის შექმნისგან.

როგორც ჩანს, ჩვენ საერთოდ აღარ გვესმის, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები. პატენტები და თანამედროვე ტარიფები გაჩნდა თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში, 1400-იან წლებში. ეს რენტის მაძიებელი ინსტიტუტები შეიქმნა ეკონომიკური განვითარების პროცესზე არსებული იმავე შეხედულებით, ცოდნის დაცვისა (პატენტის შემთხვევაში) და წარმოების ახალ გეოგრაფიულ არეალებში გავრცელების (ტარიფების შემთხვევაში) მიზნით. პატენტებიც და ტარიფებიც რენტის დაკანონებული მაძიებლობაა იმ მიზნების მისაღწევად, რომელთა განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში.

მაშინ, რატომ ხდება ისე, რომ რენტის მაძიებლობისა და „კრონიზმის“ არგუმენტები გამოიყენება მხოლოდ ტარიფებისა და სხვა პროტექციონისტულ პოლიტიკებთან მიმართებაში, პატენტების შემთხვევაში კი არა? გარკვეული დასაბუთებით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდიდარი ქვეყნები აკანონებენ ისეთ წესებს, რომლებსაც მოაქვთ მათთვის რენტა, თუმცა ღარიბ ქვეყნებში რენტის მიღება ეკრძალებათ.

მრავალფეროვნება როგორც განვითარების წინაპირობა

კიდევ ერთი „ბრმა ლაქა“ ეკონომიკურ მეცნიერებაში იმის დანახვის უუნარობაა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვნება ეკონომიკური ზრდისთვის. სხვადასხვა მიზეზის

გამო, მრავალფეროვნება ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია. პირველი, მზარდი უკუგების ეკონომიკური საქმიანობის მრავალფეროვნება (პროფესიების მაქსიმალურად გაზრდა ეკონომიკაში) არის სინერგიული ეფექტის ფუნდამენტი, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. ეს ჯერ კიდევ 1600-იანი წლებიდან არის ცნობილი. მეორე, თანამედროვე ევოლუციური ეკონომიკა აქცენტს აკეთებს მრავალფეროვნების მნიშვნელოვნებაზე ტექნოლოგიების, პროდუქტების და ორგანიზაციული გადაწყვეტების შერჩევის პროცესში. ყველა ეს ელემენტი უმნიშვნელოვანესია ცვალებადი საბაზრო ეკონომიკისთვის.[19] მესამე, მრავალფეროვნებით აიხსნება ევროპული „განსაკუთრებულობის“ იდეა, რომლის ფარგლებშიც ბევრ ევროპულ ერ-სახელმწიფოს შორის კონკურენციამ ხელი შეუწყო ერთმანეთის მიმართ ტოლერანტულობას და მრავალფეროვნებაზე მოთხოვნის გაჩენას. მეცნიერს, რომლის შეხედულებებიც არ მოსწონდა რომელიმე მეფეს ან მმართველს, შეეძლო სამსახური სხვა ქვეყანაში ეპოვა, რითიც ხელი ეწყობოდა იდეების მრავალფეროვნებას.

მეოთხე მიზეზის – რელიგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობას ხაზს უსვამდა ჯონათან ფონ პფაიფერი (1718-87), ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი მე-18 საუკუნეში. მაშინ როცა ზოგი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი რელიგია უფრო მეტად უწყობს ეკონომიკურ ზრდას ხელს, ვიდრე სხვა,[20] ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, რიჩარდ ტაუნი (1880-1962),[21] საუბრობდა რელიგიის როლის შესუსტებაზე კაპიტალიზმის განვითარებაში. 150 წლით ადრე პფაიფერი ამტკიცებდა, რომ თუ ქვეყანაში რამდენიმე კონფესიაა, რელიგია როგორც სოციალური ინსტიტუტი მეტწილად კარგავს საკუთარ გავლენას მოსახლეობაზე. ალტერნატიული რწმენის არსებობა

აშორებს ხალხს შიშსა და სხვა ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფანატიზმს. შედეგად, ქვეყანაში ყალიბდება ტოლერანტული გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობისა და ადამიანთა უნარების მრავალფეროვნებას.[22] როგორც მიწვეულ პროფესორს, ორჯერ მქონდა შესაძლებლობა მალაიას [მალაიზიის დასავლეთი ნაწილი. – მთარგმნ.] უნივერსიტეტში (კუალა ლუმპურში), დავკვირვებოდი ისლამის რელიგიურ მსახურებას ინდუსტრიულ სახელმწიფოში, სხვა რელიგიების გვერდით. ჩემი აზრით, ტაუნი და პფაიფერი მართლები იყვნენ, ჩვენ დასავლეთის უსაფრთხოებას აბსოლუტურად არასწორი კუთხიდან ვუყურებთ.

ჩვენ დღეს ვცხოვრობთ დიდი უცოდინრობის ეპოქაში. ამ ეპოქაში არგუმენტები, რომლებიც ეკონომიკური განვითარების პროცესს ხსნიდნენ, დავიწყებულია. მრავალფეროვნების მნიშვნელობა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. ამ უცოდინრობაზე მიუთითებს სიღარიბის ახსნის დღევანდელი მიდგომა, რომელიც სიღარიბის მიზეზებს კორუფციასთან და კლიმატურ პირობებთან აკავშირებს. ამ უცოდინრობას კიდევ უფრო ამყარებს ისტორიის უგულებელყოფა და მრავალგზის დამტკიცებული პრინციპების უარყოფა, რომლებიც ხუთი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფოებს ამდიდრებდა. დღევანდელის მსგავს სიტუაციაში იყო მე-19 საუკუნის გერმანელ განმანათლებელ ეკონომისტთა ჯგუფი, რომელმაც მოახერხა გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის ყურადღების მიპყრობა. მათ მიეცათ შესაძლებლობა ჩამოეყალიბებინათ გერმანიის განვითარებაზე ორიენტირებული [„დეველოპმენტალისტური“. – მთარგმნ.], კეთილდღეობის სახელმწიფო. ანალოგიურად, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, მსოფლიომ გააცნობიერა რომ ეკონომიკური განვითარება სინერგიული ეფექტისა და მზარდი უკუგების

ეკონომიკური აქტივობების შედეგი იყო. კომუნიზმის პოლიტიკურ საფრთხესთან ერთად, სწორედ ამ გააზრებამ განაპირობა ვაშინგტონში თავისუფალი ვაჭრობის იდეებზე უარის თქმა და ევროპისა და აზიის ნაწილის ხელახალი ინდუსტრიალიზაცია. ეკონომიკური ზრდის გამოცოცხლებისთვის აუცილებელია დავუბრუნდეთ ამ ეკონომიკურ თეორიას.

ყოვლისმომცველ თეორიასთან დაბრუნება

ბერლინის კედლის დანგრევასთან ერთად, ნეოკლასიკური თეორიის განსხვავებულმა მიმდინარეობებმა ცენტრალური ადგილი დაიკავეს. თუმცა, ნიკოლას კალდორს რომ დავესესხოთ, ნეოკლასიკური თეორია შეუმოწმებელი თეორია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია ეფექტურ იდეოლოგიურ ფარს წარმოადგენდა ცივი ომის დროს, არც ერთი ერი არ აშენებულა ამ თეორიის პრინციპებით. 1990-იანი წლებისთვის, პოლიტიკური რეკომენდაციები ფორმულირდებოდა წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრების სამუელსონის „კანონის“ ირგვლივ. ეს რეკომენდაციები უგულებელყოფდნენ სხვა მნიშვნელოვან თეორიულ მიდგომებს. ნეოკლასიკური ეკონომიკის მამამთავრის, ალფრედ მარშალის, სამი უმთავრესი იდეა დაიკარგა, როცა ამ თეორიამ გადაუხვია ინდუსტრიული წარმოების თვისობრივ გაგებიდან და დაამკვიდრა მათემატიკური მეთოდი, რომელიც მარშალს მხოლოდ თავის „ეკონომიკის პრინციპების“ (1890) დანართში ჰქონდა გამოყენებული. მარშალი წერდა, რომ სწორი განვითარების სტრატეგია ის იქნება, რომლის ფარგლებშიც კლებადი უკუგების აქტივობები დაიბეგრება და მიღებული შემოსავლით სუბსიდიები მიეცემა მზარდი უკუგების მქონე აქტივობებს. იგი ასევე ხაზს უსვამდა, იმ პროდუქტიული

სექტორების მნიშვნელობას, რომლებშიც ყველაზე მეტი ტექნოლოგიური პროგრესია და რომლებშიც სინერგიების როლი დიდია (სამრეწველო რაიონების იდეა).

მე-6 თავში აღწერილმა სხვადასხვა პოლიტიკურმა მიმართულებებმა, რომლებიც ერთმანეთს რივრიგობით ცვლიდნენ, ვერ შეავსეს ის ფუნდამენტური დანაკლისები, რომელიც ნეოკლასიკურ ეკონომიკას გააჩნია:

ა) მისი უუნარობა, დაინახოს თვისობრივი განსხვავებები, მათ შორის ეკონომიკური აქტივობების განსხვავებული პოტენციალი, ეკონომიკურ ზრდაში წვლილის შეტანის კუთხით;

ბ) მისი უუნარობა, აღიაროს სინერგიებისა და ეკონომიკური კავშირების მნიშვნელობა;

გ) მისი უუნარობა, გაუმკლავდეს ინოვაციებსა და სიახლეებს, ასევე ახსნას, თუ რატომ არიან ისინი განაწილებული სხვადასხვაგვარად ეკონომიკურ აქტივობებს შორის.

გაბატონებული ეკონომიკური თეორიის ამ ნაკლოვანებებმა მრავალ ღარიბ სახელმწიფოს შეუშალა ხელი განვითარებაში. ჩინეთი და ინდოეთი, ალბათ, დღესდღეობით ყველაზე წარმატებული განვითარებადი სახელმწიფოები, 50 წლის განმავლობაში მისდევდნენ მარშალის რჩევებს და არა ვაშინგტონის კონსენსუსის რეკომენდაციებს.

ნეოკლასიკური ეკონომიკის სიზუსტეც და მისი შეუსაბამობაც, ორივე ერთი და იმავე პროცესის ნაწილია, რომელშიც უმნიშვნელოვანესი საკითხები უგულებელყოფილია. ყოველივე ეს წარმოქმნის ე.წ. „ბრმა ლაქებს“, ანუ ამ თეორიის ნაკლოვანებებს. ფრანგი ფილოსოფოსის, ჟაკ დერიდას, დეკონსტრუქციის თეორიის წარმმართველი პრინციპი ეკონომიკისთვისაც უმნიშვნელოვანესია: ყველა სტრუქტურა, რომელიც აყალიბებს ჩვენს გამოცდილებას, იქნება ეს ლიტერატურული, ფსიქოლოგიური,

სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური, შედგენილი და შენარჩუნებულია გამორიცხვის [გამოძევების. – მთარგმნ.] აქტის დახმარებით. რაღაცის კეთების პროცესში, სხვა რაღაცა გარდაუვლად გვერდზე რჩება. ეს გამომრიცხავი სტრუქტურები შესაძლოა რეპრესიულებად იქცნენ და რეპრესიებს თავისი შედეგები აქვს. თითქმის ფროიდისეული მანერით, დერიდა ამტკიცებს, რომ რაც რეპრესიას ექვემდებარება – არ ქრება, არამედ ბრუნდება, რათა დაანგრიოს ნებისმიერი კონსტრუქცია, რაც არ უნდა მყარი იყოს ის. სტანდარტულმა ეკონომიკის სახელმძღვანელოებმა, იმ სახით როგორც ეს გამოიყენება ვაშინგტონში მდებარე მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების მიერ, რეპრესიები განახორციელეს ეკონომიკურ აქტივობებს შორის განსხვავებებზე. თუმცა, როგორც დერიდა ეჭვობდა, ეს განსხვავებები, მაგალითად, რომლებიც არსებობს ავღანეთის ეკონომიკისა და სილიკონის ველის ეკონომიკურ აქტივობებს შორის, დაბრუნდნენ და გვდევნიან ჩვენ, მაშინ, როცა ჩვენ ვცდილობთ ჩავსვათ ავღანეთი ჩვენს მიერ შექმნილ ერი-სახელწიფოს წარმოდგენაში.

ერაყის ომი დაფუძნებული იყო ცივი ომის იდეალურ და ჰარმონიის შემქმნელ ეკონომიკურ მოდელებზე, რომლებშიც ბაზარს და თავისუფალ ვაჭრობას უნდა შეექმნა „სპონტანური წესრიგი“. არსებობს პირდაპირი კავშირი შესაბამისი ეკონომიკური ფაქტორების ზემოთ აღწერილ რეპრესიებსა და იმას შორის, რასაც დღეს სულ უფრო მეტი ავღანელი და ერაყელი აღიქვამს რეპრესიად. „ახალ და გაუმჯობესებულ“ განვითარების ეკონომიკას მუდმივად უნდა ახსოვდეს დერიდას გაფრთხილება. თეორიები იდეების განდევნის მეშვეობით კი არ უნდა ავაგოთ, არამედ იდეების ინტეგრირებით, რაც ეკონომიკის ისტორიული სკოლის განსაკუთრებული მახასიათებელი იყო.

უკანასკნელ დროს, ინოვაციებს კვლავ შესძინეს ეკონომი-

კური ფაქტორის როლი, თუმცა ეს საკმარისი არ არის. სწავლების და ინოვაციის პროცესი განვითარების ძირითადი ელემენტებია, თუმცა ისინი შეიძლება გადმოეცეს ეკონომიკას უცხოელი მომხმარებლებისთვის ფასების შემცირების სახით. ჰანს ზინგერი, შუმპეტერის სტუდენტი, იყო ავტორი იდეისა, რომლის მიხედვითაც ნედლეულის მწარმოებელ ქვეყანაში, გადამამუშავებელი მრეწველობის არარსებობის პირობებში, სწავლებას და ტექნოლოგიურ ცვლილებას ნედლეულის წარმოებაში შეეძლო ექსპორტის ფასების შემცირება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ნაცვლად.[23] სწავლება მხოლოდ მაშინ ქმნის სიმდიდრეს, როცა ის მოქმედებს სისტემის ფარგლებში, რასაც ადრე „ინდუსტრიალიზმს“ უწოდებდნენ (ეკონომიკური აქტივობების დინამიური სისტემა, რომელიც პროდუქტიულობის ზრდას ტექნოლოგიური ცვლილებითა და შრომის კომპლექსურ დანაწილებით ახერხებს). მზარდი უკუგების, დინამიური, არასრულყოფილი კონკურენციის და სინერგიების არარსებობა ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებში სიღარიბეს მხოლოდ აძლიერებს.

მე-18 ილუსტრაცია აჯამებს ყველა არგუმენტს, რომელიც ისტორიულად მოიხმობოდა იმის ასახსნელად, თუ რატომ ჯობს ზოგი აქტივობა სხვა აქტივობებს და რატომ რჩება ის სახელმწიფო მუდმივად სიღარიბეში, რომელიც მხოლოდ ნედლეულს აწარმოებს. „ცივი ომის“ ეკონომიკამ და 1989 წლის ტრიუმფალისტურმა განწყობამ, მთლიანად გამოდევნა ყველა ეს არგუმენტი „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პოლიტიკის ინსტრუმენტთა ნაკრებიდან. ეს განსხვავებები ნაჩვენებია როგორც ორი „იდეალური ტიპი“. ნიდერლანდებში ყვავილების ბოლქვების წარმოებასა და შემდეგ მის მარკეტინგს, მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიურად აგრარულ მეურნეობას განეკუთვნება, გადამამუშავებელ მრეწველობასთან ბევრი საერთო მახასიათებელი

აქვს. „მაკუილადორას“ [ბაჟისგარეშე კომპონენტების იმპორტის პოლიტიკა მექსიკურ ბაზარზე შემდგომი აწყობისთვის და მზა ნაწარმის რეექსპორტისთვის. – მთარგმნ.] მსგავსი წარმოება, მეორე მხრივ, იზიარებს სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელ ბევრ თვისებას.[24] ჩარლზ კინგის[25] ტრადიციისამებრ, რომელიც დომინირებდა განმანათლებლობის ეკონომიკურ აზროვნებაში, სიის მარცხენა მხარე აღნიშნავს „კარგ“ ეკონომიკურ აქტივობებს, ხოლო მარჯვნივ დატოვებულია „ცუდი“ ეკონომიკური აქტივობები. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანობა და მოიცავს კუმულაციურ სინერგიას, ასევე პოზიტიურ და ნეგატიურ ურთიერთქმედებას სხვადასხვა ფაქტორებს შორის.

მხოლოდ ერთი ამ ფაქტორთაგანიც კი საკმარისია ეკონომიკური განვითარების დასამუხრუჭებლად. თუ გლეხების პროდუქციის მომხმარებლები საზღვარგარეთ არიან (იმის ნაცვლად, რომ მათი მომხმარებელი იყოს იგივე შრომის ბაზრის ნაწილი, რომელიც ახლომახლო ქალაქშია), უმთავრესი სინერგიული და „ცივილიზატორული“ კავშირები, რასაც ჯორჯ მარშალი შეეხო 1947 წელს, აღარ გაჩნდება. პირველ სამყაროში საკვები პროდუქციის ექსპორტის მეშვეობით აფრიკის განვითარების გეგმა განწირული იყო ჩავარდნისთვის ამ ერთი ფაქტორის გამოც კი, სხვებს რომ თავი დავანებოთ.

მეორე მსოფლიო ომის შედგომ ზემოთ ილუსტრაციაზე მარცხნივ გამოსახული ფაქტორები გამოძევდა „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პოლიტიკური ინსტრუმენტებიდან. ამის შედეგად, იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც არ ჰქონდათ მიღწეული იმ ეტაპისთვის, როდესაც თავისუფალი ვაჭრობა მათთვის მომგებიანი იქნებოდა, დაიწყეს ჩამორჩენა რეალური ხელფასის დონის მაჩვენებლით. როგორც მე-6 თავში განვიხილეთ, იმის ნაცვლად, რომ თავიდან წარმოედგინათ ეს ეკონომიკუ-

რი ფაქტორები, 1990 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფოები, კეთილი მიზნებიდან გამომდინარე, უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ არაეკონომიკურ ფაქტორებთან უნაყოფო ბრძოლაში (ძირითადი საკითხებიდან ყურადღების გადატანისთვის). ამის პარალელურად, გაიზარდა ჰუმანიტარული დახმარება, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა საერთაშორისო სოციალური პოლიტიკა, რომელმაც რეალური პროგრესის არარსებობა გადაფარა. თუმცა, საუკეთესო სოციალური პოლიტიკა არის განვითარება, სადაც მდიდრები არ ქმნიან რეზერვაციებს იმ ღარიბებისთვის, რომლებიც მეტწილად არასრულად დასაქმებულები და „არაპროდუქტიულები“ არიან.

ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიელების რეზერვაციები არის იმ პოლიტიკის სამწუხარო მაგალითი, რომლის ფარგლებშიც ხდება ღარიბების სუბსიდირება ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილების გარეშე. ანალოგიურად, ათასწლეულის განვითარების მიზნები მიდრეკილია პალიატიური ეკონომიკისკენ, ნაცვლად სტრუქტურული ცვლილებისა, მიმართულია სიღარიბის სიმპტომების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ნაცვლად მისი მიზეზების აღმოფხვრისა. დღესდღეობით ამგვარი ზომები შეიძლება გამართლებული იყოს არსებული კრიტიკული ვითარებიდან გამომდინარე. თუმცა, თუ ამ ზომებს გამოიყენებენ გრძელვადიანი სტრატეგიისთვის და არ იზრუნებენ პრობლემის მიზეზების აღმოფხვრაზე, ეს დააზარალებს სოციალურ პოლიტიკას. გავიხსენოთ თუ რა მეთოდებით დამარცხდა მალარია ევროპაში, რომელსაც ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა მოყოლებული რომის იმპერიის პერიოდიდან; მაშ რით განსხვავდება ეს მეთოდები დღეს აფრიკისთვის შეთავაზებული კოღოს საწინააღმდეგო ბადეების დარიგების პროგრამებიდან?

მრეწველობა	სოფლის მეურნეობა
საზოგადო დოვლათი, რომელიც მხოლოდ იმ ქალაქებშია კონცენტრირებული, სადაც სახელოსნოები და მრეწველობაა და, იხსნება როგორც სისტემური ეფექტი: *il ben commune* (ფლორენცია, 1200-იანი წლები)	ტრადიციულად ძალიან ცოტა სისტემური ეფექტები, არავითარი *ben commune* (საერთო კეთილდღეობა)
ესპანეთის გამოცდილება 1500-იან წლებში: ნამდვილი ოქროს საბადოები სამრეწველო ინდუსტრიებია, ვინაიდან ამერიკული ოქრო საბოლოოდ ესპანეთის გარეთ არსებულ სამრეწველო ქალაქებში ხდება (ზოგადი ცოდნა, 1600-იანი წლები)	ესპანეთის გამოცდილება 1500-იან წლებში: დეინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობაზე გადასვლა იწვევს მზარდ სილარიბეს: ერი უკეთესად ცხოვრობს შედარებით ნაკლებად ეფექტური მრეწველობის სექტორით, ვიდრე მის გარეშე (იხ. ილუსტრაცია 14 დღევანდელ ლათინურ ამერიკასთან პარალელის გასავლებლად).
განვითარების შესაძლებლობა რამდენიმე აქტივობაში კონცენტრირებული ინოვაციისთვის (ყველა ურბანული: ბოტერო, 1590) (პერეზი და სოეტე, 1988)	შეზღუდული შესაძლებლობები ინოვაციის განვითარებისთვის (უახლეს ისტორიამდე)
საზოგადო დოვლათი, შექმნილი მრავალფეროვნების/შრომის დანაწილების/პროფესიების მაქსიმალური სიმრავლის მიერ (სერა, 1613). შრომის დანაწილება სინქრონულია.	ტრადიციულად მინიმალური მრავალფეროვნება. ძალიან სუსტი შრომის დანაწილება (ადამ სმიტი). შრომის დანაწილება წელინადის დროების თანმიმდევრულია, ხვნიდან მოსავლის აღებამდე.
საერთაშორისო სპეციალიზაციას მივყავართ მზარდ უკუგებამდე/მასშტაბის ეკონომიამდე, წარმოების ფასების შემცირებამდე, ბარიერებამდე და უფრო მაღალ მოგებამდე (სერა, 1613)	სპეციალიზაცია დაეჯახება კლებადი უკუგების დრეკად კედელს და მზარდ ხარჯებს/წარმოების შემცირებას (დაბადებიდან რიკარდომდე და ჯონ სტიუარტ მილამდე)

„საქველმოქმედო კოლონიალიზმის“ წარმოშობა

განვითარებადი ქვეყნების მიმართ დღევანდელი პოლიტიკა, მისი პალიატიური შედეგებიდან გამომდინარე, ძირს უთხრის ამ ქვეყნების განვითარების პროცესს. სისტემას, რომელსაც ჩვენ ვქმნით, შეგვიძლია ვუწოდოთ „საქველმოქმედო კოლონიალიზმი“. ეს ტერმინი მოიგონა ანთროპოლოგმა რობერტ პეინმა, ჩრდილოეთ კანადის აბორიგენი მოსახლეობის ეკონომიკური ინტეგრაციის აღსაწერად.[27] „საქველმოქმედო კოლონიალიზმის“ მთავარი მახასიათებლებია:

1. ფინანსური ნაკადების მიმართულების შეცვლა, კოლონიური პერიოდისგან განსხვავებით: ფულადი სახსრები მიედინება ცენტრიდან კოლონიაში;
2. მკვიდრი მოსახლეობის ინტეგრაცია იმ ფორმით, რომელიც რადიკალურად უთხრის ძირს ადრინდელ ცხოვრების წესსა და საარსებო საშუალებებს;
3. და, მოსახლეობა დამოკიდებული ხდება ფინანსურ დახმარებაზე, რაც ფაქტიურად უმუშევრობის შემწეობებია.

პეინის აზრით, ეს ქველმოქმედება იქცევა „შორიდან მართვის“ სტაბილურ საშუალებად. გამოიყენება ნეოკოლონიალისტური კონტროლის ფაქიზი და „არადემონსტრაციული“ ფორმა, რომელიც დაქვემდებარებასაც იწვევს და, ამასთანავე, ახშობს ადგილობრივ ავტონომიურობას, კარგად გათვლილი და უხვი, თუმცა, საბოლოო ჯამში, მორალურად მცდარი პოლიტიკის მეშვეობით. საქველმოქმედო კოლონიალიზმი აყალიბებს პერიფერიის დამბლისდამცემ დამოკიდებულებას ცენტრზე. ცენტრი კონტროლს ახორციელებს სტიმულების სისტემის მეშვეობით, რაც სრულ ეკონომიკურ დაქვემდებარებაში ამყოფებს პერიფერიას. ეს კი განაპირობებს პოლიტიკური მობილიზაციისა და

ავტონომიის შეზღუდვას. სოციალური პირობები, რომელშიც ჩრდილოეთ ამერიკის რეზერვაციების მკვიდრნი ცხოვრობენ დღეს, იმის მაჩვენებელია, რომ მასშტაბურმა სოციალურმა დახმარებებმა დისტოპია შექმნა და არა უტოპია.

ჩვენ ასევე ვამჩნევთ, რომ ჰუმანიტარული დახმარებები და სხვა ფინანსური შემწეობები პასიურობას და შრომის საწინააღმდეგო სტიმულებს ქმნიან ღარიბ ქვეყნებში. ჰაიტელი მკვლევრების მოსაზრებით, ფინანსური დახმარება, რომელსაც უგზავნიან ამერიკაში მცხოვრები ჰაიტელები ნათესავებს, უარყოფით სტიმულებს ქმნის შრომის კუთხით. კერძოდ, ჰაიტელებს, ამის გამო, აღარ სურთ იმუშაონ საათში 30 აშშ ცენტად. ბრაზილიურმა კვლევამ, რომელიც ჩატარდა გახმაურებული პროექტის „არა შიმშილს“ (Zero Hunger) ფარგლებში და რომელიც მოიცავდა შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის ბევრ პროგრამას სამთავრობო უწყებების სხვადასხვა (ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ) დონეზე, აჩვენა, რომ ამ პროგრამების დიდი ნაწილი უშედეგო აღმოჩნდა. ასე იმიტომ მოხდა, რომ ეს პროგრამები სიღარიბის მიზეზებს ებრძვიან საკვების მიწოდებით და სუბსიდირებული ფასების საშუალებით, იმის ნაცვლად, რომ შექმნან გარემო, სადაც ღარიბ მოსახლეობას თავად ექნება პურის ფულის შოვნის შესაძლებლობა.[28]

ბოლო მოვლენებმა აჩვენა, თუ რა სახის დილემები მოჰყვება საქველმოქმედო კოლონიალიზმს. განიხილებოდა საკითხი, შეეწყვიტათ თუ არა ეთიოპიისათვის ჰუმანიტარული დახმარება, ეთიოპიის მთავრობისთვის სანქციის დადების მიზნით. რაც უნდა კეთილშობილური ზრახვები ჰქონოდათ ამ განხილვის მონაწილეებს, მან შექმნა იმის პრეცენდენტი, რომ საქველმოქმედო კოლონიალიზმის მიერ შექმნილი დაქვემდებარებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მდიდარ ქვეყნებს ყოველთ-

ვის შეუძლიათ შეუწყვიტონ ჰუმანიტარული დახმარება, საკვების და საარსებო წყაროების მიწოდება ღარიბ ქვეყნებს, თუ არ მოეწონათ მათი ეროვნული პოლიტიკა. რამდენადაც ჰუმანიტარულ დახმარებას პალიატიური ხასიათი აქვს და რეალურად იგი არ ხმარდება სახელმწიფოების განვითარებას, რაც უნდა გულუხვად და კეთილი მიზნებისთვის განკუთვნილად გვეჩვენებოდეს ეს დახმარება, იგი საბოლოოდ მაინც იქცევა მდიდარი ქვეყნების მძლავრ იარაღად ღარიბი ქვეყნების გასაკონტროლებლად. ნაცვლად იმისა, რომ მხარი დაუჭიროს გლობალურ დემოკრატიას, ამგვარ პოლიტიკას მივყავართ გლობალური პლუტოკრატიისკენ. ეს არის ფეოდალიზმი ახალი გეოგრაფიული განზომილებით: ფეოდალები კვლავ ახორციელებენ ტოტალურ პოლიტიკურ კონტროლს ღარიბ მასებზე, რომლებიც ნედლეულს აწარმოებენ, თუმცა ეს ფეოდალები და გლეხები ახლა სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.

პოლიტიკური რეალობა, რომელიც ეკონომიკური დაქვემდებარებულობით და საქველმოქმედო კოლონიალიზმით იქმნება, საკმაოდ ნათელია. პალესტინის და ერაყის არჩევნებმა აჩვენა, რომ დასავლეთი აღიარებს დემოკრატიას, ვიდრე ღარიბი ქვეყნები ირჩევენ დასავლეთის მიერ მოწონებულ პოლიტიკოსებს. დემოკრატიულად არჩეულ ბოლივიის ლიდერს არავინ დარჩა, ვისაც შეეძლება რჩევის ან დახმარებისათვის მიმართოს, ვაშინგტონის კონსენსუსის რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ. ამიტომაც, იგი იძულებულია, ცივი ომის პერიოდის მსგავსად, ალიანსში შევიდეს კუბასთან. ალტერნატიული ეკონომიკური თეორიების არარსებობა პოლიტიკურ ჩიხს ქმნის, რომელშიც, თავის მხრივ, იწვევს ეკონომიკური ჩიხის განუწყვეტლივ წარმოქმნას.

„საქველმოქმედო კოლონიალიზმის“ პოლიტიკური ასპექ-

ტები დაუნდობელია. მსოფლიო ეკონომიკის ზრდასთან ერთად, რომელშიც ნედლეული სწრაფად იქცევა ხოლმე სტრატეგიულ რესურსად, ღარიბი ქვეყნები ხელს უშლიან მდიდარ ქვეყნებს ამ ნედლეულის ხელში ჩაგდებაში, მსგავსად იმისა, როგორც ამერიკელი ინდიელები ხელს უშლიდნენ მოახალშენეებს მიწის დაპატრონებაში. დაახლოებით ათი წლის წინ, ორმა ამერიკელმა ავტორმა თავიანთ საკმაოდ პოპულარულ წიგნში შემოგვთავაზეს იზოლატორი-სახელმწიფოს (custodial state) შექმნის იდეა: „როცა „იზოლატორზე" ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ინდიელების რეზერვაციის მსგავს მაღალ-ტექნოლოგიურ და უფრო უხვ სისტემას, რომელშიც ადამიანების ბაზისური საჭიროებები დაკმაყოფილებულია მაშინ, როცა რეზერვაციის მიღმა, ამერიკა ცხოვრებას განაგრძობს.[29] ათასწლეულის განვითარების მიზნებიც უხერხულად ახლოს არის რეზერვაციების შექმნის იდეასთან (სიღარიბის გაგება მოხმარების პერსპექტივიდან), რომელშიც ღარიბების ძირითადი საჭიროებები დაკმაყოფილებული იქნება, დანარჩენი მსოფლიო კი თავის საქმეს მიხედავს. ისლამურ სამყაროში არსებული რადიკალური განწყობები, შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ერთგვარი რეაქცია იმ ვითარებაზე, რომლიდანაც ერთადერთ გამოსავლად მუსულმანებს მსოფლიო კაპიტალიზმი „იზოლატორ-სახელმწიფოში" ცხოვრებას სთავაზობს.

ეკონომიკური თეორიის თვალთახედვიდან, ათასწლეულის განვითარების მიზნები შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: სახელმწიფოები, რომლებიც მზარდი უკუგების აქტივობებით არიან დაკავებულები (ინდუსტრიული ქვეყნები), ყოველწლიურ კომპენსაციას უხდიან იმ ქვეყნებს, რომლებიც კლებადი (ან მუდმივი) უკუგების აქტივობებზე მუშაობენ (ნედლეულის მწარმოებლები) და ამით უნაზღაურებენ მათ და-

ნაკარგებს (იხ. დანართი 3). ეს შეხედულება ახალი არ არის. ის გადმოცემული იყო 1970-იანი წლების ამერიკული კოლეჯების სახელმძღვანელოებში.[30] გაეროს განვითარების ინსტიტუტებზე „ვაშინგტონის კონსენსუსის“ გამარჯვებამდე ღარიბ ქვეყნებს ინდუსტრიალიზაციას სთავაზობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოება დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული ვერ იქნებოდა. თუმცა, მას შემდეგ რაც თავისუფალი ვაჭრობა მსოფლიო ეკონომიკის ღერძად გადაიქცა (ესაა შეხედულება, რომლის წინაშეც ყველა სხვამ უკან უნდა დაიხიოს), „საქველმოქმედო კოლონიალიზმი“ ერთადერთი არჩევანი გახდა. ღარიბი ქვეყნების განვითარების ალტერნატიული სცენარი დღეს არ არსებობს, რადგან ბევრს არ სურს, რომ თავისუფალ ვაჭრობას გაუუქმოს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მამოძრავებელი ძალის ფუნქცია.

კომუნისტური იდეოლოგიიდან წამოსულმა საშიშროებამ ორჯერ შექმნა წარმატებული ეკონომიკური განვითარების პრაქტიკა. ორივე შემთხვევაში, ევროპული რევოლუციების დროს 1848-1871 წლებში, ასევე ცივი ომის პერიოდში, კაპიტალიზმმა მოახერხა გადაწყობა გადაუდებელი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. 1947 წელს ვაშინგტონში თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებს, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, უკან დახევა მოუწიათ პროტექციონისტული პოლიტიკური სტრატეგიების მიმართ იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა ბლოკს ესაზღვრებოდა. ამ სტრატეგიამ მოიტანა მარშალის გეგმის განსაცვიფრებელი წარმატება ევროპაში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური სასწაული. არსებობს სუსტი იმედი იმისა, რომ ოსამა ბინ ლადენი და დღევანდელი ტერორისტული საფრთხე შეასრულებს იგივე როლს, რაც კარლ მარქსმა შეასრულა ზემოთ აღწერილი ორი შემთხ-

ვევის დროს. თუმცა, საბაზრო ფუნდამენტალიზმით შექმნილი სიღარიბე რომ დამარცხდეს, რამდენიმე წინაპირობაა საჭირო: კრიზისი (სოციალური არეულობები, რომელმაც ერთ დროს ბოლო მოუღო ფიზიოკრატიას), გერმანული Verein fur Sozialpolitik, რომელმაც 1848-1871 წლების რევოლუციების შედეგად თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფო შექმნა, და ბოლოს, მარშალის გეგმა, მისი ყოვლისმომცველი ეკონომიკური პოლიტიკით, რომელმაც შექმნა სიმდიდრე და შეაჩერა კომუნიზმის გავრცელება. ყველა ამ მოვლენას ერთი რამ აერთიანებს: თავისუფალ ვაჭრობაზე დროებით უარის თქმა, რათა ხელი შეეწყოს განვითარებას, პოლიტიკური და არა სოციალური მიზნებიდან გამომდინარე. სოციალური მიზანი, ისე, როგორც ათასწლეულის განვითარების მიზნებშია მოცემული, საკმარისი არ არის. გრძელვადიან პერსპექტივაში, ათასწლეულის განვითარების მიზნებით განპირობებული პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვემდებარებულობა მდიდარ ქვეყნებზე, აუტანელი გახდება ღარიბი ქვეყნებისთვის.

უთანასწორობის ზრდა ევროპაში

როგორც დავინახეთ, ჩვენი წარუმატებლობა იმის მიზეზების გაგებაში, თუ რატომ რჩება ამდენი ქვეყანა ღარიბად, მჭიდრო კავშირშია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ხარვეზებთან („ბრმა ლაქა"). ამის გამო, არათანაბარი ეკონომიკური განვითარების თეორიის შექმნა მეტისმეტად რთულია, თუმცა სწორედ ასეთ თეორიას უნდა დაეფუძნოს აფრიკისა და სხვა რეგიონების პრობლემების გრძელვადიანი მოგვარების გზები. თეორია, რომელსაც წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა ბოლო 500 წლის განმავლობაში ეფუძნებოდა (1485 წლის ჰენრი

VII-ის პერიოდის ინგლისიდან დაწყებული, 1986 წლის ესპანეთის და პორტუგალიის ევროკავშირში ინტეგრაციით დამთავრებული), ფაქტობრივად მკვდარია.

ღარიბი ქვეყნების მიმართ დღევანდელი მიდგომა, მეტისმეტად გადახრილია პალიატიური ეკონომიკისკენ, რომლის მიზანიც, უფრო ნათლად რომ ავხსნათ, სიღარიბისგან გამოწვეული ტკივილის შემცირებაა და არა სიღარიბის აღმოფხვრა ეკონომიკური განვითარების მეშვეობით. გარდა ამისა, ეს მიდგომა შესაძლებელს ხდის გაგრძელდეს და კიდევ უფრო გაფართოვდეს (როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოლაპარაკებებშია) დღევანდელი პრაქტიკა, იმ თანმდევი პრობლემების გამოუძიებლად, რაც გლობალიზაციას ახლავს. ისევ იგივე მითები, რომლებიც იდეოლოგიას ეფუძნება და არა გამოცდილებას, ისევ იგივე პოლიტიკა გრძელდება. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ათასწლეულის განვითარების მიზნებს სათავეში ჩაუყენეს ის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს და შემდეგ ცხოვრებაში გაატარეს ნეოკლასიკური ეკონომიკური „შოკური თერაპია“, დიდი შეცდომა იყო. სწორედ ამ გადაწყვეტილების შედეგია დღევანდელი უწესრიგობა. ეს აპრიორი განაპირობებს იმას, რომ ფუნდამენტური დისკუსია, იმის შესახებ, თუ რამ არ იმუშავა „ისტორიის დასასრულის“ ეკონომიკურ მიდგომებში, არ შედგება. ნეოკლასიკური თეორიის ნაცვლად საჭიროა ახალი თეორია, რომელიც ახსნის, თუ რატომ არის თავისი არსით არათანაბარი ეკონომიკური განვითარება. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სათანადო პოლიტიკური ზომების გატარება.

2005 წელს ევროპული ინტეგრაცია სერიოზულ კრიზისში აღმოჩნდა. ფრანგი და ჰოლანდიელი ამომრჩევლების უარი ევროპულ კონსტიტუციაზე, ინტეგრაციის პროცესის მიმართ არ-

სებულ უნდობლობაზე მიანიშნებდა. ცოტა ხნის წინ პოლონური გაზეთის Rzeczpospolita-სთვის ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა მოსახლეობის უსაზღვრო აღფრთოვანება სიტყვის თავისუფლების მოპოვებით და ნატოსა და ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციით. თუმცა, იგივე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 85%-მა მოძრაობა „სოლიდარნოსტი“ დაადანაშაულა ეკონომიკურ ლიბერალიზაციაში, რამაც ბევრი პოლონელი უსამსახუროდ დატოვა. ძველი ევროპის ქვეყნების მოსახლეობა თვლის, რომ ისინი გაყიდეს, რადგან მათი კეთილდღეობა შეირყა. იგივე განცდა აქვთ ევროკავშირის ახალ წევრი ქვეყნების მოსახლეობასაც, რადგან მათი კეთილდღეობა ისე სწრაფად არ უმჯობესდება, როგორც მოელოდნენ. გასაკვირი არ არის, რომ ამ მოულოდნელობებმა ბევრს გაუჩინა კითხვა იმის თაობაზე, თუ რამ ვერ იმუშავა სწორად. უფრო გასაკვირი ის არის, რომ ევროკავშირის გაფართოების ეიფორიული აღნიშვნიდან ერთ წელიწადში განწყობები შეიცვალა.

დომინანტი ეკონომიკური თეორიის მიერ შექმნილი პრობლემები მხოლოდ მესამე სამყაროს ქვეყნებს არ აწუხებს. ევროკავშირის შემთხვევაში, ბევრმა განვითარებულმა სახელმწიფომ იწვნია შიდა ეკონომიკური უთანასწორობის შედეგები. ასე რომ, ეს პრობლემები სამ დონეს მოიცავს. ესაა: გლობალური, ევროკავშირის ფარგლები და ყველაზე განვითარებული ქვეყნები. მიზეზები იგივეა: თეორიები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ხორციელდებოდა, დღეს მივიწყებულია.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ეკონომისტი ფრიდრიხ ლისტი (1789-1846), ნაკლებად არის მოხსენიებული თანამედროვე ეკონომიკის სახელმძღვანელოებში, მისმა ეკონომიკურმა პრინციპებმა არა მხოლოდ კონტინენტური ევროპის ინდუსტრიალიზაცია მოახდინა მე-19 საუკუნეში, არ-

ამედ ხელი შეუწყო ევროპულ ინტეგრაციასაც ადრეული 1950-იანი წლებიდან. მათ შორის, ესპანეთისა და პორტუგალიის წარმატებულ გაერთიანებას ევროკავშირში 1986 წელს. 1997 წლის მერე, სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტით, ლისტის პრინციპები უარყვეს და დაამკვიდრეს მიდგომები, რომლებიც წარმართავს „ვაშინგტონის კონსენსუსს". ამის შედეგად გაიზარდა უმუშევრობა და სიღარიბე ძველი ევროპის ქვეყნებშიც, რამაც გამოიწვია შემოთავაზებულ საერთო კონსტიტუციაზე უარის თქმა.[31] ქვემოთ ჩამოთვლილია, ლისტის სამი ძირითადი პრინციპი სტანდარტული ეკონომიკის სახელმძღვანელოს პრინციპებთან შეპირისპირებით.

- ლისტის პრინციპი: ქვეყანამ თავიდან ინდუსტრიალიზაცია უნდა გაიაროს და მხოლოდ ამის შემდეგ ეტაპობრივად ინტეგრირდეს ეკონომიკურად თანაბარი განვითარების სახელმწიფოებთან.

- ნეოკლასიკური პრინციპი: თავისუფალი ვაჭრობა, თავისთავად, მიზანია, იმ მომენტამდეც კი, ვიდრე სახელმწიფო გაივლის ინდუსტრიალიზაციის პროცესს. 2004 წელს ევროკავშირის გაფართოება ლისტის პრინციპების საწინააღმდეგოდ მოხდა. აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ სახელმწიფოებში (უნგრეთის გამოკლებით), განხორციელდა მკვეთრი დეინდუსტრიალიზაცია, გაიზარდა უმუშევრობა და არასრული დასაქმება. ეს სახელმწიფოები ძალიან სწრაფად შეიყვანეს ევროკავშირში, რამაც გამოიწვია უზარმაზარი სოციალური და ეკონომიკური დაძაბულობები. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს კი გაუცრუვდათ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიით შეპირებული მოლოდინი, წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრების შესახებ.

• ლისტის პრინციპი: სიმდიდრის, დემოკრატიისა და პოლიტიკური თავისუფლების წინაპირობა ყველასთვის ერთია: დივერსიფიცირებული წარმოების სექტორი მზარდი უკუგების აქტივობებით[32] (რაც ისტორიულად მრეწველობის სექტორია, თუმცა ცოდნატევადი მომსახურებაც შეიძლება იყოს). ამ პრინციპს მხარს უჭერდა ამერიკის პირველი ფინანსთა მინისტრი, ალექსანდერ ჰამილტონი,[33] ამ პრინციპსვე დაეფუძნა ამერიკის ეკონომიკა. და ეს პრინციპი 1947 წელს ხელახლა აღმოაჩინა ჯორჯ მარშალმა.

• ნეოკლასიკური პრინციპი: ყველა ეკონომიკური აქტივობა თვისობრივად ერთნაირია, შესაბამისად, რას აწარმოებთ, მნიშვნელობა არა აქვს. ეს იდეოლოგია „შედარებითი უპირატესობის“ პრინციპს ეფუძნება. ეს პრინციპი კი არ მიიჩნევს, რომ იმ ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვა, რომელიც არ მოითხოვს დიდ ცოდნას, ნიშნავს სიღარიბესა და უცოდინრობაზე სპეციალიზაციას. იგივეს მოასნავებს სრულყოფილ კონკურენციაში ოპერირება და კლებადი უკუგების ეკონომიკურ აქტივობებში ჩართვა, რომელთაც სრულებითაც არ სჭირდებათ (არც აქვთ) მასშტაბის ეკონომია და ტექნოლოგიური ცვლილებები.

• ლისტის პრინციპი: ეკონომიკური კეთილდღეობა სინერგიის შედეგია. მე-13 საუკუნეში ფლორენციის კანცლერი ბრუნეტტო ლატინი (1210-94) ქალაქების სიმდიდრეს საერთო კეთილდღეობით (‘un ben comune’) ხსნიდა.

• ნეოკლასიკური პრინციპი: „საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არსებობს“ (მარგარეტ ტეტჩერი, 1987 წელი).

იმისთვის, რომ განვითარდეს აფრიკისა და სხვა ღარიბი

ქვეყნები, უნდა უარყონ ნეოკლასიკური ეკონომიკის პრინციპები, ლისტის ძველი პრინციპების სასარგებლოდ. ლისტის გაგება მოითხოვს სტანდარტული ეკონომიკის ყველა აშკარა ნაკლის აღიარებას, მათ შორის თვისობრივი განსხვავებისა ეკონომიკურ აქტივობებს შორის. ასევე უნდა ცნონ მრავალფეროვნების, ინოვაციების, სინერგიებისა და ისტორიული თანმიმდევრულობის მნიშვნელობა.

ვინაიდან წამყვანი ეკონომისტები არ ხელმძღვანელობენ ლისტის პრინციპებით, ისინი ვერ ხსნიან, თუ რატომ არ აღმოიფხვრება სიღარიბე. ისინი უბრუნდებიან იმ ფაქტორებს, რომლებიც გამოკვლეული და შემდგომ უარყოფილია. მაგალითად, რასისა და კლიმატის როლს ეკონომიკურ განვითარებაში. თეორიულად ეს ყველაფერი ისევ ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანას უკავშირდება, როგორც მე-6 თავშია აღწერილი, პრაქტიკულად კი „საქველმოქმედო კოლონიალიზმზე“ მიანიშნებს. ნიცშეს ციტირება საკმაოდ რისკიანი საქმეა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისმა დამ, ელისაბედ ფორსტერ ნიცშემ მისი ნაშრომები, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, გააყალბა. თუმცა, როცა საქმე ეხება ათასწლეულის განვითარების მიზნებს, ცდუნება უზარმაზარია. ნიცშე ადამიანური პროგრესის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს “Geist- und Willens-Kapital”, ადამიანის „გონი და ნება“, რაც მოიცავს ყველა გარდამტეხ ძალას: ახალი ცოდნა, ტექნოლოგიური ცვლილება და მეწარმეობა. როგორც კი იმ ეკონომიკურ თეორიას მიიღებენ, რომელშიც ეს ძალები არ ფიგურირებენ, მაშინვე სცენაზე არაჯანსაღი გადამრჩენელი პერსონაჟები გამოდიან – „კეთილები და სამართლიანები“. რადგანაც აფრიკის ეკონომიკის სტრუქტურას ვერ ცვლიან და ვერც სიმდიდრის შექმნას ახერხებენ, მათ მიერ მოძებნილი გამოსავალი აფრიკის ქვეყნების სოციალურ შემწეობაზე მნიშვნელოვანწილად დაუქვემდებარებაა.

„კეთილი და სამართლიანი“ აბრუნებს ეკონომიკაში რენესანსამდელ წარმოდგენებს, რომელიც იმ უშედეგო თამაშის პრინციპებს ემყარება, რასაც ადრე უკვე შევეხეთ ამ წიგნში. ამ წარმოდგენით, ეკონომიკა ანაწილებს უკვე არსებულ სიმდიდრეს და ახალს არ ქმნის. რადგანაც კოლონიურ ეკონომიკურ სტრუქტურასა და სიღარიბეს შორის კავშირს ვერ ხედავს, ერთადერთი გამოსავალი, რომელიც „კეთილსა და სამართლიანს“ შეუძლია შემოგვთავაზოს, არის მდიდარ ქვეყნებში შექმნილი სიმდიდრის გადანაწილება ღარიბ ქვეყნებზე. ნიცშესთვის „კეთილი და სამართლიანი“ მხოლოდ პრელუდიაა, ადამიანთა შორის „ყველაზე საზიზღარის“ მოლოდინში, რომელიც დაცემის განსახიერებაა: „letzte Mensch“ (უკანასკნელი ადამიანი) ან უსიცოცხლო პოსტ-ადამიანური ნარჩენები, რომლებიც ანაგვიანებენ წუთისოფელს სამყაროს დასასრულის წინ. „რა არის ქმნილება?... ამას კითხულობს უკანასკნელი ადამიანი და თვალებს ახამხამებს.“[34] ნიცშეს ეს ფსევდო-ადამიანი, თანამედროვეობის დეკადენტური ადამიანის უიმედო განსახიერებაა. ის ისტორიული პროცესის შედეგია, რომელშიც ადამიანი სტაგნაციისა და დაცემისთვის სწირავს საკუთარ თავს და ახლის შექმნის ნაცვლად, უფერულ სტატუს-კვოზე თანხმდება. „უკანასკნელი ადამიანი“ ასახიერებს ადამიანის ნებისა და შემოქმედების აღსასრულს. იგი ბარტერში ჩართული ადამიანის განსახიერებაა: homo economicus neoclassicus.

VIII თავი

„ეკონომიკური საქმიანობის სწორად გაგება“ – ანუ საშუალო შემოსავლის ქვეყნების შექმნის დავიწყებული ხელოვნება

ეკონომისტები დაინტერესებულნი არიან ეკონომიკური ზრდით. პრობლემა იმაშია, რომ მათი სტანდარტების მიხედვითაც კი, ისინი უკიდურესად უცოდინრები არიან ამ მხრივ. უცოდინრობის სიღრმე, მათი ყველაზე დიდი საიდუმლო იყო დიდი ხნის განმავლობაში.

ჟურნალი „ეკონომისტი“, 4 იანვარი, 1992 წ.

ალბათ ზოგიერთი თქვენგანი ფიქრობს: „თუ ჩვენთვის უცნობია ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის წყაროს 90%, რა შეიძლება იყოს ამაზე უარესი? შეიძლება ეს იყოს 100%-ის არცოდნა?“ გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ასეც იყოს... „მე იმდენად ის კი არ მაღელვებს, რაც არ ვიცი, არამედ ის, რაც ვიცი, მაგრამ არასწორად“. ეს არის ამ საკითხის არსი.

მოსე აბრამოვიცი, „ეკონომიკური ზრდის ძიებაში: უცოდინრობის ადგილები, ძველი და ახალი“, ეკონომიკური ისტორიის ჟურნალი, ივნისი, 1993 წ.

1934 წლის ზაფხულში, როცა დიდი დეპრესია ზენიტში იყო, ორმა ახალგაზრდა ეკონომისტმა კოლუმბიის უნივერსიტეტიდან 6 კვირა გაატარა ერთად ველურ გარემოში ჩრდილოეთ ონტარიოში, კანადაში. ისინი მარტონი იყვნენ და მათი გადაადგილების ერთადერთი საშუალება კანოე იყო. ეს იყო მოსე აბრამოვიცისა (1912-2000) და მილტონ ფრიდმანის (1912-2006) სამუდამო მეგობრობის დასაწყისი.

ორივე გამოჩენილი ეკონომისტი გახდა, ერთი სტენფორდში,

მეორე – ჩიკაგოში. ორივეს პატივი ხვდა ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად არჩევისა. ამის იქით, მათი ეკონომიკური მიდგომები განსაცვიფრებლად განსხვავდებოდა. მილტონ ფრიდმანი გახდა, როგორც მე ვუწოდე, ცივი ომის ეკონომიკის წარმომადგენელი – იდეის, რომელსაც სჯეროდა „ბაზრის მაგიის“ და ასევე სწამდა, რომ რეალობისგან დისტანცირება აძლიერებდა ეკონომიკურ მეცნიერებას. 1953 წელს გამოცემულ წიგნში, ფრიდმანი წერდა: „მართლაც მნიშვნელოვანი და საყურადღებო ჰიპოთეზები დაფუძნებული იქნება „ვარაუდებზე“, რომლებიც მეტისმეტად არაზუსტად აღწერენ რეალობას. ზოგადად, რაც უფრო მნიშვნელოვანია თეორია, მით უფრო არარეალისტურია ვარაუდები“.[1] ფრიდმანმა დააფუძნა უკუდამოკიდებულება მეცნიერებასა და რეალობას შორის, რომელშიც არარეალისტური ვარაუდები სამეცნიერო პრესტიჟს მატებდა იდეებს. ფრიდმანისთვის „ბაზარი“ იძლეოდა პასუხს თითქმის ყველა შეკითხვაზე, მას ეჭვის ნაკლებობა აწუხებდა. როგორც ზემოთ, ეპიგრაფში დავინახეთ, მოსე აბრამოვიცი, განცვიფრებული იყო ეკონომიკური ზრდის მიზეზების შესახებ ჩვენი უცოდინრობით. ამ ორს შორის, ფრიდმანი უფრო დამაჯერებელი მოსაუბრე იყო. „მე ბევრი დებატი მომიგია მილტონთან, თუმცა არასდროს, როცა ის დებატს ესწრებოდა“, მითხრა მოსე აბრამოვიცმა.

მხოლოდ ერთხელ, 1970-იანი წლების ბოლოს, ვესწრებოდი მილტონ ფრიდმანის ლექციას. ის იცავდა „თავისუფალ ბაზარს“ ბრალდებისგან, რომ იგი ქმნის მონოპოლიებს. ის ამბობდა, რომ ერთადერთი მყარი მონოპოლია, რომელმაც დიდხანს გაძლო, არის ბრილიანტის მონოპოლია. როცა საქმე ეხება მესამე სამყაროს სიღარიბის მიზეზების გაგებას, მისი ეს მოსაზრება არ გამოდგება. რამდენიმე წიგნში ამერიკის ეკონომიკური ასოცი-

აციის კიდევ ერთი პრეზიდენტი, ჯონ კენეთ გელბრაიტი (1908 – 2006), აღწერს, თუ რა განასხვავებს ღარიბი ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურას მდიდარი ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურისაგან: დიდ ქვეყნებში ოლიგოპოლისტური კონკურენცია არსებობს სამრეწველო ინდუსტრიაში, სადაც ძალაუფლება და რენტა ნაწილდება „გამათანაბრებელი ძალებით“ (›countervailing powers‹) დიდ ბიზნესს, დიდ პროფკავშირებსა და აქტიურ სახელმწიფოს შორის.[2] თუმცა, ეკონომიკური თეორია განაგრძობს საკუთარი მოდელების აგებას, ღარიბი ქვეყნების რეალობის მაგალითზე, სადაც უმწეო გლეხი მესამე სამყაროდან კონკურენციაშია მსოფლიო ბაზართან.

ჩემი პროფესიული ცხოვრების მანძილზე, მე ვაწყდებოდი ბზარს მილტონ ფრიდმანის მსგავს თავისუფალი ბაზრის მხარდამჭერთა მოსაზრებებსა და რეალურ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის. ვაკვირდებოდი რეალობას, რომელშიც აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ხდებოდა იმგვარი ეკონომიკური სტრუქტურების აწყობა, რაზეც გელბრაიტი საუბრობს. ჩემი პირველი აკადემიური თანამდებობა, რაც მივიღე, იყო მეცნიერ თანამშრომლის პოზიცია შვეიცარიის სენტ-გალენის უნივერსიტეტში, ლათინური ამერიკის ინსტიტუტში. ადრეულ 1970-იან წლებში, ძალიან ახალგაზრდას, მომიწია მუშაობა ბევრ სამხრეთ ამერიკის ქვეყანაში შვეიცარიის ტექნიკური დახმარებისა და UNCTAD-ის [გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია. – მთარგმნ.] პროგრამების ფარგლებში. ვმუშაობდი ჩილეში ორივე პრეზიდენტის, სალვადორ ალიენდეს და ავგუსტო პინოჩეტის მმართველობის პერიოდში. ის, რომ პინოჩეტმა „ბაზრის მაგიას“ თავისუფლება მიანიჭა, მითია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ჩილე რეგიონის ეკონომიკური და ინდუსტრიული ცენტრი იყო – „იმპერიის ფილიალი“, მას შემდეგ

რაც მან შეძლო თავისი ჩრდილოელი მეზობლების დამარცხება წყნარი ოკეანის ომში (1879-83). მეორე, არასწორია იმის თქმა, რომ ჩილეს აღარ ჰქონდა ინდუსტრიული პოლიტიკა 1973 წლის შემდეგ, უფრო მეტიც, ჩილეს ინდუსტრიული პოლიტიკა გახდა უფრო აგრესიული, ექსპორტზე ორიენტირებული და დახვეწილი. ამგვარი გარდაქმნის კარგი მაგალითია ღვინის ცისტერნებით ექსპორტიდან ბოთლით ექსპორტზე გადასვლა, რაც, ალბათ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მაშინდელ წესებს ეწინააღმდეგებოდა. პინოჩეტმა უარი თქვა ჩილეს ყველაზე მეტად შემოსავლიანი ექსპორტიორი კომპანიის CODELCO-ს ხელახლა პრივატიზაციაზე და სახელმწიფოს ხელში დატოვა, რაც არის კიდევ ერთი მაჩვენებელი იმისა, რომ თავისუფალი ბაზრის რიტორიკა აცდენილია რეალობას. ამის კიდევ ერთი მაგალითი ჩილეს მიერ საერთაშორისო კაპიტალის მიმოქცევის კონტროლია.

მესამე თავში შევაჯამე ჩემი გამოცდილება ირლანდიური ინდუსტრიული პოლიტიკის თაობაზე 1980 წელს. 1983 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად იტალიიდან ფინეთში გადავედი, რათა იქ დამეფუძნებინა სამრეწველო კომპანია. ირლანდიაც და ფინეთიც ლათინური ამერიკის მსგავს იმპორტის ჩანაცვლების პროგრამას ახორციელებდნენ.[3] ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ფინეთში გადავწყვიტე წარმოების გახსნა, ის იყო, რომ ფინეთი სთავაზობდა სატარიფო დაცვას ადგილობრივ მწარმოებლებს. თუმცა, როგორც პოტენციურ საგარეო ინვესტორს ფინურ მრეწველობაში, მე მესაჭიროებოდა მრეწველობის სამინისტროს ნებართვა. ფინეთის მთავრობამ მხოლოდ მას შემდეგ მომანიჭა ნებართვა, რაც კონსულტაცია გაიარა ჩემს პოტენციურ მომხმარებლებთან. ამ ნებართვით, ჩემს კომპანიას ეკრძალებოდა ისეთ ახალ აქტივობებში ჩართვა, რომელიც კონკურენციაში შევიდოდა არსებულ ფინურ კომპანიებთან. იმ

სფეროში წარმოების დაარსებისთვის, რომელიც ზეწოლას არ მოახდენდა ფინეთის ეკონომიკაზე, მაძლევდნენ იგივე ტიპის სტიმულებს, რაც არსებობდა ირლანდიაში სამრეწველო კომპანიების დაარსებისთვის. როგორც წესი, სტიმულების ეს პაკეტი მოიცავდა ქარხნისთვის შენობის ფაქტიურად უფასოდ გადმოცემას, სახელფასო სუბსიდია* პირველ წელს 30%-ს, მეორე წელს – 20%-ს, მესამე წელს – 10%-ს შეადგენდა. დღესდღეობით, კარგად ანაზღაურებადი ეკონომისტების არმია ცდილობს მსოფლიოს აუხსნას, რომ ირლანდიისა და ფინეთის წარმატება, მხოლოდ „ბაზრის მაგიის“ შედეგია.

ამგვარი პოლიტიკა მხოლოდ ევროპის პერიფერიაში არ ხორციელდებოდა. როცა 1990-იან წლებში კონსულტაციას ვუწევდი ევროკავშირის გენერალურ სამდივნოს ინოვაციებისა და რეგიონული საკითხების მიმართულებით, ვნახე ევროკავშირის უზარმაზარი რუკა, რომელიც მონიშნული იყო სხვადასხვა ფერებით, თუმცა ეს ფერები საზღვრებს არ ემთხვეოდა. საინტერესო ამ რუკასთან მიმართებაში ის იყო, რომ გაფერადებული არ იყო მხოლოდ რამდენიმე მცირე ადგილი ისეთი დიდი ქალაქების ირგვლივ, როგორიცაა ლონდონი, პარიზი და ფრანკფურტი. მხოლოდ ამ პატარა სივრცეებში არ არსებობდა არავითარი სახის ეკონომიკური სტიმულები, განსხვავებით ევროკავშირის ტერიტორიის დანარჩენი 95%-ისა, სადაც ადგილი ჰქონდა გარკვეული სახის „სუბსიდიებს“. პოლიტიკას, რომელსაც წავაწყდი ფინეთში 1980-იან წლებში, ძალიან ჰგავდა იმ პოლიტიკას, რომელსაც ჰენრი VII ახორციელებდა ზუსტად 500 წლით ადრე: ტარიფები და სუბსიდიები გადამამუშავებელი ინდუსტრიების მოსაზიდად.

* სახელფასო სუბსიდია (wage bill subsidy) არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ცდილობს გაზარდოს დასაქმება, ხელი შეუწყოს ახლად დაარსებულ ბიზნესებს განვითარებაში, ან დაასაქმოს ე.წ. მოწყვლადი ჯგუფები (მაგ., ვეტერანები, სოციალურად მარგინალური ჯგუფები) (მთარგმნელის შენიშვნა).

მოსე აბრამოვიცის ნაშრომები გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ იყო მრეწველობის 500-წლიანი კულტი განვითარების მისაღწევად გასავლელი აუცილებელი ეტაპი. 1950-იანების შუა პერიოდში, ამერიკული ეკონომიკის სტატისტიკით აღჭურვილმა, რომელიც მოიცავდა 1870-1950 წლების ინფორმაციას, მან დაიწყო იმის გამოკვლევა, თუ ეკონომიკური ზრდის რამდენი პროცენტი იყო დაკავშირებული იმ ფაქტორებთან, რომლებსაც, ტრადიციულად, ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორებად განიხილავენ. ეს ფაქტორებია კაპიტალი და შრომა. მისდა გასაკვირად, მან აღმოაჩინა რომ ეს ორი ფაქტორი, ერთად აღებული, ხსნიდა ამ 80-წლიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის მხოლოდ 15%-ს. ეკონომიკური ზრდის 85%-იან „ნაშთს“ ეს ტრადიციულ-ეკონომიკური ფაქტორები აუხსნელს ტოვებდა. „ჩვენი უცოდინრობის ზომა“, ასე უწოდებდა ამ „ნაშთს“ აბრამოვიცი.

სხვა ეკონომისტებმა, მათ შორის შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატმა, რობერტ მ. სოლოუმ, მიიღეს ეს გამოწვევა და სცადეს სხვა კუთხით შეეტიათ ამ პრობლემისთვის – განსხვავებული მეთოდოლოგიით. მათდა გასაკვირად, ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუხსნელი „ნაშთი“ მართლაც დაახლოებით 85%-ი იყო.[4] ამან აშშ-ში ბიძგი მისცა „ეკონომიკური ზრდის ბუღალტერიის“ გრძელვადიან პროექტს. პროექტის ფარგლებში იყო მცდელობა, რომ ნაწილ-ნაწილ გამოეკვლიათ ეს „ნაშთი“ და აეხსნათ სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის: განათლებით, კვლევითა და განვითარებით (R&D), ტექნოლოგიური ცვლილებებითა და ა.შ.

ამავე პერიოდში, რიჩარდ ნელსონი აქცენტს აკეთებდა წარმოების სხვადასხვა ფაქტორებს შორის სინერგიების მნიშვნელობაზე. განათლება, კვლევა და განვითარება ერთად აღებული ქმნის ინოვაციასა და ტექნოლოგიურ ცვლილებას, თუმცა, თუ

ქვეყანას არა აქვს არავითარი ინოვაცია, ვერც კაპიტალი და ვერც განათლება ცალ-ცალკე ვერ მოახერხებს პრობლემების მოგვარებას. პროცესი, რომლითაც 85%-იანი „ნაშთი“ აიხსნება – სისტემურია. ამ პროცესს შემდგომში ინგლისელმა ეკონომისტმა ქრისტოფერ ფრიმენმა, „ეროვნული ინოვაციების სისტემა“ უწოდა. გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენ ისევ დავუბრუნდით მე-13 საუკუნეში მოღვაწე ფლორენციელი კანცლერის, ბრუნეტო ლატინის, მოსაზრებას სიმდიდრის მიზეზების თაობაზე, რომელიც მესამე თავშია განხილული და რასაც იგი სინერგიულ **ben commune**-ს (საერთო კეთილდღეობას) უკავშირებდა. თავად აბრამოვიცი განასხვავებდა სიმდიდრის „უშუალო“ მიზეზებს და უფრო ღრმა მიზეზებს. მისი აზრით, ფიზიკური და ადამიანური კაპიტალი, წარმოების ფაქტორთა მთლიანი პროდუქტიულობა* და ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად გამოყენებული სხვა ცვლადები, მხოლოდ „უშუალო“ ფაქტორებს წარმოადგენენ. უფრო ღრმა საკითხია, თუ რა დგას ამ ფაქტორების უკან.

ჩემი სადოქტორო ნაშრომის ანოტაცია, რომელიც 1978-1979 წლებში დაიწერა,[5] იწყება აბრამოვიცის 1956 წლის სტატიის ციტირებით, სადაც იგი აღწერს მის მიერ აღმოჩენილ „ნაშთს“. თავად სადოქტორო ნაშრომი კი იწყება ანტონიო სერას 1613 წლის ციტატით, რომელშიც იგი ვენეციის სიმდიდრეს ხსნის განსხვავებულ ეკონომიკურ, მზარდი უკუგების აქტივობებს შორის სინერგიით (დიდი შრომის დანაწილება). მეორე მხრივ, სერას მშობლიური ქალაქის, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ნეაპოლის სიღარიბის მიზეზად, იგი ეკონომიკური მრავალფეროვნების ნაკლებობას და კლებადი უკუგების აქტივობების სიჭარბეს თვლის.

* წარმოების ფაქტორთა მთლიანი პროდუქტიულობა ეკონომიკური ტერმინია, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის აუხსნელ ნაწილს, რაც არ არის დაკავშირებული წარმოების ფაქტორების, ანუ კაპიტალისა და შრომის ზრდასთან (მთარგმნელის შენიშვნა).

დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ანტონიო სერას და მოსე აბრამოვიცის მოსაზრებები, დროში 340-წლიანი დაშორების მიუხედავად, ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. „ნაშთი“და ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკური აქტივობის ტიპზე; „ნაშთი“ უზარმაზარი იქნება ისეთი აქტივობისა და გარემოებებისათვის, როგორსაც სერა აღწერდა ვენეციის მაგალითზე და მინიმალური იქნება ნეაპოლის შემთხვევაში. მდგრადი ზრდა და უზარმაზარი „ნაშთი“ მოითხოვს მრავალფეროვნებას და მზარდ უკუგებას, რაც კვებავს ეკონომიკური ზრდის თვითმაწარმოებელ მექანიზმს. ეს არის სისტემა, რომელშიც ეკონომიკური ზრდა გადაედინება ერთი სექტორიდან მეორეში, რაც ხდებოდა ქალაქ დელფტში 1650 წელს (იხ. ილუსტრაცია 5, მე-3 თავში), ანდა „სილიკონის ველზე“ და ლონდონში 2000 წელს. მხოლოდ ამ პირობებში გაეზრდება ხელფასი მნიშვნელოვნად ისეთ ჩვეულებრივ ადამიანებს, როგორიც დალაქია.

მოსე აბრამოვიცს და მის ცოლს, კერის, პირველად ოსლოში, პატარა საერთაშორისო კონფერენციაზე შევხვდი, რომლის ორგანიზებაში მეც ვმონაწილეობდი. ეს მოხდა იმავე 1993 წლის მაისში, როცა ის კვლავ დაუბრუნდა „ნაშთის“ არგუმენტს, რაც ზემოთ ციტატაშია მოყვანილი. მისი სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური ზრდის მიზეზების გააზრება 1956 წლის შემდგომ დიდად არ გაუმჯობესებულა. კონფერენციას სახელი ეწოდა აბრამოვიცის ტერმინების მიხედვით: ქვეყნების „დაწევა, წინმავალნი და ჩამორჩენილები“. ეს იყო ორი წლის შემდეგ, რაც ჩემი ბიზნესი გავყიდე და ვცდილობდი სამეცნიერო სფეროში დაბრუნებას. გააზრებული მქონდა სტანდარტული ეკონომიკის ნაკლები, განსაკუთრებით „ერთგვაროვნების ჰიპოთაზე“, რომლის მიხედვითაც ყველა ეკონომიკური აქტივობა არსობრივად

ერთნაირია და ერთნაირად უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას.

ჩემს საკონფერენციო ნაშრომში ვეცადე მესამე სამყაროს პრობლემებს შევხებოდი აბრამოვიცის ტერმინოლოგიის მეშვეობით.[6] დოკუმენტი მოიცავდა ჩემ მიერ შექმნილ ეკონომიკური აქტივობების ინდექსს (იხ. დანართი VI): ხალხი და ქვეყნები, რომლებიც ჩართულია მაღალი დონის ეკონომიკურ აქტივობებში, მდიდრები იქნებიან, ხოლო ისინი, რომლებიც ჩართულნი არიან დაბალდონიან აქტივობებში რჩებიან ღარიბებად. ეს იყო მცდელობა რამდენიმე ფაქტორის გაერთიანებისა, რომლებიც ერთმანეთთან კორელაციაში იყო. ინდექსს შეეძლო აეხსნა, თუ რატომ იღებენ მსოფლიოში გოლფის ბურთის მწარმოებლები 40-ჯერ მეტ ანაზღაურებას, ვიდრე ბეისბოლის ბურთების ყველაზე ეფექტიანი მწარმოებლები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაღალშემოსავლიან ქვეყნად ან ადამიანად ყოფნა, შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული სახის მქონე აქტივობების ქონის შემთხვევაში. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურად დაწევა მოიაზრებდა უნარების იერარქიაში ზემოთ ანაცვლებას: ჩამორჩენა კი გულისხმობდა ქვემოთ, ფსკერისკენ დაშვებას.

ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ ამგვარი მოსაზრება სავსებით შეუთავსებელი იყო სტანდარტულ-ეკონომიკურ თეორიასთან. ეს იდეა განვიხილე იაროსლავ ვანეკთან, ჩემს ყოფილ პროფესორთან საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში. მან მითხრა, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილ ეკონომიკური აქტივობების ხარისხობრივ განზომილებას მიიჩნევდა ვაჭრობის თეორიის მესამე გრაფიკულ განზომილებად. რიკარდოს ვაჭრობის თეორია, რომელიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის საფუძველია, დამყარებულია სამუშაო საათების გაცვლაზე, მოკლებულია თვისობრივ განზომილებას და აღიარებს ადამიანების

უნარების მნიშვნელობას. რიკარდოს სამყარო კაპიტალისგან თავისუფალია და ყველა ეკონომიკური აქტივობა ხარისხობრივად მსგავსია. ჩემ მიერ ეკონომიკური აქტივობების თვისობრივი ინდექსის წარმოდგენა, ფაქტობრივად, ჭადრაკის წესების შეცვლის მიზნით, ჭადრაკის საერთაშორისო ჩემპიონატზე მონაწილეობას ნიშნავდა.

არ გამკვირვებია, როცა დარბაზში მყოფი 20 ეკონომისტიდან ყველაზე ახალგაზრდებმა სიცილი ატეხეს, როდესაც მოისმინეს ჩემი იდეა ეკონომიკური აქტივობების მათი „თვისებების“ მიხედვით რანჟირებაზე. ისე მოხდა, რომ აბრამოვიცის გვერდით ვიჯექი ოვალურ მაგიდასთან. როცა პრეზენტაციიდან ჩემს ადგილზე დავბრუნდი, მან მითხრა: „ძალიან კარგი მოხსენება იყო“. მე იმდენად გაკვირვებული ვიყავი, ვიფიქრე, რომ მომეჩვენა. თუმცა, მან კვლავ გაიმეორა თავისი ნათქვამი.

მოსე აბრამოვიცი ძველმოდური და მეტისმეტად დიდსულოვანი, აკადემიური კულტურის მატარებელი იყო. დიდსულოვანი – დროის დათმობის, რჩევის მოცემისა და ცოდნის გულუხვად გაზიარების მხრივ. ჩემი აზრით, სიმდიდრის შექმნის მთელი ისტორია, დაწყებული 1485 წელს ჰენრი VII-იდან, დამთავრებული 1947 წელს მარშალის გეგმის წამოწყებით, ეფუძნებოდა ერთ მთავარ პრინციპს: ქვეყანა შეიძლება გახდეს მდიდარი, თუ თავის საზღვრებში ახორციელებს გარკვეული ტიპის ეკონომიკურ აქტივობებს. ვთვლიდი, რომ ეკონომიკური ზრდა, განსაკუთრებით საწყის მყიფე ეტაპზე, ეკონომიკური აქტივობების ხასიათზეა დამოკიდებული: კერძოდ, მჭიდროდ არის დაკავშირებული სპეციფიკურ ეკონომიკურ აქტივობებსა და სტრუქტურებთან. წერილში, რომელიც 1996 წლის 16 აგვისტოთია დათარიღებული,[7] ჩემი ნაშრომის კომენტირებისას აბრამოვიცი წერს: თითქმის ყველაფერს ვეთანხმები, რასაც თქვენ ამბობთ.

კერძოდ, ვეთანხმები იმ აზრს, რომ „ნაშთი“ და ეკონომიკური ზრდა განსხვავდება ინდუსტრიების მიხედვით“. მან იქვე დაამატა, რომ 1930-იან წლებში ეს ყველასთვის ცნობილი იყო. ჩემი წიგნის მთავარი იდეა, რომლის თანახმად ეკონომიკური ზრდა აქტივობების ბუნებაზე დამოკიდებული, რიკარდოსეულ თეორიას მეტისმეტად საშიშ სახელმძღვანელოდ აქცევს ღარიბი ქვეყნებისთვის.

ეს წიგნი ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას აკავშირებს მარშალის გეგმის მექანიზმთან (მზარდი უკუგების აქტივობების განვითარება), ხოლო განუვითარებლობას და პრიმიტივიზაციას – ამის საპირისპირო მორგენთაუს გეგმის მექანიზმთან (მზარდი უკუგების აქტივობების შეწყვეტა). 1945 წელს, როცა ფინანსთა მინისტრმა ჰენრი მორგენთაუმ წარმოადგინა გერმანიის ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციის გეგმა, ისევ მოსე აბრამოვიცი მიიწვიეს აშშ-ის მოკავშირეების რეპარაციების კომისიის წარმომადგენლის მრჩევლის თანამდებობაზე. ჯგუფმა, რომელსაც აბრამოვიცი ხელმძღვანელობდა, შეადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ეს გეგმა დაანგრევდა გერმანიის საექსპორტო შესაძლებლობებს, გამოიწვევდა მასობრივ უმუშევრობას და გერმანიას აღარაფერი დარჩებოდა საკვებისა და სხვა ძირითადი საშუალებების იმპორტის ხარჯების დასაფარავად. მოხსენებითი ბარათი პროგნოზირებდა, რომ მორგენთაუს გეგმის განხორციელების შემთხვევაში გერმანიის საშუალო ხელფასი ძალიან დაეცემოდა და გაუთანაბრდებოდა ომამდელი პოლონეთის საშუალო ხელფასის საკმაოდ ღარიბულ სტანდარტს. აღშფოთებულმა მორგენთაუმ მთელი ჯგუფი შეხვედრაზე დაიბარა. მას შემდეგ რაც აბრამოვიცმა, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა, პასუხისმგებლობა აიღო მოხსენებით ბარათში გამოთქმულ დასკვნებზე, მორგენთაუმ შეხვე-

დრა დატოვა მწვავე შაკიკის მომიზეზებით. დღესდღეობით, „ვაშინგტონის კონსენსუსმა“ შექმნა ახალი მორგენთაუს გეგმა პერიფერიული სამყაროსთვის. ახლა ისევ დადგა დრო, რომ ის გადაიქცეს მარშალის გეგმად, რომელიც წაახალისებს მზარდი უკუგების აქტივობებს, როგორც ეს 1947 წელს მოხდა.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ 1945 წელს მორგენთაუს გეგმა განხორციელდა. როგორც აბრამოვიცის ჯგუფი პროგნოზირებდა, გეგმის განხორციელებამ გერმანიაში გამოიწვია სასტიკი სიღარიბე, უკიდურესი უმუშევრობა და ცხოვრების დონის ვარდნა. გეგმა 1947 წლის დასაწყისამდე ფუნქციონირებდა, ვიდრე აშშ-მა, შესანიშნავი გონებრივი და პოლიტიკური მოხერხებულობით, არ შეცვალა იგი. ყოფილი პრეზიდენტი, ჰერბერტ ჰუვერი, რომელიც გერმანიაში მიავლინეს მზარდი სიღარიბის მიზეზების შესასწავლად, 1947 წლის მარტის ანგარიშში წერდა: „ილუზიაა, რომ ანექსიის შემდგომ ახალ გერმანიას გადავაქცევთ „სასოფლო მწყემსების ქვეყნად“. ამის გაკეთება შეუძლებელია, თუ ამ ქვეყნის 25 მილიონიან მოსახლეობას არ ამოვხოცავთ ან გავაძევებთ ქვეყნიდან.“[8] სამ თვეზე ნაკლები დროის შემდგომ, 1947 წლის 5 ივნისს ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა, თავისი გეგმა გამოაცხადა. ამ გეგმას მორგენთაუს გეგმის საპირისპირო მიზანი ჰქონდა: რეინდუსტრიალიზაცია.

ჰერბერტ ჰუვერი თავის ანგარიშში საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებს ინდუსტრიულ აქტივობასა და ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობას (მოსახლეობის მხრივ) შორის კავშირს. დეინდუსტრიალიზებულ გერმანიაში, უცაბედად გაჩნდებოდა 25 მილიონის ოდენობის ჭარბი მოსახლეობა. დღეს მასობრივი მიგრაცია ხდება იმ ტერიტორიებიდან, სადაც არ არის სამრეწველო ინდუსტრია და იმ ეკონომიკური სივრცეებიდან, სადაც არ არის

მასშტაბური მზარდი უკუგების აქტივობები, არც წარმოებაში და არც მომსახურებაში, რომლებიც უზარმაზარ „ნაშთს“ ქმნის. ჰანა არენდტი, ერთგან საუბრობს „ჭარბი სიმდიდრისა და ჭარბი მოსახლეობის კომბინაციაზე“. ეს დღევანდელობის ჯეროვანი აღწერაა. სტრუქტურულმა გარდაქმნამ და ნაადრევმა გლობალიზაციამ ერთბაშად გააჩინა ჭარბი მანქანა-დანადგარები მსოფლიოს დეინდუსტრიალიზებულ ადგილებში და ამ დაჟანგული მანქანა-დანადგარების სასაფლაოები გვხვდება ლიმადან მოყოლებული, ულანბატორამდე. შედეგად, „ჭარბი“ მოსახლეობა ამ ადგილებიდან მიდის იქ, სადაც „ჭარბი“ სიმდიდრეა.

ნეოკლასიკური ეკონომიკის მამამთავარი, ალფრედ მარშალი, სწორად აღნიშნავდა, რომ სინამდვილეში კლებადი უკუგების აქტივობებია „მიზეზი თითქმის ყველა მიგრაციული პროცესის, რომელიც ისტორიას ახსოვს“.[9] ჩვენ შეგვიძლია მცირედ დავხვეწოთ ეს მოსაზრება და ვთქვათ, რომ დღეს მოსახლეობის მიგრაცია ხდება კლებადი აქტივობების სივრცეებიდან მზარდი უკუგების სივრცეებში. მარშალი, ნეოკლასიკური ეკონომიკის პირველ სახელმძღვანელოში, ამ ვითარებიდან გამოსავალზეც საუბრობს. სახელმწიფოს შეუძლია გადასახადი დაუწესოს კლებადი უკუგების აქტივობებს (ნედლეულს) და სუბსიდიით წაახალისოს მზარდი უკუგების აქტივობები. ამ წარმატებულ სტრატეგიას იყენებდნენ საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები მას შემდეგ, რაც ჰენრი VII-მ 1485 წელს გაღატაკებული ინგლისი ჩაიბარა და დააწესა ნედლი მატყლის ექსპორტზე გადასახადი, რათა სუბსიდია მიეცა შალის ქსოვილების საწარმოებისათვის. 1980-იან წლებში პოლ კრუგმანის მიერ შექმნილი ვაჭრობის ახალი თეორიიდანაც მსგავსი დასკვნის გამოტანა შეიძლება, თუმცა კრუგმანმა და მისმა კოლეგებმა ეს საკითხი პრაქტიკულ პოლიტიკურ რეკომენდაციებამდე ვერ მიიყვანეს.

საშუალო შემოსავლის ქვეყნები სწორედ ამგვარი პოლიტიკის შედეგად ყალიბდებიან. ღარიბ ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა მიბაძონ მდიდარ ქვეყნებს და გადმოიტანონ მათი ეკონომიკური სტრუქტურის მსგავსი მოდელები პროდუქტიულობის გასაზრდელად, როგორც ეს მე-6 ილუსტრაციაზეა გამოსახული. ეკონომიკური განვითარებისთვის უმთავრესია მრავალფეროვანი და მზარდი უკუგების მქონე აქტივობების დანერგვა, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან სინერგიულ „ნაშთს“, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ესა თუ ის სექტორი, რეგიონის დონეზეა კონკურენტული და „მსოფლიო კლასს“ არ წარმოადგენს. ქვეყნებს სჭირდებათ მსოფლიო კლასის სამრეწველო კომპლექსები, რათა მოიზიდონ საგარეო ვალუტა. დიდი ხნის განმავლობაში ავსტრალიის განვითარების სტრატეგია დამყარებული იყო კლებადი უკუგების სექტორზე (მატყლზე). მატყლი იყო უცხოური ვალუტის მომარაგების წყარო. თუმცა, ქვეყანაში არსებობდა სამრეწველო ინდუსტრია, რომელიც შესაძლოა არ იყო მსოფლიო მასშტაბის, მაგრამ მწარმოებლურობის აუცილებელ ზრდას კი უზრუნველყოფდა. სამრეწველო ინდუსტრიის ზრდა, შრომასა და კაპიტალს შორის ბალანსი პროფკავშირების მეშვეობით, ხელს უწყობდა ხელფასების მატებას. ეს სტრატეგია გამოიყენა შეერთებულმა შტატებმაც განვითარების საწყის ეტაპზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიდგომამ იმუშავა მაშინაც და საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს დღესაც.

როგორც ევროპის მაგალითმა დაამტკიცა, მარშალის გეგმით ხელფასები, სამუშაო ადგილები, სკოლები, პორტები და საავადმყოფოები მცირე მასშტაბის და ხშირად არაეფექტიანი ინდუსტრიული სექტორის ირგვლივ (ამერიკულ ინდუსტრიებს ევროპულები იმ პერიოდში ძალიან ჩამორჩებოდნენ) – ეს ყველაფერი რეალურია, მანამ, სანამ პროცესი დინამიურია. ევ-

როპაში ტარიფები და სხვა ბარიერები ნელ-ნელა შემცირდა და შემდგომ ქვეყნების ინტეგრაციაც მოხდა. ევროპის კავშირმა ეს თანდათანობითი პროცესი განაგრძო 1980 წელს ესპანეთის ინტეგრაციამდე (და მისი ჩათვლით) ისე, რომ ძირითადი ესპანური ინდუსტრიები გადაარჩინა.

მასშტაბი კვლავ მნიშვნელოვანია და შუმპეტერის ტერმინი „ისტორიული მზარდი უკუგება" სათანადოდ აღწერს ტექნოლოგიური ცვლილებისა და მზარდი უკუგების კომბინაციის როლს ეკონომიკურ ზრდაში. თეორიულად ეს ორი რამ შეიძლება გაიმიჯნოს, თუმცა პრაქტიკაში მათი გაყოფა შეუძლებელია. არც ფორდის მანქანების ქარხანა და არც Microsoft-ის იმპერია, განყენებულად, მცირე ზომით არ ფუნქციონირებს, რომ მათი შესწავლა შესაძლებელი იყოს. ამიტომაც მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რა წილი აქვს ტექნოლოგიურ ცვლილებას და მასშტაბს ეკონომიკურ ზრდაში. მასშტაბში იგულისხმება ბაზრის ზომა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და სიღარიბის „მანკიერი წრის" საფუძველში მსყიდველობითი უნარის და საერთო მოთხოვნის ნაკლებობა, ასევე, წარმოების მასშტაბის სიმცირე დევს. როგორც ადრე შევნიშნე, ვაჭრობა განვითარების დაახლოებით ერთ დონეზე მყოფ ქვეყნებს შორის ყოველთვის მომგებიანია. წარმოების მაღალ დივერსიფიცირებასთან ერთად, რომელიც სიმდიდრის ზრდას მოსდევს თან, მცირე მდიდარი ქვეყნები, მაგალითად, შვედეთი და ნორვეგია, ერთმანეთში ძალიან ინტენსიურად ვაჭრობენ. 4.5 მილიონიანი მოსახლეობის მიუხედავად, ნორვეგია არის შვედეთის რიგით მესამე საექსპორტო ქვეყანა და არცთუ ისე ბევრად ჩამორჩება გერმანიას და ამერიკას. ამგვარი სავაჭრო ურთიერთობები უნდა შეიქმნას დღევანდელ ღარიბ ქვეყნებს შორისაც, მაგრამ ხშირად მათ ერთმანეთისთვის მისაყიდი ბევრი არაფერი აქვთ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცი-

ის მოლაპარაკებების მსგავსად, ინტეგრაციის პროცესი დღეს გვახსენებს მატარებელს, რომელიც არასწორი მიმართულებით მიდის. საუკეთესო რამ, რაც შეიძლება გაკეთდეს მოკლე დროში, ამ მატარებლის გაჩერებაა.

რეგიონული ინტეგრაციის ნაცვლად, ჩვენ ვხედავთ საპირისპირო ტენდენციას სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში. ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებით აშშ-თან, სამხრეთ ამერიკის მცირე ქვეყნები იმტკიცებენ საკუთარ პოზიციას დაბალშემოსავლიანი მონოკულტურული ეკონომიკური ქვეყნების სიაში. ეს ქვეყნები ძირითადად აწარმოებენ ნედლეულს, ან იმგვარ პროდუქციას, რომელიც ინოვაციას აღარ ექვემდებარება. ევროპასთან და აშშ-თან თორმეტი სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმის არსებობის შედეგად, აფრიკული ეკონომიკა გაიხლიჩა. რეგიონული ინტეგრაციის ნაცვლად აფრიკა ეკონომიკურად დანაწევრებულია. ეს მოგვაგონებს აფრიკის პოლიტიკურ დახლეჩას ევროპის ქვეყნების მიერ 1884-85 წლებში ბერლინის კონფერენციის შემდეგ. ამ ყველაფრის შედეგი არის ის, რასაც აფრიკელები „სპაგეტის თეფშს“ უწოდებენ; ფურცელზე რომ გამოვსახოთ აფრიკის ქვეყნების გადახლართული სავაჭრო ურთიერთობები, იმდენი ხაზები იქნება, რომ სურათი ძალიან დაემსგავსება თეფშს სპაგეტით. რეგიონული ინტეგრაციის ზრდის ნაცვლად, საერთაშორისო ვაჭრობა ნაადრევად ანაცვლებს რეგიონულს. მაგალითად, ევროკავშირი აძალებს ეგვიპტეს მისგან იყიდოს ვაშლი, რითიც ანაცვლებს ლიბანურ ვაშლს. ლიბანი კი საუკუნეების განმავლობაში იყო ეგვიპტის ვაშლის მიმწოდებელი. გლობალიზაციამ, რომელსაც მართავს „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პრინციპები, ნაადრევად და ასიმეტრიულად დაარტყა ღარიბ ქვეყნებს. ამ დარტყმამ შექმნა ქვეყანათა ჯგუფი, რომლებიც შრომის მსოფლიო დანაწილებაში სიღარიბ-

ისათვის განწირულები არიან. შუმპეტერიანული „კრეატიული განადგურება“ გეოგრაფიულად ისეა გამიჯნული, რომ შექმნისა და ნგრევის პროცესები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში ხდება; სწორედ ესაა ეკონომიკის განვითარების შუმპეტერისეული ხედვის არსი.

ამ წიგნში შევეხეთ რამდენიმე ფაქტორსა და მექანიზმს, რომლებიც განაპირობებენ სიმდიდრესა და სიღარიბეს. ისინი არ არიან კავშირში იმ ფაქტორებთან, რომელსაც აბრამოვიცმა უწოდა ეკონომიკური ზრდის „უშუალო“ [პირდაპირი. – მთარგმნ.] განმსაზღვრელი ფაქტორები (კაპიტალი, შრომა და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა). ასევე ვამტკიცებდი, რომ განვითარებისთვის ცხადი და აუცილებელი ელემენტები, როგორიცაა განათლება და ინსტიტუტები, თავისთავად ვერ გადაჭრიან პრობლემას. მეტისმეტად ფოკუსირებული და არათანაბარი ტექნოლოგიური წინსვლა, რასაც ჩვენ „ტექნოლოგიური აფეთქებები“ ვუწოდეთ, ქმნის „ისტორიულ მზარდ უკუგებას“, დინამიკურ არასრულყოფილ კონკურენციას და უზარმაზარ ბარიერებს ბაზარზე შესვლისთვის, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის. მზარდი და კლებადი უკუგება წარმოშობს „სასიკეთო“ და „მანკიერ“ წრეებს, რაც აღწერილი აქვთ კლასიკოს განვითარების ეკონომისტებს; ანტონიო სერას მოსაზრება, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია პროფესიები ქალაქში, ის მეტად მდიდარია, დღესაც მართებულია.

ამ მექანიზმებმა ქვეყნები შესაძლოა სიღარიბეში ჩააგდონ, ან პირუკუ, ამოიყვანონ სიღარიბიდან, ამიტომ მთავრობებმა ისინი უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკურ პოლიტიკაში. აბრამოვიცმა ამ პრობლემათა ერთიანი კრებული მოიხსენია, როგორც ერის „ორგანიზაციული შესაძლებლობები“. ღარიბ ქვეყნებს, განსაკუთრებით მათ, რომლებშიც მზარდი უკუგების

ნაკლებობა წარმოშობს ნულოვანჯამიან ეკონომიკურ თამაშს, დაბალი ორგანიზაციული შესაძლებლობები აქვთ. ეს კი „მანკიერი წრის“ გადაჯაჭვული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც წესი, რაც უფრო რთულია ვითარება, მით უფრო ნაკლებია იმის შანსი, რომ საბაზრო ძალები სასურველი კურსით დაუბერავს ზურგის ქარს.

ამ წიგნში ვამტკიცებ, რომ ისტორიულად „მანკიერი წრის“ გარღვევის ერთადერთი გზა გადის, პირველ რიგში, მწარმოებლური სტრუქტურის შეცვლაზე. ეს ხანდახან მოითხოვს მკაცრ პოლიტიკურ ზომებს. მესამე სამყაროს ქვეყნებს მართებთ, ანარმოონ იმავე ტიპის დებატები ეკონომიკურ საკითხებზე, რომლებიც გაბატონებული იყო მე-19 საუკუნის ევროპაში – იტალიით დაწყებული, ნორვეგიით დამთავრებული. დებატები იმას კი არ ეხებოდა, მოეხდინა თუ არა კონტინენტური ევროპის ქვეყნებს ინდუსტრიალიზაცია ინგლისის მსგავსად, ამაზე პასუხი აშკარად დადებით იყო, არამედ იმას, თუ როგორ უნდა გადაენაწილებინათ პასუხისმგებლობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის ამ პროცესში.

თავის 1613 წელს გამოცემულ წიგნში, ანტონიო სერამ მთელი თავი მიუძღვნა ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელშიც პოეტურად აღწერს იმ სირთულეებს, რაც წარმოიქმნება მაშინ, როცა ეს პოლიტიკა განსხვავებულად აისახება სხვადასხვა წარმოებაზე: „როგორც მზე ამაგრებს თიხას, მაგრამ არბილებს ცვილს, ასევე სტვენა აოკებს ცხენს, თუმცა აღიზიანებს ძაღლს.“ მაშასადამე, არც ერთი პოლიტიკა არ არის „ნეიტრალური“. ტექნოლოგიური პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს კვლევასა და განვითარებას [საყოველთაოდ. – მთარგმნ.] მიღებულია. თუმცა, ეს პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად დაეხმარება ეროვნულ ფარმაცევტულ ინდუსტრიას, რომელიც ნერგავს ინოვაციებს

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მეშვეობით. მეორე მხრივ, ეს პოლიტიკა მეტ-ნაკლებად რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს პოლიგრაფიულ ინდუსტრიას, რომელიც თავად არ აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მაგრამ ინოვაციებს ნერგავს მანქანა-დანადგარების შეძენით. ეს მანქანა-დანადგარები კი, თავის მხრივ, წარმოებულია მანქანა-დანადგარების ინდუსტრიის მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მეშვეობით. არსებობს სხვა საფრთხეებიც. სულ უფრო მეტად ცხადი ხდება, რომ ევროკავშირის ახალ ქვეყნებში, ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მეტისმეტად მცირე ან ნულოვანი კავშირი აქვს ეროვნულ წარმოების სტრუქტურასთან. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ინვესტირებით ერთმა ქვეყანამ, შესაძლოა, სუბსიდირება გაუწიოს სხვა ქვეყნების სამრეწველო სექტორებს. ეს სიტუაცია, იმის მსგავსია, რასაც ჰანს ზინგერი აღწერს, რომლის ციტატაც ადრე მქონდა მოყვანილი: თუ ეროვნული პროდუქტიულობის ზრდა მთლიანად უცხოელ კლიენტებს გადაეცემა, მაშინ ინოვაციები ქვეყანას ვერ გაამდიდრებს.

ეკონომიკის ისტორიული სკოლის და „სხვა კანონის“ მიდგომებში ზემოთ აღწერილი მექანიზმები, ისეთი ელემენტებია, რომლებიც ახალი კომბინაციებით სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. მთავარია, რომ ეს მექანიზმები, რომლებსაც წარსულში მოიხმარდნენ, ახალი კონტექსტების გათვალისწინებით გამოიყენონ. ასეთივე პრინციპი დგას ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სიტუაციის ანალიზის მეთოდის (case-method) უკან: კონკრეტული მაგალითები საშუალებას იძლევა, „ხელოვნური გამოცდილება“ დააგროვონ, რომელიც, შესაძლოა, შემდგომში ახალ კონტექსტში გამოიყენონ. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ბიზნეს სკოლის დეკანები არ წყალობენ ჰარვარდის ბიზნესის

სკოლას და არ განიხილავენ მას აკადემიური იერარქიის ზედა დონეზე, შრომის ბაზარზე, როგორც წესი, ამ სკოლის კურსდამთავრებულებს ყველაზე მაღალი საწყისი ხელფასი აქვთ. გამოცდილება ბიზნესში უფრო დაფასებულია, ვიდრე მეცნიერებაში. ამ წიგნში ვამტკიცებ, რომ ცივი ომის ეკონომიკამ ამგვარი მიდგომის უკიდურესი ვარიანტი შექმნა: ჩვენ ვიცხოვრეთ იმ პერიოდში, რომელშიც რეალობის ამსახველ ეკონომიკას პრესტიჟი საერთოდ არ ჰქონდა.

გამოცდილება, ასევე, საერთაშორისო ეკონომიკური ახირებების საკუთარი ქვეყნის მიმართ გონივრულად გამოყენებასაც ნიშნავს. 1990-იან წლებში, მაიკლ ე. პორტერის წიგნმა „ქვეყნების კონკურენტული უპირატესობა“ ინტერესი გააჩინა „ეროვნული კლასტერების“ მიმართ. პორტერი თავის წიგნში ამერიკის შეერთებულ შტატებს აღწერდა. თუ თქვენ გსურთ ეს იდეები გამოიყენოთ ისეთი პატარა ქვეყნის ინდუსტრიასთან მიმართებაში, როგორიც სან-მარინოა (ამ ქვეყანას აქვს ინდუსტრია, მე იქ კლიენტი მყავდა), მაშინ თქვენ ნაკლები აქცენტი უნდა დასვათ „ნაციონალურ“ ელემენტზე. თუ თქვენ გააცნობიერეთ, რომ „ეროვნული კლასტერების“ უმთავრესი მიზანი ინოვაციების დანერგვაა, მაშინ შესაძლოა, მხარი დაუჭიროთ ისეთ წარმატებულ პროექტებს, როგორიც ნორვეგიის ყინულის ბლოკების საექსპორტო კლასტერი იყო: გაყინული ტბები, ნახერხი თერმოიზოლაციისთვის და საერთაშორისო გადაზიდვები. თუმცა, ეს კლასტერი მაცივრის გამოგონებასთან ერთად მოკვდა.

ფინეთმა მოგვცა პორტერის წიგნის გამოყენების უკიდურესად გონივრული მაგალითი. 1990-იან წლებში, ოკია მცირე კომპანია იყო, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ რეზინის ფეხსაცმელებისა და კაფელის ცემენტის წარმოებიდან, ელექტრონიკის

წარმოებაზე გადავიდა. ის „ნაციონალური“ კომპანია იყო, თუმცა ის არ იყო „კლასტერი“. პორტერისთვის რომ დაეჯერებინათ, მას მხარს არ დაუჭერდნენ. როცა 1990-იან წლებში ფინეთის ინდუსტრიული პოლიტიკა ყალიბდებოდა, ფინეთის ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტმა (ETLA), პეკა ილა-ანტილას ხელმძღვანელობით, ეს პრობლემა გადაწყვიტა ახალი თეორიული კატეგორიის, „მარტოხელა ვარსკვლავის“ დამატებით. „მარტოხელა ვარსკვლავი“ მისაღები იყო, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო კლასტერი. ამგვარმა შემოქმედებითობამ გადაარჩინა ის პოლიტიკა, რომელიც Nokia-ს უჭერდა მხარს.

ნაციონალიზმი, მიუხედავად მისი საშინელი გამოვლინებებისა, ინდუსტრიალიზაციის პარალელურად, მაინც აუცილებლად გასავლელი ეტაპი იყო ეკონომიკური განვითარების გზაზე.[10] ევროპულ ერებს შორის მეტოქეობის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო სურვილი იმისა, რომ კარგად ეცხოვრათ მათ და მათ შთამომავლებსაც. ეკონომისტებიც ნაციონალისტები იყვნენ. ნებისმიერი ადამიანის მსგავსად, ეკონომისტების მსოფლმხედველობასაც ის გარემო აყალიბებს, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ. 1990-იან წლებში სილიკონის ველზე მოღვაწე ადამიანი თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ რომ გამოსულიყო, მას სამართლიანად ჩათვლიდნენ გონებაარეულად. თუმცა, კამპალადან (უგანდა) ეს ყველაფერი შეიძლება სხვანაირად ჩანდეს. მაგრამ დაუძლეველი პრობლემა ისაა, რომ გაბატონებული ეკონომიკური თეორია და ამ თეორიის ჭრილში მომზადებული რეკომენდაციები, არ ითვალისწინებენ კონტექსტებს. ამასთან, ბევრი თეორეტიკოსი იმითაც კი ამაყობს, რომ მათი თეორია ფაქტებს ყურადღებას არ აქცევს, როგორც ამას ვაჭრობის თეორეტიკოსი ვიქტორ ნორმანი აღნიშნავს.

მე ვერასდროს გავბედავდი დამედანაშაულებინა ადამ სმიტი და დევიდ რიკარდო ნაციონალიზმში ისე მკაცრად, როგორც ეს

გააკეთა ინგლისელმა ეკონომისტმა ლიონელ რობინსმა (1898-1984). რობინსი, რომელსაც სამუდამო პერობა მიანიჭეს ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში მისი მოღვაწეობის დაფასების ნიშნად, წერს: „ჩვენ შევცდებით თუ ჩავთვლით, რომ ინგლისელი კლასიკოსი ეკონომისტები რაიმე ისეთ რჩევას გასცემდნენ, რომელიც სასარგებლო იქნებოდა ზოგადად მსოფლიოსთვის, მაგრამ ზიანს მოუტანდა საკუთარ ხალხს".[11] ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ღარიბი პერიფერიული ქვეყნები თავად ზრდიდნენ ეკონომისტებს. მართლაც, მე-19 საუკუნის ევროპაში ის ეკონომისტები, რომლებსაც სურდათ, რომ მათი ქვეყანა დარჩენილიყო ნედლეულის მწარმოებლად, უმცირესობაში იყვნენ და მათი მოკავშირეები შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ „ფეოდალური" სასოფლო-სამეურნეო სექტორი და საერთაშორისო მოთამაშეები. ინგლისი ამ მოდელით მოქმედებდა აშშ სამოქალაქო ომის დროს, როცა მხარს უჭერდა „თავისუფალ ვაჭრობას" და მონათმფლობელობას სამხრეთში, ინდუსტრიული მრეწველობის მხარდამჭერი და ანტიმონათმფლობელური ჩრდილოეთის წინააღმდეგ. უფრო ადრე, ამგვარი პოლიტიკური ბრძოლა ესპანეთში გაიმართა, ურბანული ხელოსნებისა და ინდუსტრიული სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ძველი რეჟიმის წინააღმდეგ 1521-1522 წლებში „კომუნეროს" აჯანყების დროს. ამ ბრძოლაში ტრადიციულმა სექტორებმა („სამხრეთმა") გაიმარჯვეს, რამაც სეგოვიას ადრეული დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია.

თუ ეკონომიკური ნაციონალიზმის იდეების ისტორიაზე დაკვირვებას განვაგრძობთ, აღმოვაჩენთ, რომ ინგლისური თავისუფალი ვაჭრობის (ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით), ადრეული მომხრეები მეტწილად ჰოლანდიელები იყვნენ, როგორც ჟერარდ დე მალინესი (Gerard de Malynes) – მისი ნამდვილი

სახელი იყო გერარტ ვან მეხელენი (1586-1641)[12] – ან სწავლობდნენ ჰოლანდიაში, მაგალითად, ნიკოლას ბარბონი (დაახლოებით 1640-1698).[13] ანალოგიურად, 200 წლის შემდეგ გერმანიაში თავისუფალი ვაჭრობის მოძრაობის ლიდერი გახდა ჯონ პრინც-სმიტი (1809-1874). ის ბრიტანული გაიანას გაბანკროტებული გუბერნატორის შვილი იყო. იგი გერმანიაში ინგლისურის მასწავლებლად ჩამოვიდა, თუმცა ბოლოს რაიხსტაგის წევრი გახდა. დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში, ბევრ ნაციონალურ ელიტას უფრო მეტი საერთო აქვთ გლობალურ ელიტებთან, ვიდრე საკუთარ მოსახლეობასთან. ეს ელიტები წარმატებულად თამაშობენ იმ როლს, რაშიც წარუმატებელი აღმოჩნდა ჯონ პრინც-სმიტი გერმანიის შემთხვევაში.

ნამდვილად დიდი ნაციონალისტები, მაგალითად, ფრიდრიხ ლისტი (1789-1846) გერმანიაში და ჯუზეპე მაძინი (1805-72) იტალიაში, „ევროპის შეერთებული შტატების" ადრეული მომხრეები იყვნენ. იმ პერიოდისთვის, იტალია და გერმანიაც ჩამორჩენილი ქვეყნები იყვნენ და შედგებოდნენ ძველი ყაიდის პატარა ქალაქ-სახელმწიფოებისგან. ორივე ლისტი და მაძინიც, გერმანიისა და იტალიის ეროვნულ სახელმწიფოებად გაერთიანებას განიხილავდნენ, როგორც აუცილებელ ნაბიჯს ევროპის გაერთიანების გზაზე. ლისტის მოსაზრებით კი, ამ ქვეყნების გაერთიანება, საბოლოო ჯამში, გლობალურ თავისუფალ ვაჭრობამდე მიიყვანდა მსოფლიოს. ერთიან ევროპაში, უკვე ჩამოყალიბებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებთან ერთად, სუსტი და მცირე ქალაქ-სახელმწიფოების შესვლა გამოიწვევდა გერმანიისა და იტალიის დეინდუსტრიალიზაციას. ნაციონალიზმს ესაჭიროებოდა ინდუსტრიალიზაცია და პოლიტიკური გაერთიანება, თუმცა ნაციონალიზმის ეს ფორმა, ლისტისთვის და მაძინისთვისაც, ევროპის გაერთიანებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი გახლდათ. ეს ნაბიჯი მაინც გარდაუვალი იყო.

ლისტი გამოდიოდა იდეით, რომლის მიხედვითაც, სრულ გლობალიზაციამდე, გარდამავალ პერიოდში, უნდა შექმნილიყო სივრცე კონტინენტური თავისუფალი ვაჭრობისთვის. ამგვარი ნაბიჯი ლათინურ ამერიკას არასოდეს გადაუდგამს. ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (LAFTA ან ALALC) შექმნის იდეა წარუმატებელი აღმოჩნდა. იმპორტის ჩანაცვლების ლათინურამერიკული სტრატეგია პირველ ეტაპზე ძალიან წარმატებული იყო – ცენტრალური ამერიკის პატარა სახელმწიფოებმაც კი 10%-იან ზრდას მიაღწიეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თუმცა, შემდგომში ეს სტრატეგია დეგრადირდა და ზედაპირულ ინდუსტრიალიზაციასა და მონოპოლიურ კონკურენციაში გადაიზარდა („ცუდი“ პროტექციონიზმი, იხილეთ დანართ IV-ში). ამ პრობლემას ფრიდრიხ ლისტი უდიერად მოიხსენიებდა და უწოდებდა „Kleinstaaterei“: როცა ქვეყანა ვერ აღწევს მინიმალურ შედეგიანობას. როდესაც ლათინური ამერიკის ქვეყნების ინდუსტრიული სისტემები „Kleinstaaterei-ის“ მდგომარეობიდან პირდაპირ და მყისიერად ჩაერთვნენ გლობალურ ეკონომიკაში, დეინდუსტრიალიზაციამ ისინი მიიყვანა იგივე მდგომარეობამდე, რასაც ჰუვერი აღწერდა 1947 წლის გერმანიის შემთხვევაში.

აქ კვლავ ვუბრუნდებით კავშირს ისტორიულ თეორიებსა და გლობალიზაციისთვის დროის შერჩევას შორის. მე-19 საუკუნის ბოლომდე ეკონომისტები ისტორიას უყურებდნენ, როგორც თვისობრივად განსხვავებულ პერიოდებს ან როგორც „ეტაპებს“,[14] რომლებშიც ადამიანთა საზოგადოებების ევოლუცია ეკონომიკური აქტივობების, გეოგრაფიული განსახლებისა და პოლიტიკური წყობის მიხედვით, ერთმანეთთან სტრუქტურულად იყო გადაჯაჭვული. გრძელვადიან პერიოდში, ადამიანის არსებობის ეკონომიკური ბაზისი ნადირობიდან და შეგროვე-

ბიდან გარდაისახა ცხოველების მოშინაურებასა და მწყემსურ საქმიანობაში. შემდგომ – სოფლის მეურნეობაში და ბოლოს, შრომის მზარდ გადანაწილებაში: ხელოსნობასა და სამრეწველო საქმიანობაში. ამის პარალელურად იცვლებოდა ადამიანების განსახლების ტიპებიც. თავიდან არსებობდა მომთაბარე გვარტომობრივი საზოგადოებები, რომლებიც პირველ ეტაპზე სოფლებად გადაიქცნენ, შემდგომ ქალაქ-სახელმწიფოებად, ბოლოს კი ერ-სახელმწიფოებად. ჯერ კიდევ 1926 წელს იოჰან ჰენრიხ ფონ ტიუნენმა (1783-1850),[15] ეს ეკონომიკური აქტივობები გამოსახა როგორც კონცენტრირებული წრეები ქალაქების ირგვლივ. მის ამ სქემაზე, ქალაქის ირგვლივ არსებულ ყველაზე დაშორებულ პერიფერიულ წრეზე მდებარეობდა ყველაზე პრიმიტიული საქმიანობა – ნადირობა, შემდგომ, ქალაქთან უფრო ახლოს – მეცხოველეობა, კიდევ უფრო ახლოს კი სოფლის მეურნეობა. ამ წრეების ცენტრში ქალაქი იყო მოთავსებული.

ტიუნენის აზრით, თუ საქალაქო საქმიანობა იმდენად სუსტი იყო, რომ გადარჩენა გაუჭირდებოდა, მაშინ აუცილებელი ხდებოდა მიზნობრივი პოლიტიკის გატარება, ჩანასახოვანი ინდუსტრიების წახალისება და პროტექცია. აბრამოვიცს და სერას რომ დავუბრუნდეთ, თვისობრივი განსხვავება საქალაქო აქტივობებსა და ქალაქის ირგვლივ კონცენტრირებულ სხვა აქტივობებს შორის სწორედ ის ქვითკირია, რომელიც ადულაბებს საზოგადოების საერთო ბედს. გავიხსენოთ როგორ მიმართა საზოგადოებას ჯორჯ მარშალმა 1947 წელს, მარშალის გეგმის გამოცხადებისას (იხილეთ მე-7 თავი): გაცვლა-გამოცვლა სოფელსა და ქალაქს შორის „თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველია“.

ზოგიერთი ისტორიული ეტაპი შეიძლება გამოვტოვოთ. კორეას არ დასჭირვებია ორთქლის ძრავის ეპოქის გავლა. სავსებით შესაძლებელია, რომ სახელმწიფოები პირდაპირ გადავიდნენ მო-

ბილურ ტელეფონებზე და გამოტოვონ მავთულის ტელეფონების ეპოქა. თუმცა, მონადირეობით და მეცხოველეობით დაკავებული ერის პირდაპირ მომსახურების ეკონომიკაზე გადაყვანა, უშედეგო იქნება. სექტორებს შორის სინერგია უმთავრესია. საქალაქო საქმიანობები დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სექტორიც დამოკიდებულია ქალაქელი მშრომელების მსყიდველუნარიანობაზე და ქალაქში არსებულ ტექნოლოგიებზე. ანალოგიურად, თანამედროვე მომსახურების სექტორი დამოკიდებულია სამრეწველო სექტორში არსებულ მოთხოვნაზე. თეორიულად, მონღოლმა მწყემსმა შეიძლება გამოიყენოს მაღალტექნოლოგიური „ელექტრონული მეცხვარე“, რომელიც ინტეგრირებული იქნება ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ გლობალურ სისტემასთან (S), მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება ელექტროენერგია და თუ ამ აპარატურის ფასი მწყემსის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაშოვნ თანხაზე მეტი არ იქნება. მეორე მხრივ, ინდუსტრიულ ქვეყნებში ხორცის ფასი იმდენად მაღალია, რომ მწყემსებს შეუძლიათ ნაშოვნი ფულით იყიდონ „ელექტრონული მეცხვარე“. ისტორიულად, ამგვარი დაბალი პროდუქტიულობისა და დაბალი მსყიდველობითი უნარის „მანკიერი წრის“ ერთადერთი წარმატებული ფორმულა ეკონომიკაში მინიმალური ოდენობის მზარდი უკუგების აქტივობების ჩართვა და შრომის ბაზრის მრავალფეროვნების ხელშეწყობაა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სტრუქტურული კავშირების გაჩენა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას შორის. მაგალითად, საბჭოური სტილის გეგმიური ეკონომიკა არ არის თავსებადი დემოკრატიასთან.[16] დემოკრატია ჩნდებოდა ქალაქ-სახელმწიფოებში, სადაც, როგორც ფლორენციის მაგალითზე დავინახეთ,

კლასები, რომლებსაც ვიწრო ინტერესები ჰქონდათ, პოლიტიკიდან ძალით განიდევნენ. ქალაქ-სახელმწიფოებისგან ჩამოყალიბდნენ ერი-სახელმწიფოები. როგორც აღვნიშნეთ, ფრიდრიხ ლისტსა და ჯუზეპე მაძინის ერი-სახელმწიფო მიაჩნდათ აუცილებელ წინაპირობად წარმატებული ზესახელმწიფოებრივი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

„შოკურმა თერაპიამ" გაანადგურა ქალაქებისთვის დამახასიათებელი მთავარი აქტივობები, რომლებიც ქმნიდნენ სინერგიებს და ეკონომიკური ზრდის „ნაშთს" პერიფერიული მესამე სამყაროს ქვეყნებში. გლობალიზაციის „ვაშინგტონის კონსენსუსის" ფორმულამ დაშალა ფონ ტიუნენის იდეალური სახელმწიფო. მრავალი სახელმწიფო დარჩა ქალაქების გარეშე, რომლებიც ქმნიდნენ მზარდი უკუგების აქტივობებს და ეკონომიკური ზრდის „ნაშთს". ამ ქვეყნებში უბრალოდ ფულის ჩაყრა მათ ვერაფერს უშველის, თუ არ შეიქმნა კრიტიკული ოდენობის მზარდი უკუგების სექტორები. ფონ ტიუნენის წიგნის გამოცემამდე საუკუნით ადრე, ეკონომისტები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ ე.წ. „პარაზიტულ ადმინისტრაციულ ქალაქებს", რომლებიც მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეს ეწეოდა, და „პროდუქტიულ სამრეწველო ქალაქებს"; ისინი, ამასთანავე, ამჩნევდნენ იმ განსხვავებულ გავლენებს, რომელსაც ეს ქალაქები მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სივრცეებზე ახდენდნენ. 250 წლის წინ ფერდინანდო გალიანი[17] აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული ქალაქის, მადრიდის, გარშემო არსებული ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა აყვავებული სოფლის მეურნეობისაგან, რომელიც ინდუსტრიულ მილანს ერტყა გარს.

თანამედროვე ეკონომიკური და მისი პარალელური პოლი-

ტიკური კურსი („ვაშინგტონის კონსენსუსი“ და „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა“), განწირულია დამარცხებისთვის იმავე მიზეზით: ორივე უგულებელყოფს იმ ისტორიულ გამოცდილებას, რომელმაც შექმნა სიმდიდრე და დემოკრატია. სომალისა და ავღანეთის მსგავს ქვეყნებში არ გვხვდება მზარდი უკუგების მქონე აქტივობები, რომლებიც შექმნიდა სინერგიულ ეკონომიკურ სტრუქტურებს და გააჩენდა ben commune-ს (საზოგადოებრივ კეთილდღეობას). ამ ქვეყნებში ნულოვანჯამიანი თამაშის წესებია გაბატონებული, რაც ჩვენ მე-3 თავის დასაწყისში აღვწერეთ. ამგვარი ქვეყნების ბუნებრივი პოლიტიკური სტრუქტურა გვარტომობრივია, რომელთა ლიდერებიც „საველე მეთაურებს“ გვანან. დედაქალაქის კონტროლი გულისხმობს რენტის მიღებას სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან, თუმცა თვითონ უკან არაფერს აბრუნებს მზარდი უკუგების წარმოების სახით. ასეთი დედაქალაქი „პარაზიტულია“. რაც უფრო დიდი ბუნებრივი წიაღისეულია ქვეყანაში, მაგალითად, ნავთობის სახით, მით უფრო მეტი ერგება მათ, ვინც დედაქალაქს აკონტროლებს. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ კოლონიალურმა ძალებმა საზღვრები ძველი ტომობრივი საზღვრების უგულებელყოფით გაავლეს.

მუსლიმი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი იბნ ხალდუნი (1332-1406) საზოგადოებრივ განვითარებას ყოფდა რამდენიმე ეტაპად: პირველი იყო უდაბნოს მომთაბარე ტომები, შემდგომ სისხლით დაკავშირებული ორგანიზებული კლანები, მიწათმოქმედები და ბოლოს, ქალაქის მცხოვრებლები.[18] ქალაქის მცხოვრებლები მფლანგველები არიან და მათი საჭიროებების ზრდასთან ერთად, ქალაქმა თანდათან უნდა გაზარდოს გადასახადები. ისინი იძულებულნი არიან დახმარებისთვის მიმართონ გარე ძალას, რათა

წინააღმდეგობა გაუწიონ თავიანთი კლანის განაწყენებულ წევრებს, რომლებსაც რესურსების თანაბრად განაწილება სურთ. სხვა კლანებისთვის მიმართვა იმიტომ ხდება საჭირო, რომ თავად მებრძოლებად აღარ ვარგან. ამის გამო სახელმწიფო ნელ-ნელა იხრწნება და თანდათან მომთაბარეების ახალი ჯგუფების მსხვერპლი ხდება, რომლებიც შემდგომ თავიდან გადიან იმავე ციკლს. იბნ-ხალდუნის დროინდელ პრეინდუსტრიულ ხანაში ისტორია ლოგიკურად ციკლურ ხასიათს იძენდა თანმდევი ტომობრივი ომებით, რომლებშიც გარე ძალები მონაწილეობდნენ. ამის შედეგად, არაპროდუქტიული კაპიტალისგან მიღებული შემოსავლები გროვდებოდა რენტის სახით. ნორვეგიის ისტორიაც საუკუნეების განმავლობაში ამგვარი იყო.

ინდუსტრია, რომელიც ნედლეულის წარმოებაზე სპეციალიზდება და ვერ აღწევს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ფეოდალურ პოლიტიკურ სტრუქტურას ქმნის. თუმცა, იქაც კი, სადაც ნამდვილი ფეოდალიზმი არ არსებობდა, მაგალითად, აფრიკის სასოფლო-სამეურნეო ქვეყნებში, სახელმწიფოები ეპატრონებოდნენ რესურსებს (კოლონიალიზმისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება) და უკან არაფერს აბრუნებდნენ. ამგვარ პირობებში, პრეკაპიტალისტური წარმოების სტრუქტურები და პოლიტიკური სისტემები საკმაოდ მტკიცეა, რასაც, ალბათ, თავის მიზეზები აქვს. ტანზანიის პრეზიდენტის ჯულიუს ნიერერეს მრჩეველი, შვედი გორან ჰიუდენი, აფრიკის „დაუმორჩილებელ გლეხობაზე“ წერდა. ანალოგიურად, NATO და ზოგადად დასავლეთი აწყდება „დაუმორჩილებელი გლეხობის“ პრობლემას ავღანეთში. ჩემი აზრით, ნიერერეს აფრიკული სოციალიზმი იგივე მიზეზით ჩაფლავდა, რის გამოც მარცხდება NATO და დასავლეთი ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. განმარტებისთვის,

პრობლემის სათავე ეკონომიკის სტრუქტურაშია („ეს ეკონომიკური სტრუქტურაა, სულელო“).*

გარემოება, რომელმაც დაანგრია იბნ-ხალდუნის მიერ აღწერილი ტომობრივი ძალადობით რენტის ძიების წრე, მე-3 თავში დავახასიათე. ეს გარემოება შრომის მასობრივ დანაწილებას უკავშირდებოდა მზარდი უკუგების ინდუსტრიების მატების პარალელურად. ამ აქტივობების გაჩენით, კაპიტალი გადაიქცა სოფლის აქტივად და პირიქით. სახელმწიფო უკვე აღარ იყო ნულოვანჯამიანი თამაშის სივრცე. ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპი, ჟან-ბაპტისტ კოლბერტის (1619-83) დროიდან მოყოლებული, ინდუსტრიალიზაციაში, ინფრასტრუქტურაში მსხვილ ინვესტირებასა და ქვეყნის შიგნით თავისუფალი ვაჭრობის შექმნაში მდგომარეობდა. ამის მიღწევის შემდეგ, უკვე რეგიონული დონის სხვა უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაც შეიძლება.

რამდენიმე თვის წინ, ნორვეგიის სტრატეგიული განვითარების ინსტიტუტმა ლილეჰამერეში (1992 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი) მცირე სემინარზე ჩამოიყვანა ვაშინგტონელი კონსერვატორი და პოლიტიკური „ქორების“ წარმომადგენელი ედვარდ ლუტვაკი. ყველასთვის გასაკვირად, ლუტვაკი ერაყის ომის დაწყების წინააღმდეგ გამოვიდა, მანამდე, ვიდრე ის დაიწყებოდა. „იცით რა“, – თქვა მან, „თავდაცვის დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა, 2003 წელს ერაყის ომის დაწყებამდე, რასისტი იმის გამო მიწოდა, რომ მე არ მჯეროდა, რომ სადამის ჩამოგდება ერაყს დემოკრატიას მოუტანდა“.

ლუტვაკი, რომელმაც მეტისმეტად კარგად იცოდა თავისი ქვეყნის ისტორია, ბუნებრივია, დაეთანხმებოდა მისგან ესოდენ

* აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის სიტყვების („It's the economy, stupid“) პერიფრაზია, რომელიც 1992 საარჩევნო კამპანიის სლოგანად იქცა. ფრაზა ხაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობას.

განსხვავებულ ადამიანებს, ფრენსის ბეკონს და კარლ მარქსს ერთ საკითხში: პრობლემა ადამიანთა რასაში კი არა, ეკონომიკურ სტრუქტურაშია. ევროპელები უკრძალავდნენ სამრეწველო ინდუსტრიის მშენებლობას იმ კოლონიებს, სადაც ცოტა თეთრკანიანი ცხოვრობდა, იმ კოლონიებმა კი, სადაც ბევრი თეთრკანიანი ცხოვრობდა, ინდუსტრიალიზაციის პროცესი გაიარა და დამოუკიდებლობაც მოიპოვა. ამგვარმა მიდგომამ შექმნა ილუზია, თითქოს რასობრივი საკითხი განვითარების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია. 1967 წელს პერუში ყოფნის მეორე დღეს, შევხვდი პრეზიდენტ ბელაუნდეს (ეს შეხვედრა აღწერილია პირველ თავში). პრეზიდენტი ახალი დაბრუნებული იყო პერუს ტყეების იზოლირებულ ნაწილში მგზავრობიდან, სადაც მხოლოდ ვერტმფრენით შეიძლება მიღწევა. იმ ადგილებში სახლობდნენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოსული გერმანელი მოახალშენეები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თეთრები და ცისფერთვალებები იყვნენ, ისევე წესით ცხოვრობდნენ ჯუნგლებში, როგორც პერუელები. მრავალი წლის შემდეგ, ვესტუმრე სამხრეთ ბრაზილიის შტატს, რიო გრანდე დე სულს, სადაც გერმანელმა მოახალშენეებმა შექმნეს მრეწველობა და კეთილდღეობა. კვლავ ფრენსის ბეკონის ციტატა შეგვიძლია მოვიყვანოთ: „არსებობს უზარმაზარი განსხვავება ადამიანების ცხოვრებაში ევროპის რომელიმე ცივილიზებულ მხარესა და ახალი ინდოეთის ყველაზე ველურ და ბარბაროსულ გარეუბანს შორის... ეს განსხვავება მომდინარეობს არა მიწიდან, კლიმატიდან, რასიდან, არამედ ხელობიდან (ე.ი. ამ მხარეში დამკვიდრებული პროფესიებიდან)".

მაგრამ არსებობს ოპტიმიზმის მიზეზები. ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებისას, მენტალობები და ინსტიტუტები შედარებით სწრაფად იცვლება. მე-19 საუკუნეში ინგლისელ

მოგზაურებს ნორვეგია განვითარების მცირე შესაძლებლობების მქონე, ლოთი გლეხებისგან შემდგარ ჩამორჩენილ სახელმწიფოდ წარმოუდგათ. თუმცა, 50 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჰარვარდელ ეკონომისტს დევიდ ლანდერსს მაგალითად მოჰყავს ციტატა 1881 წლის Japan Herald-იდან: „ჩვენ არ გვგონია, რომ როდესმე იაპონია გამდიდრებას შეძლებს. ამას ხელს უშლის ის უპირატესობა, რომელიც მას კლიმატის სახით ბუნებით აქვს მინიჭებული. ასევე ხელშემშლელია იაპონელთა სიყვარული უბრალოებისა და სიამოვნების მიმართ. იაპონელები ბედნიერი რასაა და, რადგან მცირედით კმაყოფილდებიან, საეჭვოა, რომ ბევრს მიაღწიონ“.[19] მენტალობის ცვლილების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ჯერ კიდევ ჯონათან იაკობ მეიენმა დაახასიათა 1769 წელს: „ცნობილია, რომ პრიმიტიული ნაციები საკუთარი წეს-ჩვეულებების გაუმჯობესების შედეგად კი არ ამკვიდრებენ სასარგებლო მრეწველობას, არამედ პირიქით“. მენტალობა წარმოების წესის ცვლილებასთან ერთად იცვლება.

არსებობს პესიმიზმის მიზეზებიც. ისინი უკავშირდება იმას, რასაც მოსე აბრამოვიცი ტექნოლოგიური გარდაქმნის ხასიათის („ფაქტორებისკენ მიდრეკილებას“) ცვლილებას უწოდებდა. ტექნოლოგიებს აქვთ განსხვავებული მახასიათებლები. მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შესაძლებლობა მისცა შედარებით მცირე კომპანიებს განევითარებინათ ე.წ. „მკვლელი აპლიკაციები“ და ამისგან ძალიან ბევრი ფული ეშოვნათ. მეორე მხრივ, ბიოტექნოლოგიების ბიზნესი ძალიან ნელა ვითარდება და, საერთო ჯამში, ამ ბიზნესმა ზარალი ნახა. ბევრი მიზეზი გვაფიქრებინებს, რომ ეს არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური სიმწიფის განსხვავებულ სტადიებთან დაკავშირებული. რამდენიმე წლის წინ, მე გახლდით კემბრიჯის უნივერსიტეტის სადოქტორო ნაშრომის გარე შემფასებელი. ამ ნაშრომის ავტო-

რი, ახალგაზრდა ამერიკელი ქალბატონი ამტკიცებდა, რომ მაშინ, როცა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მსოფლიო ეკონომიკური ძალაუფლება აშშ-ში დააბრუნეს, ბიოტექნოლოგიების განსხვავებული ხასიათი შესაძლოა უკეთესად იყოს მორგებული იაპონიის ეკონომიკურ სტრუქტურასთან, რომელშიც დიდი კონგლომერატებია: მათ შეუძლიათ ერთმანეთისგან ისწავლონ ერთი და იმავე ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგებში გამოყენება, დაწყებული ლუდის ფერმენტირებით, დამთავრებული ახალი წამლების შექმნით. აბრამოვიცის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ჩვენ ვდგავართ ტექნოლოგიური სისტემების წინაშე, რომელთაც განსხვავებული „მიდრეკილებები" აქვთ მასშტაბის ეკონომიასთან მიმართებით; ეს სარწმუნო იდეაა და მას დიდი მნიშვნელობა აქვს არათანაბარი ეკონომიკური განვითარების ახსნისთვის.

პესიმიზმის ერთ-ერთი მიზეზი ტექნოლოგიური გარდაქმნის პერიოდების თვისობრივ ცვლილებასთან მიმართებაში ის არის, რომ ფორდისტული ეპოქისთვის დამახასიათებელი ნაციონალური პარადიგმა იმგვარ ელემენტებს შეიცავდა, რომელთა განმეორება დღეს რთულია. მექანიზმები, რომლებიც ეკონომიკური ზრდის „ნაშთიდან" ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის უზარმაზარი სიკეთის მოტანის შესაძლებლობას იძლეოდა, დღეს შესუსტებულია. ამის ერთ-ერთი ნიშანი ისიც არის, რომ 1970-იან წლებში რეალურმა ხელფასებმა პიკს მიაღწია არა მხოლოდ ლათინური ამერიკის ქვეყნებში, არამედ აშშ-შიც (1973 წელს). ამერიკაში ამ პრობლემის მოგვარება დიდწილად პოლიტიკურადაა შესაძლებელი – მინიმალური ხელფასის ზრდის მეშვეობით. ღარიბ ქვეყნებში კი ეს პრობლემა ბევრად უფრო კომპლექსურია და მოითხოვს ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის რადიკალურ ცვლილებას.

ფორდისტული მასობრივი წარმოებისა და ეროვნული მრეწველობის სექტორის შეხამება იძლეოდა რეალური ხელფასების ზრდის უნიკალურ შესაძლებლობას. ეს განპირობებული იყო იმ ფაქტორებით, რომელთა გაგებაც ეკონომისტებს უჭირთ: ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებით. ქვემოთ მოცემული ანალიზის გაცნობისას უნდა გვახსოვდეს, რომ გლობალიზაციის პირველი ტალღა მეტწილად დაკავშირებული იყო ბუნებრივ წიაღისეულსა და ნედლეულთან. კეინზის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, სამრეწველო ნაწარმი მეტწილად „შინნაკეთია“.

ამერიკელ ინსტიტუციონალისტ ეკონომისტებს, ამ სკოლის არსებობის მანძილზე – ჯონ კომონსით (1862-1945) დაწყებული და ჯონ კენეთ გელბრაიტით დამთავრებული (1908-2006) – შესანიშნავად ესმოდათ ძალაუფლების როლი ეკონომიკის განვითარებაში. მათი აზრით, ეკონომიკური ზრდა მოითხოვდა ძალაუფლების ბალანსს ორ დაპირისპირებულ ძალას, ბიზნესსა და მშრომელებს შორის. 1848 წლის შემდგომ, სიმდიდრის წამომქმნელი მთავარი ელემენტი სამუშაო ძალა იყო, რამაც უზრუნველყო ის, რასაც ჩვენ შეთანხმებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა ვუწოდეთ (collusive spread of economicgrowth): მდიდარი ქვეყნების ხალხები გამდიდრდნენ პროდუქტიულობის ზრდით, რაც გამოიხატა მაღალ ხელფასებში და არა დაბალ ფასებში, რასაც ადგილი ექნებოდა „სრულყოფილი კონკურენციის“ შემთხვევაში. დალაქები გამდიდრდნენ თმის შეჭრაზე ფასის ზრდით, რაც გამოწვეული იყო ინდუსტრიაში დასაქმებული მუშების პროდუქტიულობისა და ხელფასების ზრდით. ვაჭრობის პირობები – ანუ საათების ის ოდენობა, რომლის გაცვლა ხდებოდა, როცა მუშა ყიდულობდა თმის შეჭრის მომსახურებას – სტაბილური იყო. ამის შედეგად, „პირველი სამყაროს“ დალაქები მეტისმეტად გამდიდრდნენ „მესამე სამ-

ყაროს“ დალაქებთან შედარებით, იმის მიუხედავად, რომ პროდუქტიულობა თანაბარი დარჩა. განვითარებული სამყაროს დალაქები სარგებლობდნენ მათ ქვეყანაში არსებული მრეწველობის რენტით (ნორმაზე მეტი შემოსავლით).

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომელთა მიხედვითაც, ამ გზით ქვეყნების გამდიდრება მაშინ უფრო შესაძლებელი იყო, ვიდრე დღეს. ეს ცვლილება, პირველ რიგში, ნაწილობრივ კავშირშია პროცესების ინოვაციასთან, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიებმა გააჩინა. მაშინ როცა პროდუქტების ინოვაციები (ახალი პროდუქტები) ქმნიან არასრულყოფილ კონკურენციას და მაღალ ხელფასებს, პროცესების ინოვაციებს (ძველი პროდუქტების ახლებურად წარმოების გზები) ფასების კონკურენციისა და ხელფასების შემცირებისკენ მივყავართ. Microsoft-ი, საინფორმაციო ტექნოლოგია, როგორც სასაქონლო ინოვაცია, ქმნის მაღალ ხელფასსა და მოგებას. იმავე ტექნოლოგიების გამოიყენებისას სასტუმროებში (მაგალითად, ვენეციისა და კოსტა დელ სოლის სასტუმროებში) მოგების მარჟები ეცემა, ხოლო ავიაკომპანიებში სტიუარდესების რეალური ხელფასები მცირდება.

მე-20 საუკუნეში ერ-სახელმწიფოებზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის პარადიგმის გამწევი ინდუსტრია – საავტომობილო მრეწველობა იყო. მანქანათმშენებლობა ფართოდ გავრცელებული იყო 1920-იან წლებში იაპონიაში, სადაც მანქანის 20-მდე მწარმოებელი არსებობდა, თვით ისეთ მცირე სახელმწიფოშიც კი როგორიც შვედეთია, იმ პერიოდში ორი ავტომწარმოებელი ოპერირებდა. მე-20 საუკუნეში ყვაოდა ემულაცია [ტექნოლოგიური მიმბაძველობა. – მთარგმნ.], რომელიც რევერსიულ ინჟინერიას ემყარებოდა: იაპონელებს შეეძლოთ ეყიდათ ამერიკული მანქანა, დაე-

შალათ ნაწილებად და შემდეგ უკეთესი გაეკეთებინათ. მე-20 საუკუნეში ეკონომიკური ზრდის მიღწევა სახელმწიფოებმა შეძლეს ორი ფაქტორის წყალობით, რომელთა განმეორება დღეს მეტისმეტად რთულია. ესენია: ა) ნებისმიერი ზომის სახელმწიფოს გააჩნდა პროდუქტების ინოვაციების წყარო პარადიგმის მატარებელი ინდუსტრიის სახით; ბ) ქვეყნებს შეეძლოთ მიებაძათ წამყვანი სახელმწიფოებისთვის რევერსიული ინჟინერიის მეშვეობით.

Microsoft-ი გლობალური მიმწოდებელია და საერთაშორისო დონეზეა დაცული პატენტებითა და საავტორო უფლებებით, რაც რევერსიულ ინჟინერიას შეუძლებელს ხდის. პატარა Microsoft-ების შექმნა, ისე როგორც ეს მანქანების შემთხვევაში ხდებოდა, არა მხოლოდ უაღრესად არაეფექტიანია, არამედ, ამასთანავე, არალეგალურიც. პროდუქტები, რომლებიც პატენტებით, საავტორო ჰონორარებითა და უფლებებით არის დაცული, სწრაფად მზარდ წილს იკავებს საერთაშორისო ვაჭრობაში. საავტორო უფლებების ამგვარი დაცვა გაზრდის ეკონომიკურ უთანასწორობას ქვეყნებს შორის, რადგან სახელმწიფოების მხოლოდ მცირე რაოდენობას აქვს დადებითი სავაჭრო სალდო ამგვარ პროდუქტებში. საავტორო უფლებებითა და პატენტებით დაცული საქონლის ზრდა საერთაშორისო ვაჭრობაში, გარდაუვლად ზრდის უფსკრულს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის.

ოთხმა პარალელურმა ცვლილებამ, ტექნოლოგიური გარდაქმნის „მიდრეკილებაში“ წვლილი შეიტანა იმ ტრადიციული გზების მოშლაში, რომელთა მეშვეობითაც მდიდარი ქვეყნები დღემდე მდიდრდებიან:

1. მსოფლიოში არსებობს ახალი ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც წარმოებების სტრუქტურა იცვლება, კერძოდ, დიდი ქარხნებიდან, რომლებიც მასშტაბზე მუშაობდნენ, წარ-

მოება გადადის მცირე მწარმოებლების ხელში. მცირე მწარმოებლები კი სპეციალიზაციის ეკონომიაზე (economies of scope) არიან ორიენტირებულები.

2. ამავდროულად, წარმოების სფეროში დასაქმება მცირდება, მომსახურებაში კი – იზრდება. ამის მიზეზი ნაწილობრივ ის არის, რომ მრეწველობაში ავტომატიზაცია სწრაფად იზრდება, რაც ვერ ხერხდება მომსახურების სფეროში.[20]

3. ტრადიციული მომსახურების სექტორის მუშაკებს არ ჰყოფნით საბაზრო ძალაუფლება, რომელსაც ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებულებში ქმნის მათი სპეციალიზაციის შედეგად შეძენილი უნარები. მომსახურების სექტორში დასაქმებულებს კი ამგვარი უნარები არ აქვთ და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება „ქუჩიდან მოყვანილი“ ადამიანებით ადვილია.

4. დეცენტრალიზებული ფრანშიზა, ცენტრალიზებული მფლობელობის ნაცვლად, ასუსტებს დასაქმებულთა საბაზრო ძალაუფლებას, რადგან მათ დიდი რაოდენობით დამსაქმებლებთან უწევთ ურთიერთობა.

დღეს ყველა ეს ფაქტორი ხელს უშლის McDonald's-ის თანამშრომლებს, მიაღწიონ საბაზრო ძალაუფლების იმ დონეს, რაც ორდ-ის თანამშრომლებს თავისთავად მოცემულობად მიაჩნდათ. მინიმალური ხელფასის გასაზრდელად პოლიტიკური ნების არქონა, ასევე ხელს უწყობს ამგვარ ვითარებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაღალი პროდუქტიულობის პერიოდში, მაღალი მინიმალური ხელფასი პოლიტიკური ნების შედეგი იყო. აფრიკაში ადგილობრივ პოლიტიკურ ნებაზე მეტია საჭირო. ეს გლობალური ეკონომიკის წესების ცვლილებას მოითხოვს.

ეროვნულ სისტემებთან შედარებით, ურთიერთობა ინდუსტრიალისტსა და დასაქმებულს შორის გლობალურ ეკონომიკაში სრულებით შეიცვალა. ნებისმიერმა კაპიტალისტმა კარგად

იცის, რომ თავისი თანამშრომლისთვის ხელფასის ზრდა პრობლემას არ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ სხვა კონკურენტებიც გაზრდიან ხელფასს. განათლებული კაპიტალისტები აცნობიერებენ, რომ ხელფასების საერთო ზრდა ხელს შეუწყობს მოთხოვნის ზრდას და, მაშასადამე, პოტენციურად მათი მოგებაც გაიზრდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1914 წელს ჰენრი ფორდმა გააორმაგა საკუთარი კომპანიის მუშების ხელფასები და დღიურად ხუთ დოლარს გაუტოლა. მან ეს იმის გამო გააკეთა, რომ მისი წარმოების შესაძლებლობები ავალდებულებდა მას, რომ მის თანამშრომლებს ჰქონოდათ ავტომობილების შეძენის საშუალება.[21]

ამგვარი დამოკიდებულება – „ჩემი თანამშრომელი ჩემი მომხმარებელიცაა“ ან „ადამიანები, რომლებსაც მე ვასაქმებ, ჩემი მომხმარებლებიც არიან“, დაინგრა და ახლანდელი, 21-ე საუკუნის წარმოების წესი, მნიშვნელოვნად განსხვავდება მე-20 საუკუნის ფორდისტული წარმოებისგან. ჩინეთისა და ვიეტნამის მსგავსი ქვეყნები მსოფლიო ბაზარზე იმით შემოვიდნენ, რომ სამრეწველო საქონლის წარმოებაში მეტისმეტად დაბალ ხელფასებს გასცემენ. არსად არასოდეს სხვა ქვეყანა ტექნოლოგიურად არ წასულა ასე წინ, რეალური ხელფასების ასეთი დაბალი ზრდით. ეს ხელფასების შემცირების მიდრეკილებას იწვევს, მექსიკიდან დაწყებული, იტალიით დამთავრებული. მდიდარ ქვეყნებში მომხმარებლებისთვის ეს შესანიშნავი სიახლეა, რადგან ეს პროცესი დაბალ ფასებს განაპირობებს და მათი ხელფასები კი არ მცირდება. რვა წლის წინ, წერილი მივიღე ცნობილი ამერიკელი ეკონომიკის ისტორიკოსისგან, რომელიც ამ წიგნშიც არის ციტირებული. მისი წერილის პოსტკრიპტუმში ნათქვამია: „თუ ჩვენ მივაღწევთ წარმოების ფაქტორების ფასების გათანაბრებას, ვინ თქვა, რომ ეს ზრდის მიმართულებით მოხდება?“

სტრატეგიები, რომლებიც წარმატებულად ქმნიან მაღალ ხელფასებს „პირველ სამყაროში“, შესაძლოა ჩავარდეს მესამე სამყაროს კონტექსტში. განვითარებულ ქვეყნებში ნედლეულის მწარმოებლებისთვის, კერძოდ ფერმერებისთვის, კარგი სტრატეგია იქნება, თუ ისინი დაიკავებენ მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ნიშას. იტალიური პარმიზანის ყველი და პარმას ლორი ამის საუკეთესო მაგალითია. შესაძლოა, ეს ქვეყნები წარმატებულები იყვნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაშიც. თუმცა, ნედლეულის წარმატებული წარმოება, შესაძლებელია მხოლოდ კარგად განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკის ქონის შემთხვევაში. ზემოთ აღნიშნული ყველისა და ლორის პროდუქცია იმავე რეგიონში (ემილია რომანა) მზადდება, რომელშიც იწარმოება „ფერარი“, „ლამბორჯინი“ და „მაზერატი“. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ღარიბი ქვეყნები მოახერხებენ საუკეთესო ნედლეულის წარმოებას სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სათუოა, რომ მათ მოახერხონ ხელფასების ზრდა. ისტორიულად, ხელფასების სწრაფი ზრდა ძლიერ პროფკავშირებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, ოლიგოპოლიის გამათანაბრებელ ძალასთან, რომელიც იქმნება მხოლოდ კიდევ უფრო მეტად ოლიგოპოლისტური ინდუსტრიის პირობებში. ნიშის დაკავების სტრატეგია ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია, რადგან მშრომელთა ძალაუფლება ფაქტობრივად ნულოვანია და, მაშასადამე, ხელფასებიც არ იზრდება. მსოფლიოში ბროკოლის ყველაზე წარმატებულ მწარმოებელ ქვეყანას, ეკვადორს, არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ღირსეული ანაზღაურება მისცეს მშრომელებს. ის, რასაც ჩვენ ეკონომიკურ განვითარებას ვუწოდებთ, სინამდვილეში რენტაა, რომელიც ოლიგოპოლისტური ინდუსტრიისა და მშრომელების საბაზრო ძალაუფლებას შორის კონკურენციით წარმოიქმნება.

თუმცა, ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს მწარმოებლურობის აღზევების გამოყენება, მაგალითად, ირლანდიამ საინფორმაციო ტექნოლოგიებში და ფინეთმა მობილური ტელეფონების წარმოებაში, მნიშვნელოვნად გაზარდეს რეალური ხელფასის ნორმა. ევროპამ, მთლიანობაში, თავად შექმნა დეინდუსტრიალიზაციის პრეცენდენტი აღმოსავლეთ ევროპაში, რომლის სწრაფი ინტეგრირებაც შემდგომ მოახდინა. ამით, თავისსავე უკანა ეზოში ევროპამ შექმნა ლოკალური მესამე სამყარო, უმუშევრებისა და არასრულად დასაქმებულების არმიით. თუმცა, მაინც ყველაზე დიდ პრობლემას იმ ქვეყნებში ვხედავთ, რომლებმაც ვერ მოახერხეს მზარდი უკუგების აქტივობების კრიტიკული რაოდენობის შექმნა, კერძოდ აფრიკის დიდ ნაწილში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში.

ტრანსპორტირების საკმაოდ დაბალი ხარჯები და „მანძილის ფაქტორის სიკვდილი“ განაპირობებს იმას, რომ ჩამორჩენილ სახელმწიფოებს უჭირთ გამდიდრდნენ იგივე მეთოდით, როგორც მდიდრდებოდნენ სახელმწიფოები 1850-1970-იან წლებში. სწრაფად მზარდი „მომსახურების ეკონომიკაზე“ ფეხის აწყობა, სათუოა, რომ მათ დაეხმაროს. გამდიდრებულ ღარიბებს, პირველ რიგში, სამრეწველო პროდუქციაზე აქვთ მოთხოვნა. წამყვანი მომსახურების ეკონომიკა, მონადირე და შემგროვებლური საზოგადოებებიდან არ წარმოქმნილა. ამგვარი ეკონომიკის გაჩენისთვის აუცილებელია სინერგია, რომელიც მომდინარეობს მაღალგანვითარებული სამრეწველო ინდუსტრიიდან. ალბათ, სწორედ ეს არის მიზეზი პერიფერიული ქვეყნების შეუქცევადი დეინდუსტრიალიზაციის, ანუ მზარდი უკუგების სექტორების განადგურებისა, რასაც სათავეში უდგას ვაშინგტონში მდებარე გლობალური ფინანსური ინსტიტუტები. ეს კი მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მიმართ ჩადენილი დანაშაულის

ტოლფასია. ახლა, ამ ფინანსური ინსტიტუტების ეკონომისტები ცდილობენ შექმნან მოდელები იმის ასახსნელად, თუ რატომ ცდებოდნენ ისინი. თუმცა, ვიდრე ამ კვლევებს თან არ ახლავს პოლიტიკური რეკომენდაციები, მათ არაფერი შეუძლია, გარდა იმისა, რომ უფრო მაღალ ინსტიტუციონალურ და ზესახელმწიფოებრივ საფეხურზე აიყვანოს ის, რასაც ჩვენ ვუწოდეთ „კრუგმანისეული ცოდვა“: ფლობდე დაავადების განკურნვისთვის აუცილებელ წამალს, თუმცა უარს ამბობდე მის გამოყენებაზე.

როცა რამდენიმე წლის წინ, არგენტინამ ეკონომიკური კატასტროფისგან თავის დაღწევა სცადა, ქვეყანაში ამგვარი გამოთქმა გავრცელდა: „დაგვდებენ პატივს და გაჩუმდებიან ისინი, ვინც ეს დომხალი შექმნა?“ ეს გამოთქმა შეგვიძლია გლობალურ დონეზე გავავრცელოთ. ეკონომისტები და ინსტიტუტები, რომელთა იდეოლოგიებმა (რაც ეკონომიკურ მეცნიერებაზე მეტია) მსოფლიოს პერიფერიაში ეს ქაოსი შექმნა, განზე უნდა გადგნენ. თუმცა, ამის ნაცვლად ეს ინსტიტუტები და ინდივიდები, რომლებმაც ნათლად წარმოაჩინეს საკუთარი უუნარობა სიმდიდრის შექმნაში, სათავეში ჩაუყენეს სიმდიდრის განაწილებაზე ორიენტირებულ გიგანტურ პროექტებს. ეს კიდევ უფრო მტკივნეულია, იმის გათვალისწინებით, რომ ღარიბ ქვეყნებს დღეს ნაკლებად აქვთ გამდიდრების შესაძლებლობა. ათასწლეულის განვითარების მიზნები ისტორიული ჩიხია. იძულებული ვარ გავიმეორო: ინდივიდები და ინსტიტუტები, რომლებმაც შექმნეს პრობლემები, განზე უნდა გადგნენ.

ბევრი პრობლემის მიუხედავად, ალტერნატიული ორგანიზაციები, მაგალითად, გაერო, წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გვეხმარებოდნენ სიმდიდრისა და სიღარიბის მიზეზების გააზრებაში. UNCTAD-ის [გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია. – მთარგმნ.] ბოლო ანგარიში

ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შესახებ[22] სწორი მიმართულებით მიუთითებს: კერძოდ, ხაზს უსვამს წარმოებისა და ცოდნის მნიშვნელობას, ასევე ვაჭრობისა და ინვესტიციების, როგორც ასეთის, ნაკლებ პრიორიტეტულობას. მრეწველობის მიმართ განახლებული ყურადღება ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მესამე სამყაროს სიღარიბე აღარ აიხსნება ღარიბის, როგორც „მომხმარებლის“ პოზიციიდან („ჩვენ უნდა ავუმაღლოთ ღარიბებს მსყიდველობითი უნარი ჰუმანიტარული დახმარებით“) და აქცენტი კეთდება მრეწველობაზე („მესამე სამყაროში არსებული უმუშევრობა და არასრული დასაქმება ადამიანური რესურსების გიგანტური გაფანტვაა, ჩვენ უნდა შევქმნათ სამუშაო ადგილები“).

ეს ჩვენ გვაბრუნებს იმ განწყობებთან, რომელიც სუფევდა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როცა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის საზარელმა გამოცდილებამ განაპირობა სწრაფვა განვითარების სტრატეგიისაკენ. ეს სტრატეგია ათწლეულების განმავლობაში უზრუნველყოფდა მესამე სამყაროს ქვეყნების ჯანსაღ ეკონომიკურ განვითარებას, პერუდან დაწყებული, მონღოლეთით დამთავრებული. მესამე სამყაროს ქვეყნების დღევანდელი პრობლემები ძალიან ჰგავს იმ პრობლემებს, რომლებიც ჰქონდათ ამერიკელებსა და ევროპელებს 1930-იან წლებში: უკიდურესი უმუშევრობა და არასრული დასაქმება, ასევე ტექნოეკონომიკური პარადიგმა (მაშინ ეს იყო ფორდისტული მასობრივი წარმოება), რომელიც გაჩერდა მოხმარების შემცირების გამო დიდი ხნით ადრე, ვიდრე სრულ დატვირთვას მიაღწევდა. ჯოზეფ ალოის შუმპეტერი 1930-იანი წლების თანმდევ პრობლემებს ინოვაციების დროის მიხედვით კლასტერიზაციაზე დაყრდნობით ხსნიდა, ჯონ მეინარდ კეინზს კი ამ პრობლემათა მოგვარების რეცეპტი ჰქონდა: დეფიციტური

ხარჯვა. ათასწლეულის განვითარების მიზნები მესამე სამყაროს პრობლემების მოგვარების მხოლოდ დროებით ალტერნატივებს სთავაზობს, მაგალითად ისეთს, როგორიც 1930-იან წლებში უსახლკაროებისთვის უფასო თბილი საკვებისა და თავშესაფრის მიცემა იყო. მესამე სამყაროს პრობლემები კი ძირეულია და მათი მოგვარება გრძელვადიან მიდგომებს მოითხოვს.

ეს მიდგომები უნდა ვეძიოთ შუმპეტერისა და კეინზის თეორიულ მსჯელობებში. მესამე სამყარომ – დაწყებული ცენტრალური ამერიკის მაკუილადორას მშრომელებიდან (ბაჟისგან თავისუფალი კომპონენტების მექსიკურ ბაზარზე იმპორტის, შემდგომი აწყობისა და მზა ნაწარმის რეექსპორტის პროგრამა) და დამთავრებული უგანდელი ქალებით, რომლებიც აფრიკის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების აქტის (AGOA) ფარგლებში დაფუძნებულ კომპანიებში შრომობენ – უარი უნდა თქვან ტექნოლოგიური ჩიხის შემქმნელ პროდუქტებზე და გადავიდნენ შუმპეტერიანული კონკურენციის ეროვნული წარმოების სისტემებზე. იმისთვის, რომ შუმპეტერიანულმა ეფექტებმა გადალახოს საზღვრები, საჭიროა იმ პოლიტიკის აღორძინება, რომელიც გლობალიზაციამ გააუქმა.

თუ ღარიბი ქვეყნები ტექნოლოგიის განვითარებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მხოლოდ მომხმარებლები, მაშინ ხელფასის დონე და მსყიდველობითი უნარი ვერ გაიზრდება. ამის მიღწევა მოითხოვს ახალ ინსტრუმენტებსა და მიდგომას, რომელიც შესაძლებელს გახდის წარმოების საზღვრებს მიღმა გატანას. გლობალიზაციამ დააჩლუნგა კეინზიანური ინსტრუმენტებიც. დეფიციტური ხარჯვით ეროვნულ მთავრობებს შეეძლოთ აემაღლებინათ ქვეყნის ეკონომიკა, ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდის მეშვეობით. დეინდუსტრიალიზებულ, მცირე და ღია ეკონომიკებში, ამგვარი

ტრადიციული კეინზიანური პოლიტიკა ადგილობრივი წარმოების გაძლიერების ნაცვლად, იმპორტის ზრდას უწყობს ხელს. ასე რომ, ძველი ეფექტური პოლიტიკა დღესდღეობით ან აკრძალულია, ან ძალადაკარგული.

მჯერა, რომ მომავალში კვლავ შესაძლებელია საშუალოშემოსავლიანი ქვეყნების შექმნა, თუმცა მსოფლიოში არსებული ახალი კონტექსტი მოითხოვს განსხვავებულ და უფრო ძლიერ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, ვიდრე წარსულში იყო საჭირო. თუ ისტორიაში ჩავიხედავთ, „შოკურმა თერაპიამ“ ზოგიერთ შემთხვევაში გაამართლა. თუმცა, ეს იყო იმ „შოკური თერაპიის“ საპირისპირო ფორმა, რასაც „ვაშინგტონის კონსენსუსი“ გვთავაზობს. მხედველობაში მაქვს ეკონომიკური ბოიკოტი, რომელმაც ზოგიერთ შემთხვევაში, სამრეწველო პროდუქციის იმპორტის დაბლოკვით, შესაძლოა გააჩინოს ინდუსტრიული სექტორი (იმის მსგავსი ინდუსტრია, როგორიც მარშალის გეგმამ შექმნა).

1791 წელს ალექსანდერ ჰამილტონის დოკუმენტით, „ანგარიში წარმოებების შესახებ“, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო როგორც თეორია, ისე პრაქტიკული ინსტრუმენტების ნუსხა ინდუსტრიალიზაციისთვის. თუმცა, ამერიკაში ინდუსტრია მხოლოდ მას შემდეგ განვითარდა, რაც ევროპასთან ვაჭრობა შეუწყდა, ნაპოლეონის კონტინენტური ბლოკადისა და ინგლისთან 1812 წლის ომის შედეგად. მხოლოდ ამის შემდგომ გახდა შესაძლებელი წარმოებების კრიტიკული მასის შექმნა და ამერიკული მწარმოებლების სისტემის დაფუძნება, რაც ქვეყნის განვითარების სტრატეგიის წარმატებულ მოდელად ითვლება. მსგავსი ზეგავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომმა ლათინურ ამერიკაზე. ომის გამო ლათინური ამერიკის ქვეყნებს საქონელი აღარ მიეწოდებოდათ. ამ ფაქტორმა ლათინოამერიკულ

ნედლეულზე მაღალ ფასებთან ერთად, ბიძგი მისცა ინდუსტრიალიზაციას. ჩემმა სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი დაწერა როდეზია/ზიმბაბვეზე, სადაც აღმოაჩინა, რომ „თეთრების რეჟიმის“ საერთაშორისო ბოიკოტმა ინდუსტრიალიზაცია გამოიწვია და მთელი მოსახლეობისთვის რეალური ხელფასების სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი.

ამრიგად, ირონიულად რომ ვთქვათ, აპარტეიდის რბილი ფორმა (მაგალითად, კანონი, რომელიც თეთრკანიან, ცისფერთვალება ადამიანებს ავტობუსის უკანა მხარეს დაჯდომას უკრძალავს), შესაძლოა, კარგი ეროვნული სტრატეგია აღმოჩნდეს „პოლიტიკური მანევრირებისთვის“, იმ ეკონომიკური „ნაშთის“ მისაღწევად, რომელიც მზარდი უკუგების აქტივობების სინერგიით წარმოიქმნება. როცა ღირსეული ეკონომიკური სტრატეგია თავიდან იქნება გააზრებული, ფრიდრიხ ნიცშეს სიტყვების პარაფრაზი რომ გავაკეთოთ, ცივი ომის ეკონომიკის აჩრდილების ხსოვნაც წარსულს ჩაბარდება, მხოლოდ მაშინ იქნება განვითარების ასეთი პოლიტიკის ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გატარება შესაძლებელი. განვითარების ამგვარი პოლიტიკა კი მოიცავს მზარდი უკუგების აქტივობების კრიტიკული მასის შექმნას, რისი წარმატებული მოდელია აშშ-ის განვითარების სტრატეგია და მარშალის გეგმა. თუ ფრიდრიხ ლისტს დავუჯერებთ, ამგვარი პოლიტიკა შესაძლებელს გახდიდა სიმეტრიულ ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც თანდათან შექმნიდა თავისუფალი ვაჭრობის სულ უფრო და უფრო დიდ სივრცეებს. ამ სივრცეებში საქონლისა და იდეების გაცვლა ყველასთვის სასარგებლო იქნებოდა. მხოლოდ პრობლემის სათავის გამორკვევის შემდეგ შეიძლება დავიწყოთ გამოსავლის ძებნა; „სამართლიანი ვაჭრობის“ შექმნას მხოლოდ იმ მექანიზმის გააზრების შემთხვევაში შევძლებთ, რომელიც

ვაჭრობას არასამართლიანს ხდის და ამით საქველმოქმედო კოლონიალიზმის სისტემასაც გვერდს ავუვლით.

დღეს გარდამტეხ პერიოდში ვართ და ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. პირველი, დიდი ფინანსური კრიზისის ალბათობა მეტად მაღალია, რის გამოც თავიდან დასჭირდებათ კეინზიანიზმის გამოგონება, ახალ გლობალურ კონტექსტთან მორგებით. „თავისუფალმა ვაჭრობამ“, როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მშვენებამ, შესაძლოა გადაავადოს პრობლემების მოგვარება ისევე, როგორც 1930-იან წლებში კეინზიანიზმი გადაავადა „ოქროს სტანდარტის“ მიმართ ჯიუტმა რწმენამ. მეორე, როგორც ქრისტოფერ ფრიმენი აღნიშნავს, მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა, რომელსაც 1980-იანი წლებიდან აქვს ადგილი – ისევე როგორც 1820-იანი, 1870-იანი და 1920-იანი წლების უთანასწორობის ტალღების ზრდის პერიოდში – დაკავშირებულია ტექნოეკონომიკურ ძვრებთან, რაზეც მე-4 თავში ვიმსჯელეთ. ეს ძვრები იწვევს მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს, ახალ უნარებზე მოთხოვნას, ახალ ინდუსტრიებში განსაკუთრებულად მაღალ მოგებას და კაპიტალის ბაზრის ბუმს.

ამრიგად, შესაძლებელია, რომ იდეოლოგიური ციკლები დავუკავშიროთ ტექნოლოგიურ ციკლებს. თავდაპირველად, ზედმეტად პრო-საქმოსნური მთავრობები მიდრეკილნი არიან გაზარდონ უთანასწორობა, თუმცა საბოლოო ჯამში, ამას მივყავართ იმ პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებასთან, რომელმაც ეს გაჭირვება შექმნა. ამერიკელი ეკონომისტი ბრაინ ბერი წერს ამერიკის პრეზიდენტ ჯეკსონის 1830-იანი წლების პოლიტიკაზე, რომლის მეშვეობითაც „ქვეყნის ფერმერებისა და მექანიკოსების“ ინტერესები უფრო მაღლა დადგა, ვიდრე „მდიდრებისა და წარჩინებულების“. ჯეკსონის ამ პოლიტიკის ფორმალიზე-

ბა შემდგომში საკარმიდამო აქტის (1862), ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და 1890-იანი წლების სხვა რეფორმების, ასევე, 1930-იანი და 1940-იანი წლების ახალი კურსის (New Deal) ფარგლებში მოხდა. ბრაინ ბერის აზრით, ეს კარგი მაგალითებია გადანაწილების პოლიტიკისა, რომელიც თან სდევდა მზარდი უთანასწორობის პერიოდებს, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. აშშ-ში მინიმალური ხელფასის შესახებ 1996 წლისა და 2007 წლის დებატების ხასიათს შორის უზარმაზარი განსხვავება იმის მანიშნებელია, რომ იდეოლოგიური ქარი სხვა მხარეს უბერავს. კერძოდ, 1996 წლის ხმაურიან დებატებში ეკონომისტების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგებოდა მინიმალური ხელფასის მცირეოდენ გაზრდასაც კი. 2007 წელს კი სენატში თითქმის ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მინიმალური ხელფასის ზრდას. ადამიანური საჭიროებები კვლავ დადგა საბაზრო ძალების საკუთარ ნებაზე მიშვების პრინციპზე მაღლა. თუმცა, როგორც ყოველთვის, პრაგმატიზმმა პირველად შინ გაიმარჯვა, ისეთ შორეულ ადგილებში კი, როგორიც აფრიკაა, იდეოლოგიური ორთოდოქსია ბევრად უფრო დიდხანს გასტანს.

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღევანდელი პოლიტიკა გაგრძელდება, თუ ჩვენ ღარიბ ქვეყნებს ავუკრძალავთ გადმოიღონ მდიდარი ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურები, თუ აფრიკის ღარიბ ქვეყნებს შემწეობაზე დამოკიდებულ უმუშევართა რეზერვაციებად გადავაქცევთ, ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნმა თავისი მიზანი მაინც შეასრულა. მიზანი, რომელიც 1967 წელს ლიმას ერთ-ერთ ნაგავსაყრელზე ჩამოვაყალიბე. სულ მცირე, ჩვენ ის მაინც გავიგეთ უკეთესად, თუ რატომ არიან მესამე სამყაროს უბრალო კაცები და ქალები პირველი სამყაროს მოსახლეობაზე უფრო ღარიბები, მათი თანაბარი პროდუქტიულობის მიუხედავად.

I დანართი

დევიდ რიკარდოს თეორია საერთაშორისო ვაჭრობაში შედარებითი უპირატესობის შესახებ

დევიდ რიკარდომ 1817 წელს გამოცემულ თავის წიგნში, *პოლიტეკონომიისა და დაბეგვრის პრინციპები*, საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს, შედარებითი უპირატესობის თეორიის შემუშავებით. წიგნში მან მაგალითად პორტუგალიასა და ინგლისს შორის ღვინითა და მაუდით ვაჭრობა გამოიყენა. თავისი ჯენტლმენური ბუნებიდან გამომდინარე, მან პორტუგალია, ინგლისთან შედარებით, მაუდისა და ღვინის უფრო მარჯვე მწარმოებელი გამოიყვანა. რიკარდოს სურდა დაემტკიცებინა, რომ სპეციალიზაცია და ვაჭრობა შეიძლება ურთიერთსარგებლიანი ყოფილიყო ორივე ქვეყნისთვის, თუ თითოეული სპეციალიზდებოდა ისეთი პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც უფრო ეფექტიანად (ან არანაკლებ ეფექტიანად) აწარმოებდა, ვიდრე მეორე ქვეყანა.

გარდა სტანდარტული საწინააღმდეგო მოსაზრებებისა, რომლებიც ამ დანართის ბოლოს არის მოცემული, პრობლემა ისიცაა, რომ ეს თეორია არ უშვებს, რომ ერთი საქონლის, მაგალითად, ღვინის წარმოების შემთხვევაში, ქვეყანა შეიძლება გაიჭედოს კლებადი უკუგებისა და მზარდი საწარმოო ხარჯების დაღმავალ სპირალში მაშინ, როცა მეორე ქვეყანას, რომელიც მაუდის წარმოებით იქნება დაკავებული, შეუმცირდება წარმოების ხარჯები კაპიტალზე მზარდი უკუგების მეშვეობით. ამერიკელი ეკონომისტის ფრენკ გრაჰამის მაგალითზე დაყრდნობით, მე-3 დანართში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ერთი ქვეყანა სპეციალიზდეს სიმდიდრეზე (ინდუსტრიული სახელმწიფო), ხოლო მეორე – სიღარიბეზე (აგრარული სახელმწიფო).

მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ეს თეორია მსოფლიო ეკონომიკას წარმოგვიდგენს, როგორც სამუშაო საათების გაცვლის პროცესს და უგულებელყოფს ადამიანების განსხვავებულ უნარებს. ამ თეორიის მიხედვით, სილიკონის ველის ერთი თანამშრომლის სამუშაო დრო ეკვივალენტურია დარფურის ლტოლვილთა ბანაკის (სუდანი) მშრომელის სამუშაო დროისა. ბედიის ირონიაა, რომ ვაჭრობის კაპიტალისტური თეორია (ყველაზე სუფთა ფორმითაც კი) არ ითვალისწინებს კაპიტალის მნიშვნელობას წარმოებაში და ამის ნაცვლად ეფუძნება შრომითი ღირებულების თეორიას. აქედან გამომდინარე, ეს თეორია არ ითვალისწინებს იმასაც, რომ წარმოების პროცესი ერთ ქვეყანაში უფრო კაპიტალტევადი და ცოდნატევადი შეიძლება აღმოჩნდეს (Microsoft-ის შემთხვევა), ხოლო მეორე ქვეყანა მეტწილად შრომა-ინტენსიურ დარგებს დაეყრდნოს, რომელშიც კაპიტალის ამონაგები მცირეა (როგორც მე-4 თავში ბეისბოლის ბურთის მაგალითზეა ნაჩვენები).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ნაჩვენებია რიკარდოს თეორიის ლოგიკა. მაუდი და ღვინო სამრეწველო პროდუქციითა და ქვის ხანის საქონლით ჩავანაცვლე, რათა თეორიაში თვისობრივი, ტექნოლოგიური და განვითარებასთან დაკავშირებული ელემენტები შემომეტანა. მოცემულ მაგალითში ისეთი სიტუაციაა განხილული, რომელშიც პორტუგალია უფრო ეფექტიანად აწარმოებს როგორც სამრეწველო, ასევე ქვის ხანის პროდუქციას, თუმცა არჩევს, სპეციალიზდეს ქვის ხანის ტექნოლოგიებზე.

ცხრილი 1		
ქვეყანა	სამრეწველო პროდუქციის წარმოების დანახარჯი პირობით ერთეულებში (კაც/საათი)	ქვის ხანის პროდუქციის წარმოების დანახარჯი პირობით ერთეულებში (კაც/საათი)
ინგლისი	15	30
პორტუგალია	10	15

როგორც ცხრილი 1-იდან ჩანს, ინგლისს ქვის ხანის პერიოდის ერთი პროდუქტის წარმოება უჯდება იმდენი, რამდენიც ორი სამრეწველო პროდუქტისა. დამატებით ქვის ხანის პერიოდის ერთი პროდუქტის წარმოება ნიშნავს ორ სამრეწველო პროდუქტის წარმოებაზე უარის თქმას (ეკონომისტები იტყოდნენ, რომ ქვის ხანის პროდუქტის წარმოების ალტერნატიული დანახარჯი არის ორი სამრეწველო პროდუქტი). პორტუგალიაში ერთი ერთეული ქვის ხანის პერიოდის პროდუქტის წარმოება უდრის 1.5 სამრეწველო პროდუქტის წარმოებას (ე.ი. ქვის ხანის პერიოდის პროდუქტის ალტერნატიული დანახარჯი არის 1.5 სამრეწველო პროდუქტი). რადგან შედარებითი ხარჯები განსხვავდება, ორივე ქვეყნისთვის ვაჭრობა ურთიერთსარგებლიანია, მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიას აბსოლუტური უპირატესობა აქვს ორივე პროდუქტის წარმოებაში.

პორტუგალიას შედარებით უკეთესად გამოდის ქვის ხანის პროდუქციის წარმოება, ვიდრე სამრეწველო პროდუქციის: მაშასადამე, პორტუგალიას აქვს შედარებითი უპირატესობა ქვის ხანის პროდუქტების წარმოებაში. ინგლისს, ქვის ხანის პროდუქტებთან შედარებით, უკეთესად გამოდის სამრეწველო პრო-

დუქციის წარმოება. მაშასადამე, ინგლისს აქვს შედარებითი უპირატესობა სამრეწველო პროდუქტების წარმოებაში.

ცხრილი 2 უჩვენებს, რომ ვაჭრობა შესაძლოა სარფიანი იყოს. წარმოების ხარჯები იმავენაირადაა გამოსახული, როგორც ცხრილ 1-ში. მაგალითის მიხედვით, ინგლისს პროდუქციის საწარმოებლად ჯამში 270 კაც/საათი აქვს. ვაჭრობის დაწყებამდე, ინგლისი აწარმოებს და მოიხმარს 8 ერთეულ ინდუსტრიულ პროდუქტს და 5 ერთეულ ქვის ხანის პროდუქტს. პორტუგალიას უფრო ნაკლები შრომითი რესურსი აქვს, კერძოდ მას წარმოებისთვის სულ 180 კაც/საათი აქვს. ვაჭრობამდე ის აწარმოებს და მოიხმარს 9 სამრეწველო პროდუქტს და 6 ქვის ხანის პროდუქტს. ორივე ქვეყანა ერთად აწარმოებს 17 ერთეულ სამრეწველო პროდუქტს და 11 ერთეულ ქვის ხანის პროდუქტს.

ცხრილი 2

	წარმოება			
	ვაჭრობამდე		ვაჭრობის შემდგომ	
სახელმწიფო	სამრეწველო პროდუქცია	ქვის ხანის პროდუქცია	სამრეწველო პროდუქცია	ქვის ხანის პროდუქცია
ინგლისი	8	5	18	0
პორტუგალია	9	6	0	12
სულ	17	11	18	12

თუ ორივე ქვეყანა სპეციალიზდება: კერძოდ, პორტუგალია აწარმოებს მხოლოდ ქვის ხანის პროდუქტებს, ხოლო ინგლისი – მხოლოდ სამრეწველო პროდუქციას, საერთო ჯამში მიიღება 18 ერთეული სამრეწველო პროდუქტი და 12 ერთეული ქვის ხანის პროდუქტი. თუ პორტუგალიას დავტოვებთ ქვის ხანაში, თავისუფალი ვაჭრობა და სპეციალიზაცია მსოფლიოს უფრო მდიდარს გახდის. კერძოდ, მსოფლიოში წარმოება გაიზრდება

ერთი ერთეული სამრეწველო და ერთი ერთეული ქვის ხანის პროდუქტით. თუმცა, ამ წიგნში ვამტკიცებ, რომ თავისუფალი ვაჭრობისთვის იმაზე უკეთესი არგუმენტები არსებობს, ვიდრე რიკარდოს შედარებითი ვაჭრობის თეორია ფლობს. ამასთან, შედარებითი ვაჭრობის თეორიამ შესაძლოა, ღარიბი ქვეყნები გამოამწყვდიოს სიღარიბის მახეში, რასაც ჩვენ პრიმიტივიზაცია ვუწოდეთ (სპეციალიზაცია სიღარიბეზე).

როგორც მე-5 თავში დავინახეთ, რიკარდოს პერიოდში მთავარი ეკონომიკური პოლიტიკა კოლონიებში მრეწველობის აკრძალვა იყო. მისი შედარებითი უპირატესობის თეორიის მთავარი შედეგი ის არის, რომ პირველად ისტორიაში კოლონიალიზმი მორალურად გამართლებულად წარმოჩნდა. სმიტამდე და რიკარდომდე ეკონომისტთა უმრავლესობას ესმოდათ, რომ კოლონიებს სიღარიბეში გამიზნულად ტოვებდნენ. ამიტომაც, ბევრი პროგნოზირებდა, რომ ისინი აჯანყდებოდნენ, რათა ინდუსტრიალიზაცია განეხორციელებინათ, როგორც ეს აშშ-მა გააკეთა 1776 წელს. მე-19 საუკუნეში, თითქის ყველა ქვეყანას, რომელიც დღეს მდიდარია, ესმოდა, რომ არ უნდა დაეჯერებინათ რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიისთვის, ვიდრე თავად არ იქცეოდნენ ინდუსტრიულ სახელმწიფოებად. მე-5 თავში ვაჩვენე, თუ როგორ გადააქცია ამ თეორიამ 1989 წლის შემდეგ მონღოლეთი დეინდუსტიალიზებულ ქვეყნად, რომელშიც ერთადერთ მზარდ „ინდუსტრიულ“ დარგად ითვლებოდა ჩიტის ბუმბული (ერთი მიმართულებით). 1989 წლის შემდგომი მონღოლეთის განვითარება მართლაც, უფრო ქვის ხანის პროდუქციის წარმოებისაკენ წარიმართა, ვიდრე სამრეწველო პერიოდისა.

შედარებითი უპირატესობის თეორიას აქვს სხვა მნიშვნელოვანი დაშვებებიც, კერძოდ, ამ თეორიის მიხედვით:

- არ არსებობს სატრანსპორტო ხარჯი;
- არის მხოლოდ ორი ეკონომიკა და ეკონომიკური აქტივობის ორი ფორმა.
- გაცვლითი პროდუქცია ჰომოგენურია (ე.ი. იდენტურია).
- წარმოების ფაქტორები მეტისმეტად მობილურია.
- არ არსებობს ტარიფები და სხვა სავაჭრო ბარიერები.
- ყველას სრულყოფილი ინფორმაცია აქვს, შესაბამისად, ყველა გამყიდველი და მყიდველი ინფორმირებულია, თუ სად არის შესაძლებელი ყველაზე იაფიანი პროდუქტის შეძენა.

II დანართი

მსოფლიო ეკონომიკის, ქვეყნების სიმდიდრისა და სიღარიბის მიზეზების ახსნის ორი განსხვავებული მიდგომა

სტანდარტული კანონის ამოსავალი ნერტილი	„სხვა კანონის“ ამოსავალი წერტილი
წონასწორობა სრულყოფილი ინფორმირებულობისა და მოვლენების განჭვრეტის პირობებში	[მოვლენიდან გამომდინარე] სწავლა და გადაწყვეტილებების მიღება არასტაბილურ [პოლიტიკურ, ეკონომიკურ] ვითარებაში (შუმპეტერი, კეინზი, ჯორჯ შეკლი)
აბსტრაქციის მაღალი დონე	აბსტრაქციის დონის გადაწყვეტა პრობლემიდან გამომდინარე
ადამიანის ნების და გონების უგულებელყოფა	მამოძრავებელი ძალა: ეისტ- უნდ ჭილლენს-აპიტალ, ადამიანის ნება და გონება, მეწარმეობა
სიახლის აუხსნელობა სისტემის შიგნით არსებული ფაქტორების მეშვეობით	სიახლე [ინოვაცია], როგორც ცენტრალური მამოძრავებელი ძალა

მამოძრავებელი ძალა: „კაპიტალი თავისთავად ამუშავებს კაპიტალიზმის მოტორს“.	მამოძრავებელი ძალა: ახალი ცოდნა ქმნის მოთხოვნას კაპიტალზე, რომელიც უნდა მიაწოდოს ფინანსურმა სექტორმა
მეტაფორები ფიზიკის სფეროდან	მეტაფორები ბიოლოგიის სფეროდან
გააზრების მეთოდი: მექანისტური (ბეგრეიფენ)	გააზრების მეთოდი: თვისობრივი (ვერსტეჰენ), ანუ იმგვარი გაგება, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ ციფრებსა და სიმბოლოებზე
მატერია	ეისტ წინ უსწრებს მატერიას
ფოკუსირებულია ადამიანზე როგორც მომხმარებელზე: „ადამიანები ცხოველები არიან, რომლებმაც გაცვლა ისწავლეს“ (ადამ სმიტი)	ფოკუსირებულია ადამიანზე, როგორც ინოვატორსა და მწარმოებელზე. „ადამიანები არიან ცხოველები, რომლებიც არა მხოლოდ შრომობენ, არამედ სიახლეებსაც ქმნიან,“ აბრაჰამ ლინკოლნი.
ყურადღება ეთმობა სტატიკურ/ შედარებით სტატიკურ [პროცესს]	ყურადღება ეთმობა ცვლილებას
თეორია კუმულაციური არ არის/ ისტორიას მნიშვნელობა არ ენიჭება	კუმულაციური მიზეზ-შედეგობრიობა / „ისტორია მნიშვნელოვანია“/ საწინააღმდეგო ტალღის ეფექტი (მირდალი, კალდორი, შუმპეტერი, გერმანული ისტორიული სკოლა)
მზარდ უკუგებას მასშტაბზე და მის არარსებობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება	მზარდი უკუგება კაპიტალზე ან მისი არარსებობა ითვლება ფირმების, რეგიონებისა და სახელმწიფოების განსხვავებული შემოსავლების უმთავრეს მიზეზად (კალდორი)
მეტისმეტად ზუსტი („ზუსტ სიცრუეს ამჯობინებენ, მიახლოებით სიმართლეს“)	რელევანტურობა სიზუსტეზე უფრო მნიშვნელოვანია. რელევანტურობასა და სიზუსტეს შორის კომპრომისი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხად არის მიჩნეული.

„სრულყოფილი კონკურენცია“ (საქონლითა და ფასით კონკურენცია), იდეალურ ვითარებად ისახება და საზოგადოების მიზნად არის დადგენილი	ინოვაციასა და ცოდნაზე დამყარებული შუმპეტერიანული კონკურენცია, როგორც პროგრესის წყარო და იდეალური მდგომარეობა. სრულყოფილი კონკურენციით, წონასწორობითა და ინოვაციების არარსებობით, კაპიტალი უსარგებლო ხდება (შუმპეტერი, ჰაიეკი)
ბაზარი, როგორც ფასების რეგულირების მექანიზმი	ბაზარი ითვლება მეტოქეობის სივრცედ და სხვადასხვა პროდუქტებსა და ალტერნატივებს შორის არჩევნის გაკეთების მექანიზმად (შუმპეტერი, ნელსონი და უინტერი)
თანასწორობის წინაპირობა I: მრავალფეროვნების არარსებობა	მრავალფეროვნება მთავარი ფაქტორია: (შუმპეტერი, შეკლი)
თანასწორობის წინაპირობა II: ყველა ეკონომიკური აქტივობა ერთნაირია და ერთნაირი თვისებები აქვთ, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის მატარებლებს.	ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა დამოკიდებულია ეკონომიკური აქტივობის ხასიათზე – ეკონომიკური აქტივობების განსხვავებულ სახეობებს ახალი ცოდნის ათვისების განსხვავებული პოტენციალი აქვთ
თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები გაიცემა კონტექსტის გაუთვალისწინებლად („წამლის ერთი სახეობა, ყველა დაავადებას კურნავს“)	თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კონტექსტზე
ეკონომიკა მეტწილად საზოგადოებისგან განყენებულად არსებობს	ეკონომიკა მყარად არის დაკავშირებული საზოგადოებასთან

ტექნოლოგია უფასო საქონელია, „ციური მანანის“ მსგავსად	ტექნოლოგია და ცოდნა წარმოებულია, მათ აქვთ დანახარჯები და დაცულნი არიან. ცოდნისა და ტექნოლოგიების წარმოების პროცესი დამოკიდებულია სისტემის სტიმულებზე, მათ შორის კანონებზე, ინსტიტუტებსა და შესაბამის პოლიტიკაზე
სისტემისა და თეორიის ცენტრში დგას გამათანაბრებელი ძალები	გამათანაბრებელ ძალებზე უფრო მნიშვნელოვანი კუმულატიური ძალებია, ამიტომაც ისინი სისტემის საფუძველს წარმოადგენს
ეკონომიკა როგორც არ-*მონიელეჰრე:* ეკონომიკა, როგორც თვითრეგულირებადი სისტემა, წონასწორობისკენ და ჰარმონიისკენ მიისწრაფვის	ეკონომიკა, როგორც შინაგანად არასტაბილური სისტემა, რომელშიც ხშირია კონფლიქტები. სტაბილურობის მიღწევა ადამიანების მიერ გატარებულ პოლიტიკურ ზომებს ემყარება (კერი, პოლანი, ვებერი, კეინზი)
გამოიყენება ტერმინი „რეპრეზენტატული ფირმა“ [ფირმა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ სექტორში არსებული ყველა ფირმის თვისებას. გარკვეული აზრით „იდეალური ტიპი“. – მთარგმნ.]	„რეპრეზენტატული ფირმა“ არ არსებობს, თითოეული ფირმა უნიკალურია (ედიტ პენროუზი)
სტატიკური ოპტიმუმი [ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა. – მთარგმნ.]	დინამიური ოპტიმიზაცია არასტაბილურ პირობებში. შეზღუდული რაციონალურობა
განსხვავება რეალურ და ფინანსურ ეკონომიკას შორის არ არსებობს	კონფლიქტი ფინანსურ და რეალურ ეკონომიკას შორის ბუნებრივია და უნდა რეგულირდებოდეს (ჰაიმან მინსკი, კეინზი)
დანაზოგი კეთდება მოხმარების შეზღუდვის ხარჯზე და იგი ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა	დანაზოგები წარმოიშობა მოგების შედეგად (შუმპეტერი) და დანაზოგი თავისთავად არ არის სასარგებლო, ან სასურველი ეკონომიკური ზრდისთვის (კეინზი)

ფრენკ გრეშის არათანაბარი განვითარების თეორია მზარდი და კლებადი უკუგება საერთაშორისო ვაჭრობაში: რიცხობრივი გამოსახულება

ეტაპი I: შემოსავლები და მისი გადანაწილება მსოფლიოში ვაჭრობამდე						
ქვეყანა				ქვეყანა		
პროდუქტი	კ კაც/ დღე	წარმოების მოცულობა 1 კაც/ დღეზე	სულ	კაც/ დღე	წარმოების მოცულობა 1 კაც/ დღეზე	სულ
ხორბალი	200	4	800	200	4	800
საათები	200	4	800	200	3	600

მსოფლიო წარმოება: 1600 ხორბალი + 1400 საათი. ხორბლის ეკვივალენტში – 3200.

A ქვეყნის შემოსავალი ხორბლის ეკვივალენტში: 1714-ს.

B ქვეყნის შემოსავალი ხორბლის ეკვივალენტში: 1486-ს.

ფასი: 4 ხორბალი უდრის = 3.5 საათს.

ეტაპი II: შემოსავლები და მისი გადანაწილება მსოფლიოში, მას შემდეგ, რაც თითოეული ქვეყანა სპეციალიზდება საკუთარ კონკურენტულ უპირატესობაში						
	ქვეყანა				ქვეყანა	
პროდუქტი	კაც/ დღე	წარმოების მოცულობა 1 კაც/დღეზე	სულ	კაც/ დღე	წარმოების მოცულობა 1 კაც/ დღეზე	სულ
ხორბალი	100	4.5	450	300	3.5	1050
საათები	300	4.5	1350	100	2	200

მსოფლიო წარმოება – ვაჭრობით: 1500 ხორბალი + 1550 საათი. ხორბლის ეკვივალენტში: 3271.

A ქვეყნის შემოსავალი ხორბლის ეკვივალენტში: 1993-ს.

B ქვეყნის შემოსავალი ხორბლის ეკვივალენტში: 1278-ს.

1980 წელს ჩემს სადოქტორო ნაშრომში ვცადე ემპირიულად შემემოწმებინა ეს მოდელი, კერძოდ ის, რომ ღარიბი ქვეყნების სპეციალიზება ნედლეულზე იწვევს მათ კიდევ უფრო გაღარიბებას. ნაშრომში ვაჩვენე, რომ ანდების სამივე ქვეყნის, ბოლივიის (კალის მოპოვება), ეკვადორის (ბანანი) და პერუს (ბამბა), საექსპორტო პოტენციალი განვითარდა კლებადი უკუგების აქტივობებში. ზუსტად იმავე მიზეზის გამო, რომელზეც ინგლისელი ეკონომისტები საუბრობდნენ: ეროვნული წარმოების ზრდას, მოჰყვება წარმოების ხარჯების ზრდაც, მაშინ, როცა წარმოების ხარჯები ყოველთვის მცირდება ეროვნული წარმოების შემცირებასთან ერთად. ეს არის იმის საპირისპირო, რაც ხდება სამრეწველო ინდუსტრიაში.

როგორც ჰანს ზინგერმა 1950 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში აჩვენა, ტექნოლოგიური ცვლილება ვერ წყვეტს შემოსავლის პრობლემას ნედლეულის სექტორში, რადგან პროდუქტიულო-

ბის ზრდა იწვევს დაბალ ფასებს საექსპორტო პროდუქციაზე და არა მაღალ შემოსავლებს. ილუსტრაცია 14 აჩვენებს, თუ როგორ გამოძვრა პერუ ამ მახიდან საწარმოო სექტორის შექმნით და კვლავ როგორ გაება იმავე მახეში, მას შემდეგ, რაც ვაშინგტონში მდებარე ფინანსურმა ინსტიტუტებმა დაიწყეს დეინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმოება.

IV დანართი
პროტექციონიზმის ორი იდეალური ტიპის შედარება

აღმოსავლეთ აზია: კარგი პროტექციონიზმი	ლათინური ამერიკა: ცუდი პროტექციონიზმი
ახალი ინდუსტრიების/პროდუქტების დროებითი დაცვა, რომელიც საერთაშორისო ბაზრებისთვის არის განკუთვნილი	ჩამოყალიბებული ინდუსტრიების/პროდუქტების მუდმივი დაცვა, რომლებიც ადგილობრივი (ხშირად ძალიან პატარა) ბაზრებისთვისაა განკუთვნილი
სხვა ქვეყნებთან შედარებით ტექნოლოგიებისა და ცოდნის ადაპტაციის რთული პროცესი	ცოდნისა და ტექნოლოგიების ადაპტაციის მეტისმეტად ნელი პროცესი, რომელიც ჩამორჩება სხვა ქვეყნებს
დამყარებულია მსოფლიოს დინამიკურ შუმპეტერიანულ გაგებაზე: ბაზრის მიერ წარმართული „კრეატიული დესტრუქციის“ პროცესი	სამყაროს სტატიკური გაგება: გეგმიური ეკონომიკა
შიდა კონკურენცია შენარჩუნებულია	შეზღუდული კონკურენცია ქვეყნის შიგნით

მთავარი ტექნოლოგიები კონტროლდება ადგილობრივად	მთავარი ტექნოლოგიები ძირითადად იმპორტირებულია (ან ნაწილებია იმპორტირებული და ადგილზეა აწყობილი). ეს არის ე.წ. „ზედაპირული ინდუსტრიალიზაცია“
მსხვილი ინვესტიციები განათლებაში/ ინდუსტრიულმა პოლიტიკამ გააჩინა დიდი მოთხოვნა განათლებაზე. განათლებული ადამიანების მიწოდება, ემთხვეოდა ინდუსტრიების მიერ წარმოებულ მოთხოვნას სამუშაო ადგილებზე	ნაკლები აქცენტი კეთდება განათლებაზე, ასევე, ისეთ ტექნოლოგიებზე, რომლებიც გააჩენდა დიდ მოთხოვნას განათლებაზე (მაგალითად, ისე როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ აზიაში). ამიტომაც, ინვესტიციები განათლებაში ხელს უწყობს ემიგრაციას
მერიტოკრატია: კაპიტალი, თანამდებობები და პრივილეგიები ნაწილდება კვალიფიკაციის მიხედვით	კაპიტალის, თანამდებობებისა და პრივილეგიების განაწილება ხდება ნეპოტიზმით
მიწების თანაბრად გადანაწილება (კორეა)	მიწის განაწილების წინააღმდეგობრივი გამოცდილება
შემოსავლების თანაბარი განაწილებაც ქმნის მოთხოვნას შიდა ბაზარზე სამრეწველო პროდუქციისთვის	შემოსავლების არათანაბარმა განაწილებამ შეზღუდა შიდა ბაზრის მასშტაბები და შეამცირა ადგილობრივი მრეწველობის კონკურენტუნარიანობა
მოგება, რომელიც იქმნება შუმპეტერიანული დინამიური რენტის ძიებით (რენტ სეეკინგ)	მოგება, რომელიც იქმნება სტატიკური რენტის ძიებით
ინტენსიური თანამშრომლობა მწარმოებლებსა და ადგილობრივ მიმწოდებლებს შორის	კონფრონტაცია მწარმოებლებსა და ადგილობრივ მიმწოდებლებს შორის

ტექნოლოგიების გადაცემის (ტეცჰნოლოგყ ტრანსფერ) რეგულირება ცოდნის გადაცემის პროცესის მაქსიმიზაციის მიმართულებით	ტექნოლოგიების გადაცემის რეგულირება „მახეების“ თავიდან ასარიდებლად

V დანართი

მდიდარი ქვეყნების მიბაძვის (ემულაციის) 9 ნესი ფილიპ ფონ ჰონრიგკის მიხედვით (1684 წ.)

1. ყურადღებით უნდა მოხდეს ქვეყნის ნიადაგის შესწავლა და არც ერთი გოჯი არ უნდა დარჩეს ყურადღებისა და დამუშავების გარეშე. აუცილებელია მზის ქვეშეთში არსებული ყველა სასარგებლო მცენარის ექსპერიმენტირება, რათა დადგინდეს, თუ რამდენად ეგუება ესა თუ ის მცენარე ადგილობრივ პირობებს. ამის დასადგენად მხოლოდ მზის სიშორე და სიახლოვე საკმარისი არ არის. რაც მთავარია, ოქროსა და ვერცხლის ძებნაზე ენერგია და ფული არ უნდა დაიზოგოს.

2. ყველა რესურსი, რომლის გამოყენებაც შეუძლებელია მის ბუნებრივ მდგომარეობაში, უნდა გადამუშავდეს ქვეყნის შიგნით, რადგან გადამუშავებული პროდუქტები ღირს 2-ჯერ, 3-ჯერ, 10-ჯერ ან 100-ჯერ მეტი, ვიდრე ნედლეული. ამის უარყოფა კი საძაგლობა იქნება გონიერი მმართველების მხრივ.

3. პირველი ორი პირობის შესასრულებლად საჭიროა ადამიანები, კერძოდ, როგორც ნედლეულის მოსაყვანად და მოსაპოვებლად, ასევე მის დასამუშავებლად. ამიტომაც, ყურადღება უნდა მიექცეს მათ რაოდენობას: ის იმდენად დიდი უნდა იყოს, რამდენსაც ქვეყანა გაწვდება. ეს კარგად ორგანი-

ზებული სახელმწიფოს საზრუნავი უნდა იყოს, თუმცა სწორედ ეს პირობაა ხშირად უგულებელყოფილი. გარდა ამისა, ყველა საშუალებით უნდა მოხდეს ადამიანების გადმორთვა უსაქმურობიდან ანაზღაურებად სამუშაოებზე. ისინი უნდა წახალისდნენ და აღიჭურვონ ცოდნით, ახალი გამოგონებების, პროფესიებისა და ხელობების შესაძენად. თუ საჭირო გახდება, ინსტრუქტორები უცხოეთიდანაც უნდა მოიწვიონ.

4. როცა ქვეყანაში არსებობს ოქრო ან ვერცხლი, იქნება ეს ადგილობრივი მაღაროებიდან მოპოვებული თუ სხვა ქვეყნებიდან სამრეწველო პროდუქტში გაცვლის მეშვეობით მიღებული, ამ რესურსებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოს ქვეყანა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ეს რესურსები არ უნდა ინახებოდეს არც ზანდუკებში და არც სკივრებში, არამედ უნდა რჩებოდეს ბრუნვაში. ასევე ოქროსა და ვერცხლის დიდი ნაწილის გამოყენება არ უნდა იყოს ნებადართული ისეთ საქმეებში, რომელიც ანადგურებს ამ რესურსს და მის ხელმეორედ გამოყენებას შეუძლებელს ხდის. თუ ეს წესები დაცული იქნება, ქვეყანა, რომელმაც გამოიმუშავა დიდი რაოდენობით ფული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ის ოქროსა და ვერცხლის საბადოებს ფლობს, არასოდეს გაღარიბდება; უფრო მეტიც, ამ ქვეყნის სიმდიდრე და ქონება მუდმივად გაიზრდება.

5. ქვეყნის მცხოვრებლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა იკმარონ ადგილობრივი პროდუქცია და ფუფუნების მიმართ ლტოლვა ადგილობრივი ნაწარმის მოხმარებით შემოფარგლონ. ასევე, ნაკლებად მოიხმარონ უცხოური პროდუქტი, რამდენადაც ეს შესაძლებელია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა გამოსავალი არ არის, ან ისეთი ვითარებისა, როცა პროდუქტს მეტისმეტად დიდი რაოდენობით მოიხმარენ, ინდური სანელებლები ამის კარგი მაგალითია).

6. მაშინ როცა უცხოური საქონლის ყიდვა გარდაუვალია, საჭიროების ან მისი მეტისმეტი მოხმარების გამო, მისი შესყიდვა უნდა მოხდეს პირველი ხელიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ეს უნდა მოხდეს არა ოქროსა და ვერცხლის სანაცვლოდ, არამედ ადგილზე წარმოებულ პროდუქტზე გაცვლით.

7. ამგვარი უცხოური პროდუქტების იმპორტის შემთხვევაში, მათი შემოტანა უნდა მოხდეს არა საბოლოო სახით და მისი დამუშავება ქვეყნის შიგნით უნდა განხორციელდეს, რათა დამამუშავებელ მრეწველობაში ხელფასების გამომუშავება ადგილზე მოხდეს.

8. ქვეყანა დღედაღამ უნდა ეძებდეს უცხოელებისთვის ჭარბი გადამუშავებული პროდუქციის მიყიდვის გზებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამასთან, ოქროსა და ვერცხლის სანაცვლოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მიზნის მისაღწევად, ქვეყანა მომხმარებლებს უნდა ეძებდეს შორეულ ადგილებში და ყველა ხერხით უნდა ცდილობდეს მის მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებელთა გამრავლებას.

9. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არც ერთი პროდუქტის იმპორტის დაშვება არ უნდა მოხდეს, თუ მისი სათანადო ხარისხით წარმოება ადგილზე ხდება. ამ საკითხში არ შეიძლება არც თანაგრძნობის და არც სიბრალულის გამოჩენა უცხოელების მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არიან ისინი: მეგობრები, ნათესავები, მოკავშირეები თუ მტრები. მეგობრობა მაშინვე წყდება, როგორც კი იგი გასუსტებს ან გვნებს. ეს წესი მაშინაც უნდა გამოიყენოს ქვეყანამ, როცა ადგილობრივი საქონელი უფრო ნაკლებად ხარისხიანი და ძვირია. უმჯობესია საქონელში გადაიხადონ ორი დოლარი, რომელიც ქვეყანაში დარჩება, ვიდრე ერთი დოლარი, რომელიც ქვეყნიდან გავა, რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს ეს საქმეში ჩაუხედავთათვის.

(ნათარგმნია არტურ ელი მონროს მიერ, წიგნიდან „Early Economic Thought, Selection from Economic Literature prior to Adam Smith, Cambridge, Mass., 1930").

ჰონრიგკის წიგნი, Osterreich fiber alles *(ავსტრია უპირველეს ყოვლისა)*, თურქების მიერ ვენის გარემოცვიდან ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა. წიგნი მუდმივად იბეჭდებოდა და 100 წლის განმავლობაში 16-ჯერ გამოიცა. მასში წარმოდგენილია ავსტრიის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ზემოთ მოცემულ 9 პუნქტში, ჰონრიგკი აჯამებს ამ სტრატეგიას. 1784 წელს, პირველი გამოცემის 100 წლის თავზე, ეს წიგნი თავიდან გამოაქვეყნა ბენედიქტ ჰერმანმა. ამ გამოცემის კომენტარში მან აღნიშნა, რომ სიმდიდრე, რომელიც ავსტრიაში დაგროვდა გასული 100 წლის განმავლობაში, ჰონრიგკის სტრატეგიის შედეგი იყო.

ჰონრიგკის ცხრა პუნქტში გადმოცემულია რამდენიმე თეორიული საკითხი. ნაშრომში ვამტკიცებთ, რომ „მრეწველობის კულტი", მუდმივად იყო წარმატების მთავარი ფაქტორი ევროპული ქვეყნების განვითარებაში – ჰენრი VII-ის ინგლისშიც, 1480-იან წლებში და 500 წლის შემდგომაც ირლანდიასა და ფინეთში ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებისას. ჰორნიგკის მოსაზრებები ამგვარი სტრატეგიის ტიპური განსახიერებაა, ითვლებოდა, რომ ის სოფლის მეურნეობის დისკრიმინაციას ახდენდა. თუმცა, მისი პირველი წესი ყურადღებას ამახვილებს სოფლის მეურნეობაში ინოვაციის დანერგვაზე, ახალი ნარგავების შემოტანით. მესამე პუნქტში საუბარია მოსახლეობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, რაც საჭიროა წარმოებაში მასშტაბის ეკონომიასა და მზარდი შრომის დანაწილებიდან გამომდინარე. იგივე პუნქტი ხაზს უსვამს უცხოელების უნარებისა და არა კაპიტალის მნიშვნელობას – ეს სასარგებლო მოსაზრე-

